

იურისტების სამყარო

ლევან ალექსიძე

# თანამედროვე საერთაშორისო სამართალი

(განახლებული და შევსებული გამოცემა)

თბილისი, 2013
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



*საერთაშორისო სამართალი, როგორც იდეების, პრაქტიკისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მახასიათებელი სახელმწიფოთა ფართო ურთიერთობებია.*

*თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები საკითხთა განუზომლად ფართო წრეს მოიცავს. საერთაშორისო სამართალი კი ამ საკითხებს არეგულირებს.*

*წინამდებარე წიგნში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები: საერთაშორისო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის ცნება, სოციალური ბუნება, წყაროები, სუბიექტები: ცალკეული დარგების (სახელშეკრულებო, დიპლომატიური, საკონსულო, კოსმოსური და სხვ.) ძირითადი დებულებანი.*

*ნაშრომი განკუთვნილია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.*

**რედაქტორი** — საერთაშორისო სამართლის პროფესორი, სამართლის დოქტორი ***ქეთევან ხუციშვილი***

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლებების მქონე სუბიექტების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო", 2013

ISBN 978-9941-9343-5-3

გამომცემლობა „იურისტების სამყარო"

**თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34**

**E-mail: Lawyers.world@yahoo.com;**
**http://www.facebook.com/lawyers.world**

# სარჩევი

## თავი I

## საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო სამართლის ცნება, სოციალური ბუნება და წყაროები


1. საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო სისტემა ..... 8
2. საერთაშორისო სამართლის სოციალური ბუნება ..... 15
3. საერთაშორისო სამართლის წყაროები ..... 23


## თავი II

## საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა ..... 30

## თავი III

## საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები


1. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების ცნება 41
2. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი ..... 46
3. ძალის გამოყენებაზე ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა 49
4. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი ..... 54
5. საზღვრების ურღვევობის პრინციპი ..... 56
6. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი ..... 57
7. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი ..... 60
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა ..... 69
9. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი ..... 72
10. სახელმწიფოთა მოვალეობა ითანამშრომლონ ერთმანეთთან წესდების შესაბამისად ..... 74
11. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება ..... 75


## თავი IV

## თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტები

1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნება და სახეები.. 76
2. სუვერენული სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი ..... 81
3. რთული სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები ..... 84
4. სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, წარმოშობა და გაქრობა ..... 87
5. საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა ..... 89
6. სახელმწიფოს უფლებამემკვიდრეობა ..... 98

## თავი V

## საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი

1. საერთაშორისო ხელშეკრულების ცნება ..... 106
2. საერთაშორისო ხელშეკრულებათა მხარეები და მათში მონაწილეობის უფლება ..... 107
3. საერთაშორისო ხელშეკრულების დადების წესი და სტადიები ..... 110
4. საერთაშორისო ხელშეკრულების სტრუქტურა და ფორმა 116
5. საერთაშორისო ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ..... 116
6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ..... 118
7. ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები ..... 119
8. ხელშეკრულების მოქმედება და მისი შეწყვეტა ..... 123

## თავი VI

## საერთაშორისო კონფერენციები და ორგანიზაციები

1. საერთაშორისო კონფერენციების ცნება და მუშაობის ძირითადი პრინციპები ..... 125
2. საერთაშორისო ორგანიზაციები ..... 129
3. უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები ..... 134
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები (სააგენტოები)
გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო სააგენტო
ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისოკავშირი
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
მსოფლიო საფოსტო კავშირი
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
საერთაშორისო საზღვაო-საკონსულტაციო ორგანიზაცია
სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო
მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია
4. რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები ..... 165
აფრიკის კავშირი
ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია
არაბულ სახელმწიფოთა რიგა
ევროპის კავშირი (ევროკავშირი)
ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
დასავლეთ ევროპის კავშირი
ეუთო (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია)
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

## თავი VII

## პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში

1. საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება ..... 194
2. საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტების სახეები .. 196
3. საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები და ფორმები ..... 200

## თავი VIII

## დიპლომატიური და საკონსულო სამართალი

1. დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ცნება ..... 204
2. საგარეო ურთიერთობების საზღვარგარეთული ორგანოები ..... 208
3. საგარეო ურთიერთობების საზღვარგარეთული ორგანოები 214
4. საერთაშორისო ორგანიზაციების პრივილეგიები და იმუნიტეტები ..... 236
5. სახელმწიფოთა დროებითი წარმომადგენლები საზღვარგარეთ ..... 238
6. სახელმწიფოების საკონსულო წარმომადგენლობანი ..... 240

## თავი IX

## ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი


1. ადამიანის უფლებათა ცნება ..... 252
2. მოსახლეობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები 253
3. საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა განმტკიცების და დაცვის სფეროში ..... 266
4. გაეროსა და რეგიონალურ ორგანიზაციებში ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოები ..... 280
5. თავშესაფრის უფლება ..... 296


## თავი X

## საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა დანაშაულებასთან ბრძოლაში


1. საერთაშორისო სახის დანაშაულის ცნება ..... 299
2. დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება ..... 301
3. დამნაშაეთა გადაცემა ..... 313
4. ხელშეკრულებები სამართლებრივი დახმარების შესახებ .. 314
5. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა ..... 316


## თავი XI

## ტერიტორია და საერთაშორისო სამართალი. ტერიტორიის საერთაშორისო-სამართლებრივი რებულირების ზოგადი საკითხები


1. სახელმწიფო ტერიტორიის და ტერიტორიული უზენაესობის ცნებები ..... 318
2. სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობა ..... 322
3. სახელმწიფო საზღვრები ..... 324
4. სახელმწიფო ტერიტორიის შეძენის და შეკვლის საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებანი ..... 326
5. მდინარეების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხები ..... 331


## თავი XII

## საერთაშორისო საზღვაო სამართალი


1. საზღვაო სამართლის ცნება ..... 336
2. შიდა წყლები ..... 336

3. ტერიტორიული ზღვები ..... 341
4. ღია ზღვა ..... 344
5. დახურული და ნახევრად დახურული ზღვები ..... 349
6. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა ..... 350
7. ზღვის ფსკერის სამართლებრივი რეჟიმი ..... 351
8. საერთაშორისო სრუტეებისა და არხების სამართლებრივი რეჟიმი ..... 356

## თავი XIII

## საჰაერო და კოსმოსური სამართალი

1. საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნება ..... 364
2. საერთაშორისო კოსმოსური სამართალი ..... 370

## თავი XIV

## საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებანი

1. უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება ..... 378
2. შუამავლობა და „კეთილი სამსახური“ ..... 379
3. საგამომძიებლო და შემთანხმებელი კომისიები ..... 380
4. საერთაშორისო არბიტრაჟი (სამედიატორო სასამართლო) 381
5. საერთაშორისო სასამართლო ..... 383
6. დაეების მშვიდობიანი გადაწყვეტის წესები საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ..... 384

## თავი XV

## საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების, მათი წარმოების საშუალებებისა და წესების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

1. კონფლიქტების ლოკალიზაცია და ჰუმანიტარიზაციის წყაროები ..... 393
2. მიუმხრობლობა (ბლოკების მიუმხრობლობა) ..... 407
3. ნეიტრალიზმი და მუდმივი ნეიტრალიტეტი ..... 408
4. „საერთაშორისო“ და „არასაერთაშორისო“ შეიარაღებული კონფლიქტები ..... 409
5. შეიარაღებული კონფლიქტების ჩაქრობისა და მშვიდობის აღდგენის პროცედურები საერთაშორისო ორგანიზაციებში ... 411
6. ომის წარმოების საშუალებანი და მეთოდები ..... 423

# თავი I
# საერთაშორისო სამართლის ცნება, სოციალური ბუნება და წყაროები

## *1. საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო სისტემა*

საერთაშორისო სამართალი სპეციფიკურ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც უფრო ყართო და ყოვლისმომცველი სოციალურ-პოლიტიკური სამყაროს განუყოფელ ნაწილს – საერთაშორისო სისტემას მიეკუთვნება.

საერთაშორისო სისტემა, ფართო გაგებით, მოიცავს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც სახელმწიფოს გარეთ წარმოქმნილი ურთიერთობების კომპონენტებს შეიცავს, განურჩეულად იმისა, ატარებს კონკრეტული ურთიერთობა სამთაერობათაშორისო თუ არასამთავრობათაშორისო ხასიათს, მონაწილეობს მასში ფიზიკური თუ იურიდიული პირი, პოლიტიკური პარტია თუ სახელმწიფო, როგორც სუვერენული უფლებების მატარებელი. ამგვარად, საერთაშორისო სისტემის ამ ცნებაში შედის ყველა საერთაშორისო მოვლენა, სახელმწიფოთა შორის არსებული ყველა ურთიერთობა.ჩვენ ინტერესს საერთაშორისო სისტემის უფრო ვიწრო ცნება წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს მოიცავს, ე.ი. ისეთ ურთიერთობებს, რომლებშიც ძირითადად მოქმედ პირებად - სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფოები, როგორც სუვერენული პოლიტიკური ერთეულები, აგრეთვე სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო სამთავრობათაშორისი ორგანიზაციები. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სუბიექტების გარდა, ეს სისტემა მოიცავს აგრეთვე ამ ურთიერთობების შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ, მორალურ და სხვა ნორმებს (საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ადათს, საერთაშორისო მორალს, საერთაშორისო თავაზიანობას), რომლებიც თავის მხრივ, აქტიურ ზეგავლენას ახდენენ არსებულ საერთაშორისო ურთიერთობებზე.

საერთაშორისო სამართლის მარტივი განმარტება გვეუბნება, რომ ეს არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობა. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს არეგულირებს და

ამდენად, ის სამართლის სხვა დარგებისგან განსხვავებულია. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობების რეგულირებისას, სხვაგვარად საერთაშორისო საჯარო სამართლად მოიხსენიება. ამით ხდება ხაზგასმა, რომ სამართლის ეს დარგი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს არეგულირებს და მისი ინტერესის სფერო არ არის კერძო პირებს შორის ურთიერთობა და ვერც ერთი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ვერ გვეტყვის, რა არის საერთაშორისო სამართალი. საერთაშორისო სამართლის განვითარებამ, ამასთან, იმის გამო, რომ საერთაშორისო სამართალი დღეს ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს რეგულირებას შეეხება, შესაძლოა, გახდეს საერთაშორისო სამართლის რეგულირების სუბიექტი. მაგალითად, საერთაშორისო აქციას საერთაშორისო სამართალი არეგულირებს, რადგან სახელმწიფოთა შორის მოქმედი ხელშეკრულებები მოქმედებს ამ სფეროში. ამასთან, ფიზიკური პირი შეიძლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი იყოს საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმების გათვალისწინებით, ან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ჭრილში სახელმწიფოს წინააღმდეგ საკუთარი უფლებების დასაცავად იმოქმედოს. შესაბამისად, თუ საერთაშორისო სამართლის ცივრო განმარტებას გავცდებით, ნათლად დავინახავთ, რომ საერთაშორისო სამართალი არეგულირებს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებია. საერთაშორისო სამართალი იმ ურთიერთობებსაც არეგულირებს, რომლების საერთაშორისოდ მოწესრიგებას სახელმწიფოები თანხმდებიან.

ამრიგად, **საერთაშორისო სამართალი კონკრეტული საერთაშორისო სისტემის – სახელმწიფოთაშორისი სისტემის განუყოფელი ნაწილია და უნდა განიხილებოდეს მთელი სისტემის ყველა კომპონენტთან მჭიდრო კავშირში. საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობების იურიდიული ჩარჩოა, რაც ამ ურთიერთობებს სპეციფიკურ, სხვა სოციალური მოვლენებისაგან განსხვავებულ ხასიათს ანიჭებს.**

დედამიწაზე პირველი სახელმწიფოების შექმნისთანავე დამყარდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი, რომლებიც გარ-

კვეული ქცევის წესებით რეგულირდებოდა. ეს ქცევის წესები, ანუ ნორმები, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად ვითარდებოდა და მტკიცდებოდა. ქცევის ნორმების ბუნება საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ამგვარად, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, სახელმწიფოების ჩამოყალიბებიდან მოყოლებული, მოქმედებს სათანადო, ამ სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ქცევის წესები. მაგრამ სახელმწიფოების ქცევის ყველა წესი როდი ატარებს სამართლებრივ ხასიათს და სამართლის განსაკუთრებულ სისტემას – საერთაშორისო სამართალს როდი განეკუთვნება.

**მხოლოდ იმ ნორმებს, ანუ ქცევის წესებს, რომლებიც სახელმწიფოთა, სხვა სუბიექტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზეც იქმნებიან და რომელთა შესრულების უზრუნველყოფა თვით სახელმწიფოების, სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ხდება, ეწოდება საერთაშორისო სამართალი.**

რადგან საერთაშორისო საჯარო სამართალი სახელმწიფოთა ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობაა, იგი განსხვავდება სახელმწიფოთა შიდა სამართლისაგან, ამასთან საერთაშორისო საჯარო სამართალი ასევე უნდა განვასხვაოთ საერთაშორისო კერძო სამართლისაგან, რომელსაც სხვაგვარად სამართლის კონფლიქტის სამართალი შეგვიძლია, ვუწოდოთ.

საერთაშორისო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობის მოქმედებებს აწესრიგებს. საერთაშორისო თანამეგობრობის ძირითადი სუბიექტები სახელმწიფოები არიან. სახელმწიფოებთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციები და არა სახელმწიფო აქტორები ასევე შეადგენენ საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეებს, თუმცა, მხოლოდ იმ მოცულობით, რა დოზითაც მათი სტატუსი და უფლებამოსილება შეიძლება, საერთაშორისო სამართლის მეშვეობით სახელმწიფოებმა აღიარონ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სამართლის განმარტებისას არსებითია არა ის, თუ რა არის ამ დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის რეგულირების ობიექტი, არამედ ის, რომ ამ დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემას სახელმწიფოები ერთად ქმნიან. შესაბამისად,

სახელმწიფოები ერთად მოქმედებით ქმნიან საერთაშორისო სამართალს, ამ სისტემის შექმნა არც ცალკე აღებულ სახელმწიფოს შეუძლია და არც ადამიანთა ან ორგანიზაციათა გაერთიანებას.

მაშასადამე, შიდასახელმწიფოებრივი სამართლისაგან განსხვავებით საერთაშორისო სამართალი გამოირჩევა მრავალი თავისებურებით:

ა) საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფოები. ფიზიკურ პირს მხოლოდ გარკვეულ სფეროებში ვხვდებით: მან შეიძლება, დამოუკიდებლად იმოქმედოს, გამოიყენოს საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებების დარღვევისას (მაგ., ფიზიკური პირის უფლებების შელახვისას სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის გამოყენებით ადამიანის უფლებების სასამართლოსთვის მიმართვა); ფიზიკური პირი ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი ხდება საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

ბ) საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანი მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობათაშორისი, სახელმწიფოებრივი ურთიერთობანია, ე.ი. ისეთი ურთიერთობანი სადაც სახელმწიფოები მონაწილეობს როგორც ერთიანი, უზენაესი, სუვერენული უფლებების მქონე ძალა, ანუ ხელისუფლების მქონე სუბიექტი. ურთიერთობანი, რომელნიც საზოგადოებრივი, რელიგიური და სხვა ამგვარი ხასით ხორციელდება, არ ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს.

გ) საერთაშორისო სამართლის ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ:

1) სახელმწიფოს მოქმედება (მაგ., მოეალეობა დაეხმაროს მოკავშირეს ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ძალით).
2) მოქმედებისაგან თავის შეკავება (მაგ., ურთიერთთავდაუსხმელობის ვალდებულება).
3) სახელმწიფო ტერიტორია.

დ) საერთაშორისო სამართლის წყაროებია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმები – საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ჩვეულებანი, ე.ი. საერთაშორისო სამართლის ნორმებს ქმნის არა რაიმე ზესახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ორგანოები, არამედ თვით საერთაშორისო სამართლის სუბიექტები.

ე) იგივე სუბიექტები უზრუნველყოფენ საერთაშორისო სამართლის შესრულებას; დაზარალებული სახელმწიფო ან თვითონ ან სხვა სახელმწიფოსთან ერთად (რასაც უფრო ეფექტური ხასიათი აქვს) აიძულებს დამნაშავე სახელმწიფოს აღადგინოს დარღვეული წესი და აკისრებს მას სათანადო პასუხისმგებლობას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ცნობს მხოლოდ დაცვის მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს და ომს კანონგარეშედ აცხადებს.

განასხვავებენ საყოველთაო და ლოკალურ საერთაშორისო სამართალს, ეს უკანასკნელი არეგულირებს ურთიერთობას ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ხოლო საყოველთაო – თითქმის ყველა სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება და მთელი საერთაშორისო საზოგადოების სამართალს წარმოადგენს. შემდგომ ტერმინით „საერთაშორისო სამართალი" აღინიშნება „საყოველთაო საერთაშორისო სამართალი", ლოკალური საერთაშორისო სამართალი კი საგანგებოდ იქნება აღნიშნული. განასხვავებენ აგრეთვე რეგიონალურ საერთაშორისო სამართალს, რომელიც გარკვეული გეოგრაფიული რაიონის სახელმწიფოების ურთიერთობებს არეგულირებს და ხშირად ამ არისათვის სპეციფიკურ თავისებურებებს ატარებს. აუცილებელი არ არის, იგი მოიცავდეს მთელ კონტინენტს (ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია), გვხვდება ეროი და იმავე კონტინენტის რამდენიმე რეგიონალური საერთაშორისო სამართალი, რომლებიც გარკვეულ ქვეყნებს მოიცავს (მაგ. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოები, აფრიკის არაბული ქვეყნები და სხვ.).

ყველა ლოკალური საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, მიუხედავად თავისებურებებისა, უნდა შეესაბამებოდეს **საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს**,. (იხილეთ ქვევით).

მივყვეთ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ანუ საერთაშორისო სამართლის თეორიული საკითხების შემდგომ განხილვას.

საერთაშორისო სამართლის საგნის შესწავლისას ხშირად შეეხებით ტერმინებს „საერთაშორისო სამართლის პრინციპები" და „საერთაშორისო სამართლის ნორმები", ორივე შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სავალდებულო იურიდიული ქცევითი წესი, რაც განსხვავდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპებისა და ნორმებისაგან. ცნობილია, რომ

შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ზოგიერთ დარგობრივ პრინციპს არა აქვს იურიდიული ძალა და ისინი განზოგადოებული მთავარი სამართლებრივი იდეის სახეს ატარებენ.

საერთაშორისო სამართალში „პრინციპი" იურიდიული ძალის მქონე ზოგადი სახელმძღვანელო საწყისია, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ან საერთაშორისო სამართლის მთელი სისტემა (ძირითადი პრინციპები) ან ცალკეული დარგების (დარგობრივი პრინციპები.საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა უფრო კონკრეტული ქცევითი წესია, იგი მოწოდებულია დეტალიზაცია უყოს ამა თუ იმ პრინციპს, ან მოაწესრიგოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი ძირითადი პრინციპის შესაბამისად.

საერთაშორისო სამართლის ნორმების იერარქია

ამგვარად, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სამართლებრივი ნორმების იერარქიის შემდეგი სურათი:

1. საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი პრინციპები, რომელნიც ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერაა ცნობილი, ამ ქვეყნების სოციალური სისტემების არსის მიუხედავად.

2. საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ცალკეულ დარგში გაბატონებული პრინციპები, რომელნიც ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში უნდა იყვნენ.

3. ძირითადი და დარგობრივი პრინციპების შესაბამისობაში არსებული დარგობრივი ნორმები, რომელნიც აღნიშნული პრინციპების კონკრეტიზაციას წარმოადგენენ.

4. ლოკალური საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები და ნორმები, რომელნიც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ურთიერთობებს არეგულირებენ და ზემოაღნიშნულ პრინციპებს და ნორმებს უნდა შეესაბამებოდნენ.

როგორც ეხედავთ, თანამედროვე საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციური პრინციპების ხასიათს ატარებენ, თუმცა ტერმინი „კონსტიტუციური" აქ უნდა იკითხებოდეს საერთაშორისო სამართლის კოორდინაციული ბუნების გათვალისწინებით, რაც განსხვავდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ვერტიკალური სტრუქტურისაგან.

განასხვაებენ **იმპერატიულ** და **დისპოზიტიურ** ნორმებს (პრინციპებს). დისპოზიტიური საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა ანიჭებს სუბიექტებს უფლებას ურთიერთშეთანხმებით

შექმნან მოქმედი ნორმისაგან განსხვავებული ქცევითი წესი., . მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეებმა არ ისარგებლეს ამ უფლებით, მათი ურთიერთობა მოწესრიგდება არსებული დისპოზიტიური ნორმით. მაგალითად, ღია ზღვაში ყველა სახელმწიფოს ხომალდი ნაოსნობს თავისი ქვეყნის ალმით· და სხვა ქვეყნის ხომალდს არა აქვს მისი გაჩერების და გაჩხრეკის უფლება თუკი მეკობრეობის, მონათვაჭრობის და სხვა მსგავსი ქმედების ეჭვი არ არის, მაგრამ ორ ან რამოდენიმე სახელმწიფოს შეთანხმებით შეუძლიათ მისცენ უფლება თავიანთ სამხედრო ხომალდებს ნებისმიერ დროს ჩაატარონ ჩხრეკა ამ სახელმწიფოების სამოქალაქო გემებზე.

მაგრამ არსებობს ნორმები, რომელთა გადახვევა ურთიერთ-შეთანხმებითაც არ შეიძლება, რადგან მათ მიერ დადგენილი ქცევის წესი ყველა სახელმწიფოსათვის, მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის სასიცოცხლო, უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს. მაგ., გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო-ს) წესდებით, კანონგარეშეა გამოცხადებული ძალის ან ძალით მუქარის გამოყენება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მიმართ (მუხ.2/1). იურიდიულად ორი ან რამდენიმე სახელმწიფო მოკლებულია უფლებას, ურთიერთშეთანხმებით უარყოს ეს პრინციპი და ხელშეკრულებით აღიაროს დავის შეიარაღებული ძალით გადაჭრის უფლება. ასეთ ნორმას (პრინციპს) იმპერატიული ხასიათი აქვს. იმპერატიული ნორმები გვხვდება ზემოხსენებული იერარქიის პირველ სამ საფეხურზე. პირველ რიგში, ეს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებია (იხ. თავი IV). რაც უფრო ქვევით ჩავდივართ, მით უფრო მეტ იმპერატიულ ნორმას ვხვდებით, რაც ბუნებრივია მეორე და მესამე საფეხურზე არსებულ ნორმათა სიმრავლის გამოა.

ჯერჯერობით არ არსებობს საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რომელი ნორმა მიეკუთვნება იმპერატიულს. ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ახდენს მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას: ხელშეკრულება, რომელიც გადაუხვევს იმპერატიულ ნორმას (jus cogens), ბათილად ჩაითვლება; იმპერატიულად ჩაითვლება ნორმა, რომელიც შექმნილია და აღიარებული იმპერატიულად სახელმწიფოთა საერთაშორისო მთელი თანამეგობრობის მიერ.

ამიტომ იმპერატიულ ნორმებად ამ საფეხურზე აღიარებენ ისეთ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც განამტკიცებენ სა-

ერთაშორისო მართლწესრიგის საფუძვლებს, ცივილიზაციის დღევანდელი საფეხურის ყველაზე უმნიშვნელოვანეს მორალურ ფასეულობებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის შემდგომი განვითარება. მომდევნო თავებში ჩვენ უფრო კონკრეტულად შეეხებით ასეთ ნორმებს.

## 2. საერთაშორისო სამართლის სოციალური ბუნება

იბადება კითხვა: თუ საერთაშორისო სამართალი სამართლებრივი ფენომენია, რა არის მისი ეკონომიკური ბაზისი, რომლის მიმართაც იგი სამსახურებრივ როლს ასრულებს?

საერთაშორისო სამართალს, რომელიც მონათმფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სამყაროს ემსახურებოდა, ეკონომიკურ ბაზისად ედო ყოველი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი საწარმოო ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი ორ საფეხურიან ხასიათს ატარებდა – ყოველ სახელმწიფოში გაბატონებული ბაზისი განაპირობებდა კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელ საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს. უკანასკნელთა შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი ისეთივე მატერიალური ძალის მქონენი იყვნენ, როგორც სახელმწიფოების შიგნით გაბატონებული საწარმოო ურთიერთობები. რასაკვირველია, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი ფართოვდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა, უფრო და უფრო ბევრ ქვეყანას ახვევდა ქსელში, რაც განაპირობებდა მთელი პოლიტიკური და იურიდიული ზედნაშენის ხასიათს.

ამგვარად შეიძლება ვილაპარაკოთ მონათმფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საერთაშორისო სამართალზე, აგრეთვე ე.წ. „სოციალისტური“ და „კაპიტალისტური“ სახელმწიფოების თანაარსებობის პერიოდისათვის დამახასიათებელ საერთაშორისო სამართალზე.

ისტორიული განვითარების დიალექტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიულად კლასები ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროს და აგრეთვე ამ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, პირველ ხანებში გამოდიან საერთაშორისო ასპარეზზე პროგრესული იდეალებით, რომლებშიც ანარეკლს

პოულობს წინა ეპოქებში გაბატონებული პრაქტიკა და იდეოლოგია, კაცობრიობის განვითარების ის გამოცდილება, რომელიც შეესატყვისებოდა ახალი კლასის ინტერესებს. ეს იდეა-პრინციპები, გატარებული ახალი კლასის მართლშეგნების ფილტრში, და ეს იდეა-პრინციპები, რომლებსაც წარმოშობდა ამ კლასის მატერიალური არსებობის ფაქტორები, თანდათანობით პოულობენ აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით, საერთაშორისო სამართალში, რაც კაცობრიობის პროგრესული განვითარების კანონზომიერებითაა განპირობებული.

მაგრამ ახალი, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების, დამკვიდრების პროცესი, როგორც წესი, ჩამორჩება პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნებას, რომლის მედროშენი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სახელმწიფოები არიან. მხოლოდ კომპრომისები და ურთიერთდათმობა საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად მონაწილეთა მხრიდან გამოიხატებოდა საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებში. რასაკვირველია მრავალი ნორმა ძალის პოლიტიკის შედეგი იყო, რაც გარდაუვალია ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში.

ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციიდან შემდგომ ფორმაციაზე გადასვლის პერიოდში იმ დროისათვის პროგრესული სახელმწიფოები ებრძვიან წინა ფორმაციის პოლიტიკურ ძალებს და ძალით ამყარებენ მათთვის სასურველ საერთაშორისო მართლწესრიგს. სწორედ ასე იქცეოდა საფრანგეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფო XVIII საუკუნეში. საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ჩამოყალიბებულიყო ყოვლის მომცველი ბურჟუაზიული სამართალი, რომელიც ინარჩუნებდა ბურჟუაზიასა და ფეოდალებს შორის მიღწეული კომპრომისის ზოგიერთ შედეგს. დიდი ფეოდალური სახელმწიფოები მძიმედ იხეთქნენ უკან, იბრძოდნენ არსებული ნორმების ხელშეუხებლობისათვის. მაგრამ ახალი, პროგრესული იდეოლოგია და სამართლებრივი პრინციპების ძალა ისეთი ულმობელი იყო, რომ მათი აღიარება, თუნდაც ფორმალურად, აუცილებელი გახდა. შემდგომ, როდესაც ამ ქვეყნებში (რუსეთი, პრუსია, ავსტრია) ბურჟუაზიული ელემენტები გაბატონებულ ფაქტორად იქცა, ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის კლასობრივი არსი შედარებით ერთგვაროვანი გახდა.

პირველ საფეხურზე ბურჟუაზიული იდეოლოგები, იყენებდნენ რა ბუნებითი სამართლის იმპერატივებს

სახელმწიფოთა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების შეფასებისათვის, აღიარებდნენ აგრეთვე სახელმწიფოთა თანხმობის როლს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის შექმნაში. ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ კი, სახელმწიფოს თანხმობა ამა თუ იმ ნორმის სავალდებულობაზე აუცილებელი ხდება „ცივილიზებული სახელმწიფოების საყოველთაო თანხმობის ძალით“. ნაგულისხმები იყო, რომ არსებული, ე.ი. XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართალი, მისი ძირითადი პრინციპები დამყარდა „ცივილიზებული ქვეყნების“ საერთო თანხმობით. მართლაც საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები იქმნებოდა ძირითადად დიდი სახელმწიფოების მიერ (რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, ჰოლანდია. აშშ, პრუსია, ავსტრია), რომლებიც არ ცნობდნენ არც ერთ ქვეყნით წესს, რომელზედაც მათ არ მიუციათ თანხმობა. შეიქმნა „ხალხთა ევროპული საზოგადოება“, რომელშიც შესვლა ყოველი ახალი სახელმწიფოსათვის დამოკიდებული იყო ამ საზოგადოების წევრების საყოველთაო თანხმობაზე, პირველ რიგში დიდი სახელმწიფოების ნება-სურვილზე, რომლებიც თავს ახვევდნენ ახალ წევრს არსებულ საერთაშორისო სამართალს. მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობდა ახალი წევრი „თანასწორუფლებიანი სუბიექტის“ სტატუსს და უფლებამოსილი იყო უარეყო არასასურველი ქვეყნით წესი, რომელიც ფორმირების პროცესში იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის საერთაშორისო სამართალი მხოლოდ „ცივილიზებული სახელმწიფოებით“ შემოიფარგლებოდა (კოლონიური ქვეყნები გამორიცხული იყო ამ საზოგადოებიდან და მათ მიმართ მხოლოდ „ჰუმანურობის“, „მოწყალების“ ნორმები მოქმედებდა) და ეიწრო კლასობრივ ხასიათს ატარებდა (არსებული დემოკრატიული პრინციპები და ნორმები ხშირად არარაობად იქცეოდა ძლიერი და სუსტი „ცივილიზებული“ სახელმწიფოების ურთიერთობაში, დაშვებული იყო სახელმწიფოს დაპყრობა, დაცის გადაწყვეტა ომის საშუალებით და ა.შ.), ბურჟუაზიულ საერთაშორისო სამართალს ზოგადსაკაცობრიო ხასიათი ჰქონდა და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან სოციალურ ფასეულობას წარმოადგენდა.

სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის მორალურ და იურიდიულ საფუძველს. ამიტომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერება თითქმის ერთსულოვნად აღიარებდა, რომ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმათა გარკვეული ნაწილი ხელუხლებელი იყო ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან, ამასთან ამ ნორმების მიერ დადგენილი ქცევითი წესის შეცვლა შეუძლებელი იყო თუნდაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებით (ხელშეკრულებით) დამოუკიდებლად მათი სურვილისა ეს ნორმები საყალდებულო იყო ყველა სახელმწიფოსათვის.

ფორმალურად საყოველთაოდ აღიარებული ნორმები ემყარებოდა სახელმწიფოების საყოველთაო თანხმობას, რომელთა საერთო ნებას უფრო მეტი ძალა ეძლეოდა, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოების ნებას. ასეთ პრინციპს მიეკუთვნებოდა სახელმწიფოების სუვერენული თანასწორუფლებიანობა, ყოველი სახელმწიფოს უფლება, არ ეცნო ნებისმიერი ახალი ნორმის საყალდებულობა, თუკი ის არ შედიოდა ისეთი ნორმების ჯგუფში, რომელთა დარღვევა ან შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნიდა არსებული მართლწესრიგის ყველაზე სასიცოცხლო საფუძვლებს. სხვა საკითხია, რომ ასეთი პრინციპები და ნორმები ძალზე ცოტა იყო და სახელმწიფოს სახელშეკრულებო ნების თავისუფლება თითქმის შეუზღუდავი იყო. „თითქმის", მაგრამ არა უსაზღვროდ. ფორმალურად არავის ჰქონდა უფლება თავს დასხმოდა სხვა სახელმწიფოს, თუ მას ამისათვის რაიმე იურიდიული გამართლება არ ჰქონდა მსხვერპლის „ბრალის" შესახებ; არავის ჰქონდა უფლება სხვა სახელმწიფოს (რასაკვირველია „ცივილიზებულის") ტერიტორიის დაპყრობისას უმოწყალოდ გაენადგურებინა ადგილობრივი მოსახლეობა ან საერთოდ ჩაედინა ქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ხალხთა შორის ჩამოყალიბებულ ჩვეულებებს, მოწყალების კანონებს, საზოგადოებრივი შეგნების და კაცთმოყვარეობის მოთხოვნებს, ცივილიზაციის იმპერატივებს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა „ცივილიზებული ხალხებით" შემოფარგლული სახელმწიფოთა საზოგადოება, რომელთა საერთო ნებამ შექმნა რიგი ძირითადი სტანდარტები, რომლებიც საყალდებულო იყო საზოგადოების ყველა წევრისათვის.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისთანავე ხაზი გაუსვა არსებული საერთაშორისო სამართლის დემოკრატიული პრინციპების და ნორმების მნიშვნელობას და აღიარა მათი იურიდიული ძალა, პირველ რიგში სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობა, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ომის ჰუმანური კანონები და ჩვეულებანი, დიპლომატიური სამართლის საყუძვლები, ღია ზღვის თავისუფლების ყველა კომპონენტი და ა.შ.

ამავე დროს საბჭოთა სახელმწიფომ უარყო ყველა ის ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა „დემოკრატიის ელემენტარულ ცნებას". (მაგ. კოლონიალიზმს). იგი აქტიურად ეურდნობოდა „ციველიზებული ს'ხოგადოების" საერთაშორისო სამართლის პროგრესულ საწყისებს.

მაგრამ აქ, ისევე როგორც ისტორიული პროცესის სხვა ეტაპებზე, ახალად შექმნილ სახელმწიფოში გაბატონებული პოლიტიკური ძალების ლოზუნგები და რეალური საქმეები ნაკლებად ემთხვეოდა ერთმანეთს.

პარადოქსულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, მიუხედავად მისი აშკარად დამთრგუნველი და ეიწრო კლასობრივი ხასიათისა, საერთაშორისო ასპარეზზე გამოდიოდა ძალზე პროგრესული ინიციატივით, რამაც მოკლე ხანში მოუპოვა მას საერთაშორისო აღიარება, განსაკუთრებით კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა შორის.

ობიექტურად საბჭოთა კავშირის არსებობამ ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართლის შემდგომ ჰუმანიზაციას და დემოკრატიზაციას, კოლონიალიზმის სისტემის დაშლას, თუმცა ყველაფერი ეს მიმდინარეობდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ზეგაელენის სფეროების განაწილებისათვის გაჩაღებული ბრძოლის პირობებში. „ცივი ომის" ნიშნის ქვეშ.

საერთაშორისო ურთიერთობები ძალზე იდეოლოგიზირებულ სფეროდ იქცა, ბრძოლა ორ იდეოლოგიას შორის, რომელთაგან ერთი, ე.წ. სოციალისტური, მარქსისტ-ლენინური ერთი შეხედვით საკაცობრიო ღირებულებების დამცველის როლში გამოდიოდა, თუმცა ქვეყნის შიგნით ანუ სსრ კავშირის ფარგლებსა და დამონებული სხვა „სოციალისტურ სახელმწიფოებში", ადამიანის უფლებათა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების აშკარა იგნორირებას ახდენდა.

1980-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „პერესტროიკის“ პროცესმა, მიუხედავად მრავალი შეცდომისა, რადიკალური ცვლილებები შეიტანა საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკაში. ზოგად საკაცობრიო ფასეულობად აღიარებული ადამიანის უფლებები ჭეშმარიტად დაედო საფუძვლად საერთაშორისო სამართალს; გერმანიის გაერთიანების, აღმოსაველეთ ევროპის ქვეყნების რეალური განთავისუფლების, აღლანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანისა და განიარაღების სფეროში რადიკალური შეთანხმების მიღწევის შემდეგ, „ცივი ომის“ ხანა ისტორიას ჩაბარდა. შეიქმნა სულ სხვა პოლიტიკური კლიმატი, ფორმალურად არსებული პრინციპები რეალურ სამართლად იქცნენ.

**თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა პროგრესული კაცობრიობის ერთიანი მართლშეგნება, რომელმაც შეიმუშავა ნორმების კომპლექსი სავალდებულო საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის. მრავალი მათგანი დღეს საერთაშორისო სამართლის შემადგენელ ნაწილად იქცა, ნაწილი კი ჯერჯერობით კვლავ პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნების სფეროს მიეკუთვნება და იურიდიულად სავალდებულო ძალას მოკლებულია.**

მორალური პრინციპები, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართალში, ამ სამართლებრივი სისტემის მორალურ საფუძველს წარმოადგენს. ამავე დროს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი შეიცავს მრავალ ისეთ ნორმას, რომლებიც უფრო რიგით ან წმინდა ტექნიკურ საკითხებს არეგულირებენ. მაგრამ მათაც სოციალური ფასეულობა გააჩნიათ, რადგან მიმართულნი არიან სახელმწიფოთა საზოგადოების ჩარჩოებში წესრიგისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის.

ამგვარად, **დღეისათვის საყოველთაო საერთაშორისო სამართალში განმტკიცებულია ყველაფერი საუკეთესო, რაც მოგვცა კაცობრიობის ისტორიულმა განვითარებამ. იგი გვეელინება იმ პრინციპებისა და ნორმების სისტემად, რომლებიც განამტკიცებენ სახელმწიფოების თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების მორალურ ფასეულობებს. ამ ფასეულობებს ზოგადდემოკრატიული ხასიათი აქვთ: ისინი ემსახურებიან სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნორმალურ ფუნქციონირებას, ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად მისი**

სოციალურ-პოლიტიკური წყობისა, კეთილმეზობლური და მშვიდობაინი თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

დღეს საერთაშორისო ასპარეზზე არსებობს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფოები, რომელთა უმრავლესობა მშვიდობისა და თანამშრომლობის მსურველია. ამ სახელმწიფოთა რიცხვი თითქმის 200-ს აღწევს და ისინი პირნათლად ასრულებენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ქმნიან ახალ პროგრესულ ქცევის წესებს. ამით თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ძირფესვიანად განსხვავდება ადრინდელისაგან, როდესაც საერთაშორისო სამართალი არეგულირებდა ურთიერთობებს მხოლოდ „ცივილიზებულ“ (ე.ი. ევროპის და ამერიკის კაპიტალისტურ) ქვეყნებს შორის. კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნები „არაცივილიზებულ“ ქვეყნებს მიეკუთვნებოდნენ და მათ მიმართ აშკარა ძალდატანების გამოყენება კანონიერ აქტად ითვლებოდა.

დღეს საერთაშორისო სამართალი უარყოფს ასეთ დაყოფას, იგი ყოველი ერის თუ ხალხის თვითგამორკვევის უფლებას აღიარებს, განამტკიცებს მის მიერ მიღწეულ პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ჭეშმარიტად ყოველისმომცველ ხასიათს ატარებს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობანი მშვიდობიანი თანაარსებობის ობიექტური აუცილებლობის კანონს ემყარება. საერთაშორისო ურთიერთობანი დღეს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და ბრძოლის საშუალება და შედეგია. ამ ურთიერთობებს საფუძვლად უდევს საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ სახელმწიფოებში გაბატონებული საწარმოო ურთიერთობანი და მათი ზემოქმედებით შექმნილი მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთკავშირები, რომლებიც გაბატონებული პოლიტიკური ძალების ნებასურვილს განსაზღვრავენ. მაგრამ ეს რთული ეკონომიკური ბაზისი როდი არის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა. მის ნიადაგზე აღმოცენდა მრავალი მეორადი პოლიტიკური ფაქტორი-ყოველ სახელმწიფოში გაბატონებული პოლიტიკური ჯგუფების პოლიტიკური ძალა, მათ შორის ბრძოლის თანაფარდობა, ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლევამოსილება, საერთაშორისო არენაზე პოლიტიკურ ძალთა განლაგება, მსოფლიო საზოგადოების აზრის როლი და ა.შ.

ყველაფერი ეს განსაზღვრავს ცალკეულ სახელმწიფოებში გაბატონებული პოლიტიკური ძალის ნებას, მიმართულს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე სასიცოცხლო (პირველ რიგში ამ ჯგუფებისათვის) ინტერესების დაცვაზე. თავისი საგარეო პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციისას, ყოველი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოების ინტერესს ეჯახება. ეს ინტერესები შეიძლება დიამეტრულად საპირისპირო იყოს, შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს ან განსხვავდებოდეს დეტალებში, მაგრამ საერთო მიზნისაკენ მიისწრაფოდნენ.

ყველა ამ შემთხვევაში მხარეთა კომპრომისია საჭირო, რომლის შედეგადაც ხშირად წარმოიქმნება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა.

თანამდროვე მსოფლიო ეკონომიკა და მის ნიადაგზე აღმოცენებული პოლიტიკური, სავაჭრო, კულტურული და სხვა ურთიერთობანი ყოველდღიურად ვითარდება და ფართოვდება. მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილე ქვეყნები, მათი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო უკავშირდებიან ერთმანეთს, რაც დედამიწას ერთიან მსოფლიო ეკონომიკურ სისტემად აქცევს. ამავე დროს, მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ წარმოშვა ომის საშუალებათა ისეთი სახეები, რომელიც კაცობრიობას სრული განადგურებით ემუქრებიან. ბირთვული და სხვა მსგავსი იარაღის გამოყენებამ უშიშროების საკითხი გლობალურ პრობლემად აქცია, ყველა ქვეყნის უსაფრთხოება ერთმანეთს დაუკავშირა და ერთი ჯაჭვით გადააბა. გლობალიზაციის ეს პროცესი ობიექტური აუცილებლობაა ანუ შეუძლებელია ამ პროცესის უკუქცევა როგორი ერთსულოვნებაც არ უნდა სუფევდეს სახელმწიფოთა შორის.

საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ქვეყანა არ თითქმის ყველა სახელმწიფოს საერთო ურთიერთშეთანხმებული ნება-სურვილი საფუძვლად უდევს თანამედროვე საყოველთაო საერთაშორისო სამართალს. ეს საერთო ნება შედგება სუვერენული სახელმწიფოების ინდივიდუალური ნების ჯამიდან, რომლებიც მიზნად ისახავენ კონკრეტული ქცევის წესების, როგორც იურიდიულად სავალდებულო ნორმების დადგენასა და აღიარებას. ეს საერთო ნება გამოხატავს ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს, საერთო ინტერესს და სურვილს, შექმნან სტაბილური საერთაშორისო მართლწესრიგი.

ყოველი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა გამოხატავს მისი შემქმნელი სოციალური ჯგუფის ურთიერთშეთანხმებულ ნებას ა) შექმნას კონკრეტული ქცევის წესი და ბ) მიაკუთვნოს მას იურიდიულად სავალდებულო ძალა, ე.ი. მისი დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს ან მხარეებს მიეცემათ უფლება უპასუხონ სამართლის დამრღვევს საერთაშორისო სამართლით დაწესებული ზომებით, იძულებითი საშუალებების ჩათვლით.

ამდენად, საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმები, გამოხატავენ რა სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოების საერთო ნებას, გამოხატავენ ხელისუფლების მპყრობელი ძალების ნების გამომჟღავნების შედეგს – საერთაშორისო შეთანხმებას. მხოლოდ ამ წერტილში ხდება რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო ნების ურთიერთშეთანხმება, მათი შეერთება („მაგრამ არა შერწყმა"). ეს არ ნიშნავს რომ მმართველი პოლიტიკური ძალები უარს ამბობენ თავის საბოლოო ინტერესების მიღწევაზე. აქ ხდება ყველა სახელმწიფოსათვის საჭირო და აუცილებული ქცევის დადგენა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ყოველი სოციალური სისტემის წარმომადგენლებს, ამ პერიოდისათვის შესაბამისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელება სხვა სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით.

ამრიგად, **თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თავისი სოციალური ბუნებით, ზოგად-დემოკრატიული ხასიათისაა, ყოველი ნორმა მხოლოდ თანასწორუფლებიანი შეთანხმების შედეგი შეიძლება იყოს იქ, სადაც ყველა მხარის ნება სხვა ნებასთან თანასწორია. დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს დიქტატი სხვა სახელმწიფოთა მიმართ. სწორედ ამით აიხსნება საერთაშორისო სამართლის ზოგადდემოკრატიული ხასიათი.**

## *3. საერთაშორისო სამართლის წყაროები*

სამართლის თეორიის მიხედვით, „სამართლის წყაროს" ცნებას ორი ასპექტი გააჩნია – **წყარო მატერიალური გაგებით** და **წყარო იურიდიული გაგებით.**

**საერთაშორისო სამართლის წყარო მატერიალური გაგებით** ყველა ის **ფაქტორია,** რომელიც ჩვენ სულ ოთ განვიხილეთ – ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული საწარმოო ურთიერთობანი, მათ საფუძველზე წარმოშობილი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი, ამ ეკონომიკური ბაზისით განპირობებული პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ გაბატონებული კლასების, სოციალური ჯგუფების ნება-სურვილს, მათ საერთო ინტერესს, სურვილს, შექმნან კონკრეტული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა.

**საერთაშორისო სამართლის წყარო იურიდიული გაგებით ის სპეციფიკური ფორმაა, რომელშიც სახელმწიფოთა (ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა) შორის შეთანხმება ამა თუ იმ ქცევის წესის დადგენის შესახებ ღებულობს თავის ობიექტურ გამოხატულებას და სავალდებულო ხდება მხარეებისათვის.**

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ორ ძირითად წყაროს იცნობს. ესაა საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება.

**საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულება** დაუწერელი ქცევის წესია: იგი ყალიბდება სახელმწიფოთშორისი პრაქტიკის შედეგად, რომლებიც აღიარებენ ამ ქცევის წესის სავალდებულო ძალას დუმილით (იღებენ მას თაყვანით საგარეო პოლიტიკაში) ან ოფიციალური განცხადებით (მთავრობის დეკლარაცია, განცხადება და ა.შ.). სახელმწიფოთა ქცევის წესი საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმად რომ იქცეს, აუცილებელია გარკვეული პერიოდი (რამდენიმე თვე, წელი, ზოგჯერ საუკუნეებიც კი). რომლის განმავლობაში სახელმწიფოები ერთნაირად იყენებენ ამ ქცევის წესს ან არ აპროტესტებენ მის გამოყენებას საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში. დღეს ისეთი წესიც გვხდება, რომლისაც ნორმად ჩამოყალიბებისავის წამები დაჭირდა (ასე მოხდა მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირმა კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა, რომელიც სხვა სახელმწიფოების საჰაერო სივრცეს გადაუარა ეს არე კი მანამდე კონკრეტული სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ მყოფ სივრცედ ითვლებოდა),

მხოლოდ მას შემდეგ, როცა სახელმწიფოთა უმრავლესობა ან გარკვეული ჯგუფი აღიარებს ამ ქცევის წესს თავისთვის სავალდებულოდ, იგი იქცევა საერთაშორისო სამართლის წყაროდ, იმ პირობით, რომ ეს წესი არ ეწინააღმდეგება იმპერატიულ ნორმებს (იხილე პარაგრაფი 1) ამის გარდა

არსებობს კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც სახელმწიფოს "ფსიქოლოგიურ "მიდგომასთან არის დაკავშირებული–მას უნდა ჯეროდეს, რომ ეს წესი იურიდიულად სავალდებულო ხასიათს ატარებს. ამას უწოდებენ *opinio juris*. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს ამ მოთხოვნის ბუნდოვანებას და ამ კომპონენტის ზუსტად გამოყენების შეუძლებლობას.

ამგვარად, საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულება ეს არის ცალკეული სახელმწიფოების პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი ქცევის წესის გამოყენების შეჯამებაზე დაფუძნებული ნორმა, რომელიც გამოხატავს შეთანხმებას, ცნონ ესა თუ ის ნორმა იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესად. ეს ნორმა მხოლოდ იმათთვისაა სავალდებულო, ვინც მას ცნობს. სახელმწიფოს, რომელიც ასეთი ნორმის სავალდებულო ძალას არ აღიარებს და არც იყენებენ მას თავის საგარეო პოლიტიკაში, არ შეიძლება თავს მოეხვიოს ეს ქცევის წესი. თუკი მას ამკრძალავი ხასიათი არა აქვს. (იხ. პარაგ. I).

ჩვეულებითი ნორმა, აღიარებული ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს და მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ფასეულობას განამტკიცებს.

საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმა, რომელიც ყველა (ან უმრავლესი) სახელმწიფოს მიერაა მიღებული, „საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად" ითვლება. სხვა ნორმები უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფის ფარგლებში მოქმედებს. მაგრამ ლოკალური საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულებითი ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ჩვეულებით და სახელშეკრულებო იმპერატიულ ნორმებს, რომელთა შეცვლა ცალკეულ სახელმწიფოებს ურთიერთშეთანხმებითაც კი არ შეუძლიათ.

**საერთაშორისო ხელშეკრულება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთი ძირითადი წყაროა,** რადგანაც მხოლოდ დაწერილი, მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე შექმნილი ნორმა ქმნის სტაბილურ, მყარ ქცევის წესს, საერთაშორისო ხელშეკრულებანი თანდათან უფრო ყართო გამოყენებას პოულობენ საყოველთაოდ აღიარებული ჩვეულებითი ნორმების კოდიფიკაციის საქმეში. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ძირითადად სახელშეკრულებო სამართლის სახეს იღებს.

ამიტომაა, რომ დღეს ესოდენ დიდი ყურადღება ექცევა სახელშეკრულებო სამართალს – იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა იურიდიულ ბუნებას, სახეებს, დადების წესებს, სტრუქტურას, მათი ძალაში შესვლის ვადებს და ა.შ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადდა კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც შევიდა ძალაში 1980 წელს, რითაც საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი დარგის მომწესრიგებელი ჩვეულებითი ნორმები კონვენციური ნორმებით შეიცვალა. დაწვრილებით საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ საუბარი გვექნება V თავში.

***სამართლის ზოგადი პრინციპები.*** ფორმულა „ცივილიზებული ხალხების სამართლის ზოგადი პრინციპები", რომელიც 1920-იან წლებში შემოვიდა ხმარებაში (საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის სტატუსის 38-ე მუხლი), თავდაპირველად განიხილებოდა როგორც კაპიტალისტური სახელმწიფოს შინა სამართალში მოქმედი მსგავსი სამართლებრივი საწყისები.

1945 წელს, გაერო-ს წესდების შემუშავებისას, საერთაშორისო სასამართლოს სტატუსში, რომელიც ძირითადად იმეორებდა მუდმივი პალატის დებულებებს, შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი შესწორება – ამიერიდან სასამართლოს სადავო საკითხი მხოლოდ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაეწყვიტა. გამოდიოდა, რომ საეროაშორისო სასამართლოს შეეძლო განეხილა დავები საეროაშორისო სამართლის ნორმების – საერთაშორისო ხელშეკრულებების, საერთაშორისო ჩვეულებების, ცივილიზებულ ხალხებს შორის მოქმედი საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების გამოყენებით. ზოგიერთი მეცნიერი ამ ტერმინში მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ხედავს; სხვანი სხვადასხვა შიდასახელმწიფოებრივ სამართალში საერთო პრინციპებს ეძებს.

სოციალისტური სამართლებრივი სისტემის არსებობისას სამართლის ზოგად პრინციპებად მხოლოდ ის იურიდიული პოსტულატები, ლოგიკის წესები ცხადდებოდა, რომლებსაც იყენებენ ყველა ქვეყნის სასამართლოები და რომლებიც გამოსადეგია საერთაშორისო სამართალშიც. ასეთებია: „სპეციალური კანონი აუქმებს ზოგად კანონს", „მომდევნო კანონი

აუქმებს წინას", „არაეის არ შეუძლია გადასცეს სხვას მეტი უფლება, ვიდრე თვით მას გააჩნია" და ა.შ.

თვით საერთაშორისო სამართალი სწორედ ამ პრინციპებს იყენებს, „სამართლის ზოგადი პრინციპები" ძირითადად იურიდიული ტექნიკის სფეროს მიეკუთვნება და მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობას შეიძლება დაუკავშირდეს, რასაც საერთაშორისო სამართლის ფუნქციონირებაში ძალზე პატარა ადგილი უჭირავს.

საერთაშორისო სამართალი იცნობს ე.წ. **„დამხმარე წყაროებსაც"**, ასეთი სახის წყაროები უშუალოდ არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს, მაგრამ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბების პროცესზე აღვნიშნოთ მათგან ძირითადი:

***შიდასახელმწიფოებრივი კანონი.*** ასეთი კანონი თავისთავად არ შეიძლება იყოს საერთაშორისო სამართლის წყარო, მაგრამ, თუ სხვა სახელმწიფოები აღიარებენ ამ ქცევის წესს, იგი შეიძლება გადაიქცეს საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების ძალით.[1]

***საერთაშორისო ორგანიზაციის დადგენილებანი.*** თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებს, თუმცა თავისთავად, შიდასახელმწიფოებრივი კანონების მსგავსად, ისინი არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის წყაროს. ასეთი ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი მიიღება არსებული წესდების შესაბამისად და ვრცელდება მხოლოდ ორგანიზაციის წევრებზე. ძირითადად ეს აქტები სამართლის ნორმის გამოყენების,[2] ან საერთაშორისო

---

[1] ასე მაგ. აშშ-ს პრეზიდენტის 1945 წლის დეკლარაცია კონტინენტური შელფის შესახებ ჯერ ჩვეულებით ნორმად იქცა, ხოლო 1958 წლიდან კონვენციით იყო განმტკიცებული.

[2] მაგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობათა გაწყვეტის შესახებ (1969-1966 წწ.), უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი კვიპროსის პრობლემის მოსაწესრიგებლად (1964-1965 წწ.) და სხვ.

სამართალში უკვე დაკანონებული, ან ახალი პრინციპებისა და ნორმების დეკლარირების ხასიათს ატარებენ[3].

პირველი სახის აქტები საყალდებულოა მხარეთათვის იმდენად, რამდენადაც ისინი დამფუძნებელი ხელშეკრულებების (მაგ. გაერო-ს წესდება) შესაბამისადაა მიღებული, ხოლო ამ ხელშეკრულების ძალით წევრ-სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება დაემორჩილონ ამ ორგანიზაციის ორგანოების გადაწყვეტილებებს, მიმართულს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისაკენ[4]. ასეთი სახის გადაწყვეტილება არ ქმნის ახალ სამართლებრივ ნორმას, არამედ მიმართულია უკვე არსებული ნორმის რეალიზაციისაკენ, მის მიერ ფორმულირებული ქცევის წესის შესრულების უზრუნველყოფისაკენ[5]. თუ ასეთი პირობა დამფუძნებელ ხელშეკრულებაში შეტანილი არ არის, მის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ძირითადად რეკომენდაციების სახეს ატარებენ და ისინი მორალურ-პოლიტიკურ ზემოქმედების ძალას უფრო ეკრდნობიან.

აქტები, რომლებიც უკვე არსებული ან ახალი ნორმების დეკლარირებას ახდენს, სამართლის წყაროდ ფორმირების გზაზე დგას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურია ამ პროცესისა, რომლის საბოლოო წერტილი მაინც ან საერთაშორისო ხელშეკრულება, ან საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულებაა. ამ აქტებში ფორმულირებული ახალი ნორმები და პრინციპები საყოველთაოდ აღიარებულად რომ იქცნენ, უნდა მიიღონ ან საერთაშორისო ხელშეკრულების, ან ჩვეულების სახე.[6]

---

[3] იხ. გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" (1948 წ.), რეზოლუცია ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ ((947 წ.), რეზოლუცია აფრიკის უატომო ზონად გამოცხადების შესახებ (1961 წ.).

[4] მაგალითად, გაერო-ს წესდების 25-ე მუხლის ძალით, ყოველმა წევრ-სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება „დაემორჩილოს უშიშროების საბჭოს დადგენილებებს და შეასრულოს ისინი".

[5] ასე მაგ., გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება უფლებას აძლევს უშიშროების საბჭოს, მოითხოვოს მოდავე მხარეებისაგან დაეის მშვიდობიანი გადაწყვეტა, ხოლო ურჩი წევრის მიმართ გამოიყენოს ძალა (დაწვრილებით ქვეით).

[6] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" (1948 წ.) მხოლოდ რეკომენდაცია იყო, მას მორალურ-პოლიტიკური

წევრ სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა მხოლოდ ის აქტები, რომლებიც ევრო საუწყებო ხასიათს ატარებენ. მხედველობაში გვაქვს გადაწყვეტილებები. რომლებიც ორგანიზაციულ და ფინანსურ სფეროს ეხებიან. ეს ეგრეთწოდებული „საერთაშორისო ორგანიზაციების შიდა სამართალია“.[7]

ამგვარად, საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ქცევის წესებს შეიცავენ, ძირითადში რეკომენდაციის სახეს ატარებენ და წარმოადგენენ სამართლის წყაროს ნაირსახეობას. მაგრამ თუ ეს აქტები პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნებას, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს შეესაბამებიან, მათ უაღრესად დიდი ზემოქმედებითი მორალურ-პოლიტიკური ძალა აქვთ, რაც მნიშვნელოვნად აახლოებს ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების საბოლოო დამკვიდრებას. (იხ. ქვევით).

***სასამართლო პრეცედენტები და მეცნიერთა შრომები,*** დასკვნები, გამოკვლევანი მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმათა არსებობის დადგენის „დამხმარე საშუალებაა“, რასაც იყენებენ საერთაშორისო ორგანოები და სახელმწიფოები დავების გადაწყვეტის დროს.

აღსანიშნავია გაეროს საერთაშორისო მართმსაჯულების სასამართლოს (გაეროს საერთაშორისო სასამართლო) სტატუტის (წესდების) 38–ე მუხლი განსაზღვრავს იმ საერთშორისო სამართლის წყაროებს, რომლებსაც იყენებს საქმის განხილვისას (დაწვრილებით იხ. თავი VI, საერთაშორისო სასამართლო).

---

ხასიათი ჰქონდა. 1966 წ. გენერალურმა ასამბლეამ მიიღო პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ – რომლებიც ავითარებენ აღნიშნულ დეკლარაციაში მოცემულ საკითხებს და იურიდიულად ავალდებულებენ წევრ სახელმწიფოებს დაიცვან ადამიანის უფლებები. ორიეე პაქტი შეიდა ძალაში 1976 წელს, მას შემდეგ, რაც წევრ-სახელმწიფოთა სათანადო რაოდენობამ მოაწერა ხელი და რატიფიკაცია მოახდინა ან მოგვიანებით შეუერთდა მათ.

[7] გაერო-ს გენერალური ასამბლეა აღგენს თავისი მუშაობის პროცედურის წესებს (მუხ. 21). ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით იღებს ორგანიზაციაში ახალ წევრებს (მუხ. 41), რიცხავს ორგანიზაციის ურჩ წევრებს.

# თავი II
## საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართალი, ისევე როგორც შიდასახელმწიფოებრივი, დამოუკიდებელ სამართლებრივ სისტემას წარმოადგენს. მაგრამ ეს რომ ნიშნავს, რომ ამ ორ სისტემას შორის უფსკრულია და ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულ იურიდიულ ზედნაშენად გვევლინებიან. პირიქით, რაც უფრო ვითარდება და მჭიდროვდება საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობანი, სულ უფრო ქმედითი და ძლიერი ხდება ამ ორი სამართლებრივი სისტემის ურთიერთზემოქმედება.

საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები იქმნება ყოველი სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის ზეგავლენით, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ამოცანებს. ამგვარად, შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ პოზიციას და საერთაშორისო სამართლის ფორმირების და ფუნქციონირების მთელ პროცესს.

ამავე დროს, საერთაშორისო სამართალი, გვევლინება სხვადასხვა სახელმწიფოების, სხვადასხვა სოციალური სისტემების წარმომადგენელთა ნების გამომჟღავნების ობიექტურ ფორმად. ამასთან აქტიურად ზემოქმედებს ყველა სუბიექტის საშინაო პოლიტიკაზე და, პირველ რიგში, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესზე.

[ორიენ]ე სამართლებრივი სისტემა კონკრეტული სახელმწიფოს ნების გამომჟღავნების ნაყოფია. ამდენად, მოცემული სახელმწიფოსათვის, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა მის ნებას გამოხატავს იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და იურიდიულად სწორუფლებიანი პოლიტიკური ძალების ურთიერთშეთანხმებაა, რამდენიმე სახელმწიფოს საერთო ნება-სურვილია, ე.ი. ამ სახელმწიფოების პოზიციებს შორის მიღწეული კომპრომისია. თუ როგორ იმოქმედებს კონკრეტული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით,

დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაზე, რაც უფრო პროგრესულია იგი, მით უფრო თანმიმდევრული და პროგრესული იქნება მისი რეალიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის შიგნით.

კაცობრიობის ისტორიის პროცესში ახალი პროგრესული საზოგადოებები ყოველთვის დიდ ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო სამართლის შემდგომ დემოკრატიზაციაზე. ამ მხრივ უდიდეს როლს ასრულებს მათი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პრაქტიკა. ცნობილია, თუ რა დიდი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართალზე საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კანონმდებლობამ.

აღსანიშნავია საბჭოთა სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ზემოქმედება საერთაშორისო სამართალზე. საყოველთაოდ არის აღიარებული ფაქტი, რომ სსრკ კონსტიტუციურმა პრაქტიკამ, სხვა „სოციალისტური“ სახელმწიფოების სამართალმა დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო სამართლის დემოკრატიზაციის პროცესზე. სხვა საკითხია, რომ ქვეყანაში რეალურად სულ სხვა მოვლენები ხდებოდა. ამ პარადოქსალურ მოვლენაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ლაკონურად და იმპერატიულად მოითხოვს ყველა სახელმწიფოსაგან, მტკიცედ დაიცვან ნაკისრი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებანი და კრძალავს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამართლებას თავისი საშინაო სამართლის დებულებებზე მითითებით[8] ასეთი აქტი განიხილება, როგორც საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რომელიც ნორმის დამრღვევის საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოშობს.

ყველა სახელმწიფო უნდა აწარმოებდეს კანონშდებლობას და სამართალშემოქმედების სხვა სახეობას მის მიერ ნაკისრი საერ-თაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესაბამისად. ყოველი შიდასახელმწიფოებრივი ორგანო უნდა მოქმედებდეს არა მარტო არსებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმის მიხედვით, არამედ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ჩვეულების

---

[8] ვენის 1969 წ. კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ აცხადებს: „მონაწილეს არ შეუძლია მიუთითოს თავისი საშინაო სამართლის დებულებებს მის მიერ ხელშეკრულებების შეუსრულებლობის გამართლებისათვის...“ (მუხ. 27).

გათვალისწინებით, რომელიც აღიარებულია მოცემული სახელმწიფოს მიერ როგორც მისთვის სავალდებულო ქცევის წესი.

მეცნიერებაში ჩამოყალიბდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის სამი თეორია: აქედან ორი **მონისტური** ხასიათისაა, ე.ი. ორივე სამართალს ერთ სამართლებრივ სისტემაში ათავსებენ:

1. ა) XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში ჩამოყალიბდა თეორია, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრიმატს (უპირატესობას) ქადაგებდა. ამ თეორიის თანახმად საერთაშორისო სამართალი „საგარეო სახელმწიფოებრივ სამართლად“ ცხადდებოდა; რადგანაც ყოველ ნორმაში სახელმწიფო უფლებამოსილი იყო სურვილისამებრ დაერღვია საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა, როგორც შესაძლო იყო ეს საშინაო სამართლის ნორმის მიმართ.

ეს თეორია მოწოდებული იყო იურიდიულად დაესაბუთებინა გერმანული იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვები მსოფლიოს გადანაწილების მიზნით.

ბ) საერთაშორისო სამართლის შიდასახელმწიფოებრივზე პრიმატი ზოგიერთისთვის ნიშნავს საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ ნორმას, როგორც უფრო მაღლა მდგომი სამართლებრივი სისტემის ქცევის წესი.

2. ე.წ. **დუალისტური** თეორია ორივე სისტემის დამოუკიდებლობას აღიარებს, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მათი ურთიერთზეგავლენა. ამ თეორიის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი იურიდიული კონსტრუქციებით იზღუდება და უგულებელყოფს ამ რგოლის ფუნქციონირების სოციალურ მხარეს.

საერთაშორისო სამართალი ვალდებულებას აკისრებს მთელ სახელმწიფოს როგორც ერთიან სუბიექტს და მისთვის სულ ერთია ამ სახელმწიფოს რომელი ორგანო (საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი, ცენტრალური თუ ადგილობრივი) უზრუნველყოფს ამ ვალდებულების შესრულებას. საშინაო სამართლის თვალსაზრისით საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები სავალდებულოა არა მარტო სახელმწიფოებისათვის მთლიანად, არამედ ეროვნული სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოებისათვისაც. ამ შემთხვევაში საშინაო სამართალი მოწოდებულია დაეხმაროს ხელისუფლებას საერთაშორისო

ვალდებულებების ეფექტიან შესრულებაში, როგორც წმინდა სახელმწიფოთშორის ურთიერთობაში (ხელშეკრულება ურთიერთ დახმარების შესახებ, ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ, საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ და ა.შ.), ასევე ისეთ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელშიც ფიზიკური და იურიდიული პირები უნდა ჩაებან როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სუბიექტები. ამ შემთხვევაში ხშირად საჭიროა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ახალი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების შექმნა, ხოლო არსებულის – შექმნა ან გაუქმება, ან საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების უშუალოდ გამოყენება ქვეყნის შიგნით შიდასახელმწიფოებრივი სუბიექტების სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის. ურთიერთობანი, რომელთა მოწესრიგებისას საჭირო ხდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების მოშველიება, არც წმინდა სახის შიდასახელმწიფოებრივია და არც საერთაშორისო-სამართლებრივი, ისინი სპეციფიკური ურთიერთობებია, რომლებშიც ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირების გარდა მონაწილეობენ უცხო სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირები და ამ ურთიერთობებისათვის სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმია გათვალისწინებული.

საერთაშორისო სამართლის ნორმებს, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმებს, ყოფენ **„თვითშემსრულებელ“** და **„არათვითშემსრულებელ“** სამართლებრივ ქცევით წესებად. პირველი ტერმინი აღნიშნავს ნორმებს, რომლის შინაარსი ფორმულირებულია ისე, რომ სახელმწიფოს მიერ მათი იურიდიული ძალის აღიარების შემდეგ, შესაძლებელი ხდება მათი უშუალო გამოყენება სასამართლოების და სხვა ორგანოების მიერ, თუ ამას შიდასახელმწიფოებრივი კანონი ითვალისწინებს.[9]

„არათვითშემსრულებელი“ ნორმების იმპლემენტაციისათვის საჭიროა ახალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის ან კონკრეტული ნორმის შექმნა.[10] პრაქტიკაში ხშირად

---

[9] მაგ. საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა მოქალაქეების სამართლებრივ რეჟიმს საოჯახო სამართლის სფეროში მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

[10] მაგ. საერთაშორისო პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.) ავალებს მონაწილე

საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეს ორი სახეობა დაიყვანება მხოლოდ ერთამდე – „არათვითშემსრულებელი“ ნორმის მცნებამდე, რაც გამოიყენება მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულების უგულვებელსაყოფად ან გამოშიგნისათვის ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულების პროცესს შიდასახელმწიფოებრივი ნორმების მეშვეობით ხშირად აღნიშნავენ ტერმინით **„ტრანსფორმაცია“.**

პირდაპირი ტრანსფორმაციის დროს ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტი იძენს კანონის ძალას. ამ აქტის სათანადო გამოქვეყნების შემდეგ ყველა სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანო მოვალეა გამოიყენოს იგი როგორც უზენაესი სამართლებრივი ნორმა.

არაპირდაპირი ტრანსფორმაციის დროს ხელშეკრულების დებულებანი იძენენ კანონის ძალას მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს სპეციალური აქტის გამოცემის შემდეგ.

ამ ტერმინოლოგიის მიხედვით, ხელშეკრულების გამოყენებისათვის ქვეყნის შიგნით მოქმედი სუბიექტების მიმართ, ყოველთვის საჭიროა ამ აქტის შიდასახელმწიფოებრივ ნორმად გადაქცევა. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია შეხედულება, რომელიც ხელშეკრულების იმპლანტაციის პროცესის საშუალებად ასახელებს მითითებასა და ინკორპორაციას.

**მითითებითი ნორმა** (ან ნორმები) ეროვნული სამართლის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას იყენებს საერთაშორისო სამართალს, რითაც უკანასკნელი ნორმები „წვდებიან“ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებს და შეეფარდებიან ამ ურთიერთობებს.

გვხვდება როგორც ზოგადი მითითება, რომელიც მთელ საერთაშორისო სამართალს გულისხმობს, ასევე მითითება, რომელიც ეროვნული სამართლის ნორმათა გარკვეულ ჯგუფს აკავშირებს საერთაშორისო სამართლის გარკვეულ ნაწილთან. პირველ სახეობას მიეკუთვნება მაგ. აშშ-ს კონსტიტუციის მე-2 გან-

---

სახელმწიფოებს იზრუნონ „ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებისათვის, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებების განხორციელებისათვის, თუ ეს უკვე არ არის გათვალისწინებული ამ სახელმწიფოს სამართლის ნორმებით“ (ნაწ. II, მუხ. 2/2).

ყოფილების მე-6 მუხლი: „ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია ან დაიდება შეერთებული შტატებით, წარმოადგენენ ქვეყნის უზენაეს სამართალს...“

მითითების მეორე სახეობად გვევლინება წესი, რომლის თანახმად უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სტატუსი მოცემულ სახელმწიფოში განისაზღვრება არა მარტო ადგილობრივი სამართლით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებით, თუკი ასეთი ეხება კონკრეტულ ურთიერთობას.

არსებობს აგრეთვე სპეციალური მითითება, რომელიც კონკრეტულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტზე მიგვანიშნებს, მაგ. კონკრეტულ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მთლიანად ან მის რომელიმე დებულებაზე.

არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში არ ხდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის ტრანსფორმაცია შიდასახელმწიფოებრივში, არამედ სასამართლოებსა და სხვა ორგანოებს ეძლევა უფლება გამოიყენონ საერთაშორისო სამართლის, ე.ი. სხვა სამართლებრივი სისტემის ნორმები კონკრეტულ არასამთავრობათშორისი სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოიყენება არა მარტო საერთაშორისო სამართლის ნორმები, არამედ უცხო სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებიც, თუკი ამას ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და არც ერთი მათგანი არ ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელ ნაწილად. აქ ხდება სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობების (ე.ი. სხვა სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობით) სპეციალური წესით მოწესრიგება.

საერთაშორისო სამართლის ნორმების იმპლანტაციის მეორე საშუალებად გვევლინება ინკორპორაცია, ე.ი. არსებული, ძალაში შესული ხელშეკრულების ან ალიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი წესების საფუძველზე ახალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების შექმნა, ან არსებულის შეცვლა, ან სრულიადაც გაუქმება. მაგ. ცნობის 1961 წლის კონვენციის საფუძველზე (დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ) 1966 წლის მაისში გამოქვეყნდა დებულება სსრკ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების შესახებ“, რომლითაც გაუქმდა შესაბამისი 1926 წლის დებულება და მთელი რიგი ახალი ნორმები დაწესდა (იხ. თავი IX).

სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს სამართლებრივი აქტი, რომელიც ტექსტუალურად იმეორებს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს (ინდივიდუალური ინკორპორაცია), ან შეუფარდოს უკვე არსებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები ხელშეკრულების დებულებათა შესრულების პროცესს (ადაპტაცია), ან მიიღოს აქტი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ფორმულირების კოპირების გარეშე (ლეგიტიმაცია). ახალი ნორმების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში ჩართვის ყველა ეს საშუალება ინკორპორაციის ფორმად გვევლინება.

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის ნორმების სავალდებულო ძალას თავის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ.

პირველ რიგში ეს ეხება სახელმწიფოს უზენაეს და სხვა ორგანოების საგარეო-პოლიტიკურ კომპეტენციას, ე.ი. თვით სახელმწიფო ადგენს რომელ ორგანოს და რა სახით შეუძლია ჩაებას საერთაშორისო ურთიერთობებში და იკისროს საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებანი. ამას, როგორც წესი, ქვეყნის კონსტიტუცია და სხვა კანონები განსაზღვრავენ.

შემდგომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი თვით განსაზღვრავს, რა სახით დაიცვანოს არსებული საერთაშორისო „სამართლებრივი ნორმებით“ გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებამდე.

ამ მხრივ სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა წესი არსებობს:

1. ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს აცხადებს ამ ქვეყნის სამართლის ნაწილად (აშშ, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია და სხვ.).

2. სახელმწიფოების მეორე ჯგუფის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებენ საერთაშორისო სამართალს საშინაო სამართლისაგან (ინგლისი, კანადა).

3. ზოგიერთი ქვეყანა აღიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პრიორიტეტს ეროვნულ სამართალზე (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, საბერძნეთი).

მაგრამ ყოველი ჯგუფის ქვეყნების საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა მეცნიერებს უფლება მისცა შემდეგ დასკვნამდე მისულიყვნენ:

1. იქ, სადაც აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების უშუალო ძალა, პრაქტიკა ქმნის მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომელთა მიზანია მაქსიმალურად შეზღუდონ საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედება ქვეყნის შიგნით სათანადო ფილტრაციის გარეშე:

ა) მოსთხოვენ ხელშეკრულების გამოქვეყნებას ქვეყნის ოფიციალურ გამოცემებში, რაც ხშირად არ კეთდება.[11]

ბ) ხშირად „არათვითშემსრულებელი ხელშეკრულების“ ცნება გამოიყენება იმისათვისაც, რათა შეზღუდონ კონკრეტული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტის უშუალო მოქმედების ძალა, სათანადო შიდასახელმწიფოებრივი აქტის ფილტრში გატარების გარეშე, ან საერთოდ უარი განაცხადონ მის გამოყენებაზე[12].

გ) დღემდე გაურკვეველია რა თანაფარდობაშია ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია სახელმწიფოს სახელით. და სხვადასხვა დონეზე შექმნილი ეროვნული სამართლის ნორმები. ხშირად საერთაშორისო ხელშეკრულებას აიგივებენ ჩვეულებრივ კანონთან და სასამართლოები არ იყენებენ მათ იმ მოტივით, რომ არ არსებობს ახალი კანონი, რომელიც აუქმებს მანამდე მოქმედ სახელშეკრულებო ნორმას,

---

[11] ასე მაგ. 1961 წლის 19 მაისს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ უარი განაცხადა, გამოეყენებინა საფრანგეთ-ეიეტნამის 1949 წ. სასამართლო კონვენცია, რომელიც საფრანგეთში იურიდიულ ძალაში შესვლის შემდეგაც არ იყო გამოქვეყნებული; იგივე გზას აღგას ბელგიისა და შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკა.

[12] ასე მაგ. საქმეში „აშშ ვარგასის წინააღმდეგ“ (1947 წ.) ამერიკულ ჯარში გაწვევისაგან თავის დაღწევის მოპასუხე ამართლებდა გაერო-ს 73-ე მუხლზე დაყრდნობით, რომელიც მოითხოვდა აშშ-საგან, როგორც არათვითმმართველი ტერიტორიისათვის (ამ შემთხვევაში პუერტო-რიკოს) პასუხისმგებელი ქვეყნისაგან, ამ ტერიტორიის მცხოვრებლების კეთილდღეობისათვის ზრუნვას. პუერტო-რიკოს საოლქო სასამართლომ უარყო ამ მუხლის ძალა იმ მოტივით, რომ იგი არის მხოლოდ „საერთო სტანდარტი ანუ მიზანი“, და მას არა აქვს თვითშემსრულებელი ძალა.

ე.ი. გამოიყენება პრინციპი: „მომდევნო კანონი აუქმებს მანამდე არსებულს“[13].

2. ინგლისის, კანადისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა უარყოფს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უშუალო მოქმედების ძალას, თუ ისინი არ არის ინკორპორირებული ეროვნული სამართლის სისტემაში კანონის ან სასამართლო პრეცენდენტის სახით, რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს აქ მოქმედებს შემდეგი დებულება: საერთაშორისო ხელშეკრულება თავისთავად ვერ იქცევა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმის ძალის მქონე ქცევით წესად, მანამ არ მოხდება მისი ინკორპორირება ეროვნულ სამართალში, რაც სპეციალური საიმპლემენტაციო აქტით ხორციელდება.

იმპლემენტაცია ხდება ერთ-ერთი წესის გამოყენებით: პარლამენტი გამოსცემს რამდენიმე კანონს, ან მათ დამატებას; გამოიცემა ერთი, ზოგადი კანონი, რომელშიც მოცემულია ხელშეკრულების ძირითადი დებულებები; პარლამენტი ახდენს ხელშეკრულების ინკორპორაციას მისი ტექსტის სამართლის სისტემაში ჩართვით.

იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმების იმპლემენტაცია, რომლებიც საუწყებაოშორისო ხასიათს ატარებენ, ხორციელდება იმ უწყებების მიერ, რომლებიც დებენ ამ საერთაშორისო აქტებს, ე.ი. ამ ორგანოებს შეუძლიათ შეცვალონ არსებული სამართლებრივი ნორმები დადებული შეთანხმებების შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, სხვა მდგომარეობაა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ დადებული ხელშეკრულებების

---

[13] ასე მაგ. 1962 წ. 10 აპრილს ტეხასის (აშშ) ერთ-ერთმა საოლქო სასამართლომ განაცხადა „თუ კონგრესი იღებს კანონებს, რომლებიც აშშ-ს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, იგი სცილდება თავისი კომპეტენციის საზღვრებს და სასამართლოებმა ისინი ბათილად უნდა გამოაცხადონ. როდესაც საკონსტიტუციო ორგანო ღებულობს კანონებს, რომლებიც საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგებიან, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ამ ორგანოს ის აქტი, რომელიც უკანასკნელი იყო გამოცემის დროის მიხედვით“.

აშშ-ში საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს „ქვეყნის უზენაეს სამართალს“ მხოლოდ ცალკეული შტატების სამართლისათვის, რადგანაც ყოველი ფედერალური კანონი ყველა შტატისათვის სავალდებულო არ არის.

შემთხვევაში, ე.ი. იქ, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება დამოუკიდებელია პარლამენტისაგან საერთაშორისო ხელშეკრულების დადების სფეროში. მაგრამ საკანონმდებლო ორგანო დგას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის „სიწმინდის“ სადარაჯოზე და კრძალავს მისი თანხმობის გარეშე საკანონმდებლო დონეზე რაიმე სიახლის შეტანას.

3. სახელმწიფოთა მესამე ჯგუფი (გფრ, იტალია, საბერძნეთი), როგორც ვნახეთ, აღიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრიორიტეტს ეროვნული სამართლის მიმართ.

ძირითადად ეს დებულება ვრცელდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ჩვეულებით ნორმებზე (პრინციპებზე).[14] რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ისინი ვერ თავსდებიან აღნიშნულ ფორმულაში და მათი მოქმედება ზემოაღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე გამორიცხულია სათანადო სპეციალური აქტის გარეშე[15].

პრაქტიკაში საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულებითი ნორმები ძალზე იშვიათად გამოიყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, მათი ზოგადი ხასიათის გამო. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნორმები, ამა თუ იმ სახით, ეროვნული სამართლის ნორმებშია ასახული, სასამართლოები ბედავენ მათ გამოქვეყნებას.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათი საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ

---

[14] მაგ. გფრ-ის „ძირითადი კანონის“ 25-ე მუხლის თანახმად, „საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები ფედერაციის სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი სარგებლობენ უპირატესობით კანონთა წინაშე და უშუალოდ წარმოშობენ გაფანტულ უფლებებსა და მოვალეობებს ფედერალური ტერიტორიის მცხოვრებლებისათვის“.

იტალიის კონსტიტუციის მე-10 მუხლი ადგენს: „იტალიის სამართლებრივი წესრიგი შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს“.

[15] იხ. საბერძნეთის 1975 წლის კონსტიტუცია: „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათი კანონით სანქციონირებისა და თვით ამ ხელშეკრულებების დებულებათა თანახმად, ძალაში შესვლის შემდეგ, წარმოადგენენ საბერძნეთის ეროვნული სამართლის ნაწილს და სარგებლობენ უპირატესობით კანონების წინაშე, რომლებიც მათ ეწინააღმდეგებიან“.

სახელმწიფოს მიეკუთვნებოდა ესა თუ ის სახელმწიფო განთავისუფლებამდე – ინგლისს, საფრანგეთს, ჰოლანდიას და ა.შ. ახალი სუვერენული სახელმწიფოები ერთხმად აღიარებენ ერთგულებას საერთაშორისო სამართლისადმი, მაგრამ განსხვავდებიან ამ ნორმების იურიდიული ძალის დონის გაგებით და იმპლემენტაციის უზრუნველყოფის საშუალებებით, რომლებიც ზემოთ განხილული სახელმწიფოების სამ ჯგუფამდე შეიძლება იყოს დაყვანილი.

საქართველოს დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობისადმი მკაფიოდ გამოხატულია ფორმულაში –**„საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.“** (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, 9 აპრილი 1991) კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ამის გარდა „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“ (მუხ. 7).

ასეთია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები. ამ პრობლემების სხვადასხვა ასპექტები ჩვენ შეგვხვდება ცალკეული დარგების განხილვისას.

# თავი III

# საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

## *1. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების ცნება*

***საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები*** – ყველაზე უფრო ზოგადი, უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებია. რომელიმე სახელმწიფოს მიერ წამოყენებული პრინციპები სხვა სახელმწიფოებისათვის სავალდებულო ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეს პრინციპები აღიარებული იქნება ამ სახელმწიფოების მიერ, ე.ი. იქცევიან საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებად, რომელთაც იურიდიული ძალა აქვთ.

ამგვარად, **საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები** იგივე საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებია, რომლებიც იქმნებიან საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულებების სახით, მაგრამ თავისი ხასიათით სხვა ნორმების მიმართ ისეთივე თანაფარდობაში არიან, როგორც კონსტიტუციური და ჩვეულებრივი კანონები. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივი ნორმები უნდა შეესაბამებოდეს მის ძირითად პრინციპებს. ის ნორმები, რომლებიც არ შეესაბამებიან „ძირითად პრინციპებს", მართლსაწინააღმდეგო აქტებია და ვერ წარმოშობენ იურიდიულ უფლება-მოვალეობებს.

ამ ძირითად პრინციპებში თავის გამოხატულებას პოულობს ის მთავარი მორალური ნორმები, რომლებიც პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნებამ შეიმუშავა.

საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებში ზოგჯერ ურევენ **„სახელმწიფოთა ძირითად უფლება-მოვალეობებს"**.

სახელმწიფოს ძირითადი უფლებები ის უფლებებია, რომლის გარეშე ვერ იარსებებს ვერც ერთი სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, ე.ი. როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი, ეს უფლებები მიენიჭა ყოველ ერს (ხალხს) პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისას. ენიჭება იგი არა რომელიმე ორგანიზაციის ან სახელმწიფოს მიერ, არამედ ავტომატურად.

კაცობრიობის ისტორიამ XVI-XVII სს. შეიმუშავა ისეთი მორალური ცნებები, როგორიცაა პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და ა.შ., რომლებიც მხოლოდ XVIII ს. დამლევიდან (ე.ი. ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებისას) იქცნენ სამართლის ნორმებად. დღეს მტკიცებას აღარ საჭიროებს, რომ პიროვნების პოლიტიკური და სხვა უფლება-თავისუფლებანი „ბუნებრივი უფლებებია", რომელთა გარეშე შეუძლებელია გონიერი ინდივიდუმის არსებობა, მოღვაწეობა. იგივე ითქმის სახელმწიფოს ძირითად უფლებებზე.

ბურჟუაზიამ გარდაქმნა ფეოდალური საერთაშორისო სამართალი რევოლუციურად განწყობილი კლასის ყაიდაზე და დაუდო მას საფუძვლად ახალი პრინციპები – სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა. ეს პრინციპები ცხადდებოდა ბუნებითი სამართლით ნაკარნახევ საწყისებად, „ცივილიზებული ქვეყნების მართლშეგნების ნაყოფად", რის გარეშე შეუძლებელი იყო „ქრისტიანული საზოგადოების" არსებობა.

აქვე აღსანიშნავია იმ დროისათვის პროგრესული თეორიის ვიწრო კლასობრივი ხასიათი, რაც, პირველ რიგში, კოლონიური ქვეყნების ჩაგვრის ფორმების ლეგალიზაციას ახდენდა, „ცივილიზებული ქვეყნების" სამყაროს გარეთ აქცევდა. სახელმწიფოთა ძირითადი უფლებები ითვლებოდა განუსხვისებლად და ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აუცილებელ თვისებად ცხადდებოდა.

როგორც აღინიშნა, 1917-1918 წლებში საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ რადიკალური ცვლილებები შეიტანა არსებულ საერთაშორისო სამართალში, რომელიც პროგრესულ პრინციპებთან ერთად ბევრ რეაქციულ საწყისებს შეიცავდა (ომის უფლება, დაპყრობის უფლება, კოლონიალიზმის ლეგალიზაცია და ა.შ.). მიუხედავად თვით საბჭოთა სისტემის მქონე სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის ანტიდემოკრატიული ხასიათისა, საერთაშორისო ასპარეზზე, ამ რეაქციული ნორმების წინააღმდეგ ბრძოლამ კაცობრიობის მართლშეგნებაში პროგრესული იდეები სწრაფად იდგამდნენ ფეხს, საერთაშორისო სამართლებრე პრქტიკაში. დღესთვის შეიქმნა მძლავრი მორალურ-პოლიტიკური ფაქტორი – სახელმწიფოს (ხალხთა) ძირითადი უფლებები. ეს უფლებები ადამიანის

უფლებათა მსგავსად დამოკიდებულია საწარმო ძალების განვითარების დონეზე. პირველ რიგში, ისინი სოციალურ მოთხოვნას წარმოადგენენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისათვის – ისევე, როგორც დღეს წარმოუდგენელია ადამიანმა ნებაყოფლობით მონობის სტატუსი აღიაროს, ასევე წარმოუდგენელია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დამონება არა მარტო ძალით, არამედ „ნებაყოფლობით“, აქედან გამომდინარე, დღეს სახელმწიფოს ძირითადი უფლებების შინაარსი, პირველ რიგში, მორალურ-პოლიტიკური უფლებანია, რომელნიც თანამედროვე პროგრესიული კაცობრიობის მართლმსჯელობას შეესაბამება:

1. ყოველი ხალხი, რომელიც ებრძვის კოლონიურ ჩაგვრას და იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, უფლებამოსილია მოიპოვოს ეს დამოუკიდებლობა, ძალის გამოყენებითაც კი და მოსთხოვოს სხვა სახელმწიფოებს არ ჩაერიონ ამ ბრძოლაში მეტროპოლიის დასახმარებლად.

2. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ყოველი ხალხი იძენს უფლებებს: მოითხოვოს სხვა სახელმწიფოებისაგან თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სხვა სუვერენული უფლებების პატივისცემა, თავისი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა და საშინაო საქმეებში ჩაურეველობა, არ გამოიყენონ მის მიმართ ძალა ან ძალით დამუქრება ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისა და დამონების მიზნით; მოითხოვოს ყველა სახელმწიფოსაგან მასთან წამოჭრილი დაეების მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრა.

ეს ის უფლებებია, რომელიც ეკუთვნის ყველა ხალხის თუ სახელწიფოს არსებობის ფაქტიდან გამომდინარე და არაეის არ აქვს უფლება ძალით წაართვას მათ ეს უფლებები.

ამაეე დროს აღნიშნული უფლებები აკისრებს სახელმწიფოებს (ხალხებს) მთელ რიგ შესაბამის მოვალეობებს სხვა ანალოგიური უფლებების მქონე სახელმწიფოების მიმართ: სხვა ხალხების თვითგამორკვევის უფლების აღიარებას, სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას, ძალის გამოყენებაზე და ძალით დამუქრებაზე უარის თქმას, დაეების მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებას.

ყველა ეს უფლება-მოვალეობა, რომელიც კაცობრიობის განვითარების ნაყოფია, დღეს იურიდიულად განმტკიცებულია

და ქცეულია საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებად.

ეს უფლებანი და მოვალეობანი ეხება სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, სტატიკურ მდგომარეობაში, როდესაც იგი არ მოქმედებს აქტიურად საერთაშორისო ასპარეზზე და თვითონ არ ამყარებს კონტაქტებს სხვა სახელმწიფოებთან. მაგრამ ამ სიტუაციაშიც იგი მოვალეა დაიცვას ქვეყნის შიგნით თანამედროვე სტანდარტები ჰუმანურობისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა, რაც დღეს პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და გაერო ს წესდებითაა გათვალისწინებული.

საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური გამოსვლა, სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტის დამყარება, ერთის მხრივ ანიჭებს სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორობის უფლებას ხოლო მეორე მხრივ ავალებს მას დაემორჩილოს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციის ძირითად სტანდარტებს წარმოადგენენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შეიცავს თანამედროვე საერთაშორიო სამართლის შვიდ ძირითად პრინციპს, რომელიც ფორმულირებულ იქნა გაერო-ს 1970 წლის „დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობების და თანამშრომლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად". ძალის გამოყენებისა ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა, საერთაშორიო დაეების მშვიდობანი გადაწყვეტის აუცილებლობა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სახელმწიფოთა თანამშრომლობა გაერო-ს წესდების თანახად; ხალხთა თანასწორობა და თვითგამორკვევა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა; გაერო-ს წესდების შესაბამისად მიღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება.

დეკლარაცია აცხადებს, „რომ წესდების პრინციპები, რომლებსაც ეს დეკლარაცია შეიცავს, საერთაშორიო სამართლის ძირითადი პრინციპებია, და ამიტომ ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს, რათა თაეიანთ საერთაშორისო საქმიანობაში ამ პრინციპებით იხელმძღვანელონ და თაეიანთი

ურთიერთობანი მათი მკაცრად დაცვის საფუძველზე განაეითარონ"[16].

ყოველი ეს პრინციპი მოიცავს მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან პრინციპებსა და ნორმებს, ამიტომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირზე (1975 წლის ივლის-აგვისტო) გამოყოფილ იქნა სამი დამატებითი პრინციპი – ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრების დაურღვეველობა, ადამიანის უფლებათა დაცვა. ამგვარად, ძირითად პრინციპთა რაოდენობამ ათს მიაღწია.

როგორია ამ პრინციპების იურიდიული შინაარსი?

1. ეს პრინციპები საერთაშორისო სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი საწყისებია, მისი შინაგანი საფუძველია, რომელიც გამოხატავს ამ სისტემის არსს და შინაარსს.

2. ეს პრინციპები ყოველთვის ნორმატიული ხასიათისაა რაც თავის გამოვლინებას პოულობს საერთაშორისო ხელშეკრულებებში, შეთანხმებებსა და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებში.

3. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ზოგადი, საყოველთაოდ აღიარებული, უნივერსალური ნორმებია, რომელთა ადრესატი პრაქტიკულად განუსაზღვრელია.

4. ეს ის ნორმებია, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა დანარჩენი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმა.

5. ეს პრინციპები საერთაშორისო კანონიერების კრიტერიუმებია.

6. ამ პრინციპებს აქვთ საპროგრამო ხასიათი – ისინი მიუთითებენ იმ ძირითად გზებს, რომლითაც უნდა ვითარდებოდეს საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების სისტემა.

ყველა ძირითადი პრინციპი ამკრძალავი ნორმის ხასიათს ატარებს და ამდენად კრძალავს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ყველა იმ ქმედობას არ ქმედობისაგან თავის შეკავებას, რომელიც სხვა სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება ამ უკანასკნელების სუვერენული უფლებების გათელვა-შეღწევების მიზნით. სწორედ ამაშია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დიდი მარეგულირებელი ძალა.

---

[16] ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ეს დეკლარაცია წესდების ახსნა-განმარტებით აქტს წარმოადგენს და ამიტომ მას იურიდიული ძალა მიეკუთვნება. ტექსტი იხ. წიგნში გ. ქეანია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში. თბ., გვ. 174-186.

ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში შეტანილია „დეკლარაცია პრინციპებისა, რომლითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში“, დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას ითანამშრომლონ მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის, აგრეთვე მათი სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური განვითარების დონის განურჩევლად, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა და მჭიდრო თანამშრომლობა მიუხედავად მათი სოციალური სისტემებისა დღეს საყოველთაოდ აღიარებულ, ქვაკუთხედ პრინციპად იქცა როგორც არსებითად, ასევე ფორმის მიხედვით.

## 2. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი[17]

---

[17] სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი ჩამოყალიბდა XV-XVI სს. დასავლეთ ევროპაში ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის ხანაში, როდესაც საფრანგეთის, ინგლისის და სხვა ქვეყნების გაძლიერებული მონარქები იწყებდნენ ბრძოლას რომის პაპისა და საღვთო იმპერიის იმპერატორებთან, არა მარტო დამოუკიდებლობისათვის, არამედ თანასწორობისათვისაც. თუმცა ამ დროს თანასწორობას მხოლოდ ერთნაირი სიძლიერის სახელმწიფოებს შორის ცნობდნენ. აქ აშკარად ეტყობა ფეოდალური იერარქიის დალი.

XVIII საუკუნისათვის თანასწორობის პრინციპი „საყოველთაოდ აღიარებულ“ პრინციპად გვეელინება, თუმცა სახელმწიფოს დაჯგუფება მათი „ღირსების“ მიხედვით და რთული დიპლომატიური ცერემონიალი ჯერჯერობით რჩება.

ბურჟუაზიული რევოლუციების ხანაში ბუნებითი სკოლის წარმომადგენელთა ზეგავლენით გაუქმდა ფეოდალიზმის ნაშთები და სახალხო სუვერენიტეტთან ერთად შეიქმნა სუვერენული თანასწორობის თეორია, რომელმაც მალე პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა – სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმად იქცა. თუმცა თავიდანვე იგი ფიქცია იყო არა მარტო იმიტომ, რომ მხოლოდ „ცივილიზებულ ქვეყნებზე“ ვრცელდებოდა (ე.ი. ამერიკის და ევროპის ქვეყნებზე), არამედ თვით ამ ქვეყნებს შორის პრაქტიკულად ბატონობდნენ მსხვილი კაპიტალისტები და აბსოლუტისტური ქვეყნები (რუსეთის იმპერია, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრია, პორტუგალია, აშშ).

ეს პრინციპი გაერო-ს წესდების ქვაკუთხედია (იხ. მე-2 მუხლის I პარაგრაფი). ყოველი სახელმწიფო მიუხედავად მისი ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობისა, მისი მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმისა, მისი სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერისა ან სისუსტისა, ყველა დანარჩენ ქვეყნებთან ერთად თანაბრად სარგებლობს იმ საერთაშორისო სამართლებრივი უფლებაუნარიანობით, რომლის შინაარსი განისაზღვრება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებითა და ნორმებით.

არც ერთ ძლიერ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მოახვიოს სუსტს თავისი ბატონობა ან პრივილეგიურ მდგომარეობაში დააყენოს თავისი თავი. ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე ყოველ სახელმწიფოს თითო ხმა მიეკუთვნება, მიუხედავად მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერისა. მცირე გამონაკლისის გარდა, არც ერთ სახელმწიფოს არ შეიძლება თავს მოეხვიოს ის ნორმები, რომელთა შექმნაში მას არ მიუღია მონაწილეობა ან რომელთა სავალდებულო ხასიათი მან თვითონ არ აღიარა შემდგომ. ყოველი სუვერენული სახელმწიფო უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ნორმების შემუშავებაში, დაესწროს იმ საერთაშორისო კონფერენციებს, სადაც წყდება ისეთი საკითხები, რომელიც უშუალოდ ეხება მის ინტერესებს. ყოველი სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, აგრეთვე სახელმწიფო ქონება საზღვარგარეთ სარგებლობს იმუნიტეტით, რომლის მოცულობა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით განისაზღვრება.

ამგვარად, ყველა სუვერენული სახელმწიფო იურიდიულად თანასწორია, ე.ი. თანაბარია საერთაშორისო სამართლის წინაშე; თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არეგულირებს ურთიერთობას თანასწორთა შორის, სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ძლევამოსილების მიუხედავად. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ხუთი დიდი სახელმწიფო (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი, რომელმაც დაიკავა ყოფილი საბჭოთა კავშირის ადგილი) სარგებლობს გარკვეული

---

მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი გაეროს შექმნით სუვერენული თანასწორობის პრინციპმა ფართო დემოკრატიული შინაარსი შეიძინა.

პრივილეგიებით: ყოველ მათგანს მუდმივი წევრის ადგილი უკავია, ხოლო მშვიდობის დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიღების დროს ხუთივე დიდი სახელმწიფოს თანხმობაა საჭირო. ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მთავარ პასუხისმგებლობას მშვიდობის დაცვის საქმეში სწორედ დიდ სახელმწიფოებს აკისრებს. წესდება სწორად უფარდებს დიდი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას მშვიდობის დაცვის საქმეში და მათ განსაკუთრებულ უფლებებს უშიშროების საბჭოში. ხალხთა უშიშროებისა და მშვიდობის დაცვის საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა ნიველირება, მათი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის გაუთვალისწინებლად, პრაქტიკულად გამოაცლიდა ნიადაგს ორგანიზაციის მიზანდასახულებას – განმტკიცდეს ანტიჰიტლერული კოალიციის მიერ მოპოვებული გამარჯვება და დამყარდეს დედამიწაზე მტკიცე მშვიდობა.

ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი შემდეგნაირად ხსნის სუვერენული თანასწორობის პრინციპის შინაარსს.

/სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობას და თავისებურებას, აგრეთვე ყველა უფლებას, რომლებიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის და რომლებსაც მოიცავს იგი, მათ შორის, თითოეული სახელმწიფოს იურიდიული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას. ისინი აგრეთვე პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას თავისუფლად აირჩიონ და განავითარონ თავიანთი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები, ისევე როგორც იმ უფლებას, რომ დააწესონ თავიანთი კანონები და ადმინისტრაციული წესები./

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ყველა სახელმწიფოს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს, ისინი პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ განახორციელონ ურთიერთობა სხვა სახელმწიფოსთან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მათი საზღვრები შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით, მათ აგრეთვე უფლება აქვთ ეკუთვნოდნენ ან არ ეკუთვნოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, იყვნენ ან არ იყვნენ ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულების მონაწილენი, კერძოდ უფლება აქვთ იყვნენ ან არ იყვნენ საკავშირო ხელშეკრულებათა

მონაწილენი; მათ აგრეთვე აქვთ ნეიტრალიტეტის უფლება, ასეთია ამ პრინციპის ზოგადი არსი, გამონაკლისებს შეეხებით ქვეით.

## 3. ძალის გამოყენებაზე ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აგრესიულ ომს, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებას, კანონგარეშე აცხადებს.

აკრძალულია არა მარტო ომის დაწყება, არამედ ნებისმიერი სახის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო და სხვა ზომების გამოყენება სხვა სახელმწიფოს დაპყრობის ან მისი პოლიტიკის დაქვემდებარების მიზნით.

აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება და გაჩაღება, ნიურნბერგის და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდების და გენერალური ასამბლეის 1946 წლის 11 დეკემბრის რეზოლუციით, საერთაშორისო დანაშაულადაა აღიარებული და დამნაშავეს სასტიკი პასუხისმგებლობა ემუქრება.

აგრესიისათვის ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის წესდებით – ე.წ. რომის სტატუტით. მართალია, რომის სტატუტი ძალაში 2002 წელს შევიდა, თუმცა მასში აგრესიის დანაშაულის დეფინიციის შემცველი ცვლილება მხოლოდ 2010 წელს კამპალაში (უგანდა) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეაზე მიიღეს. თუმცა, დღემდე აგრესიის გამო დასჯის შემცველი მუხლი ძალაში არ არის შესული.

მეოცე საუკუნის დასაწყისამდე საერთაშორისო სამართალი ომის ინსტიტუტს დავის გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებად ცნობდა და სიმძიმის ცენტრი ომის მოტივების „სამართლიანობაზე“ გადაჰქონდა, „სამართლიანობის“ ნიშნები კი ეფემერული და დაუდგენელი იყო, მხოლოდ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, 1928 წლის 27 აგვისტოს, პარიზში დასავლეთის ქვეყნებმა დადეს ე.წ. ბრიან-ელოგის პაქტი, რომლითაც უარს ამბობდნენ ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე. საბჭოთა კავშირი შეუერთდა ამ აქტს და შესთავაზა დასავლეთ საზღვარზე განლაგებულ სახელმწიფოებს შეეყვანათ პაქტი ძალაში, ამ

აქტის ყველა მონაწილესათვის ძალაში შესვლამდე. 1929 წლის 9 თებერვლის ასეთი დოკუმენტი ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირის, პოლონეთის, რუმინეთისა და სხვა სახელმწიფოების მიერ. მეორე მსოფლიო ომამდე ამ აქტის მონაწილე 63 სახელმწიფო იყო, ე.ი. იმ დროისათვის არსებული სახელმწიფოების უმრავლესობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წეგრები ვალდებულებას კისრულობენ მიიღონ ყველა ზომა, რომ „აცილონ მომავალ თაობას ომის უბედურება“ (იხ. პრეამბულა) და დედამიწაზე მტკიცე მშვიდობა და ხალხთა უშიშროება განამტკიცონ (მუხ. 1, პარა. 1). გაეროს წეერი სახელმწიფოები უარს ამბობენ ძალით დამუქრებასა და ძალის გამოყენებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება წესდებას (მუხ. 2, პარაგრ. 4).

1970 წლის დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ძირითად დებულებებს, რომლებიც ანვითარებს გაეროს წესდების პრინციპს:

ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებდეს ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისგან როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე სხვა რაიმე სახით, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან. ასეთი მუქარა ან ძალის გამოყენება საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაა. მათ არასოდეს არ უნდა მიმართონ, როგორც საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების საშუალებას.

აგრესიული ომი არის მშვიდობის საწინააღმდეგო დანაშაული, რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლით.[18]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად სახელმწიფოები მოვალენი არიან თავს იკავებდნენ აგრესიული ომების პროპაგანდისაგან.

---

[18] სწორედ ასეთ ხასიათს ატარებდა ჰიტლერული გერმანიის თავდასხმა ევროპის ქვეყნებზე და, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირზე; ასეთივე ხასიათს ატარებდა იაპონიის თავდასხმა ჩინეთსა და სამხრეთ აზიის სხვა ქვეყნებზე, ამერიკის შეერთებულ შტატებზე. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აგრესიული ომის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო ერაყის მიერ კუვეიტის დაპყრობის მცდელობა 1991 წელს.

ყოველი სახელმწიფო მოვალეა, თავს იკავებდეს ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან მეორე სახელმწიფოს არსებული საერთაშორისო საზღვრების დარღვევის მიზნით ან საერთაშორისო დაეების, მათ შორის ტერიტორიული დაეებისა და სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

ასევე, ყოველი სახელმწიფო თავს უნდა იკავებდეს ძალით დამუქრებისა ან ძალის გამოყენებისგან ისეთი საერთაშორისო დემარკაციული ხაზების დარღვევის მიზნით, როგორიცაა დაზაეების ხაზები, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი შეთანხმებით, რომლის მხარეა ეს სახელმწიფო ან რომელსაც ეს სახელმწიფო უნდა იკავებდეს სხვა რაიმე საფუძვლის გამო. ზემოთქმულში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც საზიანო დაინტერესებულ მხარეთა პოზიციებისათვის ასეთი ხაზების სტატუსისა და მათი დადგენის შედეგების მიმართ თანახმად მათი საგანგებო რეჟიმებისა, ანდა როგორც მათი დროებითი ხასიათის დამრღვეევი.

სახელმწიფოები მოვალენი არიან, თავს იკავებდნენ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული რეპრესალიების აქტებისაგან.

ყოველი სახელმწიფო მოვალეა, თავს იკავებდეს ყოველნაირი ძალმომრეობითი მოქმედებისააგან, რომელიც თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას ართმევს თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპის კონკრეტიზაციაში მოხსენიებულ ხალხებს.

ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავს იკავებდეს არარეგულარული ძალების ან შეიარაღებული ბანდების, მათ შორის დაქირაეებულთა რაზმების შექმნისაგან ან შექმნის წაქეზებისაგან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაჭრელად.

ყველა სახელმწიფო მოვალეა, თავს იკავებდეს სხვა სახელმწიფოში სამოქალაქო ომის აქტების ან ტერორისტული აქტების მოწყობის, წამქეზებლობის, მათთვის დახმარების აღმოჩენის ან მათში მონაწილეობისაგან, ანდა საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში ისეთი ორგანიზაციული საქმიანობის ხელის შეწყობისაგან, რომელიც მიმართულია ასეთი აქტების ჩასადენად, იმ შემთხვევაში, როცა ამ აბზაცში მოხსენიებული აქტები დაკავშირებულია ძალისმიერ მუქარასთან ან ძალის გამოყენებასთან.

სახელმწიფოს ტერიტორია არ უნდა იყოს ისეთი სამხედრო ოკუპაციის ობიექტი, რომელიც შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას წესდების დებულებათა დარღვევით. სახელმწიფოს

ტერიტორია არ უნდა იყოს სხვა სახელმწიფოს მიერ შეძენის ობიექტი ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენების შედეგად. არავითარი ტერიტორიული შეძენა, რომელიც ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენების შედეგია, არ უნდა იქნეს ცნობილი კანონიერად. ზემოთქმულში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც დამრღვევი:

ა) წესდების დებულებისა ან რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებისა, რომელიც წესდების მიღებამდე დადებული და რომელსაც იურიდიული ძალა აქვს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; ან

ბ) უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებისა წესდების შესაბამისად.

1974 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრების შესახებ. ამ აქტში ზუსტად განისაზღვრა, თუ რა ჩაითვლება ძალის გამოყენების ყველაზე საშიშ ქმედობად – აგრესიად, რომელიც მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულადაა კვალიფიცირებული.

აგრესიად ჩაითვლება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაერო-ს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სახით.

ყოველი სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს შეიარაღებულ ძალას, ჩაითვლება აგრესორად, თუკი უშიშროების საბჭო სხვანაირად არ შეაფასებს ამ ნაბიჯს.

აგრესიულ აქტად ჩაითვლება:

ა) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ასეთი თავდასხმის შედეგია; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია ძალის გამოყენებით.

ბ) ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით იარაღის გამოყენება.

გ) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურების ან ჩაპირების ბლოკადა,

დ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოების სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე.

ე) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, რომლებიც იმყოფებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოსთან შეთანხმების ძალით, უკანასკნელის

უშიშროების წინააღმდეგ გამოყენება ან შეთანხმების ვადის შეწყვეტის შემდეგაც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დატოვება.

ე) ერთი სახელმწიფოს ქმედება, რომელიც აძლევს სხვა სახელმწიფოს საშუალებას გამოიყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის ჩადენისათვის.

ზ) ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, რეგულარული ან დაქირავებული ძალების შეგზავნა, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ ისინი აგრესიის სხვა სახეობად შეიძლება ჩაითვალოს.

რასაკვირველია, ეს სია არ არის ამომწურავი დეკლარაცია ხაზს უსვამს ამ გარემოებას და ანდობს უშიშროების საბჭოს თვითონ დაადგინოს ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აგრესიად.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს რა აგრესიულ ომს, როგორც საგარეო პოლიტიკის საშუალებას, ამავე დროს ყოველ სახელმწიფოს უფლებას ანიჭებს მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ან ტერიტორიულ მთლიანობაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში გამოიყენოს „ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის“ უფლება, ე.ი. შეიარაღებულ თავდასხმას დაუპირისპიროს ან საკუთარი შეიარაღებული ძალები ან მოკავშირე ქვეყნების ჯარები. მას შეუძლია სხვა საჭირო დახმარებაც მოიშველიოს. გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის თანახმად, თუ ორგანიზაციის წევრი შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი გახდება, წესდება ოდნავადაც არ უარყოფს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას უშიშროების საბჭოს მიერ სათანადო ღონისძიებათა გამოყენებამდე. აღსანიშნავია კოლექტური თავდაცვის ისეთი სახე, როგორიცაა რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი, რომელთაც აქტიურად იყენებენ კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნები.

როდესაც ჩაგრული კოლონიური ერი ან ხალხი, განთავისუფლებისათვის მშვიდობიანი საშუალებების ამოწურვის შემდეგ, იძულებულია მიმართოს იარაღს, ეს ბრძოლა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც აგრესიული ომი, იგი სამართლიანი შეიარაღებული ბრძოლაა, თავდაცვითი ომია. ამ შემთხვევაში კოლონიზატორთა ცდა,

ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამა თუ იმ ქვეყანაში, აგრესიას წარმოადგენს.

ამ გამონაკლისის გარდა, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავს დაესხას მეორე სახელმწიფოს, რაგინდ ჭეშმარიტად სამართლიანი არ უნდა იყოს ის მოტივები, რომლებიც კარნახობენ ასეთი პრევენციული ზომების აუცილებლობას. ის, ვინც პირველი ასწევს მახვილს – აგრესორია. მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს უფლება მიიღოს სათანადო ზომები, შეიარაღებული ძალის გამოყენების ჩათვლით, როდესაც ამას უშიშროების საბჭო დაადგენს. ამისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შწესდება სპეციალურ პროცედურას ითვალისწინებს (იხ. წესდების VII თავი – „მოქმედება მშვიდობის დარღვევის საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების შემთხვევაში“).

## 4. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი[19]

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავის იურისდიქციას, რომელიც ტერიტორიის საზღვრებითაა შემოფარგლული. ეს ხელისუფლება ვრცელდება ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირსა და ორგანიზაციებზე. ყოველი უცხოელი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ამ ტერიტორიაზე შესვლისთანავე ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, რომლის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან ჩვეულებების საფუძველზე (მაგ. დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის წევრების მიმართ). ყოველი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორია შეუვალია სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისათვის. არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ აქვს უფლება დაარღვიოს ეს უზენაესობა და შეეცადოს შეუფარდოს

---

[19] იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ქარტიის მე-2 მუხლის c პარაგრაფი, ბანდუნგის 1955 წლის 24 აპრილის აზიურ-აფრიკული მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის შესახებ დეკლარაციის მე-2 მუხლი, ბელგრადის 1961 წლის 6 სექტემბრის მოუმხრობელი სახელმწიფოების დასკვნითი დეკლარაცია III განყოფილების მე-2 მუხლი, გაეროს 1970 წ. დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის დეკლარაცია.

თავისი იურისდიქცია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ თავისსავე მოქალაქეებს, თუ გამონაკლისის სახით, თვით ეს სახელმწიფო არ მისცემს ამის თანხმობას./ რასაკვირველია, უცხოელი ინარჩუნებს კავშირს მშობლიურ სახელმწიფოსთან, რომელთანაც მუდმივ სამართლებრივ კავშირში იმყოფება და რომელიც იცავს მის ინტერესებს უცხოეთში.

ტერიტორიული უზენაესობა განუყოფელი ცნებაა, იგი მოიცავს როგორც სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებზე, ასევე თვით ტერიტორიის მიმართ უზენაესი განკარგვის უფლებას. ხმელეთი, მისი წიაღი, შიდა ტერიტორიული წყლები, ტერიტორიის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება.

ყოველი აქტი, რომელიც ცალმხრივად, კაბალური შეთანხმების ძალით ხღუდავს ადგილობრივი სახელმწიფოს იურისდიქციას მისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილში ძლიერი სახელმწიფოს სასარგებლოდ, ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის მოქმედების სფეროს შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანასწორუფლებიანი, ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი ხასიათის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთა შორის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

ასევე ხელშეუხებელია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ყოველი აქტი, რომელიც ლახავს სახელმწიფოს საზღვრების მყუდროებას, მიუხედავად იმისა, რა მოტივით ხდება ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მართლსაწინააღმდეგო აქტია და უფლებას ანიჭებს დაზარალებულ სახელმწიფოს გამოიყენოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული საშუალებანი. სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნების ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, ე.ი. თანასწორუფლებიანი შეთანხმების შედეგად.

როგორც ვხედავთ, ტერიტორიული უზენაესობის და ტერიტორიული მთლიანობის ცნებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც მთელი და მისი ნაწილი. ტერიტორიული უზენაესობა უფრო ყვართო, ყოვლისმომცველი კატეგორიაა, ტერიტორიული მთლიანობა კი – მისი

შემადგენელი ნაწილი. ამიტომ შეიძლება ირღვეოდეს ტერიტორიული უზენაესობა, ხოლო ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელი რჩებოდეს.

ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტით სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ვალდებულებას, პატივისცემით მოეკიდონ თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამის შესაბამისად ისინი თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებთან და მიმართულია ყოველი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ერთიანობის წინააღმდეგ, კერძოდ, ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც წარმოადგენს ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენებით დამუქრებას. სახელმწიფოები ასევე თავს შეიკავებენ იმისაგან, რომ ერთმანეთის ტერიტორია გადააქციონ სამხედრო ოკუპაციის ან ძალის გამოყენების სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ღონისძიების ობიექტად საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, .ან ასეთი ღონისძიების ან მათი განხორციელების დამუქრების საშუალებით შეძენის ობიექტად. არავითარი ოკუპაცია ან ამგვარი შეძენა კანონიერად არ ჩაითვლება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა ერთხმად არ აღიარებს რუსეთის მიერ აფხაზი და ოსი სეპარატისტების რეჟიმების მიერ გამოცხადებული „დამოუკიდებლობის“ ცნობას საქართველოს ამ რეგიონებში რუსეთის საოკუპაციო ჯარების ყოფნის პირობებში.

## *5. საზღვრების ურღვევობის პრინციპი*

ეს პრინციპი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და ძალის გამოყენების პრინციპებთან მჭიდრო კავშირში უნდა განიხილებოდეს. იგი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიღწეული პოლიტიკური და ტერიტორიული საკითხების მოგვარების შედეგების გარანტიის საშუალებაა.

ცნობილია, რომ დღესაც დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში,

არსებობს ძალები, რომლებიც მოითხოვენ პოლონეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთის საზღვრების გადასინჯვას.

ჰელსინკის თათბირზე საზღვრების ურღვევობის პრინციპი ცალკე პრინციპად გამოიყო:

სახელმწიფოებს ურღვევად მიაჩნია ერთმანეთის მთელი საზღვრები და ამიტომ ისინი ახლაც და მომავალშიც თავს შეიკავებენ ამ საზღვრების ყოველგვარი ხელყოფისაგან;

ისინი შესაბამისად თავს შეიკავებენ აგრეთვე ყოველგვარი მოთხოვნებისა და მოქმედებისაგან, რომელთა მიზანი იქნება ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ნაწილის თუ მთელი ტერიტორიის დაპყრობა, უზურპაცია.

## 6. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი[20]

---

[20] ეს პრინციპი ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რევოლუციის ხანაში ჩამოყალიბდა. ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოები (კერძოდ, საფრანგეთი) ცდილობდნენ დაეცვათ თავი ფეოდალური სახელმწიფოების თავდასხმისაგან. ბურჟუაზიული იდეოლოგები ეურდნობოდნენ სახალხო სუვერენიტეტის თეორიას, ამტკიცებდნენ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის უკანონობას ბუნებითი სამართლის თვალსაზრისით. ფეოდალური სახელმწიფოები (რუსეთი, პრუსია, ავსტრია, ესპანეთი და სხვ.) არ სცნობდნენ ამ პრინციპს და იგი ერთხანს მხოლოდ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკურ პრინციპად რჩებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ სხვა ქვეყნებშიც გაიმარჯვა და ლათინური ამერიკა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა, ჩაურევლობის პრინციპი საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმად იქცა. აშშ-ს ახალგაზრდა კაპიტალიზმი ცდილობდა ხელთ ეგდო ამერიკის ქვეყნები, რომლებიც ესპანეთის ბატონობისაგან თავისუფლდებოდნენ. 1823 წლის 2 დეკემბერს პრეზიდენტმა მონრომ განაცხადა, რომ აშშ არ დაუშვებს ევროპის ქვეყნების მხრიდან ამერიკის კონტინენტის საშინაო საქმეებში ჩარევას და თვითონაც არ ჩაერევა ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში.

მონროს დოქტრინამ თავის დროზე დადებითი როლი შეასრულა ლათინურ ამერიკაში ევროპის ქვეყნების („სალეთო კაეშირის") აგრესიის შეკავების საქმეში. 1907 წელს ჰააგის კონფერენციამ, არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის დრაგოს მიერ ჩამოყალიბებულ დოქტრინის ზეგავლენით მიიღო კონვენცია, რომელიც კრძალავდა სამხედრო ძალის გამოყენებას იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ვერ გადაიხადა ხელშეკრულებით ნაკისრი სესხი.

არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს „საშინაო საქმეებში“. ეს ცნება მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელთაც მოცემული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები აქცევენ თავის შინაგანი იურისდიქციის კომპეტენციის სფეროში. ძირითადად ესაა სოციალურ-პოლიტიკური წყობის არსი და ფორმა, პოლიტიკური რეჟიმი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ძირითადი მიმართულება და სხვა. ამგვარად, სახელმწიფოს საშინაო საქმეებში შედის ის საკითხები, რომლებიც ყოველი ერის ან ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ფორმის არჩევასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და განპირობებულია ამ უფლებით.

ყოველი სახელმწიფოს „საშინაო საქმეების“ გარკვეული საკითხები შეიძლება იქცეს საერთაშორისო ხელშეკრულების ობიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თვით ეს სახელმწიფოა თანახმა. ეს საკითხები არ ეხება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძვლებს და საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმეს ემსახურება.

ამგვარად, ყოველი სახელმწიფოს საშინაო ცხოვრება მისი „საშინაო საქმეა“, სანამ თვითონ არ აქცევს მას საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის ობიექტად.

მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს „საშინაო საქმე“ საერთაშორისო სამართლის ნორმას არღვევს და საერთაშორისო კონფლიქტს იწვევს. ეს ხდება მაშინ, როდესაც „საშინაო საქმე“ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ხალხის უშიშროებას, არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს ადამიანის, ეროვნული უმცირესობისა და ერების (ხალხების) უფლებათა შესახებ. ამ თვალსაზრისით ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მძვინვარე აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ. გაეროს ძლიერი და სისტემატური ეკონომიკური,

---

მაგრამ არც ერთ ზემოთ მოხსენიებულ პრინციპს დიდი ქვეყნები არ იცავდნენ. პრაქტიკულად ჩაურეველობის პრინციპი სულ უფრო და უფრო მყარ ნიადაგზე დგება.

იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-7 პარაგრაფი; არაბეთის სახელმწიფოების ლიგის წესდების მე-2 მუხლი, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ქარტიის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფი; ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის წესდების მე-15 მუხლი.

სავაჭრო, კულტურული, სპორტული და, რაც მთავარია, პოლიტიკური ბლოკადის შედეგად, აპარტეიდი, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თეთრკანიანი უმცირესობის მიერ ადგილობრივი ფერადკანიანი მოსახლეობის უუფლებოო, მონურ მდომარეობას კონსტიტუციურად განამტკიცებდა, 1990 წლების დასწყისში გაუქმებულ იქნა.

ბრძოლა გაეროს მიერ 1960-1989 წლებში, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურეველობის პრინციპი უხეშად ირღვეოდა და ირღვევა დიდი სახელმწიფოების მიერ. ჩაურეველობის პრინციპის დარღვევას **ინტერვენცია** ეწოდება.

ინტერვენციის გამოყოფა მრავალგვარია. ინტერვენციის ყველაზე ტიპიურ მაგალითს სამხედრო ჩარევა წარმოადგენს.[21]

ფარული სამხედრო ინტერვენცია – ერთი სახელმწიფოების ინტერვენცია „პატარა" სახელმწიფოების ხელით, დივერსიული ჯგუფების დაფინანსება, ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომის გაჩაღება, ჯაშუშთა, ტერორისტთა შეგზავნა[22].

---

[21] 1842 წელს მეფის რუსეთმა სისხლში ჩაახშო ბურჟუაზიული რევოლუცია უნგრეთში. 1871 წელს პრუსიის ჯარებმა გაანადგურა პარიზის კომუნა. განსაკუთრებით აქტიურობდა აშშ-ს რაზმები ლათინურ ამერიკაში – 1903 წელს – კოლუმბიაში, 1916 წელს – სანდომინგოში, 1915 წელს – ჰაიტის რესპუბლიკაში და ა.შ. სამხედრო ინტერვენციის ერთ-ერთი უდიდესი მაგალითია ანტანტის ჩარევა რუსეთის საშინაო საქმეებში 1918-1920 წწ., 1935-1939 წ. იტალია და გერმანია სისხლში ახშობდნენ ესპანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ინტერვენციების ჯაჭვი ფაშისტური სახელმწიფოების მთელ ისტორიას წითელი ზოლივით გასდევს.

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის ინტერვენცია ეგვიპტეში 1956 წელს, აშშ-ის ინტერვენცია ჩინეთში (1949 წელი, ტაივანის ოკუპაცია), დომინგოს რესპუბლიკაში (1965-1966 წ.წ.), გრენადაში (1983 წ. ოქტომბერ-ნოემბერი).

საბჭოთა რუსეთიც (საბჭოთა კავშირი) აქტიურად იყენებდა სამხედრო ინტერვენციას ((921 წ. – საქართველოში, 1956 წ. უნგრეთში, 1968 წ. – ჩეხოსლოვაკიაში, 1979 წ. – ავღანეთში).

[22] საერთაშორისო სამართალი აკისრებს პასუხისმგებლობას რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას მისი „უუნარობის" გამო შეეჩერებინა 1992-1993 წლებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ტერორისტთა და შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთში გადასვლა აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად (1992-1994 წწ.).

ინტერვენცია, რომელიც არ არის დაკავშირებული სამხედრო მოქმედებასთან: ა) ეკონომიკური ბლოკადა; ბ) ფინანსურ-სამეურნეო ინტერვენცია; გ) დიპლომატიური ჩარევა.

გაერო-ს 1970 წლის დეკლარაცია შემდგომ აზუსტებს ამ პრინციპის შინაარს: არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში. ამის შედეგად შეიარაღებული ჩარევა და ჩარევის ყველა ფორმა ან ყოველგვარი მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალ-სუბიექტების ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ, საერთაშორისო სამართლის დარღვევაა.

არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ეკონომიკური, პოლიტიკური, ან რაიმე სხვა ხასიათის ზომების არც გამოყენება, არც გამოყენების წაქეზება იმ მიზნით, რათა მიაღწიოს სხვა სახელმწიფოს დამორჩილებას მის მიერ თავისი სუვერენული უფლებების განხორციელებაში და მისგან რაიმე უპირატესობის მიღებას. არც ერთი სახელმწიფო აგრეთვე არ უნდა აწყობდეს, ეხმარებოდეს, აღვიძებდეს, აფინანსებდეს, აქეზებდეს ან უშვებდეს შეიარაღებულ, ძირგამომთხრელ ან ტერიტორიულ საქმიანობას, მიმართულს მეორე სახელმწიფოს წესწყობილების შესაცვლელად ძალადობის გზით, აგრეთვე არ უნდა ერეოდეს სხვა სახელმწიფოს შინაბრძოლაში.

ძალის გამოყენება იმისათვის, რომ ხალხებს წაერთვას მათი ეროვნული არსებობის ფორმები, არის მათი განუყოფელი უფლებებისა და ჩაურეველობის პრინციპის დარღვევა.

ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება აირჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სისტემა ყოველი სხვა სახელმწიფოს მხრივ ამა თუ იმ ფორმით ჩარევის გარეშე.

## *7. ხალხთა (ერთა) თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი*[23]

[23] ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იტალიის ბურჟუაზიამ წამოაყენა „ეროვნების პრინციპი", რაც ევროპაში დამოუკიდებელი ბურჟუაზიული სახელმწიფოების შექმნას ამართლებდა (მაგ. იტალიაში), მაგრამ ეს პრინციპი თავიდანვე ვიწრო კლასობრივ ხასიათს ატარებდა და მას

პირველ რიგში განვიხილოთ „ერის“ და „ხალხის“ ცნებათა არსი. რატომ არის, რომ ხშირად დოკუმენტებში გვხვდება (განსაკუთრებით წინა წლებში) ეს ტერმინები ურთიერთშემცვლელ, სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვები – ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლება. როგორც წესი, „ერი“ განიხილება, როგორც ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი „ერთობა“, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ზოგიერთ კრიტერიუმს. ტერმინ „ერის“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მიღებული იყო ერის სტალინისეული განმარტება, რომლის მიხედვით, ერს ოთხი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: ენის ერთობა, საერთო ტერიტორია, ეკონომიკური წყობის ერთობა და საერთო ეროვნული ხასიათი, რომლის გამოელინებაა ეროვნული კულტურა. ამასთანავე, მარქსიზმის მტკიცებით, ერები ყალიბდებიან მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც იქმნება საერთო ეროვნული ეკონომიკა და ერთიანი შიდა ბაზარი. ამრიგად, გამოდის, რომ XVI-XVII საუკუნეებამდე ერები არ არსებობდნენ, ხოლო XX ს-ში, იმის მიხედვით, თუ როგორ საზოგადოებრივ ფორმაციაში იმყოფებოდა ესა თუ ის ქვეყანა, არსებობდნენ სოციალისტური და ბურჟუაზიული ერები.

ერის ასეთ გაგებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა თვით სოციალისტურ ქვეყნებში. მკვლევართა ნაწილის აზრით, ზემოხსენებული ოთხი ნიშანი ახასიათებს ნებისმიერ ეთნიკურ ერთობას და ამიტომ ერის რაობის გარკვევისათვის საკმარისი არ არის. ბევრი ერის აუცილებელ კრიტერიუმად საკუთარი სახელმწიფოს არსებობას მიიჩნევს და ასკვნის, რომ მხოლოდ ის ეთნიკური ერთობა შეიძლება ჩაითვალოს ერად, რომელიც პოლიტიკურ ერთობას ქმნის და აქვს თავისი სახელმწიფო. ეს თვალსაზრისი უახლოვდება დასავლეთში გავრცელებულ წარმოდგენას ერის რაობის შესახებ, სადაც ერი და სახელმწიფო ხშირად იდენტურ ცნებებად მოიაზრება, რადგან

---

არც კი აღიარებდა „კოლონიზებული ხალხების საერთაშორისო სამართალი“. რაც შეეხება კოლონიურ და დამოუკიდებელ ქვეყნებს, მათზე ხომ ლაპარაკიც არ იყო. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ერთა (ხალხთა) თვითგამორკვევის პრინციპის საერთაშორისო სამართალში დანერგვის რთული და ხანგრძლივი პროცესი.

დასავლეთ ევროპაში ერის ჩამოყალიბება მათი სახელმწიფოების წარმოქმნასთან ერთად მოხდა (ასეთი თეორია წამოყენებული იყო იტალიაში XIX ს-ის დამლევს და მიზნად ისახავდა დაქუცმაცებული იტალიის გაერთიანებას). აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისურ და ფრანგულ ენებში სიტყვა „ერს“ (*the nation, la nation*) უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკური. თვით ქართულ და რუსულ ენებშიც კი, სადაც ეს სიტყვა ძირითადად ეთნიკური შინაარსისაა, გვხვდება „ერთან“ დაკავშირებული ტერმინები, სწორედ სახელმწიფოს მნიშვნელობით (მაგ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეროვნული ვალუტა, ეროვნული შემოსავალი და სხვ.).

ერისა და სახელმწიფოს იდენტურობის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ერი-სახელმწიფო“ ან „ეროვნული სახელმწიფო“ (*nation-state*). ამ ცნებაში იგულისხმება, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ერთი ერის წარმომადგენელია. მაგ., ფრანგი ერში გულისხმობს საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, ასევე ამერიკელი ერი აშშ-ის მოქალაქეების ერთობლიობაა და ა.შ. ამდენად, ცნება „ფრანგი“ განსხვავდება „ეთნიკური ფრანგისაგან“, რადგან პირველი გულისხმობს საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, მეორე კი მხოლოდ ეთნიკურ ფრანგებს. ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა „ერი-სახელმწიფოს“ ტიპს განეკუთვნება, მაშინ როდესაც აფრიკაში „ერი-სახელმწიფო“ იშვიათობაა. ამიტომ საერთაშორისო დოკუმენტებში უფრო ტერმინი „ხალხი“ იხმარება.

რუსეთში 1917 წლის ნოემბერს მიღებული დეკრეტი ზავის შესახებ მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან აგრესიული ომის უკანონობასა და ეროვნული ჩაგვრის დაუშვებლობას. დეკრეტი განსაზღვრავდა აგრესიულ ომს, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ უდიდეს დანაშაულს და კანონგარეშე აცხადებდა ყოველი ერის ძალით გაჩერებას სახელმწიფოს შემადგენლობაში, ასეთი აქტი ცხადდებოდა „ანექსიად“.

„რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ (1917 წ. 2-15 ნოემბერი) აღიარებდა ყველა ხალხის თანასწორობასა და სუვერენობას, ცნობდა რუსეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, გამოყოფის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით.

საბჭოთა სახელმწიფომ ბათილად გამოაცხადა ყველა კაბალური და არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება

თურქეთსა და სპარსეთთან, ხოლო მოგვიანებით დადო მათთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ჭეშმარიტად თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები.

ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარების საფუძველზე საბჭოთა რუსეთმა ცნო რუსეთის იმპერიის ყოფილი „ოკრაინების“ – ფინეთის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ხორეზმის, ბუხარის გამოყოფის უფლება.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ლამაზი ფრაზა იყო, რადგანაც სინამდვილეში რუსეთის მთავრობა პრაქტიკულად უგულებელყოფდა მის მიერვე გამოცხადებულ პრინციპებს, რაც მკაფიოდ გამოიხატა 1918-1921 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ყერაგულ პოლიტიკაში, რომელიც წითელი არმიის შეიარაღებული ინტერვენციით და საქართველოს ფაქტობრივი ანექსიით დამთავრდა.[24] ასეთივე ბედი ეწია სომხეთს და აზერბაიჯანს. ორ ათწლეულზე მეტი დასჭირდა იმას, რომ ერის თვითგამორკვევის უფლება ლოკალური პრინციპებიდან საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპად ქცეულიყო. პირველი ასეთი საერთაშორისო აქტი იყო გაერო-ს წესდება, რომელსაც სხვა აქტებიც მოყვა.

გაეროს წესდების პრეამბულა მოითხოვს ყველა სახელმწიფოსგან განაგითარონ მეგობრული ურთიერთობანი სახელმწიფოთა შორის ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით.

ამგვარად, უარყოფილ იქნა მსოფლიო კოლონიალიზმის ისეთი ყველა ფორმა[25], თუმცა ნაწილობრივ შეინარჩუნა 1919

---

[24] იხ. საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. თბ., 1990 წ.

[25] ვასალიტეტი, რომელიც ფეოდალიზმის წიაღში ჩამოყალიბდა და ამ ფორმაციის ერთ-ერთი ტიპიური ინსტიტუტი იყო, აქტიურად გამოიყენებოდა კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების დამორჩილებისათვის XVIII-XX საუკუნეებში. ინდოეთის 500 სათავადო 1947 წლამდე ინგლისის მეფის ვასალად ითვლებოდა.
პროტექტორატი ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგია. ფორმალურად სუსტი სახელმწიფო ნებაყოფლობით უთმობს მეორე სახელმწიფოს თავისი საგარეო ფუნქციის განხორციელების უფლებას, ხოლო თავის საშინაო საქმეებს მისი მეთვალყურეობის (გამოგზავნილი რეზიდენტის ან მრჩევლის) ქვეშ აყენებს. ფაქტობრივად კი ძლიერი სახელმწიფო

წელს ერთა ლიგის მიერ შექმნილი სამანდატო სისტემა, რომელიც მეტ ნაკლებად ასუსტებდა, მაგრამ სრულად არ აუქმებდა ამ სისტემას[26]. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი საწინააღმდეგო აქტად თვლის ყოველ კაბალურ ხელშეკრულებას, რომელიც ზღუდავს ერის, ხალხის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მისი თვითგამორკვევის უფლებას.

გაეროს მომდევნო აქტებმა ხორცი შეასხეს ამ პრინციპს, დააკონკრეტეს მისი შინაარსი.

ყოველი ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების შინაარსი ჩამოყალიბებულია 1960 წლის 14 დეკემბრის დეკლარაციაში კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და გენერალური ასამბლეის 1962 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციაში:

ა) ხალხის დამონება და ექსპლოატაცია უცხო სახელმწიფოს მიერ უარყოფს ადამიანის ძირითად უფლებებს და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

---

ძალის მუქარით ახვევდა თავს სუსტ სახელმწიფოს ხელშეკრულებას პროტექტორატის შესახებ, რაც მისი ბატონობის განმტკიცებას მოასწავებდა. პროტექტორატში მყოფი ხალხები შეურიგებლად იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, მაგრამ მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი მათი სურვილების განხორციელება. ასე მაგალითად, ეგვიპტემ თავი დააღწია ინგლისის პროტექტორატს 1921 წელს. კუვეიტმა – 1964 წელს; ტუნისმა და მაროკომ გაუქვიტეს ურთიერთობა საფრანგეთთან 1956 წელს.

[26] ერთა ლიგის 1919 წლის სტატუსის ძალით ყველა კოლონია, რომელიც ჩამოერთვა დამარცხებულ გერმანიას და რამდენიმე თურქული პროვინცია (არაბულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობით) სპეციალური შეთანხმების საფუძველზე გადაეცემოდა ანტანტის მონაწილეებს „მეურვეობისათვის, რადგანაც თვით კოლონიის ხალხებს არ შესწევდათ უნარი დამოუკიდებლად ეხელმძღვანელათ თავიანთი თავისათვის“. ერთა ლიგა ანდობდა ტერიტორიების მმართველობას ინგლისს (პალესტინა, მესოპოტამია, ტანგანიკა, ტოგოს და კამერუნის ნაწილი), საფრანგეთს (სირია, ლიბანი, ტოგოს და კამერუნის ნაწილები), ბელგიას (რუანდა-ბურუნდი), იაპონიას (მარშალის, კაროლინის, მარიანის კუნძულები), ავსტრალიას (ახალი გვინეის ნაწილი, ნაურუს კუნძულები), ახალ ზელანდიას (დასავლეთ სამოას კუნძულები), სამხრეთ აფრიკის კავშირს (სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა). ფაქტობრივად დაწესდა კოლონიური სისტემის ახალი სახეობა.

ბ) ყოველ ხალხს გააჩნია თვითგამორკვევის უფლება, ამიტომ მათ უნდა შეეძლოთ თავისუფლად შექმნან თავისი პოლიტიკური სტატუსი და განახორციელონ თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება.

გ) დამოუკიდებლობის მინიჭება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, „მომზადებულია“ თუ „არაა სათანადოდ მომზადებული“ დამოუკიდებლობისავის ეს თუ ის ხალხი – პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა თვალსაზრისით.

დ) ყოველი სამხედრო ან რეპრესიული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ დამოუკიდებელი ხალხის მონობაში დატოვებას – მართლსაწინააღმდეგო აქტია და უნდა შეწყდეს, რათა მისცეს ხალხს საშუალება თავისუფლად, მშვიდობის პირობებში განახორციელოს თავისი სრული დამოუკიდებლობის მოპოვების უფლება.

ე) პატივი უნდა სცენ ყოველი ხალხის ეროვნულ და ტერიტორიულ მთლიანობას.

ვ) ყოველი ერი (ხალხი), რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, ამ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა და რესურსების ერთადერთი პატრონია. თავისუფლების მოპოვების ეს უფლება სახელმწიფოს სუვერენიტეტის ერთ-ერთ მთავარ მხარედ იქცევა. ყოველი ერის (ხალხის) სუვერენიტეტი ბუნებრივ სიმდიდრეთა და რესურსების მიმართ განუყოფელია ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლებისაგან. მხოლოდ თვით ერს (ხალხს) აქვს უფლება განსაზღვროს რა პირობით და რა წესით შეიძლება ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია.

ამგვარად, ყოველი ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლებათა რეალიზაცია სამ ძირითად კომპონენტს უნდა შეიცავდეს: ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობა პლუს ბუნებრივი რესურსების უზენაესი მესაკუთრეობა.

გაერო-ს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, აგრეთვე ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი განსაზღვრავენ ხალხთა და ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ყველა ხალხის უფლებას თავისუფლად, გარედან ჩაურევლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი და ახორციელებდეს თავის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას და თითოეული სახელმწიფო მოვალეა პატივს სცემდეს ამ უფლებას წესდების დებულებათა შესაბამისად.

ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ხელს უწყობდეს ერთობლივი და დამოუკიდებელი მოქმედების დახმარებით ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელებას წესდების დებულებათა შესაბამისად და დახმარებას უწევდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას იმ მოვალეობათა შესრულებაში, რომლებიც მას წესდებით აქვს დაკისრებული ამ პრინციპის განხორციელების თაობაზე, რათა:

ა) ხელი შეუწყოს მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას სახელმწიფოთა შორის და

ბ) დაუყოვნებლივ მოუღოს ბოლო კოლონიალიზმს, გამოიჩენს რა ჯეროვან პატივისცემას დაინტერესებული ხალხების თავისუფლად გამოთქმული ნების მიმართ, აგრეთვე მხედველობაში ექნება რა, რომ ხალხთა დამორჩილება უცხო უღლის, ბატონობისა და ექსპლოატაციისადმი არის ამ პრინციპის დარღვევა, ისევე როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა უარყოფა და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ყოველი სახელმწიფო მოვალეა ხელი შეუწყოს ერთობლივ და დამოუკიდებელ მოქმედებათა გზით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო პატივისცემას და დაცვას წესდების შესაბამისად.

სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან თავისუფალი შეერთება ან მასთან გაერთიანება, ანდა დადგენა სხვა რომელიმე პოლიტიკური სტატუსისა, რომელსაც ხალხი თავისუფლად განსაზღვრავს, წარმოადგენს ამ ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელების ხერხებს.

ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავს იკავებდეს ყოველგვარი ძალმომრეობითი მოქმედებისაგან, რომელიც ზემოთ, ამ პრინციპის კონკრეტიზაციისას, მოხსენიებულ ხალხებს ართმევს თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას. ამ ხალხებს, როცა ისინი ცდილობენ განახორციელონ თავიანთი თვითგამორკვევის უფლება, შეუძლიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად გამოითხოვონ და მიიღონ მხარდაჭერა ამგვარი ძალმომრეობითი ზომების საწინააღმდეგო მოქმედებასა და მათდამი წინააღმდეგობის გაწევაში.

კოლონიის ტერიტორიას ან სხვა არათვითმმართველ ტერიტორიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად აქვს ცალკე და მისი მმართველი სახელმწიფოს ტერიტორიის სტატუსისაგან განსხვავებული სტატუსი; ასეთი ცალკე და წესდების თანახმად განსხვავებული სტატუსი მანამდე იარსებებს, სანამ ამ კოლონიას ან არათვითმმართველი ტერიტორიის ხალხი განახორციელებდეს თავის თვითგამორკვევის უფლებას წესდების და განსაკუთრებით მისი მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

ზემოთ მოყვანილ აბზაცში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც სანქციამიმცემი ან წამახალისებელი რაიმე მოქმედებისა, რომელიც გამოიწვევდა იმ სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის დანაწილებას ან ნაწილობრივ თუ მთლიანად დარღვევას, რომლებიც მოქმედებენ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის დაცვით, როგორც ეს პრინციპი ზემოთაა გადმოცემული, და რომელსაც, ამის შედეგად, ჰყავს ამ ტერიტორიისადმი კუთვნილი მთელი ხალხის – რასის, სარწმუნოების და კანის ფერის განურჩევლად – წარმომადგენელი მთავრობაში.

ყოველი სახელმწიფო თავს უნდა იკავებდეს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც მიმართულია სხვა რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი თუ მთლიანი დარღვევისაკენ.

ადამიანის უფლებათა ორივე პაქტში პირველ მუხლად შეტანილია ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარება და მისი ძირითადი არსის განმატრება.

„ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება – ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას. არც ერთ ხალხს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის.

ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას".

ასეთია ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების შინაარსი. როგორც ვხედავთ, იგი დასაწყისში კოლონიურ ჩაგვრაში მყოფი ხალხების უფლებად გვევლინება, ე.ი. ანტიკოლონიურ ხასიათს ატარებს.

დროის განმავლობაში თვითგამორკვევის უფლების მეორე ასპექტი სულ უფრო და უფრო იჩენს თავს, ხოლო კოლონიალიზმის ნგრევის შემდეგ, როდესაც სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობას შეემატა 120 ახალი სახელმწიფო, თვითგამორკვევის პრინციპი ძირითადად დამოუკიდებლობის მოპოვებული ყველა ერის (ხალხის), სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები ხალხის თავის ბედის თავისუფლად გადაწყვეტის უფლებად, ანუ ეროვნული თუ სახალხო სუვერენობის დაუბრკოლებელი რეალიზაციის იურიდიულ გარანტად იქცა.

ამავე დროს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, როგორც დავინახეთ, კრძალავს თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას ეროვნული უმრავლესობების მიერ, თუნდაც პატარა ერების მიერ, თუკი მათ გააჩნიათ სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა თანასწორუფლებიანობა სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ დანარჩენ მოსახლეობასთან და აქვთ საშუალება თავისუფლად გამოხატონ თავისი პოლიტიკური თუ სხვა ნებასურვილი.

ამდენად, თვითგამორკვევა და გამოყოფა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, არ არის დღეს დასაშვები, თუ იგი არ იცავს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, არღვევს ისტორიულად შექმნილ საზღვრებს, აზიანებს სახელმწიფოს უშიშროებას და სხვ.

ამიტომ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს აგრესიული სეპარატიზმი, რომლის მიზანია ცალმხრივად, ძალის გამოყენებით ხელყოს სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოტივით. ამის ნათელი მაგალითია კონფლიქტი, რომელიც მოახვიეს საქართველოს აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა.

## 8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა[27]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იჭრება ისეთ სფეროში, რომელიც ერთი შეხედვით სახელმწიფოს მხოლოდ შინაგან კომპეტენციაში შეიძლება შედიოდეს, მაგრამ სინამდვილეში ამ საკითხის მოწესრიგება შესაძლებელია სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე. სწორედ ასეთ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი ღონისძიებანი, უფრო სწორად, ლაპარაკი გვაქვს ადამიანის ძირითად უფლებებზე, რომლებიც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუსხვისებელია ყოველი გონიერი არსებისაგან, მიუხედავად მისი სქესისა, კანის ფერისა, რჯულისა, რასისა და ეროვნებისა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ადამიანის ძირითადი უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია: „ყველაე განამტკიცოს ადამიანის ძირითად უფლებათა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის რწმენა“ (პრეამბულა). ორგანიზაცია მოწოდებულია „განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა

---

[27] ეს პრინციპი ყველაზე „ახალგაზრდაა“ ძირითადი პრინციპებიდან, იგი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა. ამ პრინციპის საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებებით განმტკიცებისათვის კაცობრიობას განსაკუთრებით ბიძგი მისცა პიტლერელების მიერ ადამიანთა მასიური განადგურების საშინელი ფაქტების ჩადენამ.

თუ მიმდინარე საერთაშორისო საზოგადოება ძირითადად ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო დაცვით იყო დაინტერესებული (პირველი ომის შემდგომ პერიოდში), მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გაერო-ს წესდებაში შეტანილ იქნა მოწოდება დაცულიყო ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები. აქედან იწყება მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა „სოციალისტურ და იმპერიალისტურ“ ქვეყნებს შორის, რათა ადამიანის უფლებათა პატივისცემა გაერო-ს მიზნებიდან ძირითადად საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპად გადაქცეულიყო, ორი სოციალური სისტემის თანაარსებობის პრინციპის შეუბღალავად, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვით.

ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში და დანერგოს ყველას მიმართ, მიუხედავად რასისა, სქესისა, ეროვნებისა და რელიგიისა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებისადმი პატივისცემა“ (პირველი მუხლის მესამე პუნქტი).

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის გენერალური ასამბლეა და ეკონომიკური და სოციალური საბჭო აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. ამჟამად, საბჭოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიების მუშაობის შედეგად, შეიქმნა მთელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომელთა შორის აღსანიშნავია გაერო-ს 1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966 წ.), კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხერის შესახებ (1969 წ.) და სხვ.

ჰელსინკის თათბირის დასკვნითმა აქტმა შეაჯამა საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფის სფეროში და ცალკე ძირითად პრინციპად გამოყო. მონაწილე სახელმწიფოებმა შემდეგნაირად განსაზღვრეს ამ პრინციპის შინაარსი:

სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებას ყველასათვის, განუსაზღვრელად რასისა, სქესისა და რელიგიისა.

ისინი ხელს შეუწყობენ და განავითარებენ მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ამ უფლებებისა და თავისუფლების ეფექტიან განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი ღირსებიდან და არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარებისათვის.

ამ ფარგლებში სახელმწიფოები ცნობენ და პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას იწამოს მარტო ან სხვებთან ერთად, რელიგია და სარწმუნოება, იმოქმედოს საკუთარი სინდისის კარნახის თანახმად.

სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე არიან ეროვნული უმცირესობანი, პატივისცემით მოეკიდებიან კანონის წინაშე ასეთ უმცირესობათა წარმომადგენელი პირების თანასწორობის უფლებას, მიანიჭებს მათ სრულ შესაძლებლობას ნამდვილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ძირითადი

თაეისუფლებებით და ამრიგად დაიცავენ მათ კანონიერ ინტერესებს ამ დარგში.

სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებებს და ძირითადი თაეისუფლების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემა არსებითი ფაქტორია მშვიდობის, სამართლიანობის და კეთილდღეობისა, რაც აუცილებელია მათ შორის, ისე როგორც ყველა სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფისათეის.

ისინი მუდამ პატივისცემით მოეკიდებიან ამ უფლებებსა და თაეისუფლებას თაეიანთ ურთიერთობაში და იხმარენ ღონისძიებებს, ერთობლიეად და დამოუკიდებლად, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ მათ საყოველთაო და ეფექტიან პატივისცემას.

ისინი ადასტურებენ პირთა უფლებებს იცოდნენ თაეიანთი უფლება-მოვალეობანი ამ დარგში და მოიცავდნენ მათ შესაბამისად.

სახელმწიფოები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თაეისუფლებების დარგში იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ისინი შეასრულებენ აგრთეე თაეიანთ ვალდებულებებს ისე, როგორც დაწესებულია ამ დარგის საერთაშორისო დეკლარაციებსა და შეთანხმებებში, მათ შორის საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ, თუ ისინი ამ პაქტების მონაწილენი არიან.

ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპის ქეაკუთხედს წარმოადგენს დებულება, რომელიც კრძალავს იძულებითი ზომების გამოყენებას უცხო სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. მხოლოდ იმ შემთხვეეაში, თუ გაერო-ს კომპეტენტური ორგანოები ჩათვლიან, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მასობრივ და სისტემატურ დარღვეევას, რაც საერთაშორისო-სამართლებრიე დანაშაულად ითვლება, მათ შეუძლიათ მიმართონ წესდებით გათვალისწინებულ საშუალებებს შეიარაღებული ძალის გამოყენების ჩათვლით. მსგავს წესებს ითვალისწინებს რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები. დაუშვებელია, ადამიანის უფლებათა დაცვის ლოზუნგის გამოყენება სახელმწიფოთა მიერ სხვა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის კრიტიკისათეის, მასზე დიპლომატიური

დაწოლისათვის, რაც საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის უხეშ დარღვევად ითვლება. ამით არ გამოირიცხება იდეოლოგიური ბრძოლა ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებების და მომდევნო განვითარების გამო. მაგრამ ეს ბრძოლა სახელმწიფოთშორისი სამართლის დაშვებულ ფორმებში უნდა მიმდინარეობდეს. სხვა საკითხია პრესის, ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მონაწილეობა იდეოლოგიურ ბრძოლაში, იგი სპეციფიკურ ხასიათს ატარებს და ვერ შეედრება ოფიციალურ სახელმწიფოთშორის (საგარეო საქმეთა სამინისტროების) დონეს, რომელიც სუვერენული თანასწორობის პრინციპზეა აგებული.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ჰელსინკის თათბირის მიერ შექმნილი მექანიზმი, ხელმოწერილ იქნა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო აქტები, რომლებშიც ადამიანის უფლებათა დაცვას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია (მადრიდის, ვენის, პარიზის, ჰელსინკი-2-ის თათბირების დოკუმენტები).

ამ აქტებით სახელმწიფოები მნიშვნელოვნად აფართოებენ საერთაშორისო სამართლის ნორმების მოქმედებას თავის საშინაო საქმეებში, ზღუდავენ თავის სუვერენიტეტს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

## *9. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი*[28]

თუ საერთაშორისო დავის წარმოშობის შემთხვევაში ყოველი სახელმწიფო მოვალეა თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისაგან, მხარეებს ერთადერთი გზა რჩებათ – მიმართონ მხოლოდ დავის გადაწყვეტის მშვიდობიან საშუალებას.

---

[28] იხ. პარიზის (ბრაიან-კელოგის) პაქტის მე-2 მუხლი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 1-ლი მუხ. 1-ლი პარაგრ. და მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფი, 33-ე და 38-ე მუხლები, არაბეთის სახელმწიფოების ლიგის პაქტის მე-5 მუხლი, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ქარტიის მე-3 მუხლის მე-4 პარაგრაფი, ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის წესდების მე-5 მუხლის 1 პარაგრაფი, გაერო-ს 1970 წლის დეკლარაცია, ჰელსინკის დასკვნითი აქტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მკაფიოდ განსაზღვრავს: „ყოველი წევრი წყვეტს თავის საერთაშორისო დავებს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ არ შეიქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა, უშიშროებისა და სამართლიანობისათვის“ (მუხ. 2, პარ. 3). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი შეიცავს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის სპეციალურ ინსტიტუტს, რომელიც მრავალ საშუალებას ითვალისწინებს – მოლაპარაკება, გამოძიება, შუამავლობა, შერიგება, არბიტრაჟი, სასამართლო პროცესი და სხვა.

არ შეიძლება წარმოიშვას ისეთი საერთაშორისო დავა, რომლის გადაწყვეტა არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით, საჭიროა მხოლოდ სურვილი და მშვიდობისაკენ ჭეშმარიტი სწრაფვა დავის ყველა მონაწილისა. რამდენი დავა, კონფლიქტი, რომელიც თითქოს გადაუწყვეტელი იყო, მშვიდობიანად დასრულდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თათბირებს უმაღლეს დონეზე.

ყოველი სახელმწიფო თავის საერთაშორისო დავებს სხვა სახელმწიფოებთან წყვეტს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას.

ამიტომ სახელმწიფოები უნდა ესწრაფვოდნენ, რაც შეიძლება მალე და სამართლიანად გადაწყვიტონ თავიანთი საერთაშორისო დავები მოლაპარაკებით, გამოკვლევით, შუამავლობით, შერიგებით, არბიტრაჟით, სასამართლოს არჩევით, რეგიონალური ორგანოების ან შეთანხმებისათვის მიმართვით, ანდა სხვა მშვიდობიანი საშუალებებით არჩევანისამებრ. ამგვარი მოწესრიგების ძიებისას მხარეები უნდა შეთანხმდნენ ისეთ მშვიდობიან საშუალებებზე, რომლებიც შეესაბამებიან დავის გარემოებებსა და ხასიათს.

მოდავე მხარეები მოვალე არიან, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიაღწიეს დავის გადაწყვეტას ერთ-ერთი ზემოხსენებული მშვიდობიანი საშუალებით, განაგრძონ მისწრაფება დავის მოსაწესრიგებლად ურთიერთშორის შეთანხმებული სხვა მშვიდობიანი საშუალებებით.

სახელმწიფოები, რომლებიც მხარეები არიან საერთაშორისო დავაში და აგრეთვე სხვა სახელმწიფოები, თავს უნდა იკავებდნენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია იმდენად გაუარესოს მდგომარეობა, რომ საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და

უშიშროების დაცვას, უნდა იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

საერთაშორისო დავების გადაწყვეტა ხდება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის საფუძველზე და დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებათა არჩევის პრინციპების შესაბამისად. დავის მოწესრიგების პროცედურის გამოყენება ან დათანხმება ისეთ პროცედურაზე, რომელზედაც სახელმწიფოთა შორის თავისუფლად იყო მიღწეული შეთანხმება არსებული ან მომავალი დავების თაობაზე, რომლებშიც ისინი მხარეები არიან, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შეუთავსებელი სუვერენული თანასწორობის პრინციპთან (იხ. თავი XIV).

## *10. სახელმწიფოთა მოვალეობაა ითანამშრომლონ ერთმანეთთან წესდების შესაბამისად*

სახელმწიფოები მოვალენი არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მიუხედავად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების განსხვავებისა, საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა დარგებში იმ მიზნით, რომ დაიცვან საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და ხელი შეუწყონ საერთაშორისო ეკონომიკურ სტაბილობას და პროგრესს, ხალხთა საერთო კეთილდღეობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც თავისუფალია ასეთ განსხვავებაზე აღმოცენებული დისკრიმინაციისაგან.

ამ მიზნით:

ა) სახელმწიფოები თანამშრომლობენ სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვაში;

ბ) სახელმწიფოები თანამშრომლობენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვის დადგენაში ყველასათვის და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და რელიგიური შეუწყნარებლობის ყველა ფორმის ლიკვიდაციაში;

გ) სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნიკურ და სავაჭრო დარგებში სუვერენული თანასწორობისა და ჩაურეველობის პრინციპების შესაბამისად;

დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები მოვალენი არიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მიიღონ ერთობლივი და

ინდივიდუალური ზომები, რომლებსაც წესდების შესაბამისი დებულებანი ითვალისწინებენ.

სახელმწიფოები თანამშრომლობენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. და ხელს უწყობენ მსოფლიოში პროგრესს კულტურისა და განათლების დარგში. სახელმწიფოები უნდა თანამშრომლობდნენ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდისათვის ხელის შეწყობის საქმეში.

## 11. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება

სახელმწიფოები კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც იმ ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარეობენ, აგრეთვე იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ხელშეკრულებებიდან თუ სხვა შეთანხმებებიდან, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან.

თავიანთ სუვერენულ უფლებებს, მათ შორის იმ უფლებებს, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა შემოიღონ თავიანთი კანონები და ადმინისტრაციული წესები, ისინი უფარდებენ თავიანთ იურიდიულ ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა ვალდებულებანი, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ეწინააღმდეგება სხვა რომელიმე ხელშეკრულებით, თუ სხვა საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლის შესაბამისად, უპირატესი ძალა ეძლევა წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

# თავი IV

## თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტები

### *1. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნება და სახეები*

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი „სახელმწიფოთაშორისი სამართალი". ე.ი. მისი ძირითადი სუბიექტები სახელმწიფოებია. საეროაშორისო სამართლის სპეციფიკურობა განაპირობებს სუბიექტის ცნების თავისებურებასაც – **საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, სამართლის სხვა დარგების სუბიექტისაგან განსხვავებით, წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ისეთ მონაწილეს, რომელიც არა მარტო ფლობს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას.**

მხოლოდ **სახელმწიფოებს** გააჩნიათ სრული უფლებაუნარიანობა. იგი ეყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად პრინციპებსა და ნორმებს და პრაქტიკულად უსაზღვროა, თუკი სახელმწიფოს საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ძირითად საწყისებს.

თანამედროვე საეროაშორისო სამართალი გარკვეული მოცულობით სუბიექტად ცნობს აგრეთვე თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს, ან ხალხს(იხილე "ერის" და"ხალხის" ცნებების შესახებ მსჯელობა ზემოთ თავი III) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 1-ლი მუხლის მე-2 პარაგრაფი და 55-ე მუხლი აღიარებს ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლებას. იგივე დებულებას შეიცავს გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის „დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ". „1970 წლის დეკლარაცია". (იხ. თავი III).

ამგვარად, ერი ან ხალხი, რომელიც ითხოვს დამოუკიდებლობას, მაგრამ მეტროპოლის წინააღმდეგობის გამო იძულებულია მიმართოს იარაღს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით აწარმოებს

„შეიარაღებული თავდაცვის“ კოლონიზატორთა აგრესიის წინააღმდეგ. ასეთ ერს ან ხალხს მიენიჭება მთელი რიგი უფლებანი და ეკისრება ვალდებულებანი. ამ უფლებათა და მოვალეობათა მოცულობა დამოკიდებულია თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის ან ხალხის ბრძოლის ორგანიზებულობაზე.

თუ მიეცემა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აგრესიულ ომს კანონგარეშედ აცხადებს. თავისთავად ნათელი გახდება სხვა სახელმწიფოების მოვალეობა აღნიშნულ სიტუაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა, რაც შეიძლება სწრაფად მოულოს ბოლო წარმოშობილ კონფლიქტებს და აიძულოს კოლონიზატორი, შეასრულოს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა – ცნოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის დამოუკიდებლობა. მაგრამ თუ ორგანიზაცია ვერ ახერხებს კონფლიქტის ჩახშობას და ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდება, იგი კანონიერ ფორმებში უნდა მიმდინარეობდეს.

ბრძოლის პირველივე ნაბიჯებიდან მეტროპოლია მოვალეა მოეკიდოს აჯანყებულებს როგორც მეომარ სახელმწიფოს, ე.ი. ბრძოლა უნდა წარმოებდეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ომის კანონებისა და ჩვეულებების შესაბამისად.

ასევე უნდა ეკიდებოდნენ მებრძოლ ერს (ხალხს) სხვა სახელმწიფოები – მათი დახმარება მებრძოლი ქვეყნებისადმი განიხილება როგორც კანონიერი აქტი და ვერ ჩაითვლება სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად, თუ ბრძოლის შედეგად ერი (ხალხი) ახერხებს გარკვეული ტერიტორიის განთავისუფლებასა და ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების შექმნას, მას ენიჭება ყველა საერთაშორისო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებს ეკრდნობა.

როდესაც ერი (ხალხი) მიმართავს გამათავისუფლებელ ომს ან შეიარაღებულ აჯანყებას, მისი ნების გამომხატველი ორგანოა ეროვნული არმია ან სხვა სახის შეიარაღებული ძალები, მათი ხელმძღვანელობა, დროებითი მთავრობა ან

წინააღმდეგობის გამწვევი მოძრაობის სხვა პოლიტიკური ორგანიზაციაა.[29]

თუ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მშვიდობიან ფორმებში მიმდინარეობს, ერის (ხალხის) ინტერესებს გამოხატავენ ის არსებული წარმომადგენლობითი დაწესებულებანი და მათი აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის გარდამავალ ეტაპზე ყალიბდებიან როგორც შინაგანი თვითმმართველობის ორგანოები.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე აღნიშნული ორგანიზაციები და ორგანოები უფლებამოსილნი არიან: დაამყარონ საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში;[30] დაარსონ სხვა სახელმწიფოებში თავისი მუდმივი წარმომადგენლობა დიპლომატიური სტატუსით;[31] ხელი მოაწერონ საერთაშორისო

---

[29] ნამიბიის (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის) ხალხის ბრძოლას ნამიბიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ხელმძღვანელობდა „სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია“ (SVAPO), რომელიც შეიქმნა 1960 წელს. პალესტინელი ხალხების ინტერესს წარმოადგენდა „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია“ (PLO, OOI), ორივე ორგანიზაცია ცნობილი იყო მრავალი სახელმწიფოს მიერ, როგორც თავისი ხალხის ინტერესების ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი, ასეთივე პოზიციას ადგას გაერო და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციები.

[30] PLO მონაწილეობდა გაერო-ს ორგანოების მუშაობაში მეთვალყურის სტატუსით, მათ იწვევენ საერთაშორისო ორგანოების სხდომებზე. 1976 წელს არაბეთის სახელმწიფოების ორგანიზაციამ მიიღო PLO თანასწორუფლებიან წევრად.

[31] PLO-ს წარმომადგენლები აკრედიტებული იყვნენ მრავალი სახელმწიფოს მთავრობასთან, სადაც ფაქტიურად მათ დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსი გააჩნიათ. ზოგიერთმა სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა PLO-ს „სრული დიპლომატიური ცნობის“ შესახებ, რაც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობებს ასეთ ქვეყნებში ოფიციალურად სრულ დიპლომატიურ სტატუსს მიანიჭებდა. PLO-ს წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის ჟენევის 1949 წლის კონვენციას ომის მსხვერპლის დაცვის შესახებ.

ბოლო ხანებში პალესტინის ავტონომიამ ჩაანაცვლა PLO და აქტიურად იღწვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსის მოსაპოვებლად. 2012 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა

ხელშეკრულებებს, თუკი უკანასკნელის დებულებანი ამას ითვალისწინებს.

საერთაშორისო სამართლის არაძირითად, განსაკუთრებულ სუბიექტს წარმოადგენს საერთაშორისო გაერთიანებანი, რომლებიც სახელმწიფოთაშორის ხასიათს ატარებენ – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი სპეციალიზებული დაწესებულებანი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო საფოსტო საბჭო და ა.შ.), მეცნიერთა უმრავლესობა ასეთ ორგანიზაციებს მიაკუთვნებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა რიცხვს იმის გამო რომ ისინი წარმოადგენენ არა სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებს, მოქმედებენ საერთაშორისო ასპარეზზე მათი წესდებით გათვალისწინებული უფლებაუნარიანობის ფარგლებში. ეს წესდებანი ანიჭებენ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების და შესრულების უფლებას.

რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავაიგივოთ სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობის ხასიათი, მისი მოცულობა. სახელმწიფო არის პირველადი, ძირითადი სუბიექტი, საერთაშორისო ორგანიზაცია კი მეორადი, არაძირითადი, წარმოებული სუბიექტია, რომლის უფლებაუნარიანობა ზუსტადაა განსაზღვრული, უპირველეს ყოვლისა, წესდებით და არა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით.

ზოგიერთი მეცნიერი აზვიადებს საერთაშორისო ორგანიზაციების უფლებრივ მდგომარეობას და აწერს მათ „ზესახელმწიფოებრივ", „მსოფლიო მთავრობის" თვისებას (შ. რუსო, გ. ლუტერპახტი), უპირისპირებს მათ წევრ-სახელმწიფოებს. მაგრამ ეს შეხედულება ვერ პოულობს დიდ გამოხმაურებას თეორიასა და პრაქტიკაში.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის გვეელინებიან ისეთებიც, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდებიან სახელმწიფოების, ერების და საერთაშორისო ორგანიზაციების სუბიექტების საწყისებისაგან. ეს სუბიექტები ხელოვნურად შექმნილი ერთეულებია, რომლებიც სპეციფიკური

---

ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პალესტინის ავტონომიას მიენიჭა „არაწევრი მეთვალყურე სახელმწიფოს" სტატუსი გაეროში, მაგრამ ეს არ ნიშნავს ავტონომიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას.

ნიშნით ხასიათდებიან და რომელთა უფლებაუნარიანობა პრაქტიკულად ვიწრო, დანიშნულებით ხასიათს ატარებს.

საერთაშორისო სამართლის სპეციფიკურ სუბიექტს წარმოადგენს წმინდა საყდარი[32], რომელიც იტალიასთან 1929 წელს დადებული შეთანხმების ძალით აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

იტალიის მთავრობა იძლევა გარანტიას, რომ არ ჩაერევა ვატიკანის საშინაო და საგარეო საქმეებში, იტალიის ტერიტორიაზე ტრანზიტისა და კომუნიკაციების გამოყენების ჩათვლით. ვატიკანში ან საზღვარგარეთ მიმავალი უცხო ქვეყნების ელჩები სარგებლობენ იტალიის ტერიტორიაზე სრული დიპლომატიური იმუნიტეტით, თუნდაც ამ სახელმწიფოს არ ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობა იტალიასთან. ვატიკანს აქვს აქტიური და პასიური დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება. ვატიკანი აქტიურად თანამშრომლობს იმ სახელმწიფოებთან, სადაც ძლიერია კათოლიკური რელიგია, იჩენს ინტერესს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის პრობლემისადმი, ადამიანის უფლებების და სხვა საკითხისადმი. ამ მიზნით პაპის ნუნციები (ელჩები) და ინტერნუნციები (დესპანები) მრავალ ქვეყანაში და საერთაშორისო ორგანიზაციაშია მიელინებული, მათ ან დიპლომატიური წარმომადგენლობის სტატუსი გააჩნიათ (კათოლიკურ ქვეყნებში) ან მეთვალყურის (საერთაშორისო ორგანიზაციების შტაბ-ბინაში) მათი ორგანოების სესიების დროს. მეტიც, ვატიკანი ზოგიერთი სამთავრობათშორისო ორგანიზაციის წევრიც კი არის და რიგი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.

---

[32] ვატიკანი – ქალაქ-სახელმწიფო, რომის პაპის რეზიდენცია (განლაგებული რომის დასაელეთ ნაწილში, ბორცვზე მონტე-ვატიკანო), ტერიტორია 0,44 კვ. კმ. მოსახლეობა – ათასი. ამ მინი სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური თვით პაპია, რომელსაც ირჩევს სათათბირო ორგანო – კარდინალების კოლეგია. 1929 წლამდე პაპი ოპოზიციაში ედგა იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებას, არ ცნობდა მისი გაერთიანებისა და პაპის ხელისუფლების შეზღუდვის ფაქტს. 1929 წლის ლატერანის შეთანხმებით ეს საკითხი მოწესრიგდა. პაპის ხელისუფლება ვრცელდება ვატიკანის საზღვრებს და ყველა კათოლიკურ სახელმწიფოს მოსახლეობას სწვდება; მას ემორჩილება ყველა კათოლიკური ეკლესიის სამღვდელოება, რომელიც 2 მილიონს აღწევს.

დაბოლოს, მეცნიერთა ეიწრო ჯგუფი ცდილობს დაასაბუთოს თეზისი, თითქოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც (გ. სელი, მ. სორენსენი, ა. ალვარეცი). ეს თეორია მიმართულია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ცდილობს გაამართლოს „ადამიანის უფლებათა დაცვის“ მოტივით ჩარევა სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ფიზიკური პირი სარგებლობს გარკვეული უფლებებით მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ფიზიკური პირები მოკლებულნი არიან საერთაშორისო სამართლის ნორმათა შექმნისა და დაცვის უფლებას. ფიზიკური პირები მოქმედებენ როგორც გარკვეული სახელმწიფოს მოქალაქენი და მხოლოდ ამიტომ სარგებლობენ ამ უფლებით; ამ უფლებათა დაცვას აწარმოებს არა თვით ფიზიკური პირი, არამედ მისი სახელმწიფო. ფიზიკურ პირს არა აქვს უფლება მიმართოს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას პრეტენზიებით თავის ან უცხო სახელმწიფოს მიმართ. ის მხოლოდ იყენებს სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად წარმოშობილ უფლებებს ან მოვალეა შეასრულოს გარკვეული ვალდებულებანი, რომელიც პასუხს აგებს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების საფუძველზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი აგრესიული სახელმწიფოს ხელმძღვანელია და მისი ბოროტმოქმედება შეიდობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ თავისი მასშტაბით საერთაშორისო ხასიათს ატარებს, მისი გასამართლება ხდება საერთაშორისო სასამართლოში (ტრიბუნალში) და საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე. მაგრამ ეს უკვე საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროა, სადაც ფიზიკური პირი დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი სახეა. (იხილე თავი VII)

ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად და ტიპიურ სუბიექტს მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენს. განვიხილოთ მისი სამართლებრივი მდგომარეობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

## *2. სუვერენული სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი*

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად გვევლინება მხოლოდ ისეთი სახელმწიფო,

რომელიც მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლად. თვითონ განსაზღვრავს და წყვეტს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს. **ნიშან-თვისებას, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებლობას რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან საერთაშორისო ასპარეზზე, სახელმწიფო სუვერენიტეტი ეწოდება, ხოლო ამ ნიშან-თვისების მქონე სახელმწიფოს – სუვერენული სახელმწიფო[33].**

---

[33] „სუვერენიტეტის" ცნება (souverainete – ფრანგ. უზენაესობა) ჩამოყალიბდა XV-XVI საუკუნეებში, ფეოდალური სახელმწიფოს წიაღში, ფეოდალური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ მებრძოლთა იდეოლოგების მიერ ფეოდალიზმის წიაღში შობილი კაპიტალისტური საწყისები წარმოშობს პროგრესულ იდეოლოგიას, რომელიც ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ქმნის მეფის ხელისუფლების უზენაესობის და განუსხვისებლობის კონცეფციას (მეფის სუვერენიტეტის თეორია). რუსეთში ეს კონცეფცია ჩამოყალიბდა XV-XVI სს., ხოლო დასავლეთ ევროპის ცალკეული სახელმწიფოების ბრძოლამ კათოლიკური ეკლესიის მეთაურთან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და, აგრეთვე, მსხვილი ფეოდალების თარეშის ასალაგმაებად შექმნა ის ნიადაგი, რომელზედაც გაიფურჩქნა დიდი ფრანგი მეცნიერის – ჟან ბოდენის მეცნიერული ნიჭი. მისი შრომა „ექვსი წიგნი რესპუბლიკის შესახებ" (1576) აღიარებულ იქნა მთელი მაშინდელი მსოფლიოს მიერ, როგორც სუვერენიტეტის შესახებ მოძღვრების ქვაკუთხედი. ბოდენის აზრით, სუვერენიტეტი უსაზღვრო და აბსოლუტური, უმაღლესი და მუდმივი ხელისუფლებაა საზოგადოების წევრთა მიმართ, ხოლო ამ ხელისუფლების მატარებელი – მონარქია, რომლის ბრძანება ქვეყნის შიგნით უსიტყვოდ უნდა განხორციელდესო.

ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგებმა გამოიყენეს ბოდენის მოძღვრება თავისი კლასობრივი ამოცანების გადასაწყვეტად. ებრძოდა რა აბსოლუტიზმს, ბურჟუაზია მშრომელი მასების დარაზმვის მიზნით აყენებდა მთელ რიგ დემოკრატიულ ლოზუნგებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი სახალხო სუვერენიტეტის თეორიას უჭირავს. ამ თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჟან-ჟაკ რუსო ნაშრომში – „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები" (1762 წ.) ასაბუთებდა ხალხის უფლებას – თვით განაგოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ბედი. სუვერენიტეტი, მისი აზრით, საერთო ნების განხორციელებაა, სწორედ ხალხის ნებაა უზენაესი და განუსხვისებელი და არა უზურპატორ-მეფისა.

აღსანიშნავია, რომ სუვერენიტეტის კონცეფცია ცნობილი იყო ჯერ კიდევ X-XIII სს. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, რომლებიც მის აღსანიშნავად ხმარობენ შემდეგ ტერმინებს:

სახელმწიფო სუვერენიტეტისაგან განასხვაებენ ეროვნულ სუვერენიტეტს – ერის ან ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. თუ ერი (ხალხი) მოიპოვებს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ადგილი ექნება ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტის შერწყმას. თუ ერი (ხალხი) განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევა, ეს კოლონიის ეროვნული სუვერენიტეტის და მეტროპოლიის სახელმწიფო სუვერენიტეტის ურთიერთშეუთავსებლობას მოწმობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო სუვერენიტეტისაგან განასხვაებენ სახალხო სუვერენიტეტსაც – ხალხის უფლებას აირჩიოს, განამტკიცოს და განავითაროს ის სოციალურ-პოლიტიკური სისტემა და სახელმწიფო ფორმა, რომელიც მას სურს.

ჭამგვარად, სახელმწიფო სუვერენიტეტი არის ერის (ხალხის) პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის ნიშან-თვისება, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის სამართლებრივი გამოხატულება. სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპზე დაყრდნობით მშვიდობისმოყვარული სახელმწიფოები იბრძვიან ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროგრესისათვის.

სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი ინსტიტუტია, მისი ხერხემალია, რომლის გარეშე შეუძლებელია უკანასკნელის არსებობა.

სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემაზე ლაპარაკობს თითქმის ყველა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებანი, შეპანხმებანი, დეკლარაციები და კომუნიკე[34]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია წევრ-სახელმწიფოების „სუვერენიტეტის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვა“ (მუხ. 1). საერთოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთლიანად აგებულია სუვერენიტეტის პრინციპზე, რომელიც ამ ორგანიზაციის საქმიანობის ქვაკუთხედადაა აღიარებული.

---

„ერთგულება“, „ერთმთავრობა“, „თვითმპყრობელობა“ (იხ. ლ. ალექსიძე, საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და სუვერენიტეტის ქართული კონცეფცია (X-XIII სს.), თსუ „შრომები“, 1959, №69, გვ. 19-34).

[34] იხ. არაბეთის სახელმწიფოთა ლიგის პაქტის (1945 წ. 22 მარტი), მე-2 მუხლი, ამერიკის სახელმწიფოს ორგანიზაციის (1948 წ. 30 აპრილი) წესდების მე-5 მუხლი, ბანდუნგის კონფერენციის (1955 წ.) დეკლარაცია საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის შესახებ.

## 3. რთული სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტები

როგორც საერთაშორისო სამართლის კურსიდანაა ცნობილი, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის მიუხედავად გეხვდება მარტივი (ანუ უნიტარული) და რთული (ანუ ფედერაციული ან კონფედერაციული) სახელმწიფოები.

მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა უნიტარულია. მხოლოდ ათიოდე სახელმწიფოა ფედერაციული (აშშ, შვეიცარია, ავსტრალია, ბრაზილია, ინდოეთი, ბირმა და სხვა). ამ ფორმის სახელმწიფო არ ცნობს[35] ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლებრივ ქმედუნარიანობას. ასეთ სახელმწიფოს, ისევე როგორც ეს უნიტარული სახელმწიფოს შემთხვევაშია, საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ ხელისუფლების ცენტრალური (ფედერალური) ორგანოები წარმოადგენენ. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ფედერაციის წევრებს ენიჭება შეზღუდული საერთაშორისო სამართლებრივი კომპეტენცია, მაგ. მეზობელ სახელმწიფოსთან სასაზღვრო რეჟიმის შესახებ შეთანხმების დადება, რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციათა ორგანოებში მონაწილეობა (მაგ., ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი, რომლის 636 წევრი 2013 წლის დასაწყისისთვის ევროპის საბჭოს 47 მონაწილე სახელმწიფოს 200,000-ზე მეტ ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენს). ამასთან, აღსანიშნავია, ამგვარ ორგანოებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნიტარული სახელმწიფოების რეგიონებსაც ეძლევათ. მაგალითად

---

[35] 1933 წლის 26 დეკემბრის კონვენცია ამერიკის სახელმწიფოების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, გამოხატავს რა ამერიკის კონტინენტზე შემოღებულ წესს, აღნიშნავს: „ფედერაციული სახელმწიფო შეადგენს მხოლოდ ერთ პირს საერთაშორისო სამართლის წინაშე“ (მუხ. 2); იგივე პრინციპია გაერცელებული ევროპაში (შვეიცარია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ასე მაგ., შვეიცარიის კონსტიტუციის მე-8 მუხლის ძალით: „მხოლოდ კავშირს აქვს უფლება გამოაცხადოს ომი, დადოს ზავი, აგრეთვე დაამყაროს უცხო სახელმწიფოსთან კავშირი და დადოს ხელშეკრულებანი, განსაკუთრებით საბაჟო და საფაჭრო“.

ბოლო წლებში ზოგიერთი სახელმწიფო (გფრ., ავსტრია) აძლევს ფედერაციის წევრებს შეზღუდულ საერთაშორისო უფლებაუნარიანობას – ძირითადად მოსაზღვრე საკითხების მოწესრიგებაში, ეროვნული პარკების მოვლაში და ა.შ.

შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს სხვა რეგიონების მონაწილეობა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესში.

კონფედერაციული სახელმწიფოს წევრები ინარჩუნებენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსს, ე.ი. ინარჩუნებენ საერთაშორისო უფლება-ქმედუნარიანობას ან უსაზღვროდ ან კონფედერაციული ორგანოების კომპეტენციასთან შესაბამისად. ეს ფორმა ბურჟუაზიული რევოლუციისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპზე შეიქმნა, (მაგ. ამერიკის შეერთებული შტატების კონფედერაცია, რომელიც შეიქმნა ბრიტანეთის იმპერიისაგან გამოყოფილმა 13- მა დამოუკიდებელმა შტატმა 1776-1787წ.წ.), ხოლო შემდეგში, ბურჟუაზიული წყობის გაბატონებასა და გაძლიერებასთან ერთად, რაც ცენტრალიზებული ტენდენციით ხასიათდება, იგი ქრება საერთაშორისო ასპარეზიდან. მაგრამ, დღეს, როდესაც ერიუნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე 120-ზე მეტი სახელმწიფო გამოვიდა, მოსალოდნელია კონფედერაციული სახელმწიფოების შექმნა.

ყოფილი საბჭოთა კავშირი, რომელიც ოფიციალური ვერსიის თანახმად შეიქმნა მოკავშირე რესპულიკების ხალხთა სრული თავისუფლების პირობებში გამომჟღავნებული ნება-სურვილის შედეგად, სინამდვილეში ძალით შეკოწიწებულ „ფედერაციას“ წარმოადგენდა, რომელიც ფაქტობრივად უნიტარულ საწყისებს ეყრდნობოდა და მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას უგულვებელყოფდა მძლავრი პარტიული და დამსჯელი ორგანოების სისტემის მეშვეობით.

ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო სამართლებრივი უფლებაუნარიანობა. 1944 წლის 1 თებერვლიდან ყველა მოკავშირე რესპუბლიკას მიეცა უფლება დაედო საერთაშორისო ხელშეკრულებები, გაეგზავნა და მიეღო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები. სსრკ 1977 წლის კონსტიტუციით მათ მიეცათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში. ეს უფლებები აღნუსხული იყო საქართველოს სსრ 1938 და 1978 წლების კონსტიტუციებშიც.

მაგრამ უკრაინისა და ბელორუსის გარდა, არც ერთ სხვა რესპუბლიკას ამ უფლებათა რეალიზაციის საშუალება არ ეძლეოდა. თვით უკრაინის და ბელორუსის უფლებებიც გაეროს სისტემით შემოიფარგლებოდა. თავად გაეროშიც ამ ორი რესპუბლიკის წევრობაც მხოლოდ ნომინალური იყო, რადგან სინამდვილეში არც ერთ მათგან არ ჰქონდა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება.

სსრ კავშირის დაშლის პროცესში ზოგმა რესპუბლიკამ, მათ შორის საქართველომ, აქტიური ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად საერთაშორისო ასპარეზზე.

ქართველმა ხალხმა მკაფიოდ გამოხატა თავისი ნება-სურვილი ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისს, როდესაც თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია მოახდინა და XIX საუკუნის პორველ ნახევარში რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა აღადგინა.

1990 წლის 31 მარტს საქართველოს ხალხმა ეროსულოვნად მისცა ხმა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას და უარი თქვა ძალით თავსმოხვეული სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსზე. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აცხობა მსოფლიოს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის შესახებ.

სამწუხაროდ შემდგომმა შიდაპოლიტიკურმა ცხოვრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის აღიარების პროცესი 1991-1992 წლების მიჯნაზე. მაგრამ 1992 წლის გაზაფხულიდან საქართველო აქტიურად ჩაება საერთაშორისო ურთიერთობებში როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი.

დღეისათვის საქართველო აღიარა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრის მიერ 2013 წლის დასაწყისის მდგომარეობით 170 სახელმწიფომ დაამყარა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობანი. მათგან 95 სახელმწიფოს აქვს მუდმივმოქმედი დიპლომატიური მისია, რომელთა უმრავლესობა საქართველოშია განთავსებული, თუმცა მცირე ნაწილი საქართველოსთან ურთიერთობასს ფარავს მეზობელი სახელმწიფოებიდან. იდება საერთაშორისო ხელშეკრულებები, კონვენციები.

## 4. სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, წარმოშობა და გაქრობა

დროთა განმავლობაში საერთაშორისო სამართლის სუბიექტების რიცხვი და შემადგენლობა არ რჩება უცვლელი – იქმნება („იბადება") ახალი სახელმწიფოები, ხოლო სხვა სახელმწიფოები ქრებიან ან განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებას. ის დრო, როდესაც სახელმწიფო წარმოიშობოდა პირველყოფილი თემური წყობილების კლანებად გათიშვის შედეგად, უკვე დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას. დღევანდელ პირობებში „ახალი" სახელმწიფო" ნიშნავს საერთაშორისო სიმართლის ახალ სუბიექტს, ე.ი. ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს. საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა გვიჩვენებს ახალი სახელმწიფოების „დაბადების" სხვადასხვა საშუალებებს, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1. **ერთი სახელმწიფოს რამდენიმე სახელმწიფოდ გაყოფა.** 1831 წელს ნიდერლანდების ადგილზე შეიქმნა ორი სახელმწიფო – ბელგია და ჰოლანდია.

1919 წელს ავსტრია-უნგრეთის ადგილზე შეიქმნა სახელმწიფოები: უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია, პოლონეთი და ავსტრია. ყოფილი ერთიანი გერმანიის ადგილზე 1948-1949 წწ. შეიქმნა ორი სახელმწიფო – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, 1998 წელს დაიშალა ჩეხოსლოვაკია.

2. **ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად.** 1810 წელს ესპანეთსა და პორტუგალიას გამოეყო სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის კოლონიები და შეიქმნა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ჩილე, ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი და სხვა.

1954 წელს ჰოლანდიას გამოეყო ინდონეზია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

1945-1990 წწ. მეტროპოლიებს ჩამოშორდა 120-ზე მეტი კოლონია, რომლებიც დღეს პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ყოფილი რუსეთის იმპერიის ადგილზე შეიქმნა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც გამოეყვნენ რუსეთს – უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ხივა, ბუხარა, რომლებმაც მალე

დაკარგეს დამოუკიდებლობა სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნით. მაგრამ 1989-1991 წწ. დაიშალა სსრ კავშირი და საერთაშორისო ასპარეზზე 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოვიდა.

3. **რამდენიმე სახელმწიფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება.** 1867 წელს ავსტრიამ და უნგრეთმა შექმნეს ერთი სახელმწიფო – ავსტრია-უნგრეთის; სირიისა და ეგვიპტის გაერთიანება არსებობდა 1958-1960 წლებში. ვესტ-ინდოეთის ფედერაცია შეიქმნა 1958 წელს, 1961 წწ. შეიქმნა კამერუნის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც ორ კამერუნს მოიცავდა. 1991 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეუერთდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.

რაც შეეხება სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სუბიექტის გაქრობის („კვდომას"), აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი შემთხვევები:

1. რამდენიმე სახელმწიფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება. 1867 წელს ავსტრია-უნგრეთის შექმნის შედეგად ავსტრიამ და უნგრეთმა შეწყვიტეს დამოუკიდებელი არსებობა, დაკარგეს თავისი საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტობა და ერთიან სუბიექტად იქცნენ.

2. ერთი სახელმწიფოს რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფა. ავსტრია-უნგრეთის დაშლის შედეგად ავსტრიამ და უნგრეთმა კელავ შეიძინეს საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტის სტატუსი (1919 წ.), სამაგიეროდ ავსტრია-უნგრეთმა, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივმა სუბიექტმა შეწყვიტა არსებობა. იგივე ითქმის ჩეხოსლოვაკიაზე.

ასეთია სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის გაქრობის ის გზები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს ანექსიას, მაგრამ ასეთი შეხედულება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად. მართალია, ანექსიის შედეგად ანექსირებული სახელმწიფო კარგავს თავის დამოუკიდებლობას, ე.ი. ქრება როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მაგრამ ეს აქტი ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და არ შეიძლება იყოს აღიარებული სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის გაქრობის ერთ-ერთ საშუალებად. ანექსია დღეს კანონგარეშედაა გამოცხადებული.

## 5. საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა

**ცნობის სახეები,** როგრც აღნიშნული იყო საერთაშორისო ასპარეზზე დროთა განმავლობაში ჩნდებიან ახალი სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურად ებმებიან საერთაშორისო ურთიერთობებში.

ხშირია შემთხვევები, როდესაც თვითონ სახელმწიფო, როგორც ასეთი, რჩება უცვლელი, მაგრამ ადგილი აქვს სახელმწიფო გადატრიალებას (განსაკუთრებით ხშირია ასეთი მოვლენები ლათინურ ამერიკაში და შუა და ახლო აღმოსავლეთში). ყველა ამ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ ცნობენ ახალ მთავრობას და ყველა ღონეს ხმარობენ მისი ჩამოგდებისათვის. ეს კი ართულებს მოცემული სახელმწიფოს, როგორც საგარეო, ასევე საშინაო მდგომარეობას და არანორმალურ ვითარებას ქმნის მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონში, პირიქით, თუ დანარჩენი სახელმწიფოები, თუნდაც არა ყველა, არამედ გარკვეული ნაწილი თანახმაა გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს ახალ სახელმწიფოსა ან მთავრობასთან, უკანასკნელს საშუალება ეძლევა ნორმალურად შეუდგეს თავის საქმიანობას როგორც საშინაო, ასევე საგარეო დარგში.

ამგვარად, იმისთვის, რომ ახლადწარმოშობილმა სახელმწიფომ ან მთავრობამ დაიკავოს საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობაში ნორმალური ადგილი, საჭიროა დანარჩენი სახელმწიფოები თანახმა იყვნენ დაამყარონ მასთან საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ურთიერთობა ანუ ცნონ იგი.

**თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ცნობის ქვეშ იგულისხმება მოცემული სახელმწიფოს ნების გამომჟღავნება, რომელიც მიმართულია ახლად წარმოშობილ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესისამებრ. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ რა როლს ასრულებს ცნობის ინსტიტუტი საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის ნორმალურად წარმართვის საკითხში.**

დასავლეთის საერთაშორისო-სამართლებრივ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია ორი თეორია, რომელიც სხვადასხვანაირად ხსნის ცნობის ინსტიტუტის მნიშვნელობას და როლს.

**დეკლარაციული თეორია** ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის განვითარების დასაწყის სტადიაზე, როდესაც ფეოდალური სახელმწიფოების ზღვაში აქა-იქ წარმოიშობოდა ახალი, ბურჟუაზიული ტიპის სახელმწიფოები. ეს სახელმწიფოები წარმოიშობოდა ან ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით (მაგ. ამერიკის შეერთებული შტატები – 1776-1787 წწ., საბერძნეთი – 1828 წ. და ა.შ.), ანდა უკვე არსებულ სახელმწიფოში ბურჟუაზიული რევოლუციის (საფრანგეთი – 1789 წ.) გზით.

**დეკლარაციული თეორიის** თანახმად, ცნობა მხოლოდ და მხოლოდ აკანონებს ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ გახდომის ფაქტს. ამგვარად, დეკლარაციული თეორიის მიხედვით, ახლად შექმნილი სახელმწიფო ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, არა იმიტომ, რომ მას ცნობენ, არამედ იმიტომ, რომ ყოველ ახლად შექმნილ სახელმწიფოს (მთავრობას) უფლება აქვს გამოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და დაიცვას თავისი ინტერესები. სხვა სახელმწიფოების მიერ ცნობა მხოლოდ რეგისტრაციას უწევს ამ ფაქტს, საშუალებას აძლევს მოცემულ სახელმწიფოს მაქსიმალურად განახორციელოს საერთაშორისო სამართლით მინიჭებული უფლებები.

დეკლარაციული თეორია ხელს უწყობდა ბურჟუაზიას მის ბრძოლაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე, რადგანაც ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა ფეოდალური სახელმწიფოების (მაგ. საღვთო კავშირი) გაერთიანებულ წინააღმდეგობას იწვევდა. საქმე ხშირად ინტერვენციითაც კი თავდებოდა.

დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მწვავდება ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა კოლონიებსა და დამოუკიდებელ ქვეყნებში ეს ბრძოლა ხშირად წარმატებით მთავრდება. საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ჩნდება, რომელიც იბრძვის თანასწორუფლებიანობისათვის და მოითხოვს არსებული სახელმწიფოებისაგან სათანადო პატივისცემას და ლოიალობას.

**კონსტიტუციური თეორია** ამტკიცებს, რომ თითქოს ახლად წარმოშობილი (მთავრობა) მხოლოდ მაშინ ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, როდესაც მას ცნობენ სხვა სახელმწიფოები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკლებულია უფლებას გახდეს საერთაშორისო ურთიერთობის

სრულუფლებიანი წევრი და გამოიყენოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

დროთა განმავლობაში კონსტიტუციურ თეორიას შეეცვალა ხასიათი, ახალი დემოკრატიული მართლწესრიგის შექმნასთან ერთად მძაფრად დაისვა ახალი სახელმწიფოების სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში მიღების საკითხი. თუ ახლად შექმნილ სახელმწიფოში უხეშად დარღვეულია ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით შექმნილია რასისტული პოლიტიკური რეჟიმი (მაგ., აპარტეიდი ან გენოციდის შედეგად შექმნილი პოლიტიკური წარმონაქმნია). ამის მკაფიო მაგალითია ბრიტანეთის ყოფილი კოლონია სამხრეთ როდეზია, რომელშიც პირველ ეტაპზე (1960 - 1970 წწ.) გაიმარჯვა თეთრკანიანმა უმცირესობამ, რის გამოც მან ვერ მიიღო საერთაშორისო აღიარება, სანამ არ გაუქმდა აპარტეიდის რეჟიმი. სახელმწიფოს ცნობასთან ძალიან ახლოს დგას მთავრობის ცნობის საკითხი. მთავრობის ცნობის საკითხი, როგორც ვთქვით, დაისმის, როდესაც ახალი მთავრობა იღებს ხელში ხელისუფლებას არაკონსტიტუციური ანუ სახელმწიფო გადატრიალების გზით. მაშინ სახელმწიფოები თვით განსაზღვრავენ, თუ რამდენად მისაღებია ახალი მთავრობის ცნობა. მაგრამ ეს პოზიცია არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თვითნებობას.

იურისტები ცდილობენ განსაზღვრონ მთავრობის ცნობის იურიდიული ბუნება, გამოინახოს ის საწყისები, რომლებიც განაპირობებენ ახლად შექმნილი მთავრობის ცნობის აუცილებლობას. ისინი, როგორც წესი, მიმართავენ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკას. ყველაზე გავრცელებულ კრიტერიუმად ითვლება ე.წ. ეფექტურობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, მხოლოდ ისეთი მთავრობა შეიძლება იქნეს ცნობილი, რომელიც ეყრდნობა „მოსახლეობის ნების აშკარა გამოხატულებას", ე.ი. რომელიც „შექმნილია ხალხის ნების გამოვლენების შედეგად და ამ ნებამ მიიღო სათანადო გამოხატულება". ახალი მთავრობის ცნობა დამოკიდებულია ამ მთავრობის „უნარზე და მზადყოფნაზე" შეასრულოს თავისი ქვეყნის საერთაშორისო მოვალეობანი.

სახელმწიფოსა და მთავრობის ცნობის გარდა სხვა სახის ცნობასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

**აჯანყებულ მხარედ ცნობა.** ზოგჯერ, როდესაც ადგილი აქვს არა უბრალო ამბოხებას, არამედ ყვართო მასშტაბის

შეიარაღებულ ბრძოლას, აჯანყებას, სხვა სახელმწიფოებმა შეიძლება ცნონ აჯანყებულთა ორგანიზაცია „აჯანყებულ მხარედ“. ამ შემთხვევაში აჯანყებულებს იხილავენ არა როგორც ბანდიტთა და მეკობრეთა ხროვას, არამედ როგორც მოცემულ ტერიტორიაზე განმტკიცებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელთანაც წარმოებს გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობანი. მაგალითად, უცხო სახელმწიფო ღებულობს ზომებს, რომ უზრუნველყოს აჯანყებულთა ტერიტორიაზე მყოფ თავის მოქალაქეთა დაცვა, ხელი შეუწყოს თავისი სავაჭრო ინტერესების შეუფერხებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ „აჯანყებულ მხარედ“ ცნობს თვითონ დაინტერესებული სახელმწიფო (ე.ი. ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე წარმოებს შეიარაღებული ბრძოლა), იგი აერცელებს აჯანყებულებზე სამხედრო ტყვეობის რეჟიმს და მას არ აქვს უფლება განიხილოს ისინი როგორც სამართლის დამრღვევები. ასე მაგ., 1820 წელს ესპანეთმა ცნო თავისუფლებისათვის მებრძოლი კოლუმბია. „აჯანყებულთა მხარედ“.

**მეომარ მხარედ ცნობა.** როდესაც აჯანყება გადადის სამოქალაქო ომში და მებრძოლი ძალები შედარებით თანაბრდება, შეიძლება ადგილი ჰქონდეს „მეომარ მხარედ“ ცნობას. ამ შემთხვევაში ხელისუფლებისათვის მებრძოლთა პოლიტიკურ ორგანიზაციას მიენიჭება ყველა ის უფლება, რომელიც გააჩნია საომარ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს. მეომარ მხარედ ცნობა ხდება ოფიციალური დეკლარაციის საშუალებით, მაგრამ დაიშვება სხვა აქტებიც, რომლებშიც ჩანს უცხო სახელმწიფოს სურვილი ცნოს მოცემული სტატუსი.

როგორც წესი, სახელმწიფო, რომელიც ცნობს აჯანყებულებს „მეომარ მხარედ“, მოვალეა დაიცვას ნეიტრალიტეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას.

**ერის ცნობა.** ამ სახის ცნობა წარმოიშვა პირველი ომის დროს, როდესაც ჩეხები, სლოვაკები და პოლონელები იბრძოდნენ თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებისათვის. ომის პერიოდში ამ ხალხებმა გამოთქვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის სურვილი და აქტიურად ჩაებნენ სისხლისმღვრელ ომში ანტანტის მხარეზე. საფრანგეთის ტერიტორიაზე დაიწყო ჩეხებისა და პოლონელების ჯარის შექმნა, რადგანაც არც ჩეხებს და არც

პოლონელებს ჯერჯერობით არ გააჩნდათ სახელმწიფო ტერიტორია (იგი დანაწილებული იყო სამთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებს შორის), ანტანტამ ცნო ისინი „მოკავშირე ერებად“ და ხელი შეუწყო მათი სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას[36].

ეჭვიქრობთ, აჯანყებულ და მეომარ მხარეებად ცნობის არსებობა დღეს არ არის გამართლებული, რადგანაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მოითხოვს ყველა სახელმწიფოსაგან, რომლის ტერიტორიაზეც სამოქალაქო ომს აქვს ადგილი, დაიცვას აჯანყებულთა მიმართ ომის კანონები და ჩვეულებანი ყოველგვარი წინასწარი ცნობის გარეშე.[37] არც ერის ცნობა გამოიყენება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში.

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული გზას იკაფავს ცნობის ახალი სახეები. სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზაციების ცნობის სახე ჩამოყალიბდა 1942-1944 წლებში, როდესაც ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი ქვეყნები ცნობენ ჰიტლერულ გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლთა ხელმძღვანელ ორგანოებს და უწევდნენ მათ სათანადო დახმარებას. ეს ორგანოები არ წარმოადგენდა მთავრობებს და მათი უფლებები უფრო ვიწრო იყო, ვიდრე მთავრობის ცნობის დროს. არსებობდა წინააღმდეგობის ორგანიზაციის ორი ჯგუფი: ემიგრაციაში მყოფი (ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კომიტეტი, ეროვნული განთავისუფლების ფრანგული კომიტეტი, დანიის თავისუფლების საბჭო და ა.შ.) ორგანიზაციები და ორგანოები, რომელნიც უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნენ (იუგოსლავიის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტი, ეროვნული განთავისუფლების პოლონეთის კომიტეტი და სხვ.). ყოველ მათგანთან ანტიჰიტლერულმა კოალიციამ დაამყარა სათანადო საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა, რამაც ზემოხსენებულ ორგანიზაციებს დიდად შეუწყო ხელი ჰიტლერული გერმანიის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[36] 1918 წელს ჩეხებს და სლოვაკებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის შექმნის შესახებ. 1918 წ. 4 დეკემბერს ანტანტამ ცნო ჩეხოსლოვაკია. 1993 წელს ეს კავშირი დაიშალა.

[37] იხ. ჟენევის 1949 წლის კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ბედის გაუმჯობესების შესახებ (მუხ. 3-4) და სხვ.

კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ წარმოშვა ცნობის კიდევ ერთი სახე – **ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაციის ცნობა,** რომელიც ახლოს დგას წინააღმდეგობის ორგანიზაციის ცნობასთან[38]. ყოველი ერი, ხალხი, რომელიც იბრძვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის, სარგებლობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მხარდაჭერით. ის ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებიც სათავეში უდგანან ამ ბრძოლას, იცნობიან სხვა ქვეყნების მიერ, როგორც ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაციები და მათთან მყარდება სათანადო საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა, რაც უადვილებს მათ თავისუფლებისათვის ბრძოლას.(იხილე თავი 9)

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს ისეთი ერთეულების გამოყოფას, რომლებიც ძალით გამოეყვნენ დემოკრატულ სუვერენულ სახელმწიფოს[39] და ცდილობენ შექმნან თავისი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, მით უმეტეს, თუ სეპარატისტების რეჟიმმა განახორციელა ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის გენოციდი ან ჩაატარა ეთნიკური წმენდა გენოციდური მეთოდების და საშუალებების გამოყენებით[40]. ამიტომ არ ცნობს სახელმწიფოთა

---

[38] ისტორიულად ასეთი სტატუსით სარგებლობდა ალჟირის განთავისუფლების ფრონტი, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ბრძოლის ფრონტი, ანგოლის განთავისუფლების რევოლუციური ფრონტი და სხვ.

საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობით სარგებლობდა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის განთავისუფლების ორგანიზაცია. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (რომელიც 90-ზე მეტმა სახელმწიფომ ცნო) ცნეს და უწევენ პოლიტიკურ, მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა გაერო, გაერო-განმეკო (იუნესკო) და სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციები, რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები – აფრიკის კავშირის და არაბეთის ქვეყნების ლიგა.

[39] მაგ., ცნობა სახელმწიფომ უარყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები (ტრანსკანია, ბოპუტატსვანა, ვენდა), რომლებიც 1977-1979 წწ. შეიქმნა, რადგანაც ეს აშკარად შენიღბული აპარტეიდის ერთ-ერთი სახეობაა და ფაქტობრივად იმავე „ბანტისტანს“, ე.ი. შავკანიანებისათვის განკუთვნილ ბანაკებს წარმოადგენდა.

[40] ამგვარად, უარყოფილ იქნა სამხრეთ როდეზიის ინგლისისაგან გამოყოფის ფაქტი (1965 წ.) და სმიტის რასისტული რეჟიმის დამოუკიდებლობა. ამ რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციამ შეუწყო

თანამეგობრობა არც აფხაზეთისა და არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და მოითხოვს რუსეთის ფედერაციისგან, უარი თქვას ამ რეჟიმების ცნობაზე, რაც მან გააკეთა საქართველოს ამ ტერიტორიების ოკუპაციის დროს (2008 წლის 26 მაისს).

**ცნობის ფორმები.** საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ცნობის ფორმები ორ კატეგორიად დაეყოთ – ფაქტობრივი და ოფიციალური.

**ფაქტობრივად ცნობა** გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო ამყარებს ახლად შექმნილ სახელმწიფოსთან (მთავრობასთან) საქმიან კავშირს, მაგრამ ამავე დროს თავს იკავებს მისი ოფიციალური ცნობისაგან, ორ სახელმწიფოს შორის წარმოებს მხოლოდ მოლაპარაკება ამა თუ იმ საკითხზე და სხვა, ე.ი. ადგილი აქვს ე.წ. „საქმიან ცნობას".

საქმიანი ცნობის მაგალითია ჟენევის 1954 წლის თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკების წარმომადგენელთა შეხვედრა და საერთო მუშაობა, ოფიციალურ ცნობამდე (1990-1992 წწ.) ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების (ბოსნია-ჰერცოგოვინა, ხორვატია, სლოვენია) ურთიერთობა სხვა სახელმწიფოთა მხრიდან.

**ოფიციალური იურიდიული ცნობა** განსხვავდება ფაქტობრივი (საქმიანი) ცნობისაგან იმით, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფოს (მთავრობის) ცნობის ფაქტი გამოხატული უნდა იყოს რომელიმე დოკუმენტში (დეკლარაცია, ნოტა, ხელშეკრულება). ამგვარად, სახელმწიფომ, რომელიც ცნობს, აშკარად უნდა აღიაროს ცნობის ფაქტი, რის შედეგადაც დაეა იმის შესახებ, ცნობილია თუ არა მის მიერ ახალი სახელმწიფო (მთავრობა), შეუძლებელი ხდება.

ოფიციალური ცნობა შეიძლება იყოს ორი სახის: de facto (დე ფაქტო) და de jure (დე იურე), რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან სამართლებრივი შედეგების მიხედვით. მთავარი განსხვავება მათ შორის გამოიხატება იმაში, რომ პირველ შემთხვევაში სახელმწიფო (მთავრობა) იცნობა,

---

ხელი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და მისცა საშუალება ბოლომდე მიეყვანა ეს ბრძოლა (1980 წ.). დღეს ზიმბაბვე სუვერენული სახელმწიფოა, რომელსაც მთელი მსოფლიო სცნობს.

როგორც სინამდვილეში არსებული, მაგრამ მასთან არ ამყარებენ დიპლომატიურ და ზოგჯერ საკონსულო ურთიერთობასაც კი. ურთიერთობა საეჭვო ხელშეკრულების დადებით ამოიწურება. დე ფაქტო ცნობის დროს დამყარებულ ურთიერთობას აქვს დროებითი, არასტაბილური ხასიათი, დღეს პრაქტიკაში იგი იშვიათად გვხვდება. დე ფაქტო ცნობა მოკლე ხანში იცვლება დე იურე ცნობით, რის შემდეგაც ორ სახელმწიფოს შორის სტაბილური ურთიერთობა მყარდება. ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით – დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ორივე მხრიდან ყველა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო აქტების იურიდიული ძალის აღიარება და ა.შ.

ამგვარად, მხოლოდ დე იურე ცნობა ქმნის ახალ ჯეშმარიტ ნორმალურ მდგომარეობას. იგი, ვიმეორებთ, არ ქმნის ახალ სუბიექტს, არამედ აწესებს ნორმალურ საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობას ძველ და ახალ სუბიექტებს შორის. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კონსტიტუციურ თეორიას აქვს არსებობის უფლება.

ცნობის ინსტიტუტი უნდა ემსახურებოდეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განმტკიცებას, იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხალხთა მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას და გაფართოებას.

საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობის საკითხი, მწვავედ დადგა საქართველოს წინაშე, როგორც 1918-1921 წწ., ასევე 1991-1992 წწ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე მისი მთავრობა ცდილობდა მოეპოვებინა დასავლეთის ქვეყნების და თვით რუსეთის მხრიდან ოფიციალური ცნობა, მაგრამ ამაოდ.

ანტანტის ქვეყნები „საქართველოს საკითხს“ რუსეთის საშინაო საქმედ თელიდნენ და თავს არიდებდნენ საქართველოს ცნობას.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიდო საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთი ცნობდა დე იურე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენობასა და დამოუკიდებლობას, დაიძრა საქართველოს ცნობის პროცესი, ჯერ დე ფაქტო (1920 წლის ბოლომდე), ხოლო დაწყებული 1920 წლის სექტემბრიდან ვიდრე 1921 წლის გაზაფხულამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცნობილ იქნა დე იურე გერმანიის, ბელგიის, საფრან-

გეთის, ინგლისის, იტალიის, იაპონიის, ავსტრიის, რუმინეთის და სხვ. მიერ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთმა მაინც დაარღვია საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედის ნორმები და შეიარაღებული ინტერვენციის ძალით დაიპყრო საქართველო და შეცვალა დემოკრატიული ხელისუფლება მასზე დამოკიდებელი საბჭოთა რეჟიმით, თუმცა გარეგნულად საქართველოს სსრ რჩებოდა დე იურე სუვერენულ სახელმწიფოდ. 1922 წლის დეკემბრიდან – საქართველოს სსრ კავშირში გაერთიანების შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ქმედუნარიანობა ნელ-ნელა წყდება, ხოლო სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტიდან საერთოდ წყდება.

მხოლოდ 1944 წ. 1 თებერვალს საქართველოს ფორმალურად დაუბრუნდა, ისიც შეზღუდულ ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი, , თუმცა ეს უფლება ქაღალდზე დარჩა. 1922-90 წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სსრ ხელისუფლების წარმომადგენლების საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ დელეგაციაში ჩართვით, რასაც ოფიციალური პრესა დიდი სიამაყით აღნიშნავდა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების საერთაშორისო უფლებაუნარიანობის რეალიზაციის გამოხატულებას.

1991 წლის დამლევს, როდესაც აშკარა გახდა, რომ სსრ კავშირის ადგილზე შეიქმნა 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო, დასავლეთის ქვეყნებმა ცნეს ეს სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც, როგორც *დე ფაქტო* არსებული.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად 1991-1992 წლებში აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღიარების პროცესი 1918-1920 წლების მსგავსად განიოთარდა. პირველ ხანებში, მანამ სსრ კავშირის დაშლა რეალურ ფაქტად არ იქცა, დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ საქართველოს რესპუბლიკის ყოველგვარი ცნობისაგან. ამას კიდევ ხელს უწყობდა ის ფაქტორი, რომ „პოსტკომუნისტური რეჟიმი“ საქართველოში ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

1992 წლის გაზაფხულიდან დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის *დე იურე* ცნობის პროცესი (მაგ., აშშ-მ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან 1992 წლის 24 მარტს, რასაც წინ უძღოდა აშშ პრეზიდენტის ჯორჯ

ბუშის განცხადება 1991 წლის 25 დეკემბერს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ).

1992 წელს საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) 179-ე წევრი გახდა. აღსანიშნავია, რომ გაეროში საქართველოს რესპუბლიკის მიღების ფაქტი არ ნიშნავდა ჩვენი ქვეყნის ავტომატურ ცნობას ამ ორგანიზაციის ყველა წევრის მიერ.

არსებული წესის მიხედვით სახელმწიფოს გაეროში ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება არ ნიშნავს ამ ორგანიზაციის წევრების მიერ ახალი წევრ სახელმწიფოს ოფიციალურ ცნობას. ლაპარაკი შეიძლება საქმიან ცნობაზე, რომელიც არავითარ იურიდიულ ვალდებულებას არ წარმოშობს დე იურე ან დე ფაქტო ცნობისათვის.

მიუხედავად ამისა, საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი დღეს ძალზე კარგია, იგი თანამედროვე საერთაშორისო სახელმწიფოთშორისი თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრია.

## 6. სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა

როგორც ზემოთ დავინახეთ, სახელმწიფოები „იბადებიან“ და „კვდებიან“; ეს პროცესი წარმოშობს მეტად რთულ და პოლიტიკურად ძალზე მნიშვნელოვან პრობლემას – ახალი სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობის საკითხს. ე.ი. საერთაშორისო-სამართლებრივი უფლებამოვალეობანი გადადის ძველი სახელმწიფოდან ახლად შექმნილზე. სამართალმემკვიდრეობის საკითხი შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესათვის გარკვეული ტერიტორიის გადაცემის შემთხვევაში. ამდენად, სამართალმემკვიდრეობის შესახებ საუბრობენ მაშინ, როცა განსაზღვრული ცვლილებები ხდება სამართლის სუბიექტთა სივრცეში (სამართალმემკვიდრეობის წინაპირობები) და ამ ცვლილებების საფუძველზე გარკვეული უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრული ფორმით გადადის სამართლის ერთი ან რამდენიმე სუბიექტიდან სამართლის სხვა ერთ ან რამდენიმე სუბიექტზე. სამართალმემკვიდრეობის შესახებ ნორმები ეფუძნებიან რა განსაზღვრულ ცვლილებებს სამართლის სუბიექტთა სივრცეში, არეგულირებენ აღნიშნული ცვლილებების შედეგებს, ანუ უფლებებისა და

ვალდებულებების მემკვიდრეობითობის საკითხს წინამორბედ სუბიექტსა (ან სუბიექტებსა) და მემკვიდრე სუბიექტს (ან სუბიექტებს) შორის.

სამართალმემკვიდრეობის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გაერო-ს საერთაშორისო სამართლის კომისიამ მის კოდიფიცირებას ხანგრძლივი პერიოდი მოანდომა, რომლის შედეგად შემუშავდა და გაიხსნა ხელმოწერისათვის ორი უნივერსალური კონვენცია: 1978 წლის ვენის კონვენცია "ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ" (1996 წელს შეეიდა ძალაში) და 1983 წლის ვენის კონვენცია "სახელმწიფო ქონებასთან, სახელმწიფო არქივებთან და სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ" (ეს კონვენცია 2013 წლის მონაცემებით არაა შესული ძალაში. საქართველომ 1993 წელს მოახდინა მისი რატიფიკაცია).

ამ კონვენციებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მეორეთი შეცვლას, რომელიმე ტერიტორიის საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებლობის ტარებაში.

სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის საკითხი წამოიჭრება როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებების (ორმხრივი, მრავალმხრივი), ასევე სახელმწიფო საკუთრების, საერთაშორისო ვალის, სახელმწიფო არქივის, საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობის და სხვ. სფეროებში.

პრაქტიკაში სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის წინაპირობების განსხვავებულ ტიპებს (კატეგორიებს) ეხედებით. იმის მიხედვით, თუ რომელ ტიპთან გვაქვს საქმე, განსხვავებულია სამართალმემკვიდრეობის მასშტაბიც. არის ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც სამართალმემკვიდრეობის წინაპირობების ნებისმიერი ტიპის შემთხვევაში გადადის მემკვიდრე სუბიექტზე (ან სუბიექტებზე), მაგრამ არის უფლებები და ვალდებულებები, რომელთა გადასვლა მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის წინაპირობების გარკვეული ტიპისათვის არის დამახასიათებელი. სამართალმემკვიდრეობის შესახებ კონვენციების მიხედვით ეს ტიპებია: 1)ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო; 2)სახელმწიფოთა გაერთიანება; 3)სახელმწიფოთა გამოყოფა, (სახელმწიფოს ნაწილების გამოყოფა);

4)სამართალმემკვიდრეობა ტერიტორიის ნაწილთან დაკავშირებით; 5)სახელმწიფოს გაყოფა.

აქედან, პირველი ტიპი კონვენციების მიერ ხელოვნურად ჩამოყალიბდა ძირითადად დეკოლონიზაციის პროცესში შექმნილი ახალი სახელმწიფოებისათვის, მას ეწოდა „ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო“ და ის განმარტებულ იქნა, როგორც სახელმწიფო-მემკვიდრე, რომლის ტერიტორიაც უშუალოდ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის მომენტამდე წარმოადგენდა დამოკიდებულ ტერიტორიას, რომლის (იგულისხმება ტერიტორიის) საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო-წინამორბედი. ამ ტიპისათვის კონვენციები უპირატესად ითვალისწინებს ე.წ. „ტაბულა რაზას“ (tabula rasa — სუფთა დაფა) პრინციპს, რომელიც ათავისუფლებს მემკვიდრე სახელმწიფოს მეტროპოლიის მიერ თავს მოხვეული ვალდებულებებისაგან. ყოველი ახალი სახელმწიფო ძირითადად უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს, რომელ ვალდებულებას ტოვებს ძალაში და რომელს უარყოფს.[41] რაც შეეხება სხვა ტიპებს ე.წ. ჩვეულებრივ შემთხვევებს, აქ კონვენციებით უმეტესწილად დადგენილია მემკვიდრეობითობა და სახელმწიფო-მემკვიდრეები ვალდებულნი არიან შეასრულონ წინამორბედი სახელმწიფოს კონვენციებით განსაზღვრული ვალდებულებები.

სამართალმემკვიდრეობის საკითხი არ წარმოიშობა სახელმწიფო წყობილების ან მმართველობის ფორმების შეცვლის შედეგად, მათ შორის, არც სოციალური რევოლუციის პირობებში, რადგანაც ამ შემთხვევაში, სახელმწიფო განაგრძობს არსებობას როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ანუ სახეზე არაა წინამორბედი და მემკვიდრე სუბიექტები.

### *ა) სამართალმემკვიდრეობა საერთაშორისო*

---

[41] მაგ., ძალის რესპუბლიკის კანონი „დამოუკიდებლობის შესახებ“ (1960 წ. 22 სექტემბერი) აცხადებდა ახალ სახელმწიფოს თავისუფლად „ყველა პოლიტიკურ ვალდებულებისა და კავშირებისაგან“. ანგოლის 1975 წლის კონსტიტუცია აცხადებს: „ყველა ხელშეკრულება, შეთანხმება და კავშირი, რომელთა ძალით პორტუგალიამ დააკისრა ანგოლას ვალდებულებანი, და რომლებიც ავნებენ ანგოლელი ხალხის ინტერესებს, გადაისინჯება“.

**ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო.** ყოველი სახელმწიფო, რომელიც იძენს დამოუკიდებლობას მეტროპოლისაგან ან სხვა სახით არსებულ კოლონიური რეჟიმისაგან (პროტექტორატი, ვასალიტეტი), ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით ძირითადად თავისუფლდებოდა ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც დადო წინამორბედმა მთავრობამ ამ ტერიტორიის სახელით ან გაავრცელა მასზე.

ეს რიდი ნიშნავს, რომ სახელმწიფო მემკვიდრე მოვალეა უარყოს ყველა ხელშეკრულება. მსგავსი რამ არც ხდება, პირიქით, ახალი სახელმწიფოები უარყოფდნენ მხოლოდ არათანასწორუფლებიან, კაბალურ ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვით ხდებოდა მათი ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების უმოწყალო განიავება და ხალხის სასტიკი ექსპლოატაცია. როგორც წესი, ინიშნებოდა გარკვეული ვადა (წელიწადი, ორი წელიწადი) ყველა ხელშეკრულებების შემოწმება გადასინჯვისათვის[42].

მაგრამ „ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ“ ვენის კონვენციის მიხედვით არც ამ კატეგორიის მემკვიდრე სახელმწიფოებს ჰქონდათ უფლება, იმ ხელშეკრულებების უარყოფისა, რომლებიც ლოკალურ ხასიათს ატარებენ, ე.ი. მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან ტერიტორიის რეჟიმის ამა თუ იმ სფეროსთან –სასაზღვრო რეჟიმი, მეზობელ სახელმწიფოსთან ერთად სასაზღვრო ზონაში ელსადგურის ან სხვა ნაგებობების მშენებლობა. ან უკვე აშენებულის ექსპლოატაცია, წყლის რესურსების გამოყენება სხვა სახელმწიფოს ინტერესებისათვის ზარალის მიუყენებლად და სხვ.

---

[42] მაგ., ტანგანიკის მთავრობამ განაცხადა 1963 წელს, რომ ყველა სამართლიანი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ინგლისის მთავრობის მიერ და ვრცელდება ტანგანიკაზე, კვლავაც იმოქმედებს ამ ტერიტორიაზე ორი წლის განმავლობაში, იმ დებულებათა გარდა, რომლებიც გაუქმდა ან შეიცვალა ადრე დადებული ურთიერთშეთანხმების ძალით; ამ ვადის გასვლის შემდეგ ტანგანიკის მთავრობა გადაწყვეტდა – რომელი ხელშეკრულება დარჩებოდა ძალაში და რომელი გამოცხადდებოდა გაუქმებულად.

„ტაბულა რაზას“ პრინციპი არ ვრცელდება თანამედროვე საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე და სხვა ამკრძალავ ნორმებზე, იმპერატიული ნორმების ჩათვლით, მართლაც არც ერთ ახალ სახელმწიფოს არ აქვს უფლება უარყოს თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის საყრდენი პინციპები და ნორმები, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნება მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება. ვენის 1978 წლის კონვენცია სპეციალურ მუხლს შეიცავს (მუხ. 5) სათაურით: „ვალდებულებანი, რომლებსაც აქვთ ძალა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად“. ამ მუხლის თანახმად, სახელმწფო არ არის უფლებამოსილი უგულებელყოს მის მიერ უარყოფილი ხელშეკრულებების ისეთი დებულებანი, რომლებსაც აქვთ ძალა საერთაშორისო სამართლის თანახმად, ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად“.

რაც შეეხება მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, აქაც ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს აქვს უფლება, შეუერთდეს ასეთ ხელშეკრულებას სამართალმემკვიდრეობის ძალით ანდა როგორც ახალი მონაწილე, თუკი ასეთი რამ გათვალისწინებულია მოცემული ხელშეკრულებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ქვეყნები ერთსულოვნად უერთდებოდნენ ყველა იმ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა და პროგრესული განვითარების ხასიათს ატარებს.

**ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანებით (სახელმწიფოთა გაერთიანება) ან ერთი სახელმწიფოს რამდენიმე ერთეულად გაყოფით (სახელმწიფოს გაყოფა) გამოწვეული სამართალმემკვიდრეობა.** როგორც დავინახეთ საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი შეიძლება

---

[43] მაგ., ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია ომის მსხვერპლის დაცვის შესახებ, ჟენევის 1958 წლის ოთხი კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, 1966 წლის საერთაშორისო პაქტები ადამიანთა უფლებათა შესახებ, 1967 წლის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ და სხვ.

შეიქმნას რამდენიმე ყოფილი სუბიექტის ადგილზე[44] ან, პირიქით, ერთი სახელმწიფოს ნაცვლად შეიქმნას რამდენიმე ახალი სახელმწიფო[45].

პირველ შემთხვევაში გაერთიანებულ სახელმწიფოზე გადადის წინამორბედი სახელმწიფოს ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება, თუკი სხვა რამ არ არის დადგენილი სახელმწიფო-მემკვიდრესა და მესამე სახელმწიფოებთან (ე.ი. ხელშეკრულების სხვა მხარეებთან) შეთანხმებით, ან მოცემული ხელშეკრულების ძალით გაერცელება მთელ ახალ ერთეულზე შეუსაბამო იქნებოდა ხელშეკრულების მიზნებსა და ობიექტებთან და ძირფესვიანად შეუცვლიდა მისი მოქმედების პირობებს. მართლაც ვერ გაერცელდება სახელმწიფო-მემკვიდრეზე ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ, ნეიტრალიტეტის შესახებ და სხვ. მსგავსი პოლიტიკური ხელშეკრულებანი მხოლოდ კონკრეტულ სახელმწიფოს ეხება და მკაცრად ინდივიდუალური ბუნების არიან. რასაკვირველია, მხარეთა შეთანხმებით ასეთი ხელშეკრულება შეიძლება გაერცელდეს ახალ შენაერთზე, თუკი ამაზე ხელშეკრულების სხვა მონაწილენი თანახმა იქნებიან. რაც შეეხება ხელშეკრულებებს, რომლებიც სასაზღვრო საკითხებს ეხება, ისინი ავტომატურად გადადიან ახალ შენაერთზე. ავტომატურად გადადის ახალ შენაერთზე საჯარო და ფინანსური შეთანხმებანი, სამეცნიერო-კულტურული სახის შეთანხმებანი და სხვ., რომლებიც მოქმედებენ მხოლოდ იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელსაც ისინი ეხებოდნენ გაერთიანებამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი სახელმწიფო რამდენიმე სახელმწიფოდ იყოფა, მიუხედავად იმისა განაგრძობს თუ არა წინამორბედი სახელმწიფო არსებობას, ყველა მის მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელიც მთელ ტერიტორიას

---

[44] სირიის და ეგვიპტის გაერთიანება 1958 წ. (არსებობდა 1960 წლამდე), ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანება 1964 წ. 1990 წელს გაერთიანდა გერმანიის ფედერაციის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკები და ა.შ.

[45] მაგ., გერმანიის ტერიტორიაზე 1949 წელს შეიქმნა ორი სუვერენული სახელმწიფო – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1947 წელს ინდოეთს გამოეყო პაკისტანი, ხოლო შემდგომ პაკისტანს გამოეყო ბანგლადეში (1971 წ.), 1960 წელს დაიშალა მალის ფედერაცია, რომლის ადგილზე შეიქმნა მალის და სენეგალის რესპუბლიკები.

ეხებოდა, რჩება ძალაში ყოველი გამოყოფილი ნაწილის მიმართ, ხოლო კონკრეტული ტერიტორიის მიმართ მოქმედი ხელშეკრულება გადადის მხოლოდ ამ ტერიტორიის მქონე სახელმწიფოზე.

### *ბ) სამართალმემკვიდრეობა სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო არქივის მიმართ*

რა საშუალებითაც არ უნდა ჩამოყალიბდეს ახალი სახელმწიფო (გაერთიანებით, გამოყოფით და ა.შ.), მასზე გადადის სახელმწიფო საკუთრების ყველა სახე (მოძრავი და უძრავი ქონება) შემდეგი წესით:

1) სახელმწიფო-მემკვიდრის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება მასვე რჩება; 2) უძრავი ქონება, რომელიც ამ ტერიტორიას ეკუთვნის, მაგრამ მის გარეთ მდებარეობს და მას თავის დროზე დაეპატრონა წინამორბედი სახელმწიფო, სახელმწიფო-მემკვიდრეს მიეკუთვნება; 3) თუ მის საზღვრებს გარეთ მდებარე უძრავი ქონება შეიქმნა სახელმწიფო-მემკვიდრის დახმარებით. იგი მიეკუთვნება ამ უკანასკნელს შესაბამისი წილის გამოანგარიშებით; 4) წინამორბედი ხელისუფლების მოძრავი სახელმწიფო ქონება, რომელიც დაკავშირებულია სამართალმემკვიდრეობის ობიექტად ქცეულ ტერიტორიაზე საქმიანობასთან, გადადის სახელმწიფო-მემკვიდრეზე; 5) მოძრავი ქონება, რომელიც გამოყოფილ ტერიტორიას ეკუთვნოდა, მაგრამ შემდგომ გახდა წინამორბედი სახელმწიფოს ქონება, უბრუნდება სახელმწიფო-მემკვიდრეს.

სახელმწიფო არქივების საკითხი რთულია და ძირითადად ურთიერთშეთანხმებით წყდება. მაგრამ უდავოდ ითვლება დებულება, რომელიც მოითხოვს წინამორბედ სახელმწიფოსაგან გადასცეს სახელმწიფო-მემკვიდრეს მის ტერიტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტური და ისტორიული არქივები ან, თუ ისინი ორივე მხარეს ეხება. მისაწვდომი გახადონ სახელმწიფო-მემკვიდრისათვის[46].

---

[46] მაგ., იტალია, 1947 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების ძალით, მოვალე იყო დაებრუნებინა ეთიოპიისათვის ყველა ის არქივი, რომელიც მან ამ ქვეყნის ანექსიის შემდეგ გაიტანა, ე.ი. 1935 წლის 3 ოქტომბრიდან. ალჟირის არქივები, რომლებიც კოლონიამდელ პერიოდს ეკუთვნოდა, ინახებოდა საფრანგეთის ადმინისტრაციის მიერ ქალაქ ალჟირში. ამ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების

### *ბ) სამართალმემკვიდრეობა ვალების მიმართ*

ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი წამოიჭრა ჯერ კიდევ ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციისა და აშშ-ს შექმნის პერიოდში. ორივე შემთხვევაში უარყოფილ იქნა ყველა ის ვალი, რომელიც დაედო ფრანგ და ამერიკელ ხალხს ფრანგი და ინგლისელი მეფეების მიერ და რაც მონარქიული რეჟიმის განმტკიცებისათვის იყო ნასესხები.

ასეთივე გზას დაადგნენ დეკოლონიზაციის პროცესში წარმოქმნილი ქვეყნებიც (სამართალმემკვიდრეობის შესახებ კონვენციების განმარტებით „ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები"), მათ უარი განაცხადეს იმ ვალების გადახდაზე, რომელსაც მეტროპოლია ან პროტექტორი იყენებდა თავის კოლონიური პოლიტიკის რეალიზაციისათვის. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ახალი სახელმწიფოები ყოველთვის უარყოფდნენ წინამორბედი სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალებს. თუ აშკარა იყო, რომ ასეთი ვალი გამოიყენებოდა გათავისუფლებული ტერიტორიის საკეთილდღეოდ (აეროპორტების, ქარხნების და სხვა მსგავსი ნაგებობების მშენებლობა, სამთამადნო მრეწველობის დაარსება, ქალაქების გაშენება-გაუმჯობესებადა ა.შ.), ახალი სახელმწიფო კისრულობდა ვალის გადახდის სათანადო წილს.

სამართალმემკვიდრეობის სხვა ტიპების შემთხვევაში ვენის 1983 წლის კონვენციის მიხედვით დადგენილია შემდეგი წესები. სახელმწიფოთა გაერთიანების დროს, როდესაც ერთიანდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფო და ამით ქმნიან ერთ მემკვიდრე სახელმწიფოს, წინამორბედი სახელმწიფოების ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოზე. სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის, სახელმწიფოს გამოყოფის ან სახელმწიფოთა გაყოფის დროს კი ვალის საკითხი უნდა გადაწყდეს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე. მაგრამ თუ არ არსებობს ასეთი შეთანხმება, წინამორბედი სახელმწიფოს ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოზე (ან სახელმწიფოებზე) სამართლიანი წილით. მაგალითად,

---

შემდეგ საფრანგეთმა გაზიდა ეს არქივები ნანტში. დიდი ბრძოლის შემდეგ ალჟირმა მოახერხა ამ არქივების დიდი ნაწილის დაბრუნება (ალჟირ-საფრანგეთის 1966 წლის შეთანხმების ძალით); სხვა საინტერესო მასალების მიკროფილმები უსასყიდლოდ გადაეცა ალჟირის ეროვნულ ბიბლიოთეკას, 1974 წელს საფრანგეთმა დაუბრუნა ალჟირს კიდევ 155 ყუთი საისტორიო მასალებისა.

კონვენციის 41 მუხლში (სახელმწიფოს გაყოფა) ეკითხულობთ „როდესაც სახელმწიფო იყოფა და წყვეტს თავის არსებობას და წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილები ქმნიან ორ ან რამდენიმე მემკვიდრე სახელმწიფოს, თუ მემკვიდრე სახელმწიფოები სხვაგვარად ვერ შეთანხმდნენ, წინამორბედი სახელმწიფოს ვალი გადადის მემკვიდრე სახელმწიფოზე სამართლიანი წილით, კერძოდ, იმ ქონების, უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც მემკვიდრე სახელმწიფოს გადაეცემა ამ სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით.“ პრაქტიკაში, სამართლიანი წილის განსასაზღვრად გამოიყენება მემკვიდრე სუბიექტის (სუბიექტების) ეკონომიკური პოტენციალისა და მოსახლეობის რაოდენობის კრიტერიუმები, ხოლო თუ კონკრეტული თანხა მთლიანად იყო მოხმარებული გარკვეული ტერიტორიის საკეთილდღეოდ, მისი გადახდა დაეკისრება ამ ტერიტორიის მქონე სახელმწიფოს.

# თავი V

# საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი

## 1. საერთაშორისო ხელშეკრულების ცნება

როგორც აღნიშნული იყო, საერთაშორისო ხელშეკრულება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროა. სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში სწორედ საერთაშორისო ხელშეკრულებამ, ე.ი. მკაფიოდ გამოხატულმა შეთანხმებამ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის მათი უფლებათა და მოვალეობათა შექმნის, შეცვლისა ან შეწყვეტის შესახებ უნდა შეასრულოს მთავარი როლი საერთაშორისო სამართლის ნორმათა შექმნაში.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ცალკე დარგია, რომლის მნიშვნელობა ძალზე დიდია.

მიუხედავად ამისა, მრავალი საუკუნის მანძილზე ხელშეკრულებების ფორმის, დადების, ხელმოწერის, დამტკიცების და სხვ. საკითხები რეგულირდებოდა საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულებითი ნორმებით. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გაერო-ს საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა საერთაშორისო ხელშეკრულებათა მარეგულირებელი ნორმების კოდიფიცირებული ტექსტი მთელი რიგი ახალი დებულებებით. ვენის 1968-1969 წწ. დიპლომატიურმა კონფერენციამ დაამტკიცა ტექსტი. 1969 წლის 23 მაისს გაიხსნა ხელმოსაწერად „ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ", რომელიც შევიდა ძალაში 1980 წელს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მისი რატიფიკაცია მოახდინეს ან შეუერთდნენ.

საერთაშორისო სამართლის კომისია განაგრძობს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის სხვა ასპექტების კოდიფიკაციას და პროგრესულ განვითარებას. შემუშავდა კონვენცია, რომელიც მიზნად ისახავს მოაწესრიგოს სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ან მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებების პროცედურული და არსებითი საკითხები.

ამგვარად, **საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებისა და შეწყვეტის წესს, მათი იურიდიული ძალის ნამდვილობის პირობებს. ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების მოწესრიგების საშუალებებს.**

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ხელშეკრულებების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფოები ცდილობენ დააკონკრეტონ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

## *2. საერთაშორისო ხელშეკრულებათა მხარეები და მათში მონაწილეობის უფლება*

საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარედ გეევლინება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები –

სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა (მაგ., „აჯანყებულ მხარედ" ცნობილნი, ვატიკანი და სხვ.).

ხელშეკრულებების დადების მიმართ საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტი, სახელმწიფო სარგებლობს განუსაზღვრელი უფლებაუნარიანობით, რომელიც მისი სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს და ამ სფეროში არ სჭირდება რაიმე დამატებითი უფლებაუნარიანობა. ასეთივე უფლებით სარგებლობს თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი, მაგრამ იმ ფარგლებში, რომელიც მის ბრძოლასთან არის დაკავშირებული. ასეთი ხალხის პოლიტიკურ ორგანოს, სახელმწიფოს მსგავს უფლებაუნარიანობას იშვიათად ანიჭებენ ხელშეკრულების დამდები მხარეები.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათი სახელშეკრულებო უფლებაუნარიანობა განისაზღვრება ამ სამთავრობათშორისო ერთეულის წესდებით ან ჩამოყალიბებული ჩვეულებით.

საერთაშორისო ხელშეკრულება აკისრებს უფლება-მოვალეობებს მხოლოდ მასში მონაწილე მხარეებს. სხვა სახელმწიფოებზე ე.წ. მესამე სახელმწიფოებზე უფლება-მოვალეობანი არ ვრცელდება. ამ მოქმედებას ჯერ კიდევ რომის სამართლის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი – „ხელშეკრულება არ ქმნის მესამე მხარისათვის არც უფლებებსა და არც მოვალეობებს", უდევს საფუძვლად, მაგრამ, თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, რომელიც არ არის კონკრეტული ხელშეკრულების მხარე, გამოიყენებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს, მას ავტომატურად ეკისრება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობაც.[47]

გამონაკლისს წარმოადგენს ხელშეკრულებანი, მიმართული აგრესიის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ სსრ კავშირს, აშშ-სა და ინგლისს შორის დადებული შეთანხმება-ხელშეკრულებანი მიმართული ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ 1941-1945 წწ. აბსოლუტურად კანონიერი აქტები იყო. გაერო-ს წესდების 107-ე მუხლი აკანონებს ასეთ შეთანხმებებს და აღიარებს მათ ძალას. ეენის კონვენცია ასევე

---

[47] მაგ., დუნაის 1946 წლის კონვენცია, რომელიც ამ მდინარეზე მდებარე სახელმწიფოების, აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის მიერ დაიდო (სულ 16 სახელმწიფო), ანიჭებს დუნაიზე ნაოსნობის უფლებას ყველა სახელმწიფოს სავაჭრო გემებს, რაც ავალებს მათ დაიცვან მდინარეზე ნაოსნობისათვის დადგენილი ყველა წესი.

აღიარებს სახელმწიფოთა უფლებას დადონ ხელშეკრულება აგრესორის პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხების ფიქსაციის მიზნით. ამავე დროს ყოველი ხელშეკრულება, რომელიც იდება აგრესორების და მათი მოკავშირეების მიერ სხვა სახელმწიფოს საზიანოდ, იმთავითვე ბათილად ჩაითვლება (იხ. ქვემოთ პარაგრ. 6).

ვენის კონვენციის 34-ე მუხლი აყალიბებს საყოველთაოდ ცნობილ ყორმულას: ხელშეკრულება არ ქმნის მესამე სახელმწიფოსათვის არც უფლებებს, არც მოვალეობებს მისი თანხმობის გარეშე, ამ თანხმობის გამომქლავნებისათვის კი რამდენიმე საშუალება არსებობს.[48] აქვე უნდა ვახსენოთ ხელშეკრულებების დებულებათა აღიარება ჩვეულებითი ნორმის შექმნის პროცესის გამოყენებით.

ხელშეკრულებანი განსხვავდებიან მხარეთა რაოდენობის მიხედვით. **ორმხრივი ხელშეკრულებები** სახელმწიფოთშორისო ურთიერთობების ყველაზე ტიპიური და მრავალრიცხოვანი სახეა. დღეისთვის მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ ათასს შეადგენს. თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო დიდ და ფართო გამოყენებას პოულობს **მრავალმხრივი ხელშეკრულებები,** რომელთა მეშვეობით იქმნება საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონალური ორგანიზაციები, წესდება საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი არხებზე, სრუტეებზე, მდინარეებზე და ა.შ., ხდება ომის კანონების და ჩვეულებების შემდგომი პუმანიზაცია, ყალიბდება უშიშროების უზრუნველყოფის ნორმები და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც კოდიფიკაციის სახეს ატარებენ. ასეთ აქტებს ეწოდება „ზოგადი მრავალმხრივი ხელშეკრულება". ასეთი ხელშეკრულებები, ისევე როგორც მსგავსი ხასიათის საერთაშორისო აქტები, ყველა სახელმწიფოსათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს და ღია უნდა იყოს ყველასათვის.

ხელშეკრულებაში მონაწილეობა არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე მხარის ცნობასთან ან რაიმე სხვა იურიდიულ საკითხებთან: ხელშეკრულებაში მონაწილეობა არ ნიშნავს

---

[48] ვენის კონვენცია ასეთ 6 საშუალებას ჩამოთვლის: ხელმოწერა, დოკუმენტების გაცვლა, რომლებიც ქმნიან ხელშეკრულებას, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება და შეერთება. ეს სია ამომწურავი არ არის და პრაქტიკამ შეიძლება წარმოშვას ამ ძირითადი საშუალებებისაგან განსხვავებული სახე.

მხარეებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა არ ნიშნავს სხვა მხარეებთან ასეთი ურთიერთობის გაწყვეტას.

დაუშვებელია ხელშეკრულების დადება დაინტერესებული სახელმწიფოს მოუწვეველად, მისი ნება-სურვილის უგულებელყოფით, ეს საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.

## 3. საერთაშორისო ხელშეკრულების დადების წესი და სტადიები

საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლება სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი უფლებათაგანია. ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა ხელშეკრულების შემმუშავებელ კონფერენციაზე, ან შეუერთდეს უკვე არსებულ ხელშეკრულებას, თუ იგი დაინტერესებულია ასეთი შეთანხმებით.

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს რომელ ორგანოს აქვს უფლება იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე მისი სახელით და დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც წესი, ეს უფლება სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურს ეკუთვნის. თუ ხელშეკრულებას ხელს აწერს სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური, ან საგარეო საქმეთა მინისტრი, მათ არ სჭირდებათ არავითარი სპეციალური უფლებამოსილება. მაგრამ თუ ხელშეკრულებას ხელს აწერს რწმუნებული პირი, ამისთვის მას უნდა გააჩნდეს რწმუნების დამადასტურებელი საბუთი.

უფლებამოსილების საბუთის გარდა რწმუნებულს გააჩნია ინსტრუქცია, რომლითაც ის ხელმძღვანელობს ხელშეკრულების დადების დროს და რომლიდანაც გადახვევა თავისი მთავრობის ნებართვის გარეშე მას არ შეუძლია. არ დაიშვება არავითარი ძალდატანება რწმუნებულის მიმართ, მას უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად დაუკავშირდეს თავის მთავრობას დამატებითი ინსტრუქციების მისაღებად. ხელშეკრულებისათვის მიწერა უფლებამოსილების და ინსტრუქციის დარღვევით სახელმწიფოსათვის არავითარ უფლებამოვალეობებს არ ქმნის და იურიდიულად ბათილია.

ამიტომ ხელშეკრულების დადების წინ მხარეები ამოწმებენ თავის უფლებამოსილებას. ყოველი ხელშეკრულების პრეამბულაში აღინიშნება, რომ „მხარეებმა შეამოწმეს

ერთმანეთის უფლებამოსილება, რომლებიც შეესაბამებიან სათანადო ფორმას და სათანადო წესრიგში არიან".

საერთაშორისო ხელშეკრულება იდება ან უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად ან საერთაშორისო კონფერენციის მოწვევით. უკანასკნელ წესს იყენებენ, ძირითადად, მრავალმხრივ ხელშეკრულებათა დადებისათვის., თანამედროვე ეტაპზე ასეთ ხელშეკრულებათა ტექსტი წინასწარ მუშავდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სხვა საერთაშორისო რეგიონალური და სპეციალიზებული ორგანიზაციების ორგანოების მიერ და კონფერენციებზე ამ ტექსტების დასუსტება ან მხოლოდ ოფიციალური ხელმოწერა ხდება.[49]

მაგ., 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ შემუშავდა გაერო-ს მიერ სპეციალურად შექმნილ კონფერენციაზე, რომელიც 1976 წლიდან მუშაობდა.

მხარეთა მიერ შეთანხმებული და დასუსტებული ტექსტი ხელმოწერის ობიექტად იქცევა. შესაძლოა, მხარეებმა ჯერ პარაფირება ირჩიონ, ე.ი. ხელი მოაწერონ მხოლოდ ინიციალების აღნიშვნით. ასეთი ტექსტი შემდგომში არ შეიძლება შეიცვალოს. მთავრობები, ტექსტის გაცნობის შემდეგ, სრულად მოაწერენ ხელს.[50]

საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა სპეციალური წესის დაცვით ხდება, რომლის მიზანია ასახოს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი. ამ წესს **ალტერნატი** ეწოდება. ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის დროს მხარეები სვამენ თავის ხელმოწერას ერთმანეთის გასწვრივ, მარცხნიდან მარჯვნივ, ან ერთიმეორის ქვეშით. პირველ შემთხვევაში მარცხენა ადგილი პირველ ადგილად ითვლება, მეორე შემთხვევაში ასეთ ადგილად ზედა ადგილი

---

[49] ასე მაგ., 1958 წლის ჟენევის კონვენციები საზღვაო სამართლის შესახებ, გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ და ვენის 1963 წლის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ ძირითადში შემუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ.

[50] პარაფირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგალითს მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულება (სამ სფეროში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ) წარმოადგენს, რომელიც მხარეთა მიერ (აშშ, ინგლისი, სსრკ) ჯერ პარაფირებულ იქნა (1963 წლის 25 ივლისს), ხოლო შემდგომ (15 აგვისტოს) – ხელმოწერილი.

ითვლება. ყოველ ეგზემპლარს პირველ ადგილზე აწერს ხელს ის მხარე, რომელთანაც რჩება წინამდებარე ხელშეკრულება.

მრავალმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერისას მხარეები სვამენ თავის ხელმოწერას ქვეყნების სახელწოდების ანბანური წესის მიხედვით, როგორც წესი, გამოიყენება ინგლისური ანბანი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ხელშეკრულებათა დადების დროს მიმართავდნენ რუსულ ანბანს.

ხელშეკრულების დანართს ხელს აწერენ დელეგაციების მეთაურები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ჩაითვლება (დამატებითი მუხლები და ა.შ.). რაც შეეხება დანართებს, რომლებიც საქონლის ნუსხას, საბუთების ნიმუშებსა და სხვა ამგვარ აქტებს წარმოადგენს, მათ, როგორც წესი, ან სულ არ აწერენ ხელს, ანდა ხელს აწერენ დელეგაციების მდივნები.

ხელშეკრულება შედის ძალაში:

ა) ხელმოწერის დღიდან.

ბ) ხელმოწერიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.

გ) სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან ან ამ დღიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.

დ) სარატიფიკაციო სიგელების სათანადო რაოდენობის დაგროვების დღიდან ან ამ დღიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.[51]

ე) ხელშეკრულების დამტკიცების (მიღების) დღიდან ან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, სათანადო პროცედურის შესრულების შემდეგ.

ასეთია ხელშეკრულების როგორც კონკრეტული საერთაშორისო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი აქტის ძალაში შესვლის ძირითადი საშუალებანი, მაგრამ ხელშეკრულების ძალაში შესვლა როდი ნიშნავს იმას, რომ იგი სავალდებულო ხდება ყველა მხარისათვის. ასეთი ხელშეკრულება (ცხადია, რომ ლაპარაკია მრავალმხრივ ხელშეკრულებებზე) სავალდებულო ხდება მხოლოდ მათთვის, ვინც შეასრულა აქტის ძალაში შეყვანისათვის გათვალისწინებული ყველა პროცედურა, მაგ., მოახდინა მისი

---

[51] 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ აცხადებს: – „ეს პაქტი ძალაში შედის სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა (გაერო-ს. ლ.ა.) გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება ოცდამეთხუთმეტე სარატიფიკაციო სიგელი ან შეერთების დოკუმენტი“.

რატიფიკაცია, დაამტკიცა (მიიღო), შეუერთდა და ა.შ. მაგრამ სხვებისთვის, რომლებსაც ასეთი აქტი არ ჩაუტარებიათ, ეს ხელშეკრულება სავალდებულო ძალას არ იძენს, მანამ სანამ ისინი არ გადადგამენ სათანადო ნაბიჯს.

**რატიფიკაციის** ქვეშ იგულისხმება ხელშეკრულების დამტკიცება სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების მიერ. რატიფიკაციას უკუქცეითი ძალა აქვს ხელშეკრულების ხელმოწერის დღის მიმართ. სახელმწიფოს უფლება აქვს უარი თქვას რატიფიკაციაზე და ეს ვერ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო აქტად.

ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს რატიფიკაციის წესებს და იმ ორგანოს, რომლის კომპეტენციაში შედის რატიფიკაციის უფლება. რატიფიკაციის აქტი ფორმდება სარატიფიკაციო სიგელის სახით, რომლითაც მეთაური ატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების დამტკიცების ფაქტს და არწმუნებს, რომ ხელშეკრულება პირნათლად შესრულდება.

სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერას მოყვება საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმოწერა, როგორც საგარეო ურთიერთობისათვის პასუხისმგებელი უწყების ხელმძღვანელისა.

რატიფიკაციისაგან განასხვაებენ ხელშეკრულების დამტკიცებას ანუ მიღებას, რასაც ქვეყნის კონსტიტუცია მიაკუთვნებს ამა თუ იმ კომპეტენტურ ორგანოს, თუკი ხელშეკრულება არ მოითხოვს სარატიფიკაციო პროცედურას. (მაგ., საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლი)

თუ ხელშეკრულება ღია ხასიათისაა, ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს „შეუერთდეს" უკვე ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რისთვისაც ის სპეციალურ განცხადებას აკეთებს და შეერთების აქტს სახელმწიფო-დეპოზიტორს აბარებს მაგ. საქართველომ, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე (1991წ.), გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს აქტი ამ ორგანიზაციის წესდებასთან შეერთების შესახებ. იურიდიული თვალსაზრისით, შეერთება და ხელმოწერა ცნობილი უნდა იქნეს თანაბარი ძალის მქონე აქტებად. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა მეორეს უფრო მაღლა აყენებს. პრაქტიკა ხელშეკრულების ხელის მოწერის და შეერთების აქტებს ერთ დონეზე აყენებს, რაც სრულიად მართებულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელშეკრულება ძალაში შედის „სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისას“ ან „დეპონირებისათვის გადაცემისას“.

ორმხრივი ხელშეკრულებების დადების დროს ერთ ქვეყანაში ხდება ხელშეკრულების ხელმოწერა, ხოლო სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა ხდება მეორე სახელმწიფოს დედაქალაქში.

მრავალმხრივ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის დროს სარატიფიკაციო სიგელის შესანახავად (დეპონირებისთვის) **ამოირჩევა სახელმწიფო-დეპოზიტორი**[52] ან სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო.[53]

სარატიფიკაციო სიგელის შესანახად გადაცემისას შედგება სპეციალური ოქმი, რომლის ასლი ეგზავნება ხელშეკრულების ყველა მონაწილეს.

ყოველი სახელმწიფო ხელმოწერისას ან რატიფიკაციის დროს უფლებამოსილია გააკეთოს **შენიშვნები** ანუ **დათქმა,** რომლის მიზანია შეზღუდოს ზოგიერთი მუხლის მოქმედება ან შემოფარგლოს მათი მოქმედება გარკვეული პირობებით. თუ არც ერთმა სხვა მხარემ არ განაცხადა პროტესტი, შენიშვნა იურიდიულ ძალას იძენს ყველა მონაწილის მიმართ და ამიერიდან შენიშვნის გამკეთებელსა და ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს შორის ხელშეკრულება მოქმედებს დათქმაში აღნიშნული შესწორებებით. თუ მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო, დათქმა ვრცელდება დანარჩენ მონაწილეებზე ერთსულოვანი პროტესტის შემთხვევაში დათქმა იურიდიულ ძალას არ იძენს და ბათილდება, თუ თავისი ხასიათით დეკლარაციული არ არის.

ზოგჯერ, იშვიათ შემთხვევაში, თვით ხელშეკრულება ნაწილობრივ ან სრულებით კრძალავს შენიშვნის გაკეთებას, რაც შეთანხმების დემოკრატიული საწყისების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად კეთდება.

---

[52] არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო-დეპოზიტორის როლს რამდენიმე სახელმწიფო ასრულებს. ასე მაგ., მოსკოვის 1963 წლის 5 აგვისტოს ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები გადაეცა მოსკოვს, ლონდონს და ვაშინგტონს.

[53] ასე, მაგ., ჟენევის 1958 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციების სარატიფიკაციო სიგელები გადაეცემოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

დადებული ხელშეკრულება უნდა იყოს სათანადო წესით გამოქვეყნებული ანუ **პრომულგირებული** ყოველი მხარის მიერ.

თანამედროვე ეტაპზე წესადაა შემოღებული, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების აღმასრულებელ ორგანოებში რეგისტრაციაში ატარებენ მათ მიერ დადებულ ყველა ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება ერთმეათ დაეყრდნონ ამ აქტებს საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოებში საკითხის განხილვის დროს.[54]

რაც შეეხება თვით ხელშეკრულების იურიდიულ ძალას, რეგისტრაცია მასზე არ მოქმედებს: იგი რეგისტრაციის გარეშეც სავალდებულოა მხარეებისათვის.

ხელმოწერილი და სათანადო წესით დამტკიცებული ხელშეკრულება ყოველი სახელმწიფოსათვის კანონის ძალას იძენს და განსაზღვრავს მთელ მის კანონმდებლობას ხელშეკრულების მიერ რეგულირებულ სფეროში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება შიდასახელმწიფოებრივ კანონთან შედარებით რაღაც ზესახელმწიფოებრივი ძალის მქონეა. ორივე აქტი (ხელშეკრულება და კანონი) მოცემული სახელმწიფოს ნების გამომჟღავნება და მისი სუვერენული ხასიათის გამოვლინებაა. ყოველი სახელმწიფო, რომელიც თანასწორუფლებიან ურთიერთობას ამყარებს სხვა სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან), ე.ი. მასთან ერთად შეთანხმებულ ქცევის წესს ქმნის, მოვალეა კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და მოიყვანოს მასთან შესატყვისობაში თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები.

თუ ხელშეკრულების მოქმედების დროს წამოიჭრება რაიმე დავა მისი ტექსტის შინაარსის ან ფორმის შესახებ, მხარეები ან თვითონ იძლევიან სადავო ადგილის ახსნა-განმარტებას ან გადასცემენ საკითხს რომელიმე საერთაშორისო ორგანოს, მაგალითად, საერთაშორისო სასამართლოს ახსნა-განმარტების წესები აქ იგივეა, რაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების დროს, ე.ი. ლეგალური და დოქტრინალური, გრამატიკული, ისტორიული, ლოგიკური და

---

[54] იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლი და გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია. წესები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის მოქმედებაში შეყვანისათვის.

სისტემატური განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ არც ერთ შემთხვევაში არ დაიშვება ახსნა-განმარტება ანალოგიით.

## 4. საერთაშორისო ხელშეკრულების სტრუქტურა და ფორმა

ფორმის მხრივ საერთაშორისო ხელშეკრულება წერილობით სახეს ატარებს, ხოლო სტრუქტურის მხრივ სამ ძირითად ნაწილად იყოფა:

ა) პრეამბულა ანუ შესავალი ნაწილი შეიცავს მხარეთა დასახელებას და შეთანხმების მიზანზე მითითებას.

ბ) ძირითადი ნაწილი მუხლობრივად აღნუსხავს მიღწეული შეთანხმების შინაარსს.

გ) დასკვნითი ნაწილი პროცედურულ საკითხებს შეიცავს: ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრო, მისი მოქმედების ვადა, ვადის გაგრძელების წესი, ხელშეკრულებასთან შეერთების წესი, ხელშეკრულების გაუქმების (დენონსაციის) წესი, რა ენაზეა შედგენილი ხელშეკრულების ტექსტი, ხელშეკრულების დადების თარიღი და ადგილი. სულ ბოლოში დაისმის მხარეთა ხელმოწერა და ბეჭდები.

წინათ ხელშეკრულებები ან მხოლოდ ლათინურ (XVII საუკუნემდე) ან ფრანგულ (XVII საუკუნიდან XIX საუკუნემდე), ან ინგლისურ (XX საუკუნე) ენებზე იწერებოდა. დღეს ხელშეკრულების ენა გარკვეულ წესს ემორჩილება – მრავალმხრივი ხელშეკრულებანი იდება ე.წ. დიპლომატიურ (ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ) ენებზე, ორმხრივი – მხარეთა არჩევით.

საქართველოს რესპუბლიკა იყენებს ორმხრივი ხელშეკრულებების შედგენისას ქართულ და მეორე მხარის ენას. ასე, საქართველო-თურქეთის 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება დაიდო ქართულ და თურქულ ენებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებულია ექვსი ოფიციალური ენა – რუსული, ინგლისური, ფრანგული, ჩინური, ესპანური, არაბული.

## 5. საერთაშორისო ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია

საერთაშორისო ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია შეიძლება სამი ნიშნის მიხედვით მოვახდინოთ:

**საერთაშორისო ხელშეკრულებათა ტიპები.** საერთაშორისო ხელშეკრულებათა მრავალსათასიანი აქტები თავისი მნიშვნელობითა და საერთაშორისო მასშტაბურობის თვალსაზრისით ყველა თანაბარი როდია. განასხვავებენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა ზოგადი ქცევის მარეგულირებელ შეთანხმებებს, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ნორმებს განამტკიცებენ" და ხელშეკრულებებს, რომელნიც სახელმწიფოთა შორის კონკრეტულ საკითხებს არეგულირებენ.

**საერთაშორისო ხელშეკრულებათა სახელწოდებანი.** არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებათა უამრავი სახელწოდება: ხელშეკრულება, ტრაქტატი, პაქტი, კონვენცია, შეთანხმება და ა.შ. პრინციპში ყველა ამ სახელწოდების ხელშეკრულება არ განსხვავდება ერთმანეთისაგან იურიდიული ძალის თვალსაზრისით და მხარეებისათვის სათანადო უფლება-მოვალეობებს წარმოშობს, ცვლის ან სპობს, მაგრამ არც ის იქნება სწორი, რომ უგულებელვყოთ ის ნიუანსები, რომელსაც ყოველი სახელწოდება ატარებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

**ხელშეკრულება** ყველაზე ფართოდ მიღებული ტერმინია, რომელიც ყველა სახის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებებს ასახავს.

**პაქტი,** როგორც წესი, ეწოდება ორმხრივ ან მრავალმხრივ სახელმწიფოთაშორისო აქტებს, რომლებიც იდება მთავრობის მიერ ან მათი რწმუნების საფუძველზე და, როგორც წესი, რატიფიკაციას არ საჭიროებენ. მაგრამ იდება ისეთი შეთანხმებებიც, რომელთა რატიფიკაცია სავალდებულოა.

**შეთანხმება** – ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ეწოდება იმ სახელმწიფოთაშორისო აქტებს, რომლებშიც იდება მთავრობის მიერ ან მათი რწმუნების საფუძველზე და, როგორც წესი, რატიფიკაციას არ საჭიროებენ, მაგრამ იწყება ისეთი შეთანხმებებიც, რომელთა რატიფიკაციაც სავალდებულოა.

---

[55] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1958 წლის კონვენციები საზღვაო სამართლის შესახებ, 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, მოსკოვის 1963 წლის 5 აგვისტოს ხელშეკრულება სამ სფეროში ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. .

**კონვენცია** ძირითადად ისეთი სახის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებას ეწოდება, რომელიც რაიმე სპეციალურ დარგს ეხება და სპეციალურ დანიშნულებით ხასიათს ატარებს.

**დეკლარაცია** ეწოდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ისეთ განცხადებას, რომელიც მხარეთა საგარეო პოლიტიკის გარკვეულ გეზს სახავს ან მათ შეხედულებას გამოხატავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროში; დეკლარაცია, როგორც წესი, შეიცავს საერთაშორისო სამართლის ახალ, ძირითად პრინციპებს ან მხარეთა დამოკიდებულებას არსებული პრინციპისადმი.

**ნოტების გაცვლა** ეწოდება შეთანხმების დადების ისეთ წესს, როდესაც მხარეები ერთმანეთს უგზავნიან იდენტური ტექსტის მქონე განცხადებებს.

**კომპრომისი** ეწოდება ისეთ შეთანხმებას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან გადასცენ საერთაშორისო სასამართლოს მათ შორის წარმოშობილი დავა.

**ოქმის** საშუალებით ფორმდება სხვადასხვა სახის შეთანხმებანი, რომელთა მეშვეობით მხარეები აცხადებენ თავის სურვილს შეუერთდნენ ხელშეკრულებას, განავადონ მისი მოქმედება; ოქმის მეშვეობით მთავრობები აკეთებენ ამა თუ იმ დათქმას ხელშეკრულების მიმართ და ა.შ.

ზოგჯერ ოქმის სახელწოდებას ატარებს შეთანხმება, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი ხელშეკრულებისაგან.

## *6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეთა მიერ განისაზღვრება. უვადოდ იდება მხოლოდ ის ხელშეკრულებანი, რომლებიც საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის აქტებს წარმოადგენენ ან ომის მდგომარეობას წყვეტენ. (საზავო ხელშეკრულებანი), ამ ხელშეკრულებათა დენონსაცია დაუშვებელია. სხვა სახის საერთაშორისო ხელშეკრულებათა განუსაზღვრელი ვადით დადება იშვიათი მოვლენაა, მაგრამ მაინც გვხვდება სახელმწიფოთაშორისო კულტურული და სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში.

პოლიტიკური სახის ხელშეკრულებანი იდება, როგორც წესი, 5, 10, 20 და მეტი წლით, ეკონომიკური, კულტურული და სამართლებრივი სახისა – 1-5 წლით, ზოგჯერ განუსაზღვრელი ვადით.

ხელშეკრულების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, რასაც პროლონგაცია ეწოდება. პროლონგაცია ხორციელდება ან ავტომატურად ან სპეციალური შეთანხმების დადებით.

ხელშეკრულების ვადის პროლონგაცია ავტომატურ ხასიათს მაშინ ატარებს, როდესაც ამას თვით ხელშეკრულება ითვალისწინებს. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვადის გასვლამდე რამდენიმე თვით, ან წლით ადრე არც ერთი მხარე არ გამოთქვამს მისი გაუქმების სურვილს, იგი ავტომატურად განაგრძობს მოქმედებას გარკვეული ვადის განმავლობაში, რომელიც, აგრეთვე, ავტომატური პროლონგაციის წესს შეიძლება ითვალისწინებდეს.

## 7. ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები

საერთაშორისო ხელშეკრულების ნამდვილობა გულისხმობს მის საერთაშორისო-სამართლებრივ სრულფასოვნებას, მართლზომიერ ხასიათს, რომელიც ქმნის მხარეთა შორის იურიდიულად სავალდებულო უფლება- მოვალეობებს. მათ პატივს უნდა სცემდნენ აგრეთვე მესამე სახელმწიფოები.

ამგვარად, ყოველი საერთაშორისო ხელშეკრულება იმისათვის, რომ წარმოშვას მხარეებისათვის იურიდიულად სავალდებულო შედეგები, უნდა პასუხობდეს რაღაც კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილია თანამედროვე საერთაშორისო სამართლით, რაც აისახა კოდეეაც ვენის 1969 წლის კონვენციაში.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოებისა და სხვა სუბიექტების მიერ წარმოებული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შექმნის პროცესი საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, სხვა იმპერატიული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს (იხ. თავი I).

აღნიშნულიდან გამომდინარე ყოველი აქტი, რომელსაც ჩადის ერთი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს ნების გამომჟღავნების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, მართლსაწინააღმდეგო ქმედობად ჩაითვლება. პირველ რიგში, ასეთ ქმედებად ჩაითვლება ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენება სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მიმართ[56].

---

[56] ფართოდ არის ცნობილი ის ძალდატანება, რომელიც გამოიყენა ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა

სადავოდ ხდის ხელშეკრულების ნამდვილობას მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მოტყუება" ან მოსყიდვა, ხელშეკრულებაში გაპარული შეცდომა, წარმომადგენლის მიერ ინსტრუქციის დარღვევა და ა.შ.

ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება ძალის გამოყენება ან სხვა რაიმე იძულებითი საშუალებისათვის მიმართვა. ვენის კონვენცია საგანგებოდ მიუთითებს: ხელშეკრულება ბათილია, თუ მისი დადება ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენების შედეგია, რაც ლახავს გაერო-ს წესდებაში ასახულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს (მუხ. 52).

ამგვარად არ ჩაითვლება არაკანონიერ შეთანხმებად ისეთი ხელშეკრულება, რომელსაც თავს ახვევენ აგრესორს, მისი დამარცხებისას და ომისშემდგომი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით: დამარცხებულ აგრესორთან ხელშეკრულების დადების დროს ამ უკანასკნელის ნების გამჟღავნების თავისუფლება იზღუდება აგრესიისათვის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპების მიხედვით (იხ. თავი VII).

ცალკე საკითხს წარმოადგენს ხელშეკრულების ბათილობა მხარეთა მიერ იმპერატიული ნორმების გადახვევის გამო. ამ შემთხვევაში ორივე სახელმწიფოს ნების გამომჟღავნების თავისუფლება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ხელშეკრულებით დადგენილი ქცევითი წესები „უხვევენ" არსებულ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რომელთა იმპერატიული ხასიათის უგულებელყოფა აკრძალულია მათი უაღრესად მაღალი მორალურ-პოლიტიკური ფასეულობის გამო, რაც

---

მინისტრის მიმართ 1939 წელს ბერლინში: ისინი ჩაკეტეს ოთახში, სადაც მაგიდაზე იდო ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიის გერმანიის პროტექტორატად გადაქცევის შესახებ და გამოუშვეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაღლილ-დაქანცულებმა, თითქმის გრძნობადაკარგულებმა მოაწერეს ხელი ამ არაკანონიერ აქტს.

[57] 1893 წლის 2 მაისს იტალია-ეთიოპიის ხელშეკრულების ამხარულ ენაზე შედგენილ ეგზემპლარში არსებული სიტყვა „შეუძლია" (მიმართოს იტალიის სამსახურს უცხოეთის ქვეყნებთან საქმის წარმოებაში) იტალიურ ტექსტში შეცვლილ იქნა სიტყვით „მოვალეა" სწორედ ამ სიტყვაზე დაყრდნობით იტალიამ აქცია ეთიოპია პროტექტორატად. ეთიოპიის ნეგუსმა გააუქმა ხელშეკრულება, რისთვისაც იტალიამ დაიწყო აგრესიული ომი ეთიოპიის წინააღმდეგ (1895-96 წწ.)

თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს (იხ. თავი I). გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმპერატიული ნორმა უკრძალავს მხარეებს ისეთ გადახვევას, რომელიც მათ ურთიერთობას ეხება და ერთმანეთის მიმართ უფლება-მოვალეობებს ადგენს. ამიტომ ხელშეკრულება, რომელიც ორივე სახელმწიფოს აგრესიულ პაქტს წარმოადგენს და მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული, ჩაითვლება ბათილად არა იმიტომ, რომ ძალის გამოყენების დაუშვებლობას იმპერატიული ხასიათი აქვს, არამედ ვენის კონვენციაში შეტანილი ფორმულის გამო – ეს აქტი კი არ „უხვევს", არამედ „არღვევს", „ლახავს" საერთაშორისო სამართლის ამ ძირითად პრინციპს, სხვა მასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს (ტერიტორიალური მთლიანობის ხელშეუხებლობა, ჩაურევლობა, სუვერენული თანასწორობა და ა.შ.). მაგრამ თუ ორმა სახელმწიფომ დადო ხელშეკრულება, რომლითაც აღიარებენ მათ შორის დავის მოწესრიგებას შეიარაღებული ძალების გამოყენების საშუალებით, ასეთი ხელშეკრულება იმთავითვე ბათილად გეცნობა, რადგანაც ძალის გამოუყენებლობის პრინციპის შეცვლა ურთიერთშეთანხმებითაც არ შეიძლება, მის სადარაჯოზე მთელი საერთაშორისო საზოგადოება დგას.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია აგრეთვე არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების საწინააღმდეგო ხასიათი, ფორმალურად თითქოს ნამდვილობის ყველა პირობა შესრულებულია, თავისი არსით ასეთი ხელშეკრულებები ერის (ხალხის) თვითგამორკვევისა და თანასწორობის პრინციპს ლახავს. ჯეშმარიტი იურიდიული ნამდვილობა, როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულია მხარეთა ნების გამომჟღავნების ნებაყოფლობაზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებას ცნობს, რომელიც მხარეთა თანასწორუფლებიანობას ასახავს და მათი ინტერესების ურთიერთგაგებისა და გათვალისწინების საფუძველზეა აღმოცენებული. კაბალური, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და არ შეიძლება აეალებდეს სუსტ მხარეს დაიცვას პრინციპი *pacta sunt servanda* – ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს. ეს პრინციპი მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე ვრცელდება, რომლებიც მხარეთა ჯეშმარიტ თანასწორუფლებიანობას ეყრდნობიან. საუკუნეების მანძილზე

იგი სახელშეკრულებო სამართლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნორმალური საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი სახელმწიფოებს შორის.

კოლონიური და ნეოკოლონიური პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფოები მიმართავენ ამ პრინციპს კოლონიური ჩაგერის შენარჩუნებისათვის. მაგრამ ახალგაზრდა სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ თავისუფლებას და ხელშეკრულებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.[58]

ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონე აქტად. მართალია, თუ პატარა სახელმწიფოს მთავრობა ცნობს ასეთი სახის ხელშეკრულებას, უკანასკნელი წარმოშობს მხარეთათვის გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, სანამ დაჩაგრული ქვეყანა თვით არ უარყოფს მის შესრულებას.[59]

მეორე მხრივ, თუ ხელშეკრულება დადებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, იგი მხარეთა მიერ უნდა შესრულდეს პირნათლად. ამ შემთხვევაში პრინციპი **pacta sunt servanda** წმიდათა წმიდაა და მისმა დარღვევამ შეიძლება მეორე მხარის კანონიერი საპასუხო ზომები გამოიწვიოს. ამგვარად, ყოველი საერთაშორისო ხელშეკრულება უნდა იდებოდეს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეყრდნობა მისი ნამდვილობა მყარ, კანონიერ ნიადაგს.

---

[58] ამ მხრივ ყურადსაღებია აფრიკა-აზიის ქვეყნების იურისტთა პირველი კონფერენციის 1957 წლის ნოემბრის რეზოლუცია „არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების შესახებ", რომელიც აღიარებს: ა) არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა დარღვევას წარმოადგენს და მშვიდობას ემუქრება. ბ) სახელმწიფო, რომელიც იძულებული იყო დაედო ასეთი ხელშეკრულება, უფლებამოსილია გაითავისუფლოს თავი მისგან.

[59] ასე გააუქმა ეგვიპტემ 1951 წელს ინგლისის მიერ 1936 წელს თავსმოხვეული ხელშეკრულება სუეცის არხის დაცვის შესახებ; 1965 წელს კვიპროსის მთავრობამ გააუქმა 1959 წელს ინგლისის და თურქეთის მიერ თავსმოხვეული ხელშეკრულება.

ყოველი კაბალური, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება მხოლოდ მხარეების ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული და წარმოადგენს დროებით, ურყევ აქტს, რომელიც მოკლებულია მტკიცე სამართლებრივ ნიადაგს. დაჩაგრულ მხარეს შეუძლია ყოველ მომენტში უარყოს იგი.

## 8. ხელშეკრულების მოქმედება და მისი შეწყვეტა

ყოველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საერთაშორისო სამართლის მიერ წაყენებული მოთხოვნების მიხედვით, მხარეთა მიერ პირნათლად და კეთილსინდისიერად უნდა სრულდებოდეს, პრინციპი *pacta sunt servanda* (ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს) ერთ-ერთი უძველესთაგანია საერთაშორისო სამართალში; ვენის კონვენციის 24-ე მუხლი აცხადებს „ყოველი მოქმედი ხელშეკრულება სავალდებულოა მხარეებისათვის და უნდა სრულდებოდეს მათ მიერ კეთილსინდისიერად"; ე.ი. ყველა მხარე უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება პირნათლად დაიცვას ხელშეკრულებაში არსებული დებულებანი არა მარტო შეძენილ უფლებათა შესახებ, არამედ ნაკისრი ვალდებულებანიც. როდესაც ხელშეკრულება დადებულია მხარეთა ნების გამომჟღავნების ჭეშმარიტად თავისუფლების დაცვით, იგი ურთიერთსასარგებლო აქტის სახეს ატარებს და არსებობს ყველა პირობა მისი კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

როდესაც მხარე ან მხარეები ერთმანეთის მიმართ აქტიურად იყენებენ შეძენილ უფლებებს, ხოლო ვალდებულებების შესრულებაზე თავს არ იწუხებენ, ხელშეკრულება მერყევი ხდება და შეიძლება მოხდეს მისი მოქმედების ვადის შეწყვეტა ვადის გასვლამდე (იხ. ქვემოთ).

როგორც აღნიშნული იყო, არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება უარი განაცხადოს ხელშეკრულების შესრულებაზე შიდასახელმწიფო სამართალში არსებული საწინააღმდეგო ნორმების არსებობის გამო. საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა სახელმწიფო მოვალეა პირნათლად შეასრულოს არა მარტო ის ვალდებულებანი, რომელიც სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებულ ურთიერთობებს ეხება (ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ), არამედ ისეთი ვალდებულებებიც, რომელიც მის ტერიტორიაზე ვრცელდება; თუ საჭიროა, სათანადო ცვლილებანი უნდა იქნეს შეტანილი არსებულ კანონმდებლობაშიც.

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის რამდენიმე საშუალება არსებობს:

როდესაც ხელშეკრულებაში აღნიშნული წესის გათვალისწინებით, ერთი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს ან სახელმწიფო-დეპოზიტორს, რომ მას არ სურს ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, ამას ხელშეკრულების **დენონსაცია** ეწოდება.

ყოველი სახელმწიფო თვით განსაზღვრავს იმ წესებს და ორგანოს, რომელსაც დენონსაციის უფლება ენიჭება. ჩვეულებრივად, დენონსაციის უფლება იმავე ორგანოს ენიჭება, რომელსაც რატიფიკაციის უფლება აქვს.

შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით მოხდეს. ამ შემთხვევაში ყოველი მხარის თანხმობაა სავალდებულო. თუ ამ შეთანხმებას ახალი შესწორებული ხელშეკრულების დადება მოყვება შედეგად, ადგილი აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების **ნოვაციას**. ნოვაცია, როგორც წესი, ხელშეკრულების რევიზიის (გადასინჯვის) შედეგია. ხელშეკრულების მოქმედება წყდება, აგრეთვე, მის მიერ გათვალისწინებული პირობების შესრულებისას ან აღნიშნული ვადის ამოწურვისას.

ასეთია ხელშეკრულების მოქმედების ვადის შეწყვეტის ჩვეულებრივი, სამართლიანი საშუალებანი, მაგრამ შესაძლებელია ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმებაც. ასეთი ექსტრაორდინალური შემთხვევა შეიძლება წარმოიშვას შემდეგ პირობებში:

ა) როდესაც ერთ-ერთი მხარე არ იცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და უხეშად არღვევს მათ, მეორე მხარეს უფლება აქვს გააუქმოს ასეთი შეთანხმება. უკანასკნელის ამ მოქმედებას ხელშეკრულების **ანულირება** ეწოდება.

ბ) შეიძლება ანულირებულ იქნეს, აგრეთვე ის ხელშეკრულებანი, რომელნიც თანასწორუფლებიანობის პრინციპს არღვევენ, ე.ი. კაბალური და სხვა სახის კოლონიური და ნეოკოლონიური ხელშეკრულებანი, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

გ) ავტომატურად უქმდება ის ხელშეკრულება, რომელიც საერთაშორისო ასპარეზიდან გამქრალ სუბიექტთან იყო დადებული.

დ) საერთაშორისო სამართალში არსებობს პრინციპი ***clausula rebus sic standibus*** – შენიშვნა (დათქმა) პირობების უცვლელობის შესახებ – ანულირება მხოლოდ მაშინ ითვლება

კანონიერად, თუ იგი ხელშეკრულების დადების დროს არსებულ გარემოებათა ცვლილებით არის განპირობებული.

# თავი VI

## საერთაშორისო კონფერენციები და ორგანიზაციები

### *1. საერთაშორისო კონფერენციების ცნება და მუშაობის ძირითადი პრინციპები*

კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე სახელმწიფოები იკრიბებოდნენ და იკრიბებიან კონფერენციებზე ამა თუ იმ საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების გადასაწყვეტად.[60]

**საერთაშორისო კონფერენცია ეწოდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრას ამა თუ იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა საკითხების განხილვისა და მათ თაობაზე შეთანხმების მიღწევისათვის.** საერთაშორისო კონფერენცია შეიძლება ატარებდეს ასევე „კონგრესის"[61], „თათბირის" ან სხვა სახელწოდებას, მაგრამ ამას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს; დღეისათვის ტერმინი კონგრესი შეეფარდება მხოლოდ ისეთ შეხვედრებს, რომელთაც არა აქვს დიპლომატიური ხასიათი, მაგ. საერთაშორისო ყრილობები, მიძღვნილი სამეცნიერო, ტექნიკური, კულტურული

---

[60] საერთაშორისო კონფერენციების რიცხვი იზრდება ძალზე სწრაფად – თუ 1980-იან წლებში მათი რიცხვი წელიწადში 10 ათასს შეადგენდა, 2000 წლისათვის ეს რიცხვი 70000 მიაღწევს.

[61] XVII-XIX სს. კონგრესი ეწოდებოდა სახელმწიფოთა წარმომადგენლების ისეთ შეხვედრებს, რომელიც უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი და რომელშიაც მონაწილეობდნენ სახელმწიფოთა მეთაურები (თუმცა უკანასკნელი ნიშანი არ იყო აუცილებელი) – ვენის 1815 წლის კონგრესი, პარიზის 1856 წლის კონგრესი, ბერლინის 1878 წლის კონგრესი.

და სხვ. ამგვარი საკითხებისადმი (ფიზიოლოგების მსოფლიო კონგრესი, გეოლოგთა მსოფლიო კონგრესი და ა.შ.), ტერმინი კონგრესი გამოიყენება, აგრეთვე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრების მიმართ (მაგ. ანტიფაშისტური კონგრესი, მშვიდობის დაცვის მომხრეთა კონგრესი და ა.შ.), ტერმინი „თათბირი", რომელიც XX საუკუნის შუა წლების პირმშოა, ჯერჯერობით ფართო გამოყენებას ვერ პოულობს, თუმცა თათბირების ისეთი სახე, როგორიცაა უმაღლეს დონეზე შეხვედრები, დიდ სარგებლობას მოუტანდა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეს.

უკანასკნელ წლებში ჩატარდა რამდენიმე მრავალმხრივი თათბირი, რომელთა მიზანი იყო ამა თუ იმ აქტუალური საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტა.[62]

ტერმინი „კონფერენცია" საერთაშორისო შეხვედრების ყველაზე მიღებული და დამკვიდრებული სახელწოდებაა, რომელსაც მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს.

საერთაშორისო კონფერენციები შეიძლება პირობითად დავყოთ შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

ა) საზავო კონფერენციები – შეხვედრები, რომელთა მიზანია ომის მდგომარეობის შეწყვეტის იურიდიული გაფორმება საზავო ხელშეკრულების დადებით.

ბ) პოლიტიკური კონფერენციები იწვევა მიმდინარე საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

გ) ეკონომიკურ კონფერენციებზე განიხილება სახელმწიფოთა ურთიერთობანი – ვაჭრობის, სესხის და სხვა საკითხები, რაც ხშირად სათანადო ხელშეკრულების დადებით გვირგვინდება.

დ) დიპლომატიური კონფერენციები ეძღვნება სამართლის კოდიფიკაციის საკითხებს სპეციალური სახის

---

[62] ძალზე მნიშვნელოვანი თათბირი ჩატარდა ჰელსინკში 1975 წლის 29 ივლისს – 1 აგვისტოს, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი". მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ევროპის 33 სახელმწიფომ, აშშ-მა და კანადამ. ამ თათბირზე მიღებული დასკვნითი აქტების საფუძველზე ტარდება რეგულარული თათბირები მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციის შესამოწმებლად (იხ. ბელგრადის 1979 წლის, მადრიდის 1980-83 წწ., ვენის 1989 წ., პარიზის 1990 წ., მოსკოვის 1991 წ., ჰელსინკის 1992 წ., თათბირები).

ხელშეკრულებათა და კონვენციების შემუშავებისა და დადებისათვის.[63]

საერთაშორისო კონფერენციებს იწვევენ ან თვით სახელმწიფოები, ან საერთაშორისო ორგანიზაციები.[64]

საერთაშორისო კონფერენციების მონაწილეთა წრე განისაზღვრება კონფერენციის მოწვევის ინიციატორთა მიერ, მაგრამ თუ კონფერენცია ეხება რომელიმე სახელმწიფოს ინტერესებს, უკანასკნელს უფლება აქვს მოითხოვოს მასზე დასწრება. კონფერენცია, რომელიც უარყოფს ასეთ კანონიერ მოთხოვნას, არ არის უფლებამოსილი მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე. ასევე უსამართლოა მონაწილეთა რიცხვის შეზღუდვა ისეთ კონფერენციებზე, რომელთა მიზანია საერთაშორისო სამართლის ნორმების კოდიფიკაცია, თუმცა ამ შემთხვევაში კონფერენციების გადაწყვეტილებანი სავსებით კანონიერია და მათ ყოლისმომცველი ხასიათი აქვთ.

როგორც წესი, კონფერენციას ხსნის იმ სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომლის ტერიტორიაზე ან რომლის ინიციატივით მოწვეულ იქნა კონფერენცია. ამავე პიროვნებას ირჩევენ კონფერენციის თავმჯდომარედ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დიპლომატიურ პრაქტიკაში შემოდის სხვა წესიც: დელეგაციების მეთაურები რიგრიგობით თავმჯდომარეობენ საერთაშორისო კონფერენციებს[66].

---

[63] ჟენევის 1949 და 1976 წწ. დიპლომატიური კონფერენციები ომში დაჭრილთა და ტყვეების უფლებრივი რეჟიმის თაობაზე ვენის 1961 და 1963 წწ. დიპლომატიური კონფერენციები დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობათა თაობაზე, ჟენევის 1958 და 1960 წწ., იამაიკის 1982 წლის დიპლომატიური კონფერენციები საზღვაო სამართლის თაობაზე, ვენის 1968-1969 წწ. კონფერენციები სახელშეკრულებო სამართლის თაობაზე.

[64] მაგ. 1958, 1961, 1963 წწ. დიპლომატიური კონფერენციები, საზღვაო სამართლის, დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობების თაობაზე მოწვეულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ.

[65] ჰააგის 1899 და 1907 წწ. კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა რუსეთის წარმომადგენელი, სან-ფრანცისკოს 1945 წლის კონფერენცია გახსნა აშშ-ის პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა.

[66] 1992 წელს საქართველოს ეროთათბირის წევრად მიღებისთანავე, ჰელსინკში გამართულ კონფერენციაზე, ჩვენ დელეგაციას წილად ხვდა თავმჯდომარეობა.

კონფერენციის პირველი სხდომა ხელმძღვანელ ორგანოთა, სამანდატო და სარედაქციო კომიტეტის არჩევას ეძღვნება; აქვე წყდება პროცედურული საკითხები – დღის წესრიგი, კამათის წესი და ა.შ., ზოგჯერ ყველა ეს საკითხი, ან ზოგიერთი მათგანი შეიძლება იყოს შეთანხმებული წინასწარი დიპლომატიური არხებით. კონფერენციის მუშაობა წარმოებს პლენარულ სხდომებზე და კომისიებში. პლენარული სხდომები, როგორც წესი, საჯაროა, კომისიების სხდომები კი – დახურულად, საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს. კონფერენციების გადაწყვეტილებანი მიიღება ან ერთხმად, ან ხმათა უმრავლესობით. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თავისუფალია მისგან.

უმრავლესობა, რომელიც საჭიროა გადაწყვეტილების მიღებისათვის, შეიძლება იყოს „უბრალო“ (დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობის თანხმობა), ან „კვალიფიცირებული“ – ა) ხმების სამი მეოთხედი; ბ) ორი მესამედი; გ) კონფერენციაში მონაწილე ყველა წარმომადგენლის 50% პლუს ერთი ხმა ან ორი მესამედი.

უკანასკნელ წლებში შეიქმნა კონფერენციებზე გადაწყვეტილებების მიღების კიდევ ერთი სახე – **კონსენსუსი** – გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრის გარეშე, თუ არც ერთი დელეგაცია ოფიციალურად წინააღმდეგი არ არის ამ გადაწყვეტილებისა.

ასეთი პროცედურა საშუალებას აძლევს კონფერენციის მონაწილეებს ამომწურავად განიხილოს ყველა საკითხი, სერიოზულად აწონ-დაწონონ ურთიერთპრეტენზიები, ეძიონ კომპრომისები და ჭეშმარიტი ურთიერთშეთანხმება, იძლევა იმის გარანტიას, რომ სახელმწიფოთა ვერც ერთი ჯგუფი, როგორი მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, ვერ შეძლებს სხვა ქვეყნების პოზიციის უგულებელყოფას და ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ ამ წესით მუშაობდა ჰელსინკის 1975 წლის თათბირი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობაზე, გაერო-ს III კონფერენცია საზღვაო სამართლის თაობაზე (1976-1982), ბელგრადის (1977-1978 წწ.) მადრიდის (1980-1983 წწ.), ვენის 1989 წწ., პარიზის 1990 წ., მოსკოვის 1881 წ. თათბირები და ა.შ.

„ჰელსინკი-2“-ის თათბირზე მოქმედებდა ახალი წესი „კონსენსუსი მინუს ერთი“, ე.ი. ერთ წევრს ეძლეოდა უფლება არ მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, თუ კი

არ ეთანხმებოდა მას, მაგრამ ისევე ოფიციალურად წინააღმდეგი პოზიციის დაფიქსირების გარეშე.

კონფერენციაზე ჩატარებული დისკუსიის ყველა მომენტი უნდა იყოს ფიქსირებული ოქმში. იგივე ითქმის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებათა შესახებ კონფერენციის საბოლოო გადაწყვეტილებანი შეიტანება კონფერენციის „დასკვნით ოქმში“ ანუ „დასკვნით აქტში“ და გადაეცემა ხელმოსაწერად ყველა ქვეყნის დელეგაციას. კონფერენცია, როგორც წესი, თავდება საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის დადგენით; მისი ხელმოწერა შეიძლება მოხდეს იქვე ან მომდევნო კონფერენციაზე, რომელიც მხოლოდ ამისთვის მოიწვევა[67].

თუ კონფერენცია არავითარ შედეგს არ იძლევა მონაწილეთა პოზიციების შეურიგებლობის გამო, დგება დასკვნითი კომუნიკე, რომელიც მტკიცდება კონფერენციის ყველა მონაწილის მიერ და გადაეცემა პრესას გამოსაქვეყნებლად.

## 2. საერთაშორისო ორგანიზაციები

კონფერენციებისაგან განსხვავებით, რომლებიც დროებით სახელმწიფოთაშორისი თათბირების სახეს ატარებენ, საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივი სახელმწიფოთაშორისი დაწესებულებანია, რომლებიც ხანგრძლივი ვადით ან უვადოდ იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად.

ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საჯარო, სოციალური, კულტურული და სხვა ურთიერთკავშირები მსოფლიოს ქვეყნებს შორის. ეს პროცესი კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა.

საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის ცდები შორეულ წარსულშიაც გვხვდება: ძირითადად ეს მშვიდობის დაცვის სა-

---

[67] ხელშეკრულება სამ სფეროში ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შემუშავებულ იქნა მოსკოვის კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1963 წლის ივლისში და დამთავრდა 25 ივლისის ხელშეკრულების პარაფირებით. ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდა მოგვიანებით – 5 აგვისტოს.

ერთაშორისო ორგანიზაციის პროექტებია, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელი იყო განუწყვეტელი ომიანობის პირობებში.

ამავე დროს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი ყოველთვის წარმოშობდნენ სხვადასხვა სახის ინსტიტუტებს, რომელთა მიზანი იყო ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის კავშირების განმტკიცება, შედარებით სტაბილურ საწყისებზე გადაყვანა. ძირითადად ეს იყო საერთაშორისო კონფერენციები და სამხედრო კავშირები, რომელნიც ქმნიდნენ მუდმივ ორგანოებს ყოველდღიური ორგანიზაციული საქმიანობისათვის.

მაგალითად, ძველ საბერძნეთში შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ისეთი ფორმა, როგორიც იყო „ამფიქტიონია" – რელიგიურ-პოლიტიკური გაერთიანება და „სიმახია" – სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ძველ რომში იქმნებოდა შერეული შემრიგებელი კომისიები რომსა და მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული დავის გადასაჭრელად. მოგვიანებით, ფეოდალიზმის ხანაში, ეხვდებით კიდევ უფრო დახვეწილ და სტაბილურ გაერთიანებებს, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებით (მაგ. ჰანზის კავშირი).

ძირითადში კი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობანი ისეთ ნაცად ფორმას ეყრდნობოდნენ, როგორიცაა საერთაშორისო კონფერენციები და კონგრესები. იგივე ითქმის არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებზე.

არასახელმწიფოებრივი სახის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ტენდენციები ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების გარიჟრაჟზე იდგამს ფეხს. მართალია, ეს „საერთაშორისო თანამშრომლობა" იმ დროს მეტად არასტაბილურ და ეიწრო ხასიათს ატარებდა – საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობის ადგილების დადგენა, მეცნიერთა შეხვედრები და ა.შ. არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის წინაისტორიად მოიხსენიებენ სხვადასხვა სახის საერთაშორისო შეხვედრებს – კონგრესებს, კონფერენციებს და სხვ. პირველი კონგრესი, რომლის შესახებაც ჩვენ გვაქვს სერწმუნო ცნობები, იყო მედიკოსთა საერთაშორისო შეხვედრა რომში. იგი გრძელდებოდა 1681 წლის 10 მარტიდან 8 ივლისამდე – ყოველთვიურად ტარდებოდა მხოლოდ სამოთხი სხდომა.

XIX საუკუნის დამლევისათვის ასეთი შეხვედრების რაოდენობა 1400-მდე აღწევს. ამავე პერიოდში იქმნება

არასამთავრობო კონტაქტების უფრო მყარი საორგანიზაციო ფორმები – მუდმივმოქმედი ორგანოები, რომლებიც საერთო მიზნით გაერთიანებულ ერთეულთა საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებდა და წარმართავდა. მრავალი მათგანი საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების ჩატარების პრაქტიკით იყო განპირობებული.

მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს, საერთაშორისო ეკონომიკური და ტექნიკური ურთიერთობების გაძლიერების შედეგად, ისახება სტაბილური საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები (მსოფლიო საფოსტო კავშირი – 1874 წ., საყოველთაო სატელეგრაფო კავშირი – 1865 წ) და ორგანოები (რაინის საერთაშორისო კომისია – 1895 წ;. დუნაის კომისია – 1856 წ. და სხვ.).

უფრო სწრაფად იზრდება არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი. XX საუკუნის დასაწყისში ითელიდნენ 20 სამთავრობათაშორის და 192 არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას.

დღეს კი მსოფლიოში 59000 საერთაშორისო ორგანიზაცია მოქმედებს, აქედან 6432 სამთავრობათაშორისია.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, რაც თვალნათლივ მიუთითებს საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზე თანამედროვე პირობებში.

ამრიგად, საერთაშორისო ორგანიზაციები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებად.

სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია იქმნება საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტის – სუვერენული სახელმწიფოების მიერ, რომელნიც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების კომპეტენციასა და სტრუქტურას, მის საერთაშორისო-სამართლებრივ სუბიექტუნარიანობას. ასეთი ორგანიზაციის ყოველი წევრი მოქმედებს მოცემული ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მეშვეობით, მთელი ქვეყნის სახელით, როგორც ერთიანი სუვერენული ერთეული ფედერაციული სახელმწიფოს გვერდით შეიძლება მოქმედებდეს ასევე ფედერაციაში შემავალი ერთეულები. მაგალითად, 1992 წლამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის ზოგიერთ სპეციალიზებულ დაწესებულებაში სსრ კავშირის გარდა მონაწილეობდნენ

უკრაინისა და ბელორუსიის მოკავშირე რესპუბლიკები. თუმცა სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციების ძალით, მოკავშირე რესპუბლიკა ფორმალურად უფლებამოსილი იყო მიეღო მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში.

დასავლეთის ქვეყნებში არსებული ფედერაცია, როგორც წესი, ზღუდავს მოკავშირე ერთეულთა საგარეო პოლიტიკურ უფლება-უნარიანობას. გამონაკლისს წარმოადგენს ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობა, რომლის ზოგიერთი წევრი თუმცა დღემდე ინგლისის მონარქიის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებს (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია), მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი სუვერენული ერთეული.

**არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია** იქმნება რამდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრიეი ორგანიზაციების ან პირების მიერ. მას არ გააჩნია საერთაშორისო-სამართლებრიეი სუბიექტუნარიანობა. მართალია, ზოგიერთი მათგანი სარგებლობს ე.წ. საკონსულტაციო სტატუსით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში, მაგრამ ეს ვერ მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლებრიე სუბიექტობას. გაერო-ს წესდების 71-ე მუხლის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის მიზნით. დაწესებულია კიდეც საკონსულტაციო სტატუსის კატეგორიები – „A“, „B“, „სია“, რაც საბჭოს სხდომებზე დასწრებისა და მონაწილეობის დონეზეა დამოკიდებული, საბჭოს ეს საქმიანობა არ ატარებს საერთაშორისო-სამართლებრიე ხასიათს და არ აკუთვნებს არასამთავრობო ორგანიზაციებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსს.

როგორც ეხედავთ, სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები ყველაზე მნიშვნელოვან და ქმედით ინსტიტუტს წარმოადგენენ. მათ საქმიანობაზეა პირველ რიგში დამოკიდებული მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საკითხები, სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების ეფექტურობა. ამავე დროს, შეცდომა იქნებოდა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების როლის უგულებელყოფა

თანამედროვე სამყაროში. მშვიდობის დაცვის საქმეში ამ ორგანიზაციებს უაღრესად დიდი როლი ეკუთვნის.

განასხვაებენ უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა სახის საკითხების მოწესრიგება მსოფლიოს ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით.

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ გარკვეული გეოგრაფიული რეგიონის სახელმწიფოებს და ამ რაიონის უშიშროების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტის მიზნებს ემსახურებიან.

ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კომპეტენციის მიხედვით – **ზოგად საერთაშორისო ორგანიზაციას** მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომელთა მიზანია საკითხთა ფართო სპექტრის რეგლამენტაცია, ხოლო სპეციალური კომპეტენციის მქონე, ანუ **სპეციალიზებული ორგანიზაციები** ეწრო, სპეციალური დანიშნულების საკითხების მოწესრიგებას ემსახურებიან.

უნივერსალურ ზოგად საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება მშვიდობის დაცვისა და ხალხთა თანამშრომლობის განვითარების ისეთი უნიკალური დაწესებულება, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), რომელიც დღეს 194 სახელმწიფოს აერთიანებს. უნივერსალურ სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეკუთვნება პირველ რიგში გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციები, ანუ სპეციალიზებული დაწესებულებანი. გაერო-ს წესდების 57-ე მუხლის თანახმად ორგანიზაციას უნდა დაუკავშირდეს სხვადასხვა სპეციალიზებული დაწესებულებები, შექმნილი სამთავრობათაშორისი შეთანხმებებით და აღჭურვილი საერთაშორისო პასუხისმგებლობით ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის და სხვა მსგავს დარგებში. დღეისათვის ასეთი შეთანხმება დადებულია 19 ორგანიზაციასთან – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), მსოფლიო საფოსტო კავშირი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ. (იხ. ქვემოთ).

სპეციალიზებული დაწესებულებები დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციებია. გაერო მხოლოდ კოორდინაციას უწევს საქმიანობას, აძლევს მათ რეკომენდაციებს საბიუჯეტო და საფინანსო საკითხებზე, სპეციალიზებულ დაწესებულებათა პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთშეთანხმების თაობაზე და სხვ.

რაც შეეხება რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერო-ს წესდების VIII თავის 52 და 54 მუხლებში მითითებულია, რომ გაერო-ს არსებობა არ გამორიცხავს ასეთი რეგიონალური შეთანხმებებისა და ორგანიზაციების შექმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, იმ პირობით, რომ ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა სავსებით შეესაბამება გაერო-ს მიზნებსა და პრინციპებს.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ისეთი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპაში ჰელსინკის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო, OSCE, ОБСЕ), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა დსთ, , არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და აფრიკის კავშირი , რომელთა მიზანია რეგიონში შემავალ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სამხედრო და სხვა თანამშრომლობის განმტკიცება. რეგიონალურ ორგანიზაციათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო.

საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა ეფექტურ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა. ეს ორგანიზაციები დიდ როლს ასრულებენ მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

## *3. უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები*

### გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო, UN)

მეორე მსოფლიო ომმა დაარწმუნა მსოფლიოს ხალხები, რომ საჭირო იყო მოქმედი და ეფექტური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მტკიცედ დაიცავდა მშვიდობას და გადაარჩენდა მსოფლიოს ახალი სისხლისმღვრელი ომისაგან.

საბჭოთა კავშირის, აშშ-ს და ინგლისის მთავრობის კონსულტაციებისა და თათბირების[68] შედეგად 1945 წელს სან-ფრანცისკოში მოწვეულ იქნა 50 ქვეყნის კონფერენცია, რომელმაც საბოლოოდ შეიმუშავა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება[69]. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 25 ივნისს და იგი ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს[70]. ეს წესდება კოლექტიური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც დღეს 194 სახელმწიფოს მოიცავს და ჭეშმარიტად საყოველთაო უნივერსალურ საერთაშორისო ხასიათს ატარებს. საქართველო შევიდა გაერო-ში 1992 წლის 31 ივლისს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანია:

ა) დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

ბ) განავითაროს მეგობრული მშვიდობიანი ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის.

გ) განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაში და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა – რასის, ენისა და სარწმუნოების მიუხედავად – პატივისცემის წახალისებასა და განვითარებაში (მუხლი 1).

თავის საქმიანობაში ორგანიზაცია ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

ა) იგი დაფუძნებულია ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპებზე.

---

[68] ამ ეტაპის საერთაშორისო აქტები იყო: სსრკ-პოლონეთის 1941 წლის დეკემბრის დეკლარაცია, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების („გაერთიანებული ერების") 1942 წლის 1 იანვრის დეკლარაცია, აშშ-ს, ინგლისის, ჩინეთისა და სსრ კავშირის მოსკოვის დეკლარაცია (1943 წლის 30 ოქტომბერი), ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პროექტი, შემუშავებული 1944 წლის აგვისტო-ოქტომბერში აშშ-ს, სსრ კავშირის და ინგლისის მიერ დუმბარტონ-ოქსში (აშშ); ყირიმის (1945 წლის თებერვალი) კონფერენციის გადაწყვეტილება სან-ფრანცისკოში 25 აპრილს გაერთიანებული ერების კონფერენციის მოწვევის შესახებ.

[69] წესდებას ხელი მოაწერა 50 სახელმწიფომ, რომლებიც ორგანიზაციის თავდაპირველ წევრებად ითვლებიან. ასეთივე სტატუსი მიენიჭა პოლონეთს, რომელიც მალე შეუერთდა წესდებას. დღეისათვის ორგანიზაციაში 191 წევრია.

[70] ეს დღე შევიდა ისტორიაში, როგორც „გაერთიანებული ერების დღე", იგი აღინიშნება ყოველ წელს.

ბ) ორგანიზაციის ყველა წევრი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გ) წევრ-სახელმწიფოები უნდა წყვეტდნენ თავიანთ საერთაშორისო დავებს მშვიდობიანი საშუალებებით და ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას.

დ) ისინი თავს უნდა იკავებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით მუქარასა ან მისი გამოყენებისაგან სხვა სახელმწიფოთა მიმართ.

ე) ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ორგანიზაციის მიერ მისი წესდების თანახმად ჩატარებულ ყველა ღონისძიებას და თავი უნდა შეიკავონ იმ სახელმწიფოს დახმარებისაგან, რომლის წინააღმდეგ მოქმედებს ორგანიზაცია.

ორგანიზაციას არა აქვს უფლება ჩაერიოს წევრ-სახელმწიფოს საშინაო საქმეებში („შინაგან კომპეტენციაში"), თუ ამას არ მოითხოვს იძულებითი ზომების გამოყენების აუცილებლობა.

ორგანიზაციის წევრებად მიიღებიან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, რომლებიც კისრულობენ წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებას. ორგანიზაციის წევრად გახდომისათვის საჭიროა უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია (არანაკლებ 9 ხმისა ყველა მუდმივი წევრის ხმათა ჩათვლით) და გენერალური ასამბლეის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილება.

წესდების დებულებათა სისტემატური დარღვევისათვის სახელმწიფო გაირიცხება ორგანიზაციის შემადგენლობიდან. გარიცხვა იმავე წესით ხდება, რა წესითაც მიიღება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შედგება ექვსი მთავარი ორგანოს, მრავალი დამხმარე და სპეციალიზებული ორგანოსა და ორგანიზაციისგან. მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამდივნო.

**გენერალური ასამბლეა** შედგება ყველა წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს დაასწროს სესიას ხუთი წარმომადგენელი, მაგრამ დელეგაციას მხოლოდ ერთი ხმა აქვს.

გენერალური ასამბლეის ფუნქციები ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს; მათგან ძირითადი განიხილავს საერთაშორისო თანამშრომლობის

პრინციპებს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში (მათ შორის განიარაღებასთან დაკავშირებულ პრობლემებს) და იძლევა რეკომენდაციებს; განიხილავს ყველა საკითხს, რომელიც მშვიდობის დაცვას ეხება, თუ ეს საკითხი უკვე არ განხილულა უშიშროების საბჭოში; იძლევა რეკომენდაციებს ყველა იმ დაეის მშვიდობიანად გადაწყვეტის შესახებ, რომლებიც ენებენ მეგობრულ თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის. გენერალური ასამბლეა გაეროს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღების შესახებ, ასევე , ირჩევს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრებს და სხვა ორგანოების წევრებს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოსთან ერთად ირჩევს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წევრებს, განიხილავს და ამტკიცებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუჯეტს, განიხილავს ყველა დანარჩენ, წესდებით გათვალისწინებულ საკითხს და იძლევა რეკომენდაციებს; იხილავს უშიშროების საბჭოს და სხვა ორგანოების ანგარიშებს.

გენერალური ასამბლეა იკრიბება სესიაზე ყოველი წლის სექტემბრის მესამე სამშაბათს. რიგგარეშე სპეციალური სესიები იწვევა ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით ან თანხმობით. საგანგებო სპეციალური სესია იწვევა 24 საათში. სესია ირჩევს თავმჯდომარესა და მის 21 მოადგილეს გეოგრაფიული რაიონების სამართლიანი წარმოდგენის პრინციპის დაცვით.

მუშაობა წარმოებს პლენარულ და კომიტეტების სხდომებზე. შექმნილია 7 კომიტეტი, რომლებიც იხილავენ შემდეგ საკითხებს:

1) პირველი კომიტეტი – პოლიტიკური საკითხები და განიარაღება;

2) სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი – იგივე საკითხები;

3) მეორე კომიტეტი – ეკონომიკური და ფინანსური საკითხები;

4) მესამე კომიტეტი – სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები;

5) მეოთხე კომიტეტი – დეკოლონიზაციის საკითხები;

6) მეხუთე კომიტეტი – ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხები;

7) მეექვსე კომიტეტი – სამართლებრივი საკითხები.

მოქმედებს აგრეთვე ორი პროცედურული კომიტეტი: ა) გენერალური კომიტეტი (თავმჯდომარე, 21 მოადგილე, შვიდი კომიტეტის თავმჯდომარე), რომელიც დღის წესრიგს, მუშაობის წესს და სხვა ამგვარ საკითხებს განაგებს; ბ) რწმუნებათა შემოწმების კომიტეტი.

გენერალურმა ასამბლეამ შექმნა აგრეთვე ოთხი მუდმივი ორგანო: სარეზიო კომისია, ინვესტიციების კომიტეტი, ორგანიზაციის პერსონალისათვის საპენსიო ფონდის კომიტეტი, **საერთაშორისო სამართლის კომისია.** უკანასკნელი შედგება 25 წევრისაგან, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები უნდა იყვნენ. ასამბლეა ირჩევს მათ 5 წლის ვადით. კომისია მოწოდებულია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას სათანადო კონვენციების ტექსტების მომზადებით იმ დარგებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების ობიექტი. ამის გარდა, კომისია ახდენს უკვე არსებული ნორმების ზუსტ ფორმულირებასა და სისტემატიზაციას, ე.ი. ახდენს კოდიფიკაციას. ამ მუშაობის შედეგები ჩვენ უკვე ვნახეთ წინა თავებში.

**უშიშროების საბჭოს** ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისა დამსოფლიოში უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. იგი შედგება 15 წევრისაგან,[71] რომელთა შორის 5 მუდმივი, ხოლო 10 არამუდმივი წევრია. ეს ხუთი ადგილი ხუთ სახელმწიფოს ეკუთვნის – ესენია: აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი, რომელთაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. დანარჩენ ათ წევრს ირჩევს გენერალური ასამბლეა ორი წლით, გეოგრაფიული რაიონებისა და კანდიდატი სახელმწიფოების მიერ მშვიდობის დაცვაში

---

[71] თავდაპირველად წესდება ითვალისწინებდა ექვსი არამუდმივი წევრის არჩევას, მაგრამ შემდგომ, ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის ერთიორად გაზრდასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული არამუდმივ წევრთა რაოდენობის გაზრდა. 1965 წლის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სათანადო შესწორება, რომელიც ძალაში შევიდა 1966 წელს.

შტანილი წესიერის გათვალისწინებით. ყველა წევრი ერთდროულად არ გადაირჩევა, ყოველწლიურად ირჩევა მხოლოდ 5 ახალი წევრი.

***უშიშროების საბჭოს ფუნქციები:***

ა) იცავს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას;

ბ) იძიებს ყველა დავას და სიტუაციას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობა;

გ) იძლევა რეკომენდაციას ასეთი დავების გადაწყვეტის მეთოდების შესახებ;

დ) იმუშავებს შეიარაღების რეგულირების სისტემის შექმნის გეგმებს;

ე) განსაზღვრავს მშვიდობის დარღვევის საფრთხისა და აგრესიის აქტის ფაქტს და იძლევა რეკომენდაციებს საჭირო ზომების მიღებისათვის. მოუწოდებს წევრ-სახელმწიფოებს გამოიყენონ აგრესიის წინააღმდეგ ეკონომიკური ან სხვა ისეთი სანქციები, რომლებიც შეიარაღებული ძალის გამოყენებასთან არაა დაკავშირებული;

ვ) მიმართავს სამხედრო მოქმედებას გაეროს წესდების VII თავის დარღვევით ძალის გამოყენების შემთხვევაში;

ზ) იძლევა რეკომენდაციებს გაეროს ახალი წევრების მიღებისა და გენერალური მდივნის დანიშვნის თაობაზე;

თ) გენერალურ ასამბლეასთან ერთად ირჩევს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წევრებს და ა.შ.

უშიშროების საბჭო ორგანიზაციის ყველა წევრის სახელით მოქმედებს, უკანასკნელნი კი მოვალენი არიან ყველა ღონე იხმარონ, რომ დაეხმარონ საბჭოს ამ რთული მისიის შესრულებაში, კერძოდ საჭიროებისამებრ გადასცენ მას სათანადო სამხედრო კონტინგენტები, დახმარება და რესურსები მშვიდობის დაცვისათვის.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი პროცედურულ საკითხებზე მიიღება ცხრა ხმით მაინც, მიუხედავად იმისა, თანახმაა ამაზე ხუთივე მუდმივი წევრი სახელმწიფო თუ არა. მაგრამ, როდესაც განიხილება არაპროცედურული საკითხი, ამ შემთხვევაში აღნიშნული ცხრა ხმა უნდა შეიცავდეს ყველა მუდმივი წევრის დადებით ხმას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაცვეტოს უფლების მქონე სახელმწიფო მხარეა დავაში და ამ დავის გადაწყვეტა არ მოითხოვს საბჭოს მხრიდან შეიარაღებული ძალის გამოყენებას, კენჭისყრის დროს ეს

მუდმივი წევრი მოვალეა თავი შეიკავოს. ასეთ ვითარებაში მაინც საჭიროა ისევ ცხრა ხმა.

აღნიშნული წესი უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა ერთმხრივობის პრინციპადაა ცნობილი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა დიდი სახელმწიფო შეთანხმებულად იმოქმედებს, მშვიდობა მართლაც ყოველგვარი საფრთხის გარეშე იქნება.

უშიშროების საბჭოს მუშაობა აგებულია ისე, რომ მას შეეძლოს ფუნქციონირება უწყვეტლივ და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული მოქმედებაც. ამისათვის საბჭოს ყველა წევრს ნიუ-იორკში (ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოების რეზიდენციაში) ჰყავს მუდმივი წარმომადგენელი, რომელთა შეკრება შეიძლება სულ მოკლე ვადაში.

უშიშროების საბჭოსთან შექმნილია სამხედრო-საშტაბო კომიტეტი, რომელიც საბჭოს მუდმივ წევრთა სამხედრო შტაბთა მეთაურებისაგან შედგება და მოწოდებულია დახმარება გაუწიოს საბჭოს სამხედრო ღონისძიებების რეალიზაციის საქმეში. წესდებით უშიშროების საბჭოს განკარგულებაში მეტად ეფექტიანი საშუალებებია აგრესიის აღსაკვეთად; უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, ყურადღება მიაქციოს ყოველგვარ დავას ან სიტუაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას და მოითხოვოს მხარეებისაგან გადაწყვეტონ ეს დავა მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით. როდესაც ადგილი აქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევას ან მისთვის საფრთხის შექმნას, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მიმართოს იძულებით ზომებს, რომელნიც არ არიან დაკავშირებული შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან – დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა გაწყვეტა, სარკინიგზო, საგზაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო, მიმოსვლისა და ურთიერთკავშირების სხვა საშუალებათა სრული ან ნაწილობრივი აღკვეთა. თუ ეს ზომები არასაკმარისი აღმოჩნდება, უშიშროების საბჭომ უნდა გამოიყენოს შეიარაღებული ძალები. წესდების თანახმად, ეს შეიარაღებული ძალები უნდა შემდგარიყო წევრ-სახელმწიფოების ეროვნული კონტინგენტებისაგან. ამ კონტინგენტების თაობაზე წინასწარ უნდა დადებულიყო სპეციალური შეთანხმება უშიშროების საბჭოსა და კონკრეტულ სახელმწიფოს შორის. ასეთი შეთანხმების

საფუძველზე უნდა შექმნილიყო რეალური სამხედრო ბაზა, რომელიც ყოველ წუთს მზად იქნება უშიშროების საბჭოს მოთხოვნის შესასრულებლად. მაგრამ სამხედრო საშტაბო კომიტეტი ჯერჯერობით ვერ ამოქმედდა. ბოლო წლებში, გაერო-ს აუტორიტეტის მკვეთრ ვარდასთან ერთად, მაინც გამოიხატება გზები აგრესიის აღსაკვეთად. (იხ. XV თავი).

**ეკონომიკური და სოციალური საბჭო** შედგება 54 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს გენერალური ასამბლეა სამი წლით. ყოველწლიურად ასამბლეა განაახლებს საბჭოს ერთი მესამედით. საბჭოში ირჩევენ გეოგრაფიული, ანუ რეგიონალური ჯგუფების მიხედვით: აფრიკიდან – 14, აზიიდან – 11, ლათინური ამერიკა და არაბები – 10, დასავლეთ ევროპა – 13, აღმოსავლეთ ევროპა – 6. საქართველო იყო საბჭოს წევრად 2000 წლის შემოდგომიდან.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო

ა) უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობას.

ბ) იკვლევს, ადგენს მოხსენებებს და რეკომენდაციებს იძლევა საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მსგავს დარგებში.

გ) რეკომენდაციას იძლევა ადამიანის უფლებისა და ყველასათვის ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის დაცვა-წახალისების მიზნით.

დ) იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს და იმუშავებს სათანადო კონვენციებს პროექტების გენერალურ ასამბლეაში წარსადგენად.

ე) აწარმოებს მოლაპარაკებას სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მათი ურთიერთობის შესახებ და ა.შ.

სოციალურმა და ეკონომიკურმა საბჭომ შექმნა მთელი რიგი კომიტეტები და კომისიები, რომელთაგანაც აღსანიშნავია: სტატისტიკური კომისია, მოსახლეობის კომისია, სოციალური კომისია, ადამიანის უფლებათა კომისია (2005 წლიდან გარდაიქმნა ადამიანის უფლებათა საბჭოდ), ქალთა უფლებების კომისია, ნარკოტიკული საშუალებების კომისია, ნედლეული საქონლის საერთაშორისო ვაჭრობის კომისია.

შექმნილია 5 რეგიონალური ეკონომიკური კომისია: ევროპისათვის, აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის, ლათინური ამერიკისათვის, დასავლეთ აზიისათვის.

დიდ როლს ასრულებს გაეროს ბავშვთა ფონდი, რომლის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

საბჭოს შეუძლია მიმართოს კონსულტაციისათვის არასამთავრობათაშორის ორგანიზაციებს (მაგ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, საერთაშორისო საეჭრო პალატა, საპარლამენტთაშორისო კავშირი და ა.შ.). საბჭო ხელმძღვანელობს აგრეთვე სხვადასხვა ორგანოს, რომელთა მიზანია განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო დაკავშირებულია 19 ადმინისტრაციულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელთაც საბჭოსთან სპეციალური შეთანხმების ძალით აქვთ „სპეციალიზებულ დაწესებულებათა“ სტატუსი და რომელთა საქმიანობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (აღნიშნული საბჭოს სახით) ხელმძღვანელობით უნდა წარმოებდეს.

გაერთიანებული ერების მთავარი თანამდებობის პირია **გენერალური მდივანი,** რომელსაც ადმინისტრაციული უფლებები გააჩნია – იგი წარმოადგენს ორგანიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე,[72] უფლებამოსილია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაქცევინოს ყველა ისეთ საკითხზე, რომელიც, მისი აზრით, ემუქრება მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას.

გენერალური მდივანი ინიშნება ხუთი წლის ვადით გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე (ამ შემთხვევაში დიდ სახელმწიფოთა ერთმხრივობის პრინციპი მოქმედებს).[73]

გენერალური მდივანი დგას უზარმაზარი აპარატის სათაოში, რომელიც ათი ათას მუშაკს ითვლის და რომელშიაც ადგილების გადანაწილება უნდა ხდებოდეს გეოგრაფიული რაიონების წარმომადგენლობითი ინტერესების დაცვით. ამ

---

[72] მაგ., შეთანხმება აშშ-სა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის ცენტრალური ორგანოების ადგილმდებარეობის შესახებ (1947 წ. 26. IV) ხელმოწერილია გენერალური მდივნის მიერ.

[73] 1946-1952 წწ. გენერალური მდივანი იყო ნორვეგიელი ტრიუგვე ლი, 1953-1961 წწ. – დაგ ჰამერშელდი (შვეცია), 1961-1971 წწ. – უ ტანი (მიანმა), 1972-1981 წწ. – კურტ ვალდჰაიმი (ავსტრია), 1982-1991 წწ. – ჰავიერ პერეს დე კუელიარი (პერუ). 1992-1996 წწ. – ბუტროს-ბუტროს გალი (ეგვიპტე), 1997-2006 წწ. - კოფი ანანი (განა), 2007 წლიდან – პანგი მუნი (კორეა).

მრავალფეროვან საქმიანობაში გენერალური მდივნის დასახმარებლად 1997 წლიდან შემოიღეს გაერო-ს ვიცე-გენერალური მდივნის თანამდებობა.

1997 წელს შეიქმნა გაეროს ვიცე-გენერალური მდივნის თანამდებობა, რომელიც ეხმარება გენერალურ მდივანს.

**მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო** შედგება 15 მოსამართლისგან, რომელთაც ცხრა წლის ვადით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ირჩევენ გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო. მოსამართლეებს ირჩევენ კვალიფიკაციის მიხედვით და არა მოქალაქეობის გათვალისწინებით, ე.ი. პირველ რიგში მხედველობაში მიიღება მეცნიერული და პრაქტიკული კვალიფიკაცია, ავტორიტეტი. ერთსა და იმავე სახელმწიფოს არ შეიძლება სასამართლოში ორი მოსამართლე ჰყავდეს. მიიღება მხედველობაში ისიც, რომ სასამართლოში წარმოდგენილი უნდა იყოს მსოფლიოში არსებული მთავარი სამართლებრივი სისტემები.

საერთაშორისო სასამართლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი სასამართლო ორგანოა. მისი წესდება (სტატუსი) ხელმოწერილ იქნა ორგანიზაციის წესდებასთან ერთად და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სასამართლო იხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც მხარეებად წევრ-სახელმწიფოები გამოდიან.[74]

სასამართლო იძლევა საკონსულტაციო დასკვნებს. საკონსულტაციო დასკვნისთვის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს შეიძლება, მიმართონ არა სახელმწიფოებმა, არამედ მხოლოდ გაეროს 5 ძირითადმა ორგანომ და 16 სპეციალიზებულმა სააგენტომ.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭო უფლებამოსილნი არიან, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა მოსთხოვონ "ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე", მაშინ როდესაც გაეროს სხვა ძირითად ორგანოებს, ისევე როგორც სპეციალიზებულ სააგენტოებს მხოლოდ "მათ საქმიანობისას წამოჭრილ სამართლებრივ საკითხებთან" დაკავშირებით შეუძლიათ

---

[74] სახელმწიფოს, რომელიც არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, შეუძლია გახდეს სტატუსის მონაწილე მხოლოდ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა. სევე უნდა აღინიშნოს ის, რომ სპეციალიზებულ სააგენტოებს მხოლოდ გაეროს გენერალური ასამბლეის თანხმობის შემთხვევაში შეუძლიათ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად მიმართვა.

ერთ-ერთი შედარებით ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი საკონსულტაციო დასკვნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების კანონიერების საკითხთან დაკავშირებით 2010 წელს მიიღო.

სამართლის წყაროები, რომლებსაც იყენებს სასამართლო საქმის განხილვისას, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის შესაბამისად შემდეგია:

ა) საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც მოდავე სახელმწიფოების მიერ აღიარებულ წესებს ადგენენ.

ბ) საერთაშორისო ჩვეულება, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება;

გ) სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ;

დ) სასამართლო გადაწყვეტილებანი და საჯარო სამართლის ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების დოქტრინა (შეხედულება, სწავლება), როგორც დამხმარე საშუალება სამართლებრივი ნორმის დადგენისათვის.

სასამართლო წარმოებაში მხოლოდ მაშინ ღებულობს საქმეს, თუ ორივე მოდავე თანახმაა იურისდიქციაზე. თუ ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს საქმის სასამართლოში გადაცემაზე, სასამართლოს იურისდიქციაზე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო სახელმწიფოთა შორის დავას ვერ განიხილავს.

სწორედ ამიტომ საქართველომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების შემდეგ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის მიერ ქართველთა მიმართ ეთნიკური წმენდისა და ადამიანის უფლებების სხვა მასობრივი დარღვევების გამო, გამოიყენა გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომლის მიხედვით რუსეთის ფედერაციამ აღიარა კონვენციის მუხლების დარღვევასთან

დაკავშირებულ ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საეალდებულო იურისდიქცია.

სასამართლომ 2011 წლის 1 აპრილს მიუღებლად მიიჩნია საქართველოს სარჩელი პროცედურული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო.

დავის მხარეებისთვის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს უშიშროების საბჭოს სასამართლოს გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად. საქართველომ სცნო სასამართლოს საეალდებულო იურისდიქცია 1991 წელს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს კიდევ ერთი მთავარი ორგანოს – **მეურვეობის საბჭოს** არსებობას. მეურვეობის საბჭო მოწოდებული იყო ხელი შეეწყო კოლონიებში მცხოვრები ხალხებისათვის მიეღწიათ თვითმმართველობისათვის ან დამოუკიდებლობისათვის.

მეურვეობის სისტემას გადაეცემოდა: ა) ყოფილი სამანდატო[75] ტერიტორიები, ბ) ჰიტლერულ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოებისაგან ჩამორთმეული ტერიტორიები, გ) ტერიტორიები, რომელთაც ნებაყოფლობით გადასცემდნენ ქვეყნები.

მაგრამ იმის გამო, რომ მეურვეობის საბჭოს შემადგენლობაში ჭარბობდა კოლონიზატორთა წარმომადგენლები, მისი მუშაობა სასურველ ნაყოფს არ იძლეოდა და იგი მალე ჩიხში აღმოჩნდა.

1960 წელს მიღებულმა დეკლარაციამ კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და ამ დეკლარაციის ცხოვრებაში გატარებამ დაშალა მსოფლიო კოლონიური სისტემა, ამიტომ ამ პირობებში მეურვეობის საბჭოს არსებობას აზრი აღარ აქვს. დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს ორგანო აღარ

---

[75] პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიასა და მის მოკავშირე თურქეთს ჩამოერთვათ კოლონიები და გადაეცათ ანტანტის ქვეყნებს. ახალი კოლონიური სისტემა შეინიღბა ერთა ლიგის მიერ გაცემული „მანდატით“.

შეეფერება თანამედროვეობის ამოცანებს და მისი არსებობა გაუმართლებელია.

ასეთია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგადი დახასიათება.

როგორც ეხედავთ, შექმნილია საკმაოდ უნიკალური, მოქნილი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, პირველ რიგში, დაიცვას მშვიდობა და ხალხთა უშიშროება ყველა მის განკარგულებაში მყოფი საშუალებების გამოყენებით. ორგანიზაციის საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა საკითხებსაც. როგორ შეასრულებს თავის მოწოდებას ეს ორგანიზაცია და რამდენად შეძლებს იგი მშვიდობის უზრუნველყოფას, – ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულებენ წესდების დებულებებს წევრ-სახელმწიფოები, რამდენად თანმიმდევრულად გაატარებენ ისინი ცხოვრებაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სულ უფრო ფართოდ გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ეფექტური გარანტი, რომელსაც ძალუძს შეასრულოს წესდებით გათვალისწინებული საპატიო ამოცანა – დაიცვას მშვიდობა და ხალხთა უშიშროება, განამტკიცოს მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე დაყრდნობით, ამავე დროს რიგი საერთაშორისო კონფლიქტების მოწესრიგებისას გაეროს უუნარობამ დროზე ემოქმედა დღის წესრიგში დააყენა მისი რეფორმის აუცილებლობა, რაზედაც მუშაობს სპეციალური კომიტეტი.

## გაეროს სპეციალიზებული სააგენტოები (დაწესებულებები)

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სპეციალიზებული სააგენტოები (დაწესებულებები), ე.ი. სამთავრობათაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე შექმნილი დაწესებულებანი, რომლებიც აღჭურვილნი არიან ზუსტად განსაზღვრული ფართო კომპეტენციით ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში (იხ. გაერო-ს წესდების 57-ე მუხლი). ყოველი ასეთი სააგენტო, რომელსაც გაეროს სისტემაში ეწოდება „სპეციალიზებული დაწესებულება“, დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან შეთანხმებით,

რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს; გაერო უფლებამოსილია: წარუდგინოს დაწესებულებებს რეკომენდაცია მათი პოლიტიკის ურთიერთშეთანხმების მიზნით, განიხილოს მათი ბიუჯეტები და მისცეს რეკომენდაცია დაინტერესებულ დაწესებულებას (გენერალური ასამბლეა), აწარმოოს დაწესებულებათა და გაეროს საქმიანობის კოორდინაცია კონსულტაციებისა და რეკომენდაციების საშუალებით (როგორც ამ დაწესებულების მიმართ, ასევე გენერალური ასამბლეის და წევრ-სახელმწიფოების მიმართ), განიხილოს დეწესებულებების რეგულარული მოხსენებები და სხვ. (იხ. გაერო-ს წესდება, მუხლები: 58, 17, 63, 64, 70).

სპეციალიზებული დაწესებულებები აქტიურად წყვეტენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, გეგმაეენ მრავალწლიან პოლიტიკას მოცემულ სფეროში.

## გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია ( UNESCO)

ოფიციალურად არსებობს 1916 წლის 4 ნოემბრიდან, რიდესაც ძალაში შეეიდა მისი წესდება.

2013 წლისთეის იუნესკოს წეერი იყო თითქმის 200 სახელმწიფო. გარდა ამისა, ჰყავს 8 ასოცირებული წეერი წესდების თანახმად, სახელმწიფოებში შექმნილია ეროვნული კომისიები იუნესკო-ს საკითხებზე. საკონსულტაციო სტატუსი აქვს 250-ზე მეტ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას, ხოლო საქმიანი კონტაქტი – 400 ასეთსავე ორგანიზაციას. ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი დგება მასში შემავალი სახელმწიფოების საწევრო გადასახადებისაგან.

„ორგანიზაცია მიზნად ისახავს, – ნათქვამია წესდებაში, – ხელი შეუწყოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, რისთვისაც განაეითარებს ხალხთა თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, ყველა ხალხისათეის გაეროს წესდებით გამოცხადებული სამართლიანობის, კანონიერების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემის უზრუნველყოფის ინტერესებისათეის, განურჩეველად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა."

იუნესკოს საქმიანობის დიაპაზონი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს: უწიგნურობასთან ბრძოლა, განათლების დაფინანსება, დაგეგმვა, განეითარებად ქვეყნებში საინჟინრო-ტექნიკური კადრების მოსამზადებელი ცენტრების შექმნა,

მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, ადამიანის უფლებათა და მშვიდობის განმტკიცების პრობლემის კვლევა, განათლების მიზნით კოსმოსური კავშირგაბმულობის გამოყენება. ორგანიზაცია ყოველწლიურად აწყობს 150-ზე_მეტ საერთაშორისო ღონისძიებას (კონფერენციებს, სხდომებს, სიმპოზიუმებს).

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც შედგება მასში შემავალი სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან. იგი იკრიბება სესიებზე ორ წელიწადში ერთხელ. აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც ირჩევს გენერალური კონფერენცია, შედგება 51 წევრისაგან, იკრიბება წელიწადში 2-3-ჯერ. სამდივნოს მეთაურობს გენერალური დირექტორი. სამდივნოს მუშაკების დაკომპლექტება ხდება ძირითადად გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპით.

იუნესკო გამოსცემს 200-ზე მეტ პერიოდულ და 100 სერიულ გამოცემას რამდენიმე ენაზე, ყოველწლიურად გამოიცემა ასობით წიგნი: ცნობარები, ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ყოველწლიური საიუბილეო გამოცემები, საერთაშორისო მიმოხილვები, პედაგოგიური და ტექნიკური დამხმარე სახელმძღვანელოები, კატალოგები, აგრეთვე მონოგრაფიები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ინფორმაციის პრობლემებზე.

იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზშია. ოფიციალური ენებია: რუსული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური. საქართველო გახდა იუნესკო-ს წევრი 1992 წელს.

## გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო საagენტო (FAO)

შეიქმნა 1945 წელს კვებეკის კონფერენციაზე. დღეისათვის ორგანიზაციაში შედის 190-ზე მეტი წევრი სახელმწიფო, ევროკავშირი, და 2 ასოცირებული წევრი. ფაო-ს ამოცანაა ხელი შეუწყოს ხალხთა კვების გაუმჯობესებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის და მეტყევეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის განაწილების სისტემის სრულყოფას. 1950 წლიდან მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა განთავისუფლებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა. იგი აგროვებს, სწავლობს და აერცელებს

ინფორმაციას კვების, სურსათისა და სოფლის მეურნეობის (მეტყევეობის და მეთევზეობის ჩათვლით) საკითხებზე. ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და კვების დარგებში სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის სამუშაობების ჩატარებას. ორგანიზაციასთან არსებობს აღმოსაელეთის, ლათინური და ჩრდილო ამერიკის რეგიონალური განყოფილებები.

ფაო-ს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. სესიებს შორის პერიოდში ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, რომელიც ადგენს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის მიმოხილვებს, კოორდინაციას უწევს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მუშაობას, სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოხმარებასა და განაწილების საკითხებში.

ორგანიზაციას სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელსაც კონფერენცია ირჩევს. ფაო-ს შტაბ-ბინა რომშია.

## ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირი (ITU)

შეიქმნა 1865 წელს, საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირის სახით, აერთიანებს თითქმის 190 ქვეყანას.

კავშირის ამოცანაა საერთაშორისო წესდების დადგენა სატელეფონო, სატელეგრაფო და რადიოკავშირგაბმულობისათვის, კავშირგაბმულობის ამ დარგების შემდგომი განვითარებისა და მათი ყველაზე გამოყენების მიზნით მაქსიმალურად შესაძლებელი დაბალი ტარიფით.

კავშირის უმაღლესი ორგანოა უფლებამოსილი კონფერენცია, რომელიც იკრიბება ხუთ წელიწადში ერთხელ. იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის საერთო პოლიტიკას, საჭიროების შემთხვევაში გადასინჯავს კონვენციას, ამტკიცებს ბიუჯეტს, ირჩევს ადმინისტრაციულ საბჭოს, გენერალურ მდივანსა და მის მოადგილეს. ადმინისტრაციული საბჭო მეთვალყურეობს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო ორგანიზაციის ოთხ მუდმივ ორგანოს – გენერალურ სამდივნოს, სიხშირეთა რეგისტრაციის საერთაშორისო კომიტეტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის და რადიოს საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის

მუშაობას. გენერალური სამდივნო ეწევა ადმინისტრაციულ მუშაობას. მას ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს უფლებამოსილი კონფერენცია ხუთწლიანი ვადით.

შტაბ-ბინა ჟენევაშია.

## ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)

სამთავრობათაშორისი ორგანიზაცია, 1974 წლიდან გაერო-ს სპეციალიზებული დაწესებულებაა.

მის ფუნქციებში შედის: ე.წ. სამრეწველო საკუთრების დაცვა (უმთავრესად გამოგონებები, სასაქონლო ნიმუშები, სამრეწველო ნიმუშები), მეცნიერულ აღმოჩენებზე, ლიტერატურულ, სამუსიკო, მხატვრულ და სხვ. ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვისათვის ზომების მიღება, აგრეთვე ამ საკითხებთან დაკავშირებით ეროვნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროგრესის პირობებში ამ ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც სულ უფრო დაჟინებით მოითხოვენ თანამედროვე ტექნოლოგიას, მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ორგანიზაციის მიმართ, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს მეტი საპატენტო ინფორმაცია.

ორგანიზაციის წევრია 180-მდე სახელმწიფო.

ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაშია.

## მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია WMO)

შეიქმნა ადრე არსებული (1873 წ.) საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ბაზაზე. საქმიანობას შეუდგა 1950 წლიდან. ამჟამად ამ ორგანიზაციის წევრია 180-მდე სახელმწიფო.

ორგანიზაციის მიზანია – უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობა მეტეოროლოგიური სადგურების ქსელის შექმნასა და მეტეოროლოგიური დაკვირვებების ერთიანი ნორმების შემუშავებაში, ინფორმაციის სწრაფი გაცვლის სისტემების ჩამოყალიბებაში, ხელი შეუწყოს მეტეოროლოგიის მიღწევების გამოყენებას ავიაციაში, საზღვაო ნავიგაციაში, სოფლის მეურნეობის და სხვ. დარგებში, მეტეოროლოგიის

სფეროში გამოკვლევების წახალისება, მეტეოროლოგების მომზადება და სხვ.

უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა მსოფლიო მეტეოროლოგიური კონგრესი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ იკრიბება. კონგრესი ამტკიცებს ორგანიზაციის ამინდის სამსახურის პროგრამასა და ბიუჯეტს. აღგენს მეტეოროლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ წესებს. კონგრესი ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ახორციელებს გადაწყვეტილებებსა და ტექნიკური წესების შესრულების კონტროლს. აღმასკომი იკრიბება თავის სესიაზე წელიწადში ერთხელ. აღმასკომის შემადგენლობაში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების გარდა შედიან 6 რეგიონალური მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (აფრიკა, აზია, სამხრეთ ამერიკა, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი) პრეზიდენტი და მეტეოროლოგიური სამსახურის 24 დირექტორი. ორგანიზაციის სამდივნოს სათავეში უდგას კონგრესის მიერ დანიშნული გენერალური მდივანი.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაშია.

## მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU)

საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1878 წლამდე იწოდებოდა საყოველთაო საფოსტო კავშირად. 1947 წლიდან იგი გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციაა. შეიქმნა 1874 წელს ბერნში პირველ საერთაშორისო საფოსტო კონგრესზე, რომელმაც მიიღო მსოფლიო საფოსტო კონვენცია.

წესდების მიხედვით კავშირის მიზნებია: უზრუნველყოს საფოსტო სამსახურის ორგანიზაცია და სრულყოფა, წაახალისოს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, ტექნიკური დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყნებს საფოსტო სამსახურის ორგანიზაციასა და სრულყოფაში.

დღეისათვის კავშირი აერთიანებს 190 სახელმწიფოს. კავშირის წევრ-სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან რეგიონალური საფოსტო კავშირები. ამჟამად არსებობს 5 ასეთი კავშირი.

კავშირის უმაღლესი ორგანოა მსოფლიო საფოსტო კონგრესი, რომელსაც იწვევენ 5 წელიწადში ერთხელ.

კონგრესებს შორის მოქმედებს კონგრესის მიერ არჩეული, 40 წევრისაგან შემდგარი აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც იწვევენ წელიწადში ერთხელ. საბჭოს ორგანოა აგრეთვე საფოსტო გამოკვლევების საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც აგრეთვე ირჩევს კონგრესი და იწვევენ ყოველწლიურად. საკონსულტაციო საბჭო აწარმოებს გამოკვლევებს და იძლევა რეკომენდაციებს საფოსტო მომსახურების ტექნიკურ, საექსპლუატაციო და ეკონომიკურ საკითხებზე.

კავშირის მუდმივი სამდივნოა მისი საერთაშორისო ბიურო. ორგანიზაცია გამოსცემს ჟურნალს „საფოსტო კავშირი". კავშირის მუდმივი ორგანოების ადგილსამყოფელია ბერნი (შვეიცარია).

ოფიციალური ენაა – ფრანგული, სამუშაო ენებია: რუსული, ინგლისური, ესპანური.

## რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)

შეიქმნა 1945 წელს ბრეტონ-ვუდსში (აშშ) გაერთიანებული ერების სავალუტო – ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით. ბანკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებაა, მაგრამ მისი წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილეები. 2113 წლის დამდეგს ბანკის წევრი იყო 188 სახელმწიფო. საქართველოს რესპუბლიკა მიღებულ იქნა ამ ბანკში 1992 წელს.

წესდების თანახმად ბანკმა ფინანსური დახმარება უნდა გაუწიოს მონაწილე ქვეყნებს – ეკონომიკის აღდგენის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საქმეში, წაახალისოს კერძო უცხოური კაპიტალდაბანდებები, გასცეს გარანტიები გრძელვადიან სესხებზე, მისცეს სესხები ან მონაწილეობა მიიღოს მათში.

ბანკის საკრედიტო რესურსები შედგება ძირითადი კაპიტალისა და ობლიგაციური სესხებისაგან, რომლებიც გავრცელებულია კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ბანკის აქციებზე სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილი თანხის ჯამს. აქციები ძირითადად ნაწილდება ქვეყნის წილის პროპორციულად, რაც განისაზღვრება მათი შთლიანი ეროვნული შემოსავლით. ხელმოწერილი თანხის 25 სახელმწიფო იხდის ოქროთი ან აშშ დოლარებით, 185 – ეროვნული ვალუტით.

ხელმოწერის 805 არის საგარანტიო ფონდი და მონაწილე სახელმწიფოები იხდიან მას მხოლოდ ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში. ბანკის სესხები ეძლევათ მთავრობებს.

მხოლოდ განსაზღვრული და ბანკის მიერ მოწოდებული მიზნებისათვის სესხის გაცემის მიზანშეწონილობის დასადგენად ბანკი აგზავნის ამა თუ იმ ქვეყანაში თავის მისიას. სესხის გაცემის საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სესხის მიღებით დაინტერესებული ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე.

ბანკი თავის გადაწყვეტილებას ღებულობს ხმების უბრალო უმრავლესობით. თითოეული ქვეყნის ხმების რაოდენობა განისაზღვრება მის მფლობელობაში არსებული ბანკის აქციების რაოდენობით. ამის შედეგად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც „ათთა ჯგუფში" შედიან, ფლობენ ხმების უმრავლესობას.

ბანკის უმაღლესი ორგანოა მმართველი საბჭო, რომელიც შედგება ყველა წევრ-სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან და წელიწადში ერთხელ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად იკრიბება ერთობლივ სესიაზე. ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი 20 წევრის შემადგენლობით ბანკის პრეზიდენტის მეთაურობით.

ბანკის ადმინისტრაცია ვაშინგტონშია.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

შეიქმნა 1944 წელს ბრეტონ-უუდსში გაერთიანებული ერების სავალუტო-ფინანსური კონფერენციის გადაწყვეტილებით. ფონდი გაერო-ს სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელიც სრული ავტონომიით სარგებლობს. 2113 წლის დამდეგისათვის ფონდის წევრი იყო 188 სახელმწიფო. საქართველოს რესპუბლიკა მიღებულ იქნა ფონდში 1992 წელს.

წესდებით ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობასა და საერთაშორისო ვაჭრობის გაფორმებას, თვალყური ადევნოს სავალუტო შეთანხმებების დაცვას, ხელი შეუწყოს ფონდში შემავალი ქვეყნების ვალუტის სტაბილურობას და მისცეს მათ მოკლევადიანი კრედიტები საგადასახადო ბალანსების გაწონასწორებისათვის.

ფონდის ძირითადი კაპიტალი წარმოადგენს წევრი-სახელმწიფოების კვოტების შენატანების ჯამს. მათი სიდიდე განისაზღვრება თითოეული ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური

შესაძლებლობების გათვალისწინებით და პერიოდულად ხდება მისი გადასინჯვა. საწევროების 25% შეადგენს ოქრო და აშშ-ს დოლარები, ხოლო 75% – ეროვნული ვალუტა. კრედიტების რაოდენობა, რომელიც შეიძლება ავტომატურად მიიღოს თითოეულმა ქვეყანამ, შეეფარდება მის „ოქროს წილს". ფონდში ამ რაოდენობაზე მეტი თანხის მიღება შეზღუდულია. კრედიტები ეძლევა წევრ-ქვეყანას მისთვის საჭირო უცხოური ვალუტის მიყიდვის გზით, რაშიც ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული ვალუტა.

უმეტესი კვოტა და შესაბამისად ფონდის გადაწყვეტილებებზე გავლენაც გააჩნია აშშ-ს. 1980-იანი წლების დასაწყისში მისი წილი ფონდის კაპიტალში ყველა შენატანის 1/5-ს შეადგენდა, მაშინ, როცა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ-ქვეყნების წილად მოდიოდა მხოლოდ 30 პროცენტზე ოდნავ მეტი. ფონდის კრედიტების გაცემა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, გაპირობებულია ფინანსურ-ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ვალდებულებებით.

1970 წლიდან ფონდი უშვებს ახალ საერთაშორისო საკრედიტო საშუალებებს – ე.წ. ვალუტის „სასესხო სპეციალურ უფლებებს". ისინიც ნაწილდება ფონდის წევრებს შორის მათი კვოტების პროპორციულად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდში გადამწყვეტ როლს ასრულებს განვითარებული ქვეყნების ე.წ. „ათთა ჯგუფი" – აშშ, ინგლისი, გფრ, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ბელგია, ჰოლანდია და შვეიცარია, რომლებსაც გააჩნიათ ხმების უმრავლესობა და განსაზღვრავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებები მიიღება ხმების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე უბრალო უმრავლესობით. უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა ხმების 85 პროცენტი მაინც.

ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველი საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფონდის ყველა წევრ-ქვეყნის წარმომადგენლები. პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა ევალება დირექტორატს, რომელიც 20 დირექტორისაგან შედგება. დირექტორატის თავმჯდომარედ და ფონდის აპარატის უფროსად ითვლება დირექტორგანმკარგულებელი.

ფონდის ადმინისტრაცია ვაშინგტონშია.

## საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC)

შეიქმნა 1956 წელს, როგორც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ფილიალი. კორპორაციაში შედის 2013 წლისთვის 180-ზე მეტი ქვეყანა. კორპორაციის ამოცანაა იმ კერძო კაპიტალდაბანდებათა დაფინანსება, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც სამთავრობო გარანტიებს არ მოითხოვენ. კორპორაცია სესხს იძლევა 7-დან 25 წლის ვადით.

კორპორაციის კაპიტალი და მართვის სისტემა იგივეა, რაც IFC-ისა, რომლის პრეზიდენტი ერთდროულად ხელმძღვანელობს კორპორაციის დირექტორატს.

კორპორაციის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია.

## სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO)

სამთავრობათაშორისი დაწესებულებაა, რომელიც შეისწავლის სამოქალაქო ავიაციის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხებს. შეიქმნა 1944 წელს ჩიკაგოში 52 ქვეყნის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ. თავისი საქმიანობა დაიწყო 1947 წლიდან 26 ქვეყნის მიერ ამ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ. ამ ორგანიზაციაში შედის 191 სახელმწიფო.

იკაო სწავლობს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის პრობლემებს, ამუშავებს ფრენის, თვითმფრინავების ექსპლოატაციის, ავიასადისპეტჩერო სამსახურის, საავიაციო მომსახურების წესებისათვის რეკომენდაციებსა და სტანდარტებს, სწავლობს აგრეთვე ეკონომიკური და იურიდიული ხასიათის საკითხებს.

იკაო-ს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საერთაშორისო ავიახაზებზე ფრენის უსაფრთხოების ხელშეწყობა. იგი უწევს ტექნიკურ დახმარებას განვითარებად ქვეყნებს სამოქალაქო ავიაციის შექმნაში. მის მიერ შემუშავებულია რიგი საერთაშორისო კონვენცია საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

იკაო-ს უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც შედგება ყველა ქვეყნის დელეგატებისაგან. იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ასამბლეა ირჩევს აღმასრულებელ ორგანოს – საბჭოს, რომელიც შედგება იმ 30 ქვეყნის

წარმომადგენლისაგან, სადაც კარგად არის განვითარებული სამოქალაქო ავიაცია.

**სამუშაო ორგანოებია:** აეროსანაოსნო კომისია, ავიასატრანსპორტო და იურიდიული კომიტეტები, უკანონო ჩარევის საწინააღმდეგო კომიტეტი; ედუარდ უორნერის (პირველი პრეზიდენტის) პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტი და სხვ.

საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. საბჭო ნიშნავს გენერალურ მდივანს, რომელიც ხელმძღვანელობს სამდივნოს (ორგანიზაციის მთავარი ადმინისტრაციული ორგანო) მუშაობას. ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებს რეგიონალური ბიურო.

საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციას 1993 წელს.

შტაბ-ბინა მონრეალშია (კანადა).

## შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)

შეიქმნა 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე, როგორც ერთა ლიგასთან არსებული ორგანიზაცია. 1946 წლიდან მოქმედებს როგორც გაერო-ს სპეციალიზებული დაწესებულება. ამ ორგანიზაციის წევრია მსოფლიოს 180 სახელმწიფო. მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობს წევრი ქვეყნების პროფკავშირებისა და მეწარმეთა დელეგატები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებით მისი მიზანია ცხოვრებისა და შრომის პირობების შესწავლა და გაუმჯობესება; ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა; სოციალური და ქალთა შრომის დაცვა; ხელფასის დამაკმაყოფილებელი დონისა და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების გარანტია; სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. ორგანიზაცია ამზადებს და ამუშავებს საერთაშორისო კონვენციებს და რეკომენდაციების პროექტებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელსაც წელიწადში ერთხელ მაინც იწვევენ. აღმასრულებელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც წელიწადში სამ-ოთხჯერ ატარებს თავის სხდომებს ჟენევაში. საბჭო 56 წევრისაგან შედგება, რომელთა შორის 28 მთავრობის, 14 მეწარმეთა და 14 პროფკავშირების წარმომადგენელია. მათგან 10 მუდმივი ადგილი დათმობილი

აქვთ „პირველხარისხოვანი სამრეწველო მნიშვნელობის ქვეყნებს“, ხოლო დანარჩენი 14 აირჩევა გენერალური კონფერენციის მიერ სამი წლის ვადით.

ადმინისტრაციული საბჭო ხელმძღვანელობს მუდმივ სამდივნოს – შრომის საერთაშორისო ბიუროს და სხვადასხვა კომისიებისა და კომიტეტების მუშაობას, განსაზღვრავს ორგანიზაციის ბიუჯეტს და ირჩევს მის გენერალურ დირექტორს უდიდესი ქვეყნების დელეგატებში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაშია.

## ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)

შეიქმნა 1946 წელს გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ინიციატივით. ორგანიზაცია მოწოდებულია კოორდინაცია გაუწიოს საერთაშორისო თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და დაეხმაროს სახელმწიფოებს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში, „ყველა ხალხის მიერ ჯანმრთელობის მაქსიმალურად მაღალი დონის მიღწევის“ მიზნით.

დღისათვის ორგანიზაციაში 190-ზე მეტი სახელმწიფოა.

ორგანიზაცია აგროვებს და განაზოგადებს სტატისტიკურ მონაცემებს შობადობის, ავადმყოფობების, ეპიდემიის შესახებ, დახმარებას უწევს წევრ-სახელმწიფოებს განსაკუთრებით საშიში ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელმძღვანელობს სამედიცინო კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში შედის 6 რეგიონალური ორგანიზაცია – ევროპის, ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის და აფრიკის.

უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეა, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება წლიური პროგრამისა და ბიუჯეტის განსახილველად და დასამტკიცებლად. იგი ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს 31 წევრის შემადგენლობით (3 წლის ვადით). მთავარი ადმინისტრაციული პირია გენერალური დირექტორი.

შტაბ-ბინა ჟენევაშია.

ორგანიზაციის სტატუსს.

## ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA)

საერთაშორისო ორგანიზაცია, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ხელშეწყობისათვის. შეიქმნა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1954 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით. მაგატეს წესდება მიღებულ იქნა 1956 წლის ოქტომბერში 81 ქვეყნის საერთაშორისო კონფერენციაზე ნიუ-იორკში. ორგანიზაცია პრაქტიკულ საქმიანობას 1957 წ. ოქტომბრიდან შეუდგა, როცა ვენაში ჩატარდა მისი პირველი გენერალური კონფერენცია.

მაგატე თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა, განვითარებადი ქვეყნებისათვის ეროვნული კადრების მომზადება, მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ჩატარება, უსაფრთხოების ნორმებისა და წესების შემუშავება, განვითარებადი ქვეყნებისათვის ბირთვული მასალების მიწოდება. უკანასკნელ წლებში მაგატე-ს საქმიანობის მნიშვნელობა ფაქტობრივად გაიზარდა. ეს გამოწვეულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწესდებო ფუნქციით – ატომური ენერგია არ იქნება გამოყენებული სამხედრო მიზნებისათვის, რათა არ მოხდეს იარაღის შემდგომი გავრცელება.

ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების შესაბამისად მაგატე ხელშეკრულების მონაწილე უატომო სახელმწიფოებთან დებს შეთანხმებას მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის თაობაზე. ამ შეთანხმებით აღნიშნული ქვეყნის საშვიდობო ატომური საქმიანობა ექვემდებარება მაგატე-ს მეთვალყურეობას. 1991 წლისათვის ასეთი სახის შეთანხმებები დადებული იყო 41 სახელმწიფოსთან, მათ შორის ევრატომ-ის უატომო წევრ-ქვეყნებთან. ამჟამად მაგატე-ს წევრია 159 სახელმწიფო.

უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც აერთიანებს მაგატე-ს წევრ-ქვეყნების წარმომადგენლებს და ყოველწლიურად იკრიბება თავის მორიგ ან რიგგარეშე სპეციალურ სესიაზე. სესიებს შორის პერიოდში პრაქტიკულ მოღვაწეობას ახორციელებს მმართველი საბჭო 34 წევრის შემადგენლობით და სამდივნო. სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც 4 წლის ვადით ნიშნავს მმართველთა საბჭო და ამტკიცებს გენერალური კონფერენცია.

მმართველთა საბჭოსთან არსებობს სამეცნიერო-საკონსულტაციო კომიტეტი.

მაგატე-ს ძირითადი გამოცემებია: „ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბიულეტენი", ჟურნალი „ბირთვული სინთეზი", „მიმოხილვები ატომური ენერგიის დარგში". ოფიციალური ენებია: რუსული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური, ჩინური. სამუშაო ენები – რუსული, ინგლისური, ფრანგული და ესპანური.

ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ვენა.

## ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO)

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (შემდგომში ასევე - ვმო) ადგენს სახელმწიფოთაშორის ვაჭრობის წესებს გლობალურ ან თითქმის გლობალურ დონეზე. დღეს არსებული მსოფლიო სავაჭრო სისტემა საფუძველს იღებს ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმებიდან.

1948 წლიდან 1994 წლამდე პერიოდში ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება იძლეოდა მოცემული დროისათვის ძირითად წესებს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების შესახებ. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ასევე - GATT) ხელი მოეწერა 1947 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო ამოქმედება დაიწყო 1948 წლის 30 იენისიდან.

GATT-ის ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფოები აგრძელებდნენ აქტიურ მუშაობას არსებული სისტემის კიდევ უფრო მეტად დახვეწისა და განვითარების მიმართულებით.

1994 წლის 15 აპრილს ხელი მოეწერა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია როგორც მარაკეშის შეთანხმება. ამავე წელს გატის აქამდე არსებული ტექსტი გარკვეული ცვლილებებით გადმოტანილ იქნა 1994 წლის გატის ახალ რედაქციაში. 2001 წლიდან სახელმწიფოები ჩაერთვნენ მოლაპარაკებათა ახალ ნაკადში ე.წ. "დოჰას განვითარების დღისწესრიგში".

მოლაპარაკებათა ინტენსიფიკაციისა და პუნქტების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მსოფლიო სავაჭრო სისტემა ძირითადად ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე;
2. თავისუფალი ვაჭრობა;

3. განჭვრეტადობა;
4. სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა;
5. განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმის წახალისება.

ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე მოიცავს ორ ძირითად ასპექტს – **უპირატესი მოპყრობა და ეროვნული მოპყრობა.**

**უპირატესი მოპყრობა** ნიშნავს იმას, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო არ უნდა აწესებდეს რაკლებ ტარიფებს მის ან სხვა წევრ სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოებულ მსგავს პროდუქციაზე. აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს რომ ის მოცემულია როგორც სამ უმთავრეს ხელშეკრულებაში (გატი, გატსი და ტრიფსი) ასევე ემო-ს ფარგლებში დადებულ ყველა სხვა შეთანხმებაში. თუმცა აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს ასევე გამონაკლის შემთხვევებსაც როდესაც სატარიფო შეღავათი დგინდება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის.

**ადგილობრივი მოპყრობა** – ადგენს თანაბარი პირობების არსებობას უცხოური და ადგილობრივი პროდუქტებისათვის. აღნიშნული პრინციპის შესაბამისად იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქცია უნდა დაექვემდებაროს თანაბარ მოპყრობას იმ შემთხვევაში როდესაც უცხოური პროდუქტი გადმოლახავს სახელმწიფოს საზღვარს. აღნიშნული პრინციპის მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ პროდუქტი ბაზარზე მოხვედრის შემდეგ უნდა მოექცეს თანაბარ პირობებში ადგილობრივ პროდუქციასთან მიმართებით. ადგილობრივი მოპყრობის პრინციპი არ ირღვევა მაშინ, როდესაც უცხოური პროდუქციის შემოტანის დროს მასზე ხდება საბაჟო გადასახადის დაკისრება მაშინაც კი როდესაც ადგილობრივ პროდუქტზე აღნიშნული გადასახადის დაკისრება არ ხდება. აღნიშნული პრინციპიც ასევე არის გათვალისწინებული ემო-ს ფარგლებში გაფორმებულ სამივე უმთავრეს შეთანხმებაში (GATT, GATS, TRIPS) და სხვა ხელშეკრულებებში.

**თავისუფალი ვაჭრობა** - აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს მუდმივ მოლაპარაკებებს ვაჭრობაში ბარიერების შემცირების საბაჟო გადასახადების, ტარიფებისა

და ქვოტების მოდიფიცირებისათვის, რათა უფრო მეტად შეეწყოს ხელი სახელმწიფოთაშორის თავისუფალ ვაჭრობას.

**განჭვრეტადობა და გამჭირვალეობა** - წევრ სახელმწიფოები წინასწარ თანხმდებიან იმაზე, რომ გარკვეული პერიოდისათვის არ გაზრდიან ტარიფს ან არ მიმართავენ ვაჭრობის შემაფერხებელ სხვა რომელიმე მეთოდს. აღნიშნულ პრინციპს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ბიზნესის წარმოების სტაბილურობისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ შეცვალოს შესაბამისი რეგულაციები, მან ინფორმაცია ნებისმიერი ცვლილების შესახებ უნდა გამოაქვეყნოს ოფიციალურად ან აცნობოს ემო-ს რათა ვაჭრობის წარმოების გამჭირვალე პროცესი იქნას უზრუნველყოფილი.

**სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა** - აღნიშნული პრინციპის დაცვა ხდება უპირატესი მოპყრობის, ადგილობრივი მოპყრობისა და შესაბამისად დისკრიმინაციის აკრძალვის მეთოდების გამოყენებით. სახელმწიფოები თანმხდებიან იმ პრაქტიკაზე თუ როგორ უნდა დაიცვან სამართლიანი კონკურენციის წარმოების წესები და თუ როგორ უნდა დააკომპენსირონ ის ზარალი რომელიც გამოწვეულია არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

**განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმის წახალისება** - ემო ორიენტირებულია განვითარებაზე, სწორედ ამიტომ განვითარებადი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით. ემო-ს ზოგადი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად სახელმწიფოებსა და გარდამავალი პერიოდის ეკონომიკებს ეძლევათ დამატებითი დრო საკუთარი კანონმდებლობისა და ეკონომიკის ემო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტრუქტურა საკმაოდ კომპლექსურია და მრავალწახნაგოვანი, ის შედგება **მინისტერიალის კონფერენციის, გენერალური საბჭოს, სამდივნოსა და დავების განმხილველი ორგანოსაგან.**

**მინისტერიალის კონფერენცია** შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან, იკრიბება სულ მცირე ერთხელ ყოველ ორ წელიწადში და მოწოდებულია იმისათვის, რომ ეფექტურად განახორციელოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფუნქციები. მინისტერიალის კონფერენცია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებებით მოცულ ნებისმიერ საკითხზე.

**გენერალური საბჭო** შედგება ყველა წევრსახელმწიფოს წარმომადგენლისაგან და იკრიბება საჭიროებების მიხედვით. მინისტერიალის კონფერენციის შეხვედრებს შორის ინტერვალებში მის ფუნქციებს ასრულებს გენერალური საბჭო, ამის პარალელურად გენერალური საბჭო ასრულებს ასევე სხვა ფუნქციებს რაც გაწერილია მარაკეშის შეთანხებაში (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო შეთანხმება). გენერალური საბჭო თავად ადგენს საკუთარ საპროცედურო წესებს და ასევე ამტკიცებს მის მიერ შექმნილი კომიტეტების საპროცედურო წესებსაც.

გენერალურმა საბჭომ შესაძლოა შეითავსოს დავების განმხრილველი ორგანოს ფუნქციები დავების განხილვისათვის დადგენილი შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით. დავების განმხილველ ორგანოს შესაძლოა ყავდეს თავმჯდომარე და ის ასევე ადგენს საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით საკუთარ საპროცედურო წესებს.

გენერალური საბჭო საჭიროების შემთხვევაში ითავსებს სავაჭრო პოლიტიკის განმხილველი ორგანოს ფუნქციებსაც, როგორც ეს გათვალისწინებულია შესაბამის სამართლებრივ აქტებში. სავაჭრო პოლიტიკის განმხილველ ორგანოს ყავს თავმჯდომარე და ადგენს ისეთ საპროცედურო წესებს, რომელებიც საუკეთესოდ წარმართავს მის საქმიანობას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა გენერალური საბჭოს ფუნქციებში შედის ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი სამი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი, ესენია: **საქონლით ვაჭრობის, მომსახურებით ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა საბჭოები.**

**სამდივნო** - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს - მინისტერიალის კონფერენცია. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს გენერალური დირექტორის

უფლებამოსილებას, ვალდებულებებს, მუშაობის პირობებს და უფლებამოსილების ვადას.

გენერალური დირექტორი ნიშნავს აპარატის წევრებს და განსაზღვრავს მათი უფლებამოსილების ფარგლებს მინისტერიალის კონფერენციის მიერ დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად.

გენერალური დირექტორი და სამდივნოს აპარატის წევრები სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით წევრი სახელმწიფოებისაგან და უფლებამოსილნი არიან იხელმძღვანელონ მხოლოდ ეაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ინსტრუქციებით. წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პატივი უნდა სცენ გენერალური მდივნისა და სამდივნოს აპარატის წევრების საქმიანობის საერთაშორისო ხასიათს და თავი უნდა შეიკავონ მათზე გაელენის მოხდენის ნებისმიერი მცდელობისაგან.

**დავების განმხილველი ორგანო – სრულად წარმართავს** ემო-ს ფარგლებში არსებული დავების განხილვის პროცესს. ის უფლებამოსილია განიხილოს წევრ სახელმწიფოთა შორის რეგულაციებისა და პრაქტიკის შესაბამისობა ემო-ს ფარგლებში დადებულ შეთანხმებებთან და მისცეს შესაბამისი შეფასება მხარეებს შორის წამოჭრილ დავას. დავების განმხილველი ორგანოს პანელი შედგება მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირებისაგან რომელბიც შესაძლოა იყვნენ წევრსახელმწიფოთა სამთავრობო ან არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. პანელი როგორც წესი შედგება 3 წევრისაგან. მხარეთა მოთხოვნით რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს მაქსიმუმ 5 წევრამდე. როდესაც დავა შეეხება განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, მაშინ განვითარებადი სახელმწიფოს მოთხოვნით შესაძლებელია პანელის წევრად დასახელდეს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი ემო-ს წევრი განვითარებადი სახელმწიფოებიდან. დავის განხილვისას პანელის გადაწყვეტილების რომელიმე მხარისათვის მიუღებლობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა სააპელაციო პალატას. აპელაციის პროცესს წარმართავენ საერთაშორისოდ აღიარებული რეპუტაციის მქონე სამართლის, საერთაშორისო ვაჭრობისა და შესაბამისი შეთანხმებით მოწესრიგებული სფეროს მაღალ დონეზე მცოდნე სპეციალისტები. სააპელაციო პალატა შედგება 7 წევრისაგან. წევრები იცვლებიან როტაციის პრინციპით და არც ერთი

მათგანი არ უნდა წარმოადგენდეს ემო-ს რომელიმე წევრ სახელმწიფოს მთავრობას. პანელისა და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დგინდება დროის გარკვეული პერიოდი, თუ წევრ სახელმწიფო არ მოიყვანს საკუთარ რეგულაციებს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში ის დაექვემდებარება შესაბამის სანქციებს.

**ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტატუსი** - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას აქვს სამართალსუბიექტურობა, ნებისმიერმა წევრ-სახელმწიფომ უნდა გადასცეს მას ისეთი სამართლებრივი უფლებამოსილება, რომელიც აუცილებელი იქნება მისი ფუნქციების ჯეროვანი განხორციელებისათვის.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია სარგებლობს ყველა იმ იმუნიტეტითა და პრივილეგიით რაც აუცილებელია მისი ფუნქციების შესასრულებლად. პრივილეგიები და იმუნიტეტები ვრცელდება, როგორც ორგანიზაციის თანამშრომლებზე ასევე წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებზე. ორგანიზაციის თანამშრომლებისა და წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებზე გავრცელებული პრივილეგიები და იმუნიტეტები იდენტურია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1947 წლის 21 ნოემბერს მიღებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ კონვენციით გათვალისწინებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტებისა.

**გადაწყვეტილების მიღება** - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით, როგორც ეს თავიდანვე იქნა განსაზღვრული 1947 .წლის ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ზოგად შეთანხმებაში. გადაწყვეტილება კონსენსუსით მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ორგანოს სხდომაზე დამსწრე წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ოფიციალურად არ ეწინააღმდეგებიან დასმული საკითხის მოწესრიგების შეთავაზებულ გზას. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსით შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. მინისტერიალის კონფერენციისა და გენერალური საბჭოს სხდომებზე წევრსახელმწიფოები სარგებლობენ თითო ხმის უფლებით. ევროპული თანამეგობრობა სარგებლობს იმდენი ხმის უფლებით მისი რამდენი წევრი სახელმწიფოც არის გაწევრიანებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. მინისტერიალის კონფერენციისა და გენერალური საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა

ხმების უმრავლესობით გარდა იმ შემთხვევისა თუ სახელმწიფოები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებების ფარგლებში.

გამონაკლის შემთხვევებში მინისტერიალის კონფერენციას შეუძლია გადახედოს წევრ სახელმწიფოთა შორის გაფორმებული მრავალმხრივი შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია წევრ სახელმწიფოთა 3/4-ის თანხმობა. აღნიშნულ წესს აქვს ასევე შეზღუდვაც, იმ შემთხვევაში თუ საკითხი ეხება გარდამავალი პერიოდის ან საეტაპო ვალდებულებათა შესრულებას გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული მხოლოდ კონსენსუსით.

თხოვნა ვალდებულებათა გადახედვაზე უნდა წარედგინოს მინისტერიალის კონფერენციას იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ რომ აღნიშნული საკითხის გარშემო გადაწყვეტილების მისაღებად კონსენსუსია საჭირო. მინისტერიალის კონფერენცია ადგენს მაქსიმუმ 90 დღიან დროის პერიოდს საკითხის განსახილველად. თუ მითითებულ ვადაში არ მოხდება გადაწყვეტილების მიღება ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება წევრთა ხმების 3/4-ით.

2013 წლის 2 მარტის მონაცემებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 159 სახელმწიფო. ორგანიზაციას საქართველო შეუერთდა 2000 წლის 14 ივნისს.

## *4. რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად დასაშვებია „რეგიონალურ შეთანხმებათა ან ორგანოების შექმნა გარკვეული გეოგრაფიულ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით“. ეს ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ასეთი ორგანიზაციების წევრები უნდა ცდილობდნენ თავისი დავები რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით გადაწყვიტონ და მხოლოდ ყველა სხვა საშუალებათა ამოწურვის შემდეგ ეს დავა უნდა გადასცენ უშიშროების საბჭოს, თუ მანამდე თვითონ საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ კონფლიქტში ჩარევა (მუხ. 52).

რეგიონალურ ორგანიზაციას არა აქვს უფლება გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ ამას არ მოითხოვს უშიშროების საბჭო (მუხ. 53), მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრები სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესიის ობიექტი გახდებიან, მათ უფლება აქვთ გამოიყენონ ორგანიზაციის მთელი ძალა აგრესორის უკუსაგებად, რის შესახებაც ატყობინებენ უშიშროების საბჭოს (მუხ. 51, 53, 54).

მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ორგანიზაციების გარდა არსებობს ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციებიც.

მოკლედ შევეხოთ თანამედროვე ძირითად რეგიონალურ ორგანიზაციებს.

## აფრიკის კავშირი (AU)

პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელსაც 2004 წლამდე ეწოდებოდა აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, ხოლო შემდგომ ის გადაიქცა „აფრიკის კავშირად", იგი აერთიანებს აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, დაარსდა 1963 წლის 25 მაისს აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მესამე კონფერენციის გადაწყვეტილებით. კონფერენცია გაიმართა ეთიოპიის დედაქალაქ ადისაბებაში. ორგანიზაციის წევრია 50-ზე მეტი სახელმწიფო.

ორგანიზაციის მიზანია: ზრუნვა აფრიკის სახელმწიფოების ერთიანობისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის, მათ შორის თანამშრომლობის კოორდინაცია და განვითარება, ღონისძიებათა გაერთიანება აფრიკის ხალხთა არსებობის პირობების გაუმჯობესებისათვის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვა, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძვითარება გაერო-ს წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იწვევენ. ასამბლეის გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების შესრულების საქმეს განაგებს მინისტრთა საბჭო. იგი შედგება საგარეო საქმეთა და სხვა მინისტრებისაგან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობების მიერ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ყველა ორგანოს

მომსახურების ორგანიზაციულ-აღმასრულებელი სამუშაოს შესრულება აკისრია მუდმივმოქმედ გენერალურ სამდივნოს. ორგანიზაციის ფარგლებში მუშაობს შუამავლობისა და არბიტრაჟის კომისია.

გარდა ამისა, არსებობს მრავალი სპეციალიზებული ორგანოები – ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომისია, განათლებისა და კულტურის საკითხების კომისია, თავდაცვის საკითხების კომისია და სხვ. ზემოჩამოთვლილი ორგანოების მიერ შექმნილია მთელი რიგი დამხმარე ორგანოები, რომელთა მიზანია რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ეერ-სახელმწიფოთა ბრძოლის კოორდინაცია, მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გაკონტროლება და ა.შ.

აფრიკის ერთობის ორგანიზაციის სტრუქტურა მრავალსართულიანია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აფრიკის ქვეყნების დარაზმვასა და ყველა რესურსების მობილიზაციას კოლონიალიზმთან საბრძოლველად, ახალი მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული აფრიკის შექმნას.

## ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (OAS)

დაარსდა 1948 წელს. მასში შედის 35 სახელმწიფო 1971 წ. შეიქმნა მეთვალყურეთა ინსტიტუტი. ორგანიზაციასთან აკრედიტებულია მუდმივი მეთვალყურეები ბელგიიდან, გაიანიდან, ისრაელიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, ნიდერლანდებიდან, გფრ-დან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან.

ორგანიზაციის ოფიციალური მიზნებია: კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, სადავო საკითხების მშვიდობიანი მოგვარება და უთანხმოების თავიდან აცილება; აგრესიის შემთხვევაში – ერთობლივი მოქმედება, ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა, ძალების გაერთიანება ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული პროგრესიისათვის. ამსახო-ს წევრები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, რომელიც 1947 წელს რიო-დე-ჟანეიროშია ხელმოწერილი, აგრეთვე სხვა სამხედრო შეთანხმებებით.

ამსახო-ში შესვლა შეუძლია დასავლეთ ნახევარსფეროს ყველა სახელმწიფოს, რომელიც აღიარებს მის წესდებას.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელსაც ყოველწლიურად იწვევენ. იგი განსაზღვრავს მის პოლიტიკას და საქმიანობას, მისი ორგანოების სტრუქტურას და ფუნქციებს. ყველა ქვეყნისათვის საინტერესო, სასწრაფო ხასიათის პრობლემების განსახილველად იწვევენ საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირს, სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე. საკონსულტაციო თათბირის დასახმარებლად დაარსებულია თავდაცვის საკონსულტაციო კომიტეტი.

აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს მუდმივი საბჭო. იგი შედგება მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლობისაგან. მუდმივ საბჭოსთან შექმნილია მრავალი დამხმარე კომიტეტი და საბჭო.

გენერალურ სამდივნოს ეწოდება პანამერიკული კავშირი. მას მეთაურობს გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს გენერალური ასამბლეა 5 წლის ვადით. პანამერიკული კავშირის რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში.

## არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (LAS)

შეიქმნა 1945 წლის 22 მარტს კაიროში, არაბულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციაზე.

ლიგაში გაერთიანებულია შემდეგი სახელმწიფოები: ალჟირი, ბაჰ-რეინი, გაერთიანებული არაბთა ემირატები, ეგვიპტე, ერაყი, იემენის არაბთა რესპუბლიკა, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, იორდანია, კუვეიტი, ლიბანი, ლიბია, მავრიტანია, მაროკო, ომანი, საუდის არაბეთი, სომალი, სუდანი, ტუნისი, ჯიბუტი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია.

პაქტი ანუ ლიგის წესდება ფორმით საერთაშორისო ხელშეკრულებაა. იგი განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს: წევრ-სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების ერთიანი პოლიტიკური ხაზის შემუშავება, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა, არაბული ქვეყნების ინტერესებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე თანამშრომლობას ეკონომიკის, ფინანსების, ტრანსპორტის, კულტურის, მოქალაქეობის და ვიზების გაცემის დარგში.

ლიგის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელშიც შედიან ყველა წევრ-ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოს სესიები ტარდება

წელიწადში ორჯერ. სესიებს შორის მიმდინარე სამუშაოს ასრულებს გენერალური სამდივნო, რომელთანაც არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციის, პალესტინის საქმეების, ნაეთობის საკითხების და სხვა დეპარტამენტები. ამ ორგანოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი.

1973 წლის იანვარში კაიროში საბჭოს სესიაზე საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრმა გადაწყვიტეს შეექმნათ სამხედრო ღონისძიებათა დაფინანსების არაბთაშორისი ფონდი. ლიგის ფარგლებში მოქმედებს აგრეთვე აფრიკის ქვეყნებისათვის დახმარების არაბული ფონდი. არის აგრეთვე ერთობლივი თავდაცვის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები ან მათი წარმომადგენლები და გენერალური შტაბის წარმომადგენელთა მუდმივი სამხედრო კომიტეტი, რომელიც თავდაცვის გეგმაზე მუშაობს.

## ევროპის კავშირი (ევროკავშირი, EU)

2007 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა და 2009 წლის დეკემბერს ძალაში შევიდა ლისბონის ხელშეკრულება. ლისბონის ხელშეკრულებით ევროკავშირის სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა ოფიციალურად აისახა ხელშეკრულების ტექსტში, გაუქმდა ე.წ. სამი სვეტი, დაიხვეწა და გაფართოვდა პარლამენტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებისა და დამტკიცების პროცედურა, შემოღებული იქნა ახალი თანამდებობა - ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი (შეუერთდა ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისიონერის თანამდებობას), მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილებები და განხორციელდა სხვა არსებითი ცვლილებები. სწორედ ამის გამო ლისბონის ხელშეკრულებას სხვაგვარად რეფორმატორულ ხელშეკრულებადაც მოიხსენიებენ.

2013 წლის დასაწყისისთვის ევროკავშირში 27 წევრია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ლატვია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი.

ეს გაერთიანება 3 ორგანიზაციას დაეფუძნა – ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (EOYC), ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (EÝÑ) და ევროპის ატომური ენერგიის კომისია (ევრაომი), რომლებიც შესაბამისად შეიქმნა პარიზსა (1951) და რომში (1957). აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დაარსდა 50 წლის ვადით და 2002 წელს მოხდა მისი ინტეგრაცია ევროკავშირში, მას შემდეგ რაც მისი სადამფუძნებლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა.

1957 წელს რომის ხელშეკრულებით შეიქმნა „ევროპის გაერთიანება“, რომელშიც სამივე ორგანიზაცია ავტონომიურობით სარგებლობს, თუმცა 1967 წლიდან („ხელშეკრულება შერწყმის შესახებ“) შეიქმნა ევროპის გაერთიანების ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოების სისტემა. მომდევნო წლებში ეს ერთიანობა უფრო გაძლიერდა.

1991 წლის 11 დეკემბერს ქ. მაასტრიხტში დაიდო „ხელშეკრულება პოლიტიკური კავშირების შესახებ“, რომელიც აძლიერებს ფედერალურ საწყისებს საერთაშორისო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. მაასტრიხტის ხელშეკრულება შევიდა ძალაში 1993 წელს.

1997 წლის ივნისს დაიდო ახალი ამსტერდამის ხელშეკრულება, ანუ ხელი მოეწერა რამდენიმე მნიშვნელოვან შესწორებას, რომელმაც გააძლიერა კავშირის ერთიანობა საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში, ახლებურად განსაზღვრა მისი სამხედრო პოტენციალის განვითარების გზები, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის ფორმები. (იხ. დასაელეთ ევროპის კავშირი). ამ გადაწყვეტილებებით ევროპული საბჭოს გენერალური მდივანი იქცა საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის უზენაეს წარმომადგენლად.

ამჟამად ევროკავშირის მთავარი ორგანოები შემდეგია:

**ევროკომისია** – ამუშავებს გაერთიანების ღონისძიებებს და ატარებს მათ ცხოვრებაში. კომისია არის კანონმდებლობის მთავარი ინიციატორი, თუმცა ამის უფლება გააჩნია პარლამენტს და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე ცალკეულ წევრ-სახელმწიფოებს.

აღმასრულებელი ფუნქციიდან გამომდინარე კომისია კონტროლს უწევს ქვანახშირისა და ფოლადის ფასებს, ებრძვის მონოპოლიზმს და ისეთ სუბსიდირებას, რომელიც

აენებს კონკურენციას, თვალყურს ადევნებს ბირთვულ (ენერგეტიკულ) დანადგარებს და სხვ.

კომისია დგას კავშირის კანონმდებლობის სადარაჯოზე. ამ მიზნით იგი იძიებს საქმეებს, რომლებიც ეხება ერთობლიეი კანონების დარღვევას წევრ-სახელმწიფოთა ან ცალკეული კომპანიების მიერ, საჭიროების შემთხვევაში კომისია აჯარიმებს დამრღვევ მხარეს ან გადასცემს საქმეს სასამართლოში.

კომისია შედგება 27 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავენ 5 წლის ვადით და ისინი ინარჩუნებენ მოქმედების სრულ თავისუფლებას, ხოლო დამოკიდებულება სახელმწიფოსაგან წყდება. კურირებენ კონკრეტულ სფეროს – საგარეო ეკონომიკური კავშირები, ეკონომიკა, ფინანსები, სოფლის მეურნეობა და სხვ. გადაწყვეტილება მიიღება ერთობლიეად – კონსენსუსით, ზოგჯერ ხმათა უმრავლესობით.

კომისიისაგან უნდა განვასხვავოთ ადმინისტრაციული სამსახურები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებებს.

ამ სამსახურებში შედის: გენერალური მდივანი, იურიდიული სამსახური, თარგმანის ბიურო, სხვა ცენტრალიზებული სამსახურები, აგრეთვე 23 გენერალური დეპარტამენტი, გენერალური დირექტორების მეთაურობით.

კომისიის წევრები თუ პროფესიონალური პოლიტიკოსებია, ადმინისტრაციული სამსახურის მთელი სისტემა სპეციალისტ-პროფესიონალებისაგან შედგება, რომლებიც პოლიტიკაში ჩაურევლად უნდა ახორციელებდნენ თავის საქმიანობას.

**ევროპარლამენტი** გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოა.

პირველ ხანებში ევროპარლამენტი მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციით სარგებლობდა. დღეს მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო საქმიანობაში. კომისიასთან ერთად 754 წევრისაგან პარლამენტს ირჩევენ პირდაპირი არჩევნებით გაერთიანების მთელ ტერიტორიაზე 5 წლის ვადით.

ევროპარლამენტის კომპეტენციას მიეკუთვნება:

ა) ბიუჯეტის მიღება;

ბ) დადგენილებების, დირექტივებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. საქმე ისაა, რომ კომისია წარუდგენს საკანონმდებლო აქტს ერთდროულად როგორც პარლამენტს, ასევე მინისტრთა საბჭოს. თუ ამ ორგანოების აზრი არ ემთხვევა ერთმანეთს, კანონპროექტი ხელმეორედ განიხილება. მინისტრთა საბჭოს აქვს უფლება

უარყოს პარლამენტის გადაწყვეტილება მხოლოდ თავისი წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს კომისიამ.

გ) კონტროლი კომისიის საქმიანობის მიმართ. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია ხმათა 2/3 გამოუცხადოს კომისიას უნდობლობა.

დ) პოლიტიკური ფორუმების მოწვევა.

ე) პარლამენტს მიეცა უფლება მიიღოს პეტიციები კავშირის მოქალაქეებისაგან. დაინიშნა ომბუდსმენი ამ პეტიციების განხილვისათვის.

**მინისტრთა საბჭო** კავშირის ღონისძიებათა ჩატარების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების ორგანოა. მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა კანონების მიღებიხ სფეროში.

საბჭო შედგება რამდენიმე საბჭოსაგან, რომლებიც აერთიანებენ წევრ-სახელმწიფოთა ამა თუ იმ დარგის მინისტრებს – სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ფინანსები და ა.შ., რაც დღის წესრიგის შინაარსზეა დამოკიდებული.

ორ საბჭოს აქვს განსაკუთრებული სტატუსი:

საერთო საკითხების საბჭო, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შედგება, საკოორდინაციო ფუნქციას ასრულებს.

ევროპის საბჭო წევრ-ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურებს აერთიანებს, იკრიბება წელიწადში ორჯერ და ყველაზე მნიშვნელოვან საერთოპოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავს.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები მზადდება გენერალური სამდივნოს მიერ, რომელშიც მუშაობს 2200 ადამიანი. მრავალი სამუშაო ჯგუფი და კომისია იქცევა საქმიანი სჯა-ბაასის ასპარეზად, სადაც წევრ-სახელმწიფოთა მოხელეები და ევროპის გაერთიანების კომისიის წევრები სათავეში იხილავენ გადაწყვეტილებათა პროექტებს. ამ სისტემის სათავეში დგას **მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი,** რომელიც შედგება წევრ-სახელმწიფოების მიერ წარგზავნილი ელჩებისაგან-მინისტრებისაგან.

ამ ორგანოს ეკისრება მინისტრთა საბჭოს სხდომებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინაცია.

გადაწყვეტილებების მიღება საბჭოში ხდება ხმათა უმრავლესობით, ერთმხრიობა საჭიროა მხოლოდ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა გადასახადები,

შრომითი კანონმდებლობა, იმიგრაცია, გარემოს დაცვა, პოლიტიკა, საგარეო თავდაცვა.

ყოველი ქვეყნის ხვეულდრითი წონა განისაზღვრება მისი ეკონომიკის პოტენციალით, იგი ვარირებს 10-დან (გფრ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) 2-მდე (ლუქსემბურგი).

**ევროპის სამართლიანობის სასამართლო** შედგება 27 მოსამართლისა და 8 გენერალური ექილისაგან, რომლებსაც ნიშნავენ 6 წლის ვადით ყველა წევრ-სახელმწიფოს თანხმობით.

სასამართლოს ევალება გაერთიანების ყველა ქვეყანაში კანონის ერთიანი გამოყენების უზრუნველყოფა შემდეგ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით:

ა) დაეები კომისიასა და წევრ-სახელმწიფოს შორის;

ბ) დაეები წევრ-სახელმწიფოთა შორის;

გ) აქტები მიმართული კავშირის წინააღმდეგ;

დ) წევრ-სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ გადმოცემული საკითხები ევროპის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის შესახებ.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და წევრ-სახელმწიფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ეძლევა ევროპის სასამართლოს აქტს (დაწვრილებით იხილე თავი: „საერთაშორისო დაეების გადაწყვეტის საშუალებანი").

**აუდიტორების კომიტეტი.** ეს კომიტეტი ფინანსების მაკონტროლებელი ორგანოა. შეიქმნა 1978 წელს და შედგება 27 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა საბჭო პარლამენტთან ერთად. კომიტეტი მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული.

**ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომიტეტი.** ეს კომიტეტი შედგება არაუმეტეს 350 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მწარმოებლებს, პროფკავშირებს, ფერმერებს, მომხმარებლებს და სხეა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებს.

**ევროპის საინვესტიციო ბანკი.** აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაცია ხელშეკრულებით არის დაკავშირებული ევროპის გაერთიანებასთან. თავისი სტრუქტურით და საქმიანობით ეს ბანკი წააგავს მსოფლიო ბანკს.

საინვესტიციო ბანკის ამოცანაა სესხისა და გარანტიების გაცემა კავშირის ჩამორჩენილი რაიონების განვითარების სტიმულირებისათვის; სხვადასხვა პროექტების განხორციელება ევროპის კავშირის ფარგლებში. იგი აფინანსებს გაერთიანების დახმარებას განვითარებადი ქვეყნებისათვის. ბოლო ხანებში ამ

ქვეყნების რიცხვს მიემატა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, ყოფილი სსრ კავშირის „მოკავშირე“ რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც.

**ევროპის ცენტრალური ბანკი,** რომელსაც ლისაბონის ხელშეკრულების 2009 წლის დეკემბერში ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირის ოფიციალური ინსტიტუტის სტატუსი მიენიჭა, დაარსებულია ამსტერდამის ხელშეკრულებით და მდებარეობს ფრანკფურტში. იგი ახდენს ევროკავშირის საგალუტო პოლიტიკის ადმინისტრირებას, უზრუნველყოფს ევროზონაში ფასების და ზოგადად ფინანსური სისტემის სტაბილურობას, ასევე აკონტროლებს ევროს ბანკნოტების გამოშვებას.

როგორც ვხედავთ, ევროპის გაერთიანების სახით შეიქმნა ნახევრად ფედერაციული, ნახევრად კონფედერაციული კავშირი.

ევროპის კავშირის საქმიანობის მთავარი პრინციპებია:

ეროვნული (მოქალაქეობის) ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის დაუშვებლობა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ;

კავშირის მექანიზმი ამოქმედდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრ-სახელმწიფოთა დონეზე მიღებულ ღონისძიებებთან შედარებით მისი აქცია უფრო ეფექტურ შედეგს გამოიღებს. ეს ე.წ. „შევსების პრინციპი“ მოწოდებულია შეავსოს ხარვეზები ეროვნულ კანონმდებლობაში ყველა წევრ-სახელმწიფოს ერთობლიეი საქმიანობით;

**სამართლის პრინციპზე დაყრდნობა.** კავშირი ხელმძღვანელობს ცალკეული გაერთიანებების (პარიზის 1951 და რომის 1957 წლების) ხელშეკრულებებისა და სხვა დამატებითი აქტების დებულებებით. ამ მხრივ დიდი როლი მიეკუთვნება გაერთიანების სასამართლოს, რომელიც ამოწმებს წევრ-სახელმწიფოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობას კავშირის დამფუძნებელ და სხვა საკანონმდებლო აქტებთან. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლოს კონტროლი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება თვით კავშირის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები დამფუძნებელ ხელშეკრულებას. კავშირის მიერ მიღებული კანონები უშუალოდ გამოიყენება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ეროვნული სასამართლოების მიერ.

ევროპის კავშირის **სამართალშემოქმედება** რამდენიმე სახის აქტებით ხორციელდება.

დადგენილებანი – საერთო გამოყენების საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოქმედებენ წევრ-სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

დირექტივები – სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომელიც მონაწილეობს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაში. ასეთი აქტები მოითხოვენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის კორექტირებას.

გადაწყვეტილებანი – ეხება ცალკეულ სადავო საკითხებს და სავალდებულოა იმ ქვეყნებისათვის, ფირმებისა და ფიზიკური პირებისათვის, რომელთა მისამართით ეს აქტები გამოიცემა.

რეკომენდაციები და შეხედულებანი – ფორმალურად იურიდიული ძალის არმქონე აქტები, მაგრამ მოითხოვენ დიდ ყურადღებას, რადგანაც ევროპის გაერთიანების აზრს გამოხატავენ.

დღემდე ევროპის გაერთიანება ძირითადად ეკონომიკურ, ფინანსურ, საბაჟო და სოციალურ-ჰუმანიტარულ (ადამიანის უფლებები) საკითხების ერთობლივ რეგულირებას ახდენდა.

ევროგაერთიანების პირველადი მიზანი იყო შექმნილიყო ერთიანი ეკონომიკური არე, რომლის ფარგლებში არ იარსებებდა არც საზღვრები, არც რაიმე შეზღუდვა ამ არეში საქონლის, კაპიტალისა და მოქალაქეთა გადაადგილებისა.

1990 წლის ივნისიდან დაიწყო პირველი ეტაპი – საბაჟო-საფინანსო და ეკონომიკური კავშირის შექმნა. პირველად ამ კავშირში შევიდა 8 სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი, დანია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი, შემდგომ 1992 წელს მას შეუერთდა საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი. ამგვარად თავდება ევროპაში ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის შექმნის პროცესი.

აღსანიშნავია ე.წ. „შენგენის სივრცის“ შექმნა (კონვენცია დაიდო 1990 წლის 19 ივნისს ქ. შენგენში – ლუქსემბურგი), რომლის ძალით გაუქმდა მონაწილე ქვეყნებს შორის სახელმწიფო საზღვრებისა და საბაჟო კონტროლი. სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია „შენგენის“ ვიზა, ასევე სარგებლობს ამ გაადვილებული წესით ევროპის ქვეყნებში შესვლის შემდეგ.

კავშირს გააჩნია საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა. იგი აღიარებულია დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელსაც აქვს უფლება დადოს ხელშეკრულება

როგორც სხვა ორგანიზაციასთან, ასევე ცალკეულ სახელმწიფოსთან. უკვე დადებულია ხელშეკრულებები 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან. ეს არ გამორიცხავს ევროგაერთიანების წევრ-ქვეყნების უფლებას დამოუკიდებლად დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაგრამ თუ ამ სფეროს უკვე არეგულირებს ევროგაერთიანების მიერ დადებული ხელშეკრულება, წევრ-ქვეყანას არა აქვს უფლება დაარღვიოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები.

2013 წლისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებულია ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებისა და ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე.

## ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO)

შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს. ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია. ნატოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად. მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, კანადა, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.

ნატოს ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს წევრ-სახელმწიფოებს აგრესიის მოგერიებაში, რაც გათვალისწინებულია გაერო-ს წესდების 51-ე მუხლით, რომელიც უტოვებს ყველა სახელმწიფოს „ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას“. ამის გარდა, ხელშეკრულება ისახავს მიზნად მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობას დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის, საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისათვის, თავისუფლების ინსტიტუტების განვითარებისათვის და სხვ.

ნატო შეიქმნა როგორც წმინდა სამხედრო კავშირი „ცივი ომის“ საწარმოებლად. მაგრამ 1950 წლიდან მას პოლიტიკური ორგანოს ფუნქციაც ეკისრება საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა საბჭოს სახით. დღეისათვის, განსაკუთრებით „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, ნატოს ეს ფუნქცია სულ უფრო და უფრო ყოლისმომცველ ხასიათს იძენს.

გადაწყვეტილების მიღება ნატოს ორგანოებში კონსესუსით ხდება. ყოველ წევრს აქვს უფლება ოქმში შეიტანოს თავისი „განსაკუთრებული აზრი“ ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

ნატოს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს **ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო,** რომელშიც შედის 28 წევრ-სახელმწიფო. ჩვეულებრივად საბჭოს შემადგენლობაში შედიან სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლები ნატოსთან (ელჩები), რომლებიც იკრიბებიან კვირაში ერთხელ; სესიები საგარეო საქმეთა ან სხვა მინისტრების დონეზე ტარდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულზე (ერთ-ერთი წევრ-სახელმწიფოს დედაქალაქში) და ზამთარში ქ. ბრიუსელში. განსაკუთრებულ შემთხვევაში იწვევენ საგანგებო სესიას. ხოგჯერ სესიები ტარდება სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა დონეზე. სხდომაზე განიხილება კავშირის საქმიანობის საკვანძო პროგრამული საკითხები, მიმოიხილავენ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას სხვადასხვა რეგიონებში, ისმენენ ნატოს ორგანოების მომხსენებლებს. ფართოდ გამოიყენება კონსულტაციები წევრ-სახელმწიფოებს შორის, რასაც ძალზე დიდი ყურადღება ექცევა. **ნატოს გენერალური მდივანი** თაემჯდომარეობს საბჭოს სამუშაო სესიებს. სესიის გახსნასა და დახურვას აწარმოებს საბჭოს საპატიო თავმჯდომარე იმ წევრ-ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის ჯერიც მოდის აღნიშნულ თარიღზე (სია შედგენილია სახელმწიფოთა დასახელების მიხედვით ინგლისური ანბანის გამოყენებით). საბჭოს სესიებს შორის პერიოდში მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს **ნატოს მუდმივი კომიტეტი,** რომელიც შედგება წევრ-ქვეყნების ელჩის რანგის მქონე მუდმივი წარმომადგენლებისაგან, ეს პირები სპეციალურად არიან აკრედიტირებული ნატოს შტაბ-ბინასთან ბრიუსელში. მუდმივი საბჭოს სხდომები ტარდება კვირაში რამდენჯერმე, საჭიროების შემთხვევაში სხდომის მოწვევა ხდება ორი საათის განმავლობაში.

მუდმივი კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ნატოს გენერალური მდივანი, აწარმოებს პოლიტიკურ

კონსულტაციებს, ახდენს ინფორმაციის გაცვლას, ამზადებს მასალებს ნატოს საბჭოს სესიისათვის, განიხილავს დოკუმენტებს, მომზადებულს ნატოს სხვადასხვა კომიტეტებში, ხელმძღვანელობს კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობას. **პოლიტიკური კომიტეტი,** რომელიც შედგება მუდმივ წარმომადგენელთა მოადგილეებისა და პოლიტიკური მრჩევლებისაგან, ამზადებს მასალებს და დოკუმენტებს მუდმივი საბჭოს სხდომებისათვის.

ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო სამხედრო, პოლიტიკური და ზოგადი სამხედრო პრობლემების გადაჭრის დარგში არის **თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტი** მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების დონეზე (საფრანგეთის გამოკლებით). ისლანდია, რომელსაც არ გააჩნია თავდაცვის მინისტრი, წარმომადგენელია მთავრობის წევრის ან ელჩის დონის მუდმივი წარმომადგენელით. კომიტეტის სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ (გაზაფხულზე და ზამთარში). ამ სესიებს შორის პერიოდში კომიტეტში მუშაობენ წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლები.

საბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანოა **ბირთვული თავდაცვის კომიტეტი,** რომელიც განიხილავს ბირთვული იარაღის პრობლემებს და მისი გამოყენების პრინციპებს. შეიქმნა 1966 წელს და მისი სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ. ბირთვული თავდაცვის კომიტეტში შედიან წევრ-ქვეყნების თავდაცვის მინისტრები (საფრანგეთის გამოკლებით). სამუშაო ორგანოა **ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი.** სხდომაზე იკრიბება რეგულარულად, წელიწადში ორჯერ (გაზაფხულზე და ზამთარში) მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების დონეზე. დღეს ამ კომიტეტის ადგილი დაიკავა **ნატოს ბირთვული პოლიტიკის დაგეგმვის კომიტეტმა,** რომელიც წინათ თავდაცვის კომიტეტის სამუშაო ორგანო იყო.

სამხედრო კომიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს **საერთაშორისო გაერთიანებული შტაბი,** რომელშიც შედის ყველა ის წევრ-ქვეყანა, რომლის შეიარაღებულ ძალებს. შტაბს მეთაურობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს სამხედრო კომიტეტი.

ალიანსის უმაღლესი ორგანო სამხედრო ხელმძღვანელობის დარგში არის **სამხედრო კომიტეტი,** რომლის წევრებია წევრ-ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლები (გენერალური შტაბის უფროსები), საფრანგეთი და ისლანდია არ მონაწილეობენ. სამხედრო კომიტეტი ხელმძღვანელობს

ბლოკის სამხედრო ორგანიზაციას. სხდომებს შორის პერიოდში საქმეებს განაგებს მუდმივი კომიტეტი. სამხედრო კომიტეტის სხდომებს შორის მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობას აკონტროლებს მუდმივი სამხედრო კომიტეტი. მასვე ევალება ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია.

ნატოს აღმასრულებელი ორგანოა **საერთაშორისო სამდივნო** გენერალური მდივნის მეთაურობით. გენერალური მდივნის პოსტზე ირჩევენ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. იმავდროულად ეს პიროვნება წარედგინება ევროატლანტიკურ საბჭოს, სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს, ბირთვული დაგეგმვის ჯგუფისა და სხვა მნიშვნელოვანი კომიტეტების თავმჯდომარეებს თანამდებობებზე ასარჩევად საერთაშორისო სამდივნო მომსახურებას უწევს ნატოს ყველა ორგანოს და სხვ. საშუალებებით. ნატოს სისტემაში პოლიტიკური და სხვა გადაწყვეტილებათა მიღების წესები ეფუძნება პერმანენტული კონსულტაციების პროცესს. ყოველი განსახილველებული საკითხი მრავალჯერ განიხილება კონსულტაციების სტადიაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა ამა თუ იმ ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. გადაწყვეტილება მიიღება კონსესუსით. წევრ-ქვეყანას ერთი ხმა აქვს და მას შეუძლია ნებისმიერი გადაწყვეტილების ბლოკირება, მაგრამ ამისათვის მან უნდა წარადგინოს მოტივირებული ახსნა-განმარტება.

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ნატოს ხელმძღვანელობამ აქტიურად დაიწყო ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმების ძიება. 1991 წლის დეკემბერში შეიქმნა ახალი ორგანო – ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო. ჩამოყალიბდა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. 1997 წელს შეიქმნა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო.

**ჩრდილოეთატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო** – ნატოს სისტემაში 1991 წელს შექმნილი სტრუქტურის მიზანი იყო, მოეკვეთა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებიც შეიქმნა ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე. საქართველო გახდა ამ ორგანოს წევრი 1992 წელს.

საბჭოს ძირითადი დანიშნულება იყო ჩაერთო ზემოაღნიშნული ქვეყნები პოლიტიკური კონსულტაციების პროცესში. ყველა მონაწილეს მიეცა უფლება საჭირო ასპექტის თაობაზე მიეღო მონაწილეობა დაძაბულობის წყაროთა დადგენაში, იმ ზომების განხილვაში, რომელთა მიღება

მიზანშეწონილი იქნებოდა სტაბილურობის განმტკიცებისათვის. 1999 წლიდან ეს ფორუმი ჩაენაცვლა **ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი.** იგივე ფუნქციას ასრულებს პროგრამა **„პარტნიორობა მშვიდობისათვის“,** რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს.

**2010 წლის 1 ოქტომბერს** საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი. **2010 წლის 19-20 ნოემბერს** საქართველოს დელეგაცია იმყოფებოდა ქ. ლისაბონში ნატო-ს სამიტზე. სამიტზე მიღებულ ნატო-ს ახალ სტრატეგიულ კონცეფციასა და დეკლარაციაში განმეორდა და განმტკიცდა ნატო-ს ბუქარესტის სამიტის გადაწვეტილება, რომ **საქართველო გახდება ნატო-ს წევრი.** რუსეთს მტკიცედ მოეთხოვა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება და საქართველოს რეგიონების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარების შეცვლა.

**ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC)** – ნატოს სისტემაში 1997 წლის 30 მაისს შექმნილი ორგანიზაციაა. იგი მოწოდებულია ყოფილ სოციალისტურ ბანაკში შემავალ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის განმტკიცებისათვის, რასაც მანამდე ახორციელებდა მისი წინამორბედი – **ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.** საფუძვლად უდევს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს -ს მოქმედების გეგმა, რომელიც კონსულტანტების მრავალ სფეროს მოიცავს პოლიტიკისა და უშიშროების პრობლემებზე: კრიზისების მოგვარება, რეგიონალური საკითხები, კონტროლი შეიარაღებაზე, საერთაშორისო ტერორიზმი, თავდაცვის საკითხები, მეცნიერული თანამშრომლობა, საკითხები მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაციების შესახებ.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს **პარტნიორთა საგარეო საქმეთა მინისტრების,** აგრეთვე **თავდაცვის მინისტრების თათბირები,** მათ შორის მოქმედებენ პარტნიორების **მუდმივი წარმომადგენლები** (ელჩები) წევრებია ნატოს 28-ვე წევრი, აგრეთვე ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბულგარეთი, ესტონეთი, ფინეთი, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი. ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა,

პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკია, სლოვენია, შვედეთი, შვეიცარია, ტაჯიკეთი, მაკედონია, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი. 2001 წლისათვის პარტნიორთა რაოდენობა 55 შეადგენდა.

**პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP) – ნატოს** სტრუქტურაში. 1994 წელს შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც **ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში** შემავალ 27 პარტნიორს მოიცავს, რომელიც არ არის ნატოს წევრი. მისი მიზანია განამტკიცოს პარტნიორთა მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციების პოტენციალი და შესაძლებლობანი ერთობლივი დაგეგმვის, წვრთნის ოპერატიული თანამშრომლობა მათი შეიარაღებული ძალებისა და ნატოს წევრებისა. ყოველი პარტნიორი ორმხრივი ხელშეკრულებით (ე.წ. ჩარჩო დოკუმენტი) უკავშირდება ნატოს, რითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პარტნიორის მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციას 1994 წელს.

ძირითადი ორგანო, რომელიც განაგებს „პ.მ.“-ის საკითხებს არის **პოლიტიკურ-სამხედრო მუდმივი კომიტეტი პარტნიორობა მშვიდობისათვის,** რომელიც იკრიბება ან მხოლოდ ნატოს წევრების შემადგენლობით, ან პარტნიორებთან ერთად. სამხედრო ასპექტები განისაზღვრება ნატოს სამხედრო ორგანოებით – სამხედრო კომიტეტით და მასთან შექმნილი სამხედრო თანამშრომლობის მუშა ჯგუფით საკონსულტაციო ფუნქციებით. დიდ როლს თამაშობს **პარტნიორების თანამშრომლობის უჯრედი.** განლაგებული ქ. მონსში (ბელგია), სადაც უზენაესი შტაბ ბინაა. იგი ექვემდებარება ნატოს ჩრდილო-ატლანტიკურ საბჭოს, მისი ძირითადი დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს ერთობლივ სამხედრო საქმიანობას „პ.მ.“-ის ჩარჩოებში და გაატაროს ორგანიზაციის პროგრამის სამხედრო ასპექტების სამხედრო დაგეგმარება, კერძოდ, ერთობლივი წვრთნები ადგილზე. უჯრედს ხელმძღვანელობს **დირექტორი,** 1998 წლიდან უჯრედის შემადგენლობაში შედიან, ნატოს წევრთა გარდა, პარტნიორების წარმომადგენლებიც.

„პარტნიორები“ აქტიურად უწყობდნენ ხელს ყოფილ იუგოსლავიაში ნატოს ოპერაციებს, როგორც მშვიდობის დამცავ ძალებში თავისი კონტიგენტის გაგზავნით. ასევე თავის ტერიტორიაზე განლაგებული აეროდრომებითა და საწვავით. კოსოვოში ოპერაციის დროს (1998-1999) საქართველოს ოცეული მონაწილეობდა გაერო-ს ეგიდით და ნატოს ჯარების

საშუალებით კოსოვოში მიმდინარე მშვიდობის დამცავ ოპერაციაში.

1994-1996 წწ. საქართველოს მონაწილეობა შემოიფარგლებოდა კონსულტაციებით და თათბირებში მონაწილეობით. 1997-1998 წლიდან ეს მონაწილეობა უფრო აქტიური ხდება, ყოველწლიურად საქართველო პარტნიორობის პროგრამის ასამდე ღონისძიებებში ღებულობდა მონაწილეობას, მათ შორის საქართველოს შეიარაღებული ძალები მონაწილეობდნენ მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებში სხვადასხვა ქვეყანაში.

2000 წ. საქართველომ 100-მდე ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, ჩატარდა 13 მრავალეროვნული სამხედრო წვრთნა თავდაცვის სამინისტროს ქვეგანყოფილებისა და შტატების მონაწილეობით.

2001 წელს საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართა „კოოპერატიე პარტნიერ-2001" მრავალეროვნული ფართომასშტაბიანი სამხედრო საზღვაო-სახმელეთო სამშვიდობო წვრთნა.

„პარტნიორობის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესი (PARP) – ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1999 წ. ნატოსთან დადებული ინდივიდუალური შეთანხმებით, რამაც უნდა უზრუნველყოს ნატოს სტანდარტებზე აგებული ქართული ჯარის ბაზის შექმნა. ნატო-ში გაწევრიანების გზაზე კიდევ ერთი პროგრამა არსებობს **„ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP)"**. საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელიც შეუერთდა ამ პროგრამას 2004 წელს. ამჟამად მიმდინარეობს პროცესი საქართველოზე ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამის გავრცელება, სახელდობ **„გაწევრიანების სამოქმედო გეგმა"**, რომელიც 1999 წელს იქნა მიღებული და რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარა ნატო-ში ახალი წევრების მიღებას. ეს პროგრამა ბოლო საფეხურია ნატო-ში გაერთიანების პროცედურისა. 2006 წლის სექტემბერში გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი – დაიწყო საქართველოსა და ნატოს შორის **ინტენსიური დიალოგი** (ID) ნატოში გაწევრიანების თაობაზე.

ნატო-საქართველოს კომისია (NGC) უზრუნველყოფს კონსულტაციებს მოკავშირეებსა და საქართველოს შორის საქართველოს მიერ რეფორმების გატარების პროცესში. ნატო-ს მხრიდან ამ პროცესის მხარდაჭერა და სხვადასხვა ფაროო

საკითხზე მსჯელობა ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს. ალიანსის ყველა წევრი სახელმწიფო და საქართველო ერთობლივად არიან წარმოდგენილნი აღნიშნულ კომისიაში, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად იმართება სხდომები ელჩებისა და სამხედრო წარმომადგენლების დონეზე, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრებისა და თავდაცვის მინისტრების, შტაბების უფროსებისა და უმაღლეს დონეზე. ყველა ეს შეხვედრა ტარდება ნატო-სა და საქართველოს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

კომისიაში მუშაობა მიმდინარეობს ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში. პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს და გეგმები ასევე ეფუძნება მოკავშირეთა მხრიდან შემუშავებულ რეკომენდაციებს. მოიცავს ხუთ ძირითად სფეროს: პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, თავდაცვითი და სამხედრო საკითხები, რესურსების საკითხები, უსაფრთხოების საკითხები და სამართლებრივი საკითხები.

პირველი ეროვნული პროგრამა საქართველოს მიერ წარმოდგენილ იქნა 2009 წლის გაზაფხულზე და მან შეკვეთა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც ნატო-სა და საქართველოს შორის ურთიერთობა ეთარდებოდა 2004 წლიდან.

კომისიის საქმიანობა რეფორმების მხარდაჭერის, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე ტრანსფორმაციის გზაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ანალიზისა და დაგეგმვის პროცესი (PARP). PARP უზრუნველყოფს ჩარჩოს პარტნიორობისათვის რათა განავითაროს ეფექტური, მდგრადი და მიღწევადი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელიც ხელს უწყობს უფრო ღრმა და საფუძვლიანი სამხედრო რეფორმის მხარდაჭერას. დაგეგმვის ძირითად მიზნებთან დაკავშირებით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და განიხილება მიღწეული პროგრესი თითოეული წლის განმავლობაში.

## დასავლეთ ევროპის კავშირი (WEU)

სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეიქმნა 1955 წელს. საფუძვლად დაედო 1954 წლის შეთანხმებები პარიზში. აერთიანებს 10 სახელმწიფოს – დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს,

გერმანიას, იტალიას, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, საბერძნეთს, ესპანეთს და პორტუგალიას.

დეკ-ის ოფიციალური მიზანი იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კომპლექსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გფრ-ის შეიარაღებაზე კონტროლი. დროთა განმავლობაში კავშირის ფუნქციები რამდენადმე შეიცვალა. გერმანიას მოეხსნა ყველანაირი შეზღუდვა ჩვეულებრივი საბრძოლო იარაღის წარმოებაში, ხოლო თვითონ დეკ-ი გადაიქცა ევროპული ინტელიგენციის ერთ-ერთ ძირითად ორგანიზაციად. დეკ-ის 1984 წლის რომის საიუბილეო ასამბლეის სესიაზე ოფიციალურად გამოცხადდა ევროპის ერთიანობისა და თანდათანობითი ინტეგრაციის იდეისადმი სრული მხარდაჭერა და ევროპის უსაფრთხოებაზე ერთიანი თვალსაზრისის ჩამოყალიბება. გერმანიამ და საფრანგეთმა შექმნეს გაერთიანებული სამხედრო ბრიგადები დეკ-ს ეგიდით.

„ცივი ომის" დამთავრებამ, კომუნისტური რეჟიმის დამხობამ აღმოსავლეთ ევროპაში, საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის დაშლამ და გერმანიის გაერთიანებამ ძირეული კორექტივები შეიტანა დეკ-ის ფუნქციებში.

დეკ-ის სტრუქტურა, ამოცანები, როლი ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სამ დოკუმენტში – „ჰაագის პლატფორმაში", „მაასტრიხის დეკლარაციაში" და „პეტერსბერგის დეკლარაციაში". პირველი – „ევროპის უსაფრთხოების ინტერესების პლატფორმა", მიღებული იყო 1987 წლის ოქტომბერში ახლად შექმნილი დეკ-ის მინისტრების საბჭოს (შედგებოდა კავშირის წევრთა საგარეო და თავდაცვის მინისტრებისაგან) მიერ, პლატფორმა ეყრდნობოდა ნატოს „ევროპული დასაყრდენის" გაძლიერების აუცილებლობას. მაასტრიხტში (1991 წლის 9-10 დეკემბერი. იხ. მაასტრიხის ხელშეკრულება) ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებანი ევროკავშირისა და დეკ-ის წევრთა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თაობაზე კავშირის როლზე, მის ურთიერთობაზე ეუთოსა და ნატოსთან და სხვ. „პეტერსბერგის დეკლარაცია" მიღებული იყო ქ. პეტერბურგში (გერმანია) 1992 წლის 19 ივნისს და მიზნად ისახავდა მაასტრიხის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას. წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ საჭიროების შემთხვევაში გაწევასცენ კავშირის ხელმძღვანელობას ყველა სახის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები სამხედრო მიზნების მისაღწევად – პუმანიტარული და გადარჩენის მისია, მშვიდობის

დაცვა, ბრძოლა ძალებთან „კონფლიქტების არეში". **„მშვიდობის დამცავი ოპერაციები"**, მჭიდრო კავშირი ეუთოსა და ნატოსთან.

ეს კავშირი სულ უფრო ძლიერდება, თუმცა „დეკ" რჩება ნატოსგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, იხვეწება საერთო თაედაცვით დაგეგმარებისა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისა და მოქმედების მექანიზმები. უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდა ევროკავშირის სისტემასთან – „დეკ" ამ ორგანიზაციის ძირითადი სამხედრო დასაყრდენია, რომელიც ემორჩილება ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებებს (ევროკავშირის სამიტზე მიღებული შესწორებები ამსტერდამის ხელშეკრულებაში – 1997 წლის ივნისი, დეკ-ის მინისტრთა მიერ მიღებული „დეკლარაცია დასავლეთ ევროპის კავშირის როლზე და მის ურთიერთობებზე ევროკავშირსა და ნატოსთან – 1997 წლის 22 ივლისი).

დეკ-მა მიიღო მონაწილეობა მთელ რიგ ჰუმანიტარულ და მშვიდობის დამცავ ოპერაციებში ევროპასა (ალბანეთი, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიებზე) და აფრიკაში.

დეკ მთავარი ორგანოებია: **საბჭო** (საგარეო და თავდაცვის მინისტრები, იკრიბება წელიწადში ორჯერ), **მუდმივი საბჭო,** საბჭოს სამუშაო ჯგუფი, გენერალური შტაბების უფროსები, **დაგეგმარების შტაბი,** სამუშაო ჯგუფები, **ასამბლეა** (შედგება 108 დეპუტატისაგან) წევრი-სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

წევრობა კავშირში მრავალასპექტიანია: სრული წევრობა (კავშირის ათივე წევრი-სახელმწიფო), ასოცირებული წევრები, რომელთა სტატუსი თითქმის გათანაბრებულია წევრობასთან (ნატოს, მაგრამ არა ევროკავშირის, წევრები), ასოცირებული პარტნიორები (არც ნატოს, არც ევროკავშირის წევრები), მეთვალყურენი (ნატოს და ევროკავშირის წევრები). ამჟამად ასოცირებული წევრები არიან ისლანდია, ნორვეგია, თურქეთი, მეთვალყურეთა სტატუსი გააჩნია დანიას, ირლანდიას, ავსტრიას, ფინეთს, შვედეთს.

## ეუთო (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია – OSCE)

შეიქმნა უსაფრთხოების **რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია,** რომლის 55 წევრი – სახელმწიფო განლაგებულია ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულ გეოგრაფიულ სივრცეზე. **გაერო-ს წესდების** VIII თავის

შესაბამისად ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროში, როგორიცაა: შეიარაღებაზე კონტროლი, პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება. ჰელსინკში თათბირის დასკვნითი აქტი ხელმოწერილ იქნა 1975 წლის 5 აგვისტოს 35 სახელმწიფოს მიერ.

ეს აქტი არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება, იგი უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური შეთანხმებაა, რომლის მიზანი იყო შეესუსტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

1990 წლამდე ეუთო ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრისა და კონფერენციების სისტემა, რომელიც ადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეების მოქმედებათა წესებს და პერიოდულად მიმოიხილავდა მათ შესრულებას (ამ დროს მისი სახელწოდება იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი – ეუთო). პარიზის 1990 წ. უმაღლესი დონის შეხვედრაზე ეუთო ახალ კურსს დაადგა. „პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ ეუთო მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ევროპაში მიმდინარე ისტორიული გარდაქმნის წარმართვისა და „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ახალ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის.

აღნიშნული ამოცანების შესრულების გასაადვილებლად შეიქმნა ცალკეული უწყებები და ინსტიტუტები, შეხვედრებმა უფრო რეგულარული ხასიათი მიიღო და ეუთოს მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდა.

1990 წლის ნოემბერში მოლაპარაკება წარმოებდა ეუთოს საქმიანობის ფარგლებში შეიარაღების კონტროლის მნიშვნელოვან შეთანხმებაზე – **ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებაზე (CFE).** ერთობლივი საკონსულტაციო ჯგუფი (პასუხისმგებელია ხელშეკრულების ხელშეწყობაზე) და „ღია ცის“ საკონსულტაციო კომისია (მასში წარმოდგენილია ღია ცის შესახებ 1992 წ. ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო), თუმცა ისინი არ წარმოადგენენ ეუთოს ორგანოებს, რეგულარულად იკრიბებიან ეუთოს საკონფერენციო დარბაზში ჰოფბურგების კონგრესცენტრში (ქ. ვენა).

1994 წ. ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრაზე აღიარეს, რომ ეუთო აღარ წარმოადგენდა უბრალოდ კონფერენციას და მას ამიერიდან ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ეწოდა. ამან ორგანიზაციას ახალი პოლიტიკური იმპულსი მისცა და, ამავე დროს, ეს იყო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარების გამოხატულება.

ლისაბონის 1996 წ. უმაღლესი დონის შეხვედრაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცა ეუთოს საკვანძო როლს ყველა განზომილებით უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში. ლისაბონის შეხვედრამ ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპული უსაფრთხოების ეუთოს ქარტიის შემუშავებას (მიღებულ იქნა 1999წ. ქ. სტამბოლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე), რომელიც მიზნად ისახავს ეუთოს ქმედუნარიანობის გაუმჯობესებას. ეუთოს მონაწილე 30-მა სახელმწიფომ სტამბოლშივე მოაწერა ხელი **ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების** გადასინჯულ ვარიანტს.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ეუთოს უფრო აქტიურად, ეფექტურად ჩარევის აუცილებლობას **არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების** მოგვარების მიზნით.

**ეუთოს სტრუქტურა:** პოლიტიკური კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანოა მუდმივი საბჭო. მისი წევრები, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები) ვენაში, ყოველკვირეულად იკრიბებიან ეუთოს კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა საკითხის განსახილველად, მათზე გადაწყვეტილებების მისაღებად.

**მთავარ საბჭოს,** რომელსაც ესწრებიან მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური ხელმძღვანელები ან სხვა მაღალი თანამდებობის პირები, იწვევენ პერიოდული პოლიტიკური თათბირებისათვის. მთავარი საბჭო წელიწადში ერთხელ იკრიბება ქ. პრაღაში როგორც ეკონომიკური ფორუმი. ეუთოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მართავენ **მინისტერიალს** წელიწადგამოშვებით, შუალედში სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები რამდენიმე წელიწადში ერთხელ იკრიბებიან უმაღლესი დონის შეხვედრაზე, **სამიტებზე** (ბოლო ასეთი შეხვედრა გაიმართა სტამბოლში, 1999 წ. ნოემბერში).

ეუთოს **მოქმედ თავმჯდომარეს** სრული პასუხისმგებლობა ეკისრება აღსრულებითი საქმიანობისათვის. თავმჯდომარეობა ყოველწლიურად იცვლება. ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, თავის საქმიანობაში დახმარებას უწევენ წინა და მომდევნო თავმჯდომარეები და ამით იქმნება ე.წ. ტროიკა („სამეული“). მოქმედ თავმჯდომარეს აგრეთვე შეუძლია დანიშნოს პირადი წარმომადგენლები, რომლებიც იმუშავებენ სპეციფიკურ საკითხებზე ან სიტუაციებზე.

ეუთოს **გენერალური მდივანი** – რომელიც ვენაში იმყოფება, მოქმედებს როგორც ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელი და დახმარებას უწევს მას ეუთოს მიზნების მისაღწევად მიმართულ ყველა საქმეში. მისი საქმიანობა აგრეთვე მოიცავს ეუთოს სტრუქტურებისა და ოპერაციების წარმართვას. **სამდივნოში** (განლაგებულია ვენაში) შედის: გენერალური მდივნის ოფისი, კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი, ადმინისტრაციის და ოპერაციების დეპარტამენტი და ეკონომიკურ და გარემოს სფეროში ეუთოს საქმიანობის კოორდინატორი. პრაღის ოფისი ახორციელებს დოკუმენტებით უზრუნველყოფასა და საინფორმაციო ფუნქციებს.

ეუთოში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუტები: **დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა უწყება (ODIHR)** აქტიურ როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგსა და ეროვნული საარჩევნო და ადამიანის უფლებათა დამცავი ინსტიტუტების განვითარებაში, ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში, ადამიანის უფლებათა და არჩევნების ეუთოს მონიტორინგის მომზადებაში, ჟურნალისტების მომზადებაში, იგი ასევე წარმოადგენს ეუთოს საკონტაქტო პუნქტს ბოშების სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებში, მხარდაჭერას უწევს ეუთოს სპეციალიზებულ სემინარებს. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა უწყება განლაგებულია ვარშავაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა წინასწარი გაფრთხილებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების სფეროში **ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის** (HCNM) (მდებარეობს ჰააგაში, ნიდერლანდები) საქმიანობა. უმაღლესი კომისარი, აფასებს და ცდილობს მოაგვაროს შეძლე-

ბისდაგვარად ადრინდელ საფეხურზე სიტუაციები, რომლებიც შეიცავენ ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს. რჩევისა და რეკომენდაციების გზით, იგი ხელს უწყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში.

ეუთოს მეთვალყურეთა მისიები განთავსებულია: ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ხორვატიაში, ესტონეთში, ლატვიაში, საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასა და კოსოვოში. ეუთოს დამხმარე ჯგუფი ჰყავს აგრეთვე ჩეჩნეთში (რუსეთის ფედერაცია), იგი წარმოდგენილია ალბანეთში, ჰყავს საკონსულტაციო და სამეთვალყურეო ჯგუფი ბელორუსიაში, პროექტის კოორდინატორი უკრაინაში, გახსნილი აქვს საერთო ოფისი ცენტრალურ აზიაში (უზბეკეთი) და ცენტრები ალმა-ატაში, აშხაბადსა და ბიშკეკში. ერევნის (სომხეთი) ოფისი 2000 წ. იხსნება. ამასთან, გრძელდება მოლაპარაკება ბაქოს (აზერბაიჯანი) ოფისის გახსნის თაობაზე; სოხუმში შექმნილია ადამიანის უფლებათა გაერო-ეუთოს ერთობლივი ოფისი. არაერთხელ დასწრებიან არჩევნებს საქართველოში ეუთოს მისიები .

ეუთოს კომპეტენციაში შედის აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლი და ნდობის მისაღწევად მიმართული ზომების მიღება. ვენის 1994 წ. დოკუმენტი (1999 წ. შესწორებებით) აკალდებულებს სახელმწიფოებს გამოიჩინონ გამჭრიახობა თავიანთ სამხედრო საქმიანობაში. მონაწილე სახელმწიფოებმა აგრეთვე მიიღეს სამხედრო ქცევის კოდექსი, რომელიც ადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების როლის განმსაზღვრელ პრინციპებს. ამასთან ერთად, ეუთომ შექმნა დავების გადაწყვეტის რამდენიმე მექანიზმი (იხ. ვალეტას პრინციპები).

ეუთოს **საპარლამენტო ასამბლეა,** რომელიც ეუთოს ყველა წევრი სახელმწიფოს 300-ზე მეტი პარლამენტარისაგან შედგება, ატარებს ყოველწლიურ სესიას იულისში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში აწყობს, აგრეთვე, სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებს. ასამბლეა განიხილავს საკითხებს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს ეუთოს საქმიანობასთან შესაბამისობაში. იგი აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგშიც. ასამბლეის სამდივნო კოპენჰაგენშია განლაგებული. 2000 წლის ეუთოს ს.ა-ის ეიცე სპიკერად აირჩიეს საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

ორგანიზაციამ შექმნა **შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო** ქ. ჟენევაში. მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შერიგებისა და არბიტრაჟის კონვენციას, შეუძლიათ სასამართლოს გადასცენ სადავო საკითხი, რომელსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ან შერიგების კომისია გადაწყვეტს. 1999 წ. მუდმივმა საბჭომ გადაწყვიტა ევროკავშირის ეგიდით მიღებული **სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის სტაბილურობის პაქტის** მოთავსება ეუთოს დაცვის ქვეშ.

ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, აშშ, ანდორა, ბელგია, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, იუგოსლავია, კანადა, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდერლანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სლოვაკია, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვეცია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ხორვატია და ვატიკანი.

## დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)

შეიქმნა 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის და უკრაინის მიერ ბელორუსიაში, ქ. მინსკში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ ბელოვეჟის შეთანხმებას, მიღებულ იქნა აგრეთვე ალმა-ატის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „დსთ არ არის არც სახელმწიფო, არც ზესახელმწიფოებრიეი წარმონაქმნი", იგი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის **ძირითად პრინციპებს.** დსთ არც **საერთაშორისო ორგანიზაციაა,** იგი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს შაკოორდინირებელი ფუნქციები გააჩნია, ხოლო გადაწყვეტილებანი სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილესათვის, რომელიც ეთანხმება მას.

საქართველო თანამეგობრობას შეუერთდა 1993 წლის 9 დეკემბერს.

თანამეგობრობის ჩარჩოებში ურთიერთმოქმედება ხორციელდება მისი მაკოორდინირებელი ინსტიტუტების მეშვეობით, რომელთა შორის ძირითადი იყო შემდეგი:

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო; მთავრობათა მეთაურების საბჭო; საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო; თავდაცვის მინისტრების საბჭო; სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტი; სასაზღვრო ჯარების სარდლების საბჭო; აღმასრულებელი სამდივნო; ეკონომიკური სასამართლო; საპარლამენტთაშორისო ასამბლეა.

ამის გარდა დსთ-ს წესდების და შეთანხმებების საფუძველზე დაფუძნებულია დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები ეკონომიკის, სოციალურ და სხვა სფეროებში, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ხელმძღვანელები. ამჟამად ასეთი ორგანოების რაოდენობა განსაზღვრულია 54 ერთეულით (ამასთან საქართველო 35 ორგანოს წევრია). ისინი ჩამოყალიბდნენ სამინისტროებისა და უწყებების მიერ კონკრეტული პრაქტიკული მიზნებით. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში შექმნილია 38 დარგობრივი საბჭო და კომიტეტი. საწესდებო ორგანოებში და მათ სამუშაო აპარატებში დასაქმებული იყო 858 თანამშრომელი. დარგობრივ ორგანოებში – 512.

სახელმწიფო მეთაურების, მთავრობათა მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოების და 6 დარგობრივი ორგანოს მუშა აპარატის ფუნქციებს ასრულებდა აღმასრულებელი სამდივნო, 11 დარგობრივი ორგანოებისას, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, 7 დარგობრივი ორგანოებისას კი თაემჯდომარე ქვეყნების სხვადასხვა უწყებები. საწესდებო ორგანოების შექმნის დღიდან თითქმის ყველა ორგანოში თაემჯდომარეობდა რუსეთის ფედერაცია, მხოლოდ 1998 წლის ოქტომბერში მოსკოვის სამიტმა თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭოს თაემჯდომარის პოსტის დასაკავებლად რეკომენდაცია მისცა უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თაემჯდომარეს უთქირ სულთანოვს.

დაარსების დღიდან დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ და მთავრობათა მეთაურების საბჭომ გაიხილეს და მიიღეს 1000-ზე მეტი დოკუმენტი, ამათგან ყველა ქვეყანამ ხელი მოაწერა და ძალაში შევიდა 6 დოკუმენტი, იმ 158 დოკუმენტიდან, რომელიც მიღებულია სახელმწიფოთა

მეთაურებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოების მიერ და რომლებიც ექვემდებარება რატიფიკაციას. 292 დოკუმენტს ერთჯერადი დაყალების ხასიათი ჰქონდა და ძირითადად შესრულებულია, 127 დაკარგა თავისი აქტუალობა სხვადასხვა მიზეზთა გამო.

აქედან გამომდინარე მოქმედად შეიძლება ჩაითვალოს 600 დოკუმენტი, ისინი მოწოდებულია დაარეგულირონ დსთ-ს ურთიერთმოქმედება მთელი კომპლექსის მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებში.

საქართველოსათვის 96 დოკუმენტიდან, რომლებიც მოითხოვდნენ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულებას, მხოლოდ ერთია ძალაში შესული (რატიფიცირებულია დსთ-ს წესდება).

დსთ-ს საქმიანობაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი კონფლიქტების დარეგულირების პრობლემებს (იხ. კონფლიქტი აფხაზეთში).

გარკვეულ ეტაპზე დსთ-ს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობამ განსაკუთრებით სეპარატიზმთან ბრძოლის სფეროში, საფრთხის წინაშე დააყენა მისი არსებობა. დსთ-ს მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებმა 1998 წელს კიშინიოვისა და მოსკოვის **სამიტებზე** მიიღეს გადაწყვეტილება თანამეგობრობის ორგანოების ძირეული რეფორმირებისა და მისი ეფექტურობის ხარისხობრივი დონის ამაღლების მიზნით სპეციალური სახელმწიფოთაშორისი ფორუმის გამართვის თაობაზე. ფორუმის წინაშე დასმული იქნა ორი გლობალური საკითხი: არსებული სტრუქტურების კარდინალური რეორგანიზაცია და თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირება.

სახელმწიფოთა მეთაურებს წარედგინება თანამეგობრობის ახალი მოდელი, რომელიც დსთ-ს მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტების უმრავლესობის მიერ მოწონებული იქნა. დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ 1999 წლის 2 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება თანამეგობრობის ორგანოების სტრუქტურათა რეფორმირებისა და სრულყოფის შესახებ. აღნიშნულის თანახმად აღმასრულებელი სამდივნო, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის აპარატი, მუშა აპარატები რიგი სახელმწიფოთა შორისი და მთავრობათშორისი დარგობრივი ორგანოებისა, გარდაიქმნა დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტად, რომელიც გადაიქცა თანამეგობრობის ერთადერთ მუდმივმოქმედ აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ და მაკოორდინირებელ ორგანოდ.

მომუშავეთა რიცხოვნება თანამეგობრობის საწესდებო ორგანოებში განისაზღვრება 710 ერთეულით, რაც პრაქტიკულად ძველი სტრუქტურის მიხედვით რაოდენობის 505-ით შემცირებას ნიშნავს.

თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: **სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო,** მთავრობათა მეთაურების საბჭო, ეკონომიკური საბჭო (ეიცეპრემიერების შემადგენლობით), საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო, თავდაცვის მინისტრთა საბჭო, სასაზღვრო ჯარების სარდლების საბჭო, ეკონომიკური სასამართლო.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად წინანდებურად დარჩა დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეა.

შექმნილია დსთ-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, რომელთა მიზანია დაიცვას მონაწილე ქვეყნები აგრესიისაგან. 1999 წელს საქართველო გამოვიდა ამ ძალების შემადგენლობიდან, რადგან მან ვერაფითარი სარგებლობა ვერ მოუტანა ქვეყნის ინტერესებს (უკრაინა თავიდანვე არ ყოფილა ამ გაერთიანების მონაწილე).

შექმნილია აგრეთვე დსთ-ს საშშეიდობო ძალები, შეიარაღებული კონფლიქტების გადაწყვეტის ხელის შეწყობისათვის.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს დსთ-ს ყველა სტრუქტურაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიტიკური სფერო, კერძოდ, აგრესიულ სეპარატიზმთან ბრძოლის პოლიტიკურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა. 1995 წლის 10 თებერვალს ალმა-ატაში მიღებულ მემორანდუმში დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭომ დაგმო სეპარატიზმი, ნაციონალიზმი და ფაშიზმი; მოითხოვა ყველა წევრი სახელმწიფოსაგან თავი შეიკავონ სეპარატისტულ მოძრაობასა ან სეპარატისტულ რეჟიმთან ყოველგვარი კავშირისა და დახმარებისაგან. ამ დებულებაზე დაყრდნობით საბჭომ გამოაცხადა აფხაზ სეპარატისტთა რეჟიმის სრული პოლიტიკური, ეკონომიკური, აგრეთვე სავაჭრო-ფინანსური და სატრანსპორტო ბლოკადა (1996 წლის 19 იანვარი).

დსთ-ს წევრ-სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეა ახდენს თანამეგობრობაში გაერთიანებულ სახელმწიფოების კონსოლიდაციას. ასამბლეაში 12 წევრია. სახელმწიფოს ასამბლეა იღებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის აქტებს. აღნიშნული ორგანოს საქმიანობის მექანიზმი რეგულირდება დსთ-ს კონვენციით, დსთ-ს წევრ-სახელმწიფოთა

პარლამენტთაშორისო ასამბლეის შესახებ და 1992 წლის 15 სექტემბერს მიღებული დსთ-ს პარლამენტთაშორისო ასამბლეის რეგლამენტით. ასამბლეაში წარმოდგენილი არიან საპარლამენტო დელეგაციები, რომელთა შემადგენლობას და უფლებამოსილებას განსაზღვრავს დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლება. ყველა ერთნაირი უფლებებით სარგებლობს და გააჩნია ერთი ხმა. აშშ-ის პლენარული სხდომები იმართება ორ წელიწადში ერთხელ.

ასამბლეა განიხილავს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, იხილავს დსთ-ს ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებს, აყალიბებს წინადადებებს ეროვნულ პარლამენტებს შორის თანამშრომლობის სფეროში. ა-ის ერთ-ერთი – ძირითადი ამოცანაა, დსთ-ს ფარგლებში დადებული შეთანხმება და ხელშეკრულებათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლის უზრუნველყოფაა.

ა-ა გადაწყვეტილებებს იღებს განცხადებების, მიმართვების, რეკომენდაციების, მოდალური აქტების, წინადადებებისა და მემორანდუმების სახით. ასამბლეას არ გააჩნია საკანონმდებლო უფლებამოსილება, მას გააჩნია მხოლოდ კოორდინაციული და კონსულტაციური ფუნქცია. სა-ის მუშაობის ადგილია თავრიდის სასახლე სანკტ-პეტერბურგში (რუსეთის ფედერაცია). 1995 წლიდან საქართველო გახდა დსთ-ს და სა-ის წევრი.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ აგრესიის განხორციელების პერიოდში საქართველომ ოფიციალურ განაცხადა დსთ-დან გასვლის შესახებ. 2009 წლის აგვისტოდან იგი უკვე აღარ არის მისი წევრი

# თავი VII

## პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში

### *1. საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება*

საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმას, სუბიექტის საერთაშორისო-სამართლებრივ

პასუხისმგებლობას იწვევს. ეს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს გამოწვეული სახელმწიფო ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ულრების უცხო სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩარევა, ეროვნულ უმცირესობათა დევნა, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, აგრესიული ომის დაწყება) ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, რის შედეგადაც მის ტერიტორიაზე მიეყენება ზიანი უცხო სახელმწიფოს ან მისი მოქალაქის ინტერესებს (უცხო დიპლომატის მკვლელობა, საელჩოზე თავდასხმა და ა. შ.).

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საწყისია, რომელიც ყველა ნორმის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საერთაშორისო სამართლის არსებობა. სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრინციპი არ იყო ყოველთვის ერთი და იმავე შინაარსისა და მოცულობის. იგი ვითარდებოდა საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად და დღეისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომლის მიზანია განამტკიცოს მშვიდობა და უშიშროება, საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების გამოყენების სტაბილურობა.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კონცეფცია საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის არსებითი მახასიათებელი რამდენიმე გარემოებაა. მათი შეჯამება ამგვარად არის შესაძლებელი: ორ სახელმწიფოს შორის არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება; ამ ვალდებულების დარღვევის გამომწვევი ქმედება ან გადაცდომა, რომელიც სახელმწიფოს შეერაცხება; ამასთან, ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან გადაცდომის შედეგად უნდა დადგეს.

საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის დასარეგულირებლად 1953 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სამართლის კომისიას სახელმწიფო პასუხისმგებლობის თაობაზე წესების კოდიფიცირებაზე მუშაობა სთხოვა. 2001 წელს საერთაშორისო

სამართლის კომისიამ ეს ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ ტექსტის პროექტის შექმნით დაასრულა.

საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ ტექსტის პირველი მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს ყველა საერთაშორისო არამართლზომიერ ქმედებას თან სდევს პასუხისმგებლობა. საერთაშორისო არამართლზომიერ ქმედებათა ნუსხას განსაზღვრას თავად საერთაშორისო სამართალი. საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული ტექსტის მე-12 მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო ვალდებულების დარღვევა არის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ამ სახელმწიფოს ვალდებულებას, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა და ამ ვალდებულების ხასიათის მიუხედავად.

ამასთან, თუ ერთი სახელმწიფო მეორეს დაეხმარება საერთაშორისო არამართლზომიერი ქმედების ჩადენაში, ასევე პასუხისმგებელი იქნება დარღვევისთვის, თუ ეს უკანასკნელი გარემოებების წინასწარი ცოდნით მოქმედებდა და თუ ეს მოქმედება მის მიერ ჩადენის შემთხვევაშიც არამართლზომიერი იქნებოდა.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პარალელურად შეიძლება, განიხილებოდეს. ერთ-ერთი მათგანის არსებობა არამც და არამც არ გამორიცხავს პასუხისმგებლობის მეორე ფორმას.

## 2. საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტების სახეები

ასეთი აქტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) მართლსაწინააღმდეგო აქტები, რომლებიც საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას უქმნიან საფრთხეს, ლახავენ ყველა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებსა და საერთაშორისო სამართლის ძირითად საწყისებს; ბ) მართლსაწინააღმდეგო აქტები, რომლებიც გარკვეულ სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად სერიოზულ ზიანს აყენებენ, მაგრამ არსებითად საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების პრინციპს არ არღვევენ.

პირველი ჯგუფის აქტები საერთაშორისო დანაშაულია და მათ სუბიექტს განსაკუთრებულად მძიმე პასუხისმგებლობა ეკისრება. ამ სახის საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ისახება, როდესაც პროგრესული კაცობრიობა აქტიურ ბრძოლას იწყებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული უდიდესი ბოროტმოქმედების – აგრესიული ომის – კანონგარეშე გამოცხადებისათვის. საერთაშორისო-სამართლებრივი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის პრინციპი დახვეწილ და სრულ სახეს მეორე მსოფლიო ომის დროს ღებულობს.

**დღეისათვის საერთაშორისო დანაშაული ისეთი ქმედობა ან ქმედობისაგან თავის შეკავებაა, რომლის შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა ან ხალხთა უშიშროება.** ნიურნბერგის და ტოკიოს ტრიბუნალთა წესდებებსა და განაჩენებში მთავარ სამხედრო დამნაშავეთა თაობაზე ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, რომლებიც აგრესიული სახელმწიფოების და მათი მეთაურების პასუხისმგებლობას ეხება. მართალია, ამ დოკუმენტებში უმთავრესად ლაპარაკია სახელმწიფო მოღვაწეთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ მათი ქმედობანი არ შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს საქმიანობის გარეშე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნიურნბერგის და ტოკიოს ტრიბუნალთა წესდებანი და განაჩენი აყალიბებენ უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულის ცნებას.[76]

ეს არის დანაშაული მიმართული ა) მშვიდობის წინააღმდეგ აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და წარმოება; ბ) ადამიანურობის წინააღმდეგ (სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება, დამონება, გადასახლება, სხვა სიმკაცრენი ან დევნა პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური მოტივებით); გ) ომის კანონების და ჩვეულებების დარღვევა (ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის განადგურება, წამება, დამონება, იგივე ქმედობანი სამხედრო ტყვეთა მიმართ, მძევლების მკვლელობა, სახელმწიფო ან კერძო საკუთრების გაძარცვა, ქალაქებისა და სოფლების განადგურება და სხვ.).

---

[76] გენერალურმა ასამბლეამ თავის ორ რეზოლუციაში (1946 წლის 11 დეკემბერს და 1947 წლის 21 ნოემბერს) დაადასტურა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებასა და განაჩენში ჩამოყალიბებული პრინციპები.

საერთაშორისო დანაშაულს მიეკუთვნება აგრეთვე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ცდა, ინტერვენცია, რასობრივი დისკრიმინაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა გენოციდი, ეთნიკური წმენდა, აპართეიდი, მონობა.

გაერო-ს საერთაშორისო სამართლის კომისია იძლევა უფრო მოკლე ნუსხას (აგრესია, კოლონიური ბატონობა, მონობა, გენოციდი, აპართეიდი, ატმოსფეროს და ზღვების მასიური გაჭუჭყიანება). მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ მან უარყო საერთაშორისო სამართალში გაბატონებულია იდეა, რომელიც არ იცნობდა საერთაშორისო დანაშაულის ცნებას საერთოდ და ყველაფერს საერთაშორისო დელიქტს მიაკუთვნებდა,[77] ძალიან დიდი მიღწევაა.

**საერთაშორისო დელიქტები** მართლსაწინააღმდეგო აქტების მეორე ჯგუფს ეკუთვნის. ისინი რიგითი, შედეგებით ლოკალური სახის საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტებია: თავშესაფრის მიცემა საელჩოში ადგილობრივი ბოროტმოქმედებისათვის, საელჩოს დარბევა, უცხოელის მიერ სახელმწიფო დროშის დახევა ან სხვა შეურაცხყოფა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთათვის და მისი ქონებისათვის ზარალის მიყენება და ა.შ.

ამგვარად, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოიცავს სახელმწიფოს ქმედობათა ფართო წრეს და მოწოდებულია, პირველ რიგში, უზრუნველყოს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი საწყისების, პრინციპის ხელშეუხებლობა და განმტკიცება. ამით იგი ძირფესვიანად განსხვაყდება საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინათ არსებული ცნებისაგან (ხოლო გამარჯვებულს დამარცხებულის მიმართ ფართო უფლებები მიეცემოდა მისი ანექსიის ჩათვლით) და სახელმწიფოების პასუხისმგებლობა ძირითადად სამოქალაქო სამართლის ასპექტში განიხილებოდა, ე.ი. მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებით ამოიწურებოდა.

---

[77] წინათ, მეორე მსოფლიო ომამდე, საერთაშორისო დელიქტის ცნება ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან, რომელიც სამოქალაქო ომის ან ამბოხების დროს უცხო სახელმწიფოს ან მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალისა და უცხოელთათვის ვალის გადაუხდელობიდან გამომდინარეობდა.

საერთაშორისო პასუხისმგებლობა გარკვეულ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს: დაზარალებულ სახელმწიფოს უფლება აქვს საერთაშორისო სამართლით დაშვებული საშუალებებით აღდგინოს შელახული უფლებანი. დავის ამ მხარეს ხშირად პასუხისმგებლობის პასიურ სუბიექტს უწოდებენ, აქტის ჩამდენს კი – აქტიურ სუბიექტს.

საერთაშორისო პასუხისმგებლობის ძირითად სუბიექტებს სახელმწიფოები წარმოადგენენ. აქტიურ და პასიურ სუბიექტებად შეიძლება გეევლინებოდეს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციები და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები (ხალხები), ე.ი. საერთაშორისო სამართლის ყველა სახის სუბიექტები.

პასუხისმგებლობის იურიდიული შედეგების დადგომისათვის საჭიროა ადგილი ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩადენის ბრალეულობას, ე.ი. ქმედობასა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირს, როდესაც ნორმის დარღვევა სუბიექტის პირდაპირი განზრახვით ან დაუდევრობითაა გამოწვეული. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხარეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას.

ყოველი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე როგორც ერთიანი, მონოლითური ერთეული, რომელსაც კოლექტიური ნება გააჩნია. ყოველი სახელმწიფოს საქმიანობა არის მისი ნების გამომჟღავნება, რაც ხელისუფლების სათანადო ორგანოების მეშვეობით ხდება. იგივე ითქმის ერზე (ხალხზე). საერთაშორისო ორგანიზაციები სპეციფიკური სუბიექტებია, მაგრამ მათაც გააჩნიათ კოლექტიური ნება, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაში ვლინდება.

სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა თავისი ორგანოს საქმიანობისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ურთიერთობების ორგანოებს.[78] მათი ქმედობა, რომელიც არღვევს არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აკისრებს პასუხისმგებლობას მთელ სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. სახელმწიფოს არა აქვს უფლება გაიმართლოს თავი იმით, რომ ორგანოს ესა თუ ის

---

[78] მაგ. გერმანიის ჯარების მიერ ომის ჩვეულებებისა და კანონების უხეში დარღვევა, ამერიკელი ჯარისკაცების მიერ იაპონიის დროშის დახევა.

ქმედობა დაიშვება მისი შინაგანი სამართლის მიერ, რადგანაც ასეთი სამართლის ნორმები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს დელიქტის ჩამდენი სახელმწიფოს მიერ რაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.[79]

სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა იმ მართლსაწინააღმდეგო აქტის გამო, რომელიც ჩადენილია მის ტერიტორიაზე ადგილობრივი ან უცხოელი მოქალაქის მიერ. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა გამოწვეულია იმ ორგანოების უმოქმედობით (დაუდევრობით), რომელთაც ეკისრებათ ასეთი ქმედობის საფრთხის თავიდან აცილება ან დამნაშავე პირთა დასჯა.[80]

თუ სახელმწიფო დროზე დაგმობს ჩადენილ აქტს და დასჯის დამნაშავეს, მისი ბრალი მსუბუქდება, მაგრამ თუ სახელმწიფო მხარს უჭერს ამა თუ იმ ორგანოს, თანამდებობის პირის ან სხვათა მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო აქტს, იგი ამძიმებს თავის პასუხისმგებლობას. როდესაც ასეთი ქმედობა თვით მთავრობის განკარგულებით ხორციელდება და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან გეზს წარმოადგენს, მაშინ საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა მთელი სიმძიმით აწვება სახელმწიფოს მმართველ წრეებს.

## *3. საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები და ფორმები*

განასხვავებენ საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებსა და ფორმებს:

**მატერიალური პასუხისმგებლობა** – საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩამდენი სახელმწიფო მოვალეა აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი.

---

[79] ამიტომ მხედველობაში ვერ მიიღებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოტივი, თითქოს აპარტეიდი და რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკა მისი საშინაო საქმეა და ორგანოები, რომელნიც ამ პოლიტიკას ახორციელებენ, მოქმედებენ კანონის ფარგლებში.

[80] მაგ. ადგილობრივი მოქალაქის ან უცხოელის მიერ ელჩის მკვლელობა. სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება რუსეთის მთავრობის პასუხისმგებლობა საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთის რეგიონში. ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი ბანდების მიმართ „წაყრუებისა" და დაუსჯელობის პოლიტიკის გამო.

მატერიალური პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს ორი ფორმის: **რესტიტუცია** – მოვალეობა აღიდგინოს პირვანდელი მდგომარეობა გატაცებული ნივთის დაბრუნებით ან დანგრეული შენობის აშენებით[81] და **კომპენსაცია (რეპარაცია)**, როდესაც დელინქვენტს მხოლოდ მატერიალური ზარალის ფულადი ან გარკვეული სახის საქონლით ანაზღაურება მოეთხოვება.[82]

**პოლიტიკური პასუხისმგებლობა** ყველა იმ სახის პასუხისმგებლობას მოიცავს, რომელსაც არა აქვს მატერიალური ხასიათი. პოლიტიკური პასუხისმგებლობის გამოვლინება მრავალფეროვანია, აღვნიშნავთ მათგან ძირითადს:

**სატისფაქცია** ანუ მორალური დაკმაყოფილება მოწოდებულია დაიცვას პასიური სუბიექტის მორალურ-პოლიტიკური ღირსება, როგორც საერთაშორისო სამართლის თანასწორუფლებიანი სუბიექტისა. სატისფაქცია შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიხატოს – სინანულის გამოცხადება, ბოდიშის მოხდა[83], დამნაშავეე პირთა დასჯა, დაზარალებული პირებისათვის ან მათი ნათესავებისათვის კომპენსაციის გადახდა და ა.შ.

**საერთაშორისო-სამართლებრივი კონტრზომები (სანქციები)** ანუ დამნაშავის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება პოლიტიკური პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. სანქციების დანიშნულებაა მშვიდობისა და უშიშროების, საერთაშორისო სამართლის საწყისების დაცვა და განმტკიცება.

საერთაშორისო სანქციები სხვადასხვა ფორმით ვლინდება, რომელთაგან ძირითადია: ეკონომიკური და დიპლომატიური

---

[81] ასე მაგ., ხელოვნების ძეგლების (ქანდაკებების, სურათების ოქრომჭედლობის ნიმუშების და სხვ.) დაბრუნება, სასაზღვრო ბოძების აღდგენა და ა.შ. იხ. პარიზის გადაწყვეტილებით ერაყი აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში, ხოლო როდესაც ვერც ამ ბლოკადამ უშველა, ერაყის წინააღმდეგ გაერო-ს ჯარები იქნა გამოყენებული.

[82] ასე მაგ., გერმანიას და მის მოკავშირეებს მეორე მსოფლიო ომში ანტიჰიტლერულმა კოალიციამ დააკისრა რეპარაციების გადახდა ომში მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით.

[83] 1960 წელს ამერიკელმა ჯარისკაცებმა დემონსტრაციულად დახვრიტეს იაპონიის დროშა. აშშ-ს ელჩმა იაპონიაში თაკისი მთავრობის სახელით იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე ბოდიში მოიხადა.

ურთიერთობების გაწყვეტა, ყოველგვარი სახის საქონლის და ტრანსპორტის დელინქვენტების საზღვრებში მიტანის საშუალების აღკვეთა (ე.წ. მშვიდობიანი ბლოკადა) და, ბოლოს, როგორც უკიდურესი ზომა, შეიარაღებული აგრესიის დროს შეიარაღებული ძალების გამოყენება.

ასეთია მატერიალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის იურიდიული შედეგები. ამ შედეგების ხასიათი და მოცულობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქმედობის სახესთან. ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველია პასუხისმგებლობა, რომელიც საერთაშორისო ბოროტმოქმედებითაა გამოწვეული. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება პასუხისმგებლობის ყველა ძირითადი სახე და ფორმა, რომელთა მიზანია არა მარტო მშვიდობის აღდგენა და აგრესორის დასჯა, არამედ ამ მხრივ მომავალი აგრესიის შესაძლებლობის თავიდან აცილება[84].

ვინაიდან საერთაშორისო სანქციები ძალზე სერიოზულ საშუალებას წარმოადგენს, ამიტომ მის გამოყენებას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ (რომ არ გამწვაყდეს ისედაც დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სანქციების გამოყენების უფლებას ძირითადად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიაკუთვნებს. წესდების VII თავის თანახმად, უშიშროების საბჭო აგრესიის საშიშროების შემთხვევაში უფლებამოსილია გადაწყვიტოს შეიარაღებული ძალების გამოუყენებლობასთან დაკავშირებული რა ღონისძიებანი უნდა იქნეს მიღებული და შეუძლია მოუწოდოს ორგანიზაციის წევრებს მიმართონ ისეთ სანქციებს, როგორიცაა ეკონომიკური ურთიერთობების, სარკინიგზო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო ან ურთიერთკავშირის სხვა საშუალებათა სრული ან

---

[84] ცირიმისა და პოტსდამის შეთანხმებათა ძალით ჰიტლერულ გერმანიას დაეკისრა მატერიალური პასუხისმგებლობა (რეპარაციები, რესტიტუციები) და, პირველ რიგში, მთელი რიგი პოლიტიკური სახის ვალდებულებათა შესრულება: ნაციზმის ლიკვიდაცია, ქვეყნის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გერმანიის ტერიტორია ოთხ ზონად დაიყო, რომლებშიც მოკავშირეების (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) ჯარები იქნა შეყვანილი.

ნაწილობრივი აღკვეთა, აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა (მუხ. 41).[85]

მაგრამ თუ ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდა, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მიმართოს ისეთ მოქმედებას საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალებით, რაც საჭიროა მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ან აღსადგენად; ასეთი მოქმედება შეიძლება შეიცავდეს ორგანიზაციის წევრთა საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო ძალების დემონსტრაციებს, ბლოკადას და სხვა ოპერაციებს (მუხ. 42).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოს მიმართ, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართალს, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სანქციებიც: წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების და პრივილეგიების წართმევა, ან მათი მოქმედების შეჩერება (მუხ. 5), ორგანიზაციიდან გარიცხვა (მუხ. 5), გენერალურ ასამბლეაში ხმის უფლების ჩამორთმევა (მუხლი 19).

ყველა ეს საშუალება გამოყენებულ იქნა ერაყის წინააღმდეგ 1992 წლის ქუვეითის ანექსიასთან დაკავშირებით.

---

[85] გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულია მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოუწოდებენ ორგანიზაციის წევრებს გაწყვიტონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობანი, დახურონ თავისი ნაცსადგურები და აეროდრომები ამ სახელმწიფოების გემებისა და თვითმფრინავებისათვის. ბოიკოტი გამოუცხადონ რესპუბლიკის ყველა საქონელს, არ მიაწვიონ მიაწოდონ მას იარაღი და საბრძოლო მარაგი და ა.შ. დღეისათვის უკვე 70-მ სახელმწიფომ შეასრულა ეს მოთხოვნა.

1990-1991 წლებში ერაყის მიერ ქუვეითის ანექსიის გამო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ერაყი აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში, ხოლო როდესაც ვერც ამ ბლოკადამ უშველა, ერაყის წინააღმდეგ გაერო-ს ჯარები იქნა გამოყენებული. სანქციები დაედო იუგოსლავიას 1991-2000 წწ. – აიკრძალა იარაღის შეტანა ყოფილ იუგოსლავიაში, რომელიც ებრძოდა ფედერაციიდან გამოსულ სახელმწიფოს.

# თავი VIII

# დიპლომატიური და საკონსულო სამართალი

## *1. დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ცნება*

არც ერთ სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტს, არ შეუძლია არსებობა სხვა სახელმწიფოსთან სათანადო კონტაქტების დამყარებისა და ნორმალური ურთიერთობების წარმოების გარეშე. ეს მოთხოვნილება ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფოების გაჩენისას ჩნდა თავს[86] საზოგადოების

---

[86] დღეისათვის აღმოჩენილი წყაროები გვიჩვენებენ, რომ მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტის ფარაონები, ბაბილონის, სირიის, ხეთების და სხვ. სახელმწიფოების მეფეები აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდნენ მეზობელ ქვეყნებთან. იგზავნებოდნენ ელჩები ხარაჯის ასაკრეფად, მოლაპარაკებისათვის, საზავო, სამოკავშირეო და სხვა სახის ხელშეკრულებების დასადებად და ა.შ. პირველ ათასწლეულში აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა თავს იჩენს ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც მრავალი სახელმწიფო შეიქმნა. ისტორიამ შემოგვინახა საერთაშორისო სამართლისათვის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – მანუს კანონები (ინდოეთი, I ათასწლეული ჩ.წ. აღ-მდე), რომელიც დეტალურად განსაზღვრავდა ელჩების რანგებს, მათ ფუნქციებს, მათ მიმართ დამოკიდებულების წესებს და ა.შ.

დიპლომატიის მეთოდებსა და ფორმებში დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ძველმა საბერძნეთმა და რომმა. თვით ტერმინი „დიპლომატია", „დიპლომატი" ბერძნული წარმოშობისაა: პირს, რომელიც უცხო სახელმწიფოში ოფიციალური მისიით მიემგზავრებოდა, ეძლეოდა შეტყუპებული სანთლის (შემდგომ ლითონისა, უფრო გვიან ორად გაკეცილი ქაღალდი) ფირფიტები. ეს ფირფიტები რწმუნებულობის სიგელის როლს ასრულებდნენ და მათ „დიპლომა" („შეტყუპებული") ეწოდებოდა. აქედან წარმოიშვა ტერმინი „დიპლომატი" – „დიპლომის მფლობელი", „დიპლომატია" და ა.შ.

ელჩები ხელშეუხებლები იყვნენ და ღმერთების მფარველობის ქვეშ ითვლებოდნენ. რომის რესპუბლიკის და იმპერიის პერიოდში ინერგება „ლეგატების" ინსტიტუტი, რომლებიც „დიპლომატთა" მსგავსად ხელშეუხებლები იყვნენ, რეგლამენტირებული იყო მათი მიღების და წარგზავნის წესები. ელჩების ინსტიტუტი შემოღებული იქნა ფეოდალური სახელმწიფოების, ქალაქი-რესპუბლიკებისა და სუვერენ-ფეოდალების მიერ, შემდგომ იგი ცენტრალიზებული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა.

განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, ფართოვდებოდა და იხვეწებოდა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის და სხვა მშვიდობიანი ურთიერთობის ხერხები და ფორმები. დღეს საერთაშორისო ურთიერთობაში ჩაბმულია არა მარტო სახელმწიფოები და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები, არამედ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სპეციფიკურ როლს ასრულებენ. ამგვარად, ყოველი სახელმწიფო – საერთაშორისო სამართლის სუბიექტი – თავისი საგარეო ფუნქციის განხორციელებისას მიმართავს გარკვეულ ხერხებსა და ფორმებს, რომელთა მიზანია საგარეო პოლიტიკის ამოცანების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. სახელმწიფოს ამ სახის საქმიანობას **დიპლომატია** ეწოდება.

სახელმწიფოთა დიპლომატიური საქმიანობა მრავალფეროვანია და საბოლოო ჯამში განისაზღვრება ყოველი სახელმწიფოს სოციალური არსით, მისი სოციალურ-ეკონომიური წყობით. როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოთა ამ სახის საქმიანობა უნდა ემორჩილებოდეს გარკვეულ ნორმებს. **იმ ნორმათა** ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ და არეგულირებენ სახელმწიფოთა საზღვარგარეთული წარმომადგენლობის **წევრთა სამართლებრივ მდგომარეობას, დიპლომატიური მოლაპარაკების ფორმებს, დიპლომატიური**

---

საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენისას აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობებს აწარმოებდა საქართველოც. პირველად დიპლომატთა როლს ქურუმების სპეციალური კოლეგიის წევრები ასრულებდნენ (IV-I ს. ძვ. წ. აღ-მდე). ისინი მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობისა და ომის საკითხებს აგვარებდნენ. შემდგომ ელჩების ინსტიტუტი დამოუკიდებელ ინსტიტუტად იქცა; დაიხვეწა ელჩების მიღებისა და წარგზავნის წესები, მათი სტატუსი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამეფოს ელჩების როლს ზოგჯერ ქალები ასრულებდნენ (მაგ. დედოფალი მარიამი ბაგრატ IV-ს და ბიზანტიის იმპერატორს შორის მოლაპარაკების დროს XI საუკუნეში). ისევე, როგორც ყველგან, უცხო ქვეყნის ელჩი საქართველოში დიდი პატივით მიიღებოდა და სახელმწიფოს ხარჯზე გადაიყვანებოდა. განსაკუთრებით უსრუნველყოფდნენ ელჩების ხელშეუხებლობას. ამავე წესებს იცავდნენ საქართველოში XV-XVIII სს. ამ მხრივ მდიდარ მასალას გვაძლევს კახეთის, ქართლის და იმერეთის მეფეების კარზე მყოფი მოსკოვის სახელმწიფოს, ხოლო შემდგომ რუსეთის იმპერიის ელჩების „საანგარიშო ბარათები". იხ. ლ. ალექსიძე. საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVII საუკუნეებში, თბ., 1982.

აქტების მომზადებისა და შექმნის წესებს, საგარეო ურთიერთობის ორგანოთა სტრუქტურასა და კომპეტენციას და ა.შ., დიპლომატიური და საკონსულო სამართლის შინაარსს შეადგენს.

საერთაშორისო სამართლის ამ დარგის წყაროები უკანასკნელ ხანებამდე ძირითადად საერთაშორისო ჩვეულების[87] და შიდასახელმწიფოებრივი კანონების[88] სახით გვეცლინებოდა, თუმცა XIX-XX საუკუნეებში დაიდო რამდენიმე მრავალმხრივი ხელშეკრულება დიპლომატიური და საკონსულო სამართლის გარკვეული საკითხების თაობაზე, მაგრამ ეს ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო პრაქტიკის მარეგულირებელი ნორმები იყო[89]. ის აქტები, რომლებიც დიპლომანტთა რანგებს (კლასებს) არეგულირებდნენ, საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმად იქცა[90]. 1961 და 1963 წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული საერთაშორისო სამართლის კომისიის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დაიდო ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენცია – ვენის[91] 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ და ვენის 1963 წლის კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, რომლებიც არა მარტო აჯამებდნენ სახელმწიფოთა მრავალსაუკუნოვან საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკას, არამედ მთელ რიგ ახალ, თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის შესაბამის ნორმებს აწესებდნენ. ამ კონვენციების საფუძველზე სახელმწიფოებმა მიიღეს ახალი ნორმატიული აქტები, რათა

---

[87] ჩვეულებით სამართალს ეყრდნობოდა დიპლომატიური იმუნიტეტის, დიპლომატიური აგენტების დანიშვნის და გამოწვევის ინსტიტუტი და ა.შ.

[88] ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს, რომელ ორგანოებს აქვთ უფლება აწარმოონ დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობანი, მათ კომპეტენციას, უცხო ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენელთა უფლებრივი რეჟიმის დეტალებს.

[89] იხ. კარაკასის 1911 წლის კონვენცია კონსულების ფუნქციების შესახებ, ჰავანის 1928 წლის კონვენცია დიპლომატიური ჩინოვნიკების შესახებ.

[90] იხ. ვენის 1815 წლის 5(19) მარტის ოქმები. აახენის 1818 წლის 21 ნოემბრის ოქმი.

[91] იხ. 1961 წლის 18 აპრილის კონვენცია.

შესატყვისობაში მოყვანილი არსებული საერთაშორისო კონვენციები და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი.

საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა აგრეთვე მთელი რიგი კონვენციები, რომლებიც მისნაირად ისახავენ დიპლომატიური სამართლის კონკრეტული სფეროების რეგლამენტაციას: კონვენცია სპეციალური მისიების შესახებ (1969), კონვენცია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირთა, მათ შორის დიპლომატიური აგენტების, წინააღმდეგ დანაშაულის აცილების და დასჯის შესახებ (1973), ვენის 1974 წლის კონვენცია სახელმწიფოების წარმომადგენლობის შესახებ მათ ურთიერთობაში უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პარიზის 1967 წლის ევროპული კონვენცია საკონსულო ფუნქციების შესახებ.
საკონსულო ურთიერთობების დარგში დიდ როლს ასრულებს ორმხრივი საკონსულო კონვენციები, რომლებიც საკონსულო წარმომადგენელთა სტატუსის დეტალურ რეგლამენტირებას ახდენენ. ასეთსავე როლს ასრულებს ხელშეკრულებანი სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ.

საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი საკონსულო კონვენციები სომხეთთან, ყაზახეთთან, საბერძნეთთან, უკრაინასთან, რუმინეთთან, ლიტვასთან, იტალიასთან და ა.შ.

რაც შეეხება სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებებს, საქართველო არის როგორც მრავალმხრივი ხელშეკრულებების წევრი (მაგ. დსთ-ს 1993 წლის მინსკის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ), ასევე ორმხრივი ხელშეკრულებები, მათ შორის თურქეთთან, ყაზახეთთან, ბულგარეთთან.

ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე დიპლომატიური და საკონსულო სამართალი მყარ ნორმატიულ აქტებს ეყრდნობა და მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ სფეროში არსებული სახელშეკრულებო ბაზის განვითარებისა, ჩვეულებითი სამართლის როლი დიპლომატიური და საკონსულო სამართლის რეგულირებისას კვლავ მნიშვნელოვანია. მას მოწმობს 1961 წლის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის პრეამბულაში არსებული ჩანაწერი – „ჩვეულებითი სამართლის

ნორმები კლავაც დაარეგულირებენ საკითხებს, რომლებსაც უშუალოდ არ ითვალისწინებს ამ კონვენციის დებულებანი".

## 2. საგარეო ურთიერთობათა შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები

ყოველი სახელმწიფო თავის საგარეო ურთიერთობას სპეციალური ორგანოების მეშვეობით აწარმოებს, ეს ორგანოები სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და ყოველ მათ ნაბიჯზე პასუხისმგებელია მათი სახელმწიფო, ამიტომ სახელმწიფოები ძალზე ფრთხილად უდგებიან საგარეო ურთიერთობების ორგანოების კომპეტენციას, დაკომპლექტებისა და საქმიანობის რეგლამენტაციას.

განასხვავებენ საგარეო ურთიერთობის საზღვარგარეთულ და შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს. უკანასკნელთა კომპეტენცია განისაზღვრა სახელმწიფოს კონსტიტუციით და სხვა ნორმატიური აქტებით. შიდასახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცენტარლური ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ დიპლომატიის ძირითად გეზს, თავისი საქმიანობით უშუალოდ ატარებენ ცხოვრებაში საგარეო პოლიტიკის ამოცანებს, ორგანიზაციას უწევენ და წარმართავენ დანარჩენი საზღვარგარეთული ორგანოების საქმიანობას.

საგარეო ურთიერთობის ცენტრალურ ორგანოებად ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები გვევლინება.

სახელმწიფოთა უმრავლესობა საგარეო ურთიერთობის დარგში ზოგად ხელმძღვანელობას ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს მიაკუთვნებს.

ყველა ქვეყნის პარლამენტების კომპეტენციაში მთავრობის და სახელმწიფოს მეთაურთა ანგარიშის მოსმენა, ხელშეკრულების რატიფიკაცია და დენონსაცია, მაღალი რანგის ელჩების დანიშვნის დამტკიცება და გათავისუფლება, სხვა სახელმწიფოების პარლამენტთან კავშირის დამყარება, მოლაპარაკებაში მონაწილეობა და ა.შ.

სწორედ ასეთი ფუნქციები აკისრია საქართველოს პარლამენტს. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად

საქართველოს პარლამენტი „განსაზღვრავს ... საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.“ შესაბამისად, პარლამენტი საგარეო ურთიერთობათა დარგში კანონშემოქმედებით საქმიანობას ათავსებს ყოველდღიურ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასთან, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. პარლამენტის წევრები აქტიურად მონაწილეობენ უცხოეთის ქვეყნებში გაგზავნილი დელეგაციების მუშაობაში, ჩამოსული უცხოეთის ქვეყნების დელეგაციებთან მოლაპარაკებაში.

საქართველოს პარლამენტი იხილავს საკითხებს, რომლებიც ეხება სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციასა და დენონსაციას, ამტკიცებს თანხმობას ელჩების დანიშვნასა და განთავისუფლებას.

საგარეო ურთიერთობის ზოგადი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს უზენაესი წარმომადგენლობა სახელმწიფოს მეთაურს ეკისრება (მეფე, პრეზიდენტი). ყველა სახელმწიფოს მეთაური, მიუხედავად იმისა, კოლეგიურია იგი თუ ერთპიროვნული, მონარქიულია (ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, იაპონია) თუ რესპუბლიკური (აშშ, იტალია, საფრანგეთი), შემდეგ ძირითად ფუნქციებს განაგებს:

ა) წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობაში;

ბ) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს;

გ) ღებულობს და წარგზავნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს;

დ) ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას და დენონსაციას;

საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას სახელმწიფოს მეთაურს არ სთხოვენ არავითარ სპეციალურ რწმუნებას, რადგანაც იგულისხმება, რომ მას გააჩნია ასეთი **ex officio** (თანამდებობის დაკავების ძალით). საზღვარგარეთ ყოფნისას სახელმწიფოს მეთაურს მიენიჭება მთელი რიგი უფლებები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ეგრეთ წოდებულ სუვერენის იმუნიტეტს[92]. ასეთი უპირატესობებია:

---

[92] დაწვრილებით იმუნიტეტის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

ა) პატიოსანების უფლება, ე.ი. უფლება საზეიმო მიღებისა და განსაკუთრებული პატივისა, რომლითაც ხვდებიან სახელმწიფოს მეთაურის ალამს;

ბ) თავის და სხვა ქვეყნებთან დაკავშირების თავისუფლება (შიფრი, შიკრიკები);

გ) სისხლის და სამოქალაქო სამართლებრივი განუსჯადობა;

დ) გადასახადებისა და ბეგარისაგან განთავისუფლება;

ე) პიროვნების, პირადი ნივთებისა და ბინის (სახლი, ვაგონი, ხომალდი) ხელშეუხებლობა.

განუსჯადობის, გადასახად-ბეგარისაგან განთავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ვრცელდება სახელმწიფო მეთაურის თანმხლებ ოჯახის წევრებზე (მეუღლე, შვილები) და ამალის ზოგიერთ წევრზე საერთაშორისო თავაზიანობის წესით. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს ... საგარეო პოლიტიკას“ და „უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში“.[93]

საქართველოს პრეზიდენტი დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან, პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას (კონსტიტუცია, მუხ. 73). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული უფლებამოსილებანი პრეზიდენტს უნარჩუნდება საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგაც[94].

---

[93] 2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შევა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტის უფლებამოსილება საგარეო ურთიერთობების სფეროში იცვლება. თავად 69-ე მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად, „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“. საგარეო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს მთავრობას (საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი ახალი რედაქციით).

[94] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლი ახალი რედაქციით.

მთავრობა სახელმწიფო მმართველობის კოლეგიალური უმაღლესი ორგანოა, რომელიც როგორც წესი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც ხელმძღვანელობს. მთავრობის დეკლარაციები და ღონისძიებები ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს. მთავრობის რწმუნებებსა და აგებულებას განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები.

თანამედროვე საერთაშორისო ჩვეულება, თუ ეს ქვეყნის საშინაო კანონმდებლობით აკრძალული არ არის, ცნობს მთავრობის უფლებას თავისი სახელით დადოს მთავრობებთან ხელშეკრულებანი, რომლებიც დიდმნიშვნელოვან შემთხვევებში რატიფიცირებული უნდა იქნეს სათანადო უმაღლესი ორგანოების მიერ. მთავრობის მეთაურს ან თავმჯდომარეს უფლება აქვს მიიღოს და მიიწვიოს უცხოეთის დელეგატები და სპეციალური უფლებამოსილების გარეშე აწარმოოს მოლაპარაკება, ჩვეულებრივ საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობით და ზოგჯერ ქვეყნის სპეციალურად მიწვეულ პოლიტიკური მოღვაწეების – დეპუტატების, სენატორების, პარტიათა ლიდერების მონაწილეობით. ამერიკის შეერთებულ შტატებში და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოში რესპუბლიკის პრეზიდენტი აერთებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს. საზღვარგარეთ ოფიციალური გამგზავრების დროს მთავრობის მეთაური დიპლომატიური პასპორტითა და იმუნიტეტით სარგებლობს.

საგარეო **საქმეთა უწყება**[95] ძირითად მუშაობას ეწევა მოცემული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობისა და საზღვარგარეთ მის მოქალაქეთა (ან ქვეშევრდომთა) უფლებრივი დაცვის დარგში. ეს უწყება წარმოადგენს ცენტრალიზებულ აპარატს, რომლის ყველა განყოფილება ქვეყნებისა და ოპერატიული ამოცანების მიხედვითაა დიფერენცირებული (ტერიტორიული და ფუნქციონალური ნაწილები), იგი მუშაობს უწყების მეთაურის ან მისი ოფიციალური მოადგილეების დირექტივებით. უწყების მეთაური (საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მდივანი) ქვეყნის მთავრობაში შედის და საერთაშორისო ურთიერთობაში ითვლება თავისი მთავრობის წარმომადგენლად სპეციალურ

---

[95] როგორც დამოუკიდებელი უწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრო ისტორიულად ჩამოყალიბდა ჯერ ბიზანტიაში (VI-X ს.ს.), ხოლო შემდგომ (XV-XVII ს.ს.) იაპონიაში, თურქეთში, ვენეციაში, საფრანგეთში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

რწმუნებათა გარეშე. უწყების განყოფილებათა მეთაურები, დეპარტამენტთა დირექტორები და სხვა თანამშრომლები განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე არ წარმოადგენენ მთავრობას, მაგრამ უცხოეთის დიპლომატებთან სამსახურეობრივი ურთიერთობის დროს უწყების მეთაურის დავალებით მოლაპარაკებებად ითვლებიან. საერთაშორისო ჩვეულება ცნობს საგარეო საქმეთა უწყების მეთაურის უფლებას – პირადი ურთიერთობა იქონიოს და მოლაპარაკება აწარმოოს უცხოეთის წარმომადგენლებთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან, დადოს ხელშეკრულებანი, კერძოდ, ნოტების გაცვლისა და ჯენტლმენურ შეთანხმებათა სახით (იხ. თავი ხელშეკრულებათა შესახებ) და საერთოდ იმ უფლებას, რომ მიმდინარე ხელმძღვანელობა გაუწიოს საგარეო პოლიტიკას და მოახდინოს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დემარშები (გამოსვლები).

ხელშეკრულებათა დადებისა და დემარშების დროს ითვლება, რომ საგარეო საქმეთა უწყების მეთაური მოქმედებს „მთავრობის მაგიერ“ ან „მთავრობის უფლებამოსილებით“, ამასთან შეიძლება ჰქონდეს სპეციალური მანდატიც (ჩვეულებრივ კონფერენციებზე), მაგრამ არსებითად ასეთი მანდატი სავალდებულო არ არის, რამდენადაც მეორე მხარისათვის ცნობილი და ნათელია, რომ მოქმედი თანამდებობის პირი გამოდის სწორედ როგორც საგარეო საქმეთა უწყების მეთაური.

საზღვარგარეთ ოფიციალური გამგზავრების დროს უწყების მეთაური, ისევე როგორც მთავრობის მეთაური, დიპლომატიური პასპორტითა და იმუნიტეტით სარგებლობს.

აქტიურად არის ჩართული საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც „ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას“.[96] სისტემა შედგეს სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფებისა (დიპლომატიური წარმომადგენლობა, საკონსულო დაწესებულება) და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან.

---

[96] იხ. 2005 წლის 16 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №206 დადგენილებით დამტკიცებული „საქრთველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

საგარეო საქმეთა სამინისტრის სტრუქტურული ერთეულებია:

- *საგანგებო დავალებათა ელჩები*
- *პოლიტიკური დეპარტამენტი*
- *უსაფრთხოების პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი*
- *ევროინტეგრაციის დეპარტამენტი*
- *ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი*
- *ამერიკის დეპარტამენტი*
- *საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი*
- *საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტი*
- *საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი*
- *პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი*
- *დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი*
- *საკონსულო დეპარტამენტი*
- *ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი*
- *ადმინისტრაციული დეპარტამენტი*
- *შიდა აუდიტის სამსახური*
- *დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობების დეპარტამენტი*
- *აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი*
- *იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი*
- *მინისტრის სამდივნო*

*საიდუმლო საქმისწარმოების სამმართველო.*აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება, რათა განიხილოს საერთაშორისო და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი (საქართველოს კონსტიტუცია. მუხ. 89).

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე ყველა ის ორგანო, უწყება და დაწესებულება, რომლებიც საგარეო ურთიერთობათა სპეციალურ საკითხებს განაგებენ.

განსაკუთრებით გაიზარდა უწყებების საერთაშორისო აქტიორობა უკანასკნელ ხანებში, სახელმწიფოთშორისი სამართლებრივი (იურიდიული), კულტურული, ტექნიკური, სპორტული, ტურისტული თანამშრომლობის გაძლიერებისა და

გაფართოებასთან დაკავშირებით. ყოველი სახელმწიფო თვით განსაზღვრავს ამ ორგანოთა ორგანიზაციასა და კომპეტენციას.

სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს მიეკუთვნება აგრეთვე ყველა ის ორგანო, უწყება და დაწესებულება, რომლებიც საგარეო ურთიერთობათა სპეციალურ საკითხებს განაგებენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა უწყებების როლი უკანასკნელ ხანებში, სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი (იურიდიული), კულტურული, ტექნიკური, სპორტული, ტურისტული თანამშრომლობის გაძლიერებასა და გაფართოებასთან დაკავშირებით. ყოველი სახელმწიფო თვით განსაზღვრავს ამ ორგანოთა ორგანიზაციას და კომპეტენციას.

## *3. საგარეო ურთიერთობების საზღვარგარეთული ორგანოები*

საგარეო ურთიერთობის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოთა გარდა არსებობს დიდი ჯგუფი ე.წ. საზღვარგარეთული ორგანოებისა – დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო და ა.შ., რომლებიც იცავენ და ახორციელებენ თავისი სახელმწიფოს ინტერესებს ადგილზე, მის საზღვრებს გარეთ.

საგარეო ურთიერთობის საზღვარგარეთულ ორგანოთა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას უცხო სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

### *ა) სახელმწიფოს მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა*

ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ პოლიტიკურ ურთიერთობათა დამყარება, როგორც წესი, იწვევს **დიპლომატიური წარმომადგენლობების ურთიერთგაცვლას. დიპლომატიური წარმომადგენლობა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში გაგზავნილი მუდმივი საზღვარგარეთული ორგანოა, რომლის ამოცანაა განამტკიცოს ამ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა და**

დაიცვას თავისი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესები[97].

თანამედროვე ეტაპზე დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციები შემდეგში მდგომარეობს:

ა) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოს წარმოდგენა;

ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმდგენი სახელმწიფოს და მოქალაქეების ინტერესების დაცვა;

გ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების წარმოება;

დ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების შესახებ ცნობათა კანონიერი საშუალებებით შეგროვება და თავისი სახელმწიფოსათვის მიწოდება;

ე) თავის და ადგილსამყოფელ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობა.[98]

დიპლომატიური წარმომადგენლობა უფლებამოსილია შეასრულოს საკონსულო ფუნქციებიც[99].

ყოველი დიპლომატიური წარმომადგენლის (დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის) უფლებრივი მდგომარეობა სამ საწყისს ეყრდნობა:

**აკრედიტება (აკრედიტაცია)** – ყოველი დიპლომატიური წარმომადგენელი აღიჭურვება უფლებამოსილებით, რომელიც რწმუნების სიგელისა ან რწმუნების წერილის სახით ფორმდება და გადაეცემა წარმომადგენლის მიერ ადგილსამყოფელი ქვეყნის სათანადო ორგანოს. ამ მომენტიდან

---

[97] მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობათა ინსტიტუტი მხოლოდ XV საუკუნეში იდგამს ფეხს. მანამდე ელჩები იგზავნებოდნენ რაიმე გარკვეული ამოცანის შესასრულებლად – ხელშეკრულების დადება, დიპლომატიური მოლაპარაკება. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიების ჩამოყალიბების პერიოდში, დროებითი ელჩობა მუდმივ საწყისებზე გადადიან. პირველი ასეთი საელჩო წარიგზავნა ვენეციაში 1455 წელს მილანის ჰერცოგ ფრანჩესკო სფორას მერ, მაგრამ ამ ინსტიტუტის ფართოდ გამოყენება მხოლოდ XVI საუკუნიდან იწყება.

[98] იხ. 1961 წის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

[99] იქვე, პუნქტი 2.

დიპლომატიური წარმომადგენელი აკრედიტებულად ითვლება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.[100]

**წარმომადგენლობა** – აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენელი მოქმედებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში თავისი სახელმწიფოს სახელით ყოველგვარი დამატებითი უფლებამოსილების გარეშე და ყოველ მის ქმედებაზე პასუხისმგებელია მაკრედიტებელი სახელმწიფო. თუ დიპლომატიური წარმომადგენლობის ქმედება ან განცხადება ეწინააღმდეგება მისი სახელმწიფოს ინტერესებს, უკანასკნელი უფლებამოსილია დაგმოს თავისი წარმომადგენლის ასეთი ქმედობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გამოიწვიოს კიდევაც იგი.

**იმუნიტეტი** – თავისი ფუნქციების ნორმალური შესრულებისათვის ყოველ დიპლომატიურ წარმომადგენელს და მის რეზიდენციას მიეცემა განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ათავისუფლებენ მას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ყველა სახის იურისდიქციისაგან (იხ. ქვევით).

ეს სამი საწყისი წითელი ზოლივით გასდევს მთელ დიპლომატიურ სამართალს, რომელიც მრავალი დეტალისაგან შედგება. შეეხოთ მხოლოდ საკვანძო საკითხებს.

**დიპლომატიური წარმომადგენლობის პირადი შემადგენლობა** სამ ჯგუფად იყოფა; ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შესაძლებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით:

ა) **დიპლომატიურ პერსონალს (დიპლომატიურ აგენტებს),** წარმომადგენლობაში, მისი მეთაურის გარდა, მიეკუთვნება ყველა მუშაკი, რომელსაც დიპლომატიური რანგი გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი დიპლომატიური ატაშეს გარდა, რომელიც ყველაზე დაბალ რანგს წარმოადგენს, არსებობს ე.წ. სპეციალიზებული ატაშეების ინსტიტუტი. როგორც წესი, ეს მააკრედიტებელი სახელმწიფოს სპეციალური უწყებების (სამხედრო, სამხედრო-სა ჰაერო, სამხედრო-საზღვაო, კულტურის და სხვ. სამინისტროების) მიერ მიმაგრებული პირებია. სამოქალაქო ატაშეები დიპლომატიური რანგის მქონე პირებია და ხშირად მეურნეობის რომელიმე დარგის სპეციალისტებია, სამხედრო ატაშეები – გენერლები, ადმირალები და მოქმედი სამსახურის სხვა ოფიცრები მაღალი დიპლომატიური რანგის პირს უთანაბრდებიან და პირველ

[100] იქვე, მუხ. 13.

მდიუანზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან წარმომადგენლობაში.[101]

**ბ) ტექნიკურ პერსონალს** მიეკუთვნებიან კანცელარიის მუშაკები, ბუღალტრები, თარჯიმნები, მეშიფრეები, მემანქანეები და ა.შ.

**გ) მომსახურე პერსონალს** მიეკუთვნებიან მძღოლები, შიკრიკები, ლიფტიორები, შვეიცარები და ამ სახის სამუშაოს სხვა შემსრულებლები.

ორი უკანასკნელი ჯგუფის პერსონალი საელჩოს (მისიის) არაოფიციალურ შემადგენლობაში შედის და დამხმარე როლს ასრულებს.

რაც შეეხება დიპლომატიურ წარმომადგენლობათა სტრუქტურას, იგი დამოკიდებულია მააკრედიტებელ სახელმწიფოში მიღებულ ტრადიციებზე. მაგრამ ძირითადად ყველა ქვეყნის საელჩოს (მისიას) სტრუქტურას შორის არსებობს მსგავსება.

*კანცელარია;*
*პოლიტიკური განყოფილება;*
*საკონსულო განყოფილება;*
*ეკონომიკური განყოფილება;*
*ბეჭდითი სიტყვის განყოფილება;*
*კულტურული ურთიერთობის განყოფილება;*
*ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება;*
*ატაშატი.*

ზოგიერთი განყოფილება ქვეგანყოფილებებად და სექციებად იყოფა.

სახელმწიფოთაშორის პრაქტიკამ დღეისათვის შეიმუშავა დიპლომატიურ აგენტთა წოდებების ანუ რანგების გარკვეული ტაბულა. ამ პრაქტიკას მისდევს საქართველოში **შემოღებული** შემდეგი რანგები.

- *უმაღლესი დიპლომატიური რანგები:*
  - *ა.ა) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;*
  - *ა.ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი;*
- *უფროსი დიპლომატიური რანგები:*

---

[101] ბევრ კათოლიკურ სახელმწიფოს მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ დამყარებული კათოლიკური ეკლესიის ცენტრთან – ვატიკანთან, რომელიც წარმოდგენილია ამ ქვეყნებში ნუნციუსებით და ინტერნუნციუსებით.

- *უფროსი მრჩეველი;*
- *მრჩეველი;*
- *უმცროსი მრჩეველი;*

• *უმცროსი დიპლომატიური რანგები:*

- *პირველი მდივანი;*
- *მეორე მდივანი;*
- *მესამე მდივანი;*
- *ატაშე.*[102]

პირველ ორ რანგს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი – საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით. რანგებს ძირითადად საუწყებო ხასიათი აქვს და ენიჭება როგორც საელჩოების და სხვა წარმომადგენლობათა დიპლომატიურ პერსონალს, ასევე საგარეო სქმეთა სამინისტროს მუშაკებს.[103] ამავე დროს ვენის 1961 წლის კონვენციის 14 მუხლი ჩამოთვლის დიპლომატიურ წარმომადგელობათა მეთაურის სამ კლასს:

ა) ელჩების და ნუნციუსების კლასი

ბ) დესპანებისა და ინტერნუნციუსების კლასი

გ) საქმეთა რწმუნებულების კლასი

პირველი ორი კლასის წარმომადგენლები იგზავნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ უცხო სახელმწიფოების მეთაურთან, ხოლო საქმეთა რწმუნებულნი – საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ შესაბამის მინისტრთან.

უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით სამივე კლასის დიპლომატები თანასწორუფლებიანი არიან და რაიმე დისკრიმინაცია რომელიმე კლასის მიმართ დაუშვებელია. მხოლოდ უფროსობისა და დიპლომატიური ეტიკეტის სფეროში კლასები, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შესაბამისად, ასრულებენ მარეგულირებელ როლს, რაც სრულებით არ ლახავს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებს.[104]

საკითხი იმის შესახებ, თუ რა კლასის დიპლომატი უნდა ჩადგეს დიპლომატიური წარმომადგენლობის სათავეში, წყდება

---

[102] იხ. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლი.

[103] იქვე, მუხ. 33 და 34.

[104] კათოლიკურ სახელმწიფოებში პაპის ელჩი, სხვა ელჩებთან შედარებით, უფრო მაღალ საფეხურზე დგას. უფროსობისა და ეტიკეტის თვალსაზრისით მას განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან (იხ. ქვემოთ „დიპლომატიური კორპუსი").

მააკრედიტირებელი და ადგილსამყოფელი სახელმწიფოების შეთანხმებით. როგორც წესი, დიპლომატის რანგი შეესაბამება იმ კლასს, რომელიც მას მიენიჭება საზღვარგარეთ გაგზავნისას, მაგრამ დასაშვებია გამონაკლისებიც.

ამგვარად, ყოველი სახელმწიფოს დედაქალაქში, როგორც წესი, უცხო დიპლომატთა საკმაოდ დიდი რაოდენობა გროვდება.

მოცემულ სახელმწიფოში აკრედიტებული ყველა უცხო დიპლომატიურ წარმომადგენელთა (ე.ი. საელჩოების ან მისიების მეთაურთა) ერთობლიობას **დიპლომატიური კორპუსი**[105] ეწოდება. დიპლომატიური კორპუსის ამ ვიწრო გაგების გარდა აღნიშნულ ტერმინს ხმარობენ მოცემულ სახელმწიფოში ყველა საელჩოს მისიის დიპლომატიური პერსონალის ერთობლიობის აღსანიშნავად. ამაში ცნებაში შედიან დიპლომატთა ცოლები, არასრულწლოვანი შვილები, სრულწლოვანი, მაგრამ გაუთხოვარი ქალიშვილები და, იშვიათად, მოხუცებული დედ-მამა.

დიპლომატიური კორპუსის ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ძოთქმის ორსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს.

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების უფროსობა დიპლომატიურ კორპუსებში მათი კლასით განისაზღვრება. ყოველი კლასის ფარგლებში უფროსობა განისაზღვრება წარმომადგენლის მიერ ნაკისრი მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღითა და საათით.

დიპლომატიური კორპუსის მეთაურად (უხუცესად, დუაენად, დეკანად) ინიშნება უმაღლესი დიპლომატიური კლასის მქონე ის პირი, რომელიც ამ სახით ყველაზე დიდხანს მუშაობს მოცემულ ქვეყანაში.[106]

დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური ღონისძიებანი ძირითადად ცერემონიალურ ხასიათს ატარებს.

**დიპლომატიური კორპუსი:**

ა) ესწრება ყველა ღირშესანიშნავ მოვლენას: სახელმწიფოს მეთაურის პოსტის პროცედურა, საზეიმო კრებები, აღლუმები, პარლამენტის სესიის გახსნა, ეროვნული დღესასწაულები და ა.შ.

---

[105] ტერმინი „კორპუსი" უკვე XVII საუკუნეში გვხვდება.

[106] 1815 წლიდან მოყოლებული კათოლიკურ ქვეყნებში დიპკორპუსის დუაენად პაპის ნუნციუსი ინიშნებოდა. იტალიასა და საფრანგეთში ეს წესი შენარჩუნებულია დღემდე.

ბ) ულოცავს სახელმწიფოს მეთაურს თანამდებობის დაკავებას, ახალ წელს, დაბადების დღეს, ეროვნულ დღესასწაულს და ა.შ.

გ) უსამძიმრებს სახელმწიფოს მთავრობის ან საგარეო საქმეთა უწყების მეთაურის, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის სიკვდილის ან რაიმე სტიქიური უბედურების გამო.

დ) აწყობს წარმომადგენლობათა მეთაურების კრებებს, სადაც განიხილება დიპკორპუსის კოლექტიურ ღონისძიებათა საკითხები; ამ კრებაზე ისმენენ დუაენის ინფორმაციას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონტაქტების შესახებ დიპკორპუსისავთის საინტერესო საკითხების ირგვლივ.

დიპლომატიურ კორპუსს უფლება არა აქვს ჩაერიოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საშინაო საქმეში და შეეცადოს ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ მთავრობაზე. საერთოდ პოლიტიკური სახის გამოსვლები დიპკორპუსისათვის დაუშვებელია.

**დიპკორპუსის დუაენი:**

ა) მეთაურობს დიპკორპუსს მისი კოლექტიური ღონისძიებების დროს;

ბ) იცავს დიპკორპუსის წევრთა უფლებებს, თუ ისინი დარღვეულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ორგანოების მიერ;

გ) იხილავს და წყვეტს ყოველგვარ ცერემონიალური და ეტიკეტის ხასიათის დავებს, რომლებიც დიპლომატიური კორპუსის წევრებს შორის წამოიჭრება.

დ) აწყობს და უხსნის ახლად ჩამოსულ დიპლომატებს ადგილობრივ კანონებს, ჩვეულებებს და ტრადიციებს, დიპკორპუსის ცხოვრების წესებს და ა.შ.

ე) წარმოადგენს შუამავალ რგოლს დიპკორპუსსა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის; აწარმოებს და ინახავს ყველა დოკუმენტს, რომელიც დიპკორპუსს, როგორც მთლიან ერთეულს ეხება.

**დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნა და გამოწვევა** სპეციალური წესის დაცვით უნდა ხდებოდეს. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის კანდიდატურა შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სათანადო ორგანოებთან. მხოლოდ მისი თანხმობის ანუ **აგრემანის** მიღებისას

მააკრედიტებელი სახელმწიფოს ორგანოები საბოლოოდ აყალიბებენ დიპლომატის გაგზავნის საკითხებს.[107]

უცხო სახელმწიფო უფლებამოსილია პირდაპირ თქვას უარი აგრემანის მიცემაზე ან ხელოვნურად იმდენად დააყოვნოს (თვე და მეტი) პასუხი, რომ მეორე სახელმწიფოსათვის ნათელი გახდება მისი უარყოფითი პოზიცია. არც ერთი სახელმწიფო მოვალე არ არის დაასაბუთოს აგრემანის მიუცემლობის მიზეზები, ეს მისი სუვერენული უფლებაა.[108]

აგრემანის მიღებისთანავე სათანადო ხელისუფლების ორგანო გამოსცემს შესაბამის აქტს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. ელჩებს და დესპანებს მიეცემათ მეთაურის მიერ ხელმოწერილი რწმუნების სიგელები,[109] რომლებიც მოწმდება საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ. საქმეთა რწმუნებულს მიეცემა საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ

---

[107] ამ საკითხს აგვარებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ა) ან უშუალოდ უკავშირდება უცხო სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ან მესამე სახელმწიფოში მყოფ საელჩოს მოიშველიებს. ეს წესი გამოიყენება, როდესაც ინიშნება პირველი ელჩი; ბ) როდესაც ადგილი აქვს დიპლომატიური წარმომადგენლის შეცვლას ახლით. აგრემანს მოითხოვენ ძველი ელჩების მეშვეობით ან თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხო სახელმწიფოს საელჩოს მეშვეობით.

[108] აგრემანზე უარის თქმის ფაქტები ძალზე მცირეა, რადგანაც გამგზავნი სახელმწიფო ძალიან ფრთხილად არჩევს სათანადო კანდიდატურებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი ფაქტი მაინც გვხვდება. უარის თქმის მიზეზი უფრო ხშირად შეიძლება გამოწვეული იყოს კანდიდატის საჯარო გამოსვლებით, თუ ამ გამოსვლებში (რადიოთი, მიტინგზე, ტელევიზიით და ა.შ.) კანდიდატმა უცხო სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართ უკანასკნელისათვის არასასურველი პოზიცია გამოამჟღავნა.

[109] რწმუნების სიგელებს დიდი ისტორია აქვს. იმ პერიოდში, როდესაც მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, რწმუნების სიგელები მიეცემოდა დროებით, მისიის დამთავრებამდე. ზოგჯერ რწმუნებულების სიგელის ფორმულა თვით დიპლომატიურ წერილებშია ჩაწერილი. ასე მაგ. საქართველოს მეფე რუსუდანის მიერ 1223 წელს რომის პაპის სახელზე გაგზავნილ წერილში ეკითხულობთ: „ამ წერილის მომტანს საყვარელ დავითს, ანის ეპისკოპოსს, ისე ერწმუნეთ უველაფერში, ვითომც ჩვენის პირისაგან გსმენოდეს“ (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902. გვ. 353).

ხელმოწერილი რწმუნების წერილი. რწმუნების სიგელები იგზავნება უცხო სახელმწიფოს მეთაურის სახელზე, რწმუნების წერილი – საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე.

არის შემთხვევები, როდესაც ელჩი ან დესპანი წარმოადგენს თავის სახელმწიფოს არა ერთ, არამედ რამდენიმე სახელმწიფოში და პირიქით – რამდენიმე სახელმწიფო გზავნის ერთსა და იმავე პირს თავის დიპლომატიურ წარმომადგენლად. პირველ შემთხვევაში მააკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მისი დიპლომატი მუდმივად არ იმყოფება, დააარსოს წარმომადგენლობა დროებით საქმეთა რწმუნებულის მეთაურობით[110].

საქართველოს ელჩი ბრაზილიაში იმავდროულად არის აკრედიტებული პერუს რესპუბლიკაში, ბოლივიის მრავალეროვნულ სახელმწიფოში, ეკვადორის რესპუბლიკაში, სურინამის რესპუბლიკაში, კოლუმბიის რესპუბლიკასა და გაიანას კოოპერატიულ რესპუბლიკაში; ხოლო საქართველოს ელჩი ინდოეთში ასევე აკრედიტებულია ტაილანდის სამეფოსა და შრი-ლანკის დემოკრატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში;საქართველოს ელჩი ქუვეითში იმავდროულად აკრედიტებულია საუდის არაბეთის სამეფოში, ბაჰრეინის სამეფოში, ომანის სასულთანოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (ქ. ალ-ქუვეითი); ელჩი ბელგიაში იმავდროულად ელჩია ლუქსემბურგში[111].

წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრები, როგორც წესი, არ შეიძლება დაინიშნონ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეთა რიცხვიდან. იშვიათად ადგილი აქვს გამონაკლის შემთხვევებს, მაგრამ ასეთი დანიშვნა უნდა ხდებოდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით, რომელიც ყოველ მომენტში შეიძლება გაუქმებულ იქნას.

ადგილსამყოფელ სახელმწიფოებში ჩასელისთანავე დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურმა უნდა

---

[110] იხ. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მუხ. 5.

[111] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე: www.mfa.gov.ge

წარადგინოს თავისი რწმუნებულის დოკუმენტი იმ წესის დაცვით, რომელიც მიღებულია ამ სახელმწიფოში.[112]

დიპლომატიური წარმომადგენლობის რიგით წევრებს ნიშნავს მააკრედიტებელი სახელმწიფო, აგრემანის მოუთხოვნელად. ადგილსამყოფელი სახელმწიფო უფლებამოსილია დაიწუნოს დანიშნული პირი[113].

დიპლომატის მისიის შეწყვეტა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, რომელთაგან მთავარია:

ა) დიპლომატის გამოწვევა მააკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ მისი ავადმყოფობის ან პენსიაზე გასვლის, პირადი თხოვნის, დაკისრებული ამოცანის შესრულების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო და ა.შ. ამ შემთხვევაში, ახალ ელჩს თავის რწმუნების სიგელთან ერთად მიაქვს ყოფილი ელჩის გამოწვევის სიგელი[114], რომელსაც ყოფილი წარმომადგენელი (ან თვით ახალი ელჩი) აბარებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სათანადო ორგანოს.

ადგილსამყოფელი სახელმწიფო თვით ირჩევს რა წესი გამოიყენება უცხოელ დიპლომატთა მიმართ, მაგრამ მიღებული წესი უნდა გამოიყენებოდეს თანაბრად ყველა სახელმწიფოს მიმართ.

ბ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს მააკრედიტებელი მთავრობისაგან ამა თუ იმ დიპლომატიური აგენტების გამოწვევა ან წარმომადგენლობის შემადგენლობის რომელიმე თანამშრომლის თანამდებობიდან გადაყენება და სამშობლოში გამოთხოვა.

პირველ შემთხვევაში დიპლომატიური აგენტი „პერსონა ნონ გრატა"-დ ანუ „არასასურველ პიროვნებად" ცხადდება. მეორე შემთხვევაში წარმომადგენლობის თანამშრომელი „მიუღებელ პიროვნებად" იწოდება, რადგანაც მას დიპლომატიური რანგი

---

[112] ვენის 1961 წლის კონვენციის თანახმად, წარმომადგენლობის მეთაური ითვლება თავისი ფუნქციების შემსრულებლად იმ მომენტიდან, როგორც კი წარუდგენს სათანადო ორგანოს თავის ა) რწმუნების სიგელებს ან ბ) გაუგზავნის საგარეო საქმეთა მინისტრს (ან სხვა სამინისტროს, რომლის შესახებ მიღწეულია შეთანხმება) შეტყობინებას ჩამოსვლის შესახებ და თავისი რწმუნების სიგელის დამოწმებულ ასლს.

[113] იხ. 1961 წლის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციის მე-7 მუხლი.

[114] საქმეთა რწმუნებულის გამოწვევისას იგზავნება „გამოწვევის წერილი".

არ გააჩნია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ასეთი აქტი შეიძლება არც იყოს მოტივირებული, სამაგიეროდ მააკრედიტებელმა სახელმწიფომ მაშინვე უნდა გამოითხოვოს თავისი წარმომადგენლობის თანამშრომელი. თუ ეს არ მოხდება, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობას შეუძლია უარი განაცხადოს მისთვის არასასურველი ან მიუღებელი პიროვნების წარმომადგენლობის თანამშრომლად ცნობაზე და ძალით გააძევოს კიდეც ის ქვეყნიდან.

დიპლომატიური აგენტის „persona non grata"-დ გამოცხადების მისნაირი შეიძლება გახდეს მააკრედიტებელი სახელმწიფოს ქმედება ან თავად დიპლომატიური აგენტის მიერ ჩადენილი ქმედება, მათ შორის ჯაშუშობა, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა მოსმენიხეობა მხარდაჭერით ან სხვა რაიმე სახით, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის მიმართ უპატივცემულობის გამომჟღავნება, ადგილსამყოფელი მთავრობის პოლიტიკის უხეში კრიტიკა და ა.შ.

გ) იშვიათ შემთხვევაში დიპლომატიური წარმომადგენლის მისია მთავრდება დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტის გამო, რაც ან ომის გამოცხადებით, ან სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების მკვეთრი გაუარესებით გამოიწვევა. ამ შემთხვევაში სახლში ბრუნდება დიპლომატიური წარმომადგენლობის მთელი შემადგენლობა.

დ) მააკრედიტებელი სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის არსებობის შეწყვეტის შემთხვევაში[115] უქმდება მისი დიპლომატიური წარმომადგენლების უფლებამოსილებაც[116].

ე) მააკრედიტებელ სახელმწიფოში რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს, რასაც პოლიტიკური რეჟიმის ან სახელმწიფო წყობის მთლიანად შეცვლა მოჰყვება, ახალ მთავრობას შეუძლია გადასინჯოს დიპლომატიურ

---

[115] მაგ., 1958 წელს, სირიისა და ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ, მათი დიპლომატიური წარმომადგენლობანი საზღვარგარეთ შეცვლილ იქნენ ახლით, რომლებიც 1960 წლამდე არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სახელით მოქმედებდნენ. ამ გაერთიანების დაშლის შემდეგ მოხდა პირიქით – გაუქმდა ძველი საელჩოები და დაარსდა ახალი, ყოველი სახელმწიფოსათვის ცალ-ცალკე.

[116] ზოგჯერ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობა არ ცნობს ახალი მთავრობის მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობის გაუქმების ფაქტს და იხილავს მას ძველი სახელმწიფოს წარმომადგენლად. ასე მაგ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო-დელეგაცია საფრანგეთში 1935 წლამდე არსებობდა.

წარმომადგენლობათა შემადგენლობა და გამოიწვიოს არასასურველი პირები, ან პირიქით, განაახლოს მისი უფლებამოსილება. ასევე ექცევა მააკრედიტებელი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოში თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, თუ ამ სახელმწიფოში ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი.

ვ) ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დიპლომატიური აგენტების მიერ მააკრედიტებელ სახელმწიფოსთან კავშირის გაწყვეტისა და მისი ადგილსამყოფელი ან სხვა უცხო სახელმწიფოში თაფშესაფრების ფაქტები.

ამგვარად, უმრავლეს შემთხვევაში დიპლომატიური აგენტის ფუნქციების შეწყვეტა ხდება „გამოწვევის სიგელის“ (ან „გამოწვევის წერილის“) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურისათვის (ან საგარეო საქმეთა მინისტრისათვის) ჩაბარებით.

ამ აქტით იურიდიულად ფორმდება დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ თავისი ფუნქციების შესრულების შეწყვეტა.

დიპლომატიურ წარმომადგენლობას მის ადგილსამყოფელში მიეკუთვნება განსაკუთრებული **პრივილეგიები** და **იმუნიტეტები,** რომლებიც „ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა მხრივ გამორჩენის მიზნით, არამედ იმისათვის, რომ ნაყოფიერად აღასრულონ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, როგორც სახელმწიფოთა წარმომადგენელი ორგანოების ფუნქციები“[117]

**იმუნიტეტი** ანუ შეუვალობა გულისხმობს დიპლომატის ამოღებას ადგილობრივი იურისდიქციის კომპეტენციიდან, **პრივილეგიები** კი ანიჭებენ მას გარკვეულ უპირატესობას, მეტ უფლებებს, ვიდრე ადგილობრივ მოქალაქეებს ან სხვა უცხოელებს გააჩნიათ. იურიდიული თვალსაზრისით ორივე კატეგორიის უფლებანი თანაბარი ძალისაა, რაც აღიარებულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი და კონვენციური ნორმებით.

ვენის 1961 წლის კონვენცია მკაფიოდ განსაზღვრავს დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებრივ მდგომარეობას პრივილეგიებისა და იმუნიტეტის სფეროში.

---

[117] 1961 წლის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციის პრეამბულა

ა) წარმომადგენლობის შენობები ხელშეუხებელია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანამდებობის პირებს შეუძლიათ იქ შესელა მხოლოდ წარმომადგენლობის მეთაურის ნებართვით. დაუშვებელია ამ შენობის, აგრეთვე ავეჯის და სხვა ნივთების, ავტომანქანების და მიმოსვლის სხვა საშუალებების გაჩხრეკა, მათზე ყადაღის დადება, სააღმასრულებლო მოქმედების მიქცევა[118].

ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს წარმომადგენლობის ხელშეუხებლობის დასაცავად.

ბ) მააკრედიტებელი სახელმწიფოს საელჩოს (მისიის) მეთაურები თავისუფლდებიან წარმომადგენლობის შენობაზე ყველა სახის გადასახადისა და გამოსაღებისაგან, კონკრეტული სახის მომსახურებისათვის გადახდევინების გარდა[119].

გ) წარმომადგენლობის არქივი და დოკუმენტები ხელშეუხებელია, მიუხედავად მათი ადგილმდებარეობისა.[120]

დ) წარმომადგენლობა უფლებამოსილია თავისუფლად დაუკავშირდეს თავის სახელმწიფოს და მის საზღვარგარეთულ ორგანოებს მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად და გამოიყენოს ამ მიზნებისათვის ყველა სათანადო საშუალება, დიპლომატიური შიკრიკებისა და კოდირებული ან დაშიფრული დეპეშების ჩათვლით. წარმომადგენლობას შეუძლია გამოიყენოს რადიომიმღებიც, მაგრამ მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით.[121]

დიპლომატიური ფოსტა ხელშეუხებელია და მისი დაკავება ან გასინჯვა დაუშვებელია, ამიტომ დიპლომატიური ფოსტის მქონე ყველა ყუთს ან ტომარას უნდა ჰქონდეს კარგად გასარჩევი ნიშანი. ასევე ხელშეუხებელია დიპლომატიური შიკრიკი (კურიერი).

ე) თუ დიპლომატიური წარმომადგენლობა თავისი ოფიციალური ფუნქციების შესრულებისას ეწევა რაიმე

---

[118] იქვე, მუხ. 22. დიპლომატიური წარმოადგენლობის ხელშეუხებლობის შესახებ დამატებით იხილეთ საქმე *United States Diplomatic and Consular Staff in Tehran (United States of America v. Iran).* http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=c9&case=64&code=usir&p3=4

[119] იქვე, მუხ. 23

[120] იქვე, მუხ. 24

[121] იქვე, მუხ. 24

ფულად ანაზღაურებას, ეს თანხა თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და ბაჟისაგან.[122]

ე) დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაზე შეიძლება გამოკიდებული იყოს მააკრედიტებელი სახელმწიფოს დროშა და ღერბი (ემბლემა), დროშა და ღერბი (ემბლემა) შეიძლება გამოიკიდოს წარმომადგენლობის მეთაურის მიმოსვლის საშუალებებზეც[123].

ზ) ყოველი წარმომადგენლობა უფლებამოსილია შემოიტანოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ოფიციალური სარგებლობისათვის საჭირო ნივთები, რომლებიც თავისუფლებიან ყოველგვარი გადასახადისაგან[124].

ასეთია დიპლომატიურ წარმომადგენლობათა იმუნიტეტები და პრივილეგიები, რომლებიც მათი ფუნქციების ეფექტური რეალიზაციის მტკიცე გარანტიაა.

ამავე დროს, დაუშვებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის იმუნიტეტის და პრივილეგიების გამოყენება. კერძოდ, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დევნილი პირისათვის საელჩოში თავშესაფრის მიცემა.[125] ამ უფლებას მხოლოდ ლათინური ამერიკის ქვეყნები ცნობენ, ისიც შეზღუდულად.[126]

როგორც დიპლომატიურ წარმომადგენლობას მთლიანად ასევე მის დიპლომატიურ აგენტებს მიენიჭება შემდეგი დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები:

---

[122] იქვე, მუხ. 28

[123] იქვე, მუხ. 20

[124] იქვე, მუხ. 36

[125] 1956 წელს ბუდაპეშტში აშშ-ს საელჩოში შეაფარა თავი უნგრეთის კარდინალმა მინდსენტიმ, საიდანაც იგი მხოლოდ 20 წლის შემდეგ გამოვიდა.

[126] სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ თავშესაფრის უფლების გამოყენება ყოველმხრივ აიკრძალა, რაც შეეხება პოლიტიკურ დამნაშავეებს, საელჩოში თავშესაფრის უფლება მათ უნდა მიეცეთ მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში და ხანმოკლე ვადით, რომლის განმავლობაში წარმომადგენლობამ უნდა გაიყვანოს ასეთი პირები ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. (იხ. 1928 წლის კონვენცია თავშესაფრის შესახებ და მონტევიდეოს 1933 წლის კონვენცია პოლიტიკური თავშესაფრის უფლების შესახებ). დიპლომატიური თავშესაფრის თაობაზე იმსჯელა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საქმეზე *Haya de la Torre (Colombia v.Peru)*, დამატებით იხ. http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&code=haya&case=14&k=d4&p3=0

**პირადი ხელშეუხებლობა** – არ შეიძლება დიპლომატიური აგენტის არც დაკავება, არც დაპატიმრება; ადგილსამყოფელმა სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს დიპლომატის პიროვნების თავისუფლების და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის[127].

როგორც წესი, სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსაკუთრებულად იცავს დიპლომატიური აგენტის ხელშეუხებლობას. რაიმე ინციდენტის შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა მოძებნოს და დასაჯოს დამნაშავე, რაც არ ხსნის მის დანაშაულს დაზარალებული სახელმწიფოს წინაშე[128].

**ბინის, ქონების, მიწერ-მოწერის ხელშეუხებლობა** – დიპლომატიური აგენტის ეს უფლებანი ისეთივე მოცულობისაა, რაც თვით წარმომადგენლობისა მთლიანად. მაშინაც კი, როდესაც დიპლომატი იკავებს ოთახს სასტუმროში, იგი ხელშეუხებელი ჩდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ორგანოებისა და მოქალაქეებისათვის[129].

**სასამართლო იმუნიტეტი** – რა სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედობაც არ უნდა ჩაიდინოს დიპლომატიურმა აგენტმა, იგი არ ექვემდებარება ადგილობრივ კანონებს და მას არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ადგილსამყოფელი სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებში. მაგრამ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ იურისდიქციის სფეროში დიპლომატიური წარმომადგენელი ან სხვა აგენტი ექვემდებარება ადგილობრივ კანონებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ აღძრულია სარჩელი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მყოფი დიპლომატიური აგენტის კერძო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების თაობაზე.

ბ) თუ აღძრულია სარჩელი დიპლომატიური აგენტის მიერ წარმოებულ პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ეწევა თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეშე.

---

[127] იხ. 1961 წლის დიპლომატიური ურთიერთობების სესახებ ვენის კონვენცია, მუხ. 29.

[128] იქვე, მუხ.31.

[129] იქვე, მუხ. 30.

გ) თუ აღძრულია სარჩელი დიპლომატიური აგენტის მიერ მემკვიდრეობის მიცემისა ან სხვა სამემკვიდრეო საკითხებთან დაკავშირებით.[130]

დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის მისცეს მოწმის ჩვენებანი, ხოლო თუ დათანხმდება ამაზე, არ არის მოვალე გამოცხადდეს ამისათვის სასამართლოში, საგამომძიებლო ორგანოებში.[131]

**ფისკალური იმუნიტეტი,** პირადი ბეგარისაგან განთავისუფლება – დიპლომატიური აგენტი თავისუფლდება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული ყველა სახის გადასახადისა და გამოსაღებისაგან, აგრეთვე ყველა სახის შრომითი, სახელმწიფო და სამხედრო ბეგარისაგან[132].

გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს:

1) არაპირდაპირი გადასახადები და გამოსაღებნი დაკავშირებული კონკრეტული სახის მომსახურებასთან (მაგ. საფოსტო, სატრანსპორტო და სხვა გამოსაღებნი);

2) არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც შეაქვთ საქონლისა ან მომსახურების ფასებში;

3) გამოსაღებნი და გადასახადები, შეწერილი დიპლომატიური აგენტის კერძო საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებაზე, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს;

4) გადასახადები შეწერილი სამკვიდროზე და ბაჟი, რომელსაც სახელმწიფო კრეფს მემკვიდრეებისაგან (მცირე გამონაკლისით);

5) გამოსაღებნი და გადასახადები, შეწერილი კერძო გადასახადზე, რომლის წყარო ადგილსამყოფელ სახელმწიფოში იმყოფება; აგრეთვე გადასახადი, შეწერილი ამ სახელმწიფოში არსებულ კომერციულ საწარმოებში დაბანდებულ საწარმოებზე;

6) სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟი, საიპოტეკო და საგერბო გამოსაღები იმ უძრავი ქონების

---

[130] ამ შემთხვევაში დასაშვებია დიპლომატიური აგენტის ქონების მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ისე, რომ არ შეილახოს მისი პირადი და რეზიდენციის ხელშეუხებლობა.

[131] იქვე, მუხ. 31.2.

[132] იქვე, მუხ. 34.

მიმართ, რომელსაც დიპლომატიური აგენტი ფლობს არაწარმომადგენლობის სახელით, არამედ პირადად.

**საბაჟო პრივილეგიები** – ყოველ დიპლომატიურ აგენტს უფლება ენიჭება ყოველგვარი გადასახადებისა, გამოსაღებისა და ბაჟის გარეშე შემოიტანოს და გაიტანოს წარმომადგენლობისათვის საჭირო ნივთები, აგრეთვე, პირადი სარგებლობის პირველადი მოხმარების ნივთები.[133] გამონაკლისს შეადგენს სასაწყობო, საგადაზიდო და სხვა მსგავსი მომსახურებისათვის დაწესებული გადასახადები და გამოსაღებნი.

დიპლომატიური აგენტის ბარგი ხელშეუხებელია და მისი გასინჯვა არ დაიშვება. მაგრამ თუ არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ბარგის მფლობელს გააქვს ან შემოაქვს რაიმე საგანი, რომელიც არ ექვემდებარება პრივილეგიების წესებს, საბაჟოს ჩინოვნიკებს უფლება აქვთ შეამოწმონ საეჭვო ბარგი, მაგრამ მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით.

დიპლომატიურ აგენტს მიეკუთვნება სხვა სახის პრივილეგიებიც:

ა) წარმომადგენლის მეთაურის რეზიდენციაზე, მიმოსელის საშუალებაზე გამოიკიდება ეროვნული დროშა;

ბ) დიპლომატიურ აგენტებს უფლება აქვთ გამოიწერონ და მიიღონ საზღვარგარეთიდან ყოველგვარი ბეჭდვითი ლიტერატურა და კინოფილმები პირადი სარგებლობისათვის ცენზურის გარეშე;

გ) დიპლომატიურ აგენტებს უფლება ეძლევათ იქონიონ საელჩოს ტერიტორიაზე სკოლები, კლუბები და თავისი რელიგიის შესაბამისი სალოცავი დაწესებულებანი;

დ) დიპლომატიურ წარმომადგენელს უფლება აქვს მოიწვიოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მცხოვრები თავის თანამემამულეთა კრებები, მაგრამ ამ კრებაზე არ დაიშვება ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა ან სხვა რაიმე გამოსვლები, რომლებიც აფუძებენ ორ სახელმწიფოს შორის მეგობრულ ურთიერთობას;

ე) დიპლომატიურ აგენტს ენიჭება სხვადასხვა სახის ცერემონიალური პრივილეგიები – მოწვეება საზეიმო შეკრებულობაზე, ამ შეკრებულობაზე განსაკუთრებული პატივისცემა და ა.შ.

---

[133] ე.ი. ავეჯი და სხვა ნივთები ბინის მოსაწყობად.

ჩამოთვლილი იმუნიტეტები და პრივილეგიები, დიპლომატიურ აგენტთა გარდა, სრული სახით ვრცელდება მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებზე. ვინ შედის ამ წრეში, სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირად წყდება. როგორც წესი, ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან დიპლომატის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები, მის კმაყოფაზე მყოფი მშობლები.[134]

როდესაც დიპლომატიური აგენტი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, რაც ძალზე იშვიათად ხდება, იგი სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის დროს, ისიც პირადი და ქონებრივი ხელშეუხებლობის სფეროში, სხვა იმუნიტეტების და პრივილეგიების მინიჭება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებასურვილზეა დამოკიდებული.

თუ დიპლომატიური აგენტი მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გაივლის, მისი დიპლომატიური იმუნიტეტი მოქმედებს იმ მოცულობით, რაც საჭიროა აგენტის პირადი ხელშეუხებლობისა და გზის მშვიდობით გაგრძელებისათვის. იგივე უფლებები მიენიჭება მის ოჯახს, მიუხედავად იმისა, მოგზაურობს ეს უკანასკნელი აგენტთან ერთად თუ ცალკე მიემგზავრება, ან ბრუნდება თავის ქვეყანაში[135].

**ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მათი ოჯახები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით და პრივილეგიებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან ადგილობრივი მოქალაქენი,** ე.ი. არ ცხოვრობენ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. მათზე ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტი იმ გამონაკლისით, რომ:

ა) იმუნიტეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციისაგან ვრცელდება ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრებზე მხოლოდ იმ მოქმედებათა მიმართ, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

---

[134] ინგლისური „ოჯახი" მოიცავს მეუღლეს, სრულწლოვან შვილებს, აგრეთვე ოჯახის ექიმებს, მზარეულებს და სხვა პირებს, რომლებიც დიპლომატის ოჯახს ემსახურებიან. რუსეთში „ოჯახის" ცნება მოიცავს მეუღლეს, არასრულწლოვან შვილებს და კმაყოფაზე მყოფ სრულწლოვან ქალიშვილს.

[135] იქვე, მუხ. 40.

ბ) საბაჟო პრივილეგიებიდან მათზე ვრცელდება მხოლოდ პრივილეგიები დაწესებული პირველადი მოთხოვნილების საგნების მიმართ.

მაგრამ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეთანხმდნენ და ნაცვალგების საფუძველზე გაათანაბრონ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის უფლებანი დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტებსა და პრივილეგიებთან[136].

როდესაც ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, მას ისეთივე უფლებები მიენიჭება რაც ამაღე სახის დიპლომატიურ აგენტებს გააჩნიათ.

**მოსამსახურე პერსონალი სარგებლობს მხოლოდ სასამართლო იმუნიტეტით,** ისიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ მოქმედებათა მიმართ; ისინი თავისუფლდებიან ყველა პირადი ბეგარისაგან და, აგრეთვე, გადასახადებისა და გამოსაღებისაგან მათი ხელფასის მიმართ.[137]

როდესაც მოსამსახურე პერსონალის მუშაკი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, ის არაფითარი იმუნიტეტით არ სარგებლობს იმის გარდა, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო თავს იკავებს დამნაშავე პირის წარმომადგენლობის შენობაში დაპატიმრებისა ან სხვა რაიმე იძულებითი ზომების გამოყენებისაგან. ოჯახის წევრები სარგებლობენ მხოლოდ იმ უფლებით, რომელთაც მათ ადგილობრივი სახელმწიფო მიანიჭებს.

დიპლომატიური იმუნიტეტი და პრივილეგიები მიენიჭება პირს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში შესვლისთანავე ხოლო მისი მოქმედება წყდება პირის მიერ ამ ტერიტორიის დატოვების მომენტიდან.

როგორც ეხედავთ, დიპლომატიური იმუნიტეტების და პრივილეგიების ინსტიტუტის დანიშნულებაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი დიპლომატიურ წარმომადგენლობას და მის წევრებს

---

[136] ეს პრინციპი დაკანონდა უკანასკნელ ხანებში ჯერ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკითა და ორმხრივი შეთანხმებით, შემდგომ კი ეუნის 1961 წლის კონვენციის 37-ე მუხლით.

[137] ეუნის 1961 წლის კონვენცია არ ითვალისწინებს მომსახურე პერსონალზე სხვა დიპლომატიური იმუნიტეტების და პრივილეგიების გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ ზოგიერთი სახელმწიფო მაინც სხვა თვალსაზრისზე დგას – ითვალისწინებს ამ შესაძლებლობას ნაცვალგების საფუძველზე დამყარებული შეთანხმების ძალით.

ეფექტურად და დაუბრკოლებლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება.

ამავე დროს, ყოველად დაუშვებელია ამ უფლებების ბოროტად გამოყენება. დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრები მოვალენი არიან დაიცვან ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული კანონები და წესები და თავი შეიკავონ მართლსაწინააღმდეგო აქტების ჩადენისაგან. ასევე უნდა იქნას დაცული ის წესი, რომელიც არეგულირებს დიპლომატიური წარმომადგენლების ადგილობრივი სახელმწიფოს თანამდებობის პირებთან და დაწესებულებებთან კონტრაქტის დამყარების საშუალებებს.

ასეთია დიპლომატიური იმუნიტეტებისა და პრივილეგიების ინსტიტუტის, აგრეთვე, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და მათი წევრების უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი შინაარსი, რაც საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულებით და საერთაშორისო ხელშეკრულებით რეგულირდება. ბევრ სახელმწიფოში მიიღება სათანადო კანონები, რომლებიც არა მარტო ასახავენ არსებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს, არამედ მათ დეტალიზაციასაც ახდენენ.

### *ბ) სახელმწიფოთა წარმომადგენლობანი საერთაშორისო ორგანიზაციებთან*

თუ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოების წარმომადგენელთა ინსტიტუტი მხოლოდ XX საუკუნეში, ერთა ლიგის შექმნისას ჩამოყალიბდა, ხოლო მისი დეტალიზაცია და დახვეწა თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო და უფრო აქტიურ როლს ასრულებს სხვადასხვა სახის სახელმწიფოთშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, არაბეთის ქვეყნების ლიგა, აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულებანი („იუნესკო", შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა.შ.) და სხვა.

ამ ორგანიზაციების აღმასრულებელ ორგანოებთან მჭიდრო და ოპერატიული კონტაქტებისათვის მათი წევრ-სახელმწიფოები აგზავნიან ამ ორგანიზაციების რეზიდენციაში თავის მუდმივ წარმომადგენლებს, რომლებიც დიპლომატთა

სტატუსით სარგებლობენ. რასაკვირველია, მოცულობა ამ იმუნიტეტებისა და პრივილეგიებისა, რომლებიც მიეკუთვნება ამა თუ იმ წარმომადგენლობას, დეტალებში განსხვავდება ერთმანეთისაგან საერთაშორისო ორგანიზაციის ხასიათისა და მნიშვნელობის შესაბამისად, მაგრამ, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოების წარმომადგენლობანი აღიჭურვება ყველა იმ დიპლომატიური იმუნიტეტით, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ თავისი ფუნქციების პირნათლად და შეუფერხებლად შესრულებას.

როგორც წესი, პრივილეგიების და იმუნიტეტების შინაარსი განისაზღვრება თვით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ზოგჯერ ორგანიზაციას (მის აღმასრულებელ ორგანოს) და დაინტერესებულ სახელმწიფოს შორის იდება სპეციალური შეთანხმება, რომელიც განამტკიცებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული სახელმწიფოების წარმომადგენლობათა სტატუსს.[138]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოები აგზავნიან ამ ორგანიზაციის რეზიდენციაში (ნიუ-იორკი) და გაერო-ს ევროპულ განყოფილებასთან (ჟენევა, ვენა) თავის წარმომადგენლობებს. ეს წარმომადგენლობანი სტრუქტურის თვალსაზრისით შედგება შემდეგი პირებისაგან: მეთაური, მისი მოადგილეები, მრჩევლები, ტექნიკური ექსპერტები და მდივნები.

ნიუ-იორკში წარმომადგენლობის მეთაურს უფლება ენიჭება წარმოადგინოს თავისი სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთლიანად, კერძოდ უშიშროების საბჭოში. მისი მოადგილე და მრჩევლები განაგებენ წარმომადგენლობაში ორგანიზაციის საქმიანობის გარკვეულ დარგებს უშიშროების

---

[138] მაგ., აშშ-ს და გაერო-ს გენერალურ მდივანს შორის 1947 წელს დადებული შეთანხმება, რომელიც არეგულირებს გაერო-ს შტაბ-ბინის სამართლებრივ სტატუსს, აგრეთვე ეხება წევრ-ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების სტატუსს, თუმცა წარმომადგენლობის პერსონალის სტატუსი ამ შეთანხმებით დაზუსტებული არ არის. ეს მოხდება მოგვიანებით, ახალი შეთანხმების ძალით, მათ შორის 1946 წლის საერთო კონვენციით გაერო-ს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, რომელიც რატიფიცირებულ იქნა აშშ-ს მიერ 1970 წელს. გაერო-ს და შვეიცარიას შორის 1946 წლის ივნისში დადებული შეთანხმება ეყრდნობოდა აღნიშნული კონვენციის დებულებებს.

საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო და ა.შ.

როგორც წესი, წარმომადგენლობის წევრები დიპლომატიური რანგის მქონე პირებია, ხოლო მის სათავეში მდგომ პირს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი გააჩნია.

რაც შეეხება ტექნიკურ და მოსამსახურე პერსონალს ისინი სარგებლობენ იმუნიტეტით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

1975 წელს ჟენევაში მიღებულ იქნა კონვენცია სახელმწიფოთა წარმომადგენლობის შესახებ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, რომელიც ჯერ არ შესულა ძალაში, მაგრამ დიდ როლს ასრულებს ამ დარგის მოწესრიგებაში. კონვენციამ განამტკიცა სრული დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები დიპლომატიური რანგის მქონე თანამშრომლებისათვის და თვით წარმომადგენლებისათვის. ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს უნდა ენიჭებოდეს სრული დიპლომატიური იმუნიტეტი, იმ გამონაკლისით, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციისაგან იმუნიტეტი არ შეეხება არასამსახურებრივ საქმიანობას, მომსახურე პერსონალი სარგებლობს იმუნიტეტით მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობის პერიოდში.

კონვენცია აერცელებს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს მეთვალყურეთა მისიებზე, რომლებსაც ნიშნავენ სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განსაზღვრავს სახელმწიფოების დელეგაციების სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ან მათი ხელმძღვანელობით მოწვეულ კონფერენციებზე: ძირითადად მათ მიენიჭება საცხოვრებელი ბინის და პირადი ხელშეუხებლობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დელეგაციაზე დაკისრებულ ფუნქციის ეფექტურ შესრულებას.

მუდმივი წარმომადგენლობანი გაერო-ს სპეციალიზებულ დაწესებულებასთან და მათი თანამშრომლები,[139] როგორც

---

[139] იხ. 1947 წლის კონვენცია გაერო-ს სპეციალიზებული დაწესებულებების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ და სპეციალიზებული დაწესებულებების შეთანხმებანი შვეიცარიასთან (მაგ., შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შვეიცარიის კონვენციის შეთანხმება).

წესი, სარგებლობენ არა სრული, არამედ შედარებით შეზღუდული პრივილეგიებით და იმუნიტეტებით. წარმომადგენლობებს მიენიჭება შენობის, მიწერ-მოწერის, არქივებისა და დოკუმენტების ხელშეუხებლობა, შიფრით და შიკრიკებით სარგებლობის უფლება, ყოველგვარი გადასახადებისაგან გათავისუფლება და ა.შ.

რაც შეეხება თანამშრომელთა პირად პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, თუმცა 1947 წლის კონვენცია ანიჭებს მათ შეუვალობას მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობის დროს, დაინტერესებული სპეციალიზებული ორგანიზაციის და მათი შტაბ-ბინის მდებარე სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებით, მუდმივი წარმომადგენლები სარგებლობენ სრული დიპლომატიური იმუნიტეტით.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობანი მდებარეობს ნიუ-იორკში (გაერო), ჟენევასა და ჟენევაში (გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები), ბრიუსელში (ევროკავშირთან და ნატოსთან), სტრასბურგში (ევროპის საბჭოსთან), კიევში (სუამთან).

თბილისში მდებარეობს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობანი – გაერო, ევროკავშირის, წითელი ჯვრის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და სხვ.

## *4. საერთაშორისო ორგანიზაციების პრივილეგიები და იმუნიტეტები*

სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ თავის საქმიანობას მთავარი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში მდებარე შტაბ-ბინაში თავსდება. შესაძლებელია, რომ შტაბ-ბინის გარდა ორგანიზაციის ორგანოების ნაწილი მდებარეობდეს სხვა სახელმწიფოშიაც. ასე, მაგ., გაერო-ს შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია, სამდივნოს ნაწილი კი განლაგებულია ჟენევასა და ვენაში.

ჩამოყალიბდა საკმაოდ მტკიცე სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც შეეხარდება საერთაშორისო ორგანიზაციების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს.

გაერო-ს ენიჭება ისეთივე იმუნიტეტები და პრივილეგიები, რაც დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ამ სტატუსს სპეციფიკური ფუნქციონალური ხასიათი აქვს, ე.ი. იგი

ემსახურება გაერო-ზე დაკისრებული ამოცანების ეფექტური შესრულების საქმეს.

აშშ-ს და გაერო-ს 1947 წლის შეთანხმებით, 1946 წლის კონვენციისა და ამერიკული კანონების ძალით, აშშ-ს ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ გაერო-ს სამდივნოს ტერიტორიაზე შესელისაგან, თუ ამ ტერიტორიაზე მოხდა დანაშაული. აშშ-ს არ აქვს უფლება ჩაატაროს რაიმე პროცესუალური მოქმედება გენერალური მდივნის ნებართვის გარეშე, თუმცა გაერო-ს ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაული ექვემდებარება აშშ-ს იურისდიქციას. წევრ-სახელმწიფოს ყოველი წარმომადგენელი, გაერო-ს თანამშრომელი და სხვა ოფიციალური პირები შტაბ-ბინაში შესელისა და გასელისათვის სრული თავისუფლებით უნდა სარგებლობდნენ, მათ აგრეთვე უნდა ეძლეოდეს აშშ-ში შემოსელის და აშშ-დან გასელის ვიზები.

რაც შეეხება პირად დიპლომატიურ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, ნიუ-იორკში მომუშაავე გაერო-ს თანამშრომლები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა – გენერალური მდივანი და მისი მოადგილეები სრული დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, იგივე სტატუსს მიანიჭებენ გაერო-ს სხვა მაღალი რანგის თანამშრომლებს, რომლებიც გათანაბრებული არიან გენერალური მდივნის მოადგილეების სტატუსთან (მაგ., გარეო-ს ეკონომიკური კომისიების აღმასრულებელი მდივნები, გაერო-ს წარმომადგენელი ინდოეთსა და პაკისტანში და სხვა), სხვა სახის თანამშრომლები სარგებლობენ შეზღუდული შეუვალობით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილი ქმედობისათვის: პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ხელფასის გადასახადისაგან გათავისუფლება, საბაჟო და სხვა პრივილეგიები. მაგრამ სხვა სფეროებში, ე.ი. სამსახურებრივი საქმიანობის გარეშე, ისინი მთლიანად ექვემდებარებიან აშშ-ს ფედერალურ და შტატების იურისდიქციას. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სამოქალაქო გარიგებების და სხვა აქტების დადებისას: ისინი იხდიან საქორელზე და სურსათზე დაწესებულ ყველა ფედერალურ და საშტატო გადასახადს და ა.შ.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან ქენევაში მდებარე გაერო-ს ევროპული განყოფილების თანამშრომლები, თუმცა სრული დიპლომატიური პრივილეგიების და იმუნიტეტის მქონე პირთა წრე აქ გაცილებით ფართოა – გენერალური

დირექტორი, მისი მოადგილეები, დირექტორების და უფროსი თანამშრომლის (P-5) წოდების მფლობელნი.[140]

გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციების სტატუსი იგივეა, რაც თვით გაერო-ს ცენტრალური დაწესებულებებისა. რაც შეეხება მათ პერსონალს, დიპლომატიური პრივილეგიების და იმუნიტეტების მქონე პირთა წრეს, 1947 წლის კონვენცია შეზღუდულია მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირებით – გენერალური დირექტორი, მისი მოადგილეები და თანაშემწენი. ზოგჯერ დეპარტამენტის უფროსები და სხვა მაღალი რანგის თანამშრომლები და სხვა მაღალი რანგის თანამშრომლები სარგებლობენ ამ უფლებებით მხოლოდ სპეციალური შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში (მაგ., იუნესკოს და საფრანგეთის 1954 წლის შეთანხმება და სხვ.).

დანარჩენი პერსონალი სარგებლობს ფუნქციონალური პრივილეგიებით და იმუნიტეტით, ე.ი. შეუვალობით იმ აქტების მიმართ, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იქნა ჩადენილი.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭება არა მარტო იმ პირებს, რომლებიც ორგანიზაციის სათანადო რანგის თანამშრომლები არიან, არამედ მათ მეულლეებსა და არასრულწლოვან შვილებსაც.

ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციების, მათი პერსონალის და ორგანიზაციებთან მიმაგრებული მუდმივი წარმომადგენლობების პრივილეგიების და იმუნიტეტების მოკლე დახასიათება, რაც გვაძლევს მეტ-ნაკლებად მკაფიო წარმოდგენას იმაზე თუ რა პირობებში უნდა მიმდინარეობდეს ამ ორგანიზაციების მუშაობა მიმართული მეტად საპასუხისმგებლო, კაცობრიობისათვის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზებისა და წარმართვისაკენ.

## 5. სახელმწიფოთა დროებითი წარმომადგენლები საზღვარგარეთ

---

[140] გაერო-ს და . სპეციალიზებული დაწესებულებების შემადგენლობა შედგება შემდეგი ძირითადი თანამდებობებისაგან – გაერო-ს გენერალური მდივანი (გენერალური დირექტორი), მოადგილეები, დირექტორები (D-2, D-1), პროფესიონალი მუშაკები (P-5, P-4, P-3, P-1), საერთო სამსახურის მუშაკები (ე.წ. კატეგორია G).

საერთაშორისო ურთიერთობაში ხშირია სხვადასხვა სახის საერთაშორისო თათბირები, კონფერენციები, საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოების სესიები, სახელმწიფოთა ეროვნული დღესასწაულები და სხვ. როგორც წესი, ამ შემთხვევაში იგზავნებიან სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სპეციალური ხასიათის დროებითი რწმუნებებით. პირველ რიგში აღსანიშნავია დელეგაციები, რომლებიც იგზავნებიან საერთაშორისო კონფერენციებზე. ეს დელეგაციები შედგება, როგორც წესი, მეთაურის, წევრების, მრჩევლებისა და ექსპერტებისაგან. დელეგაციების მეთაურისა და წევრების რწმუნებანი ხელმოიწერება მთავრობის მეთაურის მიერ და მოწმდება საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ. დელეგაციის ყველა წევრზე ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები, ე.ი. მათ დიპლომატთა სტატუსი მიეკუთვნებათ.

დელეგაციები, რომლებიც იგზავნებიან უცხო ქვეყნების ეროვნულ დღესასწაულებზე (დამოუკიდებლობის დღე და ა.შ.), სახელმწიფოს ახალი მეთაურის მიერ თანამდებობის დაკავებასთან, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და ა.შ. ატარებენ ცერემონიალურ ხასიათს.

ამ დელეგაციებისაგან უნდა განვასხვაოთ **სპეციალური მისიები,** ე.ი. ორმხრივ ურთიერთობებში მონაწილე დელეგაცია, რომელსაც აგზავნის ერთი სახელმწიფო მეორეში, უკანასკნელის თანხმობით. ამ დელეგაციების მიზანია გარკვეული საკითხების მოგვარება, მოლაპარაკება. ამ მისიებს მიეკუთვნება აგრეთვე დროებითი დიპლომატიური წარმომადგენლობა.

**დროებით დიპლომატიურ წარმომადგენლობებს** მიეკუთვნება ყველა ის დელეგაცია, რომელიც მიდის საზღვარგარეთ გენერალური ასამბლეის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებისა და კომისიების სესიებზე, სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების სხდომებზე.

დაბოლოს, აღსანიშნავია საეჭრო დელეგაციები, რომლებიც იგზავნებიან შეთანხმებათა დასადებად. ასეთი დელეგაციების სათავეში დგანან სამთავრობო ჩინოვნიკები ან მთავრობის მიერ სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირები.

არსებობს დროებითი დიპლომატიური წარმომადგენლობის სხვა სახეებიც – სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური

დიპლომატიური დაცვალების შემსრულებლები, სპეციალური საერთაშორისო კომისიების წევრები (მაგ. შემთანხმებლები და საგამომძიებლო კომისიები) და ა.შ. ამ პირებზე ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები. ყოველი სახელმწიფო თვით განსაზღვრავს ამ უფლებების მოცულობას, მაგრამ ყველა მთავრობა ირჩევს საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული წესების დაცვას, აერცელებს ზემოხსენებულ პირებზე დიპლომატიურ იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს მათი სრული მოცულობით. გამონაკლისს შეადგენს პირები, რომლებიც ტრანზიტით გაივლიან. მათ მიენიჭებათ მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს სატრანზიტო გზის შეუფერხებლად გაელას.

## 6. სახელმწიფოების საკონსულო წარმომადგენლობანი

**კონსული[141] არის პირი, დანიშნული ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ზუსტად განსაზღვრულ პუნქტში,**

---

[141] კონსულების ინსტიტუტი ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ეპოქაში იჩენს თავს, ეგვიპტეში საბერძნეთის მოქალაქეებს (ვაჭრებს) შეეძლოთ არა მარტო ცალკე დასახლებული პუნქტების შექმნა, არამედ უფლება ჰქონდათ აერჩიათ მოსამართლე, რომელიც დაეყა მათი კანონის საფუძველზე წყვეტდა. ათენსა და რომშიაც არსებობდნენ სპეციალური პირები (პროქსენი, პატრონი), რომლებიც პიროვნებასა და ქონებრივ ინტერესებს იცავდნენ; რომის მოხელე „პრეტორი პერაგრინუსი“ წყვეტდა უცხოელთა შორის წამოჭრილ დავებს. მაგრამ თანამედროვე გაგებით კონსულების ინსტიტუტი ჩამოყალიბდა X საუკუნეში, ევროპის ქვეყნებში. ფეოდალური ქალაქ-რესპუბლიკები (ვენეცია, გენუა, ბარსელონა, მარსელი, პიზა და სხვ.) აქტიურ საერთაშორისო ვაჭრობასთან ერთად ცდილობდნენ თავისი ვაჭრობის ინტერესების დაცვასაც. ამიტომ იმ პუნქტებში, სადაც ბევრი ვაჭარი იყრიდა თავს, იგზავნებოდა სპეციალური პირი-მაგისტრი, რომელმაც კარგად იცოდა თავისი ქალაქის კანონები. ეს პირი აღიჭურვებოდა უფლებით – განეხილა და გადაეწყვიტა დავები წამოჭრილი თავისი ქალაქის ვაჭართა, მეზღვაურთა და სხვა მოქალაქეთა შორის. ამ მაგისტრებს ეწოდებოდა ბალი, ოლდერმენი, ტელენარი, კონსული; საბოლოოდ კონსულის ტერმინმა გაიმარჯვა.

ჯვაროსანთა ლაშქრობის პერიოდში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იქმნება ევროპული სავაჭრო ფაქტორიები, რომელთა სათავეში იდგნენ კონსულები, მათი ფუნქციები აქ გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე ევროპაში. ყალიბდება საკონსულო იურისდიქციის ინსტიტუტი: კონსული თავის თანამემამულეთა სრული ბატონ-პატრონია, იგი წყვეტდა არა მარტო სავაჭრო, არამედ ყველა

**(ნავსადგური, სავაჭრო ცენტრი და ა.შ.) ამ არეში თავისი სახელმწიფოს, მისი იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკური, იურიდიული და სხვა ინტერესების დაცვისათვის,** როგორც ვხედავთ, საკონსულო წარმომადგენელი, დიპლომატიური წარმომადგენლისაგან განსხვავებით, მოქმედებს არა მთელი ქვეყნის მასშტაბით, არამედ ადგილსამყოფელი ქვეყნის რომელიმე ერთ პუნქტში ამავე დროს, მისი ფუნქციები ძირითადად არაპოლიტიკური ხასიათისაა. კონსულის ინსტიტუტის არსი უფრო ნათელი ხდება, როდესაც ვეცნობით ვენის 1963 წლის კონვენციის მე-5 მუხლში ჩამოყალიბებულ კონსულის ფუნქციებს. მოვიყვანთ მათგან ძირითადს:

---

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, მკვლელობისა და სახელმწიფო ღალატის გამოკლებით. კონსული ხშირად ასრულებდა დიპლომატიურ ფუნქციებსაც. როგორც წესი, კონსულები 1-3 წლით ინიშნებოდნენ, იშვიათად კი – მუდმივად. XVIII საუკუნემდე კონსულის შემოსავალი მათ მიერ აკრეფილი გამოსაღები იყო, იშვიათად თუ მიეცემოდათ ხელფასი სახელმწიფო ხაზინიდან. კონსულებს და მათ ქონებას ენიჭებოდა სრული ხელშეუხებლობისა და გადასახადებისაგან განთავისუფლების უფლება.

XIII საუკუნიდან კონსულების ინსტიტუტი ცენტრალიზებული სახელმწიფოების იარაღად იქცევა, ინგლისის მეფის რიჩარდ III პირველი კონსული – ლორენცო სტროცი დაინიშნა 1485 წელს. მალე, XVII საუკუნიდან, მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, კონსულები კარგავენ თავის პოლიტიკურ მნიშვნელობას, მათ ერთმანეთს ხელშეუხებლობის, სასამართლო იურისდიქციისა და თავის სახელმწიფოს კანონების გამოყენების უფლება.

მაგრამ ეს ტენდენცია მხოლოდ ევროპის ქვეყნების პრაქტიკაში იჩენს თავს. აღმოსავლეთში საკონსულო იურისდიქცია არა მარტო რჩება, არამდ ვითარდება და მალე კოლონიალიზმის ერთ-ერთ იარაღად იქცა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთმა გააუქმა საკონსულო იურისდიქცია თურქეთში, ირანში, ავღანეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. შემდგომ ეს ინსტიტუტი კნინდება და XX საუკუნის შუა წლებში უქმდება საერთაშორისო პრაქტიკაში (ამ საკითხის ისტორიისათვის იხ. ლ. ალექსიძე, უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში XI-XIII სს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები", №125, 1968 წ.), გადაბეჭდილია წიგნში ლევან ალექსიძე – საქართველო და საერთაშორისო სამართალი, ანტიკური ხანიდან დღემდე, რჩეული ნაშრომების კრებული, ოსუ-ის გამოცემა, 2013.

ა) ორ სახელმწიფოს შორის საეკლესიო, ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული კავშირების და მეგობრული ურთიერთობებისათვის ხელის შეწყობა;

ბ) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საეკლესიო, ეკონომიკური, კულტურული და მეცნიერული ცხოვრების პირობებისა და მოვლენების ყველა კანონიერი საშუალებებით გამოკვლევა და მათ შესახებ ცნობათა მიწოდება თავისი სახელმწიფოს მთავრობისათვის, ან სათანადო ცნობის მიცემა დაინტერესებული პირისათვის.

გ) თავისი სახელმწიფოს მოქალაქეებზე პასპორტებისა და სამგზავრო დოკუმენტების გაცემა; ვიზების, სათანადო საბუთების გაცემა წარმომგზავნ სახელმწიფოში გამგზავრების მსურველი პირებისათვის;

დ) თავისი სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სათანადო დახმარების გაწევა;

ე) ნოტარიუსის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის და სხვა მსგავსი მოქალაქეობის, აგრეთვე ზოგიერთი ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება;

ვ) თავისი მოქალაქეების სამეცნიერო, სამეურნეო და სხვა მსგავსი ინტერესების დაცვა;

ზ) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წესების გათვალისწინებით თავისი სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა სასამართლო ან სხვა რომელიმე დაწესებულებებში;

თ) სასამართლო და არასასამართლო საბუთების გატარება, სასამართლო დავალებათა შესრულება ან თავისი სახელმწიფოს სასამართლოებისათვის რომელიმე პირისაგან მოწმის ჩვენების ჩამორთმევა:

ი) თავისი გემებისა და თვითმფრინავების, მათი ეკიპაჟების მიმართ თავისი სახელმწიფოს კანონებითა და წესებით გათვალისწინებული ზედამხედველობისა და ინსპექციის უფლების განხორციელება;

კ) ზემოხსენებული გემებისა და თვითმფრინავებისათვის, მათი ეკიპაჟისათვის დახმარების გაწევა; გემის საბუთების შემოწმება და გაფორმება; ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ინტერესების შეულახავად თავისი სახელმწიფოს გემებზე გზაში მომხდარი ჯოჯოხეთური შემთხვევების გამოძიება, კაპიტანსა და მეზღვაურთა შორის წამოჭრილი დავების გადაწყვეტა, თუ ამას ითვალისწინებს წარმომგზავნი სახელმწიფოს კანონები და წესები.

ასეთია კონსულების ძირითადი, საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციები. კონსულებმა შეიძლება შეასრულონ სხვა ფუნქციებიც, თუ ეს ფუნქციები არ ეწინააღმდეგება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონებსა და წესებს, ან ადგილობრივი ხელისუფლება არ ეწინააღმდეგება ასეთ მოვლენას, ან ამას ითვალისწინებს ორ სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებანი.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ნორმა, რომლის თანახმად იმ სახელმწიფოში, სადაც საკონსულოს გამგზავნ მთავრობას არ გააჩნია დიპლომატიური წარმომადგენლობა, უკანასკნელს უფლება აქვს მიანდოს თავის კონსულს დიპლომატიური აქტების შესრულება, თუ ადგილსამყოფელი სახელმწიფო არ იქნება ამის წინააღმდეგი.

კონსულს ასევე შეიძლება დაევალოს წარმომადგენლობა მთავრობათშორის ორგანიზაციასთან.[142]

ამავე დროს დიპლომატიური წარმომადგენლობა უფლებამოსილია განახორციელოს საკონსულო ფუნქციები.

საერთაშორისო პრაქტიკაში დაინერგა ე.წ. „განყოფილების კონსულების“ ინსტიტუტი. მხედველობაში გვაქვს ის საკონსულო განყოფილებანი, რომელნიც დიპლომატიურ წარმომადგენლობაში იქმნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დედაქალაქში ან სხვა რაიონში (სადაც საკონსულოები არ არსებობს) საკონსულო ფუნქციების განსახორციელებლად. ამ განყოფილებათა თანამშრომლები დიპლომატთა სტატუსის მქონე პირებია.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია საკონსულო სამსახურის შექმნა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში განსაკუთრებულ შემთხვევებში[143].

დიპლომატიური წარმომადგენლობისაგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მააკრედიტებელ სახელმწიფოს ჰქონდეს ერთზე მეტი საკონსულო წარმომადგენლობა – საკონსულო დაწესებულება. ორივე სახელმწიფოს შეთანხმებით განისაზღვრება თითოეული

---

[142] იხ. ვენის 1963 წლის კონვენციის მე-17 მუხლი.

[143] „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

დაწესებულების სამოქმედო ტერიტორია – საკონსულო ოლქი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება ახორციელებს საკონსულო ფუნქციებს.[144]

საკონსულო დაწესებულების 4 ტიპი არსებობს: გენერალური საკონსულო, საკონსულო, ვიცე-საკონსულო და საკონსულო სააგენტო, შესაბამისად საკონსულო დაწესებულების მეთაურთა ოთხი კლასი არსებობს: ა) გენერალური კონსული; ბ) კონსული; გ) ვიცე-კონსული; დ) საკონსულო აგენტი[145].

**გენერალური კონსული** დგას საკონსულოს სათავეში. ზოგიერთ შემთხვევაში, თავისი სახელმწიფოს სპეციალური რწმუნებით გენერალური კონსული ხელმძღვანელობს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მყოფ თავისი ქვეყნის ყველა კონსულს.

**ვიცე-კონსული,** როგორც წესი, მაღალი რანგის კონსულის თანაშემწედ ინიშნება.

**საკონსულო აგენტი** (ატაშე) საკონსულოში დამხმარე ფუნქციებს ასრულებს, ხოლო საკონსულოს სააგენტოს გახსნისას უახლოეს კონსულს ან დიპლომატიურ წარმომადგენლობას ექვემდებარება.

არსებობენ საშტატო და შტატგარეშე ანუ საპატიო კონსულები.

**საშტატო კონსული** სახელმწიფო სამსახურში მყოფი ანუ თანამდებობის პირია, რომელიც, როგორც წესი, გამგზავნი სახელმწიფოს მოქალაქე უნდა იყოს. როგორც ყოველი თანამდებობის პირი, საშტატო კონსული ხელფასს ღებულობს თავისი სახელმწიფოს ხაზინიდან.

**შტატგარეშე საპატიო კონსული,** როგორც წესი, საკონსულოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები კომერსანტი ან სხვა სავაჭრო და საფინანსო წრეების წარმომადგენელია. სამსახურისათვის უცხო (დამნიშვნელი) სახელმწიფო მას ხელფასს არ უხდის, მაგრამ უფლებას აძლევს დაიტოვოს საკონსულო გამოსაღების გარკვეული პროცენტი. ეს პირი შეიძლება იყოს იგივე დამნიშვნელი სახელმწიფოს მოქალაქეც, რომელიც მუდმივად

---

[144] 1961 წლის ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ, მუხ. 1 და 4.

[145] იქვე, მუხლი 9. ასევე იხილეთ „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

(ან ხანგრძლივად) ცხოვრობს საკონსულოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. ზოგჯერ შტატგარეშე კონსულად ინიშნება მესამე სახელმწიფოს მოქალაქეც. მიუხედავად იმისა, რომ 1963 წლის კონვენცია ითვალისწინებს საპატიო კონსულის ინსტიტუტის არსებობას, იგი არ არის საყალდებულო და ყველა სახელმწიფო არ აღიარებს მას. საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია მესამე სახხელმწიფოებისი საქართველოს საპატიო კონსულის დანიშვნა განსაკუთრებულ შემთხვევებში.[146]

იმის გამო, რომ ამ სახის კონსულები არ იღებენ ხელფასს, მათ ხშირად საპატიო კონსულებს უწოდებენ.

**საკონსულო წარმომადგენლობათა შემადგენლობა** სამ ძირითად ჯგუფად იყოთა:

ა) საკონსულო თანამდებობის პირები, ე.ი. ის პირები, რომელთაც საკონსულო ფუნქციების აღსრულება აკისრიათ (საკონსულოს მეთაური, მისი მოადგილეები, საკონსულოს მდივანი, კანცელარიის ხელმძღვანელი, მდივნები, თარჯიმნები);

ბ) საკონსულოს მოსამსახურეები, ე.ი. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები (მემანქანეები, არქივარიუსები, მეშიფრეები და ა.შ.);

გ) მომსახურე პერსონალის მუშაკები (მძღოლები, დამლაგებლები, შვეიცრები და ა.შ.).

საკონსულო დაწესებულების გახსნა ხდება მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით. საკონსულოს მოქმედების არეს ანუ საკონსულო ოლქის ფარგლების დადგენა ასევე სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებით ხდება. რა თქმა უნდა, საკონსულო დაწესებულების გახსნას წინ უსწრებს საკონსულო ურთიერთობის დამყარება. აღსანიშნავია, რომ „ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობა, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ნიშნავს საკონსულო ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობას; დიპლომატიური ურთიერთობის

---

[146] იხ. საქართველოს კანონი „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 მარტის ბრძანებულება №110 „საქართველოს საპატიო კონსულის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

გაწყვეტა ipso fasto-დ (გარდაუვლად) არ იწვევს საკონსულო ურთიერთობის გაწყვეტას."[147]

ყოველი სახელმწიფო თვით განსაზღვრავს რომელი მისი ორგანო ნიშნავს და ღებულობს საკონსულო დაწესებულების მეთაურებს. როგორც წესი, ეს უფლება სახელმწიფოს მეთაურს (ნორვეგია, აშშ, საფრანგეთი, შვეიცია) ან საგარეო საქმეთა მინისტრს ეკუთვნის. საქართველოში ეს უფლება საგარეო საქმეთა მინისტრს აქვს მინიჭებული.[148]

ისევე როგორც დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის დროს, საკონსულო დაწესებულების მეთაურის კანდიდატურის შერჩევისას ითხოვენ ადგილსამყოფელი სახელმწიფოსაგან თანხმობას - ეგზეკვატურას, რის შემდეგ ამა თუ იმ პირს საბოლოოდ აფორმებენ თანამდებობაზე და აღჭურავენ სათანადო დოკუმენტებით. **საბუთს, რომელიც ადასტურებს პირის საკონსულო დაწესებულების მეთაურის თანამდებობაზე დანიშვნას, განსაზღვრავს საკონსულო ოლქის ფარგლებსა და საკონსულოს ადგილსამყოფელს საკონსულო პატენტი ეწოდება.**[149]

ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ჩასვლისთანავე საკონსულო დაწესებულების მეთაური წარადგენს თავის პატენტს სათანადო ორგანოში და შეუდგება კონსულის მოვალეობის შესრულებას. საკონსულო დაწესებულების დანარჩენ წევრებს ეგზეკვატურა არ სჭირდებათ. დიპლომატიური წარმომადგენლობის შემადგენლობაში შემავალი საკონსულო განყოფილების მეთაურს არ ესაჭიროება ეგზეკვატურა, რადგანაც იგი წარმომადგენლობის მუშაკად ითვლება. ეგზეკვატურის მიცემის დღე და საათი განსაზღვრავს კონსულის უფროსობას **საკონსულო კორპუსში**. დიპლომატიური კორპუსისაგან განსხვავებით, საკონსულო კორპუსი მოიცავს მოცემულ საკონსულო ოლქში არსებულ ყველა ქვეყნის კონსულებს. ამგვარად, ერთ სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს რამდენიმე საკონსულო კორპუსი. ეს კორპუსები

---

[147] 1963 წლის ვენის კონვენცია, მუხ. 2

[148] იხ. 2005 წლის 16 ნოემბერის საქართველოს მთავრობის №206 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულება".

[149] 1963 წლის ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ, მუხ. 11.

ნაკლებად ღებულობენ მონაწილეობას ადგილსამყოფელი ქვეყნის ოფიციალურ ცერემონიებში, ხოლო თუ მონაწილეობენ ამ ცერემონიაზე (ეროვნული დღესასწაული), მათ იწვევს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი. დანარჩენი დიპლომატიური და საკონსულო კორპუსების ორგანიზაცია იდენტურია; კორპუსის მეთაურად (დუაენად) ინიშნება ყველაზე მაღალი რანგის და ამ ოლქის ყველაზე ადრე დანიშნული კონსული, თუ ამ ოლქში გენერალური კონსული არ არის, მაშინ ინიშნება შესაბამისი კონსული ან ვიცე-კონსული. ცერემონიების დროს, რომელსაც საკონსულო კორპუსი ესწრება, კონსულები იკავებენ ადგილს უფროსობის მიხედვით, ე.ი. კლასისა და ექზეკვატურის მიღების თარიღის მიხედვით: გენერალური კონსულები, კონსულები, ვიცე-კონსულები; შტატგარეშე კონსულები იკავებენ ადგილს იმავე კლასის საშტატო საკონსულოს მეთაურის შემდეგ.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ანალოგიურად საკონსულო დაწესებულებებს და მათ ოფიციალურ პირად შემადგენლობას მიენიჭება გარკვეული იმუნიტეტები და პრივილეგიები, თუმცა, უფრო შეზღუდული სახით, რაც საკონსულოს ფუნქციების ხასიათითაა განპირობებული. მაშინაც კი, როდესაც საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირი დიპლომატიურ ფუნქციებს ასრულებს, მასზე არ ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები მათი მთელი მოცულობით.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს საკონსულო დაწესებულებების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რაც განმტკიცებულია 1963 წლის ვენის კონვენციით.[150] მართალია დიდი მსგავსებაა საკონსულო და დიპლომატიურ პრივილიგებსა და იმუნიტეტებს შორის, მაგრამ მათ შორის კვლაე არსებობს განსხვავებანი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საკონსულო დაწესებულების ხელშეუხებლობა, რომელიც დიპლომატიური წარმომადგენლობისაგან განსხვავებით არ სარგებლობს აბსოლუტური იმუნიტეტით.

---

[150] საკონსულო პრივილეგიები და იმუნიტეტები ასევე განმტკიცებულია ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. დამატებით იხ: Consular Law and practice, L.T Lee and J. Quiggly, third edition, 2008 და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საქმე *United States Diplomatic and Consular Staff in Tehran (United States of America v. Iran).* http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=c9&case=64&code=usir&p3=4

კერძოდ, 1963 წლის ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ე.წ. „სახანძრო დათქმას“ - „ თუმცა შეიძლება იყოს საკონსულო დაწესებულების მეთაურის წინასწარი თანხმობა ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების დროს შესასვლელად, შენობის დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა გასატარებლად“. აღსანიშნავია, რომ ორმხრივი საკონსულო კონვენციების უმრავლესობა გამორიცხავს „სახანძრო დათქას“[151]. რაც შეეხებ საკონსულო დაწესებულების სხვა პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს (დროშით და გერბით სარგებლობის უფლება, სატრანსპორტო საშუალებების, არქივების, დიპლომატიური ფოსტის და შიფრირების ხელშეუხებლობა, საგადასახადო შეუვალობა, ურთიერთობის თავისუფლება და ა.შ.) ისინი დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ანალოგიურია.[152]

რაც შეეხება **საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირთა იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს,** იგი განსხვავდება დიპლომატიური იმუნიტეტებისა და პრივილეგიებისაგან ძირითადად შემდეგით:

ა) კონსულის საქმიანობა, რომელიც საკონსულო ფუნქციების შესრულებასთან არაა დაკავშირებული, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციას ექვემდებარება, მაგრამ მისი დაკავება ან დაპატიმრება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დევნიან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ან როცა უნდა აღსრულდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი.[153]

ბ) მაშინაც, როდესაც კონსული ასრულებს თავის ოფიციალურ ფუნქციებს და სარგებლობს იმუნიტეტით ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ყველა სახის (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართლის)

---

[151] საკონსულო პრივილეგიები და იმუნიტეტები ასევე განმტკიცებულია ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. დამატებით იხ: Consular Law and practice, L.T Lee and J. Quiggly, third edition, 2008 და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საქმე *United States Diplomatic and Consular Staff in Tehran (United States of America v. Iran).* http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=c9&case=64&code=usir&p3=4

[152] იხ. 1963 წლის ვენის კონვენცია საონსულო ურთიერთობების შესახებ მუხ. 32, 33, 34, 35, 36,38, 39.

[153] იქვე, მუხ. 41, 42.

იურისდიქციისაგან, იგი პასუხისმგებელია იმ ზარალის ანაზღაურების სარჩელზე, რაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევითაა გამოწვეული.[154]

გ) კონსულს არა აქვს უფლება უარი თქვას მოწმის ჩვენების მიცემაზე, თუ საკითხი დაკავშირებული არ არის მისი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან. მაგრამ თუ კონსული უარს აცხადებს მოწმის ჩვენების მიცემაზე, მის მიმართ არ შეიძლება იძულებითი ზომების გამოყენება.[155]

დ) ჩხრეკისაგან თავისუფლდება მხოლოდ კონსულის სამსახურებრივი ფართობი, შენობა; ხელშეუხებლობით სარგებლობს მხოლოდ კონსულის სამსახურებრივი მიწერ-მოწერა, არქივი, რომელიც კერძო კორესპონდენციებისაგან და სხვა დოკუმენტებისაგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.

ასეთივე უფლებები მიენიჭება საკონსულოს ყველა თანამდებობის პირს და მათი ოჯახის წევრებს.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს, მისი წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. მათზე ვრცელდება აგრეთვე პრივილეგიები გადასახადების, მოსაკრებლებისა და საბაჟო სფეროში.

მომსახურე პერსონალის წევრები თავისუფლდებიან მოწმის ჩვენების მიცემის მოვალეობისაგან მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ სამსახურებრივ საქმიანობას ეხება. ათავისუფლებენ მათ აგრეთვე პირადი ბეგარისაგან და გადასახადებისა და გამოსაღებებისაგან საკონსულოში მიღებული ხელფასის მიმართ. მათზე ვრცელდება საბაჟო პრივილეგიებიც. შესაბამისი უფლებები მიენიჭება ყოველი კატეგორიის ოჯახის წევრებს.

**შტატგარეშე კონსულის პრივილეგიები და იმუნიტეტები** შედარებით შეზღუდულია. კერძოდ, მას მიენიჭება იმუნიტეტი ადგილობრივი იურისდიქციისაგან საკონსულო ფუნქციების შესრულების დროს, ანაზღაურება, რომელსაც იგი ღებულობს საკონსულოსაგან, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისაგან. თავისუფლდება იგი პირადი ბეგარისგანაც. დანარჩენ შემთხვევაში შტატგარეშე კონსული სავსებით ექვემდებარება ადგილობრივი სახელმწიფოს იურისდიქციას იმ შეღავათით, რომ თუ იგი დაკავშირებული იქნება, მის

---

[154] იქვე, მუხ. 43.

[155] იქვე, მუხ. 44.

წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე უნდა დამთავრდეს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში.

თუ საკონსულოს თანამდებობის პირი ან მომსახურე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეა, ან მუდმივად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე, იმუნიტეტი ადგილსამყოფელ სახელმწიფოს იურისდიქციისაგან მასზე ვრცელდება მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დანარჩენი უფლებების მინიჭება დამოკიდებულია მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებასურვილზე.[156]

რა მომენტიდან იძენს საკონსულოს წევრი თავის იმუნიტეტებს და პრივილეგიებს? როგორც წესი, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საზღვრებში შესვლის მომენტიდან, ხოლო თუ პირი უკვე ცხოვრობს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში – სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტიდან. თუ პირი თავს ანებებს საკონსულოში სამსახურს და რჩება ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, თავის უფლებებს კარგავს სამსახურის დატოვების მომენტიდან. მაგრამ, თუ პირი აპირებს სამშობლოში დაბრუნებას, იგი სარგებლობს იმუნიტეტებით და პრივილეგიებით ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ფარგლების დატოვებამდე, ხოლო თუ ის აყოვნებს წასვლას, მას უნახება მისი უფლებები „გონივრული ვადის განმავლობაში"[157].

არც ერთ პირს, რომელიც სარგებლობს იმუნიტეტებით და პრივილეგიებით, არა აქვს უფლება უარი თქვას ამ უფლებებზე თავისი სახელმწიფოს ნებართვის გარეშე[158].

როგორც ვხედავთ, საკონსულო წარმომადგენლობანი და მათი მეთაურთა უფლებრივი მდგომარეობა იმუნიტეტებისა და პრივილეგიების თვალსაზრისით ახლოს დგას დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და მის მეთაურთა სტატუსთან. ეს ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ჩამოყალიბდა და განმტკიცებულ იქნა ვენის 1963 წლის კონვენციასა და ქვეყნების უმრავლესობის შინასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

ისევე როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობები, საკონსულო დაწესებულებანი და მათი პირადი

---

[156] იქვე, მუხ. 71

[157] იქვე, მუხ.53.

[158] იქვე, მუხ.45.

შემადგენლობების უფლებები არ უნდა გამოიყენებოდეს საკონსულო წარმომადგენლობის ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნებისათვის. საკონსულოს მთელი პირადი შემადგენლობა უნდა იცავდეს ადგილობრივ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებსა და წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილსამყოფელ სახელმწიფოს უფლება აქვს გამოაცხადოს პირის „პერსონა ნონ გრატა“-დ (საკონსულო თანამდებობის პირი) ან „მიუღებელ პიროვნებად“ (საკონსულოს პირადი შემადგენლობის დანარჩენი წევრები). კონსულის ან სხვა პირების „პერსონა ნონ გრატა“-დ გამოცხადება არ საჭიროებს რაიმე მოტივებს ადგილ-სამყოფელი სახელმწიფოს მხრიდან.

საკონსულო წარმომადგენლობის საქმიანობა წყდება შემდეგი პირობის დადგომისას:

ა) საკონსულო დაწესებულების მეთაურის გადადგომა;

ბ) საკონსულო დაწესებულების მეთაურის გამოწვევა მისი სახელმწიფოს მიერ პირადი თხოვნის, პენსიაზე გასვლისა და სხვა მიზეზების გამო;

გ) ადგილსამყოფელი სახელმწიფო აცხადებს კონსულს „persona non grata“-დ;

დ) ტერიტორია, რომელზედაც მდებარეობს საკონსულო ოლქი, გადადის მეზობელ სახელმწიფოსთან;

ე) საკონსულო ოლქში ყველა საკონსულოს დახურვა სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების ძალით;

ვ) სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუარესების ან ომის დაწყებასთან დაკავშირები.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა არ იწვევს ავტომატურად საკონსულო ურთიერთობის გაწყვეტასაც, პირიქით, როგორც წესი, ამ შემთხვევაში, საკონსულოებს ეკისრებათ დიპლომატიური ფუნქციების შესრულებაც. საერთოდ კი, საკონსულო წარმომადგენლის მისიის შეწყვეტის მიზეზები თითქმის იგივეა, რაც დიპლომატიური წარმომადგენლისათვის. (იხ. ზემოთ).

# თავი IX

# ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

## *1. ადამიანის უფლებათა ცნება*

ტერმინი „ადამიანის უფლებები“ ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგთა მიერ იყო შემოღებული, რომლებიც ანელითარებდნენ ანტიკური ხანის საბერძნეთისა და რომის ფილოსოფოსთა იდეებს ბუნებითი სამართლის შესახებ ახალი მოთხოვნების ქსელში – ფეოდალური სისტემის მსხვრევა და ახალი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოების შენებლობა. ადამიანის უფლებათა კონცეფცია იმ ეტაპზე ნიშნავდა უფლებებს, რომლებიც განუსხეისებელია ადამიანისაგან, როგორც გონიერი არსებისაგან, ეს უფლებები ადამიანის თანდაყოლილ თვისებად ცხადდებოდა.

ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებით ეს უფლებები ან ღმერთის მიერაა ნაბოძები ან ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. მიუხედაეად იმისა, რომელ ეპოქასა ჩრ საზოგადოებაში ცხოერობს იგი, ეს უფლებები არ იცვლება საუკუნეების მანძილზე და სახელმწიფო მოვალეა აღმოაჩინოს და დაიცვას ისინი. ამდენად ადამიანის უფლებები პოზიტიური სამართლის მიმართ, ანუ იმ ნორმათა ერთობლიობით, რომელიც -დადგენილია სახელმწიფოს მიერ, პირველი წყაროდ ცხადდება, ხოლო ხელისუფლების მიერ ამ უფლებების უგულებელყოფა მართლსაწინააღმდეგო, უსურპაციის აქტად ითვლება (ჟან-ჟაკ რუსო, ლოკი და სხვ.)

პოზიტივისტები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს ნებასა და მის კანონმდებლობას აიჭებდნენ უპირატესობას და სამართლებრივ მნიშვნელობას უარყოფდნენ, ადამიანის ბუნებითი უფლებების უპირატესობას მოქმედ კანონმდებლობას და ამ უფლებების ნუსხას სახელმწიფოს ნებას უქვემდებარებდნენ.

კაცობრიობის განვითარების განმავლობაში სულ უფრო და უფრო იმარჯვებდა ბუნებითი სამართლის შეხედულება, თუმცა გარკვეული ცვლილებებით – ყალიბდება კონცეფცია ე.წ. ცვალებადი შინაარსის ბუნებითი სამართლის შესახებ, ანუ ადამიანის უფლებები არ შეიძლება იმავე პირისა და მოვალეობის ყოფილიყო მონათმფლობელური თუ ფეოდალიზმის ხანაში, კაპიტალიზმის პირობებში, ეს

კატეგორიები იცვლება და ახალ შინაარსს იძენს კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩასახვასა და განვითარებასთან მჭიდრო კავშირში. ადამიანის უფლებები რჩება სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების პირველ წყაროდ, მაგრამ მათი მოცულობა ლავირებს ეპოქისა თუ კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონეზე. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საერთაშორისო სამართლებრივ დოქტრინაშიც არსებობდა კონცეფცია ადამიანის ბუნებით უფლებათა შესახებ, რაც უკავშირდებოდა მსოფლიოსა და ცალკეული საზოგადოებების საწარმო ურთიერთობათა განვითარების დონეს და ობიექტურად ადამიანის არსებისაგან განუსხვისებელ კატეგორიად ცხადდებოდა, რომლის იგნორირება არ უნდა ძალუძდეს სახელმწიფოს. (მაგ. ამ ნაშრომის ავტორი).

ადამიანის უფლებათა პირველადი ხასიათი თეორიიდან პირველად აირეკლა პრაქტიკაში ამერიკის განთავისუფლების დეკლარაციაში (1776 წ. 4 იულისი) და საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის მიერ მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში“ (1789 წ.), რომელმაც გამოაცხადა ადამიანის უფლებები „ბუნებითი, განუსხვისებელი და წმიდათაწმინდა“ კატეგორიად. ამაზე პრინციპს, ფაქტობრივად, ეყრდნობა გაერო-ს წესდება (პრეამბულა), რომელიც პირველად ხმარობს საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში ცნებებს „ადამიანის უფლებები“, „ადამიანის პიროვნების ღირსება და ღირებულებები“.

მანამ ადამიანის, უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას შეეხებით, განვიხილოთ მოსახლეობის ზოგადი საკითხები, რომლებიც საფუძვლად უდევს ნებისმიერ სახელმწიფოს.

## 2. მოსახლეობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

### მოსახლეობის ცნება

საერთაშორისო სამართალში მოსახლეობის ქვეშ იგულისხმება გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები და მის იურისდიქციას დაქვემდებარებული ყველა ადამიანის (ფიზიკური პირის) კრებადობა. ეს კრებადობა არ არის ერთიანი. იგი რამდენიმე კატეგორიისაგან შედგება, რომელებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან უფლებრივი

მდგომარეობის მოცულობით და შინაარსით. ეს კატეგორიები შემდეგია:

ა) კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეები (მოსახლეობის ძირითადი ნაწილი);

ბ) ორი მოქალაქეობის მქონე პირები (ბიპატრიდები);

გ) უცხოელი მოქალაქეები;

დ) მოქალაქეობის არმქონე პირები (აპატრიდები).

მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა ყოველი სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, რადგანაც ეს საკითხი შიდასახელმწიფოებრივ კომპეტენციაში ერთ-ერთი ძირითადთაგანია. რასაკვირველია, მოსახლეობის ყველა კატეგორიის უფლება-მოვალეობათა შინაარსი და მოცულობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონესთან და ა.შ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების პრობლემა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კომპეტენციაში შედის, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრაქტიკამ შეიმუშავა მთელი რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებს ეხებიან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ სახელმწიფოთა ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობანი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობასთან, რომ დღეს შეუძლებელია ზოგიერთი საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტა. მხედველობაში გვაქვს უცხოელთა უფლებრივი რეჟიმის მოწესრიგება, აპატრიდებისა და ბიპატრიდების მდგომარეების რეგლამენტაცია, იურიდიული დახმარების აღმოჩენა, საერთაშორისო ბოროტმოქმედებასთან ერთობლივი ბრძოლა. ამავე დროს, კაცობრიობის განვითარების დღევანდელმა დონემ ისეთ საფეხურს მიაღწია, როდესაც შეუძლებელია ცალმხრივად, პროგრესული კაცობრიობის მართლშეგნების გაუთვალისწინებლად, მოწესრიგდეს მოქალაქეების უფლებრივი რეჟიმი. მხედველობაში გვაქვს მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა შინაარსისა და მოცულობის რეგლამენტაცია.

აი, რატომ არის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მდიდარი ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის ზოგად პრინციპებს, ასევე მისი კონკრეტული ჯგუფების რეჟიმსაც. ამ ნორმების მთავარი მიზანდასახულობაა სახელმწიფოებს შორის

ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის განმტკიცება-გაფართოება. ეს ნორმები შეიქმნა სუვერენული სახელმწიფოების ნებათა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით.

## მოქალაქეობის ცნება და მისი შეძენის, შეცვლისა და დაკარგვის წესები

მოქალაქეობა სახელმწიფოებრივი მოვლენაა. იგი გულისხმობს სახელმწიფოსთან ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს, რომელიც:

ა) წესდება მოცემული სახელმწიფოს მიერ;

ბ) ხასიათდება მხარეთა ურთიერთობის სიმტკიცით და

გ) შეიცავს სახელმწიფოსა და პირის უფლებებსა და მოვალეობებს.

ამ ურთიერთობის სიმტკიცე გამოიხატება იმაში, რომ მოქალაქე ინარჩუნებს კავშირს თავის სახელმწიფოსთან სიკვდილამდე, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს ის სამშობლოში თუ საზღვარგარეთ.

მოქალაქეობის შეძენის, შეცვლის და დაკარგვის წესი განისაზღვრება თვით სახელმწიფოს მიერ – კონსტიტუციით, სპეციალური კანონებით და სხვ.

მოქალაქეობის შეძენის რამდენიმე წესი არსებობს:

I. საერთო წესი: 1) დაბადება; 2) ნატურალიზაცია.

II. გამონაკლისი შემთხვევები: 1) ტერიტორიული ცვლილებები; 2) რეპატრიაცია; 3) ოპტაცია.

მოქალაქეობის შეძენის ჩვეულებრივ წესად **„დაბადების პრინციპი“** გვევლინება. სახელმწიფოთა უმრავლესობა „სისხლის უფლებას“ იყენებს. ე.ი. ახალშობილს, რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც არ უნდა იყოს შობილი ის, მოქალაქეობა ენიჭება მისი მშობლების მოქალაქეობის გათვალისწინებით.[159] გამოიყენება „ნიადაგის უფლებაც“ – ახალშობილს მოქალაქეობა მიენიჭება შობის ადგილის მიხედვით, მიუხედავად მშობლების მოქალაქეობისა.[160] მაგ. ბრაზილიის ტერიტორიაზე შობილი ბავშვი იძენს ბრაზილიის

---

[159] ამ პრინციპს ეყრდნობა ავსტრიის, ნორვეგიის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა.

[160] ბრაზილიისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების კანონმდებლობა.

მოქალაქეობას, მიუხედავად მისი მშობლების მოქალაქეობისა. ამავე დროს საზღვარგარეთ მყოფი ბრაზილიელების მიერ შობილი ბავშვი ბრაზილიისათვის უცხოელია.

ქვეყნების უმრავლესობა ორივე პრინციპს ხმარობს (აშშ, ინგლისი, ინდოეთი). ეს მთელ რიგ შემთხვევაში სირთულეს ქმნის, რაც სათანადო საერთაშორისო-სამართლებრივ რეგლამენტაციას მოითხოვს. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

მოქალაქეობის შეძენის მეორე საშუალებას **ნატურალიზაცია** წარმოადგენს. ე.ი. ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის მინიჭება მოცემული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის პირადი თხოვნის ან თანხმობის საფუძველზე.

ამგვარად, ნატურალიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკური პირის ნების გამომჟღავნებასთან და მოქალაქეობის შეცვლის ძირითადი საშუალებაა.

ნატურალიზაციისათვის საჭირო ცნებები განისაზღვრება თვით სახელმწიფოს მიერ. ძირითადი მოთხოვნები შემდეგია:

1) მოცემულ სახელმწიფოში ცხოვრების გარკვეული ვადა[161];

2) სახელმწიფოს ორგანოებში ან მის შეიარაღებულ ძალებში სამსახური;

3) ენის ცოდნა;

4) ადგილობრივ მოქალაქესთან ქორწინება;

5) სახელმწიფოსათვის სამსახურის გაწევა;

6) „კარგი ყოფაქცევა ან ზნეობა“ და ა.შ.[162]

როგორც წესი, დასავლეთის სახელმწიფოების კანონმდებლობა ნატურალიზაციისათვის ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას აყენებს. ასე მაგ., აშშ-ში შემოღებულია შემდეგი წესები:

1) წინასწარი განცხადება, რისთვისაც განმცხადებელს უნდა შეუსრულდეს 18 წელი;

2) ორწლიანი საგამოცდო ვადა;

3) საბოლოო განცხადება, რისთვისაც განმცხადებელი: ა) უნდა ცხოვრობდეს აშშ-ში არანაკლებ ხუთი წელი; ბ) იცოდეს

---

[161] ინგლისში ეს ვადა 7 წელია განცხადების მიცემამდე და 12 თვე შემდეგ, საფრანგეთში და აშშ-ში – 5 წელი, ესპანეთში – 10.

[162] ინგლისში ნატურალიზაციისათვის საჭიროა „კარგი ზნეობის“ მქონე რეპუტაცია.

ინგლისური ენა; გ) მიეკუთვნებოდეს ევროპულ (კავკასიურ), აფრიკულ ან დასავლეთ ნახევარსფეროს ერთ-ერთ რასას;

4) განმცხადებელმა უნდა აღნიშნოს, რომ იგი აპირებს აშშ-ში საბოლოოდ დაბინავებას და არ არის „არსებული წესის მტერი“ ან ათეისტი.

5) გამონაკლის შემთხვევაში დაიშვება ნატურალიზაცია პირისა, რომელიც არ ცხოვრობს აშშ-ში, მაგრამ ამისათვის სახეზე უნდა იყოს აშშ-სთან სამსახურებრივი ან საქმიანი კავშირი და განმცხადებლის სურვილი აშშ-ში დაბინავებისა.

საფრანგეთის კანონმდებლობა ბინადრობის ხუთწლიანი ცენზის გარდა მოითხოვს „კარგ ყოფაქცევასა და საარსებო სახსრების არსებობას“.

ნატურალიზაციის საბოლოო გაფორმება ეკისრება სახელმწიფო ხელისუფლების (ინგლისი) ან სასამართლო (აშშ) ორგანოებს. ნატურალიზაციისაგან განასხვავებენ ოპტაციასა და ტრანფერტს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტერიტორიულ ცვლილებებთან. ოპტაციის დროს ერთი სახელმწიფოს მფლობელობიდან მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში გარდამავალ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს ენიჭება უფლება თვითონ აირჩიოს ორი მოქალაქეობიდან ერთ-ერთი იმ პირობით, რომ ახალი მოქალაქეობის არჩევის შემთხვევაში იგი უნდა დასახლდეს იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეობაც მან აირჩია.

ტრანსფერტი ნიშნავს მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას პირის ნებასურვილის გაუთვალისწინებლად.[163] ამ შემთხვევაში პირის ბედი განუყოფელია გადასაცემი ტერიტორიისაგან.

ოპტაციის ან ტრანსფერტის გაფორმება ნატურალიზაციისაგან განსხვავებით ხდება უფრო იოლად, ხელშეკრულების ან სპეციალური კანონის საფუძველზე.

შედარებით იშვიათად გუხვდება ე.წ. **რეინტეგრაცია** და მოქალაქეობის ბოძება. რეინტეგრაციის დროს საზღვარგარეთ მცხოვრები პირები ბრუნდებიან თავის ქვეყანაში, რომლის მოქალაქეები ისინი ოდესღაც იყვნენ.[164] როგორც წესი, ამ შემთხვევაში მოქალაქეობის შეძენის გაადვილებული წესი მოქმედებს.

---

[163] იხ. 1947 წლის იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების მე-19 მუხლი.

[164] იხ. ქვემოთ.

უცხოელთათვის მოქალაქეობის ბოძების შემთხვევები იშვიათი მოვლენაა. ამ წესებმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს მოიკიდა ფეხი.[165] იგი დღესაც გეხვდება გამოჩენილი ადამიანისათვის საპატიო მოქალაქეობის მინიჭების სახით. საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პრეზიდიუმმა საპატიო მოქალაქეობა უბოძა მთელ რიგ გამოჩენილ უცხოელ პოლიტიკოსს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, ქართველ ემიგრანტს.

მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველს მიეკუთვნება ყველა ის შემთხვევა, რომელიც ნატურალიზაციასთან, ოპტაციასა და ქორწინებასთან არის დაკავშირებული. მეორე ჯგუფს კი მიეკუთვნება შემთხვევები, როდესაც მოქალაქეობა ჩამოერთმევა კომპეტენტური ორგანოების მიერ. ასეთ ორგანოებად სასამართლო ან სათანადო ხელისუფლების ორგანო გვევლინება. ეს აქტი დასჯის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

## ორმოქალაქეობა (ბიპატრიზმი)

სხვადასხვა სახელმწიფოში მოქალაქეობის შეძენისა და დაკარგვის განსხვავებული წესების არსებობის შედეგად გვხვდებიან პირები, რომელთაც ერთის ნაცვლად ორი მოქალაქეობა გააჩნიათ.

ჩვენ უკვე ვიცით, რა მიზეზები[166] განაპირობებენ ასეთ მოვლენას. ამჯერად შევეხებით ამ მოვლენის იურიდიულ შედეგებს. რადგანაც ბიპატრიზმის დროს ორივე სახელმწიფო კონკრეტულ პირს თავის მოქალაქედ თვლის, ყოველი მათგანი

---

[165] ასე მაგ., 1792 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად შობილმა ახალმა საფრანგეთმა უბოძა თავისი მოქალაქეობა 18 გამოჩენილ უცხოელს – ჯორჯ ვაშინგტონს, ფრიდრიხ შილერს, იერემია ბენტამს და სხვ.

[166] გავიხსენოთ ეს მიზეზები: დაეშვათ, ბავშვი დაიბადა ქვეყანაში, სადაც მოქმედებს „ნიადაგის პრინციპი“ (მაგ. ჩილე), ხოლო მისი მშობლების ქვეყანაში ბატონობს „სისხლის პრინციპი“ (მაგ. საფრანგეთი). სხვა შემთხვევაში ბიპატრიზმი წარმოიშობა ქორწინების შედეგად, თუ ქალის სახელმწიფო არ ართმევს მას თავის მოქალაქეობას (მაგ., საფრანგეთი, ინგლისი), ხოლო ქმრის სახელმწიფო ავტომატურად ანიჭებს ცოლს ქმრის მოქალაქეობას (თურქეთი). ორმოქალაქეობას იწვევს ნატურალიზაციაც, თუ ნატურალიზებული პირის ქოფილი სამშობლო უარს აცხადებს ამ პირის მოქალაქეობიდან გასვლის ალიარებაზე.

უფლებამოსილია მოსთხოვოს პირს გარკვეული მოვალეობის შესრულება (მაგ., სამხედრო სამსახური).

არ არსებობს ბიპატრიზმის მომწესრიგებელი რაიმე ერთიანი სამართლებრივი ნორმა, მაგრამ სახელმწიფოთა პრაქტიკამ მაინც შექმნა გარკვეული წესი – ყოველი ბიპატრიდი, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია იმ სახელმწიფოს წინაშე, სადაც ის იმყოფება, ცხოვრობს. მესამე სახელმწიფოში ყოფნის დროს მოქალაქეობის საკითხი დამოკიდებულია ამ მესამე სახელმწიფოს არჩევაზე. ის პრინციპი, რომ ბიპატრიდი ითვლება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ შეტანილია დებულებაში საერთაშორისო სამართლის კომისიის შესახებ (მუხ. 2). ეს ე.წ. „ეფექტური მოქალაქეობის“ კრიტერიუმი შეიძლება საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმად ჩაითვალოს.

მაგრამ სახელმწიფოები მაინც ცდილობენ უფრო კონკრეტულად გადაწყვიტონ ბიპატრიზმის პრობლემა, რისთვისაც სულ უფრო ხშირად მიმართავენ ორმხრივ შეთანხმებებს. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ორმოქალაქეობას.

## მოქალაქეობის არმქონე პირი

მოქალაქეობის უქონლობა (აპატრიზმი) წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი კარგავს ძველ მოქალაქეობას, ხოლო ახალს არ იძენს[167] აპატრიდები შეზღუდულნი არიან თავიანთ

---

[167] მაგ., აშშ-ში მყოფმა უცხოელმა უარი განაცხადა თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე, მაგრამ ადგილობრივი სახელმწიფოს მოქალაქეობის მისაღებისათვის ჯერ კიდევ ხუთი წელია საჭირო ბუნებრივია, ამ პერიოდის განმავლობაში იგი მოქალაქეობის არმქონე პირად ჩაითვალა. ეს ვადა შეიძლება უფრო გადიდდეს, თუ აშშ-ის ხელისუფლება საერთოდ უარს იტყვის ნატურალიზაციის უფლების მინიჭებაზე აპატრიზმი წარმოიშობა ქორწინების შემთხვევაშიაც, როდესაც ქალი (მაგ. ლიბერიის მოქალაქე) ცოლად მიყვება იმ ქვეყნის მამაკაცს, რომელიც არ ანიჭებს მას თავის მოქალაქეობას (მაგ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ხოლო ქალის სახელმწიფო ავტომატურად ართმევს მას მოქალაქეობას. აპატრიდად ჩაითვლება ის პირიც, რომელმაც დაკარგა მოქალაქეთა სათანადო ორგანოების დადგენილებით, ხოლო სხვა ქვეყანამ მას არ მისცა ნატურალიზაციის უფლება, ან აღმართა მის წინაშე „საგამოცდო ვადის“ ბარიერი. შეთანხმება, რომელიც არეგულირებს გაეროს შტაბ-ბინის სამართლებრივ სტატუსს, აგრეთვე ეხება წევრ-ქვეყნების მუდმივი

უფლებებში და უფლება არა აქვთ მიმართონ რომელიმე სახელმწიფოს დიპლომატიური დაცვისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში აპატრიდებზე არ ვრცელდება შრომითი და სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობა, ისინი ღებულობენ უფრო დაბალ ხელფასს, ვიდრე ადგილობრივი მოქალაქენი და უცხოელები. სახელმწიფოს უფლება აქვს ყოველ მომენტში გაასახლოს ისინი ქვეყნიდან და ა.შ. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა აპატრიდების მდგომარეობის გაუმჯობესება.

განსაკუთრებით გაიზარდა აპატრიდების რიცხვი მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ევროპის ქვეყნების მოსახლეობათა დიდი მასების გადაადგილების შედეგად. მხედველობაში გვაქვს ლტოლვილები და ადგილნაცვალი პირები.

ლტოლვილები ეწოდება პირებს, რომელნიც გაურბიან საომარ მოქმედებას და იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი მუდმივი ადგილსამყოფელი.

ადგილნაცვალი პირები ის პირებია, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ძალით გაიყვანეს თავიანთი ქვეყნებიდან გერმანიაში მონური სამუშაოსათვის. ძირითადად ესენი იყვნენ საბჭოთა მოქალაქეები, პოლონელები, ჩეხები, ფრანგები. ომის დამთავრების შემდეგ ეს პირები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, რისთვისაც აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა სპეციალური ღონისძიებები შეიმუშავეს.

საქართველოში, ზოგიერთ რეგიონში (აფხაზეთი, სამაჩაბლო) შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მრავალი ათასი ადამიანი იქცა ადგილნაცვალ პირად (ვინც იძულებული გახდა საქართველოს სხვა რაიონებში გახიზნულიყო) ან ლტოლვილად (ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ შეაფარა თავი).

---

წარმომადგენლობის სტატუსს, თუმცა წარმომადგენლობის პერსონალის სტატუსი ამ შეთანხმებით დაზუსტებული არ არის. ეს მოხდა მოგვიანებით, ახალი შეთანხმების ძალით, მათ შორის 1946 წლის საერთო კონვენციით გაერო-ს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, რომელიც რატიფიცირებული იქნა აშშ-ს მიერ 1970 წელს. გაეროს და შვეიცარიას შორის 1946 წლის ივნისში დადებული შეთანხმება ეკრძნობოდა აღნიშნული კონვენციის დებულებებს.

## მოქალაქეობის საკითხები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონი, რომელიც პარლამენტის მიერ 1993 წლის 25 მარტს იყო მიღებული, ხასიათდება უაღრესი დემოკრატიულობით, რაც აღიარებული იქნა საერთაშორისო ექსპერტთა და ორგანიზაციების მიერ.

მოგვყავს ამ კანონის დებულებანი:

მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებამოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

ეს კანონი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**მუხლი 1.** საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

**მუხლი 2.** საქართველოში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

**მუხლი 3.** საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის, თუ სამი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის ვადაში მიიღებს საქაროველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ბ) პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 4.** საქართველოს მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისა და პოლიტიკური

მრწამსის, საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა. (დაწვრილებით იხ. დანართი)

## უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი (უფლებრივი) მდგომარეობა

**უცხოელად ითვლება კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი, რომელსაც არ გააჩნია ამ სახელმწიფოს მოქალაქეობა. ამგვარად ამ კატეგორიას პირველ რიგში მიეკუთვნება უცხოელი მოქალაქე, ე.ი. პირი, რომელსაც გააჩნია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, და მოქალაქეობის არმქონე პირები.**

უცხოელების უფლებრივ მდგომარეობას ხანგრძლივი ისტორია აქვს.[168] მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში უცხოელის

---

[168] მონათმფლობელური ეპოქიდან მოყოლებული, ვიდრე მე-19 საუკუნემდე უცხოელი მტრად ითვლებოდა და მის მიმართ ყოველგვარ დისკრიმინაციულ ზომებს მიმართავდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ უცხოელები შუა საუკუნეებში, როდესაც ყოველი ფეოდალი ცდილობდა გამდიდრებულიყო უცხო ვაჭრებისა და სხვა სახის უცხოელების ხარჯზე. არსებობდა მთელი რიგი „უფლებები“, რომლებიც ჩვეულებრივ სამართლის სახეს ატარებდნენ და პრაქტიკულად უცხოელს უუფლებო არსებად აქცევდნენ. ასე მაგ., „droit d ` aubaine“ (მოულოდნელი მოგების უფლება“) აძლევდა ფეოდალს (შემდეგ თეითმპყრობელ მეფეს) უფლებას მიეთვისებინა მის ტერიტორიაზე გარდაცვლილი უცხოელის ქონება, „droit de naufrage“ („სანაპირო უფლება“) მიაკუთვნებდა ადგილობრივ სუვერენს ზღვის (ოკეანის) ტალღების მიერ ნაპირზე გამორიყულ გემს მთელი მისი ქონებით, ეკიპაჟითა და მგზავრებით. უცხოელს სხვა სახელმწიფოში შესვლისას ზუსტად უნდა დაეცვა გარკვეული ვადა იქ ყოფნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივ ფეოდალს (მეფეს) უფლება ჰქონდა თავის ქმად ექცია და ა.შ. მართალია, უცხოელებს (ვაჭრებს) მიეცემოდა დაცვითი სიგელები, იდებოდა საერთაშორისო შეთანხმებანი, მაგრამ ეს ნორმები გამონაკლისების ხასიათს ატარებდნენ. თეზისი: უცხოელი – პოტენციური მტერია, წითელი ზოლიით გასდევს მთელს შუა საუკუნეებს. აღსანიშნავია, რომ მუსლიმანურ აღმოსავლეთში უცხოელის ქვეშ მხოლოდ სხვა რჯულის (სარწმუნოების) მიმდევარს გულისხმობდნენ, ხოლო მუსლიმანური სახელმწიფოს ქვეშევრდომი - „ძმად“ მიიღებოდა და მის ადგილობრივ მუსლიმანურ თანაბარ უფლებას ანიჭებდნენ.

ერთადერთი ქვეყანა, სადაც ამ მძიმე დროს უცხოელები პრივილეგიებით სარგებლობდნენ, საქართველოს სამეფო იყო, რომლის მმართველი წრეები დიდი ლმობიერებითა და მფარველობით

მდგომარეობა მიუახლოვდა ადგილობრივი მცხოვრების მდგომარეობას და იგი აღარ ითვლება „მტრად". მის მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციული ზომების მიღება აკრძალულია.

უცხოელი რეჟიმის[169] განსაზღვრა ყოველი სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეა, ამიტომ იგი ძირითადად შინაგანი კანონმდებლობით დგინდება. ის ფაქტი, რომ ყოველი უცხოელის ზურგს უკან დგას მისი სახელმწიფო, განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფოები ცდილობენ ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ეს პრობლემა. ამიტომ უცხოელთა რეჟიმის დეტალურ რეგლამენტაციაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა სახის ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა უცხოელთა რეჟიმის ორი სახე:

1. **ეროვნული რეჟიმი.** – უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ადგილობრივ მოქალაქეებთან გათანაბრება.

2. **უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი** – უცხოელისთვის (ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის) ისეთი უფლების მინიჭება, რომლითაც სარგებლობენ ამ რეჟიმის მომცემ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს ყველაზე მეტი უფლების მქონე მოქალაქენი. ამგვარად, თუ ინგლისის მოქალაქენი სარგებლობენ საფრანგეთში ყველაზე პრივილეგიური უფლებებით, ხოლო იტალია დებს საფრანგეთთან ხელშეკრულებას უმეტესი ხელშეწყობის პრინციპზე დაყრდნობით, ამიერიდან საფრანგეთში მცხოვრებ იტალიელზე ვრცელდება ყველა ის

---

ეპყრობოდნენ უცხოელებს სამეფოს მთელ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით თბილისში. საგანგებოდაა აღსანიშნავი ქართველი მეფეების რჯულშემწყნარებლობა. მუსლიმანი ისტორიკოსის ცნობით, მუსლიმანებს არც უნდოდათ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება, რადგანაც საქართველოში მათ უაღრესად დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ასევე ჰუმანურად ეკიდებოდნენ ქართველი მეფეები ებრაელ და სომეხ ეაჭრებს. ქართველი მეფეების რჯულშემწყნარებლობა იმდენად განსაცვიფრებელი იყო ამ დროისათვის, რომ მე-19 ს. ფრანგმა მეცნიერმა დეფრემერიმ ალჯაუზის ცნობის თარგმნისას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი დავით აღმაშენებლის რჯულშემწყნარებლობას (იხ. დაწერილებით ლ. ალექსიძე, უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა XI-XIII სს., თსუ „შრომები", 1968 წ. № 125).

[169] „უცხოელთა რეჟიმი" არის მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ უცხოელთა უფლება-მოვალეობების ერთობლიობა.

უფლება, რომელიც ინგლისის მოქალაქეებს გააჩნიათ. თუ რამდენიმე ხნის შემდეგ, ინგლისელთა უფლებები უფრო გაფართოვდება, ავტომატურად გაფართოვდება იტალიელთა უფლებებიც.

**3. სპეციალური რეჟიმი** – ხელშეკრულების ძალით უცხოელებისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება. მაგ., უცხო შეიარაღებული ძალების ბაზების და მათი პირადი შემადგენლობის რეჟიმი.

**4. პრივილეგირებული რეჟიმი** – უცხოელს მიენიჭება უფრო მეტი უფლება, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებს გააჩნიათ. ეს რეჟიმი დღეს იშვიათი მოვლენაა, წინათ კი „კაპიტულაციების რეჟიმის“ სახით ახლო და შუა აღმოსავლეთში მყოფი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მოქალაქეთათვის ძირითადი რეჟიმი იყო.

როგორც ვხედავთ, უცხოელთა რეჟიმის ძირითად სახეებს პირველი ორი სახე წარმოადგენს, ეს უფრო შეესაბამება კაცობრიობის განვითარების თანამედროვე დონეს. აღსანიშნავია, რომ ორივე რეჟიმი უნდა ეყრდნობოდეს „ნაცვალგების პრინციპს“. არსებობს მატერიალური და ფორმალური ნაცვალგება. პირველ შემთხვევაში უცხოელებს ენიჭებათ ზუსტად ისეთივე უფლებები, რაც ადგილობრივი სახელმწიფოს მოქალაქეებს უცხოეთის სახელმწიფოში. უფრო ხშირად გამოიყენება ფორმალური ნაცვალგება – უცხოელებს მიენიჭებათ ერთვნული ან უმეტესი მფარველობის რეჟიმი ამ რეჟიმის მოცულობის დაზუსტების გარეშე, იმ პირობით, რომ ასევე მოიქცევა მათი მშობლიური ქვეყანა.

ნაცვალგების პირობა განისაზღვრება როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუ როგორ იყენებს უცხო სახელმწიფო ნაცვალგების პრინციპს, ამას სასამართლო ან სხვა ორგანო არკვევს, რომელიც იყენებს სათანადო ნორმას. თუ აღმოჩნდება, რომ უცხო სახელმწიფო არ იცავს ნაცვალგების პრინციპს, დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია გამოიყენოს დამნაშავის მიმართ რეტორსია – „სამაგიეროს მიძღვნა“ – და შეზღუდოს დამნაშავე სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებანი იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც არის შეზღუდული მისი მოქალაქეების უფლებები ამ ქვეყანაში.

როგორც ვთქვით, უცხოელის რეჟიმი მოიცავს უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობას. აქ პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებანი

და მოვალეობანი, რომელთა მოცულობა შედარებით მერყეობია. სამაგიეროდ უცხოელზე ვრცელდება ყველა სისხლის სამართლებრივი ნორმა. ამ მხრივ უცხოელი და ადგილობრივი მოქალაქე სავსებით გათანაბრებულია.

უცხოელები მოკლებულნი არიან ისეთ პოლიტიკურ უფლებებს, როგორიცაა აქტიური და პასიური ხმის უფლება, პოლიტიკური პარტიის შექმნის, ან რომელიმე პარტიაში მონაწილეობის მიღების უფლება. უცხოელი თავისუფალია სამხედრო სამსახურისაგან და მასთან დაკავშირებულ საბეგარო-საგადასახადო ვალდებულებებისაგან.[170] რაც შეეხება სხვა გადასახადებს, მათ ყველა უცხოელი უნდა იხდიდეს, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.[171] ამავე დროს უცხოელი არ წყვეტს კავშირს თავის სახელმწიფოსთან, რომელიც მოვალეა დაიცვას თავისი მოქალაქის უფლებები საზღვარგარეთ.

ასეთია უცხოელთა რეჟიმის ზოგადი დახასიათება. რასაკვირველია, ეს რეჟიმი ყველა ქვეყანაში ხასიათდება გარკვეული ელფერით, დეტალებით, რაც ამ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობის ბუნებასა და სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთანაა დაკავშირებული.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან დღეს ე.წ. **მიგრანტი მუშები**: განვითარებად და ზოგიერთ განვითარებული ქვეყნიდანაც კი (იტალია, იუგოსლავია) დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში ჩამოსული პირები მონოპოლიების სასტიკი ექსპლოატაციის ობიექტები ხდებიან და ფაქტიურად მოკლებულნი არიან ელემენტალურ უფლებებს – მუშაობენ 10-12 საათს დღეში, ღებულობენ „გროშებს“, განიცდიან პოლიციელთა განსაკუთრებულ მეთვალყურეობას, არა აქვთ უფლება პროფკავშირებში გაერთიანებისა და ა.შ.[172]

---

[170] ეს არ გამორიცხავს უცხოელის უფლებას შევიდეს ადგილობრივ ჯარში მოხალისედ, რის შემდეგ მასზე ვრცელდება ყველა ის უფლება, რომელიც სამხედროს გააჩნია (პენსიის ჩათვლით).

[171] ასეთ ხელშეკრულებებს სახელმწიფოში ხშირად დებენ უცხოელის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უწევს ორმაგი გადასახადი თავის სამშობლოში და დროებით ადგილსამყოფელშიც.

[172] ასე მაგ., ერთ-ერთ უძველეს ფაქტად ასეთი დაცვისა უნდა ჩაითვალოს თამარ მეფის მიერ ეგვიპტისა და სირიის სულთანებთან დადებული ხელშეკრულებანი მაჰმადიანურ სამყაროში მცხოვრებ ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ (ლ. ალექსიძე,

მიგრანტ-მუშათა უფლებრივი მდგომარეობა იმდენად მძიმე გახდა, რომ ეს საკითხი მრავალი სამთავრობათშორისო და არასამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში მოექცა (გაერო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვ.).

1990 წლის 18 დეკემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო და ხელმოწერისათვის გახსნილად გამოაცხადა „საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტ-მუშისა და მათი ოჯახების წევრთა დაცვის შესახებ“ (ძალაში შევიდა 1.04.2003). კონვენცია დაწვრილებით განსაზღვრავს მიგრანტ-მუშების უფლება-მოვალეობებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიმღები სახელმწიფოს და მიგრანტ- მუშების ქვეყნის მთავრობების მოვალეობებს (კონვენცია შედგება 93 მუხლისაგან). კონვენციის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს მიგრანტ-მუშებისა და მათი ოჯახების უსაფრთხოება, ნორმალური შრომისა და სოციალური დაცვის პირობები.

საქართველოს **უცხოელთა სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება** 2005 წლის 27 დეკემბრის კანონით – „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

## *3. საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა განმტკიცების და დაცვის სფეროში*

### ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის პრინციპები.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის პრობლემა ერთ-ერთი რთული და აქტუალური საკითხია.

“კაპიტალისტურ და სოციალისტურ“ სახელმწიფოებს შორის გამართული იდეოლოგიური ბრძოლის დროს, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი ამ ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად იარაღად იქცა, რაც ხშირად ძლიერ კონფრონტაციას იწვევდა და უფრო ძაბავდა „ცივ ომში“ ჩაბმულ „დასავლეთსა და აღმოსავლეთს“.

ამავე დროს, სწორედ ამ წინააღმდეგობისა და ბრძოლის შედეგად ნელ-ნელა გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და

---

უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში XI-XIII სს. თსუ „შრომები“, 1968 წ. № 125)

საერთაშორისო ორგანოები. აქ ორივე „მსოფლიო სისტემამ“ შეიტანა თავისი წვლილი, თუმცა შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში არც ერთი მათგანი ისე თანმიმდევრულად არ იცავდა ნორმებს, რომლებსაც ნერგავდა საერთაშორისო ასპარეზზე, ეს განსაკუთრებით საბჭოთა კავშირს ეხებოდა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მდიდარია ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მოსახლეობის სამართლებრივი მდგომარეობის ზოგად პრინციპებს, ასევე მისი კონკრეტული ჯგუფების რეჟიმსაც, ამ ნორმების მთავარი მიზანდასახულობაა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის განმტკიცება-გაფართოება. ეს ნორმები შეიქმნა სუვერენული სახელმწიფოების ნებათა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით.

ამგვარად თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იჭრება ისეთ სფეროში, რომელიც ერთი შეხედვით ქვეყნის მხოლოდ შინაგან კომპეტენციაში შეიძლება შედიოდეს, მაგრამ სინამდვილეში ამ საკითხის ჯეროვანი მოწესრიგება შესაძლებელია სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობის ნიადაგზე. სწორედ ასეთ პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებანი; უფრო სწორად, მხედველობაში გვაქვს ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუსხვისებელია ყოველი გონიერი არსებისაგან, მიუხედავად მისი სქესის, კანის ფერის, რჯულის, რასისა და ეროვნებისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) ერთ-ერთი ძირითადი მიზანია: „კვლავ განამტკიცოს ადამიანის ძირითად უფლებათა, ადამიანის პიროვნების ღირსების და ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის რწმენა“ (პრეამბულა), ორგანიზაცია მოწოდებულია:

„განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში და დანერგოს ყველას მიმართ, მიუხედავად რასისა, სქესისა, ეროვნებისა და რელიგიისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისადმი პატივისცემა“ (1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი).

წესდების 55-ე და 56-ე მუხლების ძალით გაერო-ს წევრები კისრულობენ მოვალეობას, აქტიურად ითანამშრომლონ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა

საყოველთაო პატივისცემისა და შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

## ადამიანის ძირითადი უფლებების შინაარსი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით

გაეროს ორგანოების მუშაობის შედეგად დღეისათვის ჩამოყალიბდა რიგი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომლებიც აკონკრეტებენ ადამიანთა ძირითადი უფლებების შინაარსს.

მათგან მთავარია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. პირველად კაცობრიობის ისტორიაში შედგენილ იქნა ნუსხა ადამიანის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და აღიარებულ იქნა, რომ ისინი ადამიანისაგან განუსხვისებელია.

დეკლარაცია აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობას. მიუხედავად რასისა, სქესისა, კანის ფერისა, რჯულისა, ეროვნებისა და ზუსტად განსაზღვრავს მის ძირითად უფლებებს, რომელთა შელახვა არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია.

მაგრამ დეკლარაცია არ განსაზღვრავდა იმ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აღნიშნულ უფლებათა ხელშეუხებლობას სახელმწიფოების მხრივ. ეს მისი დიდი ნაკლია: ამავე დროს ის ფაქტი, რომ დეკლარაციაში არ მოინახა ადგილი ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპებისათვის, როგორიცაა ერთა თვითგამორკვევის უფლება, ერთა და ხალხთა თანასწორუფლებიანობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლება – გამოიყენონ თავიანთი ენა, იქონიონ სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, – უარყოფით დაღს ასვამს ამ სასარგებლო და მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტს.

1966 წლის დეკემბერში გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ორი პაქტი ადამიანთა უფლებების შესახებ, რაც ადამიანთა უფლებების დარგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

როგორც აღვნიშნეთ, ორივე საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლი აცხადებს ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად აწესებენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულ-

ტურულ განვითარებას. ყველა ხალხს თავისი მიზნების მისაღწევად შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულებას; არც ერთ ხალხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წაერთვას საარსებო სახსრები, რომლებიც მას ეკუთვნის. ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არათვითმმართველი და სამეურნეო ტერიტორიების მართვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ხელს უნდა უწყობდეს თვითგამორკვევის განხორციელებას და პატივს სცემდეს ამ უფლებას. ორიოდე პაქტის ძალით სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ გამოცხადებული უფლებების განხორციელება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებათა გამო (მუხ. 2), აღიარებულია აგრეთვე ვალდებულება, უზრუნველყოფილ იქნეს მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლება – ისარგებლონ ამ პაქტებით გათვალისწინებული ყველა უფლებით (მუხ. 3).

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ითვალისწინებს ყოველი სახელმწიფოს მხრიდან ყველა საშუალების გამოყენებას, რათა არ დაუშვას ადამიანის ისეთი უფლებების დარღვევა, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, ადამიანის წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების დამამცირებელი მოქცევის დაუშვებლობა, მონობის აკრძალვა, პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებები, თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, სასამართლოებისა და ტრიბუნალის წინაშე თანასწორუფლებიანობა, აზროვნების, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება, სიტყვის უფლება, ომისა ან ეროვნული, რასობრივი და რელიგიური პროპაგანდის აკრძალვა, კრებების მოწვევისა და პროფკავშირების შექმნის უფლებანი, ოჯახის და ბავშვის სტატუსი, თითოეული მოქალაქის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისუფალი

მონაწილეობის უფლება, ყველა პირის ყოველგვარი დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ითვალისწინებს შემდეგი უფლებების აღიარებასა და გარანტიას; შრომის უფლება, რაც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას – საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება; შრომის სამართლიანი და ხელშემწყობი პირობები თანასწორი შრომისათვის თანასწორი ანაზღაურების ჩათვლით; განათლების უფლება; ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება; უფლება – ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე; მე-11 მუხლის ძალით სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას – ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი, ბინა, აგრეთვე უფლებას – განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლებების განხორციელების უზრუნველყოფისათვის. აღიარებენ რა თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას – იყოს თავისუფალი შიმშილისაგან, ინდივიდუალურად და საერთაშორისო თანამშრომლობის წესით სახელმწიფოები უნდა ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს, მათ შორის ასრულებდნენ კონკრეტულ პროგრამებს.

პაქტი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს ოჯახისა და დედობის დაცვის მიზნით. განსაკუთრებული ზომები გათვალისწინებულია ბავშვთა და მოზარდთა დაცვის და მათთვის დახმარების გაწევისათვის. რაც შეეხება განათლების უფლებას, სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის ამ უფლებას; ისინი თანახმა არიან, რომ განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შეგნების სრულ განვითარებას და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას; ისინი თანახმა არიან, რომ განათლებამ ყველას უნდა მისცეს შესაძლებლობა, იყოს თავისუფალი საზოგადოების მონაწილე, ხელს უწყობდეს ყველა ერისა და რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას და მეგობრობას და ეხმარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში შემუშავებულ იქნა და შეიდა ძალაში მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მიზანია დარაზმოს საერთაშორისო საზოგადოებრიობა ადამიანთა კონკრეტული სახის უფლებების განმტკიცებისა და დაცვისათვის.

პირველ რიგში აღსანიშნავია გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 8 დეკემბერს მიღებული კონვენცია გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, იგი განსაზღვრავს გენოციდს როგორც „მოქმედებას, რომლის მიზანია მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგუროს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი", აცხადებს მას საერთაშორისო-სამართლებრივ დანაშაულად და ითვალისწინებს დამნაშავეთა დასჯას (მუხ. 7). ყოველი სახელმწიფო მოვალეა მკაცრად იბრძოლოს გენოციდის პოლიტიკის პროპაგანდისა და გამტარებელთა წინააღმდეგ თავისი საზღვრების ფარგლებში. თუ ამ პოლიტიკას თვით სახელმწიფო ახორციელებს, მაშინ იგი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის დამრღვევად გვევლინება და მისი ხელმძღვანელები საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე წარდგებიან (მუხლი 6).

ბოლო წლებში გენოციდის ახალი ფორმა წარმოიშვა – ეთნიკური წმენდა, რომელიც აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღია მის მიერ ხელთ ჩაგდებული ტერიტორიიდან არასასურველი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებით ან ძალისხმიერი დეპორტაციის საშუალებით ლიკვიდაციისა.

დღეს ეთნიკური წმენდა გამოიხატება შემდეგში: მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუსამართლებელი დასჯა, გაუპატიურება და სექსუალური ხელყოფა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალადური განდევნა, გადაადგილება და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ თავდასხმების მუქარა, საკუთრების უაზრო განადგურება.

ეთნიკური წმენდა ესაა ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული მიზანმიმართული პოლიტიკა გარკვეული გეოგრაფიული რაიონებიდან სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის სამოქალაქო მოსახლეობის ძალადური და ტერორის მეთოდებით განდევნისა. მნიშვნელოვანწილად იგი ხორციელდება ფსევდონაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისძიების გრძნობის მეშვეობით ტერიტორიის ოკუპაციისა და ამ ტერიტორიიდან ამა თუ იმ ჯგუფისა თუ

ჯგუფების განდევნის მიზნით, რომელთა მიმართ გამოყენებულია ეს წმენდა.

ამ ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ახალი ფორმა მკაფიოდ გამოიხატება აფხაზ სეპარატისტთა მოქმედებაში მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, რაც არაერთხელ დაგმობილ იქნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ (1994 წლის 6 დეკემბერი, ბუდაპეშტი). ლისაბონის სამიტზე (1996 წლის 5 დეკემბერი), განისაზღვრა ეთნიკური წმენდის შინაარსი აფხაზეთში ძირითადად ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურება და ძალადური გაძევება მიუთითებს ამ გადაწყვეტილებას თავის რეზოლუციებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სამიტები.

თანამედროვე რასიზმის მიერ წარმოშობილ სერიოზულ საფრთხესთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო სპეციალური დეკლარაცია და კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. 1963 წლის 20 ნოემბერს მიღებული დეკლარაცია მოუწოდებდა ყველა ქვეყანას, უარი ეთქვათ რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ გამოვლინებაზე, 1969 წელს ძალაში შევიდა ანალოგიური კონვენცია. ამიერიდან რასობრივი დისკრიმინაცია ანუ ყოველი განსხვავება, გამონაკლისობა, შეზღუდვა ან გამორჩევა, რომელიც ეურდნობა რასობრივ, კანის ფერის, ეროვნულ, ეთნიკურ ნიშნებს და მიზნად ან შედეგად ისახავს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სხვა დარგში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარებას, გამოყენებას ან თანაბარ საწყისებზე განხორციელების გაუქმებას თუ შეზღუდვას, კანონგარეშეა გამოცხადებული (მუხ. 1).

კონვენცია გმობს არა მარტო რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმას, და განსაკუთრებით სეგრეგაციასა და აპარტეიდს, არამედ კანონით დასასჯელ დანაშაულად აცხადებს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე აგებული იდეების ყოველგვარ გავრცელებას, რასობრივი დისკრიმინაციისაკენ წაქეზებას, ძალმომრეობის იმ აქტებს ან წაქეზებას მათ ჩასადენად, რომლებიც მიმართულია რასობრივი ჯგუფების ან კანის ფერის თუ ეთნიკური წარმოშობის ნიშნით განსხვავებული ჯგუფების წინააღმდეგ. ეს კონვენცია

კრძალავს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ეწევიან რასობრივი დისკრიმინაციის პროპაგანდას ან აქეზებს მის ჩასადენად.

კონვენცია გმობს და კანონგარეშე აცხადებს ყველა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ზემოაღნიშნულ იდეებს და თეორიებს ეყრდნობა და ცდილობს მათ ცხოვრებაში გატარებას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, გამოიყენონ მთელი რიგი კონკრეტული ზომები, რომლებიც ჩამოთვლილია კონვენციაში. ამგვარად კაცობრიობის ისტორიაში მიღებულ იქნა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი – მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არა მარტო გმობს რასიზმს და მის ყოველგვარ გამოვლინებას, არამედ ზუსტად განსაზღვრავდა ამ სამარცხვინო ინსტიტუტის შინაარსს და, რაც მთავარია, აკისრებდა კონვენციის მონაწილეებს კონკრეტულ ვალდებულებებს რასიზმის აღმოფხვრისათვის.

მთელი პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებით ადევნებდა თვალყურს ფაშისტური და აშკარად რასისტული რეჟიმის თარეშს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ნამიბიის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, სადაც ერთი მუჭა თეთრკანიანები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ აეძულებინათ აფრიკელი ხალხი უსიტყვოდ აეტანათ ბარბაროსული ექსპლოატაცია და არაადამიანური პირობები.

აპარტეიდის სახელით ცნობილმა რასისტულმა პოლიტიკამ, რომელსაც კოლონიზატორები ატარებენ, ისე დაძაბა მდგომარეობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იძულებული გახდა ჩარეულიყო სიტუაციაში და ეკონომიკური, დიპლომატიური და სხვა სანქციები გამოეყენებინა. დიდი როლი ითამაშა კონვენციამ აპარტეიდის აკრძალვის შესახებ, რომელიც 1976 წელს შევიდა ძალაში.

დღეს ნამიბია თავისუფალი სუვერენული სახელმწიფოა, ხოლო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბოლო მოეღო აპარტეიდის რეჟიმს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის **პელსინკში მოწვეული სრულიად ევროპის თათბირის დასკვნით აქტს,** რომელიც ხელმოწერილ იქნა ევროპის 33 და აშშ-ის და კანადის სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურების მიერ

1975 წლის 1 აგვისტოს. „დეკლარაცია პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში“ სხვათა შორის ჩამოთვლის ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემის პრინციპსაც. (იხ. თავი VI, პარ. 4).

აქვე აღნიშნულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები ადამიანის უფლებებსა და ძირითადი თავისუფლებების დარგში იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ისინი შეასრულებენ აგრეთვე თავიანთ ვალდებულებებს, როგორიცაა დაწესებული ამ დარგის საერთაშორისო დეკლარაციასა და შეთანხმებებში, მათ შორის საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ, თუ ისინი დაკავშირებულნი არიან ასეთი პაქტებით. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ათივე პრინციპი ურთიერთკავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც კიდევ ერთხელ აკავშირებს ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემას სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპთან.

ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი არ არის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, იგი უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დეკლარაციაა, რომელიც შეიცავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპზე მითითებასა და მათ ინტერპრეტაციას ევროპის სინამდვილესთან შეფარდებით.

ჰელსინკის აქტები სრულყოფილ და განვითარებულ იქნა შემდგომ თათბირებზე – ბელგრადში (1978), მადრიდში (1980-1983), ვენაში (1989), კოპენჰაგენში (1990), პარიზში (1991), მოსკოვში (1991).

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ჰელსინკი-2“-ის თათბირს (1992 წლის 9-10 იულისი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროთათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა. ეს იყო პირველი ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ. აქ მოხდა საქართველოს მიერ ჰელსინკის 1975 წლის ფინალური აქტის ხელმოწერა, რის შემდეგაც დასრულდა საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების ყველა ფორმალობა.

აღნიშნული საერთაშორისო აქტების გარდა, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი შეიცავს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის კონკრეტულ სფეროებს ეხებიან – ეროვნული უმცირესობანი, მონობა, ქალის უფლებანი და სხვ.

**ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხი.** ეროვნულ უმცირესობათა წინაპრად გვევლინება „რელიგიური უმცირესობა". ფეოდალურ სამყაროში, რომელიც არ იცნობდა ერის ცნებას, სახელმწიფოები ცდილობდნენ სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ერთმორწმუნეთა დაცვას ამ ქვეყანაში გაბატონებული უცხო რელიგიისაგან, რისთვისაც ამ ქვეყნებთან დებდნენ სათანადო შეთანხმებას. XVII საუკუნიდან ხშირდება ასეთი სახის ხელშეკრულებანი ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკაში, როგორც ერთმანეთს შორის (ვესფალისა და ინსბრუკის 1648 წლის ხელშეკრულებანი, ვენის 1815 წლის კონგრესის აქტები), ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან (რუსეთ-თურქეთის 1774 წლის ხელშეკრულება და ა.შ.).[173]

XX საუკუნიდან რელიგიურ უმცირესობათა დაცვა „ეროვნულ" უმცირესობათა ინტერესების „უზრუნველყოფით" იცვლება, დიდმა სახელმწიფოებმა დაქსაქსეს პატარა ერები ევროპის გულში საზღვრების ხელოვნურად გატარების მეშვეობით: ცნობილია, რომ ვერსალის სისტემამ (1919 წელს) ავსტრია-უნგრეთის ადგილას შექმნა რამდენიმე სახელმწიფო, სადაც დიდი პროცენტი „ეროვნული უმცირესობანი" იყო.

პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, იუგოსლავიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან და თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებებში ინგლისმა და საფრანგეთმა შეიტანეს სპეციალური პუნქტები „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ". მაგრამ შემდგომ ამ უმცირესობათა ჩივილებს და მოთხოვნებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა; ყრუ იყო მათი მოთხოვნებისადმი ერთა ლიგაც, რომელსაც უშუალოდ ეკისრებოდა უმცირესობათა ინტერესების დაცვა.

---

[173] ანტანტის ხელმძღვანელთა „რჩევით" დაიდო მთელი რიგი კონვენციები და გამოქვეყნებულ იქნა დეკლარაციები ალბანეთის (1921), ლიტვის (1924), ფინეთისა და შვეციის (1921), ერაყის (1923) და სხვ. მიერ (იხ. გ. ქუანია, ციტ. ნაშრომი, გვ. 131).

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უარყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებას – უშუალოდ მიმართონ მას პეტიციით, მაგრამ, ამავე დროს, აძლიერებს მოთხოვნას თვით სახელმწიფოების მიმართ ადამიანის და ერების ღირსებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას იძულება. საკითხის დასმის უფლება გააჩნია ყველა წევრ-სახელმწიფოს და ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ამგვარად, გაერთიანებული ერების წესდება არ ხმარობს ტერმინს – „ეროვნული უმცირესობა“, მაგრამ ქმნის მათი დაცვის რეალურ გარანტიებს.

შემდგომ გაერო-ს ორგანოებში დაიწყო ეროვნული უმცირესობის ცნების და შინაარსის შეფუშავება. ძალზე ძნელი გახდა „ეროვნული უმცირესობის“ ცნების დადგენა. ამან განაპირობა, რომ პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ იხსენიებს „ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს“, რომლებსაც მიეცემათ უფლება ისარგებლოს თავისი კულტურით, რელიგიით, მშობლიური ენით. ამგვარად ამ ჯგუფებს მიეცემა ფართო ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლება და არა უფლება შექმნან ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმონაქმნი, მით უმეტეს, სუვერენული სახელმწიფო, რადგანაც ეს ჯგუფები ცხოვრობენ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად მიეკუთვნება ამ სუვერენული სახელმწიფოს ხალხს (ერს) და მოქცეულია მისი სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში.

ეს დებულება შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა – ის ერიც, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში ცხოვრობს და, თუნდაც ძირძველი მოსახლეობაა, მაგრამ უმცირესობას წარმოადგენს, მასაც თვითგამორკვევის უფლება არ გააჩნია, თუ ის დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს და მისი ინტერესები ადეკვატურად არის დაცული და სხვ. სტრუქტურებში.

ურღვევ პრინციპად არის აღიარებული, რომ ეროვნული უმცირესობის პრეტენზია არ შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ეს კიდევ ერთხელ დამტკიცებული იქნა „პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ და „ჰელსინკი-2“-ის გადაწყვეტილებებში.

დღეს „ეროვნული უმცირესობის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობაზე და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით.

ქ. ჟენევაში 1991 წლის იელისში მოწვეულ ექსპერტთა თათბირზე მიღებულ იქნა ნუსხა იმ უფლება-მოვალეობებისა, რომელიც მიეცემა და ეკისრება ეროვნულ უმცირესობებს, მათ ცალკეულ წარმომადგენლებს. მთავარი ამოსავალი დებულება მდგომარეობს შემდეგში – ყოველ ეროვნულ უმცირესობას მიეცემა სრული თანასწორუფლებიანობა საზოგადოების პოლიტიკურ, სამოქალაქო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში. ამის გარდა სახელმწიფოს ევალება შეუქმნას მათ ყველა პირობა თავისი ენობრივი, რელიგიური, თუ ეთნიკური თვითმყოფადობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტში ხაზგასმულია ეროვნული უმცირესობის მოვალეობა იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ. არ დაუშვან დისკრიმინაცია ამ რეგიონში მცხოვრები იმ პირების მიმართ, რომელნიც მიეკუთვნებიან სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის უმრავლესობას ან სხვა ეროვნულ უმცირესობას.

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობისათვის პოლიტიკური ავტონომიისა და თვითმმართველობის უფლების მინიჭებას, სახელმწიფოების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს საკითხი სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლებისა და ეროვნულ უმცირესობას შორის მიღწეული შეთანხმებით წყდება. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას სახელმწიფოს ხელისუფლების უზენაესი ორგანო ღებულობს ქვეყნის უშიშროებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

„ჰელსინკი 2"-ის თათბირზე შეიქმნა სპეციალური ორგანო – „ეროვნული უმცირესობის საქმეთა უზენაესი კომისარი", რომელსაც ევალება სახელმწიფოში ეთნიკური და სხვა სახის დაძაბულობის არსებობის დროულად დადგენა და სათანადო ზომების მიღება. ეს ზომები შეიძლება იყოს ან „წინასწარი გაფრთხილება" ან „სასწრაფო მოქმედება".

პირველ შემთხვევაში უზენაესი კომისარი, სათანადო ინფორმაციის მიღებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, მიმართავს მოქმედი თავმჯდომარის მეშვეობით უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტს შეტყობინებით, რომ ამა და ამ სახელმწიფოში პოტენციალური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე შეიქმნა (ე.ი. არსებული დაძაბულობა შეიძლება გადაიზარდოს კონფლიქტში ევროგაერთიანების რეგიონში, რომელიც დაემუქრება მშვიდობას, სტაბილურობას ან მონაწილე სახელმწიფოებს

შორის ურთიერთობას), რაც საბჭოს და კომიტეტის ყურადღებასა და სათანადო მოქმედებას მოითხოვს.

„სასწრაფო მოქმედება“ გულისხმობს უზენაესი კომისრის უფლებას ითხოვოს უმაღლესი თანამდებობის პირთა კომიტეტისაგან უფრო ფართო რწმუნებულება, რათა ყოველისმომცველად შეისწაულოს სიტუაცია, დაამყაროს უფრო მჭიდრო კონტაქტები დაინტერესებულ მხარეებთან. კომიტეტს უფლება აქვს უარყოს ასეთი თხოვნა ან, პირიქით, დააკმაყოფილოს იგი და გასცეს სათანადო მანდატი.

თუ კონფლიქტის თაობიდან აცილება ვერ მოხერხდა, საკითხი გადადის ევროგაერთიანების ორგანოებში, რომლებიც აღჭურვილია უფლებით მიიღონ სათანადო ზომები, პირველ რიგში ეს ეხება „კონფლიქტების თაობიდან აცილების ცენტრს“.

გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიამ მოამზადა „დეკლარაცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“. გენერალურმა ასამბლეამ თავის 48-ე სესიაზე მიიღო ეს აქტი.

დეკლარაცია განსაზღვრავს იმ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს.

მათ მიეცემათ უფლება თავისუფლად ეზიარონ თავის კულტურას, რელიგიას, გამოიყენონ თავისი ენა საჯარო და პირად ცხოვრებაში, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აგრეთვე, სახელმწიფოს ცენტრალური თუ რეგიონალური ორგანოების დონეზე მიიღოს მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება უმცირესობის ბედს. იმ რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ უმცირესობათა წევრები უფლებამოსილნი არიან დაამყარონ კავშირები ამავე ჯგუფის სხვა წევრებთან ან სხვა უმცირესობებთან, საზღვარგარეთ მცხოვრებ ამ უმცირესობის მონათესავე პირებთან (მუხ. 1-3).

სახელმწიფოები საჭიროებისამებრ ღებულობენ ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია; ქმნიან ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც მისცემენ საშუალებას აღნიშნულ პირებს გამოამჟღავნონ თავისებურებანი და განავითარონ თავისი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები, ჩვეულებანი, თუ კონკრეტული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობასა

და საერთაშორისო სამართალს; აღნიშნულ პირებს შეძლებისამებრ მისცენ საშუალება შეისწავლონ თავისი მშობლიური ენა ან მიიღონ განათლება ამ ენაზე; აქტიურად ჩაებან უმცირესობანი ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისა და განვითარების პროცესში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დებულება, რომლის თანახმად აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც „ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს“ (მუხლი 8, პუნქტი 4).

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მწვავედ დადგა სსრ კავშირიდან გამოსულ სუვერენულ სახელმწიფოებში, და, პირველ რიგში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში, სადაც ე.წ. ეთნიკური კონფლიქტები იმართება რეაქციული წრეების მიერ და მათი უშუალო დახმარებით. ყველას კარგად ესმის, რომ არც ყარაბახის, არც დნეპრისპირეთის, არც სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემები არ წარმოიშობოდა მოსკოვის პოლიტიკის წაქეზების გარეშე, რომელიც ცდილობდა აეფეთქებინა შიგნიდან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“.

საქართველოში ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ და აფხაზეთში წარმოშობილი შეიარაღებული კონფლიქტები აშკარა პროვოკაციულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფას, საქართველოს გამოყოფას „ერის თვითგამორკვევის უფლების“ რეალიზაციის მოტივით.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს პრინციპი ვერ შეეფარდება ეროვნულ უმცირესობას.

ამდენად, შეიარაღებული კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე სამართალსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს და მათმა წამომწყებმა უნდა აგოს პასუხი სახელმწიფო დანაშაული ჩადენის გამო, რაც არ გამორიცხავს ამ კონფლიქტში ჩაბმული მხარეების მიერ ომის წესების დაცვას (იხ. თავი XV).

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მოქმედებს რამდენიმე სპეციალური დანიშნულების კონვენცია:

**1. კონვენციები და შეთანხმებანი მონობისა და მონობით ვაჭრობის აღკვეთის შესახებ.**

**2. კონვენცია ქალთა პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.** (მიღ. 1952 წ.).

**3. კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ.** (მიღ. 1952 წ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის მიერ).

**4. კონვენცია ქორწინებაში მყოფი ქალის მოქალაქეობის შესახებ.** (მიღ. 1957 წ.).

**5. კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის ლიკვიდაციის შესახებ,** (მიღ. 1977 წ.).

ადამიანის უფლებათა დაცვისათვის იღწვიან გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციებიც.

იუნესკო-ს ჩარჩოებში მოქმედებს 1960 წლის **კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ,** ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში **კონვენცია (N111) შრომის და დასაქმების სფეროში** (1958 წ.).

## *4. გაეროსა და რეგიონალურ ორგანიზაციებში ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოები*

საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება ყველა სახელმწიფოს საშინაო საქმეა. მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოები აღიარებენ საერთაშორისო ორგანოების უფლებას – კონტროლი გაუწიონ მათ მყარ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მსვლელობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გაერო-ს ფუნქციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გათვალისწინებულია წესდების პრეამბულაში, პირველი მუხლის მე-3 პუნქტით, მე-13, 62, 76, აგრეთვე 55-ე და 56-ე მუხლებში. გაერო-ს ძირითადი ორგანოები, რომლებიც აღჭურვილნი არიან უფლებით – განიხილონ ადამიანის უფლებათა საკითხები არის გენერალური ასამბლეა და ეკონომიკური და სოციალური საბჭო.

ადამიანის უფლებათა საკითხების უმრავლესობა განიხილება გენერალური ასამბლეის სესიების დროს. პირველად საკითხები იხილება მესამე კომიტეტში (სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული საკითხების კომიტეტი). ზოგიერთი საკითხი გადაეცემა სხვა კომიტეტებში – პირველს და სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში, მეორე (საფინანსო საკითხები) ან მეოთხე კომიტეტში (არათვითმმართველი და მეურვეობაში მყოფი ტერიტორიები) და სხვ. ყოველი კომიტეტი საკითხს განიხილავს დღის წესრიგის მიხედვით და განხილვის დამთავრებისას უგზავნის

გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას სპეციალურ მოხსენებას კენჭისყრის შედეგების ჩათვლით.

გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს შექმნას დამხმარე ორგანოები, რასაც ის ხშირად აკეთებს. ასე მაგალითად, შეიქმნა სპეციალური კომიტეტი აპარტეიდის თაობაზე, სპეციალური ჯგუფი ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესამოწმებლად.

გენერალური ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში ადამიანის უფლების დარგში აქტიურ ხელმძღვანელობას ეწევა **ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი).** იგი შედგება 54 წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ სამი წლის ვადით გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე შემდეგი გეოგრაფიული წარმომადგენლობის წესის დაცვით: აფრიკის ქვეყნებიდან – 14, აზიის ქვეყნებიდან – 10, ლათინური ამერიკიდან – 10, დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნებიდან – 13, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – 6.

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მუშაობის საერთო გეზი სწორი მიმართულებით ვითარდება, იგი მიმართულია ძირითადად ადამიანის უფლებების უხეში და მასობრივი დარღვევების წინააღმდეგ, როგორიცაა რასობრივი დისკრიმინაცია, აპარტეიდი.

მთავარ დამხმარე ორგანოს ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში წარმოადგენს **ადამიანის უფლებათა საბჭო,** რომელიც შეიქმნა 2005 წელს ადამიანის უფლებათა კომისიის ნაცვლად, რომელიც 1946 წლიდან მოღვაწეობდა. საბჭო შედგება 47 წევრისაგან.

1947 წელს ადამიანის უფლებათა კომისიამ შექმნა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისია, რომელსაც ამჟამად ეწოდება გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია.

ქვეკომისიის დღის წესრიგში მუდმივად დგას საკითხი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის შესახებ ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კოლონიებში, დამოკიდებულ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე რასისტული დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის, აგრეთვე აპარტეიდის პოლიტიკის ჩათვლით. ამ საკითხის განხილვისას ქვეკომისია ატარებს ღია სხდომებს, რომელთა მსვლელობაში ქვეკომისიის ყველა წევრს, გაერო-ს ყველა დანარჩენ წევრ-სახელმწიფოს

მეთვალყურეს და 1 და 2 კატეგორიის არამთავრობათშორის ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კამათში.

## ევროპის საბჭო

როგორც აღინიშნა, მთელ რიგ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში მიღებულია საერთაშორისო აქტები და შექმნილია ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით (ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია და სხვა).

განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპის საბჭოს, ერთ-ერთ უძველეს რეგიონალურ სახელმწიფოთშორის ორგანიზაციას, რომელსაც იმთავითვე საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში სავალდებულო საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების შემუშავება და მათი შესრულების ცალკეული წევრი სახელმწიფოების მხრიდან მკაცრი მაკონტროლებელი ორგანოთა სისტემის შექმნა.

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ქ. ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს – ბელგიის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ირლანდიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, საფრანგეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად.

1949-1970 წლებში ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ რვა სახელმწიფო. 1990 წლამდე ორგანიზაცია რჩებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად. 1989 წელს ევროპის საბჭომ შეიმუშავა ქვეყნებისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეუწყო ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას. პოსტკომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პროცესებმა ევროპის საბჭოს წევრთა შემადგენლობაზეც იქონია გაცლენა. 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ქ. ვენაში ჩატარდა ევროპის საბჭოს სამიტი, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ევროპის საბჭოს გაფართოების პოლიტიკა. ევროპის საბჭოში გაწევრიანდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის 17 სახელმწიფო. დღეისთვის ევროპის საბჭოში 41 წევრი სახელმწიფოა. -ზემოთ ხსენებული 10 სახელმწიფოს გარდა ევროპის საბჭოს შეუერთდნენ თურქეთი, საბერძნეთი (1949), გერმანია და ესპანეთი (1950), ავსტრია (1956), კვიპროსი (1961), შვეიცარია (1963), მალტა (1965), პორტუგალია (1976),

ესპანეთი (1977), ლიხტენშტეინი (1978), სან-მარინო (1988), ფინეთი (1989), უნგრეთი (1980), პოლონეთი (1991), ბულგარეთი (1992), ესტონეთი, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა (1993), ანდორა (1994), ალბანეთი, ლატვია, მაკედონია, მოლდოვა, უკრაინა (1995), რუსეთი, ხორვატია (1996), საქართველო (1999), აზერბაიჯანი და სომხეთი (20001), ბოსნია-ჰერცოგოვინა (2004), სერბია და მონტენეგრო, მონაკო (2004).

ჯერჯერობით საბჭოს ჰყავს ერთი „სტუმრის სტატუსის" მქონე სახელმწიფო ბოსნია-ჰერცოგოვინა.

ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ევროპის საბჭოს წევრი, თუ საბჭო ჩათვლის, რომ ამ სახელმწიფოში დაცულია კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები არა სიტყვით, არამედ საქმით.

ევროპის საბჭო მდებარეობს ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი).

ევროპის საბჭო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

– ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა; ევროპის თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების (ეროვნული უმცირესობის, ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, გარემოს დაცვის, ადამიანის კლონირების, შიდსის, ორგანიზებული დანაშაულისა და ა.შ.) გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება: პოლიტიკური, საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმების მხარდაჭერის გზით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება.

ევროპის საბჭო განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, გარდა თავდაცვის საკითხებისა. მისი მოქმედების პროგრამა მოიცავს შემდეგ სფეროებს: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ სფეროში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი დემოკრატია და საზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და რეგიონალური დაგეგმარება.

ევროპის საბჭოს ორგანოებია:

მინისტრთა კომიტეტი – ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტ-

რებისაგან (ან მუდმივ წარმომადგენლებისაგან ევროპის საბჭოში). კომიტეტი იხილავს და იღებს ბიუჯეტს, წყვეტს ახალი წევრების მიღების საკითხს, განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. მისი გადაწყვეტილებები რეკომენდაციის სახეს ატარებს, მათ შორის კონვენციების და სხვა შეთანხმებების ტექსტები, რომლებიც საჭიროა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის მათი რატიფიკაციის შემდეგ. ზოგიერთი კონვენციის რატიფიცირება აუცილებელია საბჭოში სრულუფლებიანი წევრობისათვის (მაგ. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ).

**საპარლამენტო ასამბლეა** – ერთიანური პარლამენტების წევრების ფორუმი, რომელიც იხილავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს. მასში ყოველი წევრი სახელმწიფო წარმოდგენილია ერთიანურ პარლამენტში არსებული ძირითადი პოლიტიკური პარტიების და მოძრაობების წარმომადგენლებისაგან. (ამჟამად დაახლოებით 700-მდე დეპუტატია). იკრიბება პლენარულ სხდომებზე წელიწადში ოთხჯერ. მისი გადაწყვეტილებანი რეკომენდაციის სახით ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს, როგორც საბოლოო ინსტანციაში, მაგრამ ახალი წევრების მიღება კომიტეტს არ შეუძლია პარლამენტის თანხმობის გარეშე.

ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი – შედგება წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი ხელისუფლების პალატისა და რეგიონების პალატისაგან. იკრიბება წელიწადში ერთხელ ქ. სტრასბურგში. ძირითადი ამოცანაა განამტკიცოს დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა და განვითარება ადგილებზე.

სამდივნო – უწევს ტექნიკურ დახმარებას ყველა მთავარ ორგანოს, მრავალ კომისიას. შედგება 1 300 თანამშრომლისაგან. სამდივნოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა.

ევროპის საბჭო გამოირჩევა მრავალი ფუძემდებლური ხასიათის მქონე საერთაშორისო კონვენციების შემუშავებით, ერთი მათგანი წინ უსწრებდა გაეროს სისტემაში მიმდინარე პროცესებს. ასე, მაგ. უკვე 1950 წელს მიღებული იქნა ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (მოგვიანებით მასში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი დამატებები 11 ოქმის სახით).

აღსანიშნავია ასევე ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც მიღებული იქნა 1961 წელს, ხოლო 1996 წელს ჩამოყალიბდა მისი გადამუშავებული ტექსტი. სულ, დღეისათვის მიღებულია 150-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობებს, რეგიონალურ ენებს, არჩევნების დემოკრატიზაციას, წამების აკრძალვას და სხვ. საქართველო მრავალი კონვენციის მონაწილეა, ზოგიერთი კი განხილვის პროცესშია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და ევროპის სასამართლო, რომელიც შექმნილია ამ კონვენციის ძალით.

**ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ** – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიღებულია რომში 1950 წლის 4 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. კონვენცია პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია, რომელმაც მოიცვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომპლექსი.

კონვენცია ითვალისწინებს რიგ უფლებასა და თავისუფლებას, მათ შორის სიცოცხლის უფლებას, წამების, მონობისა და იძულებითი სამუშაოს აკრძალვას, სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებას, სამართლიანი სასამართლოს მიერ დაცვას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, მრწამსისა და სიტყვის თავისუფლებას, შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლებას, დარღვეული უფლებების ეფექტური აღდგენის უფლებას, დისკრიმინაციის აკრძალვას და სხვა. რიგი უფლებები გათვალისწინებულია კონვენციის დამატებით ოქმებში. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უ'ხრუნველყონ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირისათვის.

კონვენციის ეფექტურობა განპირობებულია ადამიანის უფლებათა დაცვის შექმნილი სისტემით. კონვენციაში განმტკიცებული ვალდებულებების ეფექტურ შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებისათვის შექმნილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (მუხლი 19, აგრეთვე ოქმი №11), რომელშიც წარმოდგენილია ყველა წევრი სახელმწიფო.

კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს ენიჭება უფლება მიმართოს სასამართლოს კონვენციის სხვა მონაწილე

სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის შესახებ (მუხლი 33).

სასამართლო ასევე უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს საჩივრები კერძო პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფისაგან, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ (მუხლი 34). სასამართლო ასევე უფლებამოსილია გამოიტანოს საკონსულტაციო დასკვნა კონვენციის და მისი ოქმების განმტკიცების საკითხზე (მუხლი 48).

სასამართლო განსახილველად იღებს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომლებიც აკმაყოფილებს კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლო მიუღებლად ჩათვლის საჩივარს თუ პირის, არასამთავრობო ორგანიზაციისა ან პირთა ჯგუფის მიერ არ არის ამოწურული თავისი უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები; ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებიდან სასამართლოში საჩივრის წარდგენამდე ექვს თვეზე მეტია გასული; საჩივარი ანონიმურია; იგი უკვე განიხილებოდა სასამართლოს მიერ ან სხვა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოს მიერ; შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან; აშკარად დაუსაბუთებელია ან საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებაა. სასამართლოს უფლება აქვს მიუღებლად გამოაცხადოს საჩივარი, თუ იგი ჩათვლის, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. 2010 წელს მე-14 დამატებითი ოქმით კონვენციას დაემატა მისაღებობის ახალი კრიტერიუმი, რომლის თანახმად, სასამართლო მიუღებლად ცნობს ინდივიდუალურ საჩივარს, თუ ის მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვა მოითხოვს ამგვარი საჩივრის არსებითი მხარის განხილვას და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლით არც ერთი ის საქმე ვერ იქნება უარყოფილი, რომელიც ეროვნული სასამართლოების მიერ სათანადოდ არ იყო განხილული (მუხლი 35.3).

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი გამოცხადებულია მისაღებად, სასამართლო იღებს ზომებს საქმის დაინტერესებულ მხარეებს შორის (მომჩივანი და სახელმწიფო) მეგობრული გზით გადაწყვეტისათვის (მუხლი 39). მხარეებს შორის დავის მეგობრული გზით გადაწყვეტის მიღწევის შემთხვევაში შესაბამისი

სახელმწიფო ფინანსურ კომპენსაციას უხდის ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლს, ხოლო რიგ შემთხვევაში, სახელმწიფოს ცვლილებაც კი შეაქვს თავის კანონმდებლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ მეგობრული გზით მხარეებს შორის შეთანხმება არ იქნა მიღწეული, სასამართლო განიხილავს საჩივარს და გამოაქვს საბოლოო განაჩენი.

სასამართლოში შემოსულ საქმეებს განიხილავენ ერთი მოსამართლე, კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი მოსამართლის შემადგენლობით და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. კომიტეტებს სასამართლოს პალატები ქმნიან განსაზღვრული ვადით (მუხლი 26.1.). საქმის ერთი მოსამართლის შემადგენლობით განხილვისას, მოსამართლეს არ აქვს უფლება განიხილოს საჩივარი იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ, რომლისგანაც ის მოსამართლედ იქნა არჩეული (მუხლი 26.3.). მოსამართლე, არჩეული იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც განსახილველ საქმეზე მხარეს წარმოადგენს, არის პალატის ან დიდი პალატის *ex officio* წევრი. თუ ასეთი მოსამართლე არ არის ან მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოცემული საქმის განხილვაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ წინასწარ წარმოდგენილი კანდიდატების სიიდან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ შერჩეული პირი (მუხლი 26.4.).

ერთ მოსამართლეს შეუძლია მიუღებლად ცნოს ან განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივარი, თუ ამგვარი განჩინების მიღება შესაძლებელია საჩივრის შემდგომი შესწავლის გარეშე. ეს განჩინება საბოლოოა. თუ ერთი მოსამართლე მიუღებლად არ ცნობს ან საქმეთა ნუსხიდან არ ამორიცხავს საჩივარს, ის საქმეს გადასცემს კომიტეტს ან პალატას შემდგომი განხილვისთვის (მუხლი 27).

კომიტეტს შეუძლია, ერთხმივი განჩინებით, 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივარი: ა) მიუღებლად ცნოს ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ ამგვარი განჩინების მიღება შესაძლებელია საჩივრის შემდგომი შესწავლის გარეშე; ან ბ) ცნოს საჩივარი მისაღებად და ამავე დროს გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი მხარის შესახებ, თუ საჩივარში დასმული

საკითხები, რომლებიც კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებას ეხება, სასამართლოს კარგად დადგენილი პრეცედენტის საგანია (მუხლი 28.1).

თუ ერთი მოსამართლის ან კომიტეტის მიერ არ იქნა მიღებული 27-ე ან 28-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინება, მაშინ ინდივიდუალური საჩივრის მისაღებობასა და არსებით მხარეს პალატა იხილავს. საჩივრის მისაღებობის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანა ცალკეც შეიძლება. პალატა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს მიერ წარდგენილი საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ (მუხლი 29).

თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს უწინდელ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, გადაწყვეტილების გამოტანამდე პალატას შეუძლია თავისი იურისდიქცია დაუთმოს დიდ პალატას, თუ არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის (მუხლი 30). გამონაკლის შემთხვევაში, საქმის მონაწილე ნებისმიერი მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან 3 თვის განმავლობაში. დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით დაეთანხმება ამ მოთხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს. თუ კოლეგია დაეთანხმება მოთხოვნას, დიდი პალატა საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას (მუხლი 43).

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს განაჩენი იურიდიულად სავალდებულოა სახელმწიფოებისათვის. სასამართლოს განაჩენის შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (მუხლი 46). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აკისრებს ვალდებულებას მოპასუხე ქვეყანას ცალკეულ შემთხვევაში მომჩივანს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაციები და იმავდროულად აღადგინოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში, ვიდრე იგი ევროპული კონვენციის დარღვევის დადგენამდე იმყოფებოდა. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია შეცვალოს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა თუ პრაქტიკა, რათა მომავალში მსგავსი დარღვევები არ

დადგინდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

სასამართლო განლაგებულია ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი). საქართველომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1999 წელს, ხოლო 1999 წლის მაისში წევრი არჩეულ იქნა სასამართლოს შემადგენლობაში.

## ადამიანის უფლებათა ბანმტკიცების, განვითარებისა და დაცვის სფეროში უნივერსალური საერთაშორისო კონტროლის ორგანოები და პროცედურები

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ორგანიზაციისა და განმტკიცების მიზნით თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივმა პრაქტიკამ შეიმუშავა საერთაშორისო კონტროლის მექანიზმის სხვადასხვა სახეები. უნდა ითქვას, რომ ამ სახის თანამშრომლობა ახალია საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში და პირველ ხანებში სახელმწიფოების უნდობლობას იწვევდა. საჭირო გახდა ხანგრძლივი და მძაფრი დიპლომატიური მოლაპარაკება, მანამ საერთაშორისო კონტროლის პირველი ფორმები ჩამოყალიბდა.

ერთ-ერთ გამოცდილ ფორმად გვევლინება ის პროცედურა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა წესდებით და გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციებისა და რეზოლუციების შესრულების კონტროლის მიზნით.

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1956 წლის 26 იულისის 1074 (XXXIX) რეზოლუციის ძალით დაწესდა გაერო-ს წევრ-სახელმწიფოთა მიერ გენერალური მდივნისათვის პერიოდული მოხსენებების წარდგენის პროცედურა. მოხსენებების წარდგენა ხდება სამწლიანი ციკლების მიხედვით. გენერალური მდივანი გზავნის ამ მოხსენებებს ადამიანის უფლებათა კომისიაში, რომელიც მათ განსახილველად ქმნის სპეციალურ ჯგუფს. ერთდროულად კომისიას ეგზავნება წარდგენილი მოხსენებების ანალიზური მიმოხილვა, რომელშიც დასისტემებულია წარმოდგენილი ინფორმაცია. განხილვის შედეგებს ჯგუფი, რომელიც კომისიის სესიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე იკრიბება, განსახილველად უგზავნის ადამიანის უფლებათა საბჭოს, ეს უკანასკნელი კი განხილვის შედეგებს ატყობინებს ეკონომიკურ

და სოციალურ საბჭოს კომისიას მოხსენების სახით, რომელიც შეიცავს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი სისტემა ამართლებს თავის დანიშნულებას და საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ საქმიან და ნაყოფიერ ფორმას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოხსენებები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანოებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა კომისია და ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რომელთა სხდომებს ბევრი სხვა წევრ-სახელმწიფო, გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციები და აგრეთვე უამრავი ნებაყოფლობითი საერთაშორისო არასამთავრობათაშორისო ორგანიზაცია ესწრება, აიძულებს მოხსენების წარმომდგენ სახელმწიფოს, სრული პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ საქმეს. რადგანაც ყოველი მოხსენება უნდა ასახავდეს შესაფერისი უფლებების ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, ყოველი სამწლიანი ციკლის მოახლოებისას სახელმწიფოები ცდილობენ ახალი ღონისძიებების გატარებას და ერიდებიან ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებს.

ყველაფერი ეს ობიექტურად დადებითად მოქმედებს ადამიანის უფლებათა გარანტიისა და განმტკიცების პროცესზე მსოფლიოს მასშტაბით. მოხსენებათა წარდგენის სისტემა შემოღებულია აგრეთვე საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომელიც აკალებს პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს, წარუდგინოს გაერო-ს გენერალურ მდივანს მოხსენებები იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ და რა პროგრესს მიაღწიეს ამ პაქტით აღიარებული უფლებების დაცვის საქმეში. გენერალური მდივანი ამ მოხსენებებს უგზავნის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად. გენერალური მდივანი ამ მოხსენებებს უგზავნის აგრეთვე სპეციალიზებულ დაწესებულებებს, უფრო სწორად, იგზავნება პაქტის მონაწილე იმ სახელმწიფოთა მოხსენება ან მოხსენებათა რომელიმე შესაბამისი ნაწილი, რომლებიც ამ სპეციალიზებულ დაწესებულებათა წევრები არიან, რამდენადაც ასეთი მოხსენება ან მოხსენებათა ნაწილები მათი კონსტიტუციური აქტების შესაბამისად ეხება ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა მოვალეობების ფარგლებში შემავალ რომელიმე საკითხს. როგორც ცნობილია, ძირითადად აქ ნაგულისხმები არიან გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და

კულტურული ორგანიზაცია და ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაცია.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოხსენებებს წარმოადგენენ ეტაპობრივად იმ პროგრესის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ ერთი წლის განძილზე პაქტის ძალაში შესვლის შემდეგ უნდა დაადგინოს მონაწილე სახელმწიფოებსა და დაინტერესებულ სპეციალიზებულ დაწესებულებებთან კონსულტაციით (მუხ. 17). საბჭოს შეუძლია შეუთანხმდეს სპეციალიზებულ დაწესებულებებს იმის თაობაზე, რომ წარუდგინოს მოხსენებანი პაქტის იმ დებულებათა შესრულების გზაზე მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლებიც განეკუთვნება მათი საქმიანობის სფეროს (მუხ. 18). საბჭოს შეუძლია მოხსენებები ადამიანის უფლებათა კომისიას გადასცეს განსახილველად და ზოგადი რეკომენდაციების მისაცემად ან, შესაბამის შემთხვევაში, ცნობად. პაქტის მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოებსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებს შეუძლიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს წარუდგინოს შენიშვნები ყველა ზოგადი რეკომენდაციის გამო ან ადამიანის უფლებათა კომისიის რომელიმე მოხსენებასა თუ რომელიმე დოკუმენტებში მითითებული ასეთი ზოგადი რეკომენდაციის გამო (მუხ. 20).

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია დროდადრო წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენებები, რომლებშიც იქნება ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები და ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებისა და სპეციალიზებული დაწესებულებებისაგან მიღებული ამ ცნობების მოკლე შინაარსი, რომლებიც ეხება პაქტით აღიარებული უფლებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებს (მუხ. 21).

ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების, მათი დამხმარე ორგანოებისა და ტექნიკური დახმარების სპეციალიზებულ დაწესებულებათა ყურადღება მიაქციოს პაქტის ამ ნაწილში აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ ორგანოებისათვის, როცა თითოეულ მათგანს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოაქვთ გადაწყვეტილებანი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საერთაშორისო ღონისძიებანი,

რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პაქტის თანდათან და ეფექტიან ხორციშესხმას (მუხ. 22).

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ აღიარებული უფლებების განხორციელების ხელშემწყობ საერთაშორისო ღონისძიებებს განეკუთვნება ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა კონვენციების დადება, რეკომენდაციათა მიღება, ტექნიკური დახმარების გაწევა და კონსულტაციების მიზნით რეგიონალური თათბირებისა და ტექნიკური თათბირების მოწყობა, აგრეთვე დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ორგანიზებული გამოკვლევები (მუხ. 23).

როგორც ეხედავთ, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ მჭიდროდ აკავშირებს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მოვალეობებს გაერო-ს ორგანოთა სისტემასთან.

მოხსენებათა წარდგენის პროცედურა გათვალისწინებულია იმ პაქტითაც, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეხება, ⁄.მაგრამ ეს პროცედურა აგებულია არა მუდმივ საწყისებზე, არამედ დამოკიდებულია ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოთხოვნაზე (მუხ. 40). კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ და კონვენცია აპარტეიდის შესახებ აგრეთვე ითვალისწინებს მოხსენებათა პროცედურას. თუ პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ და კონცეფცია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ მოხსენებათა განსახილველად სპეციალურ ორგანოებს აწესებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, კონვენცია აპარტეიდის შესახებ საერთაშორისო კონტროლს გაერო-ს ორგანოებს აკისრებს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი ქმნის სპეციალურ ჯგუფს, რომელიც კომიტეტსა და კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოთა სამი წარმომადგენლისაგან შედგება. ჯგუფი განიხილავს წარმოდგენილ მოხსენებებს და შედეგებს აცნობებს კომისიას. თვით ადამიანის უფლებათა კომიტეტი კი საკმაოდ ფართო ფუნქციებით არის აღჭურვილი. მოხსენებების განხილვის გარდა, კომისიამ უნდა შეადგინოს სია იმ პირებისა, ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, რომელთაც ბრალი ედებათ კონვენციის II მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენაში. ამის გარდა უნდა შედგეს სია იმ პირებისა, რომელთა მიმართ კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოები აწარმოებენ სასამართლო პროცესებს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი და რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი თავისი სტრუქტურითა და კომპეტენციით ერთმანეთის მსგავსია. ეს იმით აიხსნება, რომ კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ შემუშავებულ იქნა საერთაშორისო პაქტების დებულებების გათვალისწინებით. მართალია, იგი უფრო ადრე (1969 წლის იანვარში) შევიდა ძალაში, ვიდრე პაქტები, მაგრამ საკონტროლო მექანიზმის სტრუქტურა და კომპეტენცია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის რიგ დებულებებს იმეორებს.

აღნიშნული პაქტის 28-29-ე და კონვენციის მე-8 მუხლების თანახმად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი და რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტი ირჩევიან ოთხი წლით, 18 წევრის შემადგენლობით (ყოველ ორ წელიწადში 9 წევრის გადარჩევით). ორივე კომიტეტს ირჩევს მონაწილე სახელმწიფოთა სპეციალური კონფერენცია წევრთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით. 1969 წელს არჩეულ იქნა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი, ხოლო 1977 წელს – ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ორივე კომიტეტი ატარებს ყოველწლიურად ორ სესიას. რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოების მიერ წარდგენილ მოხსენებებს, რასაც კონვენციის მე-9 მუხლი მოითხოვს. კონვენციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით კომიტეტმა ჩათვალა, რომ მას შეუძლია განიხილოს ყველა ის მოხსენება, პეტიცია ან სხვა ინფორმაცია, რომელსაც განაგებს გაერო-ს სხვა ორგანოები და რომელიც კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებს ეხება (მიუხედავად იმისა, ეხება ეს ინფორმაცია კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოს თუ არა) და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს თავისი აზრი გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილ მოხსენებაში.

კომიტეტი მეტად მოქნილი და ეფექტური ორგანო გამოდგა. მან უკვე 30-ზე მეტი სხდომა ჩაატარა. ყველა მათგანი სერიოზულ და საქმიან ვითარებაში წარმოებდა და წარმოებს. კომიტეტმა რამდენიმე სერიოზული დასკვნა გამოიტანა; მაგალითად, მიუთითა რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტზე აშშ-ის ადმინისტრაციის იურისდიქციის ქვეშ მყოფი პანამის არხის ზონაში, მხილებულ იყო აგრეთვე ისრაელის მიერ ოკუპირებულ ჰოლანის მაღლობების არეში არსებული დისკრიმინაცია. ეს ინფორმაცია მოწოდებული იყო შესაბამისად

პანამისა და სირიის მთავრობების მიერ, რომელნიც განიხილავენ ამ არეებს თავისი სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიებად. გენერალურმა ასამბლეამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და შესაბამისი რეკომენდაციები შეიტანა კომიტეტის მოხსენების თაობაზე მიღებულ რეზოლუციებში.

ამავე პრინციპზეა აგებული ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც 1977 წლიდან მუშაობს. პაქტის მე-40 მუხლის თანახმად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, წარმოადგინონ მოხსენებები, თუ რა ღონისძიებები დასახეს ამ პაქტით აღიარებულ უფლებათა განხორციელებისათვის და რა პროგრესს მიაღწევს ამ უფლებათა გამოყენებაში.

რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციისაგან განსხვავებით პაქტი შეიცავს დებულებას (მუხ. 41), რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია ცნოს კომიტეტის კომპეტენცია – მიიღოს და განიხილოს ცნობა, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განაცხადი, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას. კომიტეტი არ იღებს არავითარ ცნობას, თუ იგი ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული ცნობების განხილვა ხდება სპეციალური პროცედურის მიხედვით, რომელიც დაინტერესებული სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპს ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის დებულებანი ძალაში შედის, როცა პაქტის მონაწილე ათი სახელმწიფო გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

როგორც ეხედათ, პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ითვალისწინებს აღნიშნული საკითხის მეტად სერიოზულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურად მეტად მძაფრ ხასიათს. ერთი სახელმწიფოს მიერ მორე სახელმწიფოს მიმართ კომიტეტში საჩივრის შეტანას ვარაუდობს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ორივე სახელმწიფო აღიარებს კომიტეტის

ასეთ კომპეტენციას, აღსანიშნავია, რომ 1990 წლისათვის მხოლოდ ოცდაოდე სახელმწიფომ აღიარა ეს პროცედურა.

ამჯერად ადამიანის უფლებათა კომიტეტი ძირითადად მოხსენებების განხილვით კმაყოფილდება, რაც სათანადო ატმოსფეროში ხდება და კომიტეტის მიერ გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილ მოხსენებებშია ასახული. ამგვარად, როგორც ეხედავთ, საერთაშორისო ასპარეზზე შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობენ ადამიანის უფლებათა სფეროში სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საერთაშორისო საკონტროლო ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობის საწყისებს ეყრდნობიან. სწორედ ამიტომაა, რომ ორგანოების საქმიანობა იძლევა დადებით ნაყოფს და თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო თანამშრომლობაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების განმტკიცებისა და განვითარების მიზნით.

მხოლოდ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით შეიძლება შეიქმნას და ეფექტურად მოქმედებდეს ადამიანის უფლებათა სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის ორგანოები. ამას ნათლად მოწმობს არსებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები და მათ საფუძველზე შექმნილი საკონტროლო ორგანოები, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ადამიანის უფლებების სფეროში ჭეშმარიტად ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია.

ამავე დროს გამოიკვეთა ახალი მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვისადმი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მხრივ ეუთოს მიერ, რამაც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი ჭეშმარიტად საერთო საკაცობრიო ფასეულობად აქცია და ახალ საფეხურზე აიყვანა. „ჰელსინკი-2"-ის შემდგომ საბოლოოდ დადგინდა, რომ ადამიანის უფლებათა საკითხი არ შეიძლება ითვლებოდეს სახელმწიფოს წმინდა საშინაო საქმედ, ეს კატეგორია ზესახელმწიფოებრივ სფეროს მიეკუთვნება და ეუთოს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ ამ გაერთიანების უფლებას საჭიროებისამებრ „ჩაერიოს" ამა თუ იმ სახელმწიფოში შექმნილ სიტუაციაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ კონკრეტულ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებს ან

ადამიანთა ჯგუფებს, ან სიტუაცია ძაბავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს.

**ადამიანის უფლებათა საბჭო**

საბჭო დაარსდა 2006 წლის 15 მარტს გენერალური ასამბლეის №60/251 რეზოლუციის საფუძველზე და მან ჩაანაცვლა ყოფილი გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია.

ადამიანის უფლებათა საბჭო არის გაეროს მთავრობათაშორისი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიო მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებაზე. იგი ასევე განიხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევების ცალკეულ სიტუაციებს და იღებს რეკომენდაციებს.

საბჭო შედგება 47 გაეროს წევრი ქვეყნის წარმომადგენლისაგან, რომელსაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა.

2006 წლის 15 მარტის გენერალური ასამბლეის №60/251 რეზოლუციით საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება აწარმოოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და დაცვის მხრივ. აღნიშნული მექანიზმის მიზანია განიხილოს ადამიანის უფლებების მდგომარეობის საკითხები გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა აძლევს თითოეულ სახელმწიფოს საშუალებას განაცხადოს, თუ რა ღონისძიებები განახორციელა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა განმტკიცების მიზნით და დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად. ადამიანის უფლებათა სიტუაციების შეფასებისას უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა უზრუნველყოფს ყველა ქვეყნისადმი თანაბარ მოპყრობას.

2011 წლის ოქტომბრისათვის ამ მექანიზმის საფუძველზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობა განხილულ იქნა გაეროს 193 ქვეყანაში. ამჟამად, არ არსებობს რაიმე მსგავსი უნივერსალური ინსტრუმენტი.

## *5. თავშესაფრის უფლება*

თავშესაფრის უფლების ქვეშ იგულისხმება თავის ქვეყანაში პოლიტიკური საქმიანობისათვის დევნილი უცხოელის უფლება – შეაფაროს თავი სხვა სახელმწიფოს და არ იქნეს დაბრუნებული. როგორც ვხედავთ, ამ უფლებებით მხოლოდ

პოლიტიკური ემიგრანტები სარგებლობენ, რაც მათ მკეთრად განასხვაებს სისხლის სამართლის დამნაშაეისაგან.[174]

ყოველი სახელმწიფო თეითონ წყვეტს, ვის და როგორ მიეცემა თაეშესაფრის უფლება. ეს საკითხები მისი შინაგანი კომპეტენციის სფეროში შედის. მაგრამ ზოგჯერ სახელმწიფოები მიმართავენ საერთაშორისო შეთანხმებებსაც, რაც აადვილებს თაეშესაფრის ინსტიტუტის რეგლამენტაციას.

საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში განასხვაებენ თაეშესაფრის ორ ფორმას – **ტერიტორიულ და დიპლომატიურ თაეშესაფარს.** პირველი ფორმა, რომელიც საყოველთაოდ

---

[174] თაეშესაფრის უფლებამ მრავალსაუკუნოეანი ისტორია განელო. იგი გეხვდება ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში – მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, „სოციალიზმი" და მისი შინაარსი იცვლება კაცობრიობის განვითარების პროგრესთან ერთად. ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლეთში, აფრიკასა და ანტიკურ ქვეყნებში (საბერძნეთი, რომი) პირი, რომელიც შეაფარებდა თავს სხვა სახელმწიფოს, დანაშაულის ხასიათის მიუხედავად, იძენდა თაეშესაფრის უფლებას. თაეშესაფრის უფლება ენიჭებოდა პირს, რომელიც შეაღწევდა ტაძარს, ან სხვა წმინდა ადგილს (ღმერთების მონუმენტები, ტაძრებისა და მთელი ქალაქის მიდამოები), რასაკვირველია მონებზე ეს უფლება არ ერცელდებოდა, თუმცა ათენში და რომში მათ ენიჭებოდათ ერთგვარი შეღავათი – შეეძლოთ ეძებნათ თაეშესაფარი ზუსტად დადგენილ ტაძრებში, პატრონის ულმობელობისაგან თავის დაღწევად. თაეშესაფრის უფლება ფართოდ გამოიყენებოდა ფეოდალიზმის ხანაში – ქალაქი-სახელმწიფოები ხშირად აძლევდნენ თაეშესაფრის უფლებას გამოქცეულ გლეხებს. რელიგიური შუღლისა და ომიანობის პერიოდში რელიგიის მომხრენი მასობრივად აფარებდნენ თავს ერთმორწმუნე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. IV საუკუნიდან ქრისტიანულ ტაძრებს შეეძლოთ თაეშესაფარი მიეცათ თავის კედლებში და გადაეცათ იმ შემთხვევაში, თუ პირს არ დასჯიდნენ სიკვდილით ან არ მიაყენებდნენ სხეულის დაზიანებას, მაგრამ მთელი ამ პერიოდის მანძილზე პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავენი მკვეთრად არ განსხვაედებოდნენ ერთმანეთისაგან, უფრო მეტიც. სწორედ პოლიტიკურ დევნილებს უბრუნებდნენ მშობლიურ სახელმწიფოს. მხოლოდ საფრანგეთის რეეოლუციის პერიოდიდან იწყება დღევანდელი მნიშვნელობით თაეშესაფრის ინსტრუქციის ჩამოყალიბების ისტორია. ყველა ქვეყნის თავისუფლებისათვის დევნილ პოლიტიკურ მოღვაწეებს უფლება მიეცათ თავი შეეფარებინათ საფრანგეთში (იხ. საფრანგეთის ეროვნული კრების 1791 წლის 29 დეკემბრის დეკლარაცია და 1793 წლის კონსტიტუციის 120 მუხლი, მალე ეს პრინციპი აღიარეს სხვა სახელმწიფოებმაც).

აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპს წარმოადგენს, შეადგენს პირის უფლებას მოითხოვოს უცხოეთის სახელმწიფოში თავშესაფარი. ეს პრინციპი დამტკიცებულია გაერო-ს 1948 წლის საყოველთაო დეკლარაციაში ადამიანის უფლებათა შესახებ, 1967 წლის დეკლარაციაში ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ. ამჟამად მუშავდება კონვენცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ, რომელიც აღნუსხავს პირისა და თავშესაფრის მიმცემი სახელმწიფოს უფლება-მოვალეობებს.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს თავშესაფრის მინიჭებას ისეთი პირებისათვის, რომელთა მიმართ არსებობს სერიოზული საფუძველი ჩათვალონ ისინი სამხედრო დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირებად.

**დიპლომატიური თავშესაფრის** ქვეშ იგულისხმება თავშესაფრის მიცემა პირისათვის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, სამხედრო საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე.[175]

დღეს შეიძლება განვასხვაოთ სახელმწიფოთა ოთხი ჯგუფი:

ა) სახელმწიფოები, რომლებიც არ ცნობენ და არ იყენებენ ამ ინსტიტუტს (ეს ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია).

ბ) სახელმწიფოები, რომლებიც კრძალავენ დიპლომატიურ თავშესაფარს თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ანიჭებენ ამ უფლებას თავის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობებს და სხვა ორგანოებს (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ).

გ) სახელმწიფოები, რომლებიც აძლევენ დიპლომატიურ თავშესაფარს თავის დაწესებულებებში და აღიარებენ ამ უფლებას მათ ტერიტორიაზე მდებარე დიპლომატიურ და სხვა დაწესებულებათა მიმართ (ლათინური ამერიკის ქვეყნები).

დ) სახელმწიფოები, რომლებიც თეით არ ანიჭებენ დიპლომატიურ თავშესაფარს, მაგრამ აღიარებენ ასეთ

---

[175] ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა XVI-XVIII საუკუნეებში, მაგრამ გამოიყენებოდა სიხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ. როგორც წესი, XVIII საუკუნის დამლევიდან თითქმის ყველა პოლიტიკურ ემიგრანტს აბრუნებდნენ მშობლიურ ქვეყანაში. ზოგიერთი ქვეყანა (ჰოლანდია, ესპანეთი, რუსეთი და სხვ.) ადგება დიპლომატიური თავშესაფრის უფლების შეზღუდვის ლიკვიდაციის გზას. მაგრამ დღესაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს ზოგიერთ ქვეყანაში.

უფლებას მათ ტერიტორიაზე (ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა, საბერძნეთი).

# თავი X

## საერთაშორისო სისხლის სამართალი და საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობა დანაშაულთან ბრძოლაში

### *1. საერთაშორისო სისხლის სამართალი და ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი (ხალხი) და სპეციალური სუბიექტები. მაგრამ, საერთაშორისო სამართლის განვითარებამ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ფიზიკური პირის საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფცია მკაფიოდ დაამკვიდრა.

საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის დარგია. სამართლის ამ მიმართულების მარეგულირებელი წესები საერთაშორისო სამართლის წყაროებიდან (ხელშეკრულებები, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ა.შ.) იღებს სათავეს. საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო სამართლის შედარებით ახალი დარგია. ქმედებების ის სია, რომელნიც საერთაშორისო

დანაშაულებად მოიხსენიება, ეტაპობრივი განვითარების შედეგად შეიქმნა.

საერთაშორისო დანაშაული სულ ოთხია: ომის დანაშაულები, გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, აგრესია.

ომის დანაშაულები სათავეს „ომის წესებისა და ჩვეულებებიდან“ იღებს, რომლებიც ადამიანს შეიარაღებულ კონფლიქტში გარკვეული დაცვის გარანტიას უზრუნველყოფს.

გენოციდი და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განვითარება ადამიანთა, მათ შორის საკუთარივე სახელმწიფოების მთავრობების მიერ, უფლებების მასობრივი მძიმე დარღვევებისგან დასაცავად განვითარდა.

აგრესიის დანაშაულის გამოკლებით, რომელიც სახელმწიფოთშორის ხ. კონფლიქტს ეხება, საერთაშორისო სისხლის სამართალი შეეხება ადამიანსა და ადამიანის დაცვას უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევებისგან. ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა ტადიჩის საქმეში აღნიშნა: „სახელმწიფოს სუვერენიტეტზე მიმართული მიდგომა თანდათან ადამიანზე ორიენტირებული მიდგომად შეიცვალა– საერთაშორისო სამართალი, ბუნებრივია, სახელმწიფოთა ინტერესების ლეგიტიმური დაცვის პარალელურად, ეტაპობრივად ადამიანთა დაცვისკენ უნდა შებრუნდეს...“

აგრესიის სამართლებრივ განმარტებაზე შეთანხმება კი საერთაშორისო თანამეგობრობამ მხოლოდ 2010 წელს შესძლო; თუმცა, ეს დეფინიცია სულ მცირე 2017 წლის 1 იანვრამდე არ შეეა ძალაში. ამასთან, აგრესიის დანაშაული, სამი დანარჩენი დანაშაულისგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანთა და მათი ადამიანის უფლებების სასტიკი დარღვევებისგან დაცვაზეა მიმართული, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტს მოიაზრებს.

XIX საუკუნის ბოლოსკენ მხოლოდ ომის დანაშაულები იყო ცნობილი. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დღის წესრიგში დადგა აგრესიული ომის წამომწყებთა დასჯა, თუმცა ვერსალის ხელშეკრულებით მხოლოდ აგრესიული ომის გაკიცხვას დასჯერდნენ.

მეორე მსოფლიო ომმა საერთაშორისო თანამეგობრობისა, და, განსაკუთრებით, ამ ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა, დღის წესრიგში კვლავ დააბრუნა იმ დანაშაულების ჩამდენთა დასჯის საჭიროება, რომლებმაც „შეძრა მთელი ცივილიზებული მსოფლიოს შეგნება“.

თუმცა, ჯერ კიდევ 1945 წელსაც კი საერთაშორისო დანაშაულების არ არსებობამ, და უფრო მეტი, იმ ქმედებათა ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების არ არსებობამ, რასაც დღეს საერთაშორისო დანაშაულებს ვუწოდებთ, მეორე მსოფლიო ომის დროს დანაშაულის ჩამდენთა პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების მომდევნო ეტაპი 1990-იანი წლების დასაწყისიდან შეინიშნება. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი როგორც მათი სამართლებრივი ბაზის, ისე შესაბამისი პრაქტიკის განვითარება მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ საერთაშორისო სისხლის სამართლის ჩამოყალიბების პროცესში.

2002 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ძალაში შესვლით თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი ინსტიტუციური ჩამოყალიბების ფაზის ერთ-ერთი ეტაპი დასრულდა.

განსხვავებულისგან უნდა განვასხვავოთ საერთაშორისო სახის დანაშაული. ცნობილია, რომ ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს დანაშაულის სახეებსა და მასთან ბრძოლის საშუალებებს, მაგრამ ზოგიერთი დანაშაული თავისი არსით სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია საერთაშორისო დანაშაულის ცნება და სახეები. ამჯერად საქმე გვექნება ისეთ სისხლის სამართლებრივ ქმედობასთან, რომელიც თავისი მნიშვნელობით ვერ წვდება საერთაშორისო დანაშაულის დონეს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს საერთაშორისო-სამართლებრივ თანამშრომლობას ამ სახის დანაშაულების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის.

## 2. დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება

უკვე კარგა ხანია სახელმწიფოები ცდილობენ, ბოლო მოუღონ ისეთ დანაშაულს, როგორიცაა ყალბი ფულის

დამზადება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტერორიზმი, მონათვაჭრობა და სხვა. დაიდო მთელი რიგი კონვენციები, რომლებიც იურიდიულად აფიქსირებენ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობას კონკრეტული საერთაშორისო სახის დანაშაულთან ბრძოლაში. აღვნიშნავთ ყველაზე მნიშვნელოვან აქტებს, რომლებიც დღეს განსაზღვრავენ საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროებს და შინაარსს კონკრეტულ დანაშაულთან ბრძოლაში. მიეყეთ ამ აქტებს ქრონოლოგიის მიხედვით, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ყველა მათგანი არ არის თანაბარი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობისა.

ა) კონვენცია ტელეგრაფის წყალქვეშა კაბელის დაცვის შესახებ (1884 წ.) ითვალისწინებს ერთობლივ ბრძოლას იმ პირთა და გემთა წინააღმდეგ, რომლებიც აზიანებენ აღნიშნულ კაბელებს და აფერხებენ კომუნიკაციას, ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არხის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ბ) კონვენციები ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის შესახებ მრავალჯერ დაიდო (1904, 1910, 1921, 1933 წ.წ.), 1959 წელს დაიდო კონვენცია ადამიანებით ვაჭრობასთან და მესამე პირთა მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ. კონვენცია ითვალისწინებს მხარეთა ერთობლივ საქმიანობას საროსკიპოებში გაყიდვის მიზნით ადამიანების მოტაცებასთან საბრძოლველად და პროსტიტუციის ექსპლუატაციის ბიზნესის აღკვეთისათვის. სახელმწიფოები სისტემატურად აწვდიან ერთმანეთს ცნობებს „ცოცხალი საქონლით“ მოვაჭრეების შესახებ, სახავენ ერთობლივ ოპერაციებს ამ სახის დამნაშავეთა შესაპყრობად და ა.შ. დიდ როლს ასრულებს ამ საქმეში „ინტერპოლი“ (ÈÍÒÅÐÏÎË), საერთაშორისო პოლიცია, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გ) კონვენცია მონობის შესახებ (1926 წ. იმ დამატებებით, რომელიც შეიტანეს 1953 წ.) და დამატებითი კონვენცია მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და წეს-ჩვეულებების გაუქმების შესახებ.[176]

---

[176] მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითქმის წარმოუდგენელი უნდა იყოს მონობა და მონათვაჭრობა, კაცობრიობის ეს სენი დღემდე არსებობს ტრადიციული ფორმით თუ არა, სხვა, მონობის მსგავსი სახით, მონობას იცნობს ზოგიერთი არაბული სახელმწიფო, ფაქტიურ მონებად იქცევიან აშშ-ში არალეგარულად გადაყვანილი მექსიკელები – „ჩიკანო“, იაპონიაში მშობლების მიერ გაყიდული შვილები.

ფრანგული გაზეთის „მატენის“ ცნობით დღეს მსოფლიოში 100 მილიონი მონაა. ეს ცნობები ეყრდნობა ჯერ კიდევ 1839 წელს ინგლისში შექმნილი ერთ-ერთი უძველესი არასამთავრობათშორისო ორგანიზაციის – „მონობასთან ბრძოლის ბრიტანეთის საზოგადოების“ მოხსენებებს. ეს ორგანიზაცია გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან კონსულტაციური სტატუსით სარგებლობს და მსოფლიოში საკმაოდ დიდი ავტორიტეტი გააჩნია. აღმოჩნდა, რომ ჰაიტის ყოფილი დირექტორი დიუვალიე ყოველწლიურად უგზავნიდა დომინგოს რესპუბლიკის პლანტატორებს 2000 მონას და ღებულობდა „საკომისიო თანხას“ – 100 დოლარს კაცში. განსაკუთრებით მძიმე ხვედრი ხვდა წილად მცირეწლოვან ბავშვებს, რომლებიც დიდ ექსპლუატაციას (10-15 საათი დღეში) განიცდიან. დიდი მოგება მოაქვთ აშშ-ის, ინგლისის, იაპონიის კომპანიებს, რომლებიც საქმიანობენ აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მოიპოვება ფაქტები ბავშვების მონური შრომის შესახებ აშშ-ში, ინგლისში, იტალიაში. ხშირია ქალ-ვაჟების ყიდვა საროსკიპოების, მემამულეების და სხვათა მიერ. ცნობილი გახდა, რომ ლონდონში მცხოვრებმა ოჯახმა 3500 ფრანკად იყიდა მწვანე კონცხის კუნძულებზე მცხოვრები ქალიშვილი. საჭირო გახდა დიპლომატიური ჩარევა, რომ ეს სამარცხვინო კონტრაქტი დარღვეულიყო. ფილიპინელი ქალი ნებაყოფლობით დადგა მონად კუვეიტის ერთ-ერთ მდიდარ ოჯახში, მიღებული თანხა მან მისცა მრავალრიცხოვან ოჯახს, რომელიც ამოწყვეტის საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ სულ მალე სასტიკი ექსპლუატაციის გამო იძულებული გახდა გაქცეულიყო.

1928 წლის კონვენცია ითვალისწინებს ბრძოლას ტრადიციულ მონობასთან, ე.ი. ადამიანის ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც ეკუთვნის სხვა პირს საკუთრების უფლებით. მონათვაჭრობად ითვლება ა) ყველა ქმედობა დაკავშირებული პირის შეპყრობასა და შეძენასთან ან მის განკარგვასთან მონად გადაქცევის მიზნით, ბ) ყველა ქმედობა, რომელიც დაკავშირებულია მონის შეძენასთან მისი გაყიდვის ან გაცვლის მიზნით, გ) საერთოდ ყველა ქმედობა დაკავშირებული მონებით ვაჭრობასა და მათ გადაყვანასთან.

1956 წელს დადებულმა დამატებითმა კონვენციამ გააფართოვა „მონობის“ ცნება და შეუფარდა კონვენცია ისეთ ქმედობას, როგორიცაა ყმობა, ქალების და ბავშვების ყიდვა-გაყიდვა, საცალო კაბალა, სხვა სახის იძულებითი მუშაობა.

ისჯება არა მარტო პირის მოხად გადაქცევა ძალით, არამედ მისი დაყოლიება ნებაყოფლობით ჩადგეს მონურ მდგომარეობაში. სასტიკად ისჯება მონის ან დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფი პირის დასახიჩრება, სხეულზე დამლის ამოწვით ან სხვა რაიმე საშუალებით მონური მდგომარეობის აღნიშვნა ან პირის დასჯა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, კონვენციებით გათვალისწინებული შემთხვევები არ არის გამოგონილი, ისინი რეალური ფაქტების გამოელინების წინააღმდეგაა მიმართული, ამ მხრივ ბევრს აკეთებს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისია და მისი რასობრივი დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისია.

ჯერ კიდევ 1950-იან წლებში გაერო-ს ჩარჩოებში ჩატარებული იყო სპეციალური გამოკვლევა მონობისა და მონობის მსგავსი საკითხების ირგვლივ, გამოსცეს სპეციალური მოხსენება „მონობის შესახებ“. 1970-იან წლებში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად მოახსენებს რასობრივი დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა ქვეკომისიას როგორ ასრულებენ სახელმწიფოები არსებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს, რა ზომებს ღებულობენ, რომ არ დაუშვან ამ სახის დანაშაული თავის ტერიტორიაზე.

მსოფლიოში მონობის ორი საუკუნის წინ აკრძალვის მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოებამ 2000 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო განამტკიცა და ხელმოსაწერად გახსნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების კონვენცია და მასთან ერთად, მისი დამატებითი ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ. ამით სახელმწიფოების მიერ საფუძველი ჩაეყარა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დეფინიციის ჩამოყალიბებას. ამავდროულად, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) აღიარებული იქნა მონობის თანამედროვე ფორმად, რაც როგორც პალერმოს კონვენციაში, ასევე სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებშიც იქნა ასახული.

ევროპის საბჭოს ფარგლებშიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ანუ სხვაგვარად მონობის თანამედროვე ფორმის წინააღმდეგ მიმართული სპეციალური კონვენცია მხოლოდ 21-ე საუკუნეში შემუშავდა. კონვენცია ხელმოსაწერად

2005 წლის 16 მაისს, ვარშავაში გაიხსნა. მისი - ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის ძალაში შესვლა კი 2008 წლამდე ვერ მოხერხდა. თუმცა, ეს ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული პირველი დოკუმენტი არ გახლავთ, რომელიც მონობის ახალი ფორმისგან ადამიანის დაცვაზეა ორიენტირებული. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით იძულებითი შრომისგან ადამიანის დაცვის უფლების გარანტირებასთან ერთად, 1980-იანი წლების მიწურულიდან ევროპის საბჭომ ამ სფეროში მრავალი ინიციატივა წარმოაჩინა. ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევისთვის გლობალური საფუძვლის მიმცემი ამ ფენომენის წინააღმდეგ საბრძოლველად სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა. ამ თვალსაზრისით ევროპის საბჭოს როგორც მინისტრთა კომიტეტმა, ისე საპარლამენტო ასამბლეამ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული სპეციალური კონვენციის მიღებამდე მრავალი დოკუმენტი შეიმუშავა.

კონვენციის შემუშავებასა და მისი ძალაში შესვლამდე, როგორც აღვნიშნეთ, ევროპის სამართლებრივ სივრცეში იძულებითი შრომისგან, რაც თანამედროვე პირობებში მონურ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენების ტოლფასი შესაძლოა, გახდეს, თავისუფლება ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით იყო უზრუნველყოფილი. თუმცა, ამ დებულებაზე დაყრდნობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხოლოდ ორი საქმით შემოიფარგლება, რომელთაგან პირველზე 2005 წელს გამოიტანა სასამართლომ გადაწყვეტილება[177], ეს იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Silidan v. France* (73316/01), 26.07.2005, ხოლო სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით მეორე გადაწყვეტილება კი მხოლოდ 2010 წელს მიიღო; ეს გახლავთ საქმეზე *Rantsev v. Cyprus and Russia* (25965/04) გადაწყვეტილება, 07.01.2010.

დ) 1923 წლის კონვენცია **პორნოგრაფიული გამოცემებისა და მათი ვაჭრობის აღკვეთის შესახებ.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი შესაბამისად

ითვალისწინებს ამ სახის დანაშაულის კლასიფიკაციას და დასჯას: პორნოგრაფიული ნაწარმოებების, ნაბეჭდი გამოცემების, გამოსახულებების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვაგვარი საგნების დამზადება ან გავრცელება, ან რეკლამირება, აგრეთვე ამ საგნებით ვაჭრობა ან მათი შენახვა გაყიდვისა, ან გავრცელების მიზნით ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით და ა.შ.

ე) 1929 წლის **კონვენცია ყალბი ფულადი ნიშნების დამზადების შესახებ** მიზნად ისახავს ყალბი ფულის მკეთებლებთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზებას ისე, რომ დაისაჯოს არა მარტო ადგილობრივი ფულის ფალსიფიცირება, არამედ უცხოური ვალუტისაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ყალბი საბანკო-ბილეთის, ლითონის მონეტის, ფასიანი ქაღალდების ან ვალუტის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების მიზნით, ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სხვადასხვა ვადით (3-7 ან 7-15 წ-მდე), ყოველი მხარე უფლებამოსილია თვითონ დასაჯოს თავისი მოქალაქე, მიუხედავად იმისა, სად მოხდა დანაშაული – უცხო ქვეყანაში თუ თავის სამშობლოში.

ვ) 1958 წლის **კონვენცია ღია ზღვის შესახებ** და 1982 წლის **კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ** ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობას საზღვაო მეკობრეობასთან ბრძოლაში.

ზ) ერთობლივი **კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ (1961), ოქმი ამ კონვენციაში შესწორებების შეტანის შესახებ (1972 წ.) და კონვენცია ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა შესახებ (1971 წ.).** სისხლის სამართლით ისჯება ნარკოტიკული და ფსიქოტროპიული ნივთიერებების კულტივისაცია და წარმოება, შენახვა, ყიდვა-გაყიდვა, შემოტანა და გატანა (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260, 262, 265-267, 269, 271-273-ე მუხ.); დამნაშავე აგებს პასუხს იმ ქვეყნის სასამართლოს წინაშე, რომლის მოქალაქეც არის მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა. ამისათვის ყოველი მხარე მოვალეა გადასცეს მის მიერ დაკავებული დამნაშავე დასასჯელად იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი (პირები).

უკანასკნელ წლებში დაიდო რამდენიმე კონვენცია, რომლებიც მოწოდებულია მობილიზაცია გაუკეთოს

საერთაშორისო საზოგადოებრიობას თანამედროვეობის ყველაზე მძიმე საერთაშორისო სახის დანაშაულთან ბრძოლის აქტივიზაციის მიზნით. ასეთებს მიეკუთვნება:

***საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული აქტები.***

ა) 1973 წლის კონვენცია იმ პირების წინააღმდეგ დანაშაულთა თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ დიპლომატიური აგენტების ჩათვლით.

ამ კონვენციის დადების აუცილებლობა განპირობებული იყო სახელმწიფოს მეთაურებზე და სხვა წამყვან პოლიტიკურ მოღვაწეებზე, დიპლომატებზე და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებზე ხშირი ტერორისტული თავდასხმებით, რომლებსაც მსხვერპლი მოყვებოდა[178].

---

[178] ჯერ კიდევ 1934 წლის 9 ოქტომბერს მარსელში (საფრანგეთში) მოკლეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბარტუ. ერთა ლიგამ შეიმუშავა სპეციალური კონვენცია ტერორიზმის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ (1937 წ.), რომელშიაც პირველად განისაზღვრა ტერორიზმის ცნება და სახეები. მაგრამ კონვენცია ძალაში ვერ შევიდა დასავლეთის ქვეყნების საბოტაჟის გამო. 1971 წელს ამერიკის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს რეგიონალურ კონვენციას იმ ტერორისტული აქტების ჩადენის თავიდან აცილების და დასჯის შესახებ, რომლებიც ღებულობენ პირთა წინააღმდეგ დანაშაულის ფორმას და დაკავშირებული არიან გამოძალვასთან, როდესაც ასეთი აქტები ატარებენ საერთაშორისო ხასიათს. ეს კონვენცია ავალებდა სახელმწიფოებს ყველა ღონე ეხმარათ საერთაშორისო სამართლით დაცული პირების უსაფრთხოების გარანტირებისათვის. განსაკუთრებით იფეთქა ამ სახის დანაშაულებმა 1950-70 წწ. 1955 წ. 14-15 თებერვალს რუმინეთის დიპლომატიურ მისიას ბერლინში თავს დაესხა ტერორისტთა ჯგუფი, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, 1976 წ. 7 თებერვალს ფრანკფურტში (გფრ) მოკლეს იუგოსლავიის კონსული, 1975 წლის 24 აპრილს სტოკჰოლმში მდებარე გფრ-ის საელჩო ხელთ იგდო დასავლეთ გერმანიის ანარქისტულმა ორგანიზაციამ „ბაადერ-მაინჰოფმა“, ტერორისტებმა მძევლებად აიყვანეს თორმეტი დიპლომატი, მათ შორის გფრ-ის ელჩი დ. შტეკერი. მათ მოითხოვეს ორგანიზაციის დაპატიმრებული 26 წევრის განთავისუფლება. როდესაც გფრ-ის მთავრობამ უარყო ეს მოთხოვნა, ტერორისტებმა მოკლეს ჯერ სამხედრო ატაშე, ხოლო შემდგომ ატაშე ეკონომიკურ საკითხებზე, აიფეთქეს შენობა და დააპირეს გაქცევა, მაგრამ ვერ შეძლეს და შეპყრობილ იქნენ.

კონვენციის ძალით საერთაშორისო დაცვის ქვეშ იმყოფებიან შემდეგი პირები: სახელმწიფოს მეთაური, იმ კოლეგიური ორგანოს ყოველი წევრის ჩათვლით, რომელიც ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას, საზღვარგარეთ მყოფი მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი, აგრეთვე მათთან მყოფი ოჯახის წევრები; სახელმწიფოს ან სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველი წარმომადგენელი ან თანამდებობის პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური დაცვის უფლება (დიპლომატიური ან სხვა სახის პრივილეგიები და იმუნიტეტი, იხ. თავი IX). საერთაშორისო სახის დანაშაულად ითვლება იმ პირების მიმართ განზრახ ჩადენილი მკვლელობა, გატაცება, თავდასხმა ოფიციალურ ან საცხოვრებელ ბინაზე, ამ პირთა სატრანსპორტო საშუალებებზე, ასეთი თავდასხმით მუქარა ან მისი ჩადენის მცდელობა (მუხ. 2). სახელმწიფოს იურისდიქციას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა დანაშაული ჩადენილი: მის ტერიტორიაზე, ან გემის, თვითმფრინავის ბაქანზე, რომელიც რეგისტრირებულია ამ სახელმწიფოში; თუ დამნაშავე არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე, როდესაც დანაშაული ჩადენილია მისი სახელით მოქმედი პირის წინააღმდეგ, რომელსაც იცავს კონვენცია (მუხ. 3), სახელმწიფოები ივალდებულებენ მიიღონ ყველა ზომა, რომ არ დაუშვან თავის ტერიტორიაზე აღნიშნული აქტების მომზადება და ჩადენა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია, კოორდინაცია გაუწიონ ადმინისტრაციულ და სხვა შესაბამის ღონისძიებებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენის აღკვეთისათვის, შეიპყრონ, დასაჯონ ან გადასცენ მათ ტერიტორიაზე მყოფი დამნაშავე (მუხ. 10). გათვალისწინებულია აგრეთვე, დამნაშაეთა გადაცემა იმ მხარისათვის, რომელიც ნახსენებია მეორე მუხლში, მაგრამ ორი გამონაკლისით: თუ სახელმწიფო არ ცნობს ინსტიტუტს სპეციალური ხელშეკრულების არსებობის გარეშე, წინამდებარე კონვენცია შეიძლება ჩაითვალოს ასეთად, სხვა შემთხვევაში დამნაშავის გადაცემა აღნიშნული დანაშაულისათვის შეტანილ უნდა იქნეს მხარეთა შორის ყველა დადებულ ახალ ხელშეკრულებაში გადაცემის შესახებ; მაგრამ თუკი არსებობს ასეთი, მასში ავტომატურად ჩაიწერება აღნიშნული დანაშაული, რომლებიც აწარმოებენ გადაცემას სპეციალური ხელშეკრულების არსებობის გარეშე, უნდა დაექვემდებაროს აღნიშნული დანაშაულის გადაცემის საწესებს (მუხ. 8).

ბ) ჰააგის 1970 წლის კონვენცია საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცებასთან ბრძოლის შესახებ, მონრეალის 1971 წლის კონვენცია უკანონო აქციებთან ბრძოლის შესახებ, მიმართული სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ.

ამ კონვენციების მიზანია შექმნან ყველა ის პირობა თვითმფრინავების გამტაცებლებისა და სამოქალაქო ავიაციის ნორმალური ფრენისათვის საფრთხის შემქმნელების დასასჯელად.[179]

ჰააგის კონვენცია, რომელშიაც ასზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობს, მიზნად ისახავს „ფრენის დროს“ ჩადენილი აქტების თავიდან აცილებასა და დასჯას. როგორც დადგინდა, „ფრენა“ გულისხმობს არა მარტო თვითმფრინავის ჰაერში ყოფნას, არამედ იგი იწყება კარების დახურვისა და დატვირთვის დამთავრების მომენტიდან და თავდება საჰაერო ხომალდის ნებისმიერი კარის გახსნით.

ამ პერიოდში თვითმფრინავში მყოფი ყოველი პირი, რომელიც უკანონოდ, ძალადობის ან მისი გამოყენების მუქარით, ან შეშინების სხვა ნებისმიერი ფორმის დახმარებით ხელში იგდებს საჰაერო ხომალდს ან მოიპოვებს მასზე კონტროლს, ჩაითვლება კონვენციის მიერ გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირად, იგივე კვალიფიკაცია შეეფარდება პირის მცდელობას, ჩაიდინოს ერთ-ერთი ზემოხსენებული აქტი ან თუ ის თანამონაწილეობს ასეთი აქტების ჩადენაში (მუხ. 1). სახელმწიფოები ივალდებულებენ, მკაცრად დასაჯონ დამნაშავეები (მუხ. 2), რისთვისაც კონვენცია ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, ძირითადში ისეთივეს, რასაც ზემოხსენებული, 1973 წლის კონვენცია საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ.

სახელმწიფო უფარდებს თავის იურისდიქციას დანაშაულს, თუ ის მოხდა ამ სახელმწიფოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდზე, თუ საჰაერო ხომალდი, რაზედაც მოხდა დანაშაული, ეშვება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩამდენ პირთან ერთად, თუ დანაშაული ჩადენილია საჰაერო ხომალდზე, რომელიც გადაეცა იჯარით, ეკიპაჟის გარეშე, ისეთ არენდატორს, რომელსაც საქმიანობის ძირითადი ადგილი, ან თუ ასეთი არ გააჩნია, მუდმივი

---

[179] 1960 და 1970 წლების მიჯნაზე საერთაშორისო საზოგადოებრიობა გახდა მოწმე თვითმფრინავების გატაცების ხშირი შემთხვევებისა, რაც ზოგჯერ მგზავრების დაღუპვას იწვევს.

ადგილსამყოფელი აქვს მოცემულ სახელმწიფოში. ყოველმა სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა შეიპყროს მის ტერიტორიაზე მყოფი დამნაშავე და გაასამართლოს იგი, თუ იგი არ ექვემდებარება გადაცემას, მიუხედავად იმისა ჩადენილია დანაშაული მის ტერიტორიაზე თუ არა (მუხ. 5-7).

კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს დამნაშაეთა გადაცემას; მის მიერ გათვალისწინებული დანაშაული ავტომატურად შეიტანება კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებულ ხელშეკრულებებში გადაცემის შესახებ ან, ასეთის უქონლობის შემთხვევაში, შეტანილი უნდა იქნეს ნებისმიერ ახლად დადებულ ხელშეკრულებაში გადაცემის შესახებ, როგორც დანაშაული, რომლის ჩამდენი ექვემდებარება გადაცემას; წინამდებარე კონვენცია შეიძლება ჩაითვალოს ასეთ ხელშეკრულებად, თუ გადაცემისათვის სახელმწიფოს აუცილებლად სჭირდება ხელშეკრულების არსებობა; სახელმწიფოებმა, რომლებიც არ განაპირობებენ გადაცემას ხელშეკრულების არსებობით, უნდა ჩათვალონ აღნიშნული დანაშაული, როგორც ისეთი, რომელიც ექვემდებარება გადაცემას, თუკი ამას ერთ-ერთი მხარე თხოულობს.

როგორც ვხედავთ, კონვენცია საკმაოდ მკაცრად განსაზღვრავს დამნაშავეთა დასჯის გარდაუვალობის საკითხს და ავალებს სახელმწიფოებს არ დაუშვან, რომ თვითმფრინავის გამტაცებლები დასჯის გარეშე დარჩნენ.

მონრეალის 1971 წლის კონვენცია ითვალისწინებს სხვა სახის დანაშაულის დასჯას: ძალადობის გამოყენება საჰაერო ხომალდზე მყოფი პირის მიმართ, თუ ასეთი აქტი ემუქრება „ფრენაში“ მყოფი ხომალდის უსაფრთხოებას: ექსპლუატაციაში მყოფი საჰაერო ხომალდის განადგურება ან ისეთი ზიანის მიყენება, რომელსაც გამოიწვევს იგი მწყობრიდან ან შეიძლება შეუქმნას ხომალდს საფრთხე ფრენის დროს; საჰაერო ხომალდში მოწყობილობის ან ნივთიერების შეტანა, რომელსაც შეუძლია ნგრევა ან სერიოზული ზიანის მიყენება; აერონავიგაციური მოწყობილობის განადგურება ან დაზიანება, ან მის ექსპლოატაციაში ჩარევა, თუ ასეთი აქტი ემუქრება საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას ფრენის დროს, ყალბი ცნობების განზრახ მიწოდება, რითაც ექმნება საფრთხე ჰაერში მყოფ საჰაერო ხომალდს (მუხ. 1).

აღსანიშნავია, რომ კონვენცია განმარტავს ტერმინ „ექსპლუატაციას“. საჰაერო ხომალდი ითვლება ექსპლუატაციაში მისი კონკრეტული ფრენისათვის მზადების მომენტიდან (რასაც მიწაზე მყოფი პერსონალი ან ეკიპაჟი აწარმოებს) და მთავრდება ნებისმიერ პუნქტში დაშვებიდან ოცდაოთხი საათის ამოწურვისას (ფრენა შედის „ექსპლუატაციის“ ცნებაში). კონვენცია ითვალისწინებს დამნაშავის შეპყრობის, დასჯის ან გადაცემის იგივე წესებს, რაც ჰააგის კონვენცია; ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია მოაწყოს თვითმფრინავში ჩასხდომისას მგზავრების, მათი ტვირთის შემოწმება და არ დაუშვას „საეჭვო ნივთიერებათა საჰაერო ხომალდში შეტანა“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248 მუხლი სპეციალურად ითვალისწინებს სასჯელს ასეთი სახის დარაშაულისათვის.

გარდა ამისა, ყველა სახელმწიფო მიმართავს უფრო ფართო ზომებს საჰაერო ხომალდების გატაცების შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით. ამისათვის აეროპორტში შემოღებულია მგზავრთა და მათი ტვირთის შემოწმების სპეციალური წესები, უახლესი ტექნიკის გამოყენებით. ამ ზომების მიზანია არ დაუშვან თვითმფრინავში ნებისმიერი იარაღის შეტანა, რაც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი გატაცებისათვის. იქ, სადაც ადგილი აქვს გულგრილობასა და სამსახურებრივი მოვალეობის უგულებელყოფას, ბოროტმოქმედნი ახერხებენ იარაღის გატანას, რომელსაც შემდგომ, როგორც წესი, სისხლიანი აქტები მოყვება, რომელსაც უკვე არაერთი ადამიანი შეეწირა.

საქართველო ამ კონვენციების მონაწილეა 1994 წლიდან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამ საკითხებს ეხება 227-ე მუხლი.

საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივმა ბრძოლამ საჰაერო ხომალდების და მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საგრძნობლად შეამცირა აღნიშნული სახის დანაშაულებათა რიცხვი, თითქმის აღმოიფხვრა თვითმფრინავების გატაცება პოლიტიკური შანტაჟისა და ფულადი თანხების გამოძალვის მიზნით. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მხოლოდ სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოების ერთსულოვანი და თანამიმდევრული ბრძოლა ნებისმიერი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისათვის შეიძლება იყოს საერთაშორისო მართლწესრიგის ხელშეუხებლობის გარანტია.

თავისი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში სახელმწიფოთა ორმხრივმა ხელშეკრულებებმა, რომლებიც უფრო დეტალურად განსაზღვრავენ საჰაერო ხომალდების გატაცების თავიდან აცილების საშუალებებს, დამნაშავეთა დასჯის გარდუვალობას. ამ ხელშეკრულებებით თვითმფრინავის გამტაცებლები უმალვე გადაეცემიან იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქენიც არიან, მკაცრი სასჯელის დადებისათვის. უბრუნდება დაზარალებულ სახელმწიფოს აგრეთვე საჰაერო ხომალდი, ეკიპაჟი და მგზავრები.

ტერორიზმთან ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც მიწასთან გასწორდა ნიუ-იორკის სიმბოლო ორი ცათამბჯენი (ვაჭრობის მსოფლიო ცენტრი) და განადგურდა ვაშინგტონში მდებარე თავდაცვის უწყების პენტაგონის შენობის ნაწილი, აშშ-ის საჰაერო სივრცეში თვითმკვლელი საერთაშორისო ტერორისტების ჯგუფების მიერ გატაცებული თვითმფრინავების დაჯახების შედეგად, რასაც 4000-მდე მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. იმთავითვე დადგენილ იქნა, რომ არაბეთის ქვეყნების მოქალაქეებისაგან შემდგარი ეს ჯგუფები ექვემდებარებოდნენ ავღანეთში თავშეფარებულ საუდის არაბეთის მოქალაქეს – ოსამა ბინ ლადენს და მიეკუთვნებოდნენ მის მიერ შექმნილ ტერორისტულ ქსელს – „ალ-ქაიდას“. ბინ ლადენი იძებნებოდა ნაირობსა (კენია) და დარ-ეს სალამში (ტანზანია) 1998 წლის 7 აგვისტოს აშშ-ის საელჩოების აფეთქების მოწყობის გამო, რასაც რამდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რის შემდეგაც მას განიხილავენ როგორც ნომერ I ტერორისტს.

11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა მკვეთრად იცვლის პოზიციას და ერთხმად აღიარებს საერთაშორისო ტერორიზმის **დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ**. რაც იმას ნიშნავს, რომ პირები, რომლებიც ეჭვმიტანილნი იქნებიან ასეთი აქტების მოწყობა-ჩადენაში, წარდგებიან საერთაშორისო იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე. უფრო მეტიც, ის სახელმწიფო, რომელიც თავშესაფარს აძლევს საერთაშორისო ტერორისტებს, მათ ლიდერებს, აძლევს უფლებას, იქონიონ იქ სასწავლო ბაზები და სხვა ინფრასტრუქტურა, შეიძლება გახდეს სამხედრო ოპერაციების ობიექტი დაზარალებული სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან, ასე მაგ., 2001 წლის ოქტომბერ-დეკემბერში აშშ-ისა და ანტიტერორისტულ

ალიანსში შემავალი მრავალი სხვა სახელმწიფოს ძალისხმევით განადგურებულ იქნა არა მარტო ტერორისტთა ბანაკები, შეიარაღებული ნაწილები, არამედ ავღანეთის უკანონო რეჟიმის – თალიბების შეიარაღებული ძალებიც, რასაც ქვეყანაში დემოკრატიული ხელისუფლების დამყარება მოჰყვა. საერთაშორისო ტერორიზმის აქტი, რომელსაც მოჰყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება როგორც ქმედება, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას (გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1373 (2001)) და შეადგენს ჩადენილ დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ.

## 3. დამნაშავეთა გადაცემა

წინა პარაგრაფში არაერთხელ შევხვედრივართ ტერმინს „დამნაშავეთა გადაცემა“. ამ ტერმინით აღინიშნება მთელი სამართლებრივი ინსტიტუტი. დამნაშავეთა გადაცემა სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახეა: სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება დამნაშავე, გადასცემს მას მეორე სახელმწიფოს, რომელიც ითხოვს ამ პირს სისხლის სამართალში მიცემის ან უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით.

სახელმწიფოები იყოფა ორ ჯგუფად – ერთნი გადასცემენ დამნაშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აკავშირებთ მთხოვნელ სახელმწიფოსთან ხელშეკრულება გადაცემის შესახებ, რომელიც ჩამოთვლის რა სახის დანაშაული ექვემდებარება გადაცემის საწყისებს. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი არ თვლის ხელშეკრულების არსებობას აუცილებელ ფაქტორად და გადასცემს დამნაშავეს თავის კანონმდებლობაში არსებული დებულებების მიხედვით.

საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა ძირითადი წესები, რომლებსაც იცავს ყველა სახელმწიფო:

ა) არ გადაიცემა საკუთარი მოქალაქე.[180]

ბ) არ გადაიცემა პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც სარგებლობს თაფშესაფრის უფლებით (იხ. თავი IX, პარ. 8).

---

[180] რამდენიმე სახელმწიფო გადასცემს თავის მოქალაქეებსაც (აშშ, ინგლისი).

გ) პირი გადაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედობა გადამცემი სახელმწიფოს კანონებით ისჯება.

დ) გადაცემული პირი შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის გამო მოხდა მისი გადაცემა.

ე) არ გადაიცემა პირი, რომლის მიმართ გამოტანილი განაჩენი ვერ აღსრულდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ვ) არ გადაიცემა პირი, რომლის მიმართ გამოტანილია განაჩენი ან შეწყვეტილია საქმის წარმოება მის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

ზ) ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ქმედობაზე საქმე აღიძვრება მხოლოდ კერძო ბრალდების წესით, ე.ი. დაზარალებულის განცხადების თანახმად.

თ) გადაცემის თაობაზე მოლაპარაკება დიპლომატიური ან საუწყებო (მაგ., პროკურატურების) არხებით ხორციელდება.

როგორც დაგინახეთ, მრავალმხრივი კონვენციები კონკრეტულ საერთაშორისო სახის დანაშაულთან ბრძოლის შესახებ საგანგებოდ მიუთითებენ გადაცემის აუცილებლობაზე, როდესაც ნათელია, რომ მომთხოვნელ სახელმწიფოს აქვს უფლება შეუფარდოს დანაშაულს თავისი იურისდიქცია.

## *4. ხელშეკრულებები სამართლებრივი დახმარების შესახებ*

დანაშაულობასთან საერთაშორისო ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ მთელ რიგ ღონისძიებებს სისხლის სამართლებრივი საქმეების წარმოებისა და სასამართლო პროცესის ჩატარების სრულყოფის უზრუნველყოფისათვის: ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს თხოვნით ატარებს ჩხრეკას, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ჩაბარებას და ბრალდებულის, მოწმეების, ექსპერტების დაკითხვას, სასამართლო დათვალიერებას, დამნაშავის გადაცემას და სხვ.

ბოლო წლებში საქართველომ დადო მთელი რიგი ასეთი ხელშეკრულებებისა აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, ბულგარეთთან, სომხეთთან, ხელი მოაწერა აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენციას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე

სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ. ყველა ეს დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ გადაცემას ექვემდებარება: ა) დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც ისჯება ორივე ქვეყნის კანონებით და რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი; ბ) თუ მოცემულ პიროვნებას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაცემაზე უარის თქმის კანონიერ შემთხვევებს, რომელიც ზემოაღნიშნულ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ეყრდნობა.

ხელშეკრულება, აგრეთვე, ითვალისწინებს გადასაცემი პირის დაპატიმრების პროცედურას, გადაცემის გადადების მიზეზებს, სისხლის სამართლებრივი დევნის ფარგლებს, ურთიერთკავშირების წესებს.

ამგვარად, ორივე მხარის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კარგად უნდა იცოდნენ, რა სახის საერთაშორისო ხელშეკრულება არსებობს სისხლის სამართლის (ისევე როგორც სამოქალაქო და საოჯახო სამართლის) ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით და გამოიყენონ ამ ხელშეკრულების დებულებები.

აღსანიშნავია აგრეთვე ხელშეკრულება თავისუფლებააღკვეთილ პირთა იმ სახელმწიფოში სასჯელის მოსახდელად გადაცემის შესახებ, რომლის მოქალაქენიც ისინი არიან.

ამ ხელშეკრულებით მხარეები ივალდებულებენ პირის გადაცემას სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოსათვის, რომლის მოქალაქეც არის, თუ უკვე მოხდა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა. თავის სახელმწიფოში ეს პირი არ შეიძლება გასამართლებულ იქნეს მეორედ ამავე საქმეზე, თუ აღნიშნული განაჩენი, რომელიც გამოიტანეს გადამცემ სახელმწიფოში, არ იქნა გაუქმებული და არ დაინიშნა ახალი გამოძიება ან სასამართლო გარჩევა.

მსჯავრდებულის გადაცემა არ ხდება, თუ:

ა) იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, ქმედობა, რისთვისაც მას მსჯავრი დაედო, არ არის დანაშაული;

ბ) სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, ჩადენილი ქმედობისათვის იგი დასჯილ იქნა ან გაამართლეს, ან საქმე შეწყვიტეს, აგრეთვე თუ პირი სასჯელისაგან განთავისუფლებულია ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ;

გ) სასჯელი არ შეიძლება აღსრულდეს სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო ან ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით;

დ) მსჯავრდადებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის სასამართლომაც გამოიტანა განაჩენი;

ე) ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ამ კონვენციით გათვალისწინებული მსჯავრდადებულის გადაცემის პირობების შესახებ.

მსჯავრდადებულის გადაცემის საკითხი შეიძლება აღძრას სახელმწიფომ, რომლის სასამართლომაც განიხილა საქმე, სახელმწიფომ, რომლის მოქალაქეც არის იგი, ან მსჯავრდადებულის ნათესავებმა ერთი ან მეორე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისადმი მიმართვით. ყველა შემთხვევაში, გადაცემის საკითხი ხორციელდება მხარეთა კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით, რომელთა სია ინახება დეპოზიტორ სახელმწიფოებთან. ეს შეიძლება იყოს პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო და ა.შ. კონვენცია ითვალისწინებს გადაცემის აღძერის წესებს, საჭირო დოკუმენტაციას, გადაცემის პროცედურას, მშობლიურ ქვეყანაში სასჯელის მოხდის წესს და სხვ.

## 5. საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის დიდი როლი, რომელიც მიუძღვის გაერო-ს საერთაშორისო სახის დანაშაულთან ბრძოლაში – თითქმის ყველა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ამ ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავდა.

მაგრამ ბევრი რამ კეთდება საერთოდ დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეების მიმართ მოპყრობის წესების კოორდინაციისა და დახვეწის მიზნით. ამ მიზანს ემსახურება: გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიებზე დანაშაულებასთან ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხების განხილვა და რეკომენდაციების მიღება; ყოველ ხუთ წელიწადში იწვევენ გაერო-ს კონგრესს დანაშაულების თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევების მიმართ მოპყრობის თაობაზე; ყოველ ორ წელიწადში იკრიბება დანაშაულობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის გაერო-ს კომიტეტი; მუდმივად

ფუნქციონირებს გაერო-ს სამდივნოს განყოფილება დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებზე.

შექმნილია მრავალი რეგიონალური და ორმხრივი სამთავრობათშორისი და არასამთავრობათშორისი ორგანიზაცია,. რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ გაერო-სთან და ერთმანეთთან.

ამ თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანია:

ა) სისხლის სამართლებრივ საქმეებზე დამნაშავეთა გადაცემის და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის ინსტიტუტის შემდგომი დამუშავება;

ბ) სამეცნიერო ინფორმაცია (ეროვნული სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაცვლა, პრობლემის განხილვა და ერთობლივი გამოკვლევების ჩატარება);

გ) სახელმწიფოებისათვის პროფესიულ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა სისხლის სამართლებრივ დანაშაულობასთან ბრძოლაში.

დ) საერთაშორისო-სამართლებრივი კოორდინაციისათვის ხელის შეწყობა, რომლის მიზანია დანაშაულობასთან ბრძოლის განვითარება და დახვეწა.

გარკვეული წვლილი შეაქვს დანაშაულებასთან ბრძოლაში კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცის (Èíòåðïîë, Interpol), რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს დაარსდა. მისი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო ხელისუფალთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ორგანიზაციის წესდება მკაცრად კრძალავს ქვეყნის საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევას და პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათის საქმიანობას. ინტერპოლის წევრია 120 ქვეყნის ოფიციალური საპოლიციო ორგანოები.

უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა – გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება დანიშნული დელეგატებისაგან და იკრიბება ყოველწლიურად, ასამბლეა ირჩევს აღმასკომს – პრეზიდენტის, 3 ვიცე-პრეზიდენტის და ცხრა დელეგატის შემადგენლობით. ამასთან, ყოველი მათგანი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი უნდა იყოს. არსებობს აგრეთვე მრჩეველთა კოლეგია.

გენერალური სამდივნო კოორდინაციას უწევს ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების საპოლიციო ხელისუფალთა

საქმიანობისა და გადაადგილების შესახებ. სამდიენო კონტროლს უწევს რადიო ქსელს, რომელიც 53 რადიოსადგურისაგან შედგება.

ორგანიზაციის ოფიციალური ენებია: ფრანგული, ინგლისური და ესპანური. შტაბ-ბინა პარიზშია.

საქართველო შეუერთდა ინტერპოლს 1993 წლის სექტემბერში. შეიქმნა საქართველოში ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიურო, რომელიც აქტიურად საქმიანობს საქართველოში და საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის, დაკავებისა და გადაცემის საქმეში.

# თავი XI

## ტერიტორია და საერთაშორისო სამართალი. ტერიტორიის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ზოგადი საკითხები

### *1. სახელმწიფო ტერიტორიისა და ტერიტორიული უზენაესობის ცნებები*

ტერიტორია ანუ დედამიწის ზედაპირი – ხმელეთი, წყალი და მათ ზემოთ მდებარე საჰაერო სივრცე ყოველთვის იყო და იქნება ადამიანისათვის საარსებო წყარო, რომლის გარეშეც შეუძლებელია არა მარტო მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, არამედ, საერთოდ, საზოგადოების ფიზიკური არსებობაც კი.

თანამედროვე ეტაპზე დედამიწაზე არ დარჩენილა კუთხე, სადაც ადამიანს არ მოეკიდოს ფეხი. საცხოვრებლად გამოსადეგი ტერიტორიების მთელი ფართობი დანაწილებულია სახელმწიფოებს შორის და მათ კუთვნილ სახელმწიფო ტერიტორიებადაა ქცეული. მხოლოდ ანტარქტიკა, კოსმოსი და ე.წ. ღია ზღვა საერთო სარგებლობაში ითვლება და არც ერთ სახელმწიფოს არ მიეკუთნება.

სახელმწიფო ტერიტორია არის დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება.

სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში ერთი სახელმწიფოს ძალაუფლება უნდა ბატონობდეს, ხოლო მისი იურისდიქცია უნდა იყოს სრული და შეუზღუდველი. ეს თვისება სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთ ძირითად მხარეს

წარმოადგენს და, როგორც უკვე ვიცით, ტერიტორიული უზენაესობის სახელწოდებას ატარებს.

სახელმწიფო ტერიტორია არა მარტო სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის სივრცით ზღვარს წარმოადგენს, არამედ მისი საქმიანობის მატერიალურ ბაზასაც, რომლის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლება უზენაესი მფლობელის სახით გვევლინება. სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში საჯარო ხელისუფლება სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად განაგებს თავის ტერიტორიას, არა მარტო პოლიტიკურ სფეროში (ამყარებს მასზე სათანადო სამართლებრივ რეჟიმს, ყოფს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, უზრუნველყოფს ტერიტორიის დაცვას, აწესებს თავისი საზღვრების უფლებრივ რეჟიმს და ა.შ.), არამედ აქტიურად იყენებს მას ეკონომიკურ სფეროშიც (არეგულირებს ყველა იმ საკითხებს, რომელიც ბუნების სიმდიდრისა და რესურსების ექსპლოატაციასა და გამოყენებასთანაა დაკავშირებული, განკარგავს თავის ტერიტორიას საჭიროებისამებრ და ა.შ.).

ტერიტორიული უზენაესობის იურიდიული ბუნება ყოველთვის როდი იყო ერთგვაროვანი. იგი, ისევე როგორც სუვერენიტეტის ცნება, საერთოდ, კლასობრივი ხასიათისაა და მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს ისტორიულ ტიპთან, მის სოციალურ ბუნებასთან, დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ წარმოებით ურთიერთობების ხასიათზე.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში სახელმწიფო ტერიტორია საჯარო საკუთრებად ითვლებოდა და ადგილობრივ მცხოვრებლებს მემკვიდრეობით სარგებლობაში გადაეცემოდა.

ფეოდალიზმის ხანაში კერძო საკუთრება მიწაზე ფეოდალის საჯარო ხელისუფლებას განაპირობებდა, მისი ძალაუფლების წაყრო იყო; არ არსებობდა საჯარო ხელისუფლება მიწის მფლობელობის (დროებით თუ მემკვიდრეობითი) გარეშე. ყოველი სუვერენი თავის ტერიტორიას, როგორც ნიეთს ისე ეპყრობოდა – ყიდდა, ცვლიდა, მზითვად ატანდა და ა.შ. იგივე ითქმის იმ პერიოდზეც, როდესაც ცენტრალიზებული მონარქიები ჩამოყალიბდა. მეფის ძალაუფლების წყაროდ აქაც სამეფოს ტერიტორიაზე უზენაესი კერძო საკუთრება ითვლება. მეფის საკუთრებაში ითვლებოდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობაც. მეფე თავის სურვილისამებრ ყიდდა, ცვლიდა,

მზითვად ატანდა გათხოვილ სეფექულს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილს მასზე დასახლებულ ხალხთან ერთად[181].

ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად სახელმწიფო ტერიტორია „ერის", „ხალხის" საკუთრებად გამოცხადდა, სახელმწიფოს მისი განკარგვა მხოლოდ „ერის", „ხალხის ინტერესების" გათვალისწინებით შეეძლო. სულ მალე (XIX საუკუნეში) სახელმწიფო ტერიტორია სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზმის საკუთრებად გამოცხადდა.

XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა ე.წ. **„სივრცითი თეორია"**, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მიწისმფლობელთა ინტერესების შეზღუდვის პროცესის შეჩერებას ცდილობდა. ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო ტერიტორია მხოლოდ საჯარო ხელისუფლების იურისდიქციის მოქმედების სივრცითი ზღვარია და არა ობიექტი. ეს თეორია ბურჟუაზიის კლასიკურ თეორიადაც იქცა.

XX საუკუნეში თავი იჩინეს სხვა თეორიებმაც, რომელთა მიზანია შეზღუდონ სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის მოქმედების სფერო. ასე მაგალითად, **„კომპეტენციის თეორიის"** თანახმად, სახელმწიფო ტერიტორიად ითვლება ყოველი არე, სადაც კი მოცემული სახელმწიფოს იურისდიქცია წედება, ე.ი. ჩვეულებრივ ტერიტორიას („ტერიტორიას ვიწრო გაგებით") ემატება ყველა ის „ტერიტორია", რომელზედაც ამ სახელმწიფოს მოქალაქენი ცხოვრობენ საზღვარგარეთ და ეისზეც ვრცელდება ამ სახელმწიფოს იურისდიქცია („ტერიტორია ფართო გაგებით"). როგორც ეხედავთ, „კომპეტენციის თეორია" ერთმანეთში ურევს ტერიტორიალურ და საპიროვნო უზენაესობას და მათ ნაცვლად „კომპეტენციის" ეფემერულ ცნებას იშველიებს. ტერიტორიული უზენაესობის მარქსისტული გაგება მოკლედ შემდეგში მდგომარეობს. ყოველი ტერიტორია, რომელიც ერით ან ხალხით არის დასახლებული – ერის, ხალხის საერთო კუთვნილებაა, მისი „ეროვნული ტერიტორიაა", რომლის მითვისება არც ერთ სხვა ერს ან ხალხს არ შეუძლია, თუ ამაზე თვით მოსახლეობა არ არის თანახმა. „ეროვნული ტერიტორია" ერის, ხალხის არსებობის მატერიალური ბაზაა, რომლის გარეშე ამ ხალხის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა.

---

[181] 1964 წელს პორტუგალიის მეფემ ინგლისის მეფე კარლოს II-ზე გათხოვილ სეფექულს მზითვად ტანჯერი „გაატანა", რის შემდეგ უკანასკნელი დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილად იქცა.

„ეროვნული ტერიტორიაა“, ერის მიერ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მატერიალური ბაზაა და მის გარეშე ერის თვითგამორკვევა ფიქცია იქნებოდა. მას შემდეგ, რაც ერი, ხალხი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შედეგად ქმნის თავის სახელმწიფოს, „ეროვნული ტერიტორიაა“ საჯარო ხელისუფლების მოქმედების სივრცით ზღვარად და სახელმწიფოს საკუთრების ობიექტად იქცევა (ე.ი. სახელმწიფო ტერიტორიის ნიშნებს ღებულობს).

მიუხედავად ტერიტორიული უზენაესობის იურიდიული ბუნების სხვადასხვა კონცეფციების არსებობისა, ყველა ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორია არა მარტო საჯარო ხელისუფლების მოქმედების სივრცითი ზღვარია, არამედ მისი საჯარო საქმიანობის ობიექტიც, რომლის მიმართ სახელმწიფოს სრული განკარგვის უფლება გააჩნია. ეს კი თავის მხრივ სახელმწიფო ტერიტორიას საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად ობიექტად აქცევს, რომლის ხვედრითი წონა საერთაშორისო სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტში ძალზე დიდია.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ტერიტორიული უზენაესობის ხელშეუხებლობის პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საწყისია. ვიცით, ისიც, რომ ტერიტორიული უზენაესობის მოქმედების სფერო შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ თანასწორუფლებიანი შეთანხმების ძალით. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს სასარგებლოდ თავისი ტერიტორიული უზენაესობის მოქმედების სფეროს შეზღუდვას სახელმწიფო ტერიტორიის ამა თუ იმ არეში საერთაშორისო სერვიტუტი ეწოდება. საერთაშორისო სერვიტუტი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ა) **ეკონომიკური სერვიტუტები:** ტრანზიტი (საფოსტო, სამგზავრო, საეჯრო, სახელმწიფოს ტერიტორიის გაელით,[182] ტრანზიტი საერთაშორისო არხებისა და სრუტეების გაელით[183]) ტერიტორიის იჯარით აღება ეკონომიკური დაწესებულებებისათვის, სახელმწიფო კონცენსიები[184] და ა.შ.

---

[182] ასე მაგ., ჩეხეთი და სლოვაკეთი სარგებლობენ სარკინიგზო ტრანზიტის უფლებით პოლონეთის ტერიტორიაზე.

[183] მაგ., სუეცის და პანამის არხები, შაეი ზღვის სრუტეები.

[184] 1962 წლის 27 სექტემბრის შეთანხმების ძალით ფინეთს იჯარით მიეცა სსრ კავშირის ტერიტორია საიმენის არხის რაიონში. 1920 წლიდან ნორვეგიასთან შეთანხმებით სსრ კავშირი (დღეს რუსეთი)

ბ) **სტრატეგიული სერვიტუტები:** ნეიტრალიზებული და დემილიტარიზებული ტერიტორიები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ტრანზიტი, მათივე დროებითი სამხედრო ბაზები აგრესორის წინააღმდეგ საბრძოლველად და სხვ.

გ) **პოლიტიკური** ანუ **წარმომადგენლობითი** სერვიტუტები: ტერიტორიების და შენობის იჯარით აღება დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლობებისა და თვით ამ ორგანიზაციების რეზიდენციისათვის,[185] ტერიტორიების და შენობების იჯარით აღება კულტურული მიზნებისათვის (კლუბების, საზოგადოებების, ბიბლიოთეკების დაარსება) და ა.შ.

საერთაშორისო სერვიტუტის მიერ სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის შელახვა მართლსაწინააღმდეგო აქტია და დაჩაგრულ სახელმწიფოს ყოველთვის აქვს უფლება თავიდან მოიშოროს ასეთი სერვიტუტი.

## 2. სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობა

ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია შემდეგი აუცილებელი ელემენტისაგან შედგება:

**ხმელეთი** – მოცემული სახელმწიფოს საზღვრებში მდებარე სახმელეთო ზედაპირია, მისი წიაღი, სავალდებულო არ არის, რომ სახელმწიფო ტერიტორია ხმელეთის მთლიან მონაკვეთს წარმოადგენდეს. იგი შეიძლება შედგებოდეს კუნძულებისაგან (დიდი ბრიტანეთი, ინდონეზია) ან რამდენიმე სახმელეთო ნაწილისაგან (კანადა ჰყოფს შტატ ალიასკას აშშ-ს ძირითადი ნაწილისაგან). სახმელეთო ტერიტორიას მეკუთვნება, აგრეთვე

---

სარგებლობს ქვანახშირის ამოღების უფლებით შპიცბერგენის კუნძულებზე;

ჰოლანდია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1952 წლის ხელშეკრულების თანახმად ჰოლანდიის ქვანახშირის მადნების საზღვარი არ ემთხვევა ორ სახელმწიფოს შორის არსებულ სახელმწიფო საზღვრებს და ზოგიერთ შემთხვევაში გადადის გერმანიის ტერიტორიაზე.

[185] მაგ., 1947 წლის შეთანხმების ძალით, რომელიც აშშ-ს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის დაიდო, აშშ-მ ნიუ-იორკის ერთ-ერთ რაიონში გამოჰყო და იჯარით გადასცა ორგანიზაციას მიწის ნაკვეთი რეზიდენციის მოსაწყობად.

მოცემული სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული მდინარეების, ტბების და ზღვების ფსკერი, მისი წიაღისეული სიმდიდრენი.

**საწყლო ტერიტორია** მოიცავს მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში მდებარე მდინარეების, ტბების, ზღვების, ყურეების, არხების როგორც ზედაპირს. ასევე მათ წიაღსა და წიაღისეულ სიმდიდრეს. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ყველა წყლები, რომლებიც სახელმწიფოს საზღვრებს აკრავს და გარკვეული მანძილით სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებებით).

**საჰაერო ტერიტორია** მოიცავს სახელმწიფოს სახმელეთო და საწყლო ტერიტორიის თავზე მდებარე საჯარო სივრცეს, რომელიც ადგილობრივი სახელმწიფოს სრული და განუსაზღვრელი სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება.

**„მფრინავი"** და „მცურავი"ტერიტორიების ქვეშ იგულისხმება მოცემული სახელმწიფოს მფრინავი აპარატები (თვითმფრინავი, დირიჟაბლები) და გემები, რომელნიც ამ სახელმწიფოს ალამს ან ნიშანს ატარებენ. ამ აპარატებსა და გემებზე მოქმედებს „ალმის კანონი", ე.ი. იმ სახელმწიფოს კანონი, რომლის ალამს (გემი) ან ნიშანს (თვითმფრინავი) ატარებს. „მცურავი" ან „მფრინავი" ტერიტორია, სამხედრო ხომალდები ყველგან, როგორც ღია ზღვაში, ასევე სახელმწიფო საზღვარში და საჰაერო პორტში, განიხილება სახელმწიფო ტერიტორიად. სავაჭრო და სხვა სახის ხომალდები მათი ეკიპაჟი და მგზავრები ემორჩილებიან „ალმის კანონს" თავის სახელმწიფოს საწყლო და საჰაერო სივრცის გარეთაც, ღია ზღვაშიც.

წყალქვეშა კაბელები ასევე მიეკუთვნება სახელმწიფო ტერიტორიას, თუ ისინი აკავშირებენ ერთი სახელმწიფოს რამდენიმე ნაწილსა და ღია ზღვაშია გაყვანილი.

აღსანიშნავია აგრეთვე ე.წ. **პოლარული სექტორები,** რომლებიც სახელმწიფოთა ციწრო ჯგუფის ტერიტორიებს მიეკუთვნება. მხედველობაში გვაქვს არქტიკის სივრცეები, რომელიც დაყოფილია რუსეთს, აშშ-ს, კანადას, ნორვეგიასა და დანიას შორის. ყოველი სახელმწიფო განაგებს თავისებურ სამკუთხედს, რომლის მწვერვალი ჩრდილოეთ პოლუსია, ფუძე – სახელმწიფოს ჩრდილოეთი საზღვარი, ხოლო გვერდითი საზღვრების როლს მერიდიანები ასრულებენ. ამ სამკუთხედის არეში არსებული და მომავალში აღმოჩენილი მიწები და კუნძულები სექტორის მქონე სახელმწიფოს მიეკუთვნება. რუსეთის პოლარულ საზღვრები არქტიკაში განსაზღვრულია

სსრ კავშირის ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1926 წლის 15 აპრილის დადგენილებით. გვერდით საზღვრებად მიჩნეულია აღმოსავლეთის გრძედის 32°4'30" და დასავლეთ გრძედის 168°49'30" (გრინვიჩიდან). გამონაკლისს წარმოადგენს შპიცბერგენის არქიპელაგის კუნძულები, რომლებიც უფრო ადრე იქნა აღიარებული სსრ კავშირის მიერ ნორვეგიის სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიად.

უკანასკნელ ხანებში წარმოიშვა ტერიტორიის კიდევ ერთი სახეობა – კოსმოსური აპარატები (თანამგზავრები, კოსმოსური ხომალდები და ა.შ.), რომელსაც გარკვეულ ნიშანს ატარებენ და „ალმის კანონს" ემორჩილებიან.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა **ტერიტორიების სპეციფიკური რეჟიმი – შერეული.** ასეთ ტერიტორიებს მიაკუთვნებენ კონტინენტურ შელფს და ეკონომიკურ ზონას, რომელზედაც ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი (პარაგრაფი 4 და 5).

არსებობს სივრცეები, რომლებიც **არც ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ არ იმყოფებიან** – ღია ზღვა (პარაგრაფი 3), კოსმოსური სივრცე (თავი XIII), **ანტარქტიკა.** ანტარქტიკის სტატუსი, რომელიც 1959 წელს 1 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით დაწესდა, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულების ძალით, სსრ კავშირი (რუსეთი), აშშ, ინგლისი, არგენტინა, საფრანგეთი, ბელგია, იაპონია, ჩილე, ნორვეგია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შეთანხმდნენ, რომ ანტარქტიკა, რომელიც არც ერთ სახელმწიფოს არ ეკუთვნის, მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი და საზღვაო მრეწველობის ობიექტი შეიძლება იყოს. იქ არ დაიშვება არავითარი სამხედრო სახის მოქმედებანი (სამხედრო ბაზების და ნაგებობათა შექმნა, სამხედრო მანევრების ჩატარება, ყველა სახის იარაღის გამოცდა), კონტინენტი გამოიყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის (მუხ. 1), ამჟამად ხელშეკრულებაში მონაწილეობს 19 სახელმწიფო.

## *3. სახელმწიფო საზღვრები*

ხაზს, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს საზღვრავს, სახელმწიფო საზღვარი ეწოდება.

საზღვრები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა:

ა) ოროგრაფიული საზღვრები გაიყვანება ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით (ხევი, მდინარე, ბორცვი, ქედი და ა.შ).

ბ) გეომეტრიული საზღვრები წარმოადგენს ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გაყვანილ სწორ ხაზს.

გ) ასტრონომიული საზღვრები გაიყვანება მერიდიანების ან პარალელების გასწვრივ (რუსეთის პოლარული სექტორი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი – 38 პარალელი და ა.შ.).

ყოველი სახელმწიფოს საზღვრები შედარებით იშვიათი მოვლენაა.

საზღვრები ორი მოსაზღვრე სახელმწიფოს შეთანხმებით გაიყვანება. ხელშეკრულება ზუსტად განსაზღვრავს მომავალი საზღვრების მიმართულებას, დართული რუკა ასახავს ამ შეთანხმებას. ამ სტადიას **დელიმიტაცია** ეწოდება. ადგილზე საზღვრის გაყვანას – **დემარკაციას** – ორივე სახელმწიფოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიები ახორციელებენ. უკვე არსებული საზღვრის შემოწმებას, სასაზღვრო ნიშნების აღდგენას ან დამატებას **რედემარკაცია** ეწოდება.

თუ საზღვარი სანაოსნო მდინარეზე გადის, ფარვატერის (ე.ი. გემისათვის მისაწვდომი გზის) მიხედვით გაიყვანება. იგი ხშირად არ ემთხვევა ხაზს, რომელიც ზუსტად მდინარის შუაში გადის. მდინარის შუაში საზღვარი გაყავთ მხოლოდ ნაოსნობისათვის უვარგის მდინარეზე, სასაზღვრო ტბებზე, საზღვარზე ან ტბის შუაში, ანდა სახმელეთო ტერიტორიის ყველაზე უფრო გამოშვერილ ორ წერტილს შორის გაყავთ.

თუ დროთა განმავლობაში მდინარე ან ტბა იცვლის კალაპოტს, საზღვარი უცვლელი რჩება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სათანადო ხელშეკრულებით ან, შემდგომ, არ იქნება მოწესრიგებული მხარეების მიერ.

ასეთია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივმა პრაქტიკამ შეიმუშავა და რომელსაც უკლებლივ ყველა სახელმწიფო აღიარებს. ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავისი საზღვრების უფლებრივ რეჟიმს. მაგრამ კეთილმეზობლური ურთიერთობების პრინციპი მთელი რიგი საკითხების მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეთანხმებით მოგვარების აუცილებლობას კარნახობს.

აღნიშნული აქტებით წესდება სპეციალური სასაზღვრო რეჟიმი, რომელიც საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლას, სასაზღვრო რაიონებში შესვლას, ცხოვრებას, სამეურნეო საქმიანობას და სხვა ამგვარ საკითხებს არეგულირებს.

## 4. სახელმწიფო ტერიტორიის შეძენის და შეცვლის საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებანი

როგორც აღნიშნული იყო, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სასტიკად კრძალავს ერთი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობისა და მთლიანობის შელახვას და ყოველი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებს წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად აცხადებს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილებიდან მოყოლებული ყოველ ომს ტერიტორიის მიტაცების სურვილი ედო საფუძვლად. ანექსია, ე.ი. ძლიერი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ან ხალხის ტერიტორიის შემოერთება მისი მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად, წითელ ზოლად გასდევს კაცობრიობის მთელ ისტორიას. ძლიერი სახელმწიფოები უტიფრად თელავდნენ სხვა სახელმწიფო ტერიტორიას დაყოფით, მისი მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისებით.

საერთაშორისო ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სახელმწიფო საზღვრების რუკა მხოლოდ საზავო ხელშეკრულებებით რვა ათასჯერ იქნა გადანაწილებული[186].

ხშირად საზღვრების გადანაწილება ხდებოდა ყოველგვარი ხელშეკრულებების გარეშე, ტერიტორის მთლიანად ან ნაწილობრივ დაპყრობის შედეგად.

საერთაშორისო სამართალი იცავდა ძლიერთა ინტერესებს და აკანონებდა ისეთ სამარცხვინო ინსტიტუტებს, როგორიც იყო დებელაცია (დაპყრობა), ოკუპაცია (კოლონიზატორების მიერ აფრიკასა და აზიის კონტინენტებზე და კუნძულებზე შაე-

---

[186] საკმარისია, გავიხსენოთ პოლონეთის დაყოფა რუსეთის იმპერიის, პრუსიისა და აესტრიის მიერ 1795 წელს, ჰიტლერული გერმანიის მიერ ჯერ სუდეთის ოლქის (1938 წ.), ხოლო შემდეგ მთელი ჩეხოსლოვაკიის (1939 წ.) შემოერთება.

ყვითელ და სხვა რასებით დასახლებული ტერიტორიების „პირველადი აღმოჩენა“), ხანდაზმულობა.

მეორე მსოფლიო ომამდე კი დებელაციის მეთოდს ურიგდებოდა საერთაშორისო-სამართლებრივი საზოგადოებრიობის წევრთა უმრავლესობა[187].

დღეს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები სახელმწიფო ტერიტორიის შეძენისა და შეცვლის მხოლოდ ისეთ საშუალებებს ითვალისწინებს, რომლებიც ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და მოსაზღვრე სახელმწიფოების კეთილმეზობლური თანამშრომლობის პრინციპებიდან გამომდინარეობენ. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფო ტერიტორიის შეძენის (ან შეცვლის) პირველწყაროს ერის თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს. ყოველი ერი, რომელიც სხვა სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად იძენს დამოუკიდებლობას, ავტომატურად კვეცავს მეტროპოლიის სახელმწიფო საზღვრებს და თავის ეროვნულ ტერიტორიაზე დამოუკიდებელ ორგანიზაციას ქმნის. იგივე ითქმის უკვე არსებულ სახელმწიფოზე, რომელიც სხვა სახელმწიფოს უერთდება ფედერაციის, ავტონომიის ან ინკორპორაციის საწყისებზე[188].

ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს მოსახლეობის ნების გამომჟღავნებას კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილების ან პლებისციტის (ანუ საყოველთაო რეფერენდუმის) სახით.

პირველ შემთხვევაში საკითხი ნათელია – თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის ხელმძღვანელი ორგანოები ყოველთვის სარგებლობენ ხალხის ნდობით დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის საქმეში. იგივე ითქმის უკვე არსებული სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებზე, რომლებიც ხალხის ნდობით

---

[187] საკმარისია გავიხსენოთ – იტალიის მიერ აბისინიის (ეთიოპიის) და ალბანეთის (1935-1936 წწ.), იაპონიის მიერ ჯერ მანჯურიის (1931 წ.), ხოლო შემდგომ ჩინეთის (1937 წ.) დაპყრობა.

[188] 1958 წელს სირიამ და ეგვიპტემ შექმნეს ერთიანი სახელმწიფო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელწოდებით, რომელიც 1960 წლამდე არსებობდა. 1960 წელს გაერთიანდა ტანგანიკა და ზანზიბარი, რომელთა ადგილზე ერთი სახელმწიფო – ტანზანია შეიქმნა.

სარგებლობენ და უფლებამოსილი არიან თვით გადაწყვიტონ ქვეყნის პოლიტიკური მომავლის ბედი.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როდესაც მიუხედავად კომპეტენტური ორგანოების არსებობისა, აუცილებელია უშუალოდ ხალხის, ერის აზრის გამორკვევა, მიმართავენ საყოველთაო გამოკითხვის – პლებისციტს. უფრო ხშირად პლებისციტი იმ ერების და ხალხების მიმართ გამოიყენება, რომელთა მიმართ მოსაზღვრე სახელმწიფოს აქვს პრეტენზია, ანდა როდესაც ერის, ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია, საბოლოო ჯამში, მეტროპოლიასა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის შეთანხმებით ხორციელდება.

უნდა განვასხვავოთ ორი სახის პლებისციტი – საყოველთაო გამოკითხვა ან რეფერენდუმი დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ.[189] და გამოკითხვა, რომლის მიზანია გამოარკვიოს ხალხის სურვილი, რომელი სახელმწიფოს ფარგლებში სურს მას ყოფნა.

როდესაც ერთი სახელმწიფო მეზობელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით ცდილობს მოაწესრიგოს სასაზღვრო ტერიტორიების საკითხი, რის შედეგად ადგილი აქვს ამ ტერიტორიების მცირე ნაწილების გაცვლა-გამოცვლას ან ცალმხრივად დათმობას, პლებისციტის საკითხი არ ისმება. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობას მხოლოდ ოპტაციის უფლება ენიჭება. აუცილებელია, რომ ეს აქტი ჭეშმარიტად თანასწორუფლებიან და ნებაყოფლობით შეთანხმებას ეყრდნობოდეს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცნობს ტერიტორიის შეძენის ძალდატანებით შესაძლებლობასაც, მაგრამ ეს ძალდატანება აგრესიის საპასუხო აქტია და დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში:

ა) „ისტორიული სამართლიანობის პრინციპზე" დაყრდნობით. ყოველი სახელმწიფო, რომელსაც თავის დროზე წაართვეს ტერიტორია აგრესიული ომის ან კაბალური ხელშეკრულების შედეგად, უფლებამოსილია დაიბრუნოს ეს

---

[189] სწორედ ამ გზით 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას.

მიწები აგრესორის დამარცხების შემთხვევაში ან ახალი ხელშეკრულება დადოს[190];

ბ) დამარცხებული აგრესორის მიმართ პოლიტიკური სანქციების გამოყენებით, რომელთა მიზანია აგრესორის დასჯა და მომავალში მისი მხრიდან აგრესიის განახლების თავიდან აცილება.

ტერიტორიის შეძენის ორივე ეს საშუალება გამონაკლისს წარმოადგენს თანამედროვე ეტაპისათვის, რადგანაც საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომს, როგორც ტერიტორიული და სხვა დავების გადაჭრის საშუალებას. ზემოხსენებული წესები მხოლოდ ექსტრაორდინალურ შემთხვევასთან – აგრესორი სახელმწიფოს დამარცხებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. სიტყვა „შეიძლებას“ ვხმარობთ იმიტომ, რომ სავალდებულო არაა აგრესორი სახელმწიფოს ტერიტორია ან შეიცავდეს სხვა სახელმწიფოს მიწებს, ან მის მიმართ გამოყენებულ იქნეს ისეთი პოლიტიკური სანქცია, როგორიცაა ტერიტორიის ნაწილის ჩამორთმევა.

დღეს მეტად მტკივნეულად დგას აფრიკისა და აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოების საზღვრების საკითხი, რაც კოლონიალიზმის სისტემის ერთ-ერთი მავნე შედეგია. ცნობილია, რომ ხშირად ერთი ხალხი, ტომი, ეთნიკური ჯგუფი ორ და მეტ კოლონიას შორის იყო დაქუცმაცებული. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ეს საზღვრები უცვლელი დარჩა და საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთ მიზეზად იქცა[191].

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების[192] და რეგიონალური საერთაშორისო

---

[190] ამ პრინციპზე დაყრდნობით ყირიმისა და პოტსდამის შეთანხმებებმა ჩამოართვეს გერმანიას რამდენიმე საუკუნის წინ მიტაცებული ოდერი და დასავლეთ ნეისზე მდებარე პოლონეთის მიწები და დაუბრუნეს ისინი მათ ნამდვილ პატრონს.

[191] საზღვრების შესახებ ყველა ცნობილ დავათა 70% აზიისა და აფრიკის ქვეყნებზე მოდის; აქედან აღსანიშნავია მაროკოსა და ალჟირს, სომალსა და ეთიოპიას, დაგომეასა და ნიგერს, ინდოეთსა და პაკისტანს, მალაიზიასა და ინდონეზიას შორის მომხდარი კონფლიქტები.

[192] იხ. წესდების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფი, რომლის თანახმად წევრ-სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას გადაწყვიტონ თავისი საერთაშორისო დავა „მშვიდობიანი საშუალებები“ და თავი შეიკავონ სხვა სახელმწიფოს „ტერიტორიის ხელყოფისაგან“.

ორგანიზაციების სტატუტების ძალით ყველა სახელმწიფო უნდა ეცადოს გადაწყვიტოს ყოველგვარი სახის დაუა მშვიდობიანი საშუალებებით და ერიდოს მოდაუე ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დარღვევას. ეს მოთხოვნა იმპერატიულია და სახელმწიფოები მოვალენი არიან დაემორჩილონ მას. პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოები მცირე სამხედრო კონფლიქტების იქით არ მიდიან და ცდილობენ საბოლოო ჯამში მშვიდობიანად გადაწყვიტონ ტერიტორიული დაუები, რაც ერთადერთი გონიერული გამოსავალია არსებული მდგომარეობიდან[193].

ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სახელმწიფო ტერიტორიის შეძენის ორ ძირითად საშუალებას იცნობს:

ა) ერის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შედეგად;

ბ) ტერიტორიის ნაწილების ნებაყოფლობით დათმობა ან გაცვლა (ცესია);

გამონაკლისი სახით დასაშვებია:

ა) ისტორიული სამართლიანობის აღდგენა დამარცხებული აგრესორი სახელმწიფოსაგან წინათ მიტაცებული მიწების ჩამორთმევით.

ბ) აგრესორის მიმართ პოლიტიკური სანქციების გამოყენება ტერიტორიის ნაწილის ჩამორთმევით.

სახელმწიფო ტერიტორიის შეძენის საშუალებას არ წარმოადგენს საერთაშორისო სერვიტუტი (მაგ., უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის იჯარით აღება). თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, იჯარა არ წარმოადგენს იჯარის გამცემი სახელმწიფო სუვერენიტეტის გაუქმებას ამ ტერიტორიის მიმართ. იგი მხოლოდ ზღუდაეს მის იურისდიქციას ამ არეში. იჯარით გამცემი სახელმწიფო უფლებამოსილია თაუისი სურვილისამებრ დასვას საკითხი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და, უკიდურეს შემთხვევაში, ცალმხრივი აქტითაც კი შეწყვიტოს მისი

---

[193] აფრიკის ქვეყნების სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა ასამბლეამ (აფრიკის ერთობის ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო) 1964 წლის 21 იულისს მიიღო სპეციალური დადგენილება „აფრიკის ქვეყნებს შორის სასაზღვრო დაუების შესახებ", რომლითაც ყველა ქვეყანამ იკისრა ვალდებულება „პატივი სცეს იმ საზღვრებს, რომელიც მათ მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების დროს არსებობდა".

მოქმედება. მაშინაც კი, როცა ტერიტორია გადაცემულია იჯარით უვადოდ, იჯარის გამცემი სახელმწიფო ინარჩუნებს ამ ნაკვეთის მიმართ უზენაესი მესაკუთრის უფლებას და ყოველ წამს შეუძლია შესთავაზოს კონტრაგენტს ხელშეკრულების გაუქმება. იჯარით ამღებ სახელმწიფოს მიეცემა მხოლოდ სარგებლობის და განკარგვის შეზღუდული (იჯარით აღებული ტერიტორიის მესამე სახელმწიფოსთვის გადაცემა სასტიკად აკრძალულია) უფლებები. შეზღუდულია მისი კანონების მოქმედების ძალაც, რადგან იჯარით გამცემი სახელმწიფო იტოვებს მართლმსაჯულების ფუნქციებს და ზოგიერთ სხვა სუვერენულ უფლებებს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალს დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ ისეთი იჯარა, რომელიც იჯარით ამღები სახელმწიფოს ეკონომიკური ან თავდაცვის ინტერესებს ემსახურება და არ ლახავს ადგილობრივი სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

ასეთია სახელმწიფო ტერიტორიის შეძენისა და შეკვლის საერთაშორისო სამართლის მიერ დაშვებული ძირითადი საშუალებები. თანამედროვე ეტაპზე საზღვრების ხელშეუხებლობას, რაც სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. საჭიროა არსებული სამართლებრივი ნორმების შემდგომი დეტალიზაცია და კოდიფიკაცია.

## *5. მდინარეების გამოყენების საერთაშორისო სამართლებრივი საკითხები*

განასხვავებენ სასაზღვრო და მრავალეროვნულ მდინარეებს. პირველი სახის მდინარეები ყოფს ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას და მათ შორის ბუნებრივ ზღვარს წარმოადგენს. მრავალეროვნული მდინარეები კვეთს ორ ან მეტ სახელმწიფოს ისე, რომ მისი სათავე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა, ხოლო ძირითადი კალაპოტი ზღვასთან შერთვამდე სხვა სახელმწიფოების ტერიტორიას კვეთს.

XIX საუკუნის დამლევამდე ნაოსნობისათვის გამოსადეგ სასაზღვრო და მრავალეროვნულ მდინარეებს საერთაშორისო სამართალი ეხებოდა იმდენად, რამდენადაც ეს დაკავშირებული იყო ნაოსნობის თავისუფლებასა ან, შედარებით იშვიათად,

თეზის ჭერასთან. რაც შეეხება ნაოსნობისათვის გამოყენებულ მდინარეებს, აქ საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის გაყვანისა და მისი დაცვის საკითხებს ეხებოდა.

დღეს სასაზღვრო და მრავალეროვნული მდინარეები მრავალ საერთაშორისო პრობლემას წარმოშობენ, რაც მათზე ნაოსნობით, ჰიდრომშენებლობით, ირიგაციული სამუშაოებით, ხე-ტყის წყალზიდვით არის განპირობებული. შევეხოთ რამდენიმე ძირითად საკითხს.

**ნაოსნობა საერთაშორისო მდინარეებზე.** ორი ან რამოდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიის გადამკვეთ ან გამყოფ, ზღვასთან ნაოსნობით შეერთებულ მდინარეებს **საერთაშორისო მდინარეები** ეწოდებათ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებათა თანახმად, ისინი ღიაა ქვეყნის სავაჭრო გემების მიმოსვლისათვის.[194]

1792 წელს საფრანგეთის რევოლუციურმა მთავრობამ აღიარა ეს პრინციპი და. განაცხადა, რომ „არც ერთ ხალხს, უსამართლობის ჩაუდენლად, არ შეუძლია მოითვისოს მდინარით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება და დაბრკოლება შეუქმნას მდინარის ზემო ნაწილში მცხოვრებ ხალხებს იმავე ხელსაყრელი პირობებით სარგებლობაში“.

პარიზის 1814 წლის საზღვაო ხელშეკრულებამ დააწესა რაინზე თავისუფალი ნაოსნობა, რაც „არავის არ შეიძლება აეკრძალოს“.

ვენის 1815 წლის კონგრესის დასკვნით აქტში იგივე წესია დადგენილი ევროპის სხვა მდინარეებისათვისაც, იმ პირობით, რომ მისი პრაქტიკული განხორციელება უნდა მოხდეს თითოეული მდინარის გამოყენების შესახებ სპეციალურ შეთანხმებათა დადებით.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი შეთანხმებანი დადებულ იქნა ვეზერის, მაასის, ნემანის, ოდერის, შელდის, ელბასა და ემსისათვის. მანჰაიმის 1831 წლისა და 1868 წლის კონვენციამ დაადასტურა და დაადგინა ამ ნაოსნობის წესი. პარიზის 1856 წლის საზავო ხელშეკრულებამ დააწესა დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლება.

---

[194] ასეთ მდინარეებზე ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი შემოღებულ იქნა ინსბრუკის 1648 წლის ხელშეკრულებით, რომელიც გერმანიას, საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის დაიდო; 1783 წელს დაწესებულ იქნა მისისიპზე ნაოსნობის თავისუფლება ინგლისისა და ამერიკის გემებისათვის (1814 წლამდე).

ბერლინის 1884-1885 წლების კონფერენციაზე კონგო და ნიგერი გამოცხადებულ იქნა საერთაშორისო მდინარეებად. ამერიკაში ამაზონი და ლა-პლატა ასეთებადაა აღიარებული სანაპირო სახელმწიფოთა ხელშეკრულებებით. აგრეთვე, ეკვადორის, (1866 წლების პერიოდში), ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბოლივიის, ურუგვაის, ბრაზილიის, პერუს შინაგანი კანონებით (გამოცემულია 1853-1866 წლების პერიოდში), ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბოლივიის 1858 წლის ხელშეკრულებათა და ამერიკის შტატებთან, ინგლისთან და საფრანგეთთან არგენტინის 1853 წლის ხელშეკრულებით.

1921 წელს ზოგიერთმა სახელმწიფომ (მათ შორის ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ) ბარსელონაში ხელი მოაწერეს კონვენციას საერთაშორისო მნიშვნელობის შიდა წყლის გზების შესახებ. ამ კონვენციამ თავისუფალი ნაოსნობა გამოაცხადა „ყველა მდინარეზე, არხსა და ტბაზე, რომლებიც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსათვის ღია ზღვაში მიმავალ გზას წარმოადგენენ. ასეთი წყლის გზები ღიაა კონვენციის ყველა მონაწილის გემებისათვის, ამასთან გემები, ტვირთი და მგზავრები სრული თანასწორობით სარგებლობენ. გამოსაღები შეიძლება გადახდევინებულ იქნეს მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ამ გზების შენახვის ხარჯების დასაფარად და ამ გზებზე სამსახურის გაწევისათვის. კონვენციის რატიფიკაცია მოახდინეს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, მათ შორის დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, თურქეთმა, ამერიკის ქვეყნებიდან – კოლუმბიამ, ჩილემ, და პერუმ, მაგრამ მას ფართო პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია.

ამგვარად, საერთაშორისო მდინარის ცნება შეიცავს სამ აუცილებელ, ერთმანეთისაგან განუყოფელ ნიშანს: გეოგრაფიულს (ზღვასთან უშუალო კავშირი), პოლიტიკურს (რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიის გადაკვეთა, გაყოფა) და იურიდიულს (სათანადო ხელშეკრულების არსებობა). უკანასკნელ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმების ძალით შეიძლება დაწესდეს მდინარეზე ყველა ქვეყნის სავაჭრო ნაოსნობის უფლება. თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს და მდინარეს მხოლოდ პირველი ორი ნიშანი აქვს (ე.ი. გეოგრაფიული და პოლიტიკური), იგი მხოლოდ მრავალეროვნულ მდინარედ ითვლება.

საერთაშორისო მდინარეების რეჟიმის ჩამოყალიბებისთანავე იგი დიდი ქვეყნების ინტერესებს დაექვემდებარება მდინარისპირა სახელმწიფოების ინტერესების საზიანოდ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ევროპის უდიდეს მდინარეს – დუნაის, რომელიც პარიზის 1856 წლის ხელშეკრულების ძალით თავისუფალი გახდა ყველა ქვეყნის გემების ნაოსნობისათვის, ხოლო ზედამხედველობის როლი სპეციალურ კომისიას დაეკისრა, რომელშიც გადამწყვეტ როლს არამდინარისპირა სახელმწიფოები – ინგლისი, საფრანგეთი, იტალია ასრულებენ. ეს მდგომარეობა განამტკიცა ვერსალის 1919 წლის ხელშეკრულებამაც, თუმცა ზოგიერთი ცვლილებებით (შექმნილი იყო ორი კომისია ერთის მაგიერ). 1921 წელს პარიზში შემუშავებულ იქნა სპეციალური კონვენცია დუნაიზე ნაოსნობის შესახებ, რომელიც ძირითადში ვერსალის ხელშეკრულების დებულებებს განამტკიცებდა, ე.ი. პრივილეგირებულ მდგომარეობას ანიჭებდა ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას მდინარეზე ნაოსნობის წესების დადგენისა და რეგულირების საქმეში.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაუქმდა ეს უსამართლო რეჟიმი. 1948 წელს ბელგრადში მოწვეულმა კონფერენციამ მდინარის სტატუსი მთლიანად მდინარისპირა სახელმწიფოების ინტერესებს დაუმორჩილა. ამ კონვენციის თანახმად, „ნავიგაცია დუნაიზე უნდა იყოს თავისუფალი და ყველა სახელმწიფოს მოქალაქეების, სავაჭრო გემებისა და საქონლისათვის ნაცვალგების პრინციპის დაცვით და სანავიგაციო გამოსაღებებისა და ნაოსნობის პირობების მიმართ“ (მუხ. 2).

მმართველობა და ზედამხედველობა ნაოსნობაზე ევალება დუნაისპირა სახელმწიფოებს, მათ მიერ შექმნილ საერთაშორისო კომისიას (დუნაის კომისია) და სპეციალურ ადმინისტრაციებს.

დუნაის კომისია შედგება დუნაისპირა სახელმწიფოებისაგან, რომლებიც რეჟიმს იცავენ, რაც სრულებით არ ეხება სხვა სახელმწიფოების სავაჭრო ინტერესებს.

სულ სხვა პრინციპზეა აგებული დღეს რაინის სამართლებრივი რეჟიმი. ჯერ კიდევ ვერსალის 1919 წლის საზაფო ხელშეკრულების ძალით, რაინზე ნაოსნობის ცენტრალურ კომისიაში შეყვანილ იქნა არამდინარისპირა სახელმწიფოები – ბელგია, იტალია და ინგლისი. 1945 წლიდან იტალიის ადგილი

ამ კომისიაში დაიკავა აშშ-ს წარმომადგენელმა. ამ უფლებებს არამდინარისპირა სახელმწიფოები იყენებენ იმისათვის, რომ გაათანაბრონ თავისი მოქალაქეები რაინისპირა ქვეყნების მოქალაქეებთან არა მარტო ნაოსნობის საკითხებში, არამედ საეჭრო საქმიანობის, უძრავი ქონების მფლობელობისა და სხვა სფეროებშიც. თანამედროვე ეტაპზე რაინის კომისია ამ ქვეყნების შუღლსა და ბრძოლის არედ იქცა არა მარტო მდინარისპირა და არამდინარისპირა სახელმწიფოებს შორის, არამედ თვით მდინარისპირა ქვეყნებს (შვეიცარია და ჰოლანდია ერთი მხრივ და გერმანია მეორე მხრივ) შორისაც.

განსხვავებული წესია შემოღებული ამერიკის კონტინენტზე. ჩრდილოეთ ამერიკაში ნაოსნობის თავისუფლება მიენიჭა მხოლოდ მდინარისპირა სახელმწიფოებს (მდ. კოლორადო და რიო-გრანდე აშშ-მექსიკის საზღვარზე, მდ. წმ. ლავრენტი კანადა-აშშ საზღვარზე), რაც შეეხება სამხრეთ ამერიკას (ამაზონი, ლა-პლატა და სხვა.), აქ ეს უფლება არამდინარისპირა სახელმწი-ფოსაც – აშშ-ს ეკუთვნის. ეს წესები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს საერთაშორისო მდინარეების სტატუსის მიმართ და ამიტომ უნდა გადაისინჯოს.

რაც შეეხება მრავალეროვნულ მდინარეებს, მისი რეჟიმი მდინარისპირა ინტერესებს იცავს; ამის ნათელი მაგალითი მდინარე დუნაის სტატუსია.

ელექტროენერგიის წარმოება. სახელმწიფოს საზღვრებში შემავალი მდინარის ნაწილში ელსადგურების და სხვა ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობათა მშენებლობა, მათი მუშაობა, მდინარის კალაპოტის შეკვლა, მდინარის დონის აწევა-დაწევა, წყლის გამოყენება და ა.შ. ისე უნდა წარმოებდეს, რომ არ ავნოს მოსაზღვრე სახელმწიფოს ინტერესებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქვეყნები ზოგჯერ ვერ თანხმდებიან ამ საკითხზე, რაც დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტითაც კი თავდება (მაგ., დავა ბოლივიასა და ჩილეს შორის მდინარე ლაუკას წყლების გამოყენების შესახებ).

**ირიგაციული სამუშაოები.** ანალოგიური წესები უნდა მოქმედებს იურიდიული სამუშაოების დროსაც.

დღევანდელ პირობებში ირიგაციული სამუშაოები სულ უფრო იწვევს წინა პლანზე და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ირიგაციული სამუშაოები, ისევე როგორც ჰიდრომშენებლობა, ხშირად იწვევს სახელმწიფოთა დავებს. საკმა-

რისია გავიხსენოთ მდინარე იორდანიის წყლების გამოყენებასთან დაკავშირებული დავა ისრაელს, ლიბანსა და იორდანიას შორის.

# თავი XII

# საერთაშორისო საზღვაო სამართალი

## 1. საზღვაო სამართლის ცნება

თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართალი რთულ და მრავალფეროვან დარგს წარმოადგენს. იგი მოიცავს იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოების უფლება-მოვალეობებს საზღვაო სივრცეზე: შიდა წყლებში, არქიპელაგურ წლებში, ტერიტორიულ ზღვაში, სრუტეებში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ღია ზღვაში და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო საზღვაო სამართლის წყაროების როლს შემდეგი აქტები ასრულებენ:

1. საერთაშორისო ხელშეკრულებები (ორმხრივი და მრავალმხრივი), რომელთაგან უმთავრესია საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია;[195]

2. შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები, რომლებიც სხვადასხვა საზღვაო ზონებისა და ნაკისადგურების სამართლებრივ რეჟიმს არეგულირებენ;

3. საერთაშორისო საზღვაო ჩვეულებები.

## 2. შიდა წყლები

---

[195] შემუშავებულია მრავალმხრივი კონვენციები, რომლებიც ყველა სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟენევის 1958 წლის ოთხი კონვენცია: ღია ზღვის, ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის, კონტინენტური შელფის და ღია ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის შესახებ, რომლებმაც შეაჯამეს წარსული პრაქტიკა და განამტკიცეს საზღვაო სამართლის პროგრესული რეჟიმი. ეს მოხდა გაერო-ს I კონფერენციაზე საზღვაო სამართლის თაობაზე. II კონფერენცია, რომელიც 1960 წელს ჩატარდა, უშედეგოდ დამთავრდა. 1973-1982 წწ. მუშაობდა გაერო-ს III კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა ერთიანი ტექსტი, სადაც კოდიფიცირებული და პროგრესულად განვითარებულია თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართლის თითქმის ყველა ასპექტი.

შიდა წყლებად ითვლება მოცემული სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მოქცეული ყველა მდინარე, ტბა, არხი, ზღვა და ყურე, რომელთაც რაიმე სპეციალური საერთაშორისო სტატუსი არ გააჩნიათ. რაც შეეხება საზღვაო შიდა წყლებს, ე სარის ნაპირსა და საწყის ხაზებს შორის მოქცეული წყლის სივრცე, როელშიც შეიძლება მოხვედეს: მდინარის შესართავი, პორტი და საპორტო სამუშაოები, ყურეები.

ყურის[196] წყლები მთლიანად შიდა წყლებს მიეკუთვნება, თუ ის ერთ სახელმწიფოს მიეკუთვნება ყურის ყელის სიგანე 24 საზღვაო მილს[197] არ აღემატება.

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს მიაკუთვნებს ყურეს, თუ მისი ყელი 24 მილზე უფრო დიდია. მაგრამ ისტორიულად იგი გამოიყენებოდა სანაპირო სახელმწიფოს მიერ როგორც შიდა წყლების განუყოფელი ნაწილი, ასეთ ყურეს „ისტორიულ" ყურედ მიიჩნევენ და ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს მიაკუთვნებენ.[198] ტრადიციულად ჟინულოვან ოკეანეში მდებარე ზღვები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიას აკრავს, მიეკუთვნება „ისტორიულ ყურეებს". იგივე ითქმის პეტრე დიდის ყურეზე და სხვა.

**საწყისი ხაზები**. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია მის შიდა წყლებში განსხვავდება ტერიტორიულ ზღვაზე განხორციელებული იურისდიქციისაგან[199], მნიშვნელოვანია ამ ორი ზონის ერთმანეთისაგან გამოყვნა. სწორედ ამ გამმიჯნავ ფუნქციას ახორციელებს საწყისი ხაზები. უფრო მეტიც, საწყისი ხაზები არა მარტო შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას შორის საზღვრის ფუნქციას ასრულებს, არამედ იგი გამოიყენება ტერიტორიული ზღვის, მიმდებარე და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისა და კონტინენტური შელფის სიფართის ასათვლელადაც.

---

[196] ყურე არის ზღვის ნაპირის ისეთი შეზნექილობა, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავს მასში მოქცეული ზღვის ნაწილს და მისი ფართობი უდრის (ან მეტია) იმ ნახევარწრის ფართობს, რომლის დიამეტრს ყურეში შესასვლელის გადამკეთი ხაზი შეადგენს.

[197] ერთი საზღვაო მილი უდრის 1853 მეტრს.

[198] ეარანგერფიორდის (ნორვეგია) ყურის ყელის სიგანე 30 მილია, პუდზონის ყურის (აშშ) – 50 მილი. ბრისტოლის ყურის (ინგლისი) – 100 მილი, პეტრე დიდის ყურის (რუსეთი) – 102 მილი.

[199] Lindy S. Johnson, Coastal State Regulation of International Shipping, Ocean Publications Inc., 2004, გვ. 31.

საწყისი ხაზების საკითხი პირველად განიხილეს ჰაagის 1930 წლის კონფერენციაზე. რამაც შემდგომში ჰპოვა ასახვა ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ ჟენევის 1958 წლის კონვენციაში.

რადგან უმეტეს სახელმწიფოთა სანაპირო ხაზი დაწახნაგებულია, შემოყვარგლულია კუნძულებით, ყურეებით, მდინარის შესართვებით და ა.შ. ამიტომ გაეროს 1982 კონვენციაში შემდეგი გეოგრაფიულ თავისებურებები იქნა გათვალისწინებული: ღრმად დაწახნაგებული ან კუნძულებით გარშემორტყმული სანაპირო; ყურეები; მდინარის შესართავი; პორტები და საპორტო ნაგებობები; მიქცევის დროს გამოჩენილი ხმელეთის ნაწილი; კუნძულები; რიფები.

სწორედ საზღვაო სანაპიროების რთული ტოპოგრაფიის გამო არსებობს საწყისი ხაზების ორი სახე: ჩვეულებრივი და სწორი.

**ჩვეულებრივი საწყისი ხაზები.** „ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ“ 1958 წლის კონვენციის მე-3 მუხლისა და საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად: „ტერიტორიული ზღვის სიგანის ასათვლელად გამოყენებული საწყისი ხაზები არის სანაპიროს გარშემო უკიდურესი მიქცევის ხაზი, როგორც აღნიშნულია სანაპირო სახელმწიფოს ოფიციალურად აღიარებულ მსხვილ-მასშტაბიან რუკებზე.“

**სწორი საწყისი ხაზები.** სწორი საწყისი ხაზების კონცეფცია შემუშავდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნორვეგიის მიერ, რაც გამოწვეული იყო მისი სანაპიროს რელიეფის სირთულით. ნორვეგიის სანაპირო ხაზი ძალიან დაწახნაგებულია ყურეებით, კუნძულებით, პორტებით, კლდეებით, მეჩეჩებით და ა.შ. ტერიტორიული ზღვის შიდა საზღვრის დასადგენად ნორვეგიამ გამოიყენა რამდენიმე სწორი ხაზი, როგორც საწყისი ხაზები. ეს სწორი ხაზები გაევლებული იყო სკაერგაარდის[200] უკიდურესი მოქცევის წერტილებზე. 1951 წლის გადაწყვეტილებაში ანგლო-ნორვეგიული თევზჭერის საქმეში, საერთაშორისო სასამართლომ აღიარა სწორი საწყისი ხაზები, როგორც ერთ-ერთი მეთოდი, მაგრამ ამავე დროს მან დაადგინა ასეთი ხაზების გაევლების წესი, რომლის დაცვაც სავალდებულო იყო სახელმწიფოებისათვის. ამ წესების კოდიფიცირება მოხდა ჯერ ტერიტორიული ზღვისა და

---

[200] ნორვეგიულად სიტყვა skjaergaard კლდოვან კუნძულს ნიშნავს

მიმდებარე ზონის შესახებ ჟენევის და შემდეგ კი გაეროს კონვენციაში. ამრიგად საწყისი ხაზები ისე უნდა იყოს გავლებული, რომ (1) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სანაპიროს საერთო მიმართულებას; (2) ამ ხაზებს მილმა მოქცეული ზღვის რაიონი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ხმელეთთან, რათა მოხვდეს შიდა წყლებში; (3) მხედველობაში უნდა იყოს მიღებული რეგიონისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ინტერესები, რომლის რეალობა და მნიშვნელობა ნათლად არის დასაბუთებული ხანგრძლივი გამოყენებით; (4) მოქცევის დროს დაფარული კუნძულოვან წარმონაქმნებზე არ შეიძლება საწყისი ხაზების გავლება, თუ მათზე შუქურა ან სხვა მსგავსი ნაგებობა არ არის აგებული, რომელიც მუდმივად წყლის ზემოთ რჩება, ან თუ ასეთ წარმონაქმნებზე სწორი საწყისი ხაზების გავლებამ საერთაშორისო აღიარება არ მოიპოვა; (5) სახელმწიფოს მიერ სწორი საწყისი ხაზები იმგვარად არ უნდა იქნას გამოყენებული, რომ მოუჭრას გზა სხვა სახელმწიფოს ტერიტორულ ზღვას ღია ზღვისკენ ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისკენ.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გაეროს 1982 წლის კონვენცია არ ადგენს იმპერატიულ ნორმას სახელმწიფოსათვის გამოიყენოს სწორი საწყისი ხაზები. (მაგ. აშშ-მ არ გამოიყენა სწორი საწყისი ხაზები ალიასკის ნაპირზე, თუმცა, ამ უკანასკნელის ნაპირის რთული რელიეფი იძლეოდა ამის საშუალებას).

სანაპირო სახელმწიფოს უფლება აქვს კომბინირება გაუკეთოს ჩვეულებრივი და სწორი საწყისი ხაზების მეთოდებს.

**ნავსადგურის წყლების** საზღვარი ყველაზე უფრო შეწეული ჰიდროტექნიკური და სხვა სახის ნაგებობათა ყველაზე შორეულ წერტილებს შორის გაყვანილი სწორი ხაზის გასწვრივ გადის.

შიდა წყლების რეჟიმის მოწესრიგება მოცემული სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციაში შედის. როგორც წესი, არც ერთ უცხო გემს ან მოქალაქეს არა აქვს უფლება აწარმოოს შიდა წყლებში თევზჭერა ან სხვა რაიმე საწყლო სამუშაოები. უცხო გემები, რომლებიც დაიშვებიან შიდა წყლებში, ემორჩილებიან ადგილობრივ კანონებს და წესებს. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს ნავსადგურთა წყლები წარმოადგენს, რომელთა გახსნა ან დახურვა უცხო გემების ნაოსნობისათვის სახელმწიფოს სურვილზეა დამოკიდებული.

დახურულ პორტებად ითვლება სამხედრო ნავსადგურები და საკაბოტაჟო (ადგილობრივი) ნაოსნობის პორტები. ამ პორტებში შესვლა უცხო გემებს შეუძლიათ მხოლოდ ავარიის, ბურუსის, შტორმის ან სხვა შემთხვევაში, პორტის ადმინისტრაციის თანხმობით.

უცხო ქვეყნების ღია პორტებში შესვლა სავაჭრო გემებისათვის თავისუფალია. სამხედრო გემების შესვლა დასაშვებია მხოლოდ წინასწარი შეტყობინებისა და სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობით, ასეთი ნებართვის მოთხოვნა უნდა მოხდეს პორტში შესვლამდე 30 დღით ადრე.

თუ გემბანზე უცხო სახელმწიფოს მეთაური ან პორტის ქვეყანაში აკრედიტებული ელჩია, სამხედრო გემს შეუძლია შეეიდეს ნავსადგურში შეტყობინებაზე პასუხის დაულოდინებლად.

ნავსადგურში ყოფნის დროს უცხო სამხედრო გემი თავისი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს და მისი ეკიპაჟი სრული ექსტერიტორიულობით სარგებლობს. მაგრამ იგი მოვალეა დაემორჩილოს ნავსადგურში შემოღებულ ყველა წესს, რომელიც ქვეყნის უშიშროების ინტერესებს იცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია მოითხოვოს გემის ღია ზღვაში გაყვანა.

უცხო სავაჭრო გემები ნავსადგურში ყოფნის დროს მთლიანად ადგილობრივი იურისდიქციის ქვეშ ექცევიან, თუმცა გემის შინაგანი განრიგი, ასევე ეკიპაჟის წევრების შორმითი ურთიერთობები „ალმის კანონით“ რეგულირდება, თუ იგი ადგილობრივ მართლწესრიგს არ ეწინააღმდეგება. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავე აგებს პასუხს ნავსადგურში მოქმედი კანონების მიხედვით, მიუხედავად იმისა, სად არის ჩადენილი დანაშაული – გემბანზე თუ ნაპირზე. აღსანიშნავია რომ პრაქტიკაში ორი მიდგომა არსებობს: ფრანგულის თანახმად თუ გემზე ამ მეზღვაურის მიერ ჩადენილი არ ეცრელდება სანაპირო სახელმწიფოზე, ან გაელენას არ ახდენს მასზე, რჩება ალმის სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. ხოლო ანგლო-ამერიკული წესის თანახმად ნებისმიერ შემთხვევაში შიდა წყლებში და პორტში მყოფ გემზე ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია.

ამავე დროს, სახელმწიფოები ცდილობენ ითანამშრომლონ სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციის თაობაზე, ნებაყოფლობით ზღუდავენ ამ იურისდიქციის ფარგლებს.

ორმხრივი შეთანხმებებით შეიძლება დადგინდეს, რომ სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციას არ ექვემდებარება კონფლიქტები, რომლებიც ხომალდის შინაგანაწესის დარღვევასთანაა დაკავშირებული. იზღუდება იურისდიქცია მართლსაწინააღმდეგო აქტების მიმართ, რომლებიც არ სცილდება ხომალდის ფარგლებს ან არ ვნებს სანაპირო სახელმწიფოს ინტერესებს.

საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია საეჭვრო გემებისა და ეკიპაჟის გაჩხრეკა, კერძო გემების მიმართ დაიშვება იძულებითი ზომების გამოყენება დაკავების სახით. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არაკომერციული მიზნებით გამოყენებული გემების მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება აკრძალულია, რადგანაც ისინი სახელმწიფო ქონებას წარმოადგენენ და სახელმწიფო იმუნიტეტით სარგებლობენ. პრეტენზიები გემის მიმართ ამ შემთხვევაში მხოლოდ დიპლომატიური გზით შეიძლება მოგვარდეს.

იმ ნავსადგურთა, უბეთა და რეიდების სია, რომლებიც ღიაა უცხო გემებისათვის, მათში შესვლის, ყოფნის, საბარგო და სხვა ოპერაციის წესები და ა.შ. ქვეყნდება სპეციალურ გამოცემებში, რომლებიც ყველა საზღვაო ქვეყანაში იბეჭდება.

საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკა იცნობს ე.წ. „თავისუფალ პორტებსაც“. ასეთ პორტად ითვლება ნავსადგური, რომელიც მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკური კონტროლის ქვეშ რჩება, მაგრამ მას მიეცემა დიდი ეკონომიკური და სამეურნეო დამოუკიდებლობა: უბაჟო ვაჭრობა უცხო გემებით შემოტანილი საქონლით, მუშასა და სამუშაოს მიმცემს შორის სპეციფიკური ურთიერთობების დაწესება. ასეთი სტატუსი წესდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაინტერესებულია ქალაქის (ნავსადგურის) მცხოვრებთა კეთილდღეობის სწრაფი ამაღლებით, უცხო ვალუტის შემოსვლის წყაროს გაფართოებით, საერთაშორისო აღებ-მიცემის გაცხოველებით.

## 3. ტერიტორიული ზღვები

სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვა ეწოდება საზღვაო სარტყელს, რომელიც ამ სახელმწიფოს წიდა წყლებს აკრავს და მისი სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. გაეროს 1982 წლის კონვენციამ განსაზღვა ტერიტორული ზღვის მაქსიმალური სიგანე 12 საზღვაო მილის ოდენობით.

გაეროს კონვენციამ პრაქტიკულად ბოლო მოუღო იმ ქვეყნების პრაქტიკას, რომლებიც ცდილობენ გაეზარდათ ტერიტორიული ზღვების გარე საზღვრები უსამართლოდ შერჩეული მანძილით – 50, 100, 200 საზღვაო მილი.[201] დღეისათვის უმრავლესობა იცავს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ლიმიტს – 12 საზღვაო მილს.[202]

ტერიტორიული ზღვა, მისი წიაღი და მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. თუმცა, იგი განსხვავდება შიდა წყლებისაგან – „მშვიდობიანი გავლის“ პრინციპით: ნებისმიერ გემს უფლება აქვს გზის შემოკლების ან ღია ზღვაში გასვლის მიზნით გადალახოს სახელმწიფო ტერიტორიული ზღვა პორტებში შესვლით ან შეუსვლელად. ამ შემთხვევაში გემი უნდა მიდიოდეს უკვლელი კურსით და სიჩქარით და იმ წესების დაცვით, რომელიც სათანადო ორგანოების მიერაა მითითებული. მშვიდობიანი გავლისათვის წინასწარი შეტყობინება საჭირო არ არის. მშვიდობიანი გაელის დროს გემი არ იხდის არავითარ ბაჟს და მასზე „ალმის კანონი“ მოქმედებს. გაელა მანამ ითვლება მშვიდობიანად, სანამ ის არ არღვევს სანაპირო სახელმწიფოს მშვიდობას, მართლწესრიგს ან უშიშროებას.

მართალია მშვიდობიანი გაელის უპირობო უფლება თანაბრად აქვთ როგორც სამხედრი ისე საეაჭრო გემებს. საქართველოს კანონმდებლობით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, სამხედრო და სპეციალური დანიშნულების გემებს ევალებათ შემოსვლამდე 48 საათით ადრე დიპლომატიური გზით აცნობონ საქართველოს შესაბამის უწყებებს. ყოველი გავლის საჭიროების დროს აუცილებელია სპეციალური შეტყობინება და ნებართვის მიღება, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს გაელის ვადებს, კურსს და სხვა წესებს. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანი გაელის უფლება აღიარებულია როგორც 1958 წლის ქენებვის კონვენციაში „ტერიტორიული ზღვისა დ ამინდებარე ზონის შესახებ“, ისე საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციაში,

---

[201] ნიგერია, ტოგო (30), ზამბია, ტანზანია, კამერუნი, მადაგასკარი (50), გაბონი (100), სენეგალი (150), პანამა, სალვადორი, ჩილი, ეკვადორი, ნიკარაგუა, გვინეა, განა, ბენინი, ლიბერია, კონგო, სიერა-ლეონე, სომალი (200).

[202] საზღვაო ნაპირის მქონე 134 სახელმწიფოდან 121 აღიარებს 12 საზღვაო მილის სიგანეს, მათ შორისაა საქართველო.

მხოლოდ სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფი არ მოითხოვს არავითარ შეტყობინებას სამხედრო და/ან ატომური გემების მშვიდობიანი გავლის შესახებ.[203]

სანაპირო სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქცია არასამხედრო გემზე ვრცელდება ტერიტორიულ ზღვაში ჩადენილ დანაშაულზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა) დანაშაულის შედეგები ვრცელდება სანაპირო სახელმწიფოზე, ბ) დანაშაული არღვევს ქვეყნის სიმშვიდეს ან ტერიტორიულ ზღვაში მოქმედ წესრიგს, გ) თუ ამას თხოულობს ხომალდის კაპიტანი, დიპლომატიური აგენტი ან ხომალდის ალმის სახელმწიფოს საკონსულო თანამდებობის პირი, დ) ნარკოტიკებით და ფსიქოტროპიულ ნივთიერებათა არაკანონიერი ვაჭრობის აღკვეთის მიზნით.

თუ დანაშაული ჩადენილ იქნა ხომალდზე ღია ზღვაში, ტერიტორიულ ზღვაში შესვლამდე, მაშინ. სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია ამ დანაშაულზე არ ვრცელდება. 1982 წ. წლის კონვენცია ითვალისწინებს ჩარევის შესაძლებლობას საზღვაო გარემოსათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში.

თუ სამხედრო გემები ტერიტორიულ ზღვაში გავლის დროს არღვევენ არსებულ წესრიგს, კანონებს, არ ემორჩილებიან მესაზღვრეთა და სამხედრო-საზღვაო სარდლობის მითითებებს, ისინი შეიძლება გაძევებულ იქნენ ტერიტორიული ზღვიდან.

წყალქვეშა ნავები ტერიტორიულ ზღვაში ამოტივტივებულ მდგომარეობაში გაივლიან.

ტერიტორიული ზღვის გასწვრივ შეიძლება მდებარეობდეს ზონა. მისი სიგანე არ შეიძლება იყოს 24 საზღვაო მილზე მეტი, იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც ითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.

სახელმწიფოს უფლება აქვს მიმდებარე ზონაში კონტროლი გაუწიოს თავისი საბაჟო, ფინანსური, იმიგრაციული, სანიტარული წესებისა და კანონების დაცვას ტერიტორიაზე ან ტერიტოიულ ზღვაში, აღკვეთოს ასეთი დარღვევები და დასაჯოს გემი. ამასთან, სანაპირო სახელმწიფოს ნებაროვის გარეშე არეის აქვს უფლება ამოღოს მიმდებარე ზონის ფარგლებში ზღვაში ჩაძირული ისტორიული და არქეოლოგიური ობიექტები.

---

[203] 1982 წლის კონვენცია მშვიდობიანი გავლის უფლებას ანიჭებს სამხედრო გემებსაც

საქართველოს შიდა წყლების და ტერიტორიული ზღვის სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო საზღვრის შესახებ (1997 წ.) და კანონით საზღვაო სივრცეების შესახებ (1999 წ.) იხ. დანართი.

## 4. ღია ზღვა [204]

1982 წლის კონვენციის თანახმად, ღია ზღვის ქვეშ იგულისხმება ზღვის ყველა ნაწილი, რომელიც არ შედის არც ერთი სახელმწიფოს შიდა წყლებში, არც ტერიტორიულ ზღვაში ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მოაქციოს ღია ზღვა თავისი სუვერენიტეტის ქვეშ. ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია თავისუფლად აწარმოოს ღია ზღვაში: ა) ნაოსნობა, ბ) თევზჭერა და სხვა საზღვაო სარეწები, გ) გაიყვანოს წყალქვეშა კაბელები და მილები, დ) გამოიყენოს მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე თავისი თვითმფრინავების ფრენისათვის, ე) აწარმოოს საზღვაო-სამეცნიერო კვლევები, და ვ) ააგოს ხელოვნური კუნძულები და სხვა ნაგებობები. ეს ეხება არა მარტო საზღვაო სახელმწიფოებს, არამედ იმ სახელმწიფოებსაც, რომელთაც არ აქვთ ზღვაზე გასასვლელი. ასეთ სახელმწიფოსაც შეიძლება გააჩნდეს თავისი საზღვაო ფლოტილიები, რომლებიც ამ სახელმწიფოს დროშას ატარებენ. ამ შემთხვევაში სანაპიროს არმქონე სახელმწიფო უთანხმდება ზღვისპირას მდებარე სახელმწიფოს, რომ უკანასკნელმა გამოუყოს მას გემის მიწერის ნავსადგური.[205]

დაუშვებელია გემი ატარებდეს ერთზე მეტ ალამს. ერთადერთი გამონაკლისი დასაშვებია თუ გემი დაქირავებული ყავს ან ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციის დავალებას

---

[204] ღია ზღვის პრინციპი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბურჟუაზია იწყებს ბრძოლას იმ ფეოდალური წესების წინააღმდეგ, რომლებიც ზღუდავდნენ და ბორკავდნენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს საერთოდ, და საზღვაო ვაჭრობას კერძოდ. ზოგიერთი ფეოდალური სახელმწიფო აცხადებდა პრეტენზიას ყველა იმ ზღვაზე, რაც მის ნაპირებს ეკრა (დანია – ბალტიის და ჩრდილოეთ ზღვების მიმართ), ან სადაც მისი გემები დაცურავდა (ინგლისი). 1609 წელს ღია ზღვის პრინციპი დაასაბუთა საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების მამამთავარმა ჰიუგო გროციუსმა. (ჰოლანდია), მაგრამ საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში იგი დაინერგა მხოლოდ XVIII საუკუნეში.

[205] ასე მაგ., ჩეხეთის გემები მიწერილია შვეიცის ნავსადგურებში.

და იგი ატარებს, როგორც რეგისტრაციის სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციის ალამს. დღეისათვის ძალიან პოპულარულია ე.წ. „ღია რეგისტრის“ დროშები, რომელთაც გემთმფლობელები იყენებენ ხელსაყრელობის მიზნით.[206]

გემების რეგისტრაციისა და ალმის ტარების მინიჭების წესები „ალმის ქვეყნის“ კანონმდებლობით რეგულირდება.

ღია ზღვაში ყოფნის დროს ყოველი გემი „ალმის კანონს“ ემორჩილება და შეიძლება დაკავებულ და გაჩხრეკილ იქნეს მხოლოდ თავისი ეროვნული სამხედრო გემების მიერ. გამონაკლისს ამ წესებიდან შეადგენს შემდეგი შემთხვევები:

ა) თუ უცხო არასამხედრო გემმა სახელმწიფოს შიდა ტერიტორიულ ან მომიჯნავე წყლებში, კონტინენტურ შელფზე ან ეკონომიკურ ზონაში ჩაიდინა დანაშაული და მას ცხელ კვალზე მისდევს მოცემული სახელმწიფოს სანაპირო დაცვის ან სათანადო უფლებით აღჭურვილი გემები, ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ განაგრძონ დევნა ღია ზღვაში, სანამ დევნილი გემი თავს არ შეაფარებს თავისი ან სხვა რომელიმე ქვეყნის ტერიტორიულ ზღვას.

ღია ზღვაში დაკავებული გემი უნდა დაბრუნდეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დამნაშავე გემის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი იძულებითი ზომები.

ბ) თუ რომელიმე გემი ღია ზღვაში მეკობრეობას[207] ეწევა, ყველა ქვეყნის სამხედრო ხომალდები უფლებამოსილნი არიან

---

[206] ასე მაგ., პანამის და ლიბერიისა ალმის ქვეშ მოცურავე სავაჭრო გემთა ტონაჟი მსოფლიოში შესაბამისად პირველ და მეორე ადგილს იკავებს.

[207] მეკობრეობა (საზღვაო ყაჩაღობა) სათავეს იღებს ჯერ კიდევ ძველ სამყაროში და განსაკუთრებით გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში. მეკობრეთა წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ამოცანას. მეკობრეთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა უსასტიკესი ზომები, მაგრამ მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ საერთაშორისო-სამართლებრივ ჩვეულებას ეყრდნობოდა.

მეკობრეობის ქვეშ თანამედროვე ეტაპზე იგულისხმება ყოველგვარი იძულებითი ზომები (დაკავება, გაძარცვა, ჩაძირვა), რომელსაც იყენებს უცხო არასამხედრო გემების მიმართ სხვა ხომალდის (საზღვაო ან საჰაერო) ეკიპაჟი ან მგზავრები კერძო მიზნებისთვის.

1937 წლის ნიონის შეთანხმებამ მეკობრეებად ჩათვალა გერმანიის, იტალიის და ფრანკოს სამხედრო გემები (წყალქვეშა ნავების ჩათვლით) და თვითმფრინავები, რომლებიც ნადირობდნენ ხმელთაშუა

გამოიყენონ მის მიმართ ყოველგვარი იძულება, რათა აღკვეთონ მეკობრის თარეში. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის სომალის სანაპიროსთან მეკობრული საქმიანობა, რომლის აღკვეთისათვის მიღებული უნდა იქნეს გადამწყვეტი ზომები.[208]

გ) თუ ღია ზღვაში შემხვედრი გემი ეჭვმიტანილია მონებით, ნარკოტიკებით და ფსიქოტროპიული ნივთიერებებით ვაჭრობაში, დასაშვებია მისი გაჩერება და გაჩხრეკა, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ძალის გამოყენება.

დ) თუ ღია ზღვაში შემხვედრი გემის მიმართ არსებობს ეჭვი, რომ იგი მოცემულ სახელმწიფოს არ მიეკუთვნება, უკანასკნელის სამხედრო გემებს უფლება აქვთ გააჩერონ და შეამოწმონ ეჭვმიტანილი გემის, მისი სახელმწიფო კუთვნილების დადგენის მიზნით.

ე) თუ არსებობს სპეციალური შეთანხმება, რომელიც ანიჭებს მხარეებს ერთმანეთის გემების ღია ზღვაში გაჩერების, შემოწმებისა და დაკავების უფლებას.[209]

---

ზღვაში 1935-1937 წწ. უცხო ქვეყნების სავაჭრო გემებზე და ძირაღნურ მათ.

ჟენევის 1958 წლის კონვენცია ღია ზღვის შესახებ და 1982 წლის კონვენცია (მუხ. 101-102) გამორიცხავენ მეკობრეთა წრიდან სახელმწიფო სამხედრო გემებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გემზე ადგილი ჰქონდა ავჯანყებას, რის შემდეგ ეს გემი მეკობრულ საქმიანობას იწყებს, იგი მიეკუთვნება მეკობრეთა რიცხვს.

[208] ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელთა წყალქვეშა ნაღები თაეს ესხმოდნენ მეომარი და ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო, სამგზავრო და ჰოსპიტალურ გემებს. 1915 წლის 7 მაისს ჩაძირულ იქნა „ლუზიტანია“, რის შედეგად დაიღუპა 1100 კაცი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გერმანელ-იტალიელ ფრანკისტული მილიტარისტების მეკობრული საქმიანობა. ამ მეკობრული აქტების შედეგად ჩაძირულ იქნა საბჭოთა სავაჭრო გემი „კომსომოლი“ (1936 წლის 14 დეკემბერს), თბომავალი „ტიმირიაზევი“ (1937 წლის 30 აგვისტოს), სავაჭრო გემი „ბლაგოევი“ (1937 წლის 1 სექტემბერს).

[209] იხ. მაგ., 1884 წლის კონვენცია წყალქვეშა სატელეგრაფო დაკვეთის შესახებ. ამ კონვენციის ძალით მხარეთა სამხედრო და საპატრულო გემები უფლებამოსილნი არიან დააკავონ ღია ზღვაში კონვენციის დარღვევაში ეჭვმიტანილი გემები, შეადგინონ სათანადო აქტი, რომელიც დამნაშავე გემის სახელმწიფოს გადაეცემა ზომების მისაღებად.

სამხედრო მოქმედების დროს ღია ზღვა თავისუფალი რჩება ყველა სახის ნეიტრალური გემებისათვის, თუ ისინი არ არღვევენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს.

ღია ზღვაში ნაოსნობის უშიშროების უზრუნველსაყოფად საზღვაო სახელმწიფოებს შორის დადებულია მთელი რიგი შეთანხმებანი, რომელნიც ეხებიან ზღვაში ადამიანის სიცოცხლის დაცვასა და გადარჩენას, გემებზე მოთავსებული ტვირთის უშიშროების უზრუნველყოფას, გემების შეჯახების თავიდან აცილების ზომებს (შემხვედრი გემების კურსის, ბგერითი და შუქიანი სიგნალის მიწოდების, საბაქანო სინათლეების განლაგებისა და სხვა წესები)[210].

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს ღია ზღვის გამოყენებას ბირთვული იარაღის გამოცდისათვის,[211] ასევე მის დაბინძურებას.[212]

1948 წელს ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეიქმნა მთავრობათაშორისი საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია („იმკო", რომელიც 1982 წლიდან საქმიანობას აგრძელებს „იმო"-ს (საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია) სახელწოდებით),[213] რომლის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა, ნაოსნობის უსაფრთხოების და ზღვის გარემოს დაცვა, ასევე განვითარებადი ქვეყნების დახმარება და სხვ. „იმო"-ს შემუშავებული აქვს 50-მდე მრავალმხრივი კონვენცია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად.

ღია ზღვის ცოცხალი რესურსების გონივრული გამოყენების მიზნით სახელმწიფოები დებენ სპეციალურ შეთანხმებებს ღია ზღვაში სარეწების რეგულირების შესახებ. ძირითადად ეს ეხება ვეშაპებზე და ზღვის კატებზე ნადირობისა და

---

[210] იხ. 1974 წლის კონვენცია „ზღვაში ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესახებ" და 1972 წლის „ზღვაში შეჯახების თავიდან აცილების წესები", 1989 წლის კონვენცია „ზღვაზე გადარჩენის შესახებ"; 1966 წლის კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ; და ა.შ.

[211] იხ. მოსკოვის 1963 წლის 5 აგვისტოს ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსური სივრცესა და წყლის ქვეშ ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

[212] 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (შუხ. 192-196).

[213] ძალაში შევიდა 1958 წლის 24 დეკემბერს.

თევზჭერის[214] საკითხებს. სახელმწიფოები განსაზღვრავენ თევზის სახეობებს, თევზჭერის საშუალებებს და გეოგრაფიულ რაიონებს; ითვალისწინებენ კონვენციის დამრღვევთა მიმართ ღია ზღვაში თევზჭერისა და ცოცხალი რესურსების დაცვის წესების შესახებ, რომელთა მიზანია განამტკიცონ ღია ზღვაში თევზჭერის უფლება უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის, აგრეთვე დაიცვან ზღვის ცოცხალი რესურსები ისეთი ექსპლუატაციისაგან, რომლის შედეგად იქმნება თევზის ზოგიერთი ჯიშის მოსპობის საფრთხე ღია ზღვის ამა თუ იმ არეში. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად თანამედროვე საერთაშორისო სამართალი უფლებას აძლევს სანაპირო სახელმწიფოს საჭიროებისამებრ აკრძალოს თევზჭერა ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. ეს ზომები მყარ საფუძველს უნდა ემყარებოდეს და ჭეშმარიტად აუცილებელი და საჭირო მიზნებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

გაეროს 1982 წლის კონვენცია ადგენს, რომ ღია ზღვაში თევზჭერის დროს სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ღია ზღვის ცოცხალი რესურსების მართვისა და დაცვის მიზნით შესაბამისი კომისიების ჩამოყენებით. ამის მიზანია თევზის სახეობების რეპროდუქციულობის შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომ ის მაქსიმალურად ნაყოფიერი იყოს, და შესაბამისად ასეთი სახეობის შენარჩუნება.

დღეისათვის ასეთი 4 კომისია არსებობს:

---

[214] იხ. ვაშინგტონის 1946 წლის საერთაშორისო კონვენცია ვეშაპებზე ნადირობის რეგულირების შესახებ (მონაწილეობს 15 სახელმწიფო). ვაშინგტონის 1957 წლის კონვენცია წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ზღვის კატების შენარჩუნების შესახებ (მონაწილეობს რუსეთი, აშშ, კანადა, იაპონია). 1972 წლის კონვენცია ანტარქტიკის ბეწვიანების შენარჩუნების შესახებ. კონვენციები და შეთანხმებანი ატლანტის ოკეანის სხვადასხვა არეში თევზჭერის შესახებ (1977, 1980 წწ.) და სხვ. იხ. აგრეთვე: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ატლანტიკის თევზჭერის ორგანიზაცია (დაარსებული 1980 წლის კონვენციით); ხმელთაშუაზღვისპირეთის გენერალური თევზჭერის საბჭო (დაარსებულია 1949 წლის კონვენციით); ანტარქტიდის ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის (კონსერვაციის) კომისია (დაარსებულია 1990 წლის კონვენციით); ჩრდილოეთ ატლანტიკის თევზჭერის ორგანიზაცია „NAFO“ (დაარსებულია 1978 წლის კონვენციით).

1. ჩრდილოეთ ატლანტიკის თევზჭერის ორგანიზაცია (NAFO) დაარსებული 1978 წლის კონვენციით. წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ინსპექტორს აქვს უფლება გააჩეროს ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს თევზსაჭერი გემი და შეამოწმოს არღვევს თუ არა იგი NAFO-ს წესებს. დარღვევის არსებობის შემთხვევაში ეცნობება დროშის სახელმწიფოს, რომელმაც უნდა მიიღოს საჭირო ზომები. ინსპექტორს უფლება აქვს გემს არ მისცეს თევზჭერის გაგრძელების საშუალება. 1995 წლის დამატებით, თითოეული წევრი სახელმწიფოს გემი ვალდებულია დამკვირვებელი ჰყავდეს გემზე.

2. ჩრდილო-აღმოსაველეთ ატლანტიკის თევზჭერის ორგანიზაცია, დაარსებული 1980 წლის კონვენციით.

3. ხმელთაშუაზღვისპირეთის გენერალური თევზჭერის საბჭო, დაარსებული 1949 წლის კონვენციით.

4. ანტარქტიდის ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის (კონსერვაციის) კომისია (CCAMLR) დაარსებული 1980 წლის კონვენციით. მოიცავს უდიდეს არეალს, სადაც კომერციული თევზჭერა დაიწყო მხოლოდ 1970-იან წლებში. კომისიის მიზანია დაგეგმოს და მართოს თევზჭერა ისე რომ შეინარჩუნოს არსებული ეკოსისტემა. განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონის ფრინველებს, რომელთათვისაც თევზის გარკვეული სახეობა საკვებს წარმოადგენს. CCAMLR- ის მიერ არის დადგენილი თევზჭერის ლიმიტი გარკვეულსახეობებზე.

ასევე დადებულია მთელი რიგი რეგიონალური შეთანხმებები – 1973 წელს გდანსკში ხელმოწერილ იქნა კონვენცია ბალტიის ზღვასა და სრუტეში თევზჭერისა და ცოცხალი რესურსების შენარჩუნების შესახებ (სსრკ, პოლონეთი, გდრ, გფრ, დანია, ფინეთი, შვეცია); უფრო ადრე 1958 წელს მოწესრიგდა შავ ზღვაში თევზჭერის საკითხები.

უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა თევზჭერისა და ცოცხალი რესურსების შენარჩუნების რეგლამენტაციის ახალი რეჟიმი, რომელიც დაკავშირებულია „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კონვენციისა და სამართლებრივი სტატუსის წარმოშობასთან“.

## *5. დახურული და ნახევრად დახურული ზღვები*

ზღვას, რომელიც რომელიმე სახელმწიფოს ნაპირებითაა გარემოცული, და სხვა ზღვას ან ოკეანეს ეიწრო გასასვლელით ან შედგება მხოლოდ ორი ან მეტი

სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისგანგაეროს 1982 წლის კონვენციის მიზნებისათვის ეწოდება დახურული ან ნახევრად დახურული ზღვები. მათ რიცხვს მიეკუთვნება შავი ზღვა, ბალტიის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, კარიბის ზღვა, წითელი ზღვა და ა.შ.

ასეთი ზღვების სანაპირო სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესასრულებლად, რაც მათ შორის მოიცავს:

ზღვის ცოცხალი რესურსების შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის, ზღვის გარემოს დასაცავად, საზღვაო-სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კასპიის ზღვა, რომელზეც ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული, მიეკუთვნება იგი დახურული ზღვების რიგს, თუ არის ტბა. ამ ტემაზე დისკუსია განსაკუთრებით აქტუალური გახადა კასპიის ზღვის ფსკერის მდიდარმა წიაღისეულმა.

## 6. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

ეკონომიკური ზონის ცნება ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 70იან წლებში, როდესაც მთელმა რიგმა უმეტესად ლათინური ამერიკისა და აფრიკის განვითარებადმა სახელმწიფოებმა, შემოიღეს 200 საზღვაო მილიანი ზონები, რომლებშიც მიისაკუთრეს სუვერენიტეტი თევზჭერასა და ცოცხალი რესურსების შენარჩუნებაზე. ამან ბევრი სახელმწიფოს პროტესტი გამოიწვია, რადგანაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ღია ზღვის რესურსების გამოყენების საშუალებას სხვა ქვეყნებისათვის.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცნება, რომელიც ფიქსირებულია 1982 წლის კონვენციაში (მუხ. 55-75).

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის ზღვის რაიონი, რომელიც ემიჯნება ტერიტორიულ ზღვას და რომელშიც სანაპირო სახელმწიფოს მიეკუთვნება შემდეგი უფლება-მოვალეობანი:

ა) სუვერენული უფლებები, აღარმოს ბუნების ყველა რესურსის (ე.ი. ცოცხალი თუ არაცოცხალი, რომელიც მდებარეობს ფსკერზე ან მის მყარად წყლებში) დაზვერვა, დამუშავება და შენარჩუნება; აგრეთვე იგი უფლებამოსილია ჩაატაროს სხვა ღონისძიებანი ზონის ეკონომიკური დაზვერვისა

და დამუშავების მიზნით, მაგ., ენერგიის წარმოება წყლის დინებისა და ქარის გამოყენებით.

ბ) შექმნას ხელოვნური კუნძულები, დანადგარები, ნაგებობა და გააფართოოს მათზე თავისი იურისდიქცია.

გ) აწარმოოს საზღვაო-სამეცნიერო.

დ) დაიცვას და შეინარჩუნოს ზღვის გარემო და სხვ.

ე) პატივი სცეს სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს, მათ უფლება-მოვალეობებს.

ზონის სიგანე არ შეიძლება აღემატებოდეს 200 საზღვაო მილს, იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.

ეკონომიკურ ზონაში შენარჩუნებულია ღია ზღვის შემდეგი თავისუფლებები: ნაოსნობა, გადაფრენა, კაბელების და მილსადენების გაყვანის უფლება.

აღსანიშნავია, რომ თუმცა კონვენციის ძალით სანაპირო სახელმწიფოს ეძლევა განსაკუთრებული უფლება ცოცხალი რესურსების მოძიებისა და ექსპლუატაციის სფეროში, მაგრამ თუ ამ სახელმწიფომ ვერ შეძლო დადგენილი ქვოტის ათვისება, მან უნდა მისცეს რეგიონის განვითარებად სახელმწიფოს უფლება მოიპოვონ დარჩენილი რესურსები. ეკონომიკურ ზონაში არსებული ცოცხალი რესურსების შენარჩუნებასა და აღდგენასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით – ინფორმაციის გაცვლა, მოპოვების მონაცემები, მოპოვების დასაშვები რაოდენობის ფიქსაცია და სხვ.

საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის რეჟიმი რეგულირდება 1998 წლის კანონით „საქართველოს საზღვაო სივრცეების შესახებ“ (იხ. დანართი)

მომიჯნავე ან მოპირდაპირე სანაპიროების მქონე სახელმწიფოების გეზ-ის დელიმიტაცია, თუ საწყის ხაზებს შორის მანძილი 400 საზღვაო მილზე ნაკლებია, აუცილებლად უნდა მოხდეს მხარეთა შეთანხმებით. ცალმხრივად არცერტ სანაირო სახელმწიფოს არ შეუძლია მოახდინოს გეზ-ის გარე საზღვის დადგენა.

## *7. ზღვის ფსკერის სამართლებრივი რეჟიმი*[215]

---

[215] კონტინენტური შელფის ცნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენდა. 1945 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ტრუმენმა გამოაქვეყნა

ზღვის ფსკერის წიაღის ექსპლოატაციასთან უშუალო კავშირშია ე.წ. კონტინენტურ შელფზე უფლების საკითხი. **კონტინენტური შელფის** კონტინენტური შელფის რეჟიმი მოწესრიგებულია ჟენევის 1958 წლის კონვენციით კონტინენტური შელფის შესახებ, გაერის 1982 წლის კონვენციით საზღვაო სამართლის შესახებ (თავი VI), საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებით (მათ შორის, ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის შესახებ) და ა.შ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონტინენტური შელფის გეოლოგიურ და სამართლებრივ ცნებებს. გეოლოგიაში შელფი ეწოდება მატერიკის წყალქვეშა ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეკერის სახმელეთო ტერიტორიას. ამ თვალსაზრისით ერთი მხრივ აშშ-ს დასავლეთ სანაპიროზე კონტინენტური შელფი არ სცილდება 5 საზღვაო მილს, ხოლო მეორე მხრივ, ჩრდილოეთის ზღვისა და სპარსეთის ყურის ფსკერები მთლიანად კონტინენტური შელფია. რაც შეეხება კონტინენტური შელფის სამართლებრივ არსს, აღსანიშნავია, რომ კონტინენტური შელფის შესახებ 1958 წლის კონვენციის თანახმად, ეს ტერმინი გამოიყენება: ზღვის ფსკერისა და საზღვაო რაიონების ზედაპირისა და წიაღისეულის მიმართ, რომელიც ეკერის ნაპირს, მაგრამ სცდება ტერიტორიული ზღვის ზონას, 200 მეტრის სიღრმემდე ან იმ ზღვრამდე, სადამდეც ზღვის სიღრმდე იძლევა ბუნებრივი რესურსების დამუშავების საშუალებას.

გაეროს 1982 წლის კონვენციის თანახმად, კონტინენტური შელფი, ეს არის ზღვის ფსკერის რაიონი და მისი წიაღისეული, რომელიც იწყება ტერიტორიული ზღვის გარე საზღვრიდან და გრძელდება ხმელეთის ბუნებრივი

---

დეკლარაცია, რომელშიც პირველად ჩამოყალიბდა კონტინენტური შელფის ტერმინი და ცნება. შემდგომ ინგლისმა და ლათინური ამერიკის ზოგიერთმა ქვეყანამ გამოაცხადეს თავისი პრეტენზიები ტერიტორიული ზღვის საზღვრებს იქით მდებარე ზღვის ფსკერზე. 1958 წელს ჟენევის კონფერენციამ შეიმუშავა კონვენცია კონტინენტური შელფის შესახებ, რომელმაც მოაწესრიგა საერთაშორისო საზღვაო სამართლის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იმ დროისათვის დამახასიათებელი მეცნიერულ-ტექნიკური დონის მიხედვით. მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ კონვენციით დაწესებული კონტინენტური შელფის გარე საზღვარი აღარ შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის 1970-1980 წწ. დონეს.

გაგრძელების მთელ სიგრძეზე მატერიკის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე ან საწყისი ხაზებიდან 200 საზღვაო მილამდე, როდესაც მატერიკის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი ამაზე ახლოს მთავრდება. მატერიკის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი სანაპირო სახელმწიფოს მიერ დგინდება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სიფართე აჭარბებს 200 საზღვაო მილს საწყისი ხაზებიდან, და სანაპირო სახელმწიფოს სურს ამ კიდის გარე საზღვარი ჩათვალოს კონტინენტური შელფის გარე საზღვრად. თუმცა, მატერიკის წყალქვეშა კიდე არ მოიცავს ოკეანის ფსკერს დიდ სიღრმეებზე, მაგრამ მოიცავს სანაპირო სახელმწიფოს კონტინენტური მასივის გაგრძელებას და შედგება შელფის, ვარდნის (ფერდობის) და ალმართის ზედაპირისა და წიაღისეულისაგან. იგი დგინდება დადგენილი წერტილების შემაერთებელი სწორი ხაზებით, რომელთა სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 60 საზღვაო მილსს, იმ პირობით, რომ ეს წერტილები არ არის განლაგებული 2500 მეტრიანი იზობათიდან 100 საზღვაო მილის, ან საწყისი ხაზებდიან 350 საზღვაო მილის მიღმა.

ბ. საერთაშორისო სამართლის დღეისათვის მოქმედი ნორმების თანახმად, სანაპირო სახელმწიფო კონტინენტურ შელფზე ახორციელებს სუვერენულ უფლებებს მისი ბუნებრივი არაცოცხალი რესურსების დაზვერვისა და დამუშავების მიზნით.

გაეროს 1982 წლის კონვენციის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახამდ, სანაპირო სახელმწიფოს არ სჭირდება გაატაროს ზომები თავისი კონტინენტური შელფის რესურსების მოსაძიებლად და დასამუშავებლად მხოლოდ იმიტომ, რომ აღკვეთოს სხვა სახელმწიფოების მიერ იგივე ქმედები თავის კონტინენტურ შელფზე. როგორც ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეზე საერთაშორისო სასამართლოს 1969 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებაშია ნათქვამი: „სანაპირო სახელმწიფოს უფლება კონტინენტური შელფის რაიონთან მიმართებაში, რომელიც წარმოადგენს მისი ტერიტორიის ბუნებრივ გაგრძელებას როგორც ზღავზე ისე ფსკერზე, არსებობს *ipso facto* და *ab inicio*, როგორც მისი სუვერენტეტის შედეგი ამ ტერიტორიაზე და როგორც ამ სუვერენიტეტის გაგრძელება სუვერენული უფლებების განხორციელებით ზღვის ფსკერის დაზვევრასა და მისი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე“.

როგორც ამ გადაწყვეტილებიდან ჩანს, სანაპირო სახელმწიფოს არ სჭირდება კონტინენტური შელფის გამოცხადება, იმისთვის რომ განახორციელოს საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები ამ ზონაზე, განსხვავებით გეზ-ისა და სხვა ზონებისა.

როგორც საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა კონტინენტური შელფი არ არის სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორია. სხვა სახელმწიფოებს უფლება აქვთ კონტინენტი შელფზე გაიყვანონ კაბელები და მილსადენები, ასევე ჩაატაროს მათი შესანახი სამუშაოები. ამასთან, ამ სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ სანაპირო სახელმწიფოს კონტინენტური შელფის რესურსების დაზვერვასა და მოპოვებაში.

სანაპირო სახელმწიფოს ასევე აქვს კონტინენტურ შელფზე გარემოს დაბინძურების აღკვეთაზე, ხელოვნური კუნძულებისა და ნაგებობების მშენებლობაზე და სამეცნიერო კვლევაზე იურისდიქცია. ამ საკითხებზე *mutatis mutandis* ვრცელდება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის რეჟიმი.

სანაპირო სახელმწიფო ვალდებულია 200 საზღვაო მილის მიღმა კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციიდან მიღებული მთელი პროდუქციდან 1%, ექსპლუატაციის დაწყებიდან 5 (ხუთი) წლის გასვლის შემდეგ, გადარიცხოს სპეციალურ ორგანოში, რომელიც შემოსავლებს ანაწილებს წევრ სახელმწიფოებს შორის სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე. გადასახადი ყოველწლიურად იზრდება 1%-ით 12 (თორმეტი) წლის გასვლამდე და შემდეგ რჩება უცვლელი. ამ გადასახადიდან თავისუფლდება განვითარებადი სახელმწიფოები, რომლებიც არიან კონტინენტურ შელფზე მოპოვებული რესურსები იმპორტიორები.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს კონტინენტური შელფის გარეთ მდებარე ზღვის ფსკერის გამოყენების რეგლამენტაციას.[216] 1982 წლის კონვენცია

---

[216] მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შესაძლებელი გახადა მსოფლიო ოკეანის ფსკერზე და მის წიაღში მდებარე მინერალური რესურსების მოპოვება – ნავთობი, გაზი, მარგანეცი, ნიკელი, კობალტი, ტიტანი, სპილენძი. უკანასკნელ ხუთ მინერალს შეიცავს ფსკერზე „დაფანტული“ კონკრეციები – კარტოფილის ბოლქვის მსგავსი კოშტები, რომელთა მოპოვება შედარებით „იოლად“ შეიძლება

შეიცავს სპეციალურ თავს, რომელიც არეგულირებს ე.წ. „რაიონის“ სამართლებრივ სტატუსს: რაიონი, ანუ ზღვის ფსკერი, რომელიც არ იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, გამოცხადებულია „კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობად“. ყველა სახელმწიფო, როგორც ზღვის ნაპირის მქონე, ასევე „შიდაკონტინენტური“, უფლებამოსილია აწარმოოს „რაიონის“ ფსკერის ექსპლოატაცია, მაგრამ დადგენილი წესის მიხედვით: „კაცობრიობის“, ანუ სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოების სახელით მოქმედებს ე.წ. „ორგანო“ (საერთაშორისო ორგანო ზღვის ფსკერის საკითხებზე), რომელიც შედგება ასამბლეისაგან (მის შემადგენლობაში შედის ორგანოს ყველა წევრი), საბჭოს (36 წევრი, არჩეული ასამბლეის მიერ) და სამდივნოსაგან.

ორგანო უფლებამოსილია თვითონ აწარმოოს ფსკერის ექსპლოატაცია ან მისცეს მთხოვნელ სახელმწიფოს უფლება მოიპოვოს მინერალური რესურსები – ზუსტად განსაზღვრულ ადგილას.[217]

ა. შემოღებულია მსოფლიო ოკეანის საერთაშორისო რაიონის (ფსკერის) რესურსების დაზღვევის და მოპოვების ე.წ. პარალელური სისტემა: ორგანოს გარდა ფსკერის მინერალური რესურსების მოპოვება შეუძლია სახელმწიფოს ან, მისი ნებართვით, ეროვნულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კონვენციის დადგენილი წესის შესაბამისად.

საერთაშორისო რაიონი არ შეიძლება გახდეს რომელიმე სახელმწიფოს საკუთრება, სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტები. რაიონის საერთაშორისო სტატუსი ხელშეუხებელია, იგი გამოყენებული შეიძლება იყოს მხოლოდ მშვიდობიანი საქმიანობისათვის, არ დაიშვება არავითარი ბირთვული იარაღის განლაგება.

---

სათანადო ტექნიკის გამოყენებით. მდიდარია ოკეანის ფსკერი სხვა მინერალური რესურსებით, რომელთა დაზღვევა და ექსპლოატაცია ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ინდუსტრიულად ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია, პირველ რიგში აშშ-ს, იაპონიას, რუსეთს, დიდი ბრიტანეთს, გფრ-ს, საფრანგეთს და სხვ.

[217] ყოველ სახელმწიფოს ან თვით ორგანოს ფსკერის ექსპლოატაციისას მიღებული მოგებიდან გარკვეული წილი შეაქვს „საერთო ყუთაბაში“, რომელიც უნაწილდება სახელმწიფოებს, რომლებიც ექსპლოატაციას ვერ ახერხებენ.

ოკეანის წყლები, რომლებიც ფარავს რაიონს, რჩება ღია ზღვის თაისუფლების პრინციპის მოქმედების ქვეშ და უტოვებს ყველა სახელმწიფოს ამ პრინციპში შემავალ ყველა თავისუფლებას ნაოსნობის, ფრენის, თევზჭერისა და სხვა სარეწის სფეროში, სხვა ზემოხსენებულ უფლება-მოვალეობებს.

განვითარებული ქვეყნები სარგებლობდნენ იმით, რომ კონვენციის ძალაში შესვლა გვიანდებოდა, და ცდილობდნენ დაუფლებოდნენ რაიონის ყველაზე „ნოყიერ“ ადგილებს, რათა დაეკანონებინათ ორგანო ფაქტის წინაშე. აშშ-ს მთავრობამ კი საერთოდ უარყო კონვენცია და მისცა თავის მონოპოლიებს უფლება თვითნებურად დაუფლებოდნენ „რაიონის“ სასურველ ადგილებს. მას შემდეგ კონვენცია შევიდა ძალაში აღნიშნული ქვეყნები დაადგნენ სამართლებრივი იმპლემენტაციის გზას, ხოლო აშშ რჩება ამ კონვენციის მოქმედების სფეროს მიღმა.

## 8. საერთაშორისო სრუტეების და არხების სამართლებრივი რეჟიმი

გაეროს საზღვაო სამართლის არცერთ კონფერენციას არ შეუმუშავებია სრუტეების სამართლებრივი განმარტება. მდენად, ტერმინი „სრუტე“ მოიაზრება მისი აკადემიური მნიშვნელობით.

გეოგრაფიული განმარტებით, „სრუტე“ არის ზღვის ვიწრო გასასვლელი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ზღვის უფრო ფართო არეალს ან ვიწრო გასასვლელი, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან ღია ზღვის ორ ნაწილს. მხოლოდ ამ განმარტებიდანაც კი ჩანს რა დიდი სტრატეგიული და კომერციული მნიშვნელობა აქვს სრუტეებს. სწორედ ამან განაპირობა დიდი საზღვაო სახელმწიფოების ერთმნიშვნელოვანი პოზიცია გაეროს 1982 წლის კონვენციის ტექსტზე მუშაობის დროს, რომ მათთვის სრუტეებში თავისუფალი მოძრაობის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. ეს პრობლემა გადაწყდა საერთაშორისო ნაოსნობისთვის გამოყენებულ სრუტეებში ტრანზიტული გაელის რეჟიმის შემოღებით. ეს არის სრუტეები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ნაოსნობისათვის ღია ზღვის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ერთ ნაწილსა და ღია ზღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მეორე ნაწილს შორის.

სრუტეების სამი კატერგორია არის ამოღებული ამ განმარტებიდან:

1. სრუტეები რომლებშიც გადის ღია ზღვის გზა, ან გეზ-ის გზა. (მაგ. ფლორიდის სრუტე აშშ-სა და კუბას შორის). ასეთ სრუტეში, რომელიც უნდა იყოს 24 ს.მ.-ზე მეტი სიფართის, მოქმედებს ნაოსნობის თავისუფლების რეჟიმი.

2. როდესაც სრუტეს ქმნის კუნძული და ამ კუნძულის გასწვრივ არსებობს იგივე სანაოსნო და ჰიდროგრაფიული პირობების მქონე ხაზები კუნძულის გასწვრივ არსებულ ღია ზღვასა თუ გეზ-ში. (მაგ. მესინას სრუტე სიცილიასა დ იტალიას შორის).

3. სრუტეები, რომლებიც აკავშირებენ ღია ზღვის ან გეზ-ის ნაწილს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვასთან (ტირანის სრუტე). ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში, მოქმედებს მშვიდობიანი გავლის უფლება 1982 წლის კონვენციის თანახმად.

სრუტეებზე, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ნაოსნობაში და დადგენილია სპეციალური რეჟიმი, გაეროს 1982 წლის კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება (მაგ. შავი ზღვის სრუტეები (1936 წლის მონტრეს კონვენცია) და ბალტიის ზღვის სრუტეები (1857 წლის კოპენჰაგენის ტრაქტატი) და მაგელანის სრუტე (1881/1984 წწ შეთანხმებები არგენტინასა და ჩილეს შორის)).

რაც შეეხება სრუტეებს, რომლებიც ღია ზღვასა ტერიტორიულ ზღვასთანბ აკავშირებს, იქ მოქმედებს შეუჩერებელი მშვიდობიანი გავლის რეჟიმი

სრუტეებიდან, რომელიც აკავშირებს ოკეანეებს და ზღვებს აღხზანიშნავია: მალაკის სრუტე (მალაზიას და ინდონეზიას – სუმატრის კუნძულს შორის), პა-დე-კალე (ინგლისის და საფრანგეთის ნაპირებს შორის), ლაპერუზის, სანგარის, კორეის სრუტეები (იაპონიის ზღვიდან მიმავალი გზები), ორმუზის სრუტე (სპარსეთის ყურეში) და სხვ.

ერთ-ერთი პირობა, რამაც განაპირობა ტერიტორიოული ზღვის სიფართის 12 საზღვაო მილამდე გაზრდა იყო სწორედ, 1982 წლის კონვენციით განამტკიცებული წესი, რომლის თანახმად თუ სრუტე გადის სანაპირო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვაში, მასზე გავლის უფლება გააჩნია ყველა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო გემებს ტრანზიტის შეუჩერებლად. იგივე უფლება აქვს მინიჭებული თვითმფრინავებს. ტრანზიტული გაელისას გემებმა უნდა დაიცვან ზონაში დადგე-

ნილი წესები, თავი შეიკავონ ზღვის დაბინძურებისგან და მოქმედებისაგან, რომელიც აენებს სანაპირო სახელმწიფოებს. ზარალის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ალმის სახელმწიფოს, თუ საზღვაო ან საჰაერო ხომალდი სამხედროა ან სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და არ გამოიყენება კომერციული მიზნით.

**გიბრალტარის სრუტე**, რომელიც ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვას აკავშირებს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სრუტეა. მისი ნაპირები ინგლისს, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის 1905 და 1907 წწ. დადებულ შეთანხმებათა ძალით სამუდამოდ დემილიტარიზებული უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ინგლისი ინარჩუნებს გიბრალტარის ჩრდილოეთით (ესპანეთის) სანაპიროზე მდებარე უდიდეს სამხედრო ბაზას – გიბრალტარს. ამჟამად მაროკოსა და ესპანეთს შორის გახდის, ხოლო ინგლისელთა ხელთმყოფი გიბრალტარის ციხე-სიმაგრე აკონტროლებს მთელ რაიონს.

**მაგელანის სრუტე** აერთებს ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს ლათინური ამერიკის უკიდურეს ნაწილში. მისი რეჟიმი დღეს 1881 წელს ჩილესა და არგენტინას შორის დადებული შეთანხმებით რეგულირდება: სრუტე თავისუფალია ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების ნაოსნობისათვის.

1881-1941 წწ. სრუტის ნაპირები დემილიტარიზებული იყო, მაგრამ 1941 წლის შეთანხმების ძალით ორივე სახელმწიფომ გაამაგრა თავისი მხარე.

**ბალტიის ზღვის სრუტეები (ზუნდი, დიდი და პატარა ბელტი)**[218] ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვებს აკავშირებენ. კოპენჰაგენის 1857 წლის ხელშეკრულებით სრუტეები ღიაა ყველა ქვეყნის საეაჭრო გემების ნაოსნობისათვის. რაც შეეხება სამხედრო გემებს, მათ შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება დუმს, რამაც დანიას საბაბი მისცა შემოეღო მკირეოდენი შეზღუდვანი ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის

---

[218] XVII საუკუნემდე დანია ერთპიროვნულად განაგებდა მის ტერიტორიაზე მდებარე სრუტეებს და უზომოდ დიდ გადასახადებს ახდევინებდა გემებს. 1780 და 1800 წწ. შეთანხმებათა ძალით სრუტეები ჩაიკეტა არაბალტიისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის, მაგრამ შემდგომ ეს პრინციპი დაეწუებას მიეკვა. 1938 წლამდე სრუტეებში სამხედრო გემების გაელა ფაქტიურად შეუზღუდავი იყო ყველა ქვეყნისათვის. 1951 წელს დანიამ ცალმხრივად შემოიღო წესები სამხედრო გემების ალმის მიუხედავად, რითაც მნიშვნელოვნად გააუქმა ბალტისპირეთის ქვეყნების უშიშროების პირობები.

ბალტიისპირა სახელმწიფოების ინტერესების გაუთვალისწინებლად. ბალტიის ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის, ბალტიის სრუტეები ერთადერთი გასასვლელ-შემოსასვლელი გზაა და ყოველგვარი შეზღუდვანი აშკარად ლახავს ამ სახელმწიფოების უშიშროებისა და თავდაცვით ინტერესებს. ამავე დროს, არაბალტიისპირა სახელმწიფოების უფლება – გაიყვანონ სრუტეებში თავისი სამხედრო გემები მცირეოდენი შეზღუდვით – სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნების უსაფრთხოებას. ბალტიის ზღვა რეგიონალური ტიპის ზღვებს ეკუთვნის და იგი უნდა დაიკეტოს არაბალტიისპირა სამხედრო გემებისათვის.

**შავი ზღვის სრუტეები,** რომლებიც ხმელთაშუა და შავ ზღვას აერთებენ, XVII საუკუნიდან[219] დაწყებული სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების ობიექტად იქცა. დღეს მისი რეჟიმი 1936 წელს მონტრეში (შვეიცარია) დადებული კონვენციით რეგულირდება[220]. ამ კონვენციით კიდევ ერთხელ

---

[219] XVIII საუკუნემდე შავი ზღვა მთლიანად თურქეთის „შიდა წყლებად" ითვლებოდა, რადგან მის საზღვრებს შიგნით იყო მოქცეული. 1774 წლის ქუჩუკკაინარჯის ხელშეკრულების ძალით რუსეთმა ფეხი მოიკიდა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე და შავი ზღვის სრუტეები ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის გაახსნევინა თურქეთს. 1798, 1805, 1833 წლების შეთანხმებათა ძალით ეს პრინციპი განმტკიცდა, ხოლო რუსეთის სამხედრო გემებს სრუტეებში თავისუფალი გასვლისა და შემოსვლის უფლება მიეცა. ინგლისის და მისი მოკავშირეების დაწოლის შედეგად რუსეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა სრუტეებში თავისი სამხედრო გემების გატარებაზე (1841 და 1856 წლის ხელშეკრულებიდან). 1921 წელს რუსეთმა და თურქეთმა დადეს შეთანხმება, რომ შავი ზღვის სრუტეების რეჟიმი უნდა დაწესდეს თვით შავი ზღვის სახელმწიფოების მიერ (იხ. 1921 წლის ხელშეკრულების მე-5 მუხლი). მაგრამ 1923 წელს ლოზანაში დაიდო კონვენცია, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ანტანტის ინტერესებს ასახავდა. ამ კონვენციის თანახმად, შავი ზღვის სრუტეები გაიხსნა ყველა ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის, როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიან დროს. საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდა ამ კონვენციაში და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მის განხორციელებას. უკმაყოფილო იყო თვით თურქეთიც. ბოლოს და ბოლოს აშკარა გახდა ლოზანის კონვენციის უვარგისობა და საჭირო გახდა ახალი კონვენციის მიღება, რაც 1936 წელს მოხდა.

[220] კონვენციას ხელი მოაწერეს სსრ კავშირმა, თურქეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, იუგოსლავიამ, იაპონიამ, იტალიამ (1938 წ).

აღიარებული და განმტკიცებულ იქნა თურქეთის სრუტეებში ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების ნაოსნობის უფლება. გემები გადიან სრუტეებში დღისით და ღამით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე – სანიტარული შემოწმების გარდა. გადასახადი, რომელსაც გემები იხდიან, მხოლოდ სანიტარული კონტროლის განხორციელების, შუქურების, შუქებისა და მაშველი სამსახურის მოწყობის საჭიროებას ემსახურება. ეს წესი რჩება ძალაში ომის დროსაც. თუ თურქეთი მეომარი მხარე გახდება, სრუტეებში გასვლის უფლება მიეცემა მხოლოდ ნეიტრალურ ან მის მოკავშირე სახელმწიფოს სავაჭრო გემებს.

სამხედრო გემების მიმართ დაწესებულია სხვა ნორმები, მშვიდობიან დროს შავი ზღვის ქვეყნებს უფლება აქვთ გაიყვანონ სრუტეებში ყველა სახის სამხედრო გემები, მაგრამ სახაზო ხომალდები გაიყვანება თითო-თითოდ, არაუმეტეს ორი ნაღმოსნის თანხლებით, ხოლო წყალქვეშა ნავები – ამოტივტივებულ მდგომარეობაში, ისიც თითო-თითოდ და დღის საათებში.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მათ უფლება აქვთ გაიყვანონ სრუტეებში მხოლოდ მსუბუქი წყალქვეშა სამხედრო გემები, რომელთა საერთო ტონაჟი ყოველი გასვლის დროს არ უნდა აღემატებოდეს 15000 ტ., ხოლო ყველა გემის ტონაჟი, რომელიც შავ ზღვაში იმყოფება, არ უნდა აღემატებოდეს 30000 ტონას (შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების გადიდების შემთხვევაში ეს კვოტა შეიძლება განისაზღვროს 45000 ტონით). არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების ყოფნის ვადა შავ ზღვაში არ შეიძლება აღემატებოდეს 21 დღეს; ყველა ქვეყანა, რომელსაც გაყავს სრუტეში თავისი სამხედრო გემები მშვიდობიან დროს, მოვალეა შეატყობინოს თურქეთის მთავრობას 15 (არაშავიზღვისპირა ქვეყნების გემებისათვის) ან 8 (შავიზღვისპირა ქვეყნების გემებისათვის!) დღით ადრე, თავის მხრივ თურქეთმა უმალვე უნდა აცნობოს კონვენციის მონაწილეებს.

ომის შემთხვევაში თურქეთი უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს რომელი ქვეყნის გემები დაიშვება სრუტეში.

თუ თურქეთი ომში არ მონაწილეობს, სრუტეები დახურული უნდა იყოს ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის.

---

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ, ისევე როგორც უკრაინამ, უნდა გამოიტანოს თავისი პოზიცია ამ კონვენციის მიმართ. მას უფლება აქვს ავტომატურად შეუერთდეს მას.

თურქეთი უფლებამოსილია გაამაგროს სრუტეების ნაპირები.

ბოლო წლებში, თურქეთმა სრუტეების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მიიღო რეგლამენტი (1994 წ.), რომელიც ზღუდავს გემის გასვლას სრუტეებში და მარმარილოს ზღვაში ნაოსნობას. ეს ცალკეული აქტი არღვევს მონტრეს კონვენციას და საერთაშორისო ქვეყნების შეშფოთებას იწვევს.

**საერთაშორისო არხი** ეწოდება ისეთ არხს, რომელიც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის, მაგრამ ორ ღია ზღვას ან ღია ზღვასა და დახურულ ზღვას აკავშირებს. ასეთი არხები საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე იხსნება ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის, ხოლო სამხედრო გემების მიმართ მათი სტატუსი ისეთივეა, როგორც საერთაშორისო სრუტეების რეჟიმი.

როგორიც უნდა იყოს საერთაშორისო არხების რეჟიმის მარეგულირებელი შეთანხმება, იგი არ უნდა ლახავდეს მისი მფლობელი ქვეყნის სუვერენიტეტს და არ უნდა ამოიწურებოდეს საერთაშორისო ნაოსნობისათვის საჭირო წესების შემოღებით.

იმ საერთაშორისო არხებიდან, რომლებიც ორ ღია ზღვას აკავშირებენ, აღსანიშნავია სუეცის და პანამის არხები.

**სუეცის არხის**[221] რეჟიმი რეგულირდება კონსტანტინოპოლის 1883 წლის კონვენციით.

---

[221] სუეცის არხი გათხარა ფრანგ ფ. ლესეპსის მიერ შექმნილმა აქციონერულმა კომპანიამ. იგი გაიხსნა 1869 წელს. ეგვიპტის ხედივმა გადასცა კომპანიას საკონცესო უფლება არხის მიმართ 99 წლის ვადით, 1888 წელს ინგლისის აქტიური ზეგავლენით (1882 წელს მან შეიყვანა ეგვიპტესა და არხის ზონაში თავისი ჯარებიც კი) კონსტანტინოპოლში დაიდო საერთაშორისო კონვენცია სუეცის არხის რეჟიმის შესახებ. კონვენციას ხელი მოაწერეს რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრიამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ლუქსემბურგმა, თურქეთმა; შეუერთდნენ – საფრანგეთი, შვეცია, ნორვეგია, დანია, პორტუგალია, იაპონია, ჩინეთი. 1951 წელს ეგვიპტემ გააუქმა 1936 წელს ინგლისის მიერ თავსმოხვეული კაბალური ხელშეკრულება და მოითხოვა ინგლისის ჯარების გაყვანა. 1956 წელს ნასერმა მოახდინა სუეცის არხისა და აქციონერული კომპანიის ნაციონალიზაცია. საპასუხოდ ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა ომი დაიწყეს. მაგრამ სხვა სახელმწიფოების ჩარევამ აღკვეთა აგრესია.

ეგვიპტის პრეზიდენტის 1956 წლის 26 ივლისის დეკრეტით, ეგვიპტის მთავრობის 1957 წლის 24 აპრილის დეკლარაციითა და 1957 წლის 10 ივლისის კანონით სუეცის არხი და მისი კერძო მფლობელი – სუეცის სააქციონერო კომპანია ნაციონალიზებულ იქნა და მთელი პასუხისმგებლობა არხის მმართველობის უზრუნველსაყოფად ეგვიპტის მთავრობის მიერ შექმნილ სპეციალურ ორგანოს დაეკისრა. ამ ორგანოს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა.

სუეცის არხი მშვიდობიან პერიოდში და ომის დროს ღიაა ყველა ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო გემისათვის. კონსტანტინოპოლის კონვენციის მონაწილეები ვალდებულებას კისრულობენ თავი შეიკავონ სუეცის არხის ზონის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენებისაგან და ყოველმხრივ დაიცვან არხში ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი.

**პანამის არხი**[222] ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს აერთებს. ჯერ კიდევ 1901 წელს ინგლის-აშშ-ს ხელშეკრულების

---

[222] პანამის არხის გათხრა ჯერ იგიეე ფ. ლესეპსმა დააპირა, მაგრამ აშშ-ს ხრიკებისა და კომპანიის ხელმძღვანელობის კორუფციის გამო ეს გეგმები ჩაიშალა და ათწლიანი სამუშაოები 1889 წელს შეწყდა კომპანიის გაკოტრების გამო. 1894 წელს ახალი კომპანია შეიქმნა, რომელმაც მოკლე ხანში მიჰყიდა თავისი კონცენცია ამერიკის შეერთებულ შტატებს. აშშ უკვე დიდი ხანია ცდილობდა არხის გათხრას, მაგრამ ინგლისის წინააღმდეგობის გამო იძულებული იყო თავი შეეკავებინა აქტიური მოქმედებისაგან. ფრანგული კონცენციის ხელში ჩაგდებისას აშშ-მა მოლაპარაკება გამართა კოლუმბიასთან, რომლის ტერიტორიაზე უნდა გაეთხარათ არხი. მიუხედავად აშშ-ს დაწოლისა, კოლუმბიის მთავრობა არ თანხმდებოდა კაბალური ხელშეკრულების დადებაზე. მაშინ პანამის პროვინციაში მოეწყო „რევოლუცია“, რომლის შედეგად შეიქმნა პანამის რესპუბლიკა (1903 წლის 4 ნოემბერს), იგი ორი დღის შემდეგ (6 ნოემბერს) ცნო აშშ-მა, ხოლო 1903 წლის 18 ნოემბერს აშშ-ს და პანამას შორის დაიდო სანატრელი ხელშეკრულება. აშშ-ს სამუდამოდ გადაეცა არხის გათხრისა და ექსპლუატაციის უფლება; არხის ორივე მხრიდან ათმილიანი სახმელეთო ზონის ფარგლებში აშშ-ს გადაეცა სრული იურისდიქცია ისე, თითქოს ის ამ ტერიტორიის „სუვერენი“ ყოფილიყო.

სამაგიეროდ აშშ-ს არხის გახსნის შემდეგ უნდა მიეცა პანამისათვის 10 მილიონი დოლარი ერთდროულად და ყოველ წელს ეხადა 250 ათასი დოლარი. 1914 წელს არხი გაიხსნა და პანამა ორ ნაწილად გაჭრილი აღმოჩნდა. ამის შემდეგ არ შეწყვეტილა პანამელი ხალხის ბრძოლა 1903 წლის ხელშეკრულების გადასინჯვისათვის, პანამის სუვერენული უფლებების აღდგენისათვის. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა 1964 წლის იანვარში, როდესაც უკვე

თანახმად, პანამის არხის (მაშინ მომავალი არხის) რეჟიმი უნდა დამსგავსებოდა სუეცის არხისათვის 1888 წლის კონვენციით გათვალისწინებულ წესებს, ე.ი. უნდა ყოფილიყო ღია ყველა ქვეყნის საომარ და სამხედრო გემებისათვის, ხოლო მისი ნაპირები – ნეიტრალიზებული. ეს წესები ძირითადში ხორციელდება პანამის არხის გახსნის დღიდან.

1977 წლის ხელშეკრულება პანამის არხის შესახებ ალიარებდა პანამის სუვერენიტეტს მთელს ტერიტორიაზე, არხის ზონის ჩათვლით, მცირედი შეზღუდვებით.

პანამის არხის მუდმივი ნეიტრალიტეტისა და ექსპლოატაციის შესახებ დაიდო სპეციალური ხელშეკრულება (იმავე დღეს – 1977 წ. 7 სექტემბერს), რომლის ძალით აშშ 2000 წლამდე ინარჩუნებდა არხის ზონაში შეიარაღებულ ბაზებს, მაგრამ თვით არხი გამოცხადებულია მუდმივად ნეიტრალიზებულად, როგორც მშვიდობიან, ასევე ომის დროს მასზე გავლა თავისუფალია ყველა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო გემებისათვის, ხელშეკრულებების ვადის შეწყვეტის შემდეგ არხის ზონაში დარჩა მხოლოდ პანამის შეიარაღებული ძალები და ნაგებობანი.

**კილის არხი,** რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე გადის 1896 წლიდან, ბალტიის ზღვას ჩრდილოეთის (ლია) ზღვასთან აკავშირებს. 1919 წლამდე არხის რეჟიმი გერმანიის შინაგანი სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა. მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების (მუხლი 280) ძალით კილის არხი გაიხსნა გერმანიასთან მშვიდობიან ურთიერთობაში მყოფი ყველა ქვეყნის საომარ და სამხედრო გემებისათვის.

1936 წელს გერმანიამ ცალმხრივად აღადგინა ყოველ გასვლაზე ნებართვის მიღების აუცილებელი წესი. მიუხედავად ამისა ბალტიის ზღვისპირა ქვეყნებისათვის კილის არხი ღიაა ყველა ქვეყნის საომარ გემებისათვის, თუ მათ გადაიხადეს ბაჟი და მიიღეს საშვი. სამხედრო გემები დაიშვებიან მხოლოდ წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

---

მერამდენედ არხის ზონაში მყოფმა აშშ-ს ჯარებმა ტყვიები დაუშინა საპროტესტო დემონსტრაციას, ხალხის მოთხოვნით პანამის მთავრობა იძულებული გახდა უფრო აქტიურად ემოქმედა 1903 წლის ხელშეკრულების გაუქმებისათვის. პანამელი ხალხის ბრძოლამ საბოლოო ჯამში ნაყოფი გამოიღო – 1977 წელს აშშ-ს მთავრობა იძულებული გახდა დაედო პანამასთან ახალი ხელშეკრულებები.

# თავი XIII
# საერთაშორისო საჰაერო და კოსმოსური სამართალი

## 1. საერთაშორისო საჰაერო სამართლის ცნება.

**საერთაშორისო საჰაერო სამართალი** საერთაშორისო სამართლის ნაწილია, რომელიც საჰაერო სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობათა მარეგულირებელი სპეციალური პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობაა. საერთაშორისო საჰაერო სამართალი უპირატესად არეგულირებს სამოქალაქო ავიაციის საქმიანობას. ეს საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო ფრენებს, მგზავრებისა და ტვირთის საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვას ერთი ქვეყნიდან მეორეში. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო რეგულარული თუ არარეგულარული ფრენები ხორციელდება ერთი მიზნით – მგზავრებისა და ტვირთის განსაზღვრული საერთაშორისო საჰაერო მარშრუტებით ავიაგადაყვანა-გადაზიდვისათვის.

საჰაერო სივრცეზე სუვერენიტეტი სახელმწიფო სუვერენიტეტის შემადგენელი ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთო თვისება – მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს უზენაესობა და საერთაშორისო ურთიერთობებში დამოუკიდებლობა – ვრცელდება სახელმწიფო ტერიტორიის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეზეც. სახელმწიფოს ეკუთვნის მთელი ძალაუფლება, რომელიც უზენაესია და გამორიცხავს სხვა ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობას მოცემული სახელმწიფოს საჰაერო სივრცის საზღვრებში. სრული ძალაუფლებიანობის ტიპობრივი გამოხატულებაა სახელმწიფოს მიერ საჰაერო სივრცეზე სუვერენიტეტის დამაგრება საკუთარ კანონმდებლობაში. საერთაშორისო ფრენები და საერთაშორისო ავიაგადაყვანა-გადაზიდვები მუდმივი და რეგულარული რომ იყოს, სახელმწიფოებს შორის მყარდება საჰაერო მიმოსვლა. ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი საავიაციო ურთიერთობების მთავარი თუ არა, მნიშვნელოვანი სფეროა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო საჰაერო სამართალი

საერთაშორისო სამართლის დარგი და იმ ნორმებისა და პრინციპების სისტემაა, რომლებიც საჰაერო სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებით არეგულირებენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ვინაიდან საერთაშორისო საჰაერო სამართალი საერთაშორისო (საჯარო) სამართლის ნაწილია, ამიტომ სახელმწიფოთა შორის საჰაერო მიმოსვლის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების სფეროზე ვრცელდება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ყველა პრინციპის მოქმედება. მთლიანობაში ეს პრინციპები საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის მთელი სამართლებრივი რეგულირების საფუძველს ქმნის. მათი განუხრელი და თანმიმდევრული დაცვა სავალდებულოა უკლებრივ ყველა სახელმწიფოსათვის მათი თავისებურებების მიუხედავად.

## 1.1 საერთაშორისო საჰაერო სამართლის წყაროები

საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითადი წყაროა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენცია, რომელიც საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის სფეროში უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. იგი 1947 წლის 4 აპრილს ამოქმედდა. ჩიკაგოს კონვენციის მონაწილეა 191 სახელმწიფო. ჩიკაგოს კონვენციის II ნაწილი შეიცავს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაოს) საწესდებო დებულებებს.

საერთაშორისო საჰაერო სამართალის დიდი ნორმატიული ნაწილი წარმოდგენილია „ვარშავის სისტემის“ დოკუმენტებით, რომლებიც საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს ეხება. ამ სისტემის საფუძველია ვარშავის 1929 წლის კონვენცია სართაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ. ეს კონვენცია ადგენს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების, ტვირთის (ფოსტის, ბარგის, ხელბარგის) დაზიანების ან დაკარგვისთვის ანდა გადაყვანა-გადაზიდვის დაგვიანებისათვის. დადგენილია, ასევე გადაყვანა-გადაზიდვის დოკუმენტაციისადმი წაყენებული მოთხოვნები, გადაყვანა-გადაზიდვის პასუხისმგებლობის ფარგლები. 1955 წელს ხელი მოეწერა

ვარშავის კონვენციის ოქმს (ჰააგის ოქმი), რომლითაც პასუხისმგებლობის ფარგლები ორჯერ გაიზარდა. 1961 წელს დაიდო კონვენცია, რომელიც ეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადამყვან-გადამზიდავისაგან განსხვავებული სხვა პირის მიერ გადაყვანა-გადაზიდვის შესრულებას. 1971 წელს ხელი მოეწერა ჰააგის 1955 წლის ოქმით შეცვლილ 1929 წლის ვარშავის კონვენციის დამატებით ოქმს.

საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის მიზნით, 1999 წლის მაისში აღნიშნული ხელშეკრულებები(?) გაერთიანდა მონრეალის კონვენციაში. მის მონაწილეთა შორის ურთიერთობებში, მისი ამოქმედების შემდეგ, შეწყდა ვარშავის სისტემის ხელშეკრულებები მოქმედება.

სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის სფეროში ჩამოყალიბდა ხელშეკრულებებიშემდეგი სისტემა:

ტოკიოს 1963 წლის კონვენცია პირველი მცდელობაა საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების, მის ექსპლუატაციაში უკანონო ჩარევისათვის იურიდიული კვალიფიკაციის მიცემის შესახებ. მაგრამ კონვენცია მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობას – უზრუნველყოს მეთაურისთვის საჰაერო ხომალდზე კონტროლის დაბრუნება და საეარაუდო დამნაშაეეთა დაპატიმრება, მგზავრებისა და საჰაერო ხომალდის ეკიპაჟისთვის ფრენის შემდგომი გაგრძელება. ტოკიოს 1963 წლის კონვენცია საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდებას არ აკვალიფიცირებს როგორც საერთაშორისო დანაშაულს, არ აღიარებს მას დანაშაულად საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად და არც სახელმწიფოებს აეალდებულებს, რომ საჰაერო ხომალდის ხელში ჩაგდება შიდასახელმწიფო სამართლით აღიარონ დანაშაულად. მეტიც, კონვენციის საგანში არ შედის პოლიტიკური ან რელიგიური მოტივით უკანონოდ ხელში ჩაგდების აქტები, რომლებიც ფრენის უსაფრთხოებას მუქარას არ უქმნის, ასევე დამნაშაეეთა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით, არ შეიცავს საეარაუდო დამნაშაეეთა კომპეტენტური ორგანოებისთვის გადაცემის არანაირ ეალდებულებას, თუ არ არის მათი გადაცემის მოთხოვნა. ამის მიუხედავად, ტოკიოს 1963 წლის

კონვენციით დაიწყო საჰაერო ხომალდების უკანონოდ ხელში ჩაგდებასა და გატაცებასთან ბრძოლა.

ამ სფეროში მეორე დოკუმენტი იყო 1970 წლის 16 დეკემბერს ჰააგაში ხელმოწერილი „საჰაერო ხომალდების უკანონოდ ხელში ჩაგდებასთან ბრძოლის კონვენცია“, რომელმაც პირველად დააკვალიფიცირა საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების აქტი დანაშაულად, რასაც თან ახლავს ძალადობა ან ძალის გამოყენების მუქარა. ამასთან, საჰაერო ხომალდი უნდა იყოს ჰაერში, ხოლო დანაშაული ჩადენილ იქნეს საჰაერო ხომალდზე. კონვენციის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან, დაადგინონ თავიანთი იურისდიქცია: 1) ეს შეიძლება იყოს საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფო; 2) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც საჰაერო ხომალდი ახდენს დაფრენას, როდესაც მასზე იმყოფება დამნაშავე; 3) ან სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეცაა მოიჯარის საქმიანობის ძირითადი ადგილი, თუ საქმე ეხება იჯარით გაცემულ საჰაერო ხომალდს. სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება დამნაშავე, უნდა დაადგინოს საკუთარი იურისდიქცია, თუ მას არც ერთ ზემოხსენებულ სახელმწიფოსთან არა აქვს დადებული დამნაშავის გადაცემის ხელშეკრულება. კონკრეტულ დამნაშავეზე საქმე უნდა გადაეცეს შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით. ჰააგის 1970 წლის კონვენციაში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან დაადგინა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების უნივერსალური იურისდიქციის პრინციპი, აღიარა უკანონო ჩარევის აქტი, როგორც საერთაშორისო დანაშაული და მოითხოვა მისი მნიშვნელოვან დანაშაულად აღიარება მათი შიდასახელმწიფო სამართლის მიხედვით. კონვენცია გამორიცხავს არ უშვებს პოლიტიკური დანაშაულის მიმართ და ადგენს პრინციპს: „გადაეცი ან დასაჯე“. ერთობლიობაში, ჰააგის 1970 წლის კონვენციის ამ დებულებებმა ხელი შეუწყო ისეთი სამართლებრივი დებულებების ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც საჰაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების აქტის ჩამდენი ნებისმიერი დამნაშავე, ვერ შეძლებს უსაფრთხო თავშესაფრის პოვნასა და დაუსჯელად დარჩენას.

XX საუკუნეში სამოქალაქო ავიაციის მიმართ განხორციელებულმა საბოტაჟისა და დივერსიების მრავალრიცხოვანი ფაქტისა და ჰააგის კონვენციის ხარვეზის

გამო დღის წესრიგში დადგა თვითმფრინავების გატაცებასა და ხელში ჩაგდებასთან ბრძოლის სასწრაფოდ გაძლიერება. ამ სფეროში მესამე დოკუმენტი მიიღეს მონრეალში, 1971 წლის 23 სექტემბერს „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის კონვენცია“, რომლის მიზანი იყო კონკრეტული საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟისა და ძალადობის აქტების თავიდან აცილება. მონრეალის 1971 წლის კონვენციაში მნიშვნელოვნადაა გაფართოებული ამა თუ იმ მოქმედების, როგორც სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტების განმსაზღვრელი ნიშნების ნუსხა. მასში მითითებულია, რომ ნებისმიერი პირი დანაშაულს სჩადის, თუ ის უკანონოდ და წინასწარ განზრახვით: ფრენის დროს საჰაერო ხომალდზე მყოფი პირის მიმართ სჩადის ძალადობის ან ისეთ აქტს, რომელსაც შეუძლია დაემუქროს ამ საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას; არღვევს ან აზიანებს ექსპლუატაციაში მყოფ საჰაერო ხომალდს, რასაც ის გამოჰყავს მწყობრიდან ან შეიძლება დაემუქროს ფრენის დროს საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას; ექსპლუატაციაში მყოფ საჰაერო ხომალდზე ნებისმიერი ხერხით ათავსებს (ან ასეთი მოთავსებისთვის ასრულებს მოქმედებებს) ისეთ მოწყობილობას ან ნივთიერებას, რომლებსაც შეუძლია დაარღვიოს ან დააზიანოს ხომალდი და საფრთხე შეუქმნას მის უსაფრთხოებას ფრენის დროს; არღვევს ან აზიანებს აერსანაოსნო მოწყობილობას ან ერევა მის ექსპლუატაციაში, თუ ასეთ აქტს შეუძლია დაემუქროს ფრენის დროს საჰაერო ხომალდების უსაფრთხოებას; ატყობინებს ყალბ (ცრუ) ცნობებს, რითაც ფრენის დროს საფრთხეს უქმნის საჰაერო ხომალდს.

მონრეალის კონვენციაში აისახა პრინციპი: „გაიძიე ან დასაჯე“, მაგრამ, ამასთან, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად გაფართოვდა დამნაშავეებზე სახელმწიფოთა იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილებები. საკუთარი იურისდიქციის განხორციელების უფლება მიეცა სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზე ასრულებს დაფრენას ის საჰაერო ხომალდი, რომელშიც დამნაშავე იმყოფება, ან იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა საეარაუდო დამნაშავე. მისი გადაუცემლობის შემთხვევაში, ეს მოცემული სახელმწიფო ვალდებულია სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით საქმე გადასცეს თავის უფლებამოსილ ორგანოებს.

საერთაშორისო საჰაერო სამართლის დამხმარე წყაროებს ასევე მიეკუთვნება იკაოს მიერ მიღებული სტანდარტები და რეკომენდებული პრაქტიკა, რომელიც განკუთვნილია იმ წესების ერთგვაროვნობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც საერთაშორისო აერონავსნობისა და საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტს ეხება.

## 1.2 საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითადი პრინციპები

**მიწა-წყლის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეზე სახელმწიფოს განსაკუთრებული და სრული სუვერენიტეტის პრინციპი.** ეს პრინციპი აღიარებულია, როგორც საერთაშორისო შეთანხმებებით (ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის 1-ლი მუხლით), ისე სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობითაც, კერძოდ, საქართველოს საჰაერო კოდექსით.

ამ პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფო დამოუკიდებლად ადგენს საკუთარი საჰაერო სივრცით სარგებლობის სამართლებრივ რეჟიმს. საჰაერო სივრცე იყოფა: ზედა (ხელსაწყოებით საფრენად) და ქვედა (ვიზუალური ფრენების) სივრცეებად; კონტროლირებად საჰაერო სივრცედ, რომელიც დაყოფილია საჰაერო მოძრაობის მომსახურების რაიონებად, საშეთვალყურე და საავაროდრომო რაიონებად, საჰაერო ხომალდების მოფრენისა და გაფრენისთვის შემოსასვლელ და გასასვლელ დერეფნებად და სხვ.

**სუვერენულ საჰაერო სივრცეში საერთაშორისო ფრენებისა და გადაყვანა-გადაზიდვების ნებადამრთველი წესის პრინციპი** გამომდინარეობს საჰაერო სივრცეზე სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტის პრინციპიდან. ამ პრინციპის შესაბამისად, უცხოური საწარმოებისა და უცხოელი პირების ყოველი საერთაშორისო ფრენა და ავია გადაყვანა-გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოს ნებართვით. აფრენასა და გადაყვანა-გადაზიდვაზე ნებართვის გაცემა არის სახელმწიფოს სუვერენიტეტზე დამყარებული ხელისუფლების გამოვლენა და რეალიზება.

**საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპში** მოიაზრება სახელმწიფოს სუვერენული უფლება მიიღოს ტექნიკური, საექსპლუატაციო, ორგანიზაციული, აერონავსნო და ინფორმაციული ხასიათის ის ზომები, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა სიცოცხლისა

და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო საერთაშორისო და შიდა ფრენების შესრულებას. ამ უფლებას შეესატყვისება სახელმწიფოს მოვალეობა, დაიცვას უსაფრთხოების მაღალი დონე ნებისმიერი ფრენის დროს. ამ მოვალეობას საერთაშორისო და საშინაო ასპექტი აქვს.

**ნაცვალგების პრინციპი** ნიშნავს სახელმწიფოს მიერ უცხოური საჰაერო ხომალდებისათვის უფლებებისა და უპირატესობების მინიჭებას იმ პირობით, რომ ანალოგიური უფლებები და უპირატესობები მიენიჭება მის შესაბამის საჰაერო ხომალდს იმ სახელმწიფოში სადაც ის იმყოფება და ახორციელებს საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

**სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ფრენის თავისუფლების პრინციპი** მოქმედებს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და ღია ზღვის თავზე არსებული საჰაერო სივრცის მიმართ. ასეთი საჰაერო სივრცე საერთაშორისო ანუ ღია სივრცედ ითვლება. ფრენის თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, ნებისმიერ საჰაერო ხომალდს (სამხედროსა და არასამხედროს) უფლება აქვს თავისუფლად იფრინოს იმ საერთაშორისო საჰაერო სივრცეში, რომელზეც რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

## 2. საერთაშორისო კოსმოსური სამართალი

საერთაშორისო სამართლის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საჰაერო სივრცის მიღმა არსებული უჰაერო სივრცის სამართლებრივ რეჟიმს. ამ დარგის ჩამოყალიბებას დასაბამი მისცა სსრ კავშირის მიერ დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვებამ კოსმოსში (1957), რასაც აშშ-ის თანამგზავრის გაშვება მოჰყვა. დღეისათვის მოქმედებს უამრავი მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც დეტალურად არეგულირებენ კოსმოსური სივრცის სტატუს. ამ სივრცის, ანუ თანამგზავრთა ორბიტების ქვედა საზღვრად მიჩნეულია 110–120 კილომეტრის სიმაღლე დედამიწიდან. კოსმოსის გამოყენება იმავე პრინციპზე დაყრდნობით, რომლითაც საჰაერო სივრცე რეგულირდება, შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ფიზიკურად ვერ ხერხდება მისი ზონებად დაყოფა დედამიწის ბრუნვისა და

კოსმოსური ფრენის კანონზომიერებათა გამო. ამასთან ტექნიკის თანამედროვე განვითარება საშუალებას იძლევა, კოსმოსი გამოყენებულ იქნეს არა მარტო კაცობრიობისათვის საჭირო სამეცნიერო მიზნებით, არამედ სამხედრო მიზნებითაც, რაც კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას გვიკარნახებს.

საერთაშორისო სამართალი ვრცელდება კოსმოსურ სივრცესა და ციურ სხეულებზე.

საჰაერო სივრცის რეგულირებისგან განსხვავებით სხვანაირად რეგულირდება **კოსმოსური სივრცის სამართლებრივი რეჟიმი,** რაც კოსმოსის სპეციფიკურობითაა განპირობებული.[223]

რაც შეეხება კოსმოსის საერთო სამართლებრივ რეჟიმს,[224] მისი მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენებასა და ამ გამოყენების ძირითად პრინციპებს პირველ ხანებში მხოლოდ გენერალური ასამბლეის სათანადო რეზოლუციები განსაზღვრავენ. ამ რეზოლუციების თანახმად:

1) საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ჩათვლით, ვრცელდება კოსმოსურ სივრცესა და ციურ სხეულებზე.

2) კოსმოსური სივრცე და ციური სხეულები საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შესაბამისად ღიაა გამოკვლევისა და გამოყენებისათვის და არ შეიძლება მითვისებული იქნას რომელიმე სახელმწიფოს მიერ.

3) კოსმოსური სივრცის გამოკვლევა და გამოყენება ხორციელდება მთელი კაცობრიობის ინტერესების შესაბამისად და მის საკეთილდღეოდ.

4) კოსმოსური სივრცე ღიაა გამოკვლევისა და გამოყენებისათვის ყველა ქვეყნის თანასწორობის პრინციპის დაცვით.

5) კოსმოსური სივრცის გამოკვლევა და გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და

---

[223] იხ. გ. ჟვანია, კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები, „საბჭოთა სამართალი", 1964 წ., №3, გვ. 25-36.

[224] გენერალური ასამბლეის 1961 წლის 20 დეკემბრის რეზოლუცია №172 (XVI), დეკლარაცია სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა კოსმოსური სივრცის გამოკვლევისა და გამოყენების დარგში – მიღებული იქნა ასამბლეის მიერ 1963 წლის 6 დეკემბერს.

უშიშროების დაცვის, საერთაშორისო თანამირომლობისა და ურთიერთაგების განვითარების ინტერესების შესაბამისად.

6) ყოველი სახელმწიფო პასუხს აგებს კოსმოსში საქმიანობისათვის, მიუხედავად იმისა, ვინ ახორციელებს ამ საქმიანობას – სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოები.

7) ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან აწარმოონ კოსმოსის გამოკვლევა.

8) კოსმოსის გამოკვლევისა და გამოყენების დროს ყოველი სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს სხვა სახელმწიფოების ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში ატარებდეს დაინტერესებულ სახელმწიფოებთან კონსულტაციებს.

9) თანამგზავრები და სხვა კოსმოსური აპარატები და მათი ეკიპაჟები კოსმოსში ემორჩილებიან „ალმის კანონს".

10) დაშვების შემდეგ ამ აპარატების ან მათი ნაწილების საზღვარგარეთ აღმოჩენის შემთხვევაში ისინი დაუბრუნდება მათ მფლობელს.

11) ყოველი სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს კოსმოსურ ფრენას, პასუხისმგებელია იმ ზარალისათვის, რომელიც შეიძლება მიაყენონ მათმა აპარატებმა სხვა სახელმწიფოს (მის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) მიწაზე, საჰაერო თუ კოსმოსურ სივრცეში.

12) სახელმწიფოები მოვალენი არიან აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება, სამშობლოში დაბრუნების ჩათვლით, კოსმონავტებს, როგორც კაცობრიობის წარგზავნილებს კოსმოსში.

მაგრამ ეს მხოლოდ ძირითადი პრინციპები იყო, რომელთაც რეკომენდაციების ხასიათი ჰქონდათ. საჭირო იყო უფრო მყარი და დეტალური შეთანხმებების მიღწევა, რაც კოსმოსური სამართლის მტკიცე საფუძველს შექმნიდა. ამ მიზნით სხვადასხვა სახის ეროვნული და სახელმწიფო ორგანიზაციები უკვე დიდი ხანია ამუშავებდნენ პროექტებს, რომლებსაც მომავალი ხელშეკრულების (კონვენციების) სახე უნდა მიეღოთ. ამ მიმართულებით 1967 წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის XXI სესიაზე მიიღო დეკლარაცია კოსმოსური სივრცის გამოკვლევისა და გამოყენების დარგში სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ. ამავე

გადაწყვეტილებების შესაბამისად 1967 წლის 27 იანვარს მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში, ეს სახელმწიფო დეპოზიტორების დედაქალაქებში აშშ-მა, ინგლისმა და სსრ კავშირმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების ტექსტს. ძირითადად ეს ხელშეკრულება იურიდიულად განამტკიცებს იმ პრინციპებს, რომელნიც ჯერ კიდევ დეკლარაციაში იყო აღნუსხული.

ზემოხსენებულ დეკლარაციაში ჩამოთვლილი პრინციპების იურიდიული განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების მიზნით დაიდო კიდევ რამდენიმე კონვენცია და შეთანხმება:

კოსმონავტების დაბრუნებისა და კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტების დაბრუნების შესახებ. თუ კოსმონავტი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა კოსმოსში ან დედამიწაზე დაშვებისას, ყველა სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს მას დახმარება და დააბრუნოს სამშობლოში, ასევე უნდა დაუბრუნდეს ალმის სახელმწიფოს უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე დავარდნილი კოსმოსური ობიექტის ან მისი ნარჩენები.

1972 წელს მიიღეს კონვენცია კოსმოსური ობიექტებისათვის მიყენებული ზიანისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ. თუ კოსმოსური ობიექტი ან მისი ნარჩენები დაეცა უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და გამოიწვია ზარალი ან მსხვერპლი, გამშვებმა სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს სრული კომპენსაცია.

რაც შეეხება დანარჩენ ძირითად საერთაშორისო ინსტრუმენტებს:

1975 წლის კონვენცია კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტების რეგისტრაციის შესახებ.

1979 წელს გაიხსნა ხელმოსაწერად შეთანხმება სახელმწიფოთა საქმიანობის შესახებ მთვარესა და სხვა ზეციურ სხეულებზე, რომელიც ავსებენ 1967 წლის ხელშეკრულებას.

1976 წელს შეიქმნა საზღვაო სათანამგზავრო კავშირგაბმულობის საერთაშორისო ორგანიზაცია.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მოითხოვს ყველა ქვეყნისაგან, ითანამშრომლონ კოსმოსის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების სფეროში. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა.

კოსმოსურ სივრცეში მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ბევრს აკეთებს გაერო-ს სპეციალიზებული დაწესებულებანი – იუნესკო და სხვ.

საზოგადოებრივი საერთაშორისო (არასამთავრობათშორისი) ორგანიზაციები; მაგ. კოსმოსური სივრცის კვლევის კომიტეტი (КОСПАР), რომელიც აქტიურად თანამშრომლობს გაერო-ს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების კომიტეტთან.

აღსანიშნავია ისეთი ფორუმი, როგორიცაა გაერო-ს კონფერენციები კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით კვლევისა და გამოყენების თაობაზე. პირველი კონფერენცია მოიწვიეს 1968 წელს, მეორე 1982 წლის 9-21 აგვისტოს ვენაში. ამ კონფერენციაზე, რომელშიც ასამდე სახელმწიფო მონაწილეობს, განიხილება კოსმოსური სივრცის ათვისების ყველაზე საჭირბოროტო და აქტუალური საკითხები, მუშავდება რეკომენდაციები.

ამჟამად საერთაშორისო საზოგადოებრიობა ცდილობს გადაწყვიტოს რამდენიმე რთული პრობლემა – გეოსტაციონარული ორბიტის გამოყენება (გეოგ. ГСО), უშუალო სატელევიზიო მაუწყებლობა (НТВ), კოსმოსიდან დედამიწის დისტანციური ზონდირება (ДЗЗ), საჰაერო და კოსმოსური სივრცეების მაღლივი საზღვრის პრობლემა.

გეოგ-ის პრობლემაში[225] მთავარია დაკმაყოფილდეს განთავისუფლებული ქვეყნების კოსმოსური სამართლის ძირითადი პრინციპების დაურღვეველად: მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გაავრცელოს სუვერენიტეტი კოსმოსური სივრცის ნებისმიერ რაიონზე. გეოსტაციონარულ ორბიტაზე თანამგზავრთა განლაგებისა და

---

[225] გეოსტაციონარული ორბიტა ეკვრის დედამიწას ეკვატორის გასწვრივ 36000 კილომეტრის სიმაღლეზე. მასზე განლაგებული თანამგზავრები (რუსეთის, ამერიკული და სხვა ქვეყნების) მოძრაობენ დედამიწის ბრუნვის სიჩქარით და ფაქტიურად „ჩამოკიდებულნი" არიან დედამიწის ერთი და იმავე რაიონის თავზე. ამ თანამგზავრებს იყენებენ მეტეოროლოგიურ, სანავიგაციო, კავშირგაბმულობის და სხვა მიზნებისათვის. ბოლო წლებში ზოგიერთი სახელმწიფო, რომელიც ეკვატორის რაიონში მდებარეობს (ზაირი, ინდონეზია, კენია, კოლუმბია, კონგო, უგანდა, ეკვადორი), აცხადებს სუვერენიტეტის პრეტენზიას მათ თავზე მდებარე კოსმოსურ სივრცეზე (იხ. ამ ქვეყნების. ბოგოტოს დეკლარაცია, 1976 წ. 3 დეკემბერი).

მათი მოქმედების საკითხი შეძლებისდაგვარად უნდა ითვალისწინებდეს ეკვატორზე მდებარე სახელმწიფოების ინტერესებს, თუმცა მიღებულია ამ უკანასკნელთა ცდა – აკრძალონ ამ ობიექტის გამოყენება მათ შეუკითხავად.

გეოგ-ის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ატმოსფეროს და კოსმოსური სივრცის საზღვრის საკითხთან. ჩვეულებრივი სამართლებრივი ნორმის მიხედვით, კოსმოსური სივრცის ქვედა საზღვარი გადის ხელოვნური თანამგზავრების ორბიტების მინიმალური პერიგეების სიმაღლეზე, ე.ი. 100-110 კმ-ზე ოკეანის დონიდან. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ თანამგზავრის ან კოსმოსური ხომალდის გაშვებისას ან მისი დაბრუნებისას იგი გადაკვეთს უცხოეთის სახელმწიფოს საჰაერო ტერიტორიას უფრო დაბლა, ვიდრე აღნიშნული საზღვარი. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ამ ჩვეულებითი ნორმების სახელშეკრულებო ნორმად გადაქცევის თაობაზე.

ამგვარად, ბოგოტის დეკლარაციის მონაწილე სახელმწიფოების პრეტენზია – გააერცელონ თავისი სუვერენიტეტი სიმაღლე'ზე, რომელიც 360-ჯერ მეტია, ვიდრე კოსმოსური სივრცის ქვედა საზღვარი, უხეშად არღვევს კოსმოსური სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს.

უშუალო სატელევიზიო მაუწყებლობის (უსამ) პრობლემა წარმოშვა სატელევიზიო ტექნიკის განვითარების ახალმა საფეხურმა – დღეს რამდენიმე სახელმწიფოს აქვს ტექნიკური შესაძლებლობა თანამგზავრის მეშვეობით აწარმოოს თავისი ტელეპროგრამების გადაცემა უშუალოდ ტელემიმღებებზე, დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ეს შესაძლებლობას აძლევს განვითარებულ სახელმწიფოებს გამოიყენონ აღნიშნული არხი სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, მათთვის არასასურველი პოლიტიკური წყობილების მქონე სახელმწიფოს წესწყობილების კრიტიკისათვის და ა.შ.

სახელმწიფოთა უმრავლესობა წინააღმდეგია უსამ-ის უსაზღვრო გამოყენებისა, დაინტერესებული მთავრობის გარეშე.

რაც შეეხება დედამიწის დისტანციურ ზონდირებას, ეს საკითხი უახლოვდება გადაწყვეტას – ყველა ქვეყანას კარგად ესმის რაოდენ დიდი სარგებლობა მოაქვს თანამგზავრებს, რომლებიც ემსახურებიან გეოლოგიის, გეოდეზიის, ჰიდროლოგიის, სატყეო და სოფლის მეურნეობის სასიცოცხლო საკითხებს, ემსახურებიან ხალხს უფრო სწრაფად მოძებნონ

მინერალური რესურსები, წიაღისეული სიმდიდრენი, უფრო აქტიურად ებრძოლონ ბუნების სტიქიას, დაიმორჩილონ მდინარეების ნაკადები, დროზე გამოაელინონ ხანძარი ტყის მასივებში და ა.შ.

ამავე დროს ის ფაქტი, რომ თანამგზავრის მზერა სცილდება სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს და წვდება მომიჯნავე სახელმწიფოებსაც, წარმოშობს სხვა ქვეყნების უკმაყოფილებას.

ქვეყნების უმრავლესობა, რომლებსაც ჯერ არ შეუძლიათ თვითონ დაეუფლონ კოსმოსურ ტექნიკას და გამოიყენონ ის დისტანციური ზონდირებისათვის, ცდილობენ შეზღუდონ კოსმოსური ტექნიკის მფლობელი სახელმწიფოს აღნიშნული საქმიანობა. ისინი მოითხოვენ უფლებას, გაეცნონ მათი ქვეყნების შესახებ არსებულ ინფორმაციას; ეს ინფორმაცია არ უნდა გადაეცემოდეს სხვა, არადაინტერესებულ სახელმწიფოს, ამავე დროს, თუ ზონდირება ხდება რომელიმე კონკრეტული უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიის მიმართ, იგი არ შეიძლება ჩატარდეს ამ უკანასკნელის ნებართვის გარეშე.

ამჟამად გაერო-ს კოსმოსური კომიტეტი აგრძელებს საბოლოო ტექსტის შემუშავებას.

მიუხედავად კოსმოსური სივრცის მივიდობიანი მიზნებისათვის გამოკვლევის სფეროში არსებული დიდი წარმატებისა, კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობის საკითხი რჩება თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად, რომლის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია არამარტო კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებისათვის ეფექტიანი გამოკვლევა-გამოყენება, არამედ დედამიწაზე მშვიდობისათვის მტკიცე საფუძვლის უზრუნველყოფა.

დღეისათვის კოსმოსურ სივრცეში აკრძალულია:

ა) ბირთვული იარაღის გამოცდა.[226]

ბ) კოსმოსში ბირთვული იარაღით ან ნებისმიერი სხვა მასობრივი განადგურების იარაღით აღჭურვილი ობიექტების გაყვანა, ასეთი იარაღის ციურ სხეულზე დადგმა და კოსმოსურ სივრცეში რაიმე სხვა საშუალებებით განლაგება.[227]

---

[226] 1963 წლის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყლის ქვეშ.

[227] 1967 წლის ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ, მუხ. IV.

გ) კოსმოსურ სივრცეში რაკეტებისაგან თავდაცვის ისეთი იარაღის გაყვანა, რომელიც მითითებულია სსრკ-აშშ-ს შეთანხმებაში.[228]

დ) მთვარეზე და სხვა ციურ სხეულებზე სამხედრო ბაზების, ნაგებობების, სიმაგრეების აშენება, ყველა სახის იარაღის გამოცდა[229].

ე) მთვარის გარშემო ორბიტაზე ბირთვული იარაღით აღჭურვილი ობიექტების გაყვანა, მთვარეზე იარაღის განლაგება და გამოყენება, საერთოდ, ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენება, სხვა მტრული მოქმედება, მთვარის გამოყენება მსგავსი საქმიანობისათვის დედამიწის, კოსმოსური ობიექტებისა და მათი პერსონალის მიმართ[230].

ვ) დედამიწის გარშემო კოსმოსურ სივრცეზე სამხედრო მიზნებისათვის ზემოქმედების საშუალებათა გამოყენება, რაც გამოიწვევს მავნე შედეგებს გარემოს არსებობისათვის[231].

გენერალურმა ასამბლეამ და გაერო-ს II კონფერენციამ კოსმოსური სივრცის მივიდობიანი მიზნებისათვის გამოკვლევისა და გამოყენების თაობაზე (1982 წ.) მოუწოდა ყველა სახელმწიფოს მაქსიმალურად ითანამშრომლოს კოსმოსის არამილიტარიზაციის მიღწევისათვის.

ასეთია საერთაშორისო კოსმოსური სამართლის სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი დებულებანი და ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია კოსმოსში სახელმწიფოთა ეფექტური თანამირომლობა კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

---

[228] სსრ კავშირი – აშშ-ს 1972 წლის ხელშეკრულება რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ.

[229] 1967 წლის ხელშეკრულება, მუხ. IV, 1979 წლის შეთანხმება სახელმწიფოთა თანამშრომლობის შესახებ მთვარესა და სხვა ციურ სხეულებზე.

[230] 1979 წლის შეთანხმება, მუხ. 3, პარ. 2 და 3.

[231] 1971 წლის კონვენცია გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ.

# თავი XIV

## საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებანი

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ომს, როგორც დაების გადაწყვეტის საშუალებას, კანონგარეშე აცხადებს და ყოველგვარი დაების მშვიდობიანი გზით მოგვარებას მოითხოვს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 33-ე მუხლი ჩამოთვლის დაების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს. ეს არის მოლაპარაკება, შემოწმება, შუამავლობა, შემთანხმებლობა, არბიტრაჟი, სასამართლო გარჩევა, რეგიონალური ორგანოების ან შეთანხმებათა გამოყენება.

სახელმწიფოები უფლებამოსილია, თვით აირჩიონ ის საშუალებანი, რომელიც ბოლოს მოუღებს მათ შორის წამოჭრილ დაებას, მაგრამ თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ამ საკითხზე, ხოლო დაების გაგრძელება ენებს ან შეიძლება ავნოს მშვიდობის დაცვის საქმეს, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მოითხოვოს მხარეებისაგან ამა თუ იმ პროცედურის გამოყენება.

დაების გადაჭრის მშვიდობიანი საშუალებანი იმ სახით, რა სახითაც მათ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იცნობს, ძირითადად გამოხატავენ სახელმწიფოთა შორის მრავალწლიან პრაქტიკას და საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ წესებს წარმოადგენენ. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა (მოლაპარაკება, შუამავლობა), ზოგი XV-XVII სს. (არბიტრაჟი), ზოგიერთი კი XX საუკუნის საერთაშორისო სამართლებრივმა პრაქტიკამ წარმოშვა (საერთაშორისო სასამართლო).

### *1. უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება*

ყველა სახის დაების გადაჭრაში ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი საშუალებაა მხარეთა უშუალო მოლაპარაკება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრები, რაც, როგორც წესი, დიდ ნაყოფს იძლევა. ეს გასაგებიცაა – სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური, სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, არ არიან შებოჭილნი რაიმე ინსტრუქციებით და შეუძლიათ

თამამად იმოქმედონ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის დროს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ს, ინგლისის და სსრ კავშირის მეთაურების შეხვედრები (თათბირები, კონფერენციები) ყირიმსა და პოტსდამში, სადაც მთელი რიგი სადავო საკითხები დადებითად გადაწყდა (უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურა, პოლონეთის დასავლეთი საზღვრების საკითხი, გერმანიის რეპარაციების საკითხი და ა.შ.). რაც შეეხება ორმხრივ მოლაპარაკებას უმაღლეს დონეზე, ეს საშუალება ამჟამად გამოიყენება სახელმწიფოების მიერ, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის ეფექტური საშუალება, დიდი სარგებლობის მომტანია აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირები.

უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება უფრო ხშირად სპეციალური დელეგაციების გაგზავნითა და მიწერ-მოწერით (ნოტებისა და მემორანდუმების ურთიერთგაგზავნა, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის მიმართვა მოდავე სახელმწიფოსადმი და ა.შ.) ხორციელდება.

უშუალო დიპლომატიურ მოლაპარაკებას შეიძლება მოყვეს შეთანხმება დავის გადაწყვეტის სხვა მშვიდობიანი საშუალებებისადმი მიმართვის შესახებ.

## 2. შუამავლობა და „კეთილი სამსახური"

მხარეთა თანხმობის დავაში მესამე სახელმწიფოს ჩარევას, რომელიც ხელს უწყობს მხარეთა კონტაქტების დამყარებას, გადასცემს ერთი მხარის პრეტენზიას და წინადადებებს მეორე მხარეს დავის გადაწყვეტაში არსებითი ჩარევის გარეშე, ეწოდება „კეთილი სამსახური". როდესაც მესამე სახელმწიფო ალიჭურვება უფლებით თვითონ წარუდგინოს მხარეებს დავის გადაწყვეტის პირობები, გაანახორციელოს მხარეთა შორის მოლაპარაკების მსვლელობის ხელმძღვანელობა, ადგილი აქვს შუამავლობას".[232]

ამგვარად „კეთილი სამსახური" და „შუამავლობა" განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შუამავლობის როლში მყოფი სახელმწიფოს უფლებების მოცულობით და დავის გადაწყვეტაში მისი მონაწილეობის ხვედრითი წილით.

---

[232] ჰააგის 1899 და 1907 წწ. კონვენციები ერთმანეთისგან არ განასხვავებენ „კეთილ სამსახურსა" და „შუამავლობას", მაგრამ სახელმწიფოების პრაქტიკა ზემოთ აღნიშნული გზით მიდის.

ორიენ საშუალების გამოყენებისას შუამავლის წინადადებანი რეკომენდაციების სახეს ატარებენ და სავალდებულო არაა მხარეებისათვის. შუამავლის ყოველი ცდა, ძალით მოახვიოს თავს მხარეებს თავისი გადაწყვეტილება, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

## 3. საგამომძიებლო[233] და შემთანხმებელი[234] კომისიები

ეს ორგანოები მოწოდებულია დაეხმაროს მხარეებს დავასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურ შესწავლაში. საგამომძიებლო კომისია ამოწმებს მხოლოდ ფაქტებს, ე.ი. საქმის ფაქტიურ მხარეს, და მოახსენებს მხარეებს ამ შემოწმების შედეგებს. შემთანხმებელი კომისია უფრო ფართო უფლებებითაა აღჭურვილი: იგი არა მარტო ადგენს ფაქტებს, არამედ შეიმუშავებს ხოლმე დავის გადაწყვეტის ვარიანტსაც. ორივე შემთხვევაში კომისიების გადაწყვეტილება კონსულტაციურ ხასიათს ატარებს და სავალდებულო არ არის მხარეთათვის.

კომისიები იქნება პარიტეტულ საწყისებზე: ორივე მხარე თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებს ნიშნავს, გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. არსებობს სხვა წესიც – ყოველი მხარე ნიშნავს თავის ქვეყნის ერთ წარმომადგენელს, სამი წევრი კი ირჩევა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეების რიცხვიდან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ კომისიის წევრთა არჩევაზე, ეს მისია შეიძლება დაეკისროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს, მესამე სახელმწიფოს, ან გადაწყდეს კენჭისყრის საშუალებით.[235] მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

---

[233] იხ. ჰააგის 1899 და 1907 წწ. კონვენციები საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესახებ, ჟენევის 1949 წლის კონვენციები დაჭრილთა და ავადმყოფთა ბედის გაუმჯობესების შესახებ", საზღვაო ომში დაჭრილთა და ავადმყოფთა ბედის გაუმჯობესების შესახებ, ტყვეთა შესახებ.

[234] იხ. 1928 წლის გენერალური აქტი დაენების მშვიდობიანად გადაწყვეტის შესახებ იმ შესწორებებით, რომელიც შეიტანა მასში გენერალურმა ასამბლეამ 1949 წლის 28 აპრილს.

[235] ასეთ წესს ითვალისწინებს 1928 წლის გენერალური აქტი საერთაშორისო დაენების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ.

## 4. საერთაშორისო არბიტრაჟი (სამედიატორო სასამართლო)[236]

დაეების გადაწყვეტის ეს ორგანო, რომელიც მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება, მოწოდებულია არსებითად გადაწყვიტოს მხარეთა შორის არსებული დავა. მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისთვის. საერთაშორისო არბიტრაჟი სასამართლო ინსტანციაა და, ამდენად მისი საქმის წარმოება სასამართლოებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს; საქმეები განიხილება სასამართლოს სხდომებზე, რომელზეც იმართება მხარეების (სახელმწიფოების წარმომადგენლების) პაექრობა, გადაწყვეტილება გამოიტანება მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.

ის ფაქტი, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის, განაპირობებს იმ სიფრთხილეს, რომლითაც უდგებიან სახელმწიფოები ამ დაწესებულების გამოყენებას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა საკმაოდ მკარი ჩვეულებითი და სახელშეკრულებო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებს.[237]

მხარეები არბიტრაჟს მიმართავენ ნებაყოფლობით, ამ შემთხვევაში ყოველგვარი დაძალება მართლსაწინააღმდეგო აქტია.

სახელმწიფოების სურვილი – მიმართონ მედიაციას, უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული სათანადო საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული შეთანხმება გარკვეული საქმის თაობაზე ან ზოგადი სახის ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არბიტრაჟს

---

[236] სამედიატორო სასამართლოს ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეებს, უკვე XIII და XIV სს. იტალიის სახელმწიფოთა ქალაქებს შორის დავები იხილებოდა საარბიტრაჟო კომისიების მიერ. XVII-XVIII საუკუნეებში დადებულ ხელშეკრულებათა დიდი რიცხვი ითვალისწინებდა არბიტრაჟის გამოყენებას (მაგ., ინგლის-ჰოლანდიის 1654 წლის ხელშეკრულება). არბიტრის როლს ამ პერიოდში ხშირად ასრულებდნენ მეფეები და რომის პაპები. არბიტრაჟის ნამდვილი ისტორია იწყება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე.

[237] იხ. ჰააგის 1899 და 1907 წლის კონვენციები საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის შესახებ.

გადასცენ ყველა სადავო საკითხი, რაც ხელშეკრულების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებასთანაა დაკავშირებული. შესაძლებელია, ასეთი მითითება არსებობდეს რაიმე სპეციალური სახის კონვენციაში (მაგ., მსოფლიო საფოსტო კონვენცია).

შეთანხმებას, რომლის საფუძველზე იქმნება სამედიატორო სასამართლო, ეწოდება **„კომპრომისი“**. „სამედიატორო ჩანაწერი“ („Òðåòåéñêàÿ çàïèñü“). ეს აქტი შეიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაციის წესი;

ბ) დავის საგანი;

გ) სამართლის იმ წყაროების მითითება, რომლებიც არბიტრაჟმა უნდა გამოიყენოს (ხელშეკრულებანი და სხვ.);

დ) სამედიატორო გარჩევის პროცედურის წესი ჩვეულებრივად სამი სტადიისაგან შედგება: წერილობითი (მხარეები წარუდგენენ სასამართლოს ყველა საჭირო საბუთს), ზეპირი (მხარეთა დაცა სასამართლოს სხდომებზე), გადაწყვეტილების მიღება.

ე) მხარეთა ვალდებულება – შეასრულონ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება. გადაწყვეტილების გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ საქმის ირგვლივ ახალ გარემოებათა აღმოჩენასთან დაკავშირებით ან სასამართლოს მიერ კომპრომისის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში.

საერთაშორისო არბიტრაჟისადმი მიმართვის გასაადვილებლად 1920-იან წლებში შეიქმნა **სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატა,** რომელიც შედგება განმკარგულებელი საბჭოსა (კონვენციის მონაწილეთა პაატაში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობები) და საერთაშორისო ბიუროსაგან (პალატის კანცელარია). ბიურო ადგენს არბიტრთა საერთო სიას, რომელშიც ყოველი სახელმწიფოსაგან შეიყვანება ოთხ-ოთხი წარმომადგენელი, ე.წ. „ეროვნული ჯგუფები“[238].

დავის წარმოშობისას მხარეები ირჩევენ ამ სიიდან ერთ, სამ ან ხუთ არბიტრს. ორ უკანასკნელ შემთხვევაში მხარეები ნიშნავენ თითო-თითო ან ორ-ორ არბიტრს (აქედან მხოლოდ

---

[238] ამ სიაში შედის 50-ზე მეტი სახელმწიფოს „ეროვნული ჯგუფი“.

შეიძლება ერთი იყოს მოდაეე სახელმწიფოს მოქალაქე). ხოლო ესენი კი ირჩეევენ სუპერარბიტრს (თავმჯდომარეს).

სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატის როლი არასდროს არ ყოფილა ძლიერ მნიშვნელოვანი, ხოლო საერთაშორისო სასამართლოების ინსტიტუტის დანერგვის შემდეგ (პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი) მისი საქმიანობა კიდეე უფრო შეიკვეცა და დღეს ეს ორგანო პრაქტიკულად თითქმის აღარ მოქმედებს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი მხოლოდ მხარეთა ჭეშმარიტ ნებაყოფლობას შეიძლება ეყრდნობოდეს[239]. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ეს ინსტიტუტი ეფექტურად შეასრულოს სახელმწიფოთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალების როლი.

## 5. საერთაშორისო სასამართლო

სამედიატორო სასამართლოსაგან განსხვავებით, საერთაშორისო სასამართლო მუდმივი ორგანოა, იგი იქმნება არა მოდაეე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ; იგივე ორგანიზაცია განსაზღვრავს იმ ძირითად წესებს, რომელიც საფუძვლად ედება სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობას.

პირველი ასეთი სასამართლო ჩამოყალიბდა 1921 წელს, ერთა ლიგის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე, მაგრამ ერთა ლიგის ანტიდემოკრატიულმა საქმიანობამ საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივ პალატასაც ავნო, რის შედეგადაც მან ვერ შეასრულა მშვიდობის დაცვის ინსტიტუტის როლი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება (თავი XIV) ითვალისწინებდა საერთაშორისო სასამართლოს შექმნას; იგი უნდა გამხდარიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასამართლო ორგანო, ამ ორგანოს საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული პალატის წესდება, რომელიც სტატუსის სახით წესდების განუყოფელ ნაწილად იქცა.

---

[239] ე.წ. „ვენის არბიტრაჟზე" ფაშისტური გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლებმა აიძულეს ჩეხოსლოვაკია (1938 წ.) და რუმინეთი (1940 წ.) გადაეცათ უნგრეთისათვის სლოვაკიის სამხრეთი რაიონები, იმიერკარპატის უკრაინა და ჩრდილოეთი ტრანსილვანია. ეს უსამართლობა გაუქმდა 1947 წლის საზაეო ხელშეკრულებით.

საერთაშორისო სასამართლოს ორგანიზაციის პრინციპები ჩვენ განვიხილეთ წინა თავში. რაც შეეხება მის საქმიანობას, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სასამართლო ძირითადად სწორ გზას ადგას, მისი გადაწყვეტილებანი ემსახურება მშვიდობისა და ხალხთა შორის უშიშროების დაცვას და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.[240] მაგრამ ამავე დროს სასამართლომ მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება[241], რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებს. ამ გადაწყვეტილებებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია საერთაშორისო ასპარეზზე.

## 6. დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის წესები საერთაშორისო ორგანიზაციების წარგლებით

ა) **გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და უშიშროების დაცვა გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს ეკისრება. უშიშროების საბჭო, როგორც ორგანო, რომელსაც ამ დარგში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია,

---

[240] მაგ., ინგლის-ნორვეგიის დავის განხილვისას (1951 წ.) სასამართლომ აღიარა ყოველი სახელმწიფოს სუვერენული უფლება, თვითონ განსაზღვროს ტერიტორიული წყლების სიგანე და რეჟიმი; 1952 წელს სასამართლომ უარი თქვა ინგლის-ირანის დავის თავის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ ინგლისის მხრიდან მოქმედებდა არა სახელმწიფო, არამედ ნავთობის კომპანია, სასამართლო კი ღიაა მხოლოდ სახელმწიფოებისათვის; უახლოესი მაგალითებიდან შეიძლება დავასახელოთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ ნამიბიის ოკუპაციის უკანონოდ გამოცხადება (1971 წ.), ნიკარაგუას მიმართ აშშ-ს ტერორისტული საქმიანობის დაგმობა (1984 წ.).

[241] 1950 წელს სასამართლომ მხარი დაუჭირა სამხრეთ აფრიკის კავშირის კოლონიზატორებს და ცნო მათი „უფლება" არ გადაეცათ საერთაშორისო მეურვეობაში სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა, 1952 წელს სასამართლომ დაიცვა აშშ-ს მოქალაქეთა კაპიტულაციური რეჟიმი მაროკოში; იგივე პოზიცია დაიკავა სასამართლომ პორტუგალია-ინდოეთის დავის გადაწყვეტისას, როდესაც აღიარა პორტუგალიის „უფლება" გადაეკვეთა ინდოეთის ტერიტორია, რათა დაკავშირებოდა თავის კოლონიებს, რომელნიც ინდოეთის ტერიტორიის შუაგულში მდებარეობდნენ (1960 წ.).

ფართო უფლებებით სარგებლობს დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში.

წესდების მე-6 თავის თანახმად, ყველა წევრი სახელმწიფო მოვალეა გადაწყვიტოს თავისი დავები მშვიდობიანი საშუალებებით, რომელთა სახეები ჩვენ უკვე განვიხილეთ (მუხ. 33). თუ ასეთი დავის გაგრძელებამ შეიძლება აუნოს მშვიდობის დაცვის საქმეს, უშიშროების საბჭო მოითხოვს მხარეებისაგან გადაწყვიტონ დავა აღნიშნული საშუალებების მეშვეობით. ამასთან უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გამოიკვლიოს ყოველი სახის დავა ან სიტუაცია, განსაზღვროს, თუ რამდენად საშიშია ეს სიტუაცია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის და ამის საფუძველზე მისცეს მხარეებს რეკომენდაცია – მიმართონ ამა თუ იმ პროცედურას ან მოწესრიგების მეთოდს, იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული ხასიათის დავები, როგორც წესი, გასარჩევად უნდა გადასცენ საერთაშორისო სასამართლოს.

ასევე იქცევა საბჭო, როდესაც მხარეები თვით გადასცემენ მას სადავო საქმეს სხვა დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სათანადო არჩევანზე შეუთანხმებლობის გამო. საბჭოს შეუძლია ამ შემთხვევაში ურჩიოს მხარეებს დავის გადაწყვეტის ისეთი საშუალებანი, რომელთაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს (მუხ. 37).

თუ დავა ჩვეულებრივ ხასიათს ატარებს, არ ემუქრება მშვიდობასა და უშიშროებას და ყველა მოდავე მხარე სთხოვს უშიშროების საბჭოს, ჩაერიოს ამ საკითხებში, უკანასკნელი უფლებამოსილია მისცეს მათ სათანადო რეკომენდაციები დავის მშვიდობიანი გადაწყვეტილების მიზნით.

ამგვარად, უშიშროების საბჭო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის დროს უფლებამოსილია აძლიოს მხარეებს მხოლოდ რეკომენდაციები, რომელთა შესრულება მხარეებისათვის არ არის სავალდებულო, ასეთივე უფლებანი მიენიჭება გენერალურ ასამბლეას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავა არ განიხილება უშიშროების საბჭოს მიერ ან ეს უკანასკნელი თვით სთხოვს ასამბლეას ამის შესახებ (მუხ. 12).

უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას შეუძლიათ გამოყონ სპეციალური დამხმარე კომისიები და დააკისრონ მათ სამომრიგებლო-საგამომძიებლო ან საშუამავლო ფუნქციები.[242]

---

[242] 1948 წელს უშიშროების საბჭომ შექმნა „კეთილი სამსახურის კომიტეტი“ ჰოლანდია-ინდონეზიის კონფლიქტთან დაკავშირებით,

მოდავე მხარეთა გარდა გენერალური ასამბლეის ან უშიშროების საბჭოს ყურადღება ამა თუ იმ დაეასა და სიტუაციაზე შეუძლია მიაქციოს ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, ყოველმა წევრ-სახელმწიფომ (თუ იგი მოდავე მხარეა და წინასწარ კისრულობს წესდებაში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს დაეების მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვეტის თაობაზე).

თუ დავის მხარეები ან მხარე უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს ან გენერალური ასამბლეის რეკომენდაციებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფლებამოსილია გამოიყენოს ურჩი წევრის მიმართ მთელი თავისი ძალა – ზომები, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამხედრო ძალის გამოყენებასთან ან შეიარაღებული ძალები. ამ ღონისძიებათა ჩატარება კი მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია (იხ. ქვემოთ, თავი XIV).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 33-ე და 52-ე მუხლები დაეების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად „რეგიონალურ შეთანხმებებსა და რეგიონალური ორგანოებისადმი მიმართვას“ ასახელებენ. განვიხილოთ დაეების გადაწყვეტის რა მშვიდობიანი პროცედურები არსებობს ძირითად რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ბ) **ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.** საქართველოს მთავრობასთან მრავალწლიანი აქტიური მოლაპარაკებების წარმოების შედეგად გაფორმებული საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ შეთანხმების საფუძველზე რუსეთის ფედერაცია გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში 2012 წლის 22 აგვისტოს. არსებობს მოლოდინი, რომ რუსეთის ევრო-ში გაწევრიანებით გარკვეულწილად მოგვარდება კონფლიქტური სიტუაცია ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის და ეკონომიკური ინტერესები გახდება გარანტი იმისა, რომ თავიდან იქნას აცილებული სამომავლო შეიარაღებული კონფლიქტები. ყოველ შემთხვევაში საქართველოს უკვე მეტი ბერკეტი აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საკუთარი პოლიტიკის დასაფიქსირებლად. მხარეთა მხრიდან ნაკისრი

---

ასეთივე სახის კომისია დანიშნა გენერალურმა ასამბლეამ 1952 წელს სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის მოსახლეობის დისკრიმინაციის საკითხის მოგვარებისათვის.

ვალდებულებების შეუსრულებლობას კი მოსდევს ემო-ს ფარგლებში არსებული დავების განხილვის მექანიზმის ამოქმედება.

ემო-ს დაეების გამნხილველი ორგანოს მიზანი არ არის მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანა არამედ უპირატესად მოწესრიგებული მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ურუგვაის რაუნდის ცვლილებების შედეგად საქმის განხილვის მაქსიმალურ ვადად აპელაციის ჩათვლით დადგინდა 1 წელი და 5 თვე.

მართალია ვადები ერთ-ერთი განმსაზღვრელი საკითხია როდესაც ხდება დავების გამნხილველი ორგანოს საქმიანობის ანალიზი, მაგრამ კიდევ უფრო მნიშნელოვანია, ხსენებული ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისა და აღუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების დაწესების მექანიზმი. აქ გამოიყოფა ორი საკითხი ერთის მხრივ რა ხდება მას შემდეგ რაც დავების განმხილველი ორგანო გამოიტანს გადაწყვეტილებას და მეორეს მხრივ ვინ არის უფლებამოსილი შესაბამისი სანქციები დააწესოს ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა არ ნიშნავს იმას, რომ მაშინვე ხდება სანქციებისადმი მიმართვა, პირიქით ამ პროცესს წინ უსწრებს მთელი რიგი პროცედურები. მხარე რომლის წინააღმდეგაც იქნება გადაწყვეტილება გამოტანილი ვალდებული ხდება საკუთარი მოქმედება მოიყვანოს რეკომენდაციებსა და ნორმებთან შესაბამისობაში, რადგანაც დავების მოგვარების შესახებ შეთანხმება პრიორიტეტად აღიარებს სწორედ დავების გადაწყვეტის ორგანოს რეკომენდაციებთან და წესებთან შესაბამისობის დაცვას, რადგანაც ეს თავის მხრივ უზრუნველყოფს დავების მოგვარების ეფექტიანი მექანიზმის შექმნას წევრი სახელმწიფოებისათვის. დამარცხებული მხარე უნდა დაემორჩილოს პანელის ან სააპელაციო პალატის რეკომენდაციებს. მან უნდა ჩამოაყალიბოს მისივე განზრახვა, რომ შეასრულებს ხსენებულ რეკომენდაციებს გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღიანი ვადის ფარგლებში დავების განმხილველი ორგანოს შეხვედრაზე. თუ ის დადგენილ ვადაში არ განახორციელებს ამ წესით ნაგულვებ მოქმედებას მაშინ მას ეძლევა საკუთარი ქმედების გამოსწორებისათვის გონივრული ვადა. თუ ის ამ ვადაშიც არ

იმოქმედებს წესის შესაბამისად მაშინ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები და მოსარჩელე მხარესთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს კომპენსაციის სახე და ოდენობა, რომელიც გადაიხდება გამარჯვებული მხარის სასარგებლოდ. ეს კომპენსაცია შესაძლოა მოიაზრებდეს მოსარჩელის განსაკუთრებული ინტერესების შესაბამისად ტარიფების შემცირებას, გაკეთული მიმართულებით. თუ 20 დღის შემდეგ არ იქნება მიღწეული შეთანხმება სათანადო კომპენსაციის შესახებ მაშინ მოსარჩელე უფლებამოსილია დაეების განმხილველ ორგანოს მოსთხოვოს ნებართვა საეჭვო სანქციების დაწესების შესახებ დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ. (ვალდებულებათა შემცირება). დაეების განმხილველმა ორგანომ უნდა გასცეს ამგვარი უფლებამოსილება გონივრული ვადის ამოწურვიდან 30 დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა რომელსაც არსებობს ემო-ს წევრთა კონსენსუსი ასეთი მოთხოვნის წინააღმდეგ. როგორც წესი სანქციები დგინდება იმავე სექტორში რაშიც არის დავა. მაგრამ თუ ეს არ არის პრაქტიკული ან თუ ასეთი მიდგომა არ იქნება ეფექტიანი, მაშინ შესაძლებელია იმავე შეთანხმების სხვა მუხლების ამოქმედებაც და თუ შემთხვევა განსაკუთრებული სერიოზულობით გამოირჩევა, მაშინ შესაძლებელია სხვა ხელშეკრულების ნორმების ჩართვაც. ეს ყველაფერი ერთ მარტივ მიზეზს ემსახურება რათა არ მოხდეს საქმესთან კავშირში არ მყოფი ნორმების გამოყენება და ამით შემთხვევის ზედმეტად გართულება, ისევე როგორც მეორეს მხრივ ყველა მექანიზმის გამოყენებით დარღვევის აღმოფხვრის ეფექტიანი სისტემის შექმნა. ნებისმიერ შემთხვევაში დაეების განმხილველი ორგანო აკონტროლებს თუ რამდენად სრულდება მის მიერ მიღებული წესები და საქმე დგას მის დღის წესრიგში მანამ სანამ ის არ აღსრულდება.

გ)**არაბულ სახელმწიფოთა ლიგის** წევრებს შეუძლიათ მიმართონ ლიგის საბჭოს ყველა ისეთი დავის განხილვისათვის, რომელიც არ ლახავს „სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“ (მუხ. 5). ამ შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება საეალდებულო და საბოლოოა. ლიგის საბჭო თვითონ სთავაზობს მხარეებს სამსახურს „ყველა ისეთ დავაში, რომელმაც შეიძლება ომი გამოიწვიოს“. რასაკვირველია, ლიგის

წევრებს უფლება აქვთ მიმართონ სხვა, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დავების გადაჭრის საშუალებებს.

დ) **აფრიკის ერთობის ორგანიზაციის** წევრ-სახელმწიფოები თავის დავების გადაწყვეტისას იყენებენ სპეციალურად შექმნილ „საშუამავლო, საშემთანხმებლო და საარბიტრაჟო კომისიას". ეს კომისია 21 წევრისაგან შედგება, რომლებსაც ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო – სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა ასამბლეა ირჩევს 5 წლით. კომისია განიხილავს საქმეს, თუ ამაზე თანახმაა დავის ორივე მხარე. თუ ერთი მხარე უარზეა, საქმე განსახილველად გადაეცემა მინისტრთა საბჭოს.

თუ მხარეები აღიარებენ კომისიის მიერ შუამავლობის გაწევის უფლებას, კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს ერთ ან რამდენიმე წევრს, რომელსაც (ან რომელთაც) მიენიჭება შუამავლობისათვის საჭირო სათანადო ფუნქციები.

თუ მხარეები სთხოვენ კომისიას გაუწიოს მათ საშემთანხმებლო სამსახური, მისი წევრებისგან ყალიბდება „შემთანხმებელთა საბჭო" შემდეგი შემადგენლობით: სამს ნიშნავს თავმჯდომარე, ხოლო თითოს – მხარეები; საბჭოს არც ერთი წევრი არ შეიძლება იყოს რომელიმე მხარის მოქალაქე.

კოლა სხვა წესით ყალიბდება საარბიტრაჟო ტრიბუნალი – მხარეები ნიშნავენ თითო სამართლებრივი კვალიფიკაციის მქონე არბიტრს კომისიის წევრთა სიიდან, ეს უკანასკნელნი ირჩევენ მესამე არბიტრს – თავმჯდომარეს. თუ არბიტრები ვერ შეთანხმდნენ თავმჯდომარის კანდიდატურაზე, მას კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს.

თავმჯდომარეს აგრეთვე შეუძლია დაუმატოს ტრიბუნალში (მხარეთა თანხმობით) კიდევ ორი წევრი, რომლებიც არ არიან კომისიის შემადგენლობაში, მაგრამ მათ აქვთ სათანადო იურიდიული კვალიფიკაცია.

დანარჩენი საარბიტრაჟო ტრიბუნალის საქმიანობა ისეთივეა, როგორც სხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტანციებში.

ე) **ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის** დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის წესი გადატვირთულია ორგანიზაციული მომენტებით. ამავე დროს მისთვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ შუამავლის როლი შეიძლება დაეკისროს არა სახელმწიფოს, არამედ „გამოჩენილ მოქალაქეს", რაც უპრეცენდენტოა თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის.

„ამერიკის ქვეყნების ხელშეკრულება დაეების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ“, რომელიც ორგანიზაციის წესდებასთან ერთად იქნა ხელმოწერილი, ითვალისწინებს შემდეგი საშუალებების გამოყენებას – დიპლომატიური მოლაპარაკება, „კეთილი სამსახური“ და „შუამავლობა“ (თავი II), საგამოძიებლო-შემთანხმებელი პროცედურა (თავი III), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა (თავი IV), საარბიტრაჟო პროცედურა (თავი V). ძირითადად ყველა ორგანო აიგება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე და აღჭურვილია ამა თუ იმ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ფუნქციებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, სადაო საკითხის უშიშროების საბჭოს ხელში გადაცემამდე რეგიონალური ორგანიზაციები ცდილობენ ამ საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას და, ამრიგად, ისინი სადაეო საკითხთა მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთ საფეხურად გვევლინებიან.

ე) **ევროკავშირის სისტემაში** დაეების მშვიდობიანი გადაწყვეტის კომპეტენცია მიეკუთვნება ევროპის საბჭოს და ევროპის სასამართლოს.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებანი მონაწილე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ეროვნული სასამართლოსაგან, გამოიყენოს ევროგაერთიანების სამართლის ნორმები, რაზედაც მას არ შეიძლება უარი ეთქვას. სასამართლო დახმარებას უწევს ეროვნულ სასამართლოებს ევროთათბირის სამართლის ინტერპრეტაციაში, გამოდის სუპერარბიტრად მონაწილე ქვეყნების, გაერთიანების ორგანოების, ფიზიკურ პირთა შორის, ადასტურებს კანონთა სინამდვილეს, უზრუნველყოფს გაერთიანების კანონმდებლობის ნორმათა გამოყენებას ეროვნული მთავრობის მიერ.

ამგვარად, ევროპის სასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს ევროგაერთიანების მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება იმ საკითხებში, რომლებიც რეგულირდება გაერთიანების სამართალშემოქმედებითი საქმიანობით.

ამავე დროს, მას აქვს უფლება, გაუწიოს სასამართლო კონტროლი იმ აქტების კანონიერებას, რომლებიც გამოცემულია გაერთიანების ორგანოების მიერ და შესაძლოა

სამართლებრივი ზემოქმედება მოახდინოს მესამე მხარეზე (სახელმწიფოზე). მას შეუძლია ასეთი აქტი იურიდიული ძალის არამქონედ გამოაცხადოს.

რადგანაც ევროგაერთიანების მონაწილე ქვეყნებმა გადასცეს მას თავისი სუვერენული კომპეტენციის გარკვეული ნაწილი და აღიარეს გაერთიანების სამართლის პრიმატი ეროვნულ კანონმდებლობაზე, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების იძულებითი შესრულების მექანიზმიც დაარსდა. ეს მექანიზმი მოქმედებს: ა) თუ მონაწილე ქვეყანაში შემოღებულია ან აგრძელებს მოქმედებას ეროვნული სამართლებრივი ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას, ბ) თუ გაერთიანების სამართლის ნორმები არასწორად ინერგება ეროვნულ სამართალში.

ამ მექანიზმში დიდი როლი მიეკუთვნება კომისიას, რომელიც უფლებამოსილია, დაგროვილი მასალის საფუძველზე, მოთხოვოს მონაწილე ქვეყანას დაემორჩილოს გაერთიანების ორგანოთა აქტებს. თუ ეს არ მოხდა მოლაპარაკების მიუხედავად, კომისია გამოსცემს ე.წ. დასაბუთებულ აზრს, რომელიც ულტიმატურ ხასიათს ატარებს და აწესებს ვადას მოთხოვნის შესრულებისას, ამის შემდეგ კომისია უფლებამოსილია აღძრას სარჩელი სასამართლოში, სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და უნდა შესრულდეს მონაწილე ქვეყნის მიერ, თუ სასამართლომ ცნო იგი დამრღვევ მხარედ.

რაც შეეხება წმინდა პოლიტიკურ დავებს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობა, მათი მოგვარება ევროპის საბჭოს ევალება, რომელიც იხილავს დავებს თავის სხდომაზე და კონსულტაციების საშუალებით ცდილობს პრობლემის მოგვარებას და კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ზ) **ეუთოს ფარგლებში** წამოჭრილი კონფლიქტების (დავების) თავიდან ასაცილებლად შექმნილია საკმაოდ დახვეწილი სისტემა, რომელიც შემდეგნაირად ისახება:

კონფლიქტების თავიდან აცილების ან უკვე არსებულის დროზე ლიკვიდაციის მექანიზმი ამოქმედდება არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ დაძაბულობა ორ ან რამდენიმე მონაწილე ქვეყანას შორის წარმოიშვა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც კონფლიქტს ქვეყნის შიგნით აქვს ადგილი და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას.

ჩვენ უკვე ვიცით, რა ფუნქციები ეკისრება ეროვნული უმცირესობის საქმეთა უზენაეს კომისარს.

რაც შეეხება კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მათ რეგულირებას, აქ გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებანი: პირველ რიგში უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება, კონსულტაციები, თათბირები, ამაზე მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტს, რომელიც საბჭოს სახელით მოქმედებს.

„კეთილი სამსახური", შუამდგომლობისა და შერიგების მექანიზმები, ფაქტების დამდგენი და მომხსენებელთა მისიების გაგზავნა.

მნიშვნელოვანი ადგილი ამ პროცედურაში უჭირავს კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრის საკონსულტაციო კომიტეტს (მდებარეობს ჟენევაში), რომელსაც შეუძლია აგრეთვე გადაწყვიტოს კონფლიქტის ზონაში ფაქტების დადგენის მისიის, მომხსენებელთა ჯგუფების გაგზავნა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით.

1991 წლის 15 იანვრიდან 18 თებერვლამდე ქ. ვალეტაში (მალტა) ჩატარდა თათბირი ევროგაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისა, რომლებმაც შეიმუშავეს „დაეების მოწესრიგების პრინციპები და ევროგაერთიანების პროცედურის დებულებანი დაეების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის".

მონაწილე სახელმწიფოები იყალდებულებენ თავი შეიკავონ დაეების გამწვავებისაგან, და ყველა ღონე იხმარონ, რათა არ დაუშვან მათი გადაზრდა შეიარაღებულ კონფლიქტში. ამ მიზნით ისინი გამოიყენებენ მოლაპარაკებებს, შემოწმებას, კეთილ სამსახურს, შუამავლობას, შერიგებას, არბიტრაჟს, სასამართლოს და სხვ. მუხ. 6-10 ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მაქსიმალურად უზრუნველყონ დაეების მშვიდობიანი მოწესრიგება. ასეთია „პრინციპები".

რაც შეეხება „პროცედურებს", აქ ძირითადი ტვირთი მთავარ კომიტეტს ეკისრება, რომელსაც შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა მოდავე მხარემ.

გათვალისწინებულია აგრეთვე სპეციალური მექანიზმის შექმნა: იგი შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ მოდავე მხარეები კანდიდატთა სიიდან, რომელსაც ადგენს „ევროს კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი". „მექანიზმის" მთელი მუშაობა საიდუმლოა. „მექანიზმი" აწარმოებს ყველთო მოქმედებლურ საქმიანობას,

სთავაზობს დავის გადაწყვეტის ამა თუ იმ საშუალებას, აძლევს სავალდებულო რჩევას (ორივე მხარის თანხმობით).

მიუხედავად იმისა, რომ ვალეტას პროცედურა აძლევს დავის ნებისმიერ მხარეს უფლებას მიმართოს „მექანიზმს“, იგი ამავე დროს უარყოფს ამ უფლებას, თუ დავა ეხება ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ თავდაცვას, სუვერენულ უფლებას ხმელეთის ტერიტორიაზე ან ერთდროულ პრეტენზიას იურისდიქციაზე სხვა რაიონების მიმართ.

# თავი XV

## საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების, მათი წარმოების საშუალებებისა და წესების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

### *1. კონფლიქტების ლოკალიზაცია და ძირითადი ჰუმანიტარიზაციის წყაროები*

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აგრესიული ომი კანონგარეშეა გამოცხადებული. მაგრამ ეს არ გამორიცხავს ასეთი ომის დაწყების შესაძლებლობას. თავის მხრივ, ასეთი აქტი იწვევს აგრესიის მსხვერპლის მხრიდან სამართლიან შეიარაღებულ ბრძოლას, ე.ი. თავდაცვით ომს. ასევე იქცევა ერი (ხალხი), რომელიც იძულებულია მოკიდოს ხელი იარაღს ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ხშირია დღეს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარეობს. შეიძლება არსებობდეს ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარე კონფლიქტები, მაგრამ აგრესიის ხასიათი ვერ დგინდებოდეს. სინამდვილედ იქცა გაეროს ჯარების გამოყენება აგრესიის წინააღმდეგ (მაგ. ერაყის მიმართ).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ეტაპზე ომის საშიშროება არ არის სამუდამოდ ლიკვიდირებული.

მართალია ომის კანონებისა და ჩვეულებების ხვედრითი წონა საერთაშორისო სამართალში ძლიერ შემცირდა (ახლო წარსულში მას ხომ „ომისა და მშვიდობის სამართალი“

ეწოდებოდა), მაგრამ თანამედროვე ეტაპზე, დღეს მათ სულ უფრო დიდი ადგილი მიეკუთვნება საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქმიანობაში. ჩამოყალიბდა ცალკე დარგი – **„საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“**, რომელიც მოიცავს ყველა ხელშეკრულებას, კონვენციას და სხვა აქტებს, რომელიც ეხება ადამიანის ბედს შეიარაღებულ კონფლიქტში. ომის თანამედროვე ჩვეულებები და კანონები მაქსიმალურად ზღუდავენ ომის დაწყების შესაძლებლობას, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში ადგენენ საეალდებულო ქცევის წესებს, როგორც სამხედრო ფორმირებისა, ასევე ცალკეული ჯარისკაცებისათვის, კრძალავენ იარაღის ცალკეული სახეების გამოყენებას, იცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ტყვეებს და ა.შ., ამსუბუქებენ ადამიანთა ბედს და იცავენ მატერიალურ ფასეულობებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

ძირითადი აქტები, რომლებიც არეგულირებენ ომის წარმოების წესებს, შემდეგია:

ა) პარიზის 1856 წლის დეკლარაცია საზღვაო ომის შესახებ;

ბ) ჰააგის 1907 წლის კონვენციები სახმელეთო და საზღვაო ომის წარმოების შესახებ;

გ) ჟენევის 1925 წლის ოქმი მხუთავი, შხამიანი ან სხვა ამგვარი აირებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების ომში გამოყენების აკრძალვის შესახებ;

დ) ჟენევის 1949 წლის კონვენცია მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ;

ე) ჟენევის 1949 წლის კონვენცია ზღვაში შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის დაღუპვის შედეგად წყალში აღმოჩენილ პირთა ბედის გაუმჯობესების შესახებ;

ვ) ჟენევის 1949 წლის კონვენცია ტყვეთა რეჟიმის შესახებ;

ზ) ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ;

თ) ჟენევის 1977 წლის ორი ოქმი საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ (საქართველო შეუერთდა ორივე კონვენციას და ორივე ოქმს 1994 წლის 14 მარტს);

i) ლონდონის 1936 წლის ოქმის დანართი ომის დროს საჯაჭრო გემების წინააღმდეგ წყალქვეშა ნავების მოქმედების შესახებ;

კ) ჰააგის 1954 წლის კონვენცია სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ (საქართველო შეუერთდა 1993 წლის 4 თებერვალს);

ლ) 1972 წლის კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ტოქსინების წარმოების და დაგროვების აკრძალვისა და მათი მოსპობის შესახებ;

მ) 1977 წლის კონვენცია გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ;

ნ) 1980 წლის კონვენცია და სამი ოქმი, რომლებიც კრძალავენ ან ზღუდავენ კონკრეტული სახის იმ ჩვეულებრივი სახის იარაღის გამოყენებას, რომლებიც შეიძლება ზომაგადასული ზიანის მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების მქონე იარაღად ჩაითვალოს.

ამის გარდა არსებობს მთელი რიგი აქტებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ არ დაუშვან ახალი მსოფლიო ომის დაწყება, ქმნიან შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილების გარანტიებს, ზღუდავენ მხარეთა მიერ თანამედროვე ტექნიკის უსაზღვრო გამოყენებას.

### *ა) განიარაღებისა და შეიარაღების შეზღუდვა*

განიარაღების იდეა ფიქსირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში (მუხლები II, 26 და 47). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში აღიარებული განიარაღების პრინციპის იურიდიული შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოები და თვით ეს ორგანიზაცია ვალდებული არიან შეიმუშავონ განიარაღების პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებანი. თანამედროვე პირობებში ძირითადი მოთხოვნაა, რომ სახელმწიფოებმა დადონ სპეციალური შეთანხმება განიარაღების შესახებ.

გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია (1959 წლის 20 ნოემბერი) აღიარებს საყოველთაო და სრული განიარაღების აუცილებლობას. შემდგომ მიღებულ იქნა სხვა რეზოლუციები, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, რომლებიც ქმნიან განიარაღების სამართლებრივ საფუძველს.

*ბ) ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა*

1963 წლის 5 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1968 წლის 10 ოქტომბერს, კრძალავს ამ სამ სფეროში ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებას, იკრძალება აგრეთვე ისეთი ბირთვული აფეთქებები, რომლებიც სამ სფეროს გარეთ ტარდება, მაგრამ იწვევს რადიოაქტიურ დალექვას სახელმწიფოს საზღვრებს იქით. მიწისქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის საჭიროა სპეციალური ხელშეკრულებების დადება, რომელიც მოსკოვის ხელშეკრულების დანამატად ჩაითვლება, ან ახალი საყოველთაო ხელშეკრულების დადება, რომლის შემადგენელ ნაწილად მოსკოვის ხელშეკრულება იქცევა.

1974 წელს დაიდო სსრკ-აშშ-ს ხელშეკრულება მიწისქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვის შესახებ. 1976 წელს დაიდო მეორე მნიშვნელოვანი აქტი – ხელშეკრულება მშვიდობიანი მიზნებისათვის მიწისქვეშ ბირთვული აფეთქებების შესახებ (არც ერთი მათგანი ჯერჯერობით რატიფიცირებული არ არის და, ამგვარად, ძალაში არ შესულა).

*გ) ბირთვული იარაღის აკრძალვა.*

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ რამდენჯერმე მიიღო დეკლარაცია, რომლის მიზანია აკრძალოს ბირთვული იარაღის გამოყენება, ასეთებია 1961 წლის 24 ნოემბრის დეკლარაცია „ბირთვული და თერმობირთვული იარაღის გამოყენების შესახებ", 1972 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია „საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ბირთვული იარაღის გამოყენების სამარადისოდ აკრძალვის შესახებ". მაგრამ, როგორც უკვე წინა თავებიდან ვიცით, გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს რეკომენდაციის ძალა გააჩნია.

გენერალურმა ასამბლეამ თავის XXXVIII სესიაზე მიიღო რეზოლუცია ბირთვული იარაღის დაგმობის შესახებ. დეკლარაცია გმობს არა მარტო ბირთვულ ომს, როგორც ხალხთა წინააღმდეგ ყველაზე საშინელ დანაშაულს, არამედ უფრო შორს მიდის – გმობს ისეთი პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინებისა და კონცეფციების შემუშავებას, წამოყენებას, გაგრძელებას და პროპაგანდას, რომლებიც ამართლებენ

ბირთვული იარაღის პირველად გამოყენების „მართლზომიერებას“, ასეთი ომის გაჩაღებას და სხვ.

გენერალურმა ასამბლეამ, თავის XXXIX და XL (1983-1984) სესიებზე, კიდევ ერთხელ მოუწოდა ბირთვულ სახელმწიფოებს პირველებმა განაცხადონ უარი ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, მიმართა განიარაღების კონფერენციას, განიხილოს საბჭოთა ინიციატივა ამ საკითხზე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავების მიზნით, მხარი დაუჭირა დელის დეკლარაციას, რომელიც მიიღო არგენტინამ, საბერძნეთმა, ინდოეთმა, მექსიკამ, ტანზანიამ და შვედეთმა 1984 წლის 4 მაისს, და მოუწოდა ყველა ბირთვულ ქვეყანას, გაყინონ ბირთვული შეიარაღება გლობალური მასშტაბით.

*დ) ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა.*

სხვა ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობის თავიდან აცილებისათვის საერთაშორისო საზოგადოებამ მიაღწია მეტად მნიშვნელოვან საყოველთაო შეთანხმებას – 1896 წლის 1 იელისს დაიდო ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (ძალაში შევიდა 1990 წლის 5 მარტს, მონაწილეობს 120-ზე მეტი სახელმწიფო).

ამ ხელშეკრულების ძალით, არც ერთ ბირთვულ ქვეყანას არა აქვს უფლება: ა) ნებისმიერი ფორმით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გადასცეს ვინმეს ბირთვული იარაღი ან სხვა ბირთვული მოწყობილობა, მათ შორის ისეთ სახელმწიფოებს, რომლებსაც ასეთი იარაღი არ გააჩნიათ, ბ) ხელი შეუწყოს არაბირთვულ ქვეყანას, შექმნას საკუთარი ბირთვული იარაღი.

ხელშეკრულება უკრძალავს არაბირთვულ სახელმწიფოებს შექმნან ბირთვული იარაღი საკუთარი ძალით ან სხვა სახელმწიფოებთან ერთად. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნიათ ასეთი იარაღი, კისრულობენ ვალდებულებას, უარი თქვან სხვა სახელმწიფოსაგან ბირთვული იარაღის მიღებაზე ან შეძენაზე.

ხელშეკრულების ძალით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დაეკისრა ფართო ფუნქცია მონაწილე-სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებაზე კონტროლის მიზნით, ამ კონტროლის ამოცანაა არ დაუშვას ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ბირთვული დანადგარების გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის.

ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით იწვევენ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციას.

ჯერ კიდევ 1968 წელს უშიშროების საბჭომ, ხელშეკრულების დადებამდე ერთი თვით ადრე, მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომლის ძალით, თუ ხელშეკრულების მონაწილე, რომელსაც არ გააჩნია ბირთვული იარაღი, გახდება ძირითადი თავდასხმის ობიექტი, უშიშროების საბჭომ უნდა აღმოუჩინოს სათანადო დახმარება. ასეთივე განცხადება გააკეთა ცალ-ცალკე სამმა ბირთვულმა სახელმწიფომ – აშშ, ინგლისმა, სსრ კავშირმა. 1978 წელს სსრ კავშირმა განაცხადა, რომ იგი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს იმ ქვეყნების მიმართ, რომლის ტერიტორიაზე არ არის განლაგებული ასეთი იარაღი. ასეთივე განცხადება გააკეთა აშშ-ს მთავრობამ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ბირთვული იარაღი არ იქნება გამოყენებული იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომელმაც იკისრა ვალდებულება არ განალაგოს ბირთვული მოწყობილობა.

### *ე) ბირთვული ომის შემთხვევით დაწყების შესაძლებლობის თავიდან აცილების ზომები*

ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოები ცდილობენ მაქსიმალურად გამორიცხონ ბირთვული იარაღის შეცდომით ან უნებლიე გამოყენების შესაძლებლობა. იღებენ ვალდებულებებს არ შექმნან ისეთი სიტუაცია, რომელმაც შეიძლება აიძულოს მეორე მხარე გამოიყენოს ბირთული იარაღი. ამ მიზანს ემსახურება სსრკ-აშშ-ს 1973 წლის შეთანხმება ბირთვული ომის აცილების შესახებ, რომლის ძალით ორივე სახელმწიფო თავს ივალდებულებს შექმნას ყველა პირობა, რათა გამორიცხონ ბირთვული ომის დაწყების რისკი, აღიარებს ძალის გამოუყენებლობის პრინციპის ურღვევობას, ვალდებულებას იღებენ საშიში სიტუაციის შემთხვევაში მიმართონ სასწრაფო კონსულტაციების საშუალებას (მუხ. I-IV).

განსაკუთრებულ ზომებს ითვალისწინებს მეორე სახის შეთანხმებანი, დადებული სსრ კავშირის მიერ აშშ-თან (1971 წლის 30 სექტემბერი), საფრანგეთთან (1976 წლის 16 ივლისი), ინგლისთან (1977 წლის 10 ოქტომბერი). მხარეები პირდებიან უმალვე აცნობონ ერთმანეთს ბირთვული ინციდენტის შესახებ, განმარტონ სიტუაცია, რომელიც არასწორად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული მეორე მხარის მიერ, გამოიყენონ

მთავრობათა შორის გაყვანილი პირდაპირი კავშირის ხაზი (ეს ვალდებულებები დღეს რუსეთზეა გადასული).

ზემოხსენებული შეთანხმებების კომპლექსი საკმაოდ მყარი საფუძველია ბირთვული იარაღის უნებლიე ან შეცდომით გამოყენების შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, დღემდე ყველა მხარე იცავს ნაკისრ ვალდებულებებს, რაც უდავოდ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

### *3) უბირთვო ზონები*

უდავოა ის მნიშვნელობა, რომელიც მიენიჭება დედამიწის სხვადასხვა კუთხეს უბირთვო ზონად გამოცხადებისას. ასეთი არეები ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

თუ რომელიმე ტერიტორია, კონტინენტი, ან სახელმწიფო გამოცხადებულია დემილიტარიზებულ ზონად, მისი რეჟიმი ავტომატურად უბირთვო ზონადაც იქცევა (მაგ., ალანდის კუნძულები, შპიცბერგენის არქიპელაგი, ანტარქტიდა და სხვა).

მაგრამ დღეს საჭიროა უფრო ქმედითი ზომების მიღება. მთელი რიგი აქტები უკვე გამორიცხავს ბირთვული იარაღის შექმნას და განლაგებას: ხელშეკრულება ანტარქტიკის შესახებ (1959 წ.), მოსკოვის 1963 წლის ხელშეკრულება სამ სფეროში ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, 1967 წლის ხელშეკრულება კოსმოსური სივრცის შესახებ, 1968 წლის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, 1971 წლის ხელშეკრულება ოკეანეებისა და ზღვების ფსკერზე და მის წიაღში ბირთვული იარაღის ან მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ და სხვ.

წამოყენებულია უბირთვო ზონების მრავალრიცხოვანი პროექტები – აფრიკისათვის, სამხრეთ აზიისათვის, ახლო აღმოსავლეთისათვის, ინდოეთის ოკეანისათვის, ცენტრალური ევროპისათვის, ჩრდილოეთ ევროპისათვის, ხმელთაშუა ზღვისათვის და სხვ.: მრავალი ქვეყნის (ინგლისი, ჰოლანდია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია და სხვ.) ცალკეული ქალაქების მუნიციპალიტეტების (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) გადაწყვეტილებებით, მათდამი რწმუნებული არე გამოცხადებულია უბირთვო ზონად. 1984 წლის აპრილში ქ. მანჩესტერში (ინგლისი) გაიმართა უბირთვო ზონების საკითხზე პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა აღნიშნული

მუნიციპალიტეტების ორასზე მეტი წარმომადგენული. კონფერენციამ მოუწოდა ყველა ქვეყნის მუნიციპალიტეტებს, აქტიურად იბრძოლონ უბირთეო ზონების შექმნისათვის რაც შეიძლება მეტ ქალაქში.

მოძრაობა უბირთეო ზონების შექმნისათვის მიმდინარეობს როგორც სახელმწიფოთშორის დონეზე, ასევე საზოგადოებრივი და მუნიციპალური ორგანოების აქტების კოორდინირების გზით.

მიუხედავად ამისა, აუცილებელია უბირთეო ზონების რეჟიმის შემდგომი შემდგომი განვითარება-დაკონკრეტება. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1967 წელს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის ძალით ლათინური ამერიკის 22 სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის შენახვა, გამოყენება, გამოცდა და წარმოება. აგრეთვე მათ აიღეს ვალდებულება, არ მიიღონ ზემოაღნიშნული იარაღი რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან. სსრ კავშირმა, აშშ-მა, ინგლისმა, საფრანგეთმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს დამატებით ოქმს, რომლის თანახმად ხუთივე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს პატივი სცეს უბირთეო ზონას. ამავე დროს ოქმი შეიცავს ხელშეკრულების ზოგიერთი დებულების კომენტარს, რადგანაც ხელშეკრულების მოქმედების სფეროდ ძალზე დიდი სივრცე განისაზღვრა. მსგავსი ხელშეკრულება დაიდო 1985 წელს სამხრეთ წყნარი ოკეანის ფორუმის 11 წევრთა შორის (რაროტონგას ხელშეკრულება). თანდართული სამი ოქმი მოუწოდებს აშშ-ს, საფრანგეთსა და ინგლისს დაიცვან ამ რაიონში მდებარე თავის ტერიტორიაზე ხელშეკრულების დებულებანი, შეიცავს სხვა მოწოდებებს ბირთვული სახელმწიფოების მიმართ დაიცვან უბირთვო ზონის სტატუსი.

### *ზ) საშუალო და ნაკლები სიმძლავრის რაკეტების ლიკვიდაცია*

ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის თაობაზე შეთანხმება მიღწეულ იქნა მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც დაგვირგვინდა 1988 წელს ხელშეკრულების ხელმოწერით (PCMD). ხელშეკრულებას თან ერთვის რამდენიმე დოკუმენტი: ოქმი პროცედურების შესახებ, რომლებიც რეგულირებას გაუწევენ რაკეტების ლიკვიდაციის პროცესს; ოქმი ინსპექციის შესახებ; დებულება ინსპექტორთა და მფრინავთა ეკიპაჟების პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ; მემორანდუმი ამოსავალი მონაცემების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად,

მხარეებს უნდა გაენადგურებინათ ყველა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტები, გამშვები დანადგარები და დამხმარე ნაგებობანი და მოწყობილობანი. საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ვადა განისაზღვრება „ წლით, ნაკლები სიშორის – 18 თვით. დაწესებული იყო მკაცრი ინსპექცია და კონტროლი. ამ ინსპექციას შეუძლია იმოქმედოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 13 წლის განმავლობაში, რათა არ დაუშვას რაკეტების წარმოების განახლება. ხელშეკრულება დაიდო უვადოდ. იგი შევიდა ძალაში 1989 წელს. დღეისათვის ყველა მისი მოთხოვნა შესრულებულია – ორივე მხარემ გაანადგურა აღნიშნული სახის რაკეტები (ეს პროცესი არაერთხელ იყო ნაჩვენები ტელევიზიით), რაც უდავოდ იყო მონაპოვარი ევროპასა და საერთოდ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

### *თ) სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება*

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება – 1972 წელს მოსკოვში აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა დადეს ორი შეთანხმება: ა) ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ (ABM) და ბ) დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის სფეროში ზოგიერთი ზომის შესახებ (SALT-I), პირველი შეთანხმება უვადოა, იგი ძალაში შევიდა 1972 წლის 3 ოქტომბერს, ხოლო მისი 1974 წლის ოქმი ძალაშია 1976 წლის 24 მაისიდან. მეორე შეთანხმება ხუთი წლით დაიდო. 1977 წელს ორივე მხარე შეთანხმდა დაიცვან ამ უკანასკნელის დებულებანი ახალი აქტის (SALT-2) ხელმოწერამდე. 1979 წელს, მრავალწლიანი მოლაპარაკების შედეგად დაიდო ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (SALT -2), რომელიც რატიფიკაციის შემდეგ, შეკვლიდა დროებით შეთანხმებას და კიდევ უფრო გააფართოვებდა სსრკ-აშშ-ს შეთანხმების სფეროს სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის ეფექტური ზომების შემუშავების საქმეში. მაგრამ წლების მანძილზე აშშ-ს და სსრ კავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, რომელიც უნდობლობის სულისკვეთებით ხასიათდებოდა, არც აშშ-ს მიერ ყოფილა რატიფიცირებული.

80-იანი წლების მეორე ნახევარში „პერესტროიკის" დაწყებისას და საგარეო პოლიტიკაში რადიკალურ ცვლილებებთან ერთად, წინ წასწია აშშ-სსრ კავშირის

თანამშრომლობამაც სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის საქმეში. მიღწეულ იქნა შეთანხმება, მომზადებულიყო ხელშეკრულება სტრატეგიული იარაღის 50% შემცირების შესახებ. 1991 წლის 31 ივლისს აშშ-ს და სსრ კავშირს შორის დაიდო „ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ", (START I) რომელიც ითვალისწინებდა ამ იარაღის 50% შემცირებას. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ რატიფიკაციის პროცესი შენელდა და სულაც შეწყდა. უკრაინამ, ბელორუსიამ და ყაზახეთმა თითქოს იკისრეს OCB – I და OCB -2-ით გათვალისწინებული ვალდებულებები, მაგრამ რატიფიკაციამდე საქმე არ მისულა. რუსეთისა და აშშ-ს შორის ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად 1993 წლის 3 იანვარს პრეზიდენტებმა ბუშმა და ელცინმა მოსკოვში მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი იარაღის 2/3 შემცირების შესახებ (ამჯერად მას რუსულად ეწოდება CHB- 2), მაგრამ ის ჯერ არ შესულა ძალაში.

*ი) ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვა*

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში – 1925 წელს კაცობრიობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ომის ჩვეულებებისა და კანონების შემდგომი ჰუმანიზაციის გზაზე. ქვეყნის ოქმი ითვალისწინებს მხუთავი, შხამიანი ან სხვა ამგვარი აირებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების ომში გამოყენების დაუშვებლობას.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ხელი შეუწყო ახალი, მრავალჯერ უფრო ძლიერი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნას. ზოგიერთი გამოყენებული იქნა კიდეც. ის ფაქტი, რომ დღეისათვის სახელმწიფოს არსენალში დაგროვილია იარაღის დიდი მარაგი, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, გადაუდებელ ამოცანად აქცევს არსებული მარაგის ლიკვიდაციას და ამ ტიპის იარაღის წარმოების შეწყვეტას.

1972 წლის 10 აპრილს მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში გაიხსნა ხელმოწერისათვის კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსინური იარაღის. დამუშავების, წარმოების, და დაგროვების აკრძალვის და მათი მოსპობის შესახებ (ძალაში შევიდა 1975 წ. 26 მარტს). ამ კონვენციის ძალით, მხარეები ივალდებულებენ თავს არასდროს არ შექმნან, არ დააგროვონ, არ შეიძინონ, არ შეინახონ იმ სახის ან რაოდენობის მიკრობიოლოგიური ან სხვა

ბიოლოგიური აგენტები ან ტოქსინები, რაც არ შეესაბამება მშვიდობიან მიზნებს. ასეთივე ვალდებულებები ეხება იარაღს, მოწყობილობას ან მოწოდების საშუალებებს, რომელთა დანიშნულებაა აღნიშნული აგენტების და ტოქსინების გამოყენება მტრული მიზნებისათვის ან შეიარაღებულ კონფლიქტებში. მხარეებმა აიღეს ვალდებულება, კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს ცხრა თვის ვადაში მოსპონ ან გადაიყვანონ მშვიდობიან გზაზე მათ განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ მყოფი ყველა აგენტი, ტოქსინი, იარაღი, მოწყობილობა და მათი მოწოდების საშუალებანი.

აკრძალულია აღნიშნული იარაღის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა ან მისი წარმოებისათვის დახმარების აღმოჩენა, ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო სამართლებრივი და სხვა ზომები ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით. გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის შესახებ. მაგრამ 1992 წელს მაინც შემუშავდა საბოლოო ტექსტი, ხოლო 1998 წლის 14 იანვარს პარიზში ხელმოწერილ იქნა კონვენცია ქიმიური იარაღის აკრძალვის, განლაგების, წარმოების, შენახვის, გამოყენებისა და მისი სრული განადგურების შესახებ. ამ კონვენციით აკრძალულია ყოველგვარი ქიმიური იარაღის წარმოება, შენახვა, სხვა ქვეყნებისათვის გადაცემა. არსებული ქიმიური იარაღის მარაგი უნდა განადგურდეს, დაწყებული 1995 წლიდან.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია მონაწილეობდა ამ ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერის პროცესში, რომელშიც 120 სახელმწიფომ მიიღო მონაწილეობა.

### *კ) მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეების აკრძალვა*

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შესაძლებელს ქმნის შეიქმნას იარაღის ახალი სახეები, რომლებიც უფრო ძლიერი და ეფექტური იქნება, ვიდრე ბირთვული იარაღი. დღეს უკვე დამუშავების სტადიაშია ისეთი იარაღი, როგორიცაა ნეიტრონის, გენეტიკური, ინფრაბგერითი, სხივური დაზიანების,

რადიოლოგიური[243] და სხვ. ტიპის იარაღი. „მასობრივი მოსპობის იარაღად“ ჩაითვლება იარაღი, რომელიც შეიძლება შეიქმნას მომავალში უკვე ცნობილი მეცნიერულ-ტექნიკური პრინციპების საფუძველზე, თუ მათი გამოყენება მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნისათვის ჯერ არ მომხდარა, ან ისეთი მეცნიერულ-ტექნიკური პრინციპების საფუძველზე, რომელთა აღმოჩენა შეიძლება მოხდეს მომავალში და რომლებსაც ექნებათ მასობრივი მოსპობის იარაღის ცნობილი სახეების გამანადგურებელი ან დამაზიანებელი მოქმედების მსგავსი, ან უფრო ძლიერი თვისებები.

უნივერსალური და საყოველთაო კონვენციის შემუშავების პროცესის გარდა, მიმდინარეობს მოლაპარაკება კონკრეტული სახის იარაღის აკრძალვის შესახებ. 1976 წელს გენერალური ასამბლეის XXXI სესიამ მოიწონა კონვენცია გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან რომელიმე მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ. ასეთ საშუალებებად ითვლება ხელოვნური მიწისძვრა და წყალდიდობა, ჟაუნის განადგურება და სხვ., აიკრძალება ამ საშუალებების გამოყენება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის და საჰაერო სივრცის დაზიანების მიზნით. 1977 წლის 18 მაისს ჟენევაში 33 სახელმწიფომ (მათ შორის სსრ კავშირმა და აშშ-მ) ხელი მოაწერა კონვენციას, რომელიც შევიდა ძალაში 1978 წლის 5 ოქტომბერს.

### *ლ) ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება (CFE)*

ხელშეკრულება ეხება შეზღუდვას და ლიმიტების დაწესებას. ეს პრობლემა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპაში უშიშროებისა და შშვიდობის განმტკიცების პრობლემებთან. ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს შორის მოლაპარაკება წლების მანძილზე ფერხდებოდა. ქ. ვენა იქცა ამ მოლაპარაკების შტაბ-ბინად. პირველ ეტაპზე განიხილებოდა საკითხი – ცენტრალურ ევროპაში ჩვეულებრივი

---

[243] რადიოლოგიური იარაღი იქმნება ბირთვული ენერგეტიკის რეაქტორების მუშაობის შედეგად დაგროვილი რადიოაქტიური ნარჩენებისაგან. ამ ნივთიერებით დამუხტული რაკეტები, ნაღმები, ჭურვები და სხვ. აფეთქების დროს გამოყოფენ რადიოაქტიურ ნივთიერებას, რომელიც აზიანებს 350-400 მეტრის რადიუსში მცხოვრებ მოსახლეობას

შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, მაგრამ აშშ-სსრ კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მკვეთრი შეცვლა თავის „სოციალისტური მოკავშირეების“ მიმართ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, გახდა ის საფუძველი, რომელმაც შესაძლებელი გახადა 1987 წ. ხელშეკრულების დადება.

ამას მოჰყვა ახალი მიდგომა ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხებისადმი – მისი არეალი გადაიჭიმა ატლანტიკიდან ურალამდე. მოლაპარაკება, რომელიც ახალი ინტენსიურობით 1989 წელს დაიწყო, გაგრძელდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგაც, მაგრამ ამჯერად იგი მთლიანად მოექცა ეუთო-ს ეგიდის ქვეშ. სსრ კავშირის ადგილზე 15 დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ თავისი კორექტივები შეიტანა ხელშეკრულების საბოლოო პროექტის შემუშავების პროცესში.

1992 წელს მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც. 1992 წლის ივნისში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, რომელიც შევიდა ძალაში 1992 წლის დამლევს. ამ ხელშეკრულების ძალით 40 თვის ვადაში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეამცირონ გარკვეულ რაოდენობამდე (კვოტამდე) ტანკები, საბრძოლო ვერტმფრენები. იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვს შეუსებული ეს კვოტები, (მაგ. საქართველოს) უფლება აქვს შეავსოს ეს კვოტები, თუ ამის შესაძლებლობა გააჩნიათ. დაწესებულია კონტროლის მკაცრი სისტემა, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს ხელშეკრულების შესრულების მსვლელობა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ჯარები, მათი ბაზები, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, სადაც დგას რუსეთის ჯარი, ექვემდებარება ამ საერთაშორისო ინსპექციას. 1992 წლის ივნისში, „ჰელსინკი-2“-ის თათბირის დროს საქართველომ სხვებთან ერთად, ხელი მოაწერა „შემაჯამებელ აქტს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობის შესახებ“. ამ შეთანხმებებით მონაწილე სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს გარკვეულ კვოტას. საქართველოსათვის ეს რაოდენობა განსაზღვრულია 50000

კაცით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა აღნიშნული კვოტის ჭარგლებში უნდა თავსდებოდეს და არ შეიძლება აღემატებოდეს მას, თუნდაც მომავალში ამის შესაძლებლობა შეიქმნას კიდეეაც. 1999 ნოემბერში ეუთოს სტამბულის სამიტზე SAU-ს ხელშეკრულებაში შეიტანეს დამატებები (მოხდა ადაპტაცია დღევანდელობასთან), ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთის სამხედრო ჯარების საქართველოში გაუქმების შესახებ, მათ შორის ვაზიანის და გუდაუთის ბაზების დახურვა 2001 წლის ივნისამდე უნდა მომხდარიყო. თუმცა აღნიშნული პირობების შესრულება მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ განხორციელდა, ისიც არასრულად: 2005 წელს საქართველომ მიაღწია შეთანხმებას რუსეთის ფედერაციასთან საქართველოში დისლოცირებული რფ-ის კუთვნილი ბაზების დახურვის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნატო-მ უარი განაცხადა *CFE-ს* განახლებული ვარიანტის რატიფიცირებაზე, სანამ რფ არ შეასრულებდა ჯერ კიდევ 1999 წელს ნაკისრ ვალდებულებას საქართველოდან და მოლდოვადან ჯარების გაყვანის თაობაზე. შედეგად, 2007 წლის ივნისში დაიხურა ახალქალაქის (ახალციხის რეგიონი) რუსული სამხედრო ბაზა, ხოლო იმავე წლის ნოემბერში - ბათუმის (აჭარის არ) სამხედრო ბაზა. თუმცა რჩებოდა საფუძვლიანი ეჭვი გუდაუთაში(აფხაზეთის არ) არსებულ სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით, რომელიც მოსკოვმა ოფიციალურად დახურულად გამოაცხადა, მაგრამ ამასთან, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა შესრულების საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფის შესვლას ტერიტორიაზე. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კი სახეზეა ახალი რეალობა - კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიებზე ოკუპანტი ქვეყნის ჯარებია განლაგებული..

ხელმოწერილი იქნა აგრეთვე ხელშეკრულება „ღია ცის შესახებ“. ამ ხელშეკრულებით ყველა მონაწილე სახელმწიფოს საჰაერო სივრცე ღია უნდა იყოს საერთაშორისო ინსპექციის ჩასატარებლად ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. საერთაშორისო ინსპექციის საჰაერო აპარატებს უფლება აქვთ იმოძრაონ ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დებულებების

შესრულების მიმდინარეობის შესამოწმებლად, დარღვევათა დროულად დასადგენად.

## 2. მიუმხრობლობა (ბლოკების მიუმხრობლობა)

ეს მოძრაობა, რომელიც დღეს ასზე მეტ სახელმწიფოს მოიცავს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა, როდესაც კოლონიალიზმისგან განთავისუფლებული აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნები დაადგნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გზას, ისინი უარს ამბობენ დიდ სახელმწიფოთა მიერ შექმნილ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე, ამავე დროს იბრძვიან მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სახელმწიფოს ამგვარ სტატუსს სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა – პოზიტიური ნეიტრალიტეტი, ნეიტრალიზმი, ბლოკების მიუმხრობლობა, ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, საბოლოოდ დამკვიდრდა ტერმინი „მიუმხრობლობა“, რომელიც თანამედროვე აქტებში ფიგურირებს.

დამოუკიდებლობისა და თავისი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, მიუმხრობელი სტატუსის მქონე სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი კოლექტიური უშიშროების სისტემა, რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, ეს ორგანიზაციები უფრო განამტკიცებენ მიუმხრობელი ქვეყნების მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკურ კურსს.

მიუმხრობლობის სტატუსი ხელს უწყობს კოლონიალიზმისა და ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას, ამ სტატუსის მქონე სახელმწიფოს საშუალებას აძლევს გადაიტანოს სიმძიმის ცენტრი თავის საშინაო საჭირბოროტო პრობლემის გადაწყვეტაზე.

მიუმხრობელი სახელმწიფოები ა) უარს ამბობენ დაუთმონ ტერიტორია უცხო სამხედრო ბაზების შექმნას, ბ) მოითხოვენ უკვე არსებული ბაზების ლიკვიდაციას, გ) უარს ამბობენ დიდი სახელმწიფოების მონაწილეობით არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში მონაწილეობაზე, დ) ქმნიან ერთიან ფრონტს საერთაშორისო ურთიერთობების ყველა პრობლემის შესახებ მოლაპარაკებაში, ე) აწარმოებენ მუდმივ კონსულტაციებს და ატარებენ კონფერენციებს მიუმხრობლობის მოძრაობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ამ უკანასკნელის მიზნის განხორციელებისათვის პერიოდულად იწვევენ მიუმხრობელი სახელმწიფოების კონფერენციებს, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები. ასეთი კონფერენციები შედგა ბელგრადში (1961 წ.), კაიროში (1964 წ.), ლუსაკაში (1970 წ.), კოლომბოში (1976 წ.), ჰავანაში (1979 წ.), დელიში (1982 წ.). კონფერენციებს შორის მოქმედებს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი და საკოორდინაციო ბიურო, რომელიც ამზადებს რიგით კონფერენციას და თათბირს, კოორდინაციას უწევს საგარეო პოლიტიკურ აქციებს, გაერო-ს ჩარჩოებში საქმიანობის ჩათვლით, კონტროლს უწევს ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამების შესრულებას, ხელს უწყობს დავების მშვიდობიან მოწესრიგებას და სხვ.

ამავე დროს მიუმხრობელი სახელმწიფოები არ ერიდებიან ისეთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას, რომელიც მშვიდობის განმტკიცებას ისახავს მიზნად. მაგალითად, ზოგიერთი მიუმხრობელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები შედიოდნენ და შედიან გაერო-ს მშვიდობის დაცვის ძალებში ახლო აღმოსავლეთში, კვიპროსში; ერაყის, სირიისა და იორდანიის წარმომადგენლების მონაწილეობით მოწესრიგდა შეიარაღებული კონფლიქტი იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იემენის არაბულ რესპუბლიკას შორის (1972 წ.).

## *3. ნეიტრალიზმი და მუდმივი ნეიტრალიტეტი*

მიუმხრობელობისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. ტრადიციული ნეიტრალიტეტი. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო წლების მანძილზე თავს იკავებს რომელიმე სამხედრო კოალიციაში ან ომებში მონაწილეობაზე და მისდევს ამ პოლიტიკას ყოველგვარი იურიდიული გაფორმების გარეშე (მაგ. შვედეთი). თანამედროვე ეტაპზე ახალი შინაარსი შეიძინა ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ ჩამოყალიბებულმა მუდმივი ნეიტრალიტეტის ინსტიტუტმა. ნეიტრალური სახელმწიფო მუდმივად კისრულობს ვალდებულებას არა მარტო არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე ომში, არამედ მშვიდობიან დროსაც თავი შეიკავოს ყოველგვარ ისეთ შეთანხმებასა და ხელშეკრულებაში მონაწილეობისაგან, რაც სამხედრო მიზნებთანაა დაკავშირებული. როგორც წესი, მუდმივი ნეიტრალიტეტი უნდა იყოს გაფორმებული სათანადო საერთა-

შორისო ხელშეკრულებით – შვეიცარია (1815 წლიდან), ავსტრია (1955 წლიდან).

ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს მთელ რიგ საშუალებებს, რომლებიც ზღუდავენ აგრესორს თავისი ექსპანსიური ზრახვების განხორციელების დროს. მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ ომების თავიდან აცილების შესაძლებლობა ჯერჯერობით მხოლოდ „შესაძლებლობაა“ და არა სინამდვილე. არ არსებობს მხოლოდ ომების ფატალური გარდაუვალობა, რაც პროგრესული კაცობრიობის მოქმედების ერთსულოვნებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით ძალაში რჩება აგრესიული ომის საშიშროება.

## 4. „საერთაშორისო“ და „არასაერთაშორისო“ შეიარაღებული კონფლიქტები

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი განასხვავებს შეიარაღებულ კონფლიქტებს მათი პოლიტიკური ხასიათის მიხედვით. „საერთაშორისოდ“ ჩაითვლება იგი, თუ ადგილი აქვს შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელშიც მონაწილეობს ორი ან რამდენიმე სახელმწიფო, ან ხალხები, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრის, უცხოელთა ოკუპაციისა და რასისტული რეჟიმის ბატონობის წინააღმდეგ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მიზნით (ჟენევის 1977 წლის ოქმი №1).

რაც შეეხება „არასაერთაშორისო“ ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტს, ამ კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის კონფლიქტი, რომელიც არ თავსდება ზემოხსენებულ ფორმულაში, ე.ი. ყველა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც მიმდინარეობს სახელმწიფოს შიგნით მის შეიარაღებულ ძალებსა და სხვა ორგანიზებულ ჯგუფებს შორის; ასეთ ჯგუფებს სათაეში უნდა ედგას პასუხისმგებელი სარდლობა, და ისინი უნდა აწარმოებდნენ ეფექტიან კონტროლს მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მიმართ და ამასთან ჰქონდეს საშუალება დაიცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები

საერთაშორისო კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებზე ვრცელდება ჟენევის ოთხივე კონვენცია და სხვა აქტები, თუ მეომარი მხარეები ცნობენ მათ იურიდიულ ძალას. თუ არა – ისინი მაინც ვერ აუვლიან გვერდს ჟენევის კონვენციებისა და ოქმების ძირითად დებულებებს, რომელნიც ჰუმანურობისა და

ცივილიზაციის მონაპოვარს წარმოადგენს. ჟენევის კონვენციები არ გამოიყენება ავტომატურად. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ალიარებს მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი მხარე არსებულ ჰუმანიტარულ სამართალს, ომის კანონებსა და ჩვეულებებს. ჟენევის კონვენციების მე-3 მუხლი, მათ შორის ვრცელდება არასაერთაშორისო კონფლიქტებში ჩაბმულ ჯგუფებზე და პირველ რიგში, ითვალისწინებს ჰუმანიზმით ნაკარნახევი წესების გავრცელებას. ეს მუხლი არც კი იხსენიებს ტყვეთა ინსტიტუტს. კონფლიქტში ჩაბმული მხარეები მოვალენი არიან მოეპყრან მათ ხელში ჩავარდნილ ნებისმიერ პირს, რომელიც დანებდა იარაღით ხელში ან ავადმყოფობის თუ დაჭრილობის გამო, ჰუმანურად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მიუხედავად რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სხვა ანალოგიური ნიშნების გამო. ამ მიზნით აიკრძალება მკვლელობა, დასახიჩრება, წამება და სხვ. მსგავსი ქმედებანი, მძევალთა აყვანა, ადამიანის ღირსების შელახვა, პირის გასამართლება და დასჯის ზომის გამოყენება წინასწარ დაწესებული სასამართლოს განაჩენისა და სასამართლო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე. ოქმი II ასევე ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ხელთ ჩაუვარდნენ მოწინააღმდეგე მხარეს და გამოეთიშნენ ბრძოლას, ან მათი თავისუფლება იყო შეზღუდული კონფლიქტთან დაკავშირებით. ეს პუნქტი უმატებს „ჰუმანური მოპყრობის“ ჩამონათვალს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა კოლექტიური დასჯა, ტერორიზმის აქტები, მონობა და მონებით ვაჭრობის ყოველგვარი გამოვლინება.

როგორც ვხედავთ, დღემდე საერთაშორისო სამართალში არ არის შემუშავებული არასაერთაშორისო კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ზუსტი განსაზღვრება და ბევრი რამ განისაზღვრება კონფლიქტში ჩაბმული ძალების დამოკიდებულებით ცივილიზაციის მიერ შემუშავებული ფასეულობების მიმართ.

ამ თვალსაზრისით ნათლად ჩანს აფხაზ სეპარატისტთა ბარბაროსული სახე, რომლებიც არღვევდნენ ომის წარმოების ელემენტარულ წესებს: ბომბავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობით სავსე რაიონებს ქ. სოხუმში, უმოწყალოდ აწამებდნენ და კლავდნენ მოქალაქეებს დროებით დაკავებულ პუნქტებში. მთელ მსოფლიოს მოედო გაგრის და გალის რაიონის ტრაგედია, სადაც ასობით ქართული ოჯახი განადგურდა, დაიღუპა და

დასახიჩრდა მრავალი ადამიანი, ხოლო მათი სახლები გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს. ამასთან, 250000 ქართველი გააძევეს აფხაზეთიდან ტერორისა და დახვრეტის მუქარით. ეს ქმედება საეროაშორისო დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი ჩამდენნი მკაცრად უნდა დაისაჯონ საჩვენებელი სასამართლო პროცესის ჩატარებით.

## *5. შეიარაღებული კონფლიქტების ჩაქრობისა და მშვიდობის აღდგენის პროცედურები საერთაშორისო ორგანიზაციებში*

ა) **გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს და გენერალურ მდივანს კონფლიქტების თავიდან აცილების და მშვიდობის დაცვის მთელი რიგი საშუალებანი გააჩნია.

**გაერო-ს მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაცია (Peacemaking)** – მოწონებულია დიპლომატიური საშუალებების გამოყენება, რათა დაიყოლიონ კონფლიქტის მხარეები, შეწყვიტონ მტრული ურთიერთობა და მოლაპარაკება გამართონ მათ შორის არსებული დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. გაეროს გააჩნია კონფლიქტებისა შეჩერებისა და გადაჭრის, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენის სხვადასხვა საშუალება. გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია რეკომენდაცია გასწიოს დავის გადაჭრის გზებზე და ითხოვოს გაეროს გენერალური მდივნის შუამავლობა. გენერალურ მდივანს შეუძლია გამოვიდეს დიპლომატიური ინიციატივებით მოლაპარაკების პროცესის ხელშესაწყობად.

გენერალური მდივანი მთავარ როლს ასრულებს მშვიდობის ხელშეწყობაში, როგორც პიროვნულად, ისე საგანგებო წარგზავნილების ან მისიების მეშვეობით ისეთი სპეციფიკური ამოცანების შესასრულებლად, როგორიცაა მოლაპარაკება ან ფაქტების მოძიება. მას შეუძლია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს ნებისმიერ ფაქტზე, რომელიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

დაეების გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით, გენერალურ მდივანს შეუძლია გამოიყენოს „კეთილი სამსახური“ – შუამავლობა ან აღასრულოს „პრეევენციული დიპლომატია“. მაგ., 1998 წლის თებერვალში გენერალური მდივანი კოფი ანანი, უშიშროების საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შემდეგ,

ბაღდადს (ერაყი) ეწვია და შეძლო ერაყთან იარაღის ინსპექციის თაობაზე დაეის გადაჭრა, რაც აღნიშნულ სახელმწიფოსთან საომარი მოქმედებების განახლების საფრთხეს ქმნიდა, ასევე გენერალური მდივნის მოქმედებამ ხელი შეუწყო 1980 წლიდან მიმდინარე ირან-ერაყის ომის დასრულებას. ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, ნამიბია, კამბოჯა, მოზამბიკა, ანგოლა, ცენტრალური ამერიკა და კვიპროსი, ასახავენ იმ მრავალ განსხვავებულ ხერხს (მეთოდს), რომელსაც გენერალური მდივანი იყენებს მშვიდობის ხელშეწყობის პროცესში. 2000 წლის ოქტომბერში კოფი ანანმა მიიღო აქტიური მონაწილეობა ისრაელ-პალესტინელთა შორის ატეხილი სისხლიანი დაპირისპირების შეწყვეტაში.

**გაერო-ს პრევენციული დიპლომატია** – საქმიანობა, რომლის მიზანია დაეების წარმოშობის თავიდან აუცილება, მათი გადაწყვეტა კონფლიქტებში გადაზრდამდე ან კონფლიქტების გავრცელების შეზღუდვა მათი მიმდინარეობის პროცესში. გაეროს ეალია, გულდასმით აკვირდებოდეს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ საფრთხის გამოსავლენად, ამით კი უფლებას ანიჭებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს, განახორციელოს ან ხელი შეუწყოს პრევენციულ აქციას. გაერო-ს გენერალური მდივნის წარგზავნილები და სპეციალური წარმომადგენლები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მონაწილეობენ პრევენციულ დიპლომატიასა და შუამავლობაში კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შერიგების მიზნით. აღნიშნული საქმიანობა ხშირ შემთხვევაში რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება.

**გაერო-ს მშვიდობის დამცავი ოპერაციები** (Peacekeeping) – გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებულია ოპერაციები სახელმწიფოთაშორისი თუ სახელმწიფოების შიგნით მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების დაწყების ან უკვე მიღწეული დაზავების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მისაღწევად.

მშვიდობის დამცავი ოპერაციები არ არის განსაზღვრული გაეროს წესდებით, ხოლო პირველად ეს ტერმინი (Peacekeeping) მოიხსენიეს გაეროს გენერალური ასამბლეის 1963 წ. 18 თებერვლის რეზოლუციაში. ეს ოპერაცია განსხვავდება „მშვიდობის

ძალით შენარჩუნების ან აღდგენისაგან" (Peaceenforcment). მას დასაბამი მისცა გაერო-მ (1848 წ. ახლო აღმოსავლეთში). გაერო-ს დაზაეების სამეთვალყურეო ორგანიზაციის შექმნით, მ.დ.ო. სანქციონირება ხდება უშიშროების საბჭოს მიერ მიმღები მთავრობისა და საშინაო კონფლიქტში ჩაბმული მხარეების თანხმობით. ოპერაციებში შეიძლება მონაწილეობდნენ სამხედრო და პოლიციის პერსონალი სამოქალაქო პერსონალთან ერთად. ოპერაციებში შეიძლება ჩაბმულნი იყვნენ სამხედრო დამკვირვებელთა მისიები, მშვიდობის დამცავი ძალები ან ორივეს კომბინაცია. სამხედრო დამკვირვებელთა მისიები შედგება უიარაღო ოფიცრებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ თვალყურს ადევნებდნენ შეთანხმების შესრულებას ან ცეცხლის შეწყვეტას. მშვიდობის დამცავი ძალების ჯარისკაცებს აქვთ იარაღი, რომლის გამოყენებაც უმეტესად მხოლოდ თავდაცვის მიზნით შეუძლიათ.

სამხედრო პერსონალს გაეროს მშვიდობის დამცავ ოპერაციებში ნებაყოფლობით ქმნიან წევრი სახელმწიფოები და აფინანსებს საერთაშორისო თანამეგობრობა. მონაწილე სახელმწიფოები ანაზღაურებას იღებენ მშვიდობის დაცვის სპეციალური ბიუჯეტის სტანდარტული ნორმით.

1948 წლიდან მოყოლებული, 750000-ზე მეტმა სამხედრო, პოლიციისა და სამოქალაქო პერსონალმა დაახლოებით 110 სახელმწიფოდან მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ოპერაციებში; ამასთან, 1500-ზე მეტი მშვიდობის დამცველი დაიღუპა.

მშვიდობის დამცავ ოპერაციებს ნიშნავს უშიშროების საბჭო და წარმართავს გაეროს გენერალური მდივანი, ხშირად საგანგებო წარმომადგენლის დახმარებით ჯარის მეთაური ან მთავარი სამხედრო დამკვირვებელი, რომელიც მისიაზეა დამოკიდებული, პასუხისმგებელია სამხედრო საკითხებში.

გაეროს არ გააჩნია საკუთარი სამხედრო ძალა და წევრი-სახელმწიფოები ნებაყოფლობით გამოყოფენ ოპერაციის განსახორციელებლად საჭირო პერსონალს, აღჭურვილობასა და მატერიალურ უზრუნველყოფას. მშვიდობის დამცველები ატარებენ თავიანთი სახელმწიფოს უნიფორმას: მათი, როგორც მშვიდობის დამცველთა, ამოცნობა ხდება მხოლოდ გაეროს ცისფერი ჩაფხუტით ანუ ბერეტითა და ნიშნით. სამხედრო და სამოქალაქო პოლიციის პერსონალი მსახურობს გაეროს ოპერატიული კონტროლის ქვეშ, მაგრამ მათი წევრები რჩებიან საკუთარი ეროვნული ჯარების შემადგენლობაში. მათ უნდა

იმოქმედონ თაეიანთი მისიის საერთაშორისო ხასიათის შესაბამისად.

მშვიდობის დამცავი ოპერაციები სხვადასხვა ფორმით ხორციელდება და მუდმივ ცვლილებას განიცდის ცვალებადი ვითარების პირობებში. წლების განმავლობაში ოპერაციები შემდეგი ამოცანების შესრულებას ემსახურება:

– ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნება და ძალთა დაშორიშორება. მხარეთა შორის შესრულებულ შეთანხმებაზე დამყარებულ ოპერაციას, „შესვენების“ უზრუნველყოფით შეუძლიათ ხელი შეუწყონ მოლაპარაკებისათვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას;

– ოპერაციის პრევენციული განხორციელება. კონფლიქტის გაჩაღებამდე დაწყებულ ოპერაციას შეუძლია მშვიდობის ეფექტი და გამჭვირვალობის ის ხარისხი იქონიოს, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პროცესს.

– დავის ყოელისმომცველი გადაწყვეტა. ყოელისმომცველი სამშვიდობო შეთანხმებების საფუძველზე განხორციელებულ კომოლექსურ, მრავალგანზომილებიან ოპერაციებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ისეთი ამოცანების შესრულებას, როგორიცაა ადამიანის უფლებათა მონიტორინგი, არჩევნებთან დაკავშირებით დახმარების გაწევა, არჩევნებზე მეთვალყურეობა, პუმანიტარული დახმარების აღმოჩენა და ეკონომიკური რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობის კოორდინაცია;

– ჰუმანიტარული ოპერაციების დაცვა კონფლიქტის დროს. ბევრ კონფლიქტში სამოქალაქო, მშვიდობიანი მოსახლეობა აღმოჩნდა პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად. ასეთ ვითარებაში მშვიდობის დამცველებს ეთხოვათ მოსახლეობის დაცვა და ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაში ხელშეწყობა, რამაც მშვიდობის დამცველები არაერთხელ ჩააყენა რთულ პოლიტიკურ პოზიციაში და საფრთხე შეუქმნა მათ უსაფრთხოებას.

**გაერო-ს მშვიდობის იძულებით აღდგენის ოპერაციები** (Peace enforcment) – ხორციელდება გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეუძლია გამოიცნოს იძულებითი ომები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად. აღნიშნული ზომები მოიცავს როგორც ეკონომიკურ სანქციებს, (იხ. სანქციები) ისე საერთაშორისო სამხედრო მოქმედებას. როდესაც მშვიდობის იძულებით შენარჩუნების ან აღდგენის

სხვა საშუალებათა გამოყენების მარცხს განიცდის, გაეროს წესდების მეშვიდე თავის შესაბამისად, შესაძლებელია უფრო მკაცრი მოქმედების გამოყენება, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ. მაგ. უშიშროების საბჭომ ნება დართო წევრ-სახელმწიფოთა კოალიციებს კონფლიქტთან მიმართებით გამოეყენებინათ „ყველა აუცილებელი საშუალება“, მათ შორის სამხედრო, როგორც ეს მოხდა ქუვეითის სუვერენიტეტის აღდგენის მიზნით, მას შემდეგ, რაც იგი ერაყმა დაიპყრო (1991 წ.); ჰაიტიზე დემოკრატიულად არჩეული მთავრობის აღსადგენად (1994 წ.) და ალბანეთში ჰუმანიტარული ოპერაციების ხელშესაწყობად (1997 წ.).

ეს აქციები, მართალია, უშიშროების საბჭოს მიერ იყო სანქციონირებული, მაგრამ მთლიანად ექვემდებარებოდა მონაწილე სახელმწიფოთა კონტროლს, რითაც ისინი განსხვავდებიან გაერო-ს მშვიდობის დამცავი ოპერაციებისაგან, რომლებსაც უშიშროების საბჭო ნიშნავს და გენერალური მდივანი უწევს ხელმძღვანელობას.

**გაერო აქტიურად იყენებს სანქციებს** – სახელმწიფოს ან სახელმწიფოების (საერთაშორისო ორგანიზაციების) მიერ საერთაშორისო სამართლის დამრღვევი სახელმწიფოს თუ ქვეყნის შიგნით მებრძოლი ძალების მიმართ იძულებითი ზომების გამოყენებას, რათა აიძულოს, შეწყვიტონ მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაგ. გაერო-ს უშიშროების საბჭომ ეკონომიკურ სანქციებსა და ემბარგოს მიმართა, როგორც იძულების მეთოდს, როცა მშვიდობას საფრთხე დაემუქრა, ხოლო დიპლომატიურმა ძალისხმევამ მარცხი განიცადა. სანქციები იქნა შემოღებული სამხრეთ აფრიკის აპარტეიდული რეჟიმის წინააღმდეგ 1977 წ., შედეგად კი 1994 წ. აღნიშნული რეჟიმი დაემხო. ბოლო ხანებში სანქციები დაეკისრა ერაყს, ყოფილ იუგოსლავიას, ლიბიას, ჰაიტის, ლიბერიას, რუანდას, სომალს, ოპოზიციის ძალებს ანგოლაში, სუდანსა და სიერა-ლეონეს. ეკონომიკური სანქციები სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, ეს იქნება ამა თუ იმ პროდუქციაზე ვაჭრობის აკრძალვა თუ სრული ემბარგო.

იძულებითი სანქციების გამოყენება იწვევს ზეწოლას სახელმწიფოსა თუ რაიმე წარმოქმნაზე, რათა ამ უკანასკნელმა უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი პირობები შეასრულოს შეიარაღებული ძალის გამოყენების გარეშე. გაეროს უნივერსალური ხასიათი მას ხდის განსაკუთრებით შესაფერის ორგანოდ ასეთი ზომების გამოყენებისა და მათზე

მეთვალყურეობის გაწევისათვის. ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ აგრეთვე მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებზე სანქციების შესაძლო არასასურველი შედეგების ჰუმანიტარული და სანქციების თანამდევი შედეგების ეკონომიკურ ასპექტებს. როდესაც შეიარაღებული ძალის გამოუყენებლობას სათანადო შედეგი არ მოჰყვება, მიმართავენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას. მაგ. გაეროს დავალებით ერაყის მიმართ, ქუვეითის ოკუპაციის გამო (1990 წ.) არა შეიარაღებულ ძალას გაეროს დავალებით აშშ-ს მეთაურობით სახელმწიფოთა კოალიციამ იერიში მიიტანა ერაყის ჯარზე (1991 წ.) და განდევნა ქუვეითიდან. ასევე გაეროს დავალებით ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს საჰაერო და საზღვაო ძალები იუგოსლავიის მიმართ ეკონომიკური სანქციების (ემბარგოს) გასატარებლად, სერბი სეპარატისტების მიერ ბოსნიაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეში დარღვევისათვის მათი პოზიციების დაბომბვისათვის (1992-1996), გამოიყენება ასევე „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ (იხ. ქვემოთ).

**გაერო-ს ოპერაციები მშვიდობის განმტკიცება-მშენებლობის მიზნით** (Peacebuilding) – დღეისათვის მშვიდობა და უსაფრთხოება არ იზომება მხოლოდ კონფლიქტის არარსებობით. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში გაერო-ს სისტემა ხშირად მოწოდებულია განახორციელოს მიღწეული მშვიდობის განმტკიცება, რომელიც გულისხმობს იმ სტრუქტურებისათვის მხარდაჭერას, რომლებმაც უნდა გააძლიეროს და განამტკიცოს მშვიდობა, სამხედრო უსაფრთხოება, მართლწესრიგი, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიულ არჩევნებს, ადგილობრივ მმართველობას, ჯანდაცვას, განათლებასა და ა.შ., მაგ. გაეროს საქმიანობაში სიახლე იყო ის, რომ 1988 წ. მან მეთვალყურეობა გაუწია მთელ საარჩევნო პროცესს, რისი შედეგიც იყო ნამიბიის (ყოფილი სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის) მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. იმ დროიდან მოყოლებული, მთავრობების თხოვნით, გაერო მეთვალყურეობდა არჩევნებს ნიკარაგუაში (1990), ჰაიტზე (1990), ანგოლაში (1992), კამბოჯაში (1993), სალვადორში (1994), სამხრეთ აფრიკაში (1994), მოზამბიკაში (1995), აღმოსავლეთ სლოვენიაში (ხორვატია 1997), ლიბერიაში (1997), ბოსნია-ჰერცეგოვინაში (1997 წ.), ისევე როგორც დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე ერითრეაში (1993).

აღნიშნულ პროცესში გაეროს მონაწილეობის ხარისხი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მთავრობებისაგან მიღებული თხოვნები, მეომარ მხარეებს შორის საზავო შეთანხმებები, თუ უშიშროების საბჭოსაგან მიღებული დავალებები. გაეროს როლი გულისხმობს როგორც ტექნიკური დახმარების გაწევას, ისე საარჩევნო პროცესის რეალურ წარმართვას.

გაეროს დამკვირვებლები ჩვეულებრივ თვალყურს ადევნებენ საარჩევნო კამპანიას, ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და ხმის მიცემის ორგანიზებას. არჩევნების დღეს ისინი იგზავნებიან საარჩევნო უბნებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, აკვირდებიან ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცესს და საბოლოო განცხადებას აკეთებენ არჩევნების ნამდვილობის შესახებ.

გაეროს მთავარ ინსტრუმენტს მშვიდობის განმტკიცებისათვის შეადგენს დახმარების გაწევა-განვითარების მიზანი. გაეროს ბევრი ორგანიზაცია, მათ შორის, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, მსოფლიო სასურსათო პროგრამა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახური საქმიანობას ახორციელებენ აღდგენით სტადიაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ლტოლვილთა და ადგილნაცვალი პირებისათვის შესაძლებლობების მიცემისა და სახელმწიფო და ადგილობრივი ინსტიტუტებისადმი ნდობის აღდგენისათვის. გაეროს შეუძლია ხელი შეუწყოს ლტოლვილთა დაბრუნებას, ტერიტორიის განნაღმვას, ინფრასტრუქტურის აღდგენას, ეკონომიკურ გაჯანსაღებას, საზოგადოებრივი ინსტიტუტების გაძლიერებას, მეთვალყურეობა გაუწიოს არჩევნებს, ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებას. ამგვარად, „მშვიდობის განმტკიცება-მშენებლობა“ ომის განმეორების თავიდან აცილების მტკიცე გარანტია შეიძლება გახდეს.

ა) **ეუთოს** მშვიდობის დაცვის ზომები მხოლოდ არაიძულებით ხასიათს ატარებენ და კონფლიქტში ჩაბმული მხარეების თანხმობით ხორციელდება. მხარეებად ჩაითვლებიან მოდავე სახელმწიფოები, სახელმწიფოებში არსებული დაპირისპირებული შეიარაღებული ფორმირებები. მშვიდობის დაცვის ოპერაციის ძირითადი მიზანია კონტროლი გაუწიოს დაზავებულ მხარეთა შეთანხმებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ან დახმარების გაწევა ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, მეთვალყურეობის გაწევა ჯარების გამოყვანის პროცესისათვის, კანონიერებისა და წესრიგის დაცვა

კონფლიქტის ზონაში და ა.შ. ყველა ეს ღონისძიება ხორციელდება გაერო-ს წესდების შესაბამისად და უშიშროების საბჭოსთან მჭიდრო კონტაქტში. თხოვნა მშვიდობის დაცვის ოპერაციის შესახებ გაიგზავნება მოქმედი თავმჯდომარის მეშვეობით უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტში. საბჭო ან თვით კომიტეტი კონსენსუსით იღებს გადაწყვეტილებას ოპერაციის დაწყების შესახებ. ამგვარად საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია თუ ერთერთი მოდავე სახელმწიფო წინააღმდეგია და უარს ამბობს თანამშრომლობაზე. მისიების და ჯარების გაგზავნა შეიძლება მოხდეს, თუ მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და არსებობს უსაფრთხოების რეალური გარანტიები. მშვიდობის დაცვის ჯარების პირადი შემადგენლობის საჭიროება, პრაქტიკული საქმიანობის პირობები და სხვ. განისაზღვრება კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრის მიერ და მტკიცდება უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტის მიერ. დაისვა საკითხი ნატოს ჯარების გამოყენების შესახებ, რაც დადებითად გადაწყდა. ასეთია ძირითადად დაეების მშვიდობიანი მოწესრიგების, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი რეგულირების პროცედურები ევროთათბირის ფარგლებში.

აფხაზეთში შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით (რუსეთიდან შემოჭრილი დაქირაებული ბანდების მონაწილეობით), საქართველოს რესპუბლიკამ მიმართა უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტს თხოვნით, ჩარეულიყო და გამოეგზავნა სათანადო მისიები ფაქტების დადგენის მიზნით (1992 წლის ოქტომბერი), რასაც სათანადო რეაქცია მოჰყვა – საქართველოში ჩამოვიდა ევროთათბირის მისია, რომელიც პერიოდულად ამოწმებს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს და ამხელს სეპარატისტთა ეთნიკური წმენდის პოლიტიკას.

**ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები** – წევრი სახელმწიფოების მიერ შექმნილი კოლექტიური თავდაცვის სტრუქტურები (იხ. ნატო). ძირითადად მიმართულია შეიარაღებული ძალები ევროპაში და შეიარაღებული ძალები ატლანტიკაში. ევროპაში ნატოს სტრატეგიულ სარდლობას სათავეში უდგას უმაღლესი მთავარსარდალი. მას ემორჩილება ჩრდილოეთ ევროპის ცენტრალური და სამხრეთ ევროპის (იტალია, თურქეთი, ხმელთაშუა ზღვის, მარმარილოს ზღვის და შავი ზღვის სამხრეთი ნაწილის აკვატორია) საჯარაუდო სამი მთავარი სომარი მოქმედების სფეროს უმაღლესი სარდლობა.

ნბშძ ორ კატეგორიად იყოფა: ნატოს უშუალო განკარგულებაში მყოფი ჯარები და ის ნაწილები, რომლებიც წევრ-სახელმწიფოებმა წინასწარ გამოყვეს საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის საჭიროებისათვის, მაგრამ მშვიდობიან პერიოდში ტოვებენ მათ თავის განკარგულებაში.

მშვიდობიან პერიოდში წევრ-ქვეყნების შეიარაღებული ძალები იმყოფებიან ეროვნული ორგანოების ხელმძღვანელობის ქვეშ, ხოლო ნატოს განკარგულებაში მყოფი კონტინგენტები გაერთიანებული არიან საშტაბო სტრუქტურაში; რამდენიმე მრავალეროვნული ნაწილი და შენაერთი (ფარავს ჰმელეთის არეს) შეადგენს ე.წ. **სწრაფი რეაგირების კორპუსს,** რომელიც ექვემდებარება ევროპაში ნატოს ძალების უმაღლეს სარდლობას და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადასროლილ იქნეს რეგიონის ნებისმიერ წერტილში. **სამხედრო საზღვაო ფლოტის დაუყოვნებლივი რეაგირების ძალები** შედგებიან მუდმივმოქმედი შენაერთებისაგან, რომლებიც დისლოცირებული არიან ატლანტიკის ოკეანეში, სრუტე ლა-მანშსა და ჰმელთაშუა ზღვის არეში. ნატოს ფარგლებში მოქმედებს აგრეთვე ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის **მობილური ჯგუფი,** მოიცავს საჰმელეთო და საჰაერო შეიარაღებულ ძალებს, რომელთა სწრაფი გადასროლა შეიძლება ნებისმიერ არეში და მოიაზრება დაუყოვნებელი რეაგირების სტრუქტურის კომპონენტად.

ნბშძ-ის უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა ტრადიციულად ამერიკელ გენერალს უჭირავს (1992-1993 წწ. ეს პოსტი ამერიკელ გენერალს ჯ. შალიკაშვილს ეკავა). იგი ინიშნება სამი წლით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს. მთავარსარდალს ფართო უფლებები გააჩნია, მას აქვს უფლება უშუალოდ დაუკავშირდეს წევრ-ქვეყნების მთავრობებს და გენერალურ შტაბს. მშვიდობიან პერიოდში უმაღლესი მთავარსარდალი პასუხს აგებს თავის ზონაში თავდაცვის გეგმების შემუშავებაზე, განაგებს მის განკარგულებაში მყოფი ჯარების მომზადების, ორგანიზებისა და მომარაგების საკითხებს.

აღსანიშნავია აგრეთვე ნატოს **საჰაერო წინასწარი შეტყობინების ჯგუფი** ომის პერიოდში იგი პასუხს აგებს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერაციების ორგანიზებასა და განხორციელებაზე. უფლებამოსილია

გამოიყენოს წევრ-ქვეყნების ადამიანთა და მატერიალური რესურსები.

უმაღლეს მთავარსარდალს ჰყავს ორი მოადგილე – ინგლისელი და გერმანელი გენერლები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი, ემორჩილება უმაღლეს მთავარსარდალს.

უმაღლესი მთავარსარდლობა ატლანტიკაში მოიცავს ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილს და მასთან დაკავშირებულ ზღვებს, აგრეთვე აკვატორიას, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტსა და ევროპისა და აფრიკის სანაპიროებს შორის მდებარეობს. უმაღლესი მთავარსარდალი ამერიკელი გენერალია, მისი შტაბი ქ. ნორდფოლკშია (აშშ) განლაგებული.

**ბოსნიის მოდელი შეიარაღებულ კონფლიქტების მოწესრიგებისა** – გაერო-ს, ეუთო-ს და ნატო-ს ერთობლივი ღონისძიებები ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ალმოცენებულ სახელმწიფოებს შორის და მათ შიგნით შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტისა და კონფლიქტების ფართომასშტაბიანი მოგვარება იძულების გამოყენებით (იხ. ნატო-ს მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციები, დეიტონის შეთანხმება). მთავარი პრინციპი ამ მოდელისა მდგომარეობს შემდეგში: როდესაც სეპარატისტები (ამ შემთხვევაში ბოსნიაში მცხოვრები სერბები), სხვა სახელმწიფოს დახმარებით (ამ შემთხვევაში ყოფილი იუგოსლავია), იარაღით ხელში ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ სახელმწიფოს (ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატიის რესპუბლიკა), ხოლო გაეროს და სხვა **საერთაშორისო ორგანიზაციების** მცდელობა, მშვიდობიანი საშუალებით მოაგვარონ კონფლიქტი, **აგრესიული სეპარატიზმის** და სხვა სახელმწიფოს მხრიდან თავის საშინაო საქმეებში ჩარევას აწყდება, გაეროს ან მისი დავალებით **რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციას** (ამ შემთხვევაში ნატო-ს) ეძლევა უფლება გამოიყენოს როგორც არაშეიარაღებული, ასევე შეიარაღებული ძალა (სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო) რათა ცხოვრებაში გაატაროს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და აიძულოს მხარეები დათანხმდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე (იხ. დეიტონის შეთანხმება). სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ აგრესიულ სეპარატიზმთან მხოლოდ რეკომენდაციების დონეზე ბრძოლა ხშირად ხელს უწყობს ამ რეჟიმის კონსოლიდაციას. ამ კონტექსტში ბ.მ. კარგი

მაგალითია კონფლიქტების მეტნაკლებად ეფექტური მოგვარებისა.

**პეშანიტარული ინტერვენცია კოსოვოში (იუგოსლავია) – ნატო-ს** შეიარაღებული ძალების გამოყენება ყოფილი იუგოსლავიის (სერბიაში) ერთ-ერთ პროვინციაში – კოსოვოში.

ძირითადად ალბანელებით დასახლებული კოსოვო (ისტორიულად ეს სერბების ტერიტორია იყო), რომელშიც ისინი არც ისე დიდი ხნის წინ შევიდნენ მეზობელი ალბანეთიდან, მრავალი წლის განმავლობაში ავტონომიით სარგებლობდა. 1989 წელს ეს სტატუსი გაუქმდა, რამაც ალბანელების მხრიდან მედგარი წინააღმდეგობა გამოიწვია, რასაც შეიარაღებული აჯანყება მოყვა; ამის საპასუხოდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ უფრო მკაცრი და სისხლისმღვრელი ზომები გამოიყენა, გააძლიერა **ეთნიკური წმენდა** (რომელიც ავტონომიის გაუქმებით დაიწყო) ამან **ლტოლვილთა** ასეულ ათასობით ნაკადი გამოიწვია, რამაც მეზობელ სახელმწიფოებში ეკონომიკური სიძნელეები შექმნა. **გაერო-ს, ეუთო-ს** და **ნატო-ს** ყველა მშვიდობიანი ნაბიჯი შედეგს არ იძლეოდა. საკითხის სწრაფი მოგვარების მიზნით ნატო-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა დაეწყო კოსოვოში განლაგებული ცენტრალური ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ტექნიკისა და ცოცხალი ძალების დაბომბვა, რათა ეიძულებინათ ისინი დაეტოვებინათ რეგიონი.

ამ საშიშროებამ აიძულა იუგოსლავიის პრეზიდენტი მილოშევიჩი 1998 წლის შემოდგომით დათანხმებულიყო კოსოვოში ეუთო-ს მეთვალყურეთა მისიის, სხვა მაკონტროლებელი სტრუქტურების დაბინავებაზე. მაგრამ ვერც ამან შეაჩერა სისხლისმღვრელი წინააღმდეგობა, რომელშიც სამოქალაქო მოსახლეობაც იქცეოდა მსხვერპლად.

შექმნილი საკონტაქტო ჯგუფის (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი) წადილი, მიეღწია სასურველი შედეგისათვის რამბუიეში (საფრანგეთი, პარიზის შემოგარენი) სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით (1999 წლის 6 თებერვალი), ნაყოფი ვერ გამოიღო – იუგოსლავიამ უარი თქვა ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის, რომელიც კოსოვოს ავტონომიის აღდგენას ითვალისწინებდა, ხოლო მომავალში ალბანელებს ეძლეოდათ უფლება რეფერენდუმით გადაეწყვიტათ თავისი სტატუსი, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებით შეიძლება დასრულებულიყო. მოლაპარაკების მსვლელობაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააქტიურა

ეთნიკური წმენდა, რამაც ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია, მიზანი იყო იძულებით შეცვლილიყო კოსოვოს დემოგრაფიული სტრუქტურა, რათა მომავალი რეფერენდუმი ბელგრადისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ეუთოს მისია და სხვანი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ კოსოვო.

1998 წლის მარტში დაიწყო ჯერ კოსოვოს, ხოლო მოგვიანებით მთელი სერბეთის ტერიტორიაზე განლაგებული არა მარტო სამხედრო ობიექტების, არამედ ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის (ხიდების, ელექტროსადგურების და სხვ). დაბომბვა. სამი თვის შემდეგ ოპერაცია შეწყდა, რადგანაც იუგოსლავია დათანხმდა კოსოვოში გაერო-ს მშვიდობის დამცველი ძალების დისლოცირებაზე და ეუთო-ს მისიის დაბრუნებაზე. დღეს კოსოვო დაყოფილია ტერიტორიებად, რომლებსაც საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და რუსეთის „ცისფერჩაფხუტიანები" აკონტროლებენ, რეგიონის პოლიტიკური სტრუქტურების შექმნამდე ასევე ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ სხვა ქვეყნები, მათ შორის ოცეული საქართველოდან. პირველ რიგში უნდა განიარაღებულიყო კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია და გახსნილიყო გზა ყველა ლტოლვილის დასაბრუნებლად. ნატო-ს ოპერაცია კოსოვოში ჩატარდა გაერო-ს წესდების დარღვევით – არცერთ რეგიონალურ ორგანიზაციას არ აქვს უფლება გამოიყენოს ძალა გაერო-ს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე.

ნატო-ს მესვეურები იმართლებენ თავს „ჰუმანიტარული კატასტროფით" გამოწვეული აუცილებლობით და გაერო-ს მოუქნელობით ამ სიტუაციებში. კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის სამართლებრივი და მორალური ასპექტების ურთიერთშეუსაბამობამ (ნატო-ს მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციისაგან განსხვავებით) პოლიტიკოსთა და საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა წინაშე მწვავე საკითხი დასვა. რამდენად დასაშვებია ნებისმიერი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაერო-ს ნებართვის გარეშე ადამიანის უფლებათა კატასტროფული დარღვევისათვის სამხედრო ძალის გამოყენება სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.

ქ. ვაშინგტონში ნატო-ს სამიტზე (1999 წლის აპრილში) დაფიქსირდა ნატო-ს უფლება, გამოყოს თავისი შეიარაღებული ძალები არა მარტო წესდებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არეში, არამედ ევროპის სხვა არეშიც.

ექსპერტთა აზრით, თუ ეს აქცია ისევე გაერო-ს უშიშროების საბჭოს დაუალების გარეშე ჩატარდება, მანამ გაერო-ს წესდება არ შეიცვლება, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევად ჩაითვლება, რა მორალური მოტივებითაც არ უნდა იყოს მოტივირებული ეს ოპერაცია.

## 6. ომის წარმოების საშუალებები და მეთოდები

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომის წარმოების ისეთ საშუალებათა გამოყენებას, რომლებიც ზედმეტ ტანჯვას მოუტანენ მტრის ცოცხალ ძალას. გაუმართლებელ ზიანს მიაყენებენ მის მშვიდობიან მოსახლეობასა და მატერიალურ ძალას. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს აიკრძალა ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადამიანის სხეულთან შეხებისას ფეთქდება, წვავს ან სხვა სახით აყენებს მას ზედმეტ ტანჯვას. 1925 წლის ომი კრძალავს ყველა სახის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენებას. 1972 წლის კონვენცია კრძალავს მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტების ან ტოქსინების შექმნას, დაგროვებას, შეძენას, შენახვას, ითვალისწინებს და მოითხოვს მათი სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების საშუალებებზე წარმოების დანადგარებზე და იარაღის შექმნაზე და შეძენაზე უარის თქმას. 1980 წლის კონვენცია კრძალავს ან ზღუდავს ისეთი ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებას, რომელიც ზომა გადასულ ზიანს აყენებს ან ატარებს კონკრეტული მიზნის განადგურების ხასიათი. თანდართული სამი ოქმი აკონკრეტებს, თუ რა სახისაა კონვენციაში ნახსენები იარაღი:

ისეთი ჭურვი, რომლის ნარჩენების პოვნა ადამიანის სხეულში შეუძლებელია, რადგანაც რენტგენის სხივები მათ ვერ „ხედავს“ (ხე, შუშა, პლასტმასა);

აიკრძალება ნაღმის, ხაფანგი-ნაღმის და სხვა მსგავსი იარაღის გამოყენება სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, მათი შენიღბვა საბავშვო სათამაშოების, სასურსათო პროდუქტების, სამედიცინო მოწყობილობის, ხელოვნების ნაწარმოების მსგავს ფორმებში;

კანონგარეშე ცხადდება ცეცხლის გამწვევი იარაღის გამოყენება სამოქალაქო ობიექტებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, შეზღუდულია მისი გამოყენება სამხედრო ობიექტების მიმართაც.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აყენებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას – გარემოს სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების საშუალებას, ამიტომაა, რომ 1977 წელს დაიდო კონვენცია გარემოს ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული მიზნით აკრძალვის შესახებ. ამ მიზნით უნდა აიკრძალოს ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც განზრახ შეცვლის დედამიწის დინამიკას, შემადგენლობას ან სტრუქტურას, მის ბიოსფეროს, ლითოსფეროს, ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს, კოსმოსური სივრცის ჩათვლით. ამჟამად პროგრესული კაცობრიობა იბრძვის ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვისათვის.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მოითხოვს მეომარი მხარეებისაგან, ჰუმანურად მოეპყრან მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას მაშინაც, როდესაც ის მის ხელთაა (მაგ. აკრძალულია ტყვეთა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება), კრძალავს დაუცველი ქალაქების, სოფლების, ნაგებობების დაბომბვას და მათზე იერიშის მიტანას და ა.შ.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს მსტოვარსა (ჯაშუშს) და სამხედრო მ'სვერავს. პირველი ფარულად შედის მტრის დაკავებულ ტერიტორიაზე და ასევე ფარულად, გადაცმული აგროვებს სათანადო ცნობებს. დაჭერისას იგი ისჯება მკაცრად, მაგრამ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ მშვიდობით დაბრუნებული მსტოვარი შემდგომ მოხვდება ტყვედ, იგი არ აგებს პასუხს თავისი ძველი მოქმედებისათვის. მზვერავი, პირიქით, შემოდის სამხედრო მოქმედების არეში სამხედრო ფორმაში. მისი დაჭერის შემთხვევაში, მასზე უნდა გავრცელდეს სამხედრო ტყვეობის რეჟიმი. კატეგორიულად აკრძალულია მტრის მიერ მეორე მხარესთან მოლაპარაკებისათვის გამოყოფილი პირის – პარლამენტიორის მოკვლა.[244]

*ა) ომის გამოცხადება*

1949 წლის ჟენევის კონვენციების მიღებამდე, კატეგორიულად იკრძალებოდა ომის დაწყება მისი წინასწარი გამოცხადების

---

[244] ასეთი ქმედობის ერთ-ერთ შემაძრწუნებელ შემთხვევას წარმოადგენს ბუდაპეშტის რაიონში 1944 წლის 23 დეკემბერს საბჭოთა პარლამენტიორების ვერაგული მკვლელობა ჰიტლერელთა მიერ.

გარეშე,[245] რომელსაც სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ მოტივირებული განცხადების ან ულტიმატუმის სახე უნდა ჰქონოდა. აგრესორის მიერ ომის გამოუცხადებლად დაწყება ამძიმებს მის დანაშაულს. სახელმწიფოს მიერ ომის გამოცხადება დაიშვება მხოლოდ როგორც აგრესიის საპასუხო აქტი. თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალში ომის გამოცხადებიდან აქცენტი რეალური სიტუაციის შეფასებაზე გადავიდა. დღეის მდგომარებოთ, იმისათვის, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ჰუმანიტარული სამართლის რეგულირებას დაექვემდებაროს, აღარ არის საჭირო ორივე, ან ერთ-ერთი მხარის მიერ ომის გამოცხადება, არამედ საკმარისია შესაბამისი ტიპის (საერთაშორისო/არასაერთაშორისო) კონფლიქტისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა.

ომის გამოცხადებას (დაწყებას) იურიდიული შედეგი მოყვება – წყდება დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა, წყვეტს არსებობას თითქმის ყველა სახის საერთაშორისო ხელშეკრულებანი, ხდება მეომარი მხარის სახელმწიფო ქონების კონფისკაცია. იმ ფიზიკურ პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა, რომელნიც მეომარი მხარის ტერიტორიაზე დარჩნენ, ევალება იმ ნეიტრალურ ქვეყანას, რომელსაც აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ორივე მხარესთან. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, გაწყდა პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის, ხოლო ზემოაღნიშნული ფუნქციით აღიჭურვა შვეიცარიის საელჩო და საკონსულო საქართველოსა და რფ-ში.

### *ბ) სამხედრო მოქმედების თეატრი*

სამხედრო მოქმედებანი მხარეთა შორის შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ მათი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტერიტორიის ყვარგლებში. ბუნებრივია, რომ იმ სახელმწიფოების ტერიტორია, რომლებიც ომში არ მონაწილეობენ, საერთაშორისო მდინარეები, არხები და სრუტეები (არასანაპირო სახელმწიფოებისათვის), ნეიტრალური ზონები ხელშეუხებელია მეომარი სახელმწიფოებისათვის. კატეგორიულად აკრძალულია სამხედრო მოქმედებების წარმოება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

---

[245] იხ. ჰააგის 1907 წ. კონვენცია ომის დაწყების შესახებ.

### *გ) მებრძოლი (კომბატანტი) და არამებრძოლი (არაკომბატანტი) პირები*

მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალები შედგება რეგულარული და არარეგულარული ნაწილებისაგან. რეგულარული შეიარაღებული ძალები შედგება სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისაგან, არარეგულარულს მიეკუთვნება მოხალისეებისა და მოლაშქრეთა ნაწილები.

შეიარაღებული ძალები იყოფა კომბატანტებად და არაკომბატანტებად. პირველნი ომში სამხედრო მოქმედებას აწარმოებენ, ე.ი. უშუალოდ იბრძვიან მტრის გასანადგურებლად. მეორენი – არაკომბატანტები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიყვებიან თავის ჯარს, უშუალოდ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას არ იღებენ (ჟურნალისტები, სამღვდელო პირები, ინტენდანტები, სამხედრო იურიდიული აპარატის მუშაკები). კომბატანტებზე და არაკომბატანტებზე სრული მოცულობით ვრცელდება სამხედრო ტყვეობის რეჟიმი. ამგვარად არაკომბატანტის სტატუსის მქონე პირებიც დაცულნი არიან საერთაშორისო სამართლის მიერ.

კომბატანტებს მიეკუთვნება აგრეთვე იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელიც მტრის მოახლოების მოლოდინში, ან უკვე შემოსულ მტერთან საბრძოლველად ნებაყოფლობით მიმართავენ იარაღს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს პარტიზანების კომბატანტის სტატუსს. კომბატანტებს მიეკუთვნებიან აგრეთვე მოხალისეები, რომლებიც შემოდიან სახელმწიფოში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად და ამ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ირიცხებიან.

ამასთან დაკავშირებით, ისმება საკითხი: რამდენად სამართლიანია მოხალისეთა მონაწილეობა არასაერთაშორისო კონფლიქტებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეამბოხეთა არაკანონიერ შეიარაღებულ ძალებს უერთდებიან სხვა ქვეყნებიდან გადმოხვეწილი პირები. მოხალისეთა კანონიერი ხასიათი შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ერთ საფუძველს – როგორც საერთაშორისო კონფლიქტის დროს, ასევე არასაერთაშორისო კონფლიქტში ჩაბმულ მხარეთა დასახმარებლად მოხალისეების ჩასვლა დასაშვებია მხოლოდ ერთი პირობის დაცვით – მოხალისეზე გავრცელდება კომბატანტის რეჟიმი, თუ იგი იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ, როგორც სამართლიანი

ბრძოლა – კოლონიური, ფაშისტური ან რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. ბრძოლა დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით, არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ ქმედობად. ამდენად, მოხალისეთა მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში აკისრებს მათ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ისევე, როგორც თვით სეპარატისტულ თუ სხვა მიზეზით ამბოხებული ძალების წარმომადგენლებს.

სხვა საკითხია, რამდენად მკაცრად მოეკიდება მეამბოხეებს მთავრობა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვიან ისინი. აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების პირველი დღიდან საქართველოს მთავრობა ავრცელებდა ომის კანონებს ჯეშმარიტ მოხალისეებზე, თუ კი მტკიცდებოდა, რომ მის ხელთ ჩავარდნილი პირი მართლაც უანგაროდ იბრძოდა სეპარატისტთა მხარეზე. ისიც აღსანიშნავია, რომ მოხალისეებისა და დაქირავებულ პირთა განსხვავება ბრძოლის ველზე შეუძლებელია, რადგანაც ძნელი დასადგენია, ანგარებით თუ უანგაროდ იბრძოდა ტყვედ ჩავარდნილი შეიარაღებული პირი. „მოხალისეებად“ ვერ ჩაითვლებიან სხვა ქვეყანაში მომზადებული შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც იგზავნებიან საშინაო კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ ტერორისტული საქმიანობა აფხაზეთში. ამ ორგანიზაციის მოწოდებით და უშუალო ხელმძღვანელობით გადამთიელთა შეიარაღებული ფორმირებები შემოიჭრნენ აფხაზეთში და არა მარტო დაუპირისპირდნენ ქართულ ჯარებს, არამედ აფხაზთა ფორმირებებთან ერთად ცეცხლითა და მახვილით შეესივნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მასობრივ ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი ქართული მოსახლეობა განდევნილ იქნა აფხაზეთიდან და გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მრავალათასიან მასად იქცა. როგორც აღვნიშნეთ ეს ქმედებანი ყველაზე მძიმე საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება და ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის აქტების და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მიხედვით ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულად ითვლება.

*დ) დაქირავებული პირები*

ამ კატეგორიის მეომართა სტატუსის განსაზღვრის ცდები ფეხს იკიდებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 1950-1960-იან წლებიდან, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ახალ საფეხურს მიაღწია – დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. ამას ყოფილმა მეტროპოლიებმა, შიგნით ხელისუფლებისათვის მებრძოლმა ჯგუფებმა დაუპირისპირეს დაქირავებულ პირთა შეიარაღებული ფორმირებები. გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ არაერთხელ მიმართა ყველა სახელმწიფოს არ დაუშვან თავის ტერიტორიაზე დაქირაველებულ პირთა დაბანაკება, მომზადება და ეკიპირება; გამოცხადდა, რომ დაქირავებულ პირთა გამოყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ხოლო თვით ეს პირები დამნაშავეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან (1968 წ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ გაერო-ს „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ" (1970 წ.) სპეციალურად მიუთითებს, რომ ყოველი სახელმწიფო მოვალეა, თავი შეიკავოს არარეგულარული ძალებისა, თუ შეიარაღებული ბანდების, მათ შორის დაქირავებულ პირთა, ორგანიზებისა და წახალისებისაგან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრის მიზნით.

1973 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია – „კოლონიალიზმისა და უცხოეთის ბატონობის და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ კომბატანთა სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი პრინციპები", რომლის ძალით ამ მებრძოლთა წინააღმდეგ დაქირავებულ პირთა გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულად არის აღიარებული. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აგრესიის განსაზღვრის შესახებ" (1974 წ.) აგრესიის ერთ-ერთ ნაირსახეობად მიიჩნევს სხვა სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით შეიარაღებული ბანდების ჯგუფების, არარეგულარული ძალებისა და დაქირავებულ პირთა შეგზავნა სხვა სახელმწიფოში", რომლის წინააღმდეგ ისინი აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას. მსგავსი დოკუმენტები მიღებულია აფრიკის ორგანიზაციის მიერ 1971 და 1972 წლებში.

1977 წლის 8 იანვარს ჟენევაში ხელმოწერილ იქნა „ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის დამატებითი №1 ოქმი", რომელიც ეხება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების

მსხვერპლთა დაცვას. იგი საგანგებოდ განსაზღვრავს დაქირავებულ პირთა სტატუსს და მიჯნავს მას კომბატანტის სტატუსისაგან.

47-ე მუხლის ძალით:

1. დაქირავებულ მეომრებს არა აქვთ უფლება, ფლობდნენ კომბატანტის ან სამხედრო ტყვის სტატუსს;

2. დაქირავებული მეომარი არის ნებისმიერი პირი, რომელიც ა) სპეციალურად არის დაშვებული ადგილზე ან საზღვარგარეთ, რათა იბრძოლოს შეიარაღებულ კონფლიქტში; ბ) უშუალოდ მონაწილეობს შეიარაღებულ მოქმედებებში; გ) მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში და ძირითადად ხელმძღვანელობს ერთადერთი სურვილით – მიიღოს პირადი მოგება. მას კონფლიქტში მყოფი მხარე უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით დაპირდა მატერიალურ ანაზღაურებას, რომელიც ბევრად აღემატება ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იმავე რანგის და ფუნქციების კომბატანტისათვის განკუთვნილ ანაზღაურებას; დ) არ არის კონფლიქტში მყოფი მხარის არც მოქალაქე, არც პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს კონფლიქტში მყოფი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე; ე) არ შედის კონფლიქტში მყოფი მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში; ვ) არ არის გაგზავნილი კონფლიქტში არამონაწილე ქვეყნის მიერ ოფიციალური ვალდებულებების აღსასრულებლად მისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი სახით.

მეორე ოქმი, რომელიც „არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვას“ ითვალისწინებს, ავტომატურად ვრცელდება დაქირავებულ პირებზე, თუმცა ამას პირდაპირ არ ეხება, სამაგიეროდ აღნიშნულია, რომ „მოცემული ოქმი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ეხება სახელმწიფოს სუვერენიტეტს ან მთავრობის ვალდებულებას, ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას ან აღადგინოს წესრიგი სახელმწიფოში, დაიცვას სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და ეროვნული ერთიანობა“ (მუხლი 3).

1989 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია დაქირავებულთა შეკრების, გამოყენების, დაფინანსებისა და სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის ნორმების ძალით, აფხაზეთში კონფლიქტის დროს აფხაზთა მიერ

დაქირავებული რუსეთის თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეები (ჩეჩნები, ადიღელები, ყაზაკები, სირიელები და სხვ.) არ უნდა განიხილებოდნენ როგორც კომბატანტები, არამედ როგორც ბანდიტთა ფორმირებები. იგივე ითქმის ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ მიერ შეგზავნილ „მოხალისეებზე“, რომლებიც ძირითადად დაქირავებული პირები იყვნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოს რესპუბლიკა ეპყრობოდა ტყვეებს ჰუმანურად, ავრცელებდა მათზე საერთაშორისო სამართლის ნორმებს. რაც შეეხება გაგრის გენოციდის ტრაგედიის ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს, ისინი წარსდგებიან სასამართლოს წინაშე კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის.

აქვე დგება რუსეთის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი მის ტერიტორიაზე ბანდების, არარეგულარული ჯარებისა და დაქირავებულ პირთა მომზადებისა და საქართველოში (აფხაზეთში) შეგზავნის გამო. რუსეთის ფედერაციული ხელისუფლება ვალდებული იყო არ დაეშვა ასეთი ბანდების შექმნა და, მით უმეტეს, საქართველოში გადასვლა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებთან საბრძოლველად, ცეცხლითა და მახვილით მშვიდობიანი მოსახლეობის ასაწიოკებლად.

### *ე) ოკუპირების სამართლებრივი რეჟიმი*

სამხედრო მოქმედების დროს მტრის ტერიტორიის დაკავება (ოკუპაცია) დროებით ხასიათს უნდა ატარებდეს, რადგანაც მასზე სუვერენული უფლებების მოპოვება მხოლოდ საზავო ხელშეკრულების ძალით შეიძლება. ამიტომ პატივი უნდა სცეს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების წესებს; ოჯახების ღირსება, საკუთრება, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება ხელშეუხებელია. ასევე ხელშეუხებელი უნდა იყოს ის ფისკალური გადასახადები (გადასახადი, ბაჟი, გამოსაღებები), რომელსაც მოსახლეობა იხდიდა ოკუპაციამდე.

ოკუპანტს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სამხედრო ინფორმაციის მიღებისათვის, მოსთხოვოს მას ერთგულების ფიცი, გამოიყენოს იგი სამხედრო საჭიროებისათვის (სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა, სურსათისა და სამხედრო იარაღის გადაზიდვა, სამხედრო ქარხნებსა და სხვა დაწესებულებებში მუშაობა და ა.შ.). თუ ოკუპანტს სჭირდება სურსათი, სანიტარული მასალა და ა.შ. მას შეუძლია ჩაატაროს ამ

საგნების რეკვიზიცია, მაგრამ მხოლოდ სამართლიანი ფულადი კომპენსაციით. ოკუპანტმა თავი უნდა შეიკავოს კერძო და სახელმწიფო ქონების განადგურებისაგან. განსაკუთრებული დაცვის ქვეშაა მეომარ სახელმწიფოთა კულტურული ფასეულობანი – არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლები, ხელნაწერები, წიგნები, კოლექციები, საარქივო მასალები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, წიგნთსაცავები და ა.შ. ამგვარად, ოკუპანტმა უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ არ დააზიანოს მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, მისი მატერიალური დოვლათი, სულიერი კულტურის ძეგლები და დაწესებულებანი.[246]

### *ბ) საზღვაო და საჰაერო ომის წარმოების წესები*[247]

საზღვაო ომის თეატრად გამოიყენება მხოლოდ მეომარ მხარეთა საზღვაო ტერიტორია და ღია ზღვა. შეიარაღებულ ძალად ამ შემთხვევაში ითვლება ყველა სახის სამხედრო-საზღვაო გემი და სხვა სპეციალურად შეიარაღებული გემები (მაგ., სავაჭრო, ტანკერები და ა.შ.), მათი ეკიპაჟი. აკრძალულია დაუცველი ნაცსადგურების, ქალაქების, სოფლების, ნაგებობების დაბომბვა ზღვიდან, თუ ასეთი ზომა არ არის ნაკარნახევი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უარის თქმით სამხედრო გემებისათვის საჭირო სურსათ-საწოვაგის მიყიდვა-რეკვიზიციაზე.

მეომარი მხარე უფლებამოსილია, მოაწყოს მტრის სანაპირო რაიონების საზღვაო ბლოკადა, ე.ი. თავისი სამხედრო-საზღვაო

---

[246] სულ საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართა საოკუპაციო რეჟიმი ჰიტლერულმა გერმანიამ, რომელმაც ეს ტერიტორიები უდიდეს საკონცენტრაციო ბანაკებად და „სიკვდილის ფაბრიკებად“ აქცია. ეს საქმიანობა ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად იყო აღიარებული ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ.

[247] იხ. პარიზის 1856 წლის დეკლარაცია. 1804 წლის კონვენცია ომის დროს სა- ჰოსპიტალო გემების სანაესადგურო გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ, ჰააგის 1907 წლის კონვენციები ომის დაწყებისას მტრის გემების მდგომარეობის შესახებ, სავაჭრო გემების სამხედრო გემებად გარდაქმნის შესახებ, საზღვაო ძალებით დაბომბვის შესახებ, ლონდონის 1909 წლის დეკლარაცია საზღვაო ომის შესახებ და 1936 წლის წესები ომის დროს წყალქვეშა ნაების სავაჭრო გემებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ჟენევის 1949 წლის კონვენცია საზღვაო ომში დაჭრილთა, ავადმყოფთა და სხვ. შესახებ.

ძალებით გადაღობოს გზა სანაპიროსაკენ და ღია ზღვისაკენ ყველა ქვეყნის გემებისათვის. ბლოკადის მომწყობი სახელმწიფო მოვალეა, წინასწარ შეატყობინოს ყველა დაინტერესებულ ქვეყანას ბლოკადის დაწყების დროისა და მისი საზღვრების შესახებ. ეს, პირველ რიგში, ნეიტრალური სახელმწიფოების ინტერესებშია, რათა მათ გემებს საშუალება მიეცეს დატოვონ ბლოკადაში მოქცეული არე. საზღვაო ბლოკადა უნდა იყოს ეფექტური, ე.ი. სამხედრო-საზღვაო ხომალდებმა უნდა დაიკავონ პოზიციები და, ამგვარად, ნამდვილად გადაუკეტონ გზა სხვა გემებს. გემი, რომელიც განზრახ არღვევს ბლოკადის წესებს, შეიძლება დაკავებულ იქნას და მოხდეს მისი კონფისკაცია.

წყალქვეშა ნაები აწარმოებენ სამხედრო მოქმედებას მხოლოდ მტრის შეიარაღებულ ძალთა წინააღმდეგ, მაგრამ საჭიროებისამებრ დაიშვება მტრის სავაჭრო გემების ჩაძირვა, თუ მისი ეკიპაჟი და მგზავრები გადაყვანილ იქნებიან საიმედო ადგილზე.

რაც შეეხება ნეიტრალური სახელმწიფოების სავაჭრო გემებს, ისინი ხელშეუხებელნი არიან. გარკვეულ შემთხვევაში ნეიტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ იკისრონ თავიანთი სავაჭრო გემების სამხედრო დაცვა.[248]

მეომარ მხარეებს უფლება აქვთ შემოღობონ თავისი სანაპირო რაიონები ნაღმებით, რის შესახებაც უნდა ეცნობოს ნეიტრალურ ქვეყნებს. არ დაიშვება ისეთი ტორპედოების გამოყენება, რომლებიც მიზნის აცდენის შემდეგ ინარჩუნებენ აფეთქების უნარს.

აკრძალულია კაპერობა[249] (მეკობრეობა), ე.ი. კერძო სავაჭრო გემების შეიარაღება სამხედრო მოქმედებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო სავაჭრო

---

[248] ნიონის 1937 წლის შეთანხმება ასეთ ფუნქციებს ინგლისის და საფრანგეთის ხომალდებს აკისრებს, რომელთაც ხმელთაშუა ზღვაში უნდა დაეცვათ სსრკ, ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთის, ბულგარეთის, ეგვიპტის სავაჭრო გემები.

[249] 1856 წ. საზღვაო ომში ფართოდ გამოიყენებოდა კაპერობა ანუ კორსარობა. კაპერები (კორსარები) ეწოდებოდა შეიარაღებულ კერძო სავაჭრო გემებს, რომელნიც თავიანთი მთავრობის ნებართვით (ეს ნებართვა კაპერს ყოველთვის თან უნდა ჰქონოდა) თავისი რისკით ეწეოდნენ საბრძოლო ოპერაციებს. როგორც წესი, კაპერები მტრის სავაჭრო გემებზე ნადირობდნენ. 1856 წლის დეკლარაციამ აკრძალა ასეთი მოქმედება.

გემების შეიარაღება. თუ კერძო საეჭრო გემები მაინც შეიარაღდებიან, მის სათაოეში უნდა ჩადგეს სამხედრო ოფიცერი, ეკიპაჟი უნდა შეღგებოდეს სამხედრო პირებისაგან, ხოლო თვით გემს უნდა ჰქონდეს სამხედრო ხომალდისათვის დამახასიათებელი ნიშანი.

მეომარ მხარეებს უფლება აქვთ დააკავონ და ხელთ იგდონ არა მარტო მტრის სავაჭრო გემები, არამედ ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემებიც, თუ უკანასკნელები განზრახ არღვევენ ბლოკადას ან „სამხედრო კონტრაბანდას“ ეზიდებიან. სამხედრო კონტრაბანდად ითვლება ნივთები, რომელთა მიწოდება მტრისადმი აკრძალულია. განასხვავებენ აბსოლუტურ კონტრაბანდას (ნეიტრალურ გემზე მყოფი აშკარად სამხედრო ტვირთი – იარაღი, ჭურვები და ა.შ.) და პირობით კონტრაბანდას (ნივთები, რომელთა „სამხედრო“ კატეგორია დასადგენია). ასეთი ორჭოფული მდგომარეობის თავიდან აცილებისათვის მეომარი მხარეები აქვეყნებენ კონტრაბანდულ ნივთების სრულ ნუსხას.

ნეიტრალური გემი, რომელიც სამხედრო კონტრაბანდის გადაზიდვას ეწევა, შეიძლება დაკავებულ იქნეს მოწინააღმდეგის მიერ და ე.წ. საპრიზო სასამართლოს[250] გადაწყვეტილებით გადავიდეს მის საკუთრებაში. თუ ასეთი გემის სამხედრო მოქმედებათა არიდან გაყვანა შეუძლებელია, დაიშვება მისი ჩაძირვა ადამიანთა და აგრეთვე გემის და სატვირთო საბუთების სამშვიდობოს გაყვანის შემდეგ. რაც შეეხება ნეიტრალური სახელმწიფოს ტვირთს, რომელიც მტრული სახელმწიფოს გემზე აღმოჩნდება, იგი ხელშეუხებელია ისევე, როგორც მტრის ტვირთი ნეიტრალურ გემზე, თუ იგი სამხედრო კონტრაბანდა არ არის. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში მტრული სახელმწიფოს ქონება (გემი, ტვირთი) გადადის მეორე მხარის ხელში (ნეიტრალური ტვირთის გამოკლებით), მეორე შემთხვევაში ნეიტრალური დროშა ფარავს მტრის ტვირთს და იგი ხელშეუხებელი რჩება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დაიშვება მტრის ისეთი გემების დაკავება ან რეკვიზირება ომის დამთავრებამდე, რომლებიც გამოვიდნენ ნაესადგურიდან ომის გამოცხადებამდე და არაფერი არ იცოდნენ მის შესახებ. იგივე

---

[250] ნეიტრალური გემი, რომელსაც „სამხედრო კონტრაბანდის“ გადაზიდვა ბრალდება, მიიყვანება დამკავებებელი სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში. ასეთ გემს პრიზი ეწოდება, ხოლო სპეციალური სასამართლო, რომელიც იხილავს დაკავების სამართლიანობას, საპრიზო სასამართლოს სახელწოდებას ატარებს.

ბედი შეიძლება ეწიოს მტრის გემებს, რომლებიც ომის დაწყების დროს მეომარი მხარის ნავსადგურში იმყოფებოდნენ. მაგრამ ასეთი ზომები არ უნდა იყოს წესად შემოღებული და ზემოთქმულთან ერთად გემებს სამშვიდობოს გასვლის უფლება უნდა მიეცეთ.

არ დაიშვება წერილი თევზსაჭერი გემების, საკაბოტაჟო ნაოსნობის გემების, სამეცნიერო, არქეოლოგიო ან ფილანტროპულ დაკალებათა შემსრულებელი გემების დაკავება და ხელში ჩაგდება.

**საჰაერო ომის** დარგში არ არსებობს რაიმე სპეციალური საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც არეგულირებდეს სამხედრო მოქმედების წარმოებას ჰაერში. საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკა ავრცელებს ამ დარგზე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ჩვეულებით და კონვენციურ ნორმებს: არ დაიშვება დაუცველი ქალაქების, სოფლებისა და ნაგებობათა დაბომბვა, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება, ასევე ხელშეუხებელია სანიტარული ნაწილები (ჰოსპიტლები, მცურავი ლაზარეთები, სანიტარული თვითმფრინავები) და კულტურული და ისტორიული ძეგლები, აკრძალულია ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ადამიანთა მასობრივი განადგურების სხვა იარაღის გამოყენება; საჰაერო ომის თეატრი შემოიფარგლება მეომარ სახელმწიფოთა საჰაერო ტერიტორიით და ღია ზღვის თავზე მდებარე სივრცით.

### *ზ) ტყვეთა, დაჭრილთა და ავადმყოფთა სამართლებრივი რეჟიმი*

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თანახმად, ტყვედ ითვლება მტრის ხელში ჩავარდნილი პირი, რომელიც მეორე მხარის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის. ასეთ პირებად ითვლებიან, როგორც ვიცით, რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წევრები, ასევე პარტიზანები, მოხალისეთა რაზმები, მოლაშქრენი. ამავე რიცხვს მიეკუთვნებიან არაკომბატანტები.[251] სახელმწიფო ვალდებულია პუმანურად მოეპყროს ტყვეს, მოერიდოს ისეთ ქმედებას, რომელიც ფიზიკურად ან სულიერად დაამახინჯებს მას; სამხედრო ტყვეს უნდა ეძლეოდეს ისეთივე საჭმელი, ტანსაცმელი, თავშესაფარი, რაც ადგილობრივ შეიარაღებულ

---

[251] იხ. ჟენევის 1949 წლის კონვენცია სამხედრო ტყვეთა შესახებ.

ძალებს გააჩნიათ. სამხედრო ქორებისა და ქალალდების გარდა, ტყვეს არ ჩამოერთმევა მისი პირადი ნივთები.

ოფიცერთა გარდა, ყოველი ტყვე შეიძლება გაწვეულ იქნეს სამუშაოზე. ეს შრომა ანაზღაურდება იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია ამ სახის სამუშაოსათვის აღნიშნულ რაიონში. ხელფასის ნაწილი ტყვეს ეძლევა, ხოლო დანარჩენი თანხა მიეცემა გართავისუფლებისას. ტყვეს მიეცემა საშუალება მიიღოს დახმარება ყოველგვარი საქველმოქმედო საზოგადოებისაგან, თაყისუფლად განახორციელოს რელიგიური წეს-ჩვეულება და შეადგინოს ანდერძები. გარდაცვლილ ტყვეს დაკრძალვისას ისეთი პატივი უნდა მიეგოს, რომელიც შეეფერება მის ჩინსა და წოდებას. ტყვეზე ვრცელდება ყველა კანონი, წესდება, და ბრძანება, რომელსაც ემორჩილებიან ადგილობრივი შეიარაღებული ძალები. ამ წესების დარღვევისას ტყვე პასუხს აგებს სასამართლო ან დისციპლინური წესით. გაქცევის შემთხვევაში ტყვის მიმართ შეიძლება მხოლოდ დისციპლინარული ზომების გამოყენება. მეომარი მხარეები მოვალენი არიან შექმნან ცნობათა ბიურო ტყვეების საქმეთა თაობაზე. ამ ბიუროს ეკისრება ვალდებულება გასცეს პასუხი ყველა კითხვაზე, რომელიც აინტერესებს მხარეებს, დაინტერესებულ ორგანიზაციებს.[252]

სამხედრო პირები და ჯართან მყოფი სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც რჩებიან მტრის დაკავებულ ტერიტორიაზე დაჭრის ან ავადმყოფობის გამო, უნდა სარგებლობდნენ ყოველგვარი მოვლითა და დაცვით. კომბატანტები და არაკომბატანტები ამ შემთხვევაში დაექვემდებარებიან სამხედრო ტყვეთა რეჟიმს. ყველა დაჭრილი და ავადმყოფი, მიუხედავად მისი რასისა, სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, უნდა სარგებლობდეს ჯეროვანი სამედიცინო მომსახურებით. მხარე, რომელიც იძულებულია დაუტოვოს მტერს თავისი დაჭრილები და ავადმყოფები, მოვალეა, შეძლებისდაგვარად, დატოვოს მათთან სათანადო პერსონალი და მომსახურების საშუალებანი. ყოველი ბრძოლის შემდეგ მხარეები მოვალენი არიან შეატყობინონ ერთმანეთს დაჰოცილთა, დაჭრილთა და ავადმყოფთა გვარები. ამავე დროს მათ უნდა მიიღონ ყველა ზომა დაჭრილთა და

---

[252] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლი სამხედრო ტყვეებთან სისტემატური ცუდი, ან განსაკუთრებით მკაცრი მოპყრობისათვის ერთიდან სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

დახოცილთა მოსაძებნად, დაიცვან ისინი გაძარცვის ან უდიერი მოპყრობისაგან. დახოცილთა დაკრძალვა უნდა ხდებოდეს სათანადო პატივისცემითა და იმგვარად, რომ მომავალში შესაძლებელი იყოს მათი საფლავების მოძებნა. აღსანიშნავია, რომ მოძრავი სანიტარული ნაწილები და სტაციონარული დაწესებულებანი უნდა სარგებლობდნენ მხარეთა მფარველობითა და დაცვით. ის პირები, რომელთაც ევალებათ დაჭრილთა და ავადმყოფთა მოძებნა, გადაყვანა და ჭრილობათა შეხვევა, მტრის ხელში ჩავარდნისას არ შეიძლება ჩაყენებულ იქნენ ტყვეთა რეჟიმში. ეს პირები, შეძლებისდაგვარად უნდა დააბრუნონ თავის მხარეს. ასეთივე სტატუსი ენიჭებათ მეომარი მხარეებისა და ნეიტრალური ქვეყნების საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც სანიტარულ სამსახურს ეწევიან.

სანიტარული ნაწილების პირადი შემადგენლობა, გადაზიდვის საშუალებანი უნდა ატარებდნენ კარგად შესამჩნევ წითელი ჯვრის ნიშანს – წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე, წითელი კრისტალი[253] წითელი ლომი, მზე თეთრ ფონზე, თვითმფრინავები, რომლებიც შეიღებებიან თეთრად, ატარებენ წითელი ჯვრის ნიშანს თავის ეროვნულ ნიშანთან ერთად ფრთის ზედა და ქვედა სიბრტყეზე. თეთრად შეღებილი გემები ატარებენ იმავე ნიშანს (მაგრამ მუქი წითელი ფერისას) არა მარტო ხომალდის ორივე მხარეზე, არამედ ჰორიზონტალურ სიბრტყეზედაც (გემბანზე), რომ იგი კარგად ჩანდეს ჰაერიდან. ამასთან, ეროვნული დროშის გარდა, აღიმართება წითელი ჯვრის ორგანიზაციის ალამიც. საზღვაო სანიტარული გემები ნაკსადგურში შესელისას არ იხდიან არაკითარ გადასახადს.[254]

### *თ) ომის დროს ნეიტრალური სახელმწიფოების*

---

[253] 2005 წელს შეიქმნა ჟენევის კონვენციების III დამატებითი ოქმი, რომლის ძალითაც განისაზღვრა ახალი ნეიტრალური განმასხვავებელი ნიშანი (ემბლემა) -წითელი კრისტალი თეთრ ფონზე. კრისტალი განიხილება, როგორც ყველა სხვა, იმავე შინაარსის ნიშნის პოტენციური ჩამნაცვლებელი. 2011 წლის მდგომარეობით მას 50-ზე მეტი მონაწილე და 30-ზე მეტი ხელმომწერი სახელმწიფო ჰყავდა. ოქმი ძალაშია 2007 წლის 14 იანვრიდან.

[254] იხ. 1904 წლის კონვენცია საჰოსპიტალო გემების სანაკსადგურო და სხვა გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ.

განასხვავებენ მუდმივ და დროებით ნეიტრალიტეტს. ჩვეულებრივი, დროებითი ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე სახელმწიფო თავს იკავებს ომში ჩარევისაგან, რის შესახებაც ოფიციალურად ატყობინებს მეომარ მხარეებს და სხვა ქვეყნებს.[256] მუდმივი ნეიტრალიტეტი ავალებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს ომისაგან, არა მარტო ომის დაწყების შემთხვევაში, არამედ მშვიდობის დროსაც ყველა ღონე იხმაროს, რათა მისი ტერიტორია არ იქნას გამოყენებული სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ომის გაჩაღებისათვის. მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფო ინარჩუნებს უფლებას იყოლიოს საკუთარი შეიარაღებული ძალები და დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ე.წ. „ინდივიდუალური თავდაცვის“ პრინციპზე დაყრდნობით.

იბადება კითხვა – შეესაბამება თუ არა ნეიტრალიტეტის სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც გმობს აგრესიულ ომს და აგრესორის მიმართ რიგ სამხედრო სანქციებს ითვალისწინებს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უშიშროების საბჭო თვითონ წყვეტს, რომელ სახელმწიფოს დაევალოს, მიიღოს მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში და ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მუდმივად ნეიტრალური ავსტრია ან შვეიცარია მიღებულია ორგანიზაციის წევრთა რიცხვში, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნეიტრალიტეტი, როგორც მუდმივი, ასევე დროებითი, არ ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. უფრო მეტიც, იგი მოწოდებულია შეზღუდოს სამხედრო კონფლიქტის არე და ამით დააჩქაროს ომის კერის ჩაქრობა. ამგვარად, იმ დროსაც, როდესაც უშიშროების საბჭო ატარებს სამხედრო მოქმედებას აგრესორის მიმართ, წევრ-სახელმწიფოების გარკვეული ნაწილი შეიძლება ნეიტრალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და მათზე უნდა გავრცელდეს ის უფლება-მოვალეობანი, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლითაა განმტკიცებული.

---

[255] იხ. 1904 წლის კონვენცია საჰოსპიტალო გემების სანავსადგურო და სხვა გამოსაღებებისაგან განთავისუფლების შესახებ.

[256] ნეიტრალიტეტის ამ სახეობის საინტერესო ანალიზი იხ. გ. ქუანია, სახელმწიფო ნეიტრალიტეტი, თბ., 1962 წ.

ნეიტრალიტეტი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ომის პირობებში ძირითადად ერთსა და იმავე უფლება-მოვალეობებს აკისრებს ამ სტატუსის მქონე სახელმწიფოს: არ დაიშვება ნეიტრალური ქვეყნის ტერიტორიის გამოყენება სამხედრო მოქმედებისა ან დამხმარე ოპერაციებისათვის (მაგ. შეიარაღებული ძალების, პროვიანტის, ტექნიკის გაყვანა, სატელეგრაფო და კაბელირგაბმულობის სხვა საშუალებათა სადგურების დაარსება). ამავე დროს, ნეიტრალურ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, გადასცეს მეომარ მხარეს იარაღი, სამხედრო გემები, სურსათ-სანოვაგე, გადაიყვანოს მტრის შეიარაღებული ძალები, გადაზიდოს სამხედრო კონტრაბანდის სხვა სახეები; მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალების ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემთხვევაში, ისინი განიარაღებულნი და ინტერნირებულნი უნდა იყვნენ ომის დამთავრებამდე (დროებით სპეციალურ ბანაკებში უნდა მოთავსდნენ). ფიზიკური პირები, რომლებიც ნეიტრალურ სახელმწიფოს ეკუთვნიან და მოხალისეებად შედიან მეომართა შეიარაღებული ძალების რიგებში, კარგავენ თავის ნეიტრალურ სტატუსს, ხოლო მათ სახელმწიფოს არ შეიძლება დაედოს ამაში ბრალი.

ერთადერთი რაც შეუძლია ნეიტრალურ სახელმწიფოს და რის გაკეთებაც მისი ვალია, ეს არის მოხალისეთა გატარება თავის საზღვარზე თითო-თითოდ და არა მასობრივად. ნეიტრალური სახელმწიფო უფლებამოსილია გაატაროს თავის ტერიტორიაზე მეომარი მხარეების დაჭრილთა და ავადმყოფთა ტრანსპორტები (რომელიც თავის ჯარებთან შესაერთებლად მიდის), თუ მას არ ახლავს შეიარაღებული ძალები ან იარაღი. ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიული წყლები მისი მთავრობის თანხმობით ღიაა მეომარი სახელმწიფოების სამხედრო გემების (მათი პრიზების ჩათვლით) გავლისათვის, მაგრამ გავლის დრო 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს. მეომარ მხარეებს არა აქვთ უფლება, გამოიყენონ ნეიტრალური პორტები გემების შეიარაღების, სამხედრო გემების საბრძოლო ტექნიკითა და ჭურვების მარაგის შევსება-განახლებისათვის, ეკიპაჟის რიგების ახალი კადრებით დაკომპლექტებისათვის. თუ ნეიტრალური სახელმწიფოს ან მისი მოქალაქის საკუთრო გემი აშკარად ერთ-ერთ მეომარ მხარეს ემხრობა და ებმება

საბრძოლო მოქმედებაში ან მის დამხმარე ოპერაციებში, იგი კარგავს თავის ნეიტრალურ სტატუსს.[257]

*ი) ომის დამთავრება*

ყოველი ომი ადრე თუ გვიან მთავრდება და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდება. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ომის შეჩერებას და ომის მდგომარეობის შეწყვეტას.

ომის შეჩერება დროებითი მოვლენაა, იგი სხვადასხვა ფორმით გვევლინება – საერთო დაზავება, ადგილობრივი დაზავება აჩერებს სამხედრო მოქმედებას ყველა ფრონტზე და, როგორც წესი, საზავო ხელშეკრულების დადების პირველი ნიშანია.

ადგილობრივი დაზავება იდება სამხედრო ნაწილების უფროსთა მიერ სხვადასხვა მიზნით: დახოცილთა დასაფლავებისა და დაჭრილთათვის დახმარების აღმოჩენისათვის, ალყაშემორტყმულ ზონაში მყოფ დაჭრილთა, ავადმყოფთა, ინვალიდთა, მოხუცთა, ბავშვთა, მშობიარე ქალთა ევაკუაციის მიზნით ან ამ ზონაში სანიტარული პერსონალის ან მოწყობილობის გატარებისათვის.

დაზავება, როგორც წესი, მხარეთა შეთანხმებით ფორმდება, რომელიც სამხედრო მოქმედების შეჩერების ზუსტ პირობებს ჩამოთვლის. ერთი მხარის მიერ დაზავების ცალმხრივად დარღვევა აგრესიად ითვლება.

უსიტყვო კაპიტულაციის (დანებების) დროს დამარცხებული სახელმწიფო (სამხედრო ნაწილი) ნებდება ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე. პირველ შემთხვევაში, ფაქტიურად, ომის შეწყვეტას აქვს ადგილი, რომელსაც ყველა ფრონტზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტა მოსდევს. ომის დამთავრება „ომის მდგომარეობის შეწყვეტის“ აქტით ფორმდება, რაც საზავო ხელშეკრულების სახეს იღებს.[258]

---

[257] მეორე მსოფლიო ომის დროს ესპანეთმა, თურქეთმა და შვეციამ განაცხადეს თავისი ნეიტრალიტეტის შესახებ. სინამდვილეში თურქეთსა და ესპანეთს არასოდეს არ დაუკავებია ჭეშმარიტად ნეიტრალური პოზიცია და ომის მთელი მსვლელობის მანძილზე ყოველ ღონეს ხმარობდნენ ჰიტლერული კოალიციისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რითაც უხეშად არღვევდნენ ნეიტრალიტეტის სტატუსს.

[258] იხ. პარიზის 1947 წლის საზავო ხელშეკრულებანი იტალიასთან, ფინეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთსა და უნგრეთთან.

ეს ხელშეკრულებები შემდეგ საკითხებს მოიცავენ: ა) ომის მდგომარეობის შეწყვეტა და მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენა; ბ) ტერიტორიული საკითხები; გ) რეპარაციები, რესტიტუციები და ზარალის ანაზღაურების სხვა საშუალებანი; დ) ტყვეთა, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ურთიერთგაცვლა; ე) ომამდე დადებულ ხელშეკრულებათა ბედი; ვ) ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხები; ზ) სხვადასხვა სახის კომისიების შექმნა საზავო პირობების ცხოვრებაში გატარებისათვის (სადემარკაციო კომისიები და ა.შ.).[259]

ომის დამთავრება შეიძლება ცალმხრივი ან ორმხრივი დეკლარაციის საშუალებითაც მოხდეს, რაც არ გამორიცხავს მომავალში საზავო ხელშეკრულების დადების აუცილებლობას. დამარცხებულ აგრესორთან საზავო ხელშეკრულების შემუშავება-დადებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა მეომარი სახელმწიფო. ცალმხრივი, სეპარატისტული ხელშეკრულების დადება მართლსაწინააღმდეგო აქტად ითვლება.

---

[259] აღნიშნული 1947 წლის ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე დემილიტარიზაციის, სამხედრო დამნაშავეთა დასჯის, პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის პირობებს, რომელთა მიზანი იყო მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული საწყისების დანერგვა ჰიტლერული გერმანიის ყოფილ მოკავშირე სახელმწიფოებში.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75

ტელ:. 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

http://www.facebook.com/lawyers.world